FS 5805
0

…ბ გოგებაშვილი

# ბუნების კარი

ანუ

## ყრმათათვის საკითხავი წიგნი

ფასი ყდით სამი აბაზი.



მეთექვსმეტე გამოცემა, ბევრად შევსებული (80,000)

თფილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი ძმობისა“, მოსკოვის ქუჩა, № 5.

1907

[illegible] გამოცემა ამ წიგნისა, თანახმად აღმოსავლეთის ფაკულტეტის მოხსენებისა, განათლების სამინისტროს მიერ მოწონებულ იქმნა, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო“ სკოლებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი

# ბუნების კარი

ანუ

## ყრმათათვის საკითხავი წიგნი

უმცროს კლასებში სახმარებელი

$\frac{280}{3}$



მეთექვსმეტე გამოცემა, შევსებული (80,000)

ტფილისი
მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა", მოსკოვის ქუჩა, № 5.
1907

მეხუთე გამოცემა ამ წიგნისა, თანახმად აღმოსავლეთის ფაკულტეტის მოხსენებისა, განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული იქმნა, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო" სკოლებისათვის.

VI, 464გ. ...(20x13), 60ვ.

# მშობელთა და მასწავლებელთათვის.

საბუნებისმეტყველო შინაარსს „ბუნების კარში" უჭირავს თითქმის წიგნის ნახევარი. ამას შემდეგი მოსაზრება დაედო საფუძვლად:

დაწინაურებულს, განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერის და კაცობრიობის ბედნიერებისას. ამის გამო იქ ბუნების შესწავლას დიდს ადგილს უთმობენ ბავშვების განვითარებაში როგორც ოჯახები, ისე სკოლები. სწორედ ამისთანა აღზრდის მეოხებით მოხდა ისა, რომ ევროპიელმა კაცობრიობამ თანდათან გაიხადა უმორჩილეს მოსამსახურედ მძლავრნი ძალნი ბუნებისანი და დღითი დღე ზრდის თავისს კეთილდღეობას მათ შემწეობით.

ჩვენში აქამდინ მეფობს მოზარდის თაობის აღზრდაში ფანტაზია. მხოლოდ ფანტაზიას ბავშვისას ავარჯიშებენ და ასაზრდოვებენ და ხშირად იმისთანა რამეებით, რომელიც სრულიად უმახინჯებს მას გონებასა. ჭკუის განმავითარებელი და გამაფხიზლებელი საგნები, საღის მსჯელობის აღმზრდელნი რეალურნი ვარჯიშობანი, ცხოველი ბუნება, ჩვენებურს მშობლებს სრულიად მივიწყებული აქვთ თავისის შვილების აღზრდა-განვითარებაში. ჩვენებური ბიუროკრატიული სკოლაც ისე უსულ-გულოდ, ისე უძლურად და მკვდრად ასწავლის ბუნების-მეტყველებას, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მის ჩონჩხსა, რომ ჩვენს ბავშვებს სრულიად უცრუვდებათ მასზე გული.

საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალ-ფეროვანი, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა. მაგრამ ჩვენ ამ მდიდარის ბუნებისა არაფერი გაგვეგება. ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი, შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელს ქონებას და ჩვენ კი ხახა-მშრალები ვრჩებით.

უმეცრება ჩვენი ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის. მთავარნი მტერნი ყოველ-გვარის მოსავლისა არიან სხვა-და-სხვა ქია-მატლები, რომელნიც უღრღნიან და უფუჭებენ მოსავლიანს მცენარეულობას ფესვებს, ფოთლებსა და ნაყოფსა, და დიდს ზარალს აყენებენ მხვნელ-მთესველთა. ნადირთა და ფრინველთა შორის მოიპოვებიან იმისთანანი, რომელნიც ებრძვიან ამ ავნე ქია-მატლებს, სდევნიან მათ და აუარებელს მათს რიცხვს ჰულეტენ დღე და ღამ. მაგრამ ეს ჩვენმა უვიცმა ხალხმა არ იცის, მტრულად ეკიდება ამ თავისს უძვირფასეს მეგობრებს და უწყალოდ ჟლეტს მათ, თავის საზარალოდ.

რათა უფრო მიმზიდველი გაგვეხადა ბავშვებისათვის „**ბუნების კარი**", მის შედგენის დროს გვერდი ავუქციეთ იმისთანა მშრალს მხარეებს, როგორიც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა და მათი ანატომი-

ური აგებულება და რაც შეადგენს პირდაპირ საგანს ბუნენების-მეტყველების სახელმძღვანელოისას. სამაგიეროდ, დიდი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცენარეთა და ადამიანთა შორის, როგორ სცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისათვის, რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანთან და თვით თავისს სამშობლოსთან (ფრინველების მგზავრობა, ორაგულის ცხოვრება).

საბუნებისმეტყველო წერილები შედგენილია ჩვენ მიერ საუკეთესო წყაროების მიხედვით, როგორც, მაგალითად, **ვესტნიკ ესტესტვენნიხ ნაუკ**, თხზულებანი: ბრემისა, ქარლმ ფოხტისა, ბოლდანოვიჩისა, მაგნერისა და კიდევ სხვებისა.—

რათა გაგვეადვილებინა ამოდენა წიგნის გათავება მესამე წლის განმავლობაში, ჩვენს წერილებს მივეცით უმეტეს ნაწილად მოთხრობითი ფორმა, რომელიც ერთი ორად და სამად უადვილებს მოსწავლეთ საგნის შეთვისებას.

რაც შეეხება ხელოვნურ, სიტყვა-კაზმულს ქართულს ენას, მას მოსწავლეები ითვისებენ იმ სალიტერატურო ნიმუშების შესწავლით, რომლებიც მოთავსებულნი არიან ქრისტომატიულს განყოფილებაში და რომელთაც უჭირავს მთელი მესამედი წიგნისა.—

## მეთექვსმეტე გამოცემის შესახებ.

ამ მეთექვსმეტე გამოცემაში შემდეგი ცვლილება მოვახდინეთ: საბუნების მეტყველო განყოფილებანი ცოტა შევამოკლეთ, სალიტერატურო ნაწილი გავადიდეთ, და, გარდა იმისა, ჩავურთეთ ახალი განყოფილება — მოთხრობანი საქართველოს წარსულიდგან, რომელნიც დავასურათეთ უმთავრესი ისტორიული პირების პარტრეტებით.

ახალმა შინაარსმა დაიჭირა ას გვერდამდინ და წიგნმა იმატა ხუთი სტამბური თაბახით, რის გამო ეს გამოცემა ბევრად ძვირად დაჯდა წინანდელზე. მიუხედავად ამისა, ფასი წინადელი დავსტოვეთ, რადგანაც ქართველთა ხელმოკლეობამ იმდენად იმატა ბოლოს ხანსა, რომ მინიმალური, უმცირესი ფასის გალებაც კი უძნელდებათ მოსწავლეთა მშობლებსა.

იაკობ გოგებაშვილი.

---

# სარჩევი*)


დილის მზის სხივები, ნემენცურ. 3
მიპატიჟება სასწავლებელში, ლექსი რ. ერისთავისა . . . . . 4
ყმაწვილები ჭალაში, უშინსკისა —
დედის დარიგება, ჭალადიდელისა: 7
კატო და ფრინველები, გადმოკ. —


## მცენარეები.


სოფლის ცაცხვი, ნემენცური . 11
ხე როგორ იზრდება, ვაგნერისა 12
ბამბა . . . . . . . . . 13
პურის მოსავალი, ლექსი რ. ერისთავისა . . . . . . 14
შაქრის ლერწამი . . . . . 15
ბრინჯი . . . . . . . . . 16
ყვავილი, ლექსი ბარათაშვილისა 18
ჩაის მცენარე . . . . . . —
ყავის ხე . . . . . . . . . 19
ქინაქინის ხე, ვაგნერისა . . . 21
ფუჭი კაკალი, მისივე . . . . 23
ხილთა ქება, ძველებური ლექსი 25


## მოსავლის მცველნი.


მწყერი . . . . . . . . . 28
ბულბული . . . . . . . . 31
ვირი და ბულბული, თარგმანი გრ, ორბელიანისა . . . . 33
ბედურა ჩიტი . . . . . . . 34
ჩიტი, ლექსი ი. ჭავჭავაძისა . 43
მერცხალი . . . . . . . . 44
მერცხალი, ლექ. რ. ერისთავისა 54
ქოტი . . . . . . . . . 54
შოშია . . . . . . . . . 61
შაშვი, ლექსი ალ. ჩიქოვანისა 65
გომბეშო, ვაგნერისა . . . . —
ღამურა . . . . . . . . . 69
თხუნელა, ვაგნერისა . . . . 73
ზღარბი . . . . . . . . . 76
ქათმის საიდუმლოებანი . . . 85
არწივი . . . . . . . . . 94
არწივი და თხუნელა, თარგ. ცახელისა . . . . . . . 99
სირაქლემა . . . . . . . . 100
ფრინველების გონება . . . . 102
ფრინველების მგზავრობა . 105
ფრინველების წასვლისათვის მომზადება . . . . . . . . 107
ფრინველების მგზავრობა სამხრეთისაკენ . . . . . . . 108
ზამთრობით ფრინველების უცხო ქვეყანაში ყოფნა . . . . 111
ფრინველების წამოსვლა სამშობლოში . . . . . . . . . 113


## ოთხფეხნი:


ძაღლი . . . . . . . . . 115
ძაღლების მეგობრობა, თარგმ. ერისთავისა . . . . . . 120
აქლემი . . . . . . . . 121
მგელი და სოფელი . . . . 124
მგელი და წერო, თარ ცახელისა 128
ლომი . . . . . . . . . 128
ლომი და კოღო, თარ. რ. ერისთავისა . . . . . . . 134
სპილო . . . . . . . . . 135
სპილო საერისთაოზე, თარ. რაფ. ერისთავისა . . . . . . 142
მაიმუნი . . . , . . . . 143
მაიმუნი და სარკე, ლექსი რ. ერისთავისა . . . . . . 148
ორაგულის ცხოვრება . . . 149


*) რომელი ნაწერის ავტორიც არ არის დასახელებული, ის ჩვენ გვეკუთვნის.

ორაგული, ლექსი თარ. რაფ. ერისთავისა . . . 157
გველი . . . 158
გველი და გლეხი, თარ. ცახელისა . . . 162

### მწერები:

კალია . . . 163
ფუტკარი . . . 167
ხარაბუზა და ფუტკარი, ლექსი აკაკი . . . 173
აბრეშუმის ჭია . . . 174
ჭიანჭველები . . . 179
ჭრიჭინა და ჭიანჭველა, თარგ. რაფ. ერისთავისა . . . 185

### ადამიანზე:

სხეულის შენობა, უშინსკისა . 185
ლუკმის დადგომა ყელზე, ვაგნერისა . . . 196
ხუთი გრძნობა, უშინსკისა . 198
ადამიანის ნიჭნი, მისივე . . 202
საოცარი სახლი, მისივე . . 204
ქვისა და მცენარის განსხვავება 205
ცხოველის და მცენარის შედარება . . . 206
ცხოველის და ადამიანის შედარება . . . 208

### წელიწადის დრონი:

ზამთარი . . . 211
ზამთარი, ლექსი რ. ერისთავისა. 214
მეკვლევი, ლექსი მისივე . . . —
გაზაფხული . . . 215
გაზაფხული, ლექსი რ. ერისთ. 219
გაზაფხული, ლესქი აკაკისა . —
ბზობა, ლექსი რ. ერისთავისა . 220
აღდგომა, ლექსი მისივე . . 221
ზაფხული . . . —
ზაფხული, ლექსი რ. ერისთავ. 227
სათიბი, მისივე . . . 228
სიმღერა მკის დროსა, აკაკისა. —
შემოდგომა . . . 229
რთველი, ლექსი ერისთავისა. —
გუთანი, ლექსი მისივე . . —
ღამის მეხრე, მისივე . . . 234

### ბუნების მოვლენანი:

ცისარტყელა . . . 234
ნამი . . . 236
დილის ნამი, ლექსი ჰიუგოსი, თარ. ხითაროვისა . . . 238
სეტყვა . . . 239
ტეტიას მოთქმა, ლექსი რაფ. ერისთავისა . . . 239
თოვლი . . . 240
ქუხილი, ელვა და მეხი . . —
მიწის ძვრა . . . 244

## ქრისტომატია.

### პოეზია.

### ლექსები ყრმათა შესახებ.

მძინანე ყმაწვილს, ილია ჭავჭავაძისა . . . 247
ისწავლეთ, ძენო, ვ. ორბელიანისა . . . —
დის სიმღერა, აკაკი წერეთლისა 248
ყინვა და პატარა მოწაფე, ლომაურისა . . . 249
ბებია და მისი შვილები . . —
დედა და შვილი, ბუნდაძისა . —
სწავლა მოსწავლეთა, გურამიშვილისა . . . 250

### ლექსები სოფლის ცხოვრებიდგან.

საწყალი გლეხი (ხალხური) . . 251
ალზევანს წასვლა რ. ერისთავისა —
ბერუას ჩაფიქრება, ერისთავისა 252
წისქვილი, მისივე . . . —

თინიას მამითადი, მისივე . . . 253
სესიას ფიქრები, მისივე . . . . 254
გლეხის ნუგეში, მისივე . . . . —
იმერი გლეხი, მისივე . . . . . —
ნიკორას ჩივილი, თ. რაზიკაშ . 255
მოუმკალი ყანა, ნეკრასოვიდან, ცახელისა . . . . . . . . . 256
ტყვის სიმღერა, ბაჩანასი . . 256
მუხა, მისივე . . . . . . . . 257
ბერუას ჩივილი, ერისთავისა —
გუთნის დედა, ი. ჭავჭავაძისა . 258
ვაჟკაცის სიკვდილი, ხალხური 259
მუშა, ილია ჭავჭავაძისა . . . 259


## იგავ-არაკები.


დატყვევებული არწივი, აკაკისა 261
ღამურა, მისივე . . . . . . . 262
სოფლელნი და მდინარე, გრ. ორბელიანისა . . . . . . 263
დათვის წვეულება, აკაკისა . 264
ბატები, მისივე . . . . . . . —
გულკეთილი მელა, მისივე . . 265
მელა და ყურძენი, მისივე . . 266


## ლექსები მამულის სიყვარულზედ.


მეცა მქვნია, ლექსი ჰეინესი, თარ. ჭავჭავაძისა . . . . . 266
მამულის სიყვარული, ან. ფურცელაძისა . . . . . . . . . 267
კაცი ის არის, რ. ერისთავისა —
განთიადი, რგ. ორბელიანისა. 268
მამულს, მისივე . . . . . . —
ქართლის დედას. ი. ჭავჭავაძისა 269
ბახალეთის ტბა, მისივე . . . 70
პოეტი, მისივე . . . . . . . 271
სამშობლო ხევსურისა, რ. ერისთავისა . . . . . . . . 272
რაზე მიწყრები, ყეენო, მისივე 273
ელეგია, ილია ჭავჭავაძისა . . 274
მესმის, მესმის, ნეკრასოვიდგან, ი. ჭავჭავაძისა . . . . . . . 274
ნანა, მისივე . . . . . . . . —


## სატირიული (დამცინავი) ლექსები.


საკვირველი ამბავი, ა. ფურცელაძისა . . . . . . . . . 276
აპპელაციის მცოდნე, აკაკისა . —
ხმა სამარიდან. ი. ჭავჭავაძისა 277


## ლექსები წარსულზედ.


ქოროღლი, რ. ერისთავისა . 278
გლეხის ნაამბობი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . . 279
დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყვევება . . . . . . . . 282
ტყვეობიდან გაპარვა დავითისა . 283


## სასულიერო ზნეობრივი ლექსები.


საქები წესი, ი. ჭავჭავაძისა 286
მტრის ძლევა, მისივე . . . . —
ლოცვა, მისივე . . . . . . . —
ფსალმუნი, გრ. ორბელიანისა —
ნინოს საფლავი, ცახელისა . 287
ხატის წინ, აკაკისა . . . . 288
სიმართლის მსახურება, მისივე. —
რა არის ჩვენი სიცოცხლე, გრ. ორბელიანისა . . . . . . . —
კაცი ის არის, ვახ. ორბელიანისა 289
სიზმარი, აკაკისა . . . . . . 290
ფუჭი სიცოცხლე, გრ. ორბელიანისა . . . . . . . . . . 291


## პროზა.


ძაღლი როგორ მოშინაურდა, მეგრული არაკი, ნინო ნაკაშიძისა. . . . . . . . . . 292
სამნი ძმანი, ხალხური არაკი, 293
ნაცარ-ქექია, აკაკისა . . . 297

კაკანათი, ი. მრევლიშვილისა . . . 299
ქინაქინა, მოთხრობა დუტუ მეგრელისა . . . . . . . . 302
თევზაობა, მოგონება . . . . 308
შველი და ქალი, აკაკისა . . 314
ძმა და და, ლომაურისა . . 316
მოსავალი, მისივე . . . . . 321
მწყრის ბუდე, მისივე . . . 324
მოგონება, დედაბრიშვილისა . 325
ჩვენი კაკლის ხე, ეკატერინე გაბაშვილისა . . . . . . . . . 329
მონადირე, ეგ. ნინოშვილისა 333
მხნე დიასახლისი, ი. ჭავჭავაძისა . . . . . . . . . . 337
დედა-შვილობა, მისივე . . 340
საბრალო ირემი, მისივე . . 343
მღვდლის საუბარი სწავლის საჭიროებაზედ, მისივე . . . 345
თავის გაწირვა მღვდლისა, მისივე . . . . . . . . . . . 349
ლუარსაბის ლხინი, ძისივე . 353
ლუარსაბის სიზმარი, მისივე 354
ლუარსაბის სიკვდილი, მისივე 357
სიტყვა, ი. ჭავჭავაძისა . . . 359
ყაყიტას ქურდი, მგალობლიშვილისა . . . . . . . . . 363
შვლის ნუკრის ნამბობი, ვაჟაფშაველასი . . . . . . . . 368
მაგდანას ლურჯა, ეკ. გაბაშვილისა . . . . . . . . . . . 375
სოფელში გაბარება და ბედნიერი ბავშობა, აკაკისა . . . . . 383
ფითრი, მოთხრობა, თ. რაზიკაშვილისა, . . . . . . . . . . 387

**Uსტორიული მოთხრობანი**

მამასახლისების დრო . . . . 397
პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი . . . . . . . . 400
ვახტანგ გორგასლანი . . . . 401
წმიდა გუნდი ცამეტთა კაბადოკიელთა მამათა . . . . . . 404
არაბთა შემოსევა საქართველოში . . . . . . . . . . . 406
დიდი ღვაწლი „Uვერიის“ მონასტრისა და თორნიკე ერისთავისა . . . . . . . . . . . 408
იოანე და თორნიკე, ლექსი აკაკისა . . . . . . . . . . . 413
დავით აღმაშენებელი . . . . 415
დავით აღმაშენებლის ღვაწლი, ლექსი გ. ორბელიანისა . . 419
თამარ-მეფე . . . . . . . . . 420
თამარ-მეფე, ლექსი გ. ორბელიანისა— . . . . . . . . 427
თამარის ლაშქარი, ლექსი მისივე . . . , . . . . . . . —
შოთა რუსთაველი და სხვა მგოსნები თამარის დროსი . . . 428
თამარ-მეფე და რუსთაველი, ლექსი გ. ორბელიანისა . . . . 434
მონგოლთა შემოსევა საქართველოში . . . . . . . . . . 435
ქართველნი და მონგოლნი, ლექსი აკაკისი. . . . . . . . 438
დიმიტრი თავდადებული . . . 439
დიმიტრი მეფე და მღვდელთმთავარი, ლექსი ი. ჭავჭავაძისა 440
გიორგი ბრწყინვალე . . . . 441
ლანგ-თემურის შემოსევა საქართველოში . . . . . . . . . 443
დანაწილება საქართველოსი . 447
ვახტანგ მეექვსე . . . . . . 450
ერეკლე მეორე . . . . . . . 453
პატარა კახი, ლექსი გრ. ორბელიანისა . . . . . . . . . . . 463
რუსეთთან შეერთება . . . . 464

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავარი შეცდომები ბეჭდვისა.

| გვერდი. | სტრიქონი. | არის: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 263 | 2 ზეიდან | აკიცხულ | გაკიცხულ |
| 265 | 4 — | იხსენებს | იხსენიებს |
| — | 12 — | ამაყმობთ | ამაყობთ |
| 275 | 9 ქვეიდან | რომ | როს |
| 277 | 3 — | კაცს | კაცსა |
| 288 | 6 — | ახურვედეს. | ახურვებდეს. |
| 299 | 15 , | ჩვენს | ჩვენ |
| 309 | 2 ქვეიდან | ძალიაზ | ძალიან |
| 319 | 9 ქვეიდან | ანუ | ან |
| 324 | 10 ზეიდან | ძარს | ძირს |
| 328 | 5 — | ჩყენს | ჩვენს |
| 331 | 15 ქვეიდან | მებადე | მებადება |
| 363 | 13 ზეიდან | აბურძგვინინებდა | აბურძგვნინებდა |
| 366 | 11 ზეიდან | ამასი | ამისი |
| 388 | 5 ქვეიდან | კადევ | კიდევ |
| 394 | 15 — | ისე | ისა |
| 396 | 12 ქვეიდ. | ბოლოს და მთლად | ბოლოს დ̃ ბოლოს |
| 398 | 16 ზეიდ. | რომელიც | რომელსაც |
| 401 | 8 — | დამოკიდებულმა | დამოუკიდებელმა |
| 402 | 15 — | ამათ | — |
| 403 | 4 ქვეიდ. | იდგაო. | იდგა. |
| 405 | 15 ზეიდ. | კაპადოკია, რომელ-მაც | კაბადოკია, რომე-ლიც იდო სამხრე-თით საქართვე-ლოდან და რო-მელმაც |
| 406 | 14 — | ზედაზნელი შიო | ზედაზნელი,- შიო |
| — | 16 — | დავით საგარეჯოელი. | დავით გარეჯელი |
| 406 | 6 ქვეიდ. | არაბისტანის | არაბეთის |
| 419 | 13 ზეიდ. | სიყვარული | სიყვარულით |
| — | 2 ქვეიდ. | ფენიქრებრ | ფენიქსებრ |
| 422 | 9 — | ქართულის | ქართულს |
| 424 | 8 — | მოჰყავდა | მოჰყვა |
| — | 5 — | ვაქათ, | ვაჟი, |
| 428 | 1 — | შემოქმედისა | შემოქმედებისა |
| 432 | 1 ზეიდ, | ძბობა | ძმობა |

# მოთხრობანი.

## დილის მზის სხივები.

ბრწყინვალე მზემ ამოაშუქა და თავისი სხივები აქეთ-იქით გაჰფანტა მთელის ქვეყნის გასაღვიძებლად.



პირველი სხივი წამოვიდა და ტოროლას დაეცა. ტოროლამ დაიფრთხიალა და ბუდიდგან აფრინდა. მაღლა-მაღლა წავიდა ტრიალით და თავისი წკრიალა გალობა შესძახა მინდვრის და ველის გასამხიარულებლად.



მეორე სხივი პატარა კურდღლის ბაჭიას მოხვდა. ბაჭიამ მაშინვე თვალები სჭყიტა, ყურები აცქვიტა და მარდად წამოხტა ფეხზედ. მერმე კორდში იწყო ხტუნაობა და ნამიანს ბალახს ძოვნა დაუწყო საუზმედ.

მესამე სხივი საქათმეში ჩაეშვა. მამალმა თვალები გაახილა, ფრთები დაიქნია და დაიყვირა: ყიყლიყო! გამოღვიძებული ქათმები ქანდარიდგან ჩამოფრინდნენ და კაკანი მორთეს. მერე დაუწყეს ნაგავს ქექა და ჭიებს ძებნა.

მეოთხე სხივი სკაში შევარდა. ფუტკარი იმ წამსვე გამოძვრა ფიჭის ოთახიდან და ფანჯარაზე დაჯდა. ფრთები გაისწორა და ყვავილებისკენ ბზუილ-ბზუილით გასწია თაფლის მოსაგროვებლად.



მეხუთე სხივმა საბავშვო ოთახში შეაშუქა და პატარა ზარმაცის ლოგინზე დაეცა; მზის შუქი თვალებში უბჭყვრიალებდა მძინარე ბავშვს, თითქო ეუბნებაო, დროა ადგე, სხვებსავით საქმეს მოჰკიდო ხელიო. მაგრამ ის მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ხელ-მეორედ დაიძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიპატიჟება სასწავლებელში.

წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით სჩქაროზედ,
აბა თავი მოიყარეთ სწავლისათვის თავის დროზედ.
რა ხანია მამლაყინწამ იყივლა და გაათენა,
მერცხალმაც კი იჭიკჭიკა, გაგვაგონა ტკბილი ენა!
აგერ ტყემაც გაიღვიძა, შრიალებს, რაღასაც ხართბს,
კოდალა ხეს უკაკუნებს და ტოროლა ცაში გალობს.
მინდორი და ველი ჰყვავის, ნამი ბზინავს ათას ფერად;
მზემაც თვალი გააჭყიტა, ამოვიდა მათ სამზერად.
ჭინჭველები ველს მოედვნენ, თითქო რაღაც ჯოგიაო,
მოლადურიც გაიძახის მაღლა: „ბიჭო გოგიაო!“
ჭია-ღუაც სარჩოს ზიდავს, რომ გაავსოს თავის ბინა,
და ფუტკარიც მიზუზუნებს ყვავილისკენ თავლისთვინა.
კაცი, მხეცი და ჩიტები, ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა,
მეთევზეცა ბადეს ჰშლის და მუშაკი იქნევს ცელსა.
წამოდექით, ყმაწვილებო, თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი;
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს, წიგნს მოჰკიდეთ აბა ხელი.

რაფიელ ერისთავი.

---

## ყმაწვილები ჭალაში.

ერთს საამურს ზაფხულის დილას ორნი პატარა და-ძმანი სასწავლებელში წავიდნენ. წინ დაჰხვდათ მშვენიერი ჩრდილოვანი ჭალა. გზაზე მტვერი იდგა და ცხელოდა, ჭალაში კი წმინდა ჰაერი იყო და გრილოდა.

— იცი, რას გეტყვი? უთხრა ძმამ დასა,—სასწავლებელში მისვლას მოვესწრებით; ახლა იქ ყოფნა მოსაწყენია, ჭალაში სეირნობა კი ძალიან სასიამოვნოა. აბა ერთი ყური დაუგდე, ფრინველები რა რიგად ჭიკჭიკობენ და რა ლხინში არიან; გავიქცეთ იქ, დაო. დას თავის ძმის სიტყვა მოეწონა. ყმაწვილებმა წიგნები ბალახებში გადაყარეს, ერთმანეთს ხელიხელს ჩაჰკიდეს და ჭალაში შეცვივდნენ...

ჭალაში ყოფნა მართლა სასიამოვნო იყო. ფრინველები მარდად დახტოდნენ ხეებზე, მალ-მალე ერთი ბუჩქიდგან მეორეზე ფრინავდნენ, გალობდნენ და ჭიკჭიკობდნენ; ბუზებს და ჭიებს ბალახებში ფაცი-ფუცი გაჰქონდათ.

ყმაწვილებმა პირველად დაინახეს ყვითელი ჭია.—მოდი ერთი ჩვენთან ითამაშე, უთხრეს ჭიას ყმაწვილებმა.—დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, უპასუხა ჭიამ, მაგრამ მოცალება არა მაქვს; გაცხარებული დავცოცავ სადილის საშოვრად, რომ დღეს მშიერი არ დავრჩე.—შენ მაინც ითამაშე ჩვენთან, უთხრეს ყმაწვილებმა ყვითელსა და ბურძგლიანს ფუტკარს.—სათამაშოდ სადა მცალიან, თაფლი უნდა შევაგროვო, უპასუხა ფუტკარმა.—შენ მაინც არ ითამაშებ ჩვენთან? ჰკითხეს ყმაწვილებმა ჭიანჭველას. ბუდრუგუნა ჭიანჭველამ ყურიც არ ათხოვა, ის სამჯერ თავისზე დიდს ჩალას მიათრევდა და ოსტატურის სადგომის აშენებას ეჩქარებოდა. მაშინ ბავშვებმა



მიჰმართეს ციყვსა. მაგრამ მან თავისი ბეწვიანი კუდი გაიქნია და უთხრა, რომ საზამთროდ თხილი და კაკალი უნდა შევაგროვოო. მტრედმა უთხრა: მე ჩემი პატარა ხუნდებისათვის ბუდეს ვაშენებო. რუსკენ პირის მოსაბანად ცქვიტად მირბოდა კურდღლის ბაჭია და ჩვენს ყმაწვილებს ზედაც არ შეხედა. მარწყვის თეთრს ყვავილსაც არ ეცალა ჩვენი ბავშვებისათვის, იგი ეჩქარებოდა მშვენიერს დარსა და ცდილობდა ვადაზე მოემზადებინა თავისი წყლიანი და გემრიელი ნაყოფი.

## II

ყმაწვილები დაღონდნენ, რადგანაც ყველა საქმობდა და მათთან თამაშობა არავის უნდოდა; მერმე რუსკენ გაიქცნენ. ქვებზე მხიარულად მიჩანჩქარებდა წყლის ნაკადული, რომელსაც ზედ შუა ქალაზე დაექნა გზა. ყმაწვილებმა ნაკადულს მიაძახეს: „ეი, შენ რახრახავ, უთუოდ საქმე არა გაქვს რა,

მოდი ჩვენთან ითამაშე!“ ნაკადულმა გაჯავრებით ჩაიჩახჩახა: როგორ? მე საქმე არა მაქვს? აი, თქვე ზარმაცებო, თქვენა! აბა ერთი შემომხედეთ: დღე და ღამ ვმუშაობ და ერთ წუთას მოსვენება არა მაქვს: მინდორს ვრწყავ, ხალხს და ცხოველებს წყურვილს ვუკლავ, სარეცხსა ვრეცხ, ვაბრუნებ წისქვილის ბორბლებსა, ვატარებ ნავებსა და ვაქრობ გაძლიერებულ ცეცხლსა! ოჰ, მე იმდენი სამუშაო მაქვს, რომ თავს ბრუ მეხვევა, დაუმატა ნაკადულმა და ქვებზედ ისევ განუწყვეტელი ჩახჩხარი დაიწყო.

ყმაწვილები უფრო შეწუხდნენ. კიდევ აქეთ-იქით იარეს, მაგრამ ყური არავინ უგდო; ყველა საქმეში იყო გართული. დამძარებულმა ბავშვებმა სკოლაში წასვლა დააპირეს. მაგრამ ამ დროს ერთს მწვანე ტოტზე პატარა ჩიტი დაინახეს, რომელიც ძალიან მძიმედ იჯდა, თითქო უსაქმოაო და ფრიად სამურს გალობას უსტვენდა. „ჰეი, შენ, მხიარულო მგალობელო, დაუძახეს ჩიტს ყმაწვილებმა, შენ ეხლა, როგორც გეტყობა, სრულებით საქმე არა გაქვს რა,—მოდი ჩვენთან ითამაშე“—როგორ? ზამოუსტვინა გაჯავრებით ჩიტმა: მე უსაქმოდ ვარ? ზანა ის საქმე არ არის, რომ ჩემი პატარა ბარტყებისათვის მთელს დღეს კლოფებს ვიჭერდი? ისე დავიღალე, რომ ფრთების მაღლა აღება აღარ შემიძლიან და ახლაც კიდევ აგერ ჩემს პატარა შვილებს ნანას ვეუბნები. თქვენ რაღას აკეთებდით დღეს, პატარა ზარმაცებო? სასწავლებელში არ წახვედით, არა დაისწავლეთ რა, პალში ცუდად დახეტიალობთ და სხვასაც საქმის კეთებას უშლით! წადით, სჯობია, სადაც გაგზავნეს, და გახსოვდეთ, რომ დასვენება და თამაშობა მხოლოდ იმისთვის არის საამური, ვინც გაისარჯა და ყოველივე შეასრულა, რაც კი უნდა გაეკეთებინა.

ყმაწვილებს შერცხვათ და საჩქაროდ სასწავლებლისკენ გასწიეს. თუმცა გვიან მივიდნენ, მაგრამ სწავლა ბეჯითად იწყეს.

---

## დედის დარიგება.

მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე მომამზადეს,
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შორსა გზასა მე გამამგზავრეს.

მხედავდი მინდვრებს რო ვშორდებოდი,
ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.

მხოლოდ ეს მახსოვს, გამომყვა დედა
და მითხრა ტკბილად: „შვილო, ნუ სტირი;
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდგან ჭირი?

გიყვარდეს სწავლა, გულ-მოდგინება,
შრომა, ჯაფა ნუ დაგეზარება,
მუდამ გახსოვდეს, რომ შენი ცოდნა
შენსა ქვეყანას გამოადგება.

იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,
დიდი განძია სწავლის შეძენა;
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზედ უფრო,
გულით გიყვარდეს სამშობლო ენა.

მერწმუნე, შვილო, გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია“.

ამ სიტყვებითა დედაც მომშორდა,
და ეს მას აქეთ დამანახსოვდა,
რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა,
თვალიდგან ცრემლსა ფრქვევა გაჰქონდა.

ჰალადიდელი.

## კატო და ფრინველები.

### 1. კატოს ნაღველი.

ერთს ქალაქში სწავლობდა პატარა სოფლელი ქატო. პანსიონში ახალი ჩამოყვანილი იყო, ჯერ არ შესჩვეოდა უცხოობას და ამიტომ ძლიერ ნაღვლობდა. მალ-მალე იგონებდა სოფლის მწვანესა და მშვენიერს მინდვრებს, სადაც სირბილი და სეირნობა უყვარდა, იქაურს ბაღებს, სხვა-და-სხვა ხილით სავსეს, წყლების ჩხრიალს და შუილს, ფრინველების ჭიკჭიკს და გალობას. მალ-მალე იდგენდა თვალ-წინ თავისს დედ-მამას, ძმებს, დებს, ნათესავებს, იმათ ალერსს და ნაღვლიანს ფიქრს მიეცემოდა ხოლმე. ბევრჯელ ამხანაგი ქალები ჰკითხავდნენ: ქატო, რადა ხარ აგრე დაღონებული, რატო ჩვენსავით არა

თამაშობ და არა მხიარულობ? მაგრამ ქატო, პასუხის მაგიერ, ამოიოხრავდა ხოლმე.

ერთხელ დილით ქატოს ადრე გამოეღვიძა. მოაგონდა თავისი ქვეყანა, ნათესავები, საშინლად დალონდა და პატარა თვალებიდგან ცრემლები გადმოსცვივდა. ადგა, ტანისამოსი ჩაიცვა, ნაპირის ოთახში გამოვიდა და ფანჯარასთან თვალცრემლიანი დაჯდა.

მშვენიერი დილა იდგა. ის იყო მზე ამოსულიყო და მთების წვეროებისათვის მოწითალო შუქი მიეყენებინა. მზის სხივებით გამოღვიძებული ფრინველები მაღლა ცაში მხიარულად დაფრინავდნენ.

## 2. კატო, არწივი, ტოროლა და ბელურა ჩიტები.

უეცრად ფანჯრის ახლო ქატომ არწივი დაინახა, რომელიც მახლობელ მთიდგან ძირს დაშვებულიყო.

— არწივო, არწივო! დაჯექ ჩემს ფანჯარაზედ, ჩემის ქვეყნის ამბავი შემატყობინე და ლექსიც მიგალობე, საჩქაროდ გასძახა ქატომ.

— ვერა, ჩემო კარგო, უთხრა არწივმა: შენი ფანჯარა ჩემთვის პატარაა, ზედ ვერ მოვთავსდები, ვერც შენის ქვეყნის ამბავს გეტყვი, იმიტომ რომ ძირს მიწაზედ იშვიათად დავეშვები ხოლმე. ბუდეს ვაკეთებ მაღალს კლდეებში და ძველს მუხებზედ, რომ ბოროტი კაცები ვერ მომიდგნენ და ბუდე ვერ მომიშალონ. ლექსს ვერ გიგალობებ, იმიტომ რომ დაბლა არას დროს არ ვგალობ. მე წავალ ხოლმე ფრენით მაღლამაღლა და ჩემი ლექსები მარტო ბრწყინვალე მზეს ესმის. — სთქვა ესა და თავისი ღონიერი ფრთები მძლავრად შემოიქნია, ცაში ამპარტავნულად წავიდა და თვალს მიეფარა.

— ტოროლავ, ტოროლავ! მითხარ, რა ამბავია ჩემს ქვეყანაში, მიგალობე ლექსი! გასძახა ქატომ პატარა ქოჩორა ჩიტსა, რომელიც ფანჯრის ახლოს ტრიალებდა.

— სიამოვნებით აგისრულებდი სურვილს, უპასუხა ტოროლამ ქატოს, მაგრამ სოფლის ახლო ცხოვრება არ მიყვარს, ბინა მაქვს მინდვრად და ველად და ამიტომ შენის ქვეყნის ამბავს ვერ გეტყვი. ზალობაც ჯდომის დროს არ ვიცი; მე ვგალობ მაშინ, როდესაც ცაში მაღლა-მაღლა ავდივარ! ეხლაც ზევით მივეჩქარები, მინდა მაღლიდგან ზარივით გალობა დავძახო მინდვრებს და ყოველი სულდგმული გავაღვიძო, რომ ამომავალის მზის ყურებით ყველამ ისიამოვნოს. ეს რომ სთქვა ტოროლამ, დატრიალდა ჰაერში, ბროწიალით მაღლა-მაღლა წავიდა და თავისი მხიარული ლექსები შესძახა.

— ახ, ნეტავი მეც ტოროლად მაქცია ცოტა ხანს! რა მალე ვნახავდი ჩემს ქვეყანას, სთქვა ნაღვლიანმა ქატომ.— ამ დროს ფანჯრის პირდაპირ გამოჩნდნენ ჭყივილა ჩიტები (ბელურები).

— ჩიტებო, ჩიტებო! დასხედით ჩემს ფანჯარაზედ, ჩემის ქვეყნის ამბავი მითხარით, ლექსი მიგალობეთ.—ჭყივ, ჭყივ! არა გვცალიან: მეწისქვილეს გზაზე მარცვლები დაჰბნევია და ასაკენკად მივეჩქარებით.

### 3. კატო და ბულბული.

ქატო უფრო მეტად დაღონდა; მაგრამ უეცრად ლამაზმა პატარა ჩიტის ტოლა მოლურჯო ფრინველმა დაიფრთხიალა, რამდენჯერმე ქატოს პირდაპირ შემოტრიალდა და ფანჯარაზე დაჯდა.

— გამარჯობა, ბულბულო! გმადლობ, ჩემო ლამაზო, რომ ამ დროს მნახე, უთხრა გახარებულმა ქატომ. მითხარ, რა ამბავია ჩემს ქვეყანაში, შენი მშვენიერი გალობა გამაგონე.

— დიახ, მე გეტყვი შენის ქვეყნის ამბავსა, კარგს ლექსებს გიგალობებ.—სთქვა თუ არა ეს ბულბულმა, გალობა ისეთი ხმით იწყო, რომ ჩვენს ქატოს სიხარულით ცრემლები გადმოსცვივდა, თავი ფანჯარაზე მისდო და გულმოდგენით ყურს უგდებდა.

— გუშინ დილით, რიჟრაჟის დროს, გალობდა ბულბული, საამურად გრილოდა. თქვენ სახლთან მივფრინდი, პატარა ალუბლის ტოტზე ბალში შემოვჯექ და დიდ ხანს ტკბილად ვგალობდი. აკვანში შენს ქორფა ძმას ეძინა; იმან თავისი დიდი თვალები გაახილა, ჩემს ლექსებს ყური დაუგდო და სიამოვნების ნიშნად



აღუ-აღუს ამბობდა. დედა შენი ამ დროს გარედგან შემოვიდა, თავისს შვილს მიესაყვარლა და ჩაეკონა. მალე მთელი ჯალაბობა საუზმისთვის შეიკრიბა და სულ შენს ხსენებაში იყვნენ. შენს დედ-მამას და ნათესავებს ძლიერ უყვარხარ, დაუვიწყარი ჰყევხარ და შენს ნახვას ნატრობენ. ფიქრი ნუ გაქვს, იმათ ნახვას მოესწრები და ბევრჯელ ყელზე მოეხვევი. კარგად ისწავლი და კარგი ქალიც გამოხვალ. როცა სწავლას შეასრულებ, დედ-მამა სოფელში წაგიყვანს და იქ იცხოვრებ, აქაურობას სრულიად მოშორდები. მაშინ შენის ქვეყნის მინდვრები, ტყეები და ბაღები შენს ხელთ იქნება. შენს პატარა ძმებს და დებს ასწავლი, რომ ჭკვიანები გამოვიდნენ, უყვარდეთ თავისი ქვეყანა, თავისი სამშობლო ენა, ბოროტი სძულდეთ და კეთილს მისდევდნენ. მე მაშინ ზაფხულში თქვენს ბაღში მალ-მალე მოვფრინდები და დილა-საღამოთი ჩემს ზარივით სტვენას და გალობას აღარ მოგაკლებ.

გაათავა თუ არა ბულბულმა გალობა, დაიფრთხიალა და სასწავლებლის სახლს მიეფარა. ჩვენი დამშვიდებული ქატო ფანჯრიდგან ადგა, მეორე ოთახში გავიდა, თავისს ამხანაგებში შეერია და იმათთან მხიარულად დაიწყო სწავლა.

# განყოფილება პირველი.

## მცენარეები.

### სოფლის ცაცხვი.

ერთს სოფელში ცაცხვი იდგა; ძალიან დიდი ხნის ხე იყო, ესხა ბევრი ტოტები, ყლორტები და მრავალი ფოთოლი. ზაფხულში, როცა მთელს იმ სოფელში სიცხისლული იდგა, ამ ხის ქვეშ საამურად გრილოდა. აქ მოდიოდა ყველა სოფლელი, ვისაც კი დასვენება სურდა სიგრილეში. გლეხები სამუშაოდ დადიოდნენ მინდორში და სთესავდნენ ხორბალსა, სიმინდსა, დიკასა, შვრიასა და სხვა ქინახულს. საღამოზე სახლში მოდიოდნენ, სჭამდნენ ადრიანად ვახშამსა და შემდეგ გადიოდნენ ცაცხვს ქვეშ, სხდებოდნენ იქ და მოჰყვებოდნენ ლაპარაკს თავიანთ საქმეებზედ,—ლაპარაკობდნენ, თუ როგორ და სად უნდა იმუშავონ ხვალ. ცაცხვს მშვენიერი სასიამოვნო სუნი ასდიოდა და გლეხებს ძალიან უყვარდათ ამ ხის ქვეშ ლაპარაკი. პატარა ყმაწვილებიც ადიოდნენ ცაცხვზედ, ჰკრეფავდნენ ყვავილებსა, ახმობდნენ მზეზე და ინახავდნენ წამლად ავადმყოფობის დროსთვის.

დღისით კი ბავშვები ამ ცაცხვს ქვეშ ბურთაობას თამაშობდნენ; ურბენდნენ ხეს გარშემო და მხიარულადა მღეროდნენ. ფრინველებიც მიფრინდებოდნენ ხოლმე, შემოსხდებოდნენ ცაცხვზედ, უსტვენდნენ ტკბილ ხმაზე და ტოტებზე ბუდეებს აკეთებდნენ. მაგრამ ყველაზე მომეტებულად ცაცხვი ფუტკრებს უყვარდათ. როცა ყვავილს გამოიტანდა, ფუტკრები თაფლის მოსაგროვებლად იწყებდნენ ამ ხესთან მიფრენას. ერთი ყვავილიც არა რჩებოდა, რომელზედაც ფუტკარი არ დამჯდარიყო; ერთი ფუტკარი რომ მიფრინდებოდა, მეორე აფრინდებოდა, და უნდა იცოდეთ, რა გემრიელს თაფლს აკეთებნდნენ ფუტკრები ამ ყვავილების წვენისას!..

მრთხელ ამ სოფელში გაიმართა ბაზრობა. ახლო-მახლო სოფლებიდგან მოვიდნენ აქ მედუქნეები, ვაჭრები და ჰყიდდნენ ყველანი თავიანთ საქონლისა. ეს ყველაფერი ცაცხვის გარშემო იყო. თვითონ ცაცხვს კვეშ კი ჰყიდდნენ ყმაწვილების სათამაშოებს,—ბავშვები ყიდულობდნენ და ყველა მხიარულობაში იყო. ამ დროს სადამოთი ერთი ქორწილიც გადიხადეს ამ ცაცხვს ქვეშ. აქ ყველანი თამაშობდნენ, სჭამდნენ, სვამდნენ და მღეროდნენ. ეს ცაცხვი აქამდინაც ისევე სდგას იმ სოფელში. ის ყველას სიკეთეს უშვრება, ყველას ასიამოვნებს და ამიტომ ყველას უყვარს: ბავშვებსაც, დიდებსაც და აგრეთვე ცხოველებსაც, მეტადრე მოჭიკჭიკე ფრინველებსა.

---

## ხე როგორ იზრდება.

მინდორში ამოვიდა ერთი ხე. დედამიწა აძლევდა მას საჭმელს ფესვებით, სინათლეს და სითბოს ზევიდან ესროდა მზე, სასმელს უგზავნიდა ცის ღრუბელი. ამ სამს ძიძაში რამდენსამე წელიწადს არც ერთს არ უმტყუნნია ახლად გაჩენილის ხისათვის. ამიტომ ის კარგად წამოიზარდა.

მაგრამ შემდეგ კი უეცრად უმტყუნა ცის ღრუბელმა. მადგა საშინელი გვალვა. რამდენსამე თვეს ცას ნამი არ გაუღვინი. ჩვენი ახალგაზრდა ხე გვალვამ მოაკლო არა მარტო სასმელსა, ის დარჩა უსაჭმლოდაც. მიწა რომ გახმა, დასქდა და ბევრგან მოშორდა ხის ფესვებსა. ფესვები ვეღარ სწვდებოდნენ საჭმელსა, თუმცა ახლო ჰქონდათ. ზოგი ფესვები კი ისევე ეხებოდნენ მიწასა, მაგრამ რადგანაც ის ფაშარი და ხმელი იყო, მისგან საჭმელს ვეღარ სწოვდნენ. უსუსურს ბავშვს რომ ბევრიც ჰქონდეს გამხმარი პური უხვა, მაინც სიმშილით მოკვდება, თუ რძეში არ გაუხსნეს. სწორედ ეს უბედურება მოსდიოდა ჩვენს საწყალ ხესაცა. წყურვილმა და სიმშილმა საქმე გაუჭირვა: ფოთლები გაუყვითლდა, დაუჭკნა და ჩამოსცვივდა, კანი დაეღმიჭა, შტოებმაც ქენობა დაუწყო, დღე-

დღეზე მოელოდა თავისს სიკვდილსა და თითქმის სულმბრძოლი იდგა.

ბოლოს ცამ შეიცვალა სახე. ბარს მოიცვა ღრუბელი; ღრუბლიდგან დაასხა მსხვილმა და ხშირმა წვიმამ, რომელმაც გააცოცხლა მთელი ბუნება. ჩვენი ხეც მოცოცხლდა. ფოთლებით, ქერქით და ფესვებით იმდენი წყალი სვა, მინამ კარგად გაძღებოდა. ხის ძირის გარშემო მიწა დალბა, გაფუვდა და ფესვებს ისევ მაგრად მიეკრა. როგორც უსუსური ბავშვი მოეკიდება ხოლმე დედის ძუძუს, ისე ამ დამბალს მიწას მოეკიდნენ ფესვები და დაიწყეს წუწნა მიწის ნოყიერის წვენისა. ეს წვენი ხეში ზევით ადიოდა და რამდენადაც უფრო მაღლა მიდიოდა, იმდენად იცვლებოდა. რამდენსამე ადგილას რომ გაგვეჭრათ ხის ქერქი სხვა-და-სხვა სიმაღლეზედ, ნახავდით, რომ წვენს ყველგან ერთი გემო და თვისება არა ჰქონდა. ეს წვენი ზევით მიმდინარეობის დროს მთელს ხეში როდი იყო მოდებული; მისი გზა ქერქს ქვეშ მდებარე კანი იყო და წვენი არ ეხებოდა არც თვითონ ხეს, არც ქერქსა. მანამ ფოთლებამდინ არ ავიდოდა, წვენი არვარგოდა ხისათვის საზრდოდ; მხოლოდ ფოთლები სცვლიდნენ ამ წვენს ისე, რომ ხდიდნენ სასარგებლო საჭმელად ხისათვის. მაშასადამე, ფოთლებს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონიათ ხისათვის, როგორც კუჭს კაცისათვის. ამიტომ ფოთლები რომ სულ გაგეყრევინებინათ, ხე უთუოდ გახმებოდა. შემზადებული წვენი ფოთლებიდან უკანვე ბრუნდებოდა, მაგრამ სრულიად სხვა გზითა. ის ჩამოჰყვებოდა ხოლმე ქერქის შიგნითა პირსა და ზრდიდა ხესა. ამ შეზავებული წვენიდგან კეთდებოდა ხის ახალ-ახალი პირი, რის გამოც ხეს თანდათან ემატებოდა სისქე და სიმაღლე, მინამ მთლად არ დასრულდა.

---

## ბ ა მ ბ ა.

საქართველოში ბამბა მარტო იმერეთის მხარეში მოდის. ქართლისა და კახეთის სიცივეს ბამბა ადვილად ვერ იტანს, ამიტომ აქ იშვიათად სთესავენ. საზოგადოდ ბამბას თბილ-

ადგილი უყვარს. სთესავენ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჰკრეფენ. ბამბა სიმაღლით თითქმის ერთის ადლის ოდენა იზრდება. რაც უფრო მეტი ტოტები აქვს, მიმდენად უფრო



ბევრს პარკს ისხამს. ბამბის პარკი დიდი კაკლის ტოლაა. როცა პარკი დამწიფდება, პირს იზამს და ამ პირიდგან ბამბა თეთრი თოვლივით საამურად გადმოიშლება. ყველა პარკები ერთს დროს როდი მწიფდება: ჯერ ქვედა ტოტებისა, მერე ზედა ტოტების პარკები დამწიფდება ხოლმე. ამიტომ ბამბის მოკრეფა ერთს დროს არ შეიძლება. ჯერ ქვეითა დამწიფებულს პარკებს მოჰკრეფენ ხოლმე და მერე ზევითებს. პარკის შუაგულში თესლია გამოხვეული. ამ თესლს ჩიხრიხით აშორებენ.

თესლის მოშორების შემდეგ ბამბა გასასყიდად ქალაქებში მიაქვთ. ბამბას ზოგს ისე პირდაპირ ხმარობენ, ქვეშ უდებენ საბნებს, ახალუხს და სხვა ტანისამოსს. მაგრამ უმეტესად კი ძაფად ართვენ. ძაფს ზოგს საკერავისთვის ხმარობენ, ზოგს წინდებისათვის; უფრო კი ძაფიდგან ჰქსოვენ სხვა-და-სხვა ბამბეულსა: ჩითსა, მიტკალსა, ამერიკასა და სხვებსა. თითქმის ნახევარი ტანისამოსი ბამბისა კეთდება. ძნელად იქნება კაცი, რომ ტანზე ბამბისა არაფერი ეცვას. ასე სასარგებლოა ბამბა კაცისათვის! .

---

## პურის მოსავალი.

ბიჭო, პური შემოსულა, ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად!
უფლის თვალი შიგ ტრიალებს, მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!..
შიგ ნუ ჩავწვამთ, ცოდვა არის, ნუ გავხდებით ჩვენ ღვთის მტერად,

ნამგლებს პირი გავულესოთ, გადავიქცეთ მთლად სიმღერად.
მოიმკო და გაილეწა... დაილოცა შენი ხვავი!
მარცვალი ჰგავს შინდის კურკას. სათესლე და დასაფქვავი
ყველას ეყვის: ჯარს, ჯამაათს, ეკურთხება მკვდარს საფლავი,
ჯალაბობაც გამოძღება,—არ მოგიკვდეს ჩემი თავი...

რ. ერისთავი.

---

## შაქრის ლერწამი.

შაქრის ლერწამს იმიტომ ეძახიან, რომ იმის წვენიდგან შაქარს აკეთებენ. ჩვენს უბრალო ლერწამს ძლიერა ჰგავს, ამასავით ბევრი მუხლები აქვს, ამასავით ჭაობი ადგილი უყვარს;



ამიტომ ჭაობიანს და სველს ადგილებში სთესვენ. შაქრის ლერწამი იზრდება ორის ადლის სიმაღლეზედ, ზედ ასხია გრძელი და ვიწრო ფოთლები, თეთრი ზოლებით აჭრელებული, თავზედ აბია გრძელი ცოცხივით თავთავი, რომელზედაც აბრეშუმის მსგავსი ფოჩი ჰკიდია. შაქრის ლერწმით დათესილი მინდორი

აყვავების დროს მშვენიერი სანახავია, მეტადრე როცა ოქროს ფერს ღეროებს ქარი არხევს და ვერცხლივით თეთრს თავთავებს აფრიალებს.

შაქრის ლერწამი დარგვით მოჰყავთ. მოხნულს მიწას ჰფარცხავენ, მერმე ახლო-ახლო ჰკვალავენ, კვლების ჩაყოლებაზე ლერწმის პატარა ყლორტებს სიგრძეზე ჰფლავენ და მიწას აყრიან. ორს კვირას უკან ლერწმის ყველა მუხლიდან ამოჰყოფს ხოლმე თავსა პატარა ყლორტი. თოთხმეტი თვე მეტი უნდა, რომ ლერწამმა მოსავალი მოიყვანოს. ერთხელ დარგვა რამდენსამე წელს კმარა, იმიტომ რომ მოჭრილის ლერწმის ფესვებიდგან ყოველს წელიწადს ახალი ყლორტები ამოდის. თუ მიწა დასვენებულია, ერთი დარგვით პატრონს ოცს მოსავალს მეტს მოუყვანს. აყვავების დროს უფრო ბევრი ტკბილი წვენი სდგას შაქრის ლერწამში; ამიტომ სწორედ ამ დროს დასჩხვლეტენ ხოლმე ლერწამსა და ამ ნაჩხვლეტებიდგან გადმომდინარე წვენს აგროვებენ ჭურჭელში, მერე ქვაბებში დიდ ხანს ადუღებენ, რამდენჯერმე ერთი ქვაბიდგან მეორეში გადაასხამენ და ბოლოს ძირს რჩება წმინდა ფხვიერი შაქარი. რვა გირვანქა წვენიდგან ერთი გირვანქა წმინდა შაქარი გამოდის. ეს ფხვიერი შაქარი ქარხანაში მიაქვთ და იქ ყალიბში შაქრის თავები გამოდის. შაქარს ჭარხლისასაც აკეთებენ, უფრო საფრანგეთსა და რუსეთში.

---

## ბ რ ი ნ ჯ ი.

ბრინჯი ჰაობის მცენარეა და ჩვენს შვრიას ჰგავს. ღერო ორის არშინის სიმაღლე ეზრდება და ზედ ასხია გრძელი და ვიწრო ფოთოლი, ზემოდ აბია მოზრდილი და ცოცხივით გაშლილი თავთავი. სხვა-და-სხვა ქვეყნებში ბრინჯი გავრცელდა ინდოეთიდგან, სადაც ეხლაც ხარობს გარეული ბრინჯი. ზოგან საქართველოში ბრინჯის თესვა ჩვეულებად აქვთ და კარგი ბრინჯიც მოდის. ამ ბოლოს ხანში იმერეთის მხარეშიაც აქაიქ შემოიღეს ამ მცენარის თესვა.

ქვეყანაზედ იმდენი ბრინჯი ითესება, რომ თითქმის ნახევარი კაცობრიობა იმის მარცვლითა სცხოვრობს. ბრინჯს, როგორც



ჭაობის მცენარეს, ნოტიო ადგილი უყვარს; ამიტომ სთესვენ ან გაუწმენდილს ჭაობებში, ან იმისთანა მინდვრებში, რომელთაც წყალ-დიდობის დროს მდინარეები წალეკავს ხოლმე და მიწას ხანგრძლივს სისველეს აძლევს. Cხელს ქვეყნებში, როცა ბრინჯის ჯეჯილი თავს ამოჰყოფს, იმავე მიწაში მეორედ დასთესვენ ხოლმე ბრინჯსა; ეს იმისთვის, რომ პირველი მოსავლის მომკის შემდეგ იმავე წელიწადში მეორე მოსავალიც მოუვიდეთ. პირველი ნათესი მეორე ნათესს გაზრდას უშლის; მაგრამ მერე კი, როცა ოთხს თვეს უკან პირველს მოსავალს მოაშორებენ, მეორე ნათესი ტანს ჩქარა აიყრის ხოლმე.

ბრინჯს წვერში მოკლედ მკიან, მერე ძნებად ჰკვრენ, მზეზედ ახმობენ და ფარდულებში ინახვენ. Თბილსა და წყლიანს ქვეყნებში დიდი მოსავალი იცის; ერთი მარცვალი ასიდგან ოთხასამდინ მარცვალს მოიბამს. რაც უნდა მცირე მოსავალი იყოს, ერთი კოდი ბრინჯი ოცს კოდს მაინც მოიყვანს; თუ კარგი მოსავალია, კოდზე სამოცი კოდი მოდის. მაგრამ ბრინჯის მოვლა და მოყვანა სიმრთელისათვის ძლიერ მავნებელია. სადაც ბრინჯი ითესება, იქ ჭაობისაგან ჩნდება სხვა-და-სხვა გვარი ციება, რითაც ბევრი მხვნელ-მთესველი იხოცება. ბრინჯი ისეთი ნოყიერი არ არის, როგორც სხვა ჩვენი საპურე მცენარეები. Ამის მაგივრად ის ძლიერ იაფია. Kარგის მოსავლის დროს თბილს ქვეყნებში ერთ კაპეიკად სამს გირვანქა ბრინჯს იყიდი. Ეს არის მხოლოდ ცუდი, რომ ბრინჯი პურად ვერ გამოცხვე-



FS 5805

ბა: წმინდა წყალში ჰხარშვენ და ისე ხმარობენ. ბრინჯის ფლავი ჩვენშიაც განთქმულია.

---

## ყ ვ ა ვ ი ლ ი.

ყვავილი მხმარი, სუნ-მილებული
წიგნს იდვა სრულად დავიწყებული;
მისმა დანახვამ სწრაფად ამივსო
მიმოგონებით გული ვნებული.
ნეტავ ეს ვარდი სად ყვავებულა,
დიდ-ხანსა შლილა, როდის მოსთლილა

უცხოს, თუ მცნობის ვისიმე ხელით,
და რას მიზეზით აქ შთადებულა?
ნეტავ არიან სადმე ცოცხალნი
ამის მომწყვეტი კაცი და ქალი?
თუ გლახ ისინიც ესრეთვე მჭკნარან,
როგორც ეს ვარდი არის მიმქრალი?

ნ. ბარათაშვილი.

---

## ჩ ა ი ს მ ც ე ნ ა რ ე.

ჩაის მცენარეს იმიტომ ეძახიან, რომ მისი ფოთლებიდგან ჩაის აკეთებენ. ჩაის მცენარე უფრო ბუჩქსა ჰგავს, ვიდრე ხესა; ძირშივე გაიყოფება რამდენიმე ტოტად, და ეს ტოტები სამი საჟენის სიმაღლე იზრდება. მაგრამ ტოტებს შესჭრიან ხოლმე და ორს არშინზე მაღლა არა ზრდიან; ეს იმიტომ, რომ ჩაის ფოთლების მოკრეფა არ გაუძნელდეთ. თავიდგან ბოლომდინ ჩაის ტოტები შეიმოსება ხოლმე მოგრძო ფოთლებით, რომელნიც ჯერ ბუმბულსა ჰგვანან, მერე კი ტყავის მსგავსნი შეიქნებიან და ბრწყინავენ. ფოთლებს და ყლორტებს შუა მცენარე გამოიტანს ხოლმე თეთრს და უსუნო ყვავილს, რომელიც შემდეგ ნაყოფად გარდაიქცევა. ჩაის ბუჩქი იპოვება ბევრს თბილს ქვეყნებში, მაგრამ მარტო ჩინეთში ხარობს ჩინებულის ჯიშისა და მხოლოდ ამ ქვეყანაში მოჰყავთ დიდ-ძალი ჩაი. ჩაის სთესავენ კვერნაკებზედ, მზის გულისაკენ, მდინარეებისა და რუების მახლობლად.

ჩაის ფოთლებს წელიწადში სამჯერ ჰკრეფენ: მარტში, მაისში და აგვისტოში. რაც ფოთოლი უფრო ნორჩია, იმდენად ჩაი კარგია; რამდენადაც უფრო დიდი ხნისაა, იმდენად ჩაი მდარეა. პირველად მოკრეფილის ფოთლებისა უკეთესი ჩაი გამოდის, იმიტომ რომ ეს ჩაი ნორჩის, ახალის ფოთლებისაგან

შესდგება. მეორედ და მესამედ დაკრეფილის ფოთლების ჩაი უფრო მდარე გამოდის და ამიტომ იაფად იყიდება. ყვითელი, მწვანე და შავის ფერის ჩაი ერთსა და იმავე ბუჩქზედ იკრიფება და სხვა-და-სხვა ფერი იმიტომ აქვს, რომ ერთნაირად არ ამზადებენ.



ეს მომზადება მარტო ჩინელებმა იციან და არ უნდათ უცხო ქვეყნელებს ასწავლონ. მოკრეფილს ფოთლებს დააწყობენ დიდს რკინის ტაფაზედ, რომელსაც ქვემოდგან ცეცხლი უკეთია და ხურდება, თან ფოთლებს ერთის გვერდიდგან მეორეზედ აბრუნებენ. როცა ფოთლებიდგან ქენქი გამოვა, მაშინ დაფნის წმინდა ჭილობზე გაშლიან და ხელის გულით აგორებენ. ფოთლები რომ გაცივდება, ისევ ხელ-ახლად ტაფაში ჩაჰყრიან; მერმე კიდევ ხელით აგორებენ. ამას რამდენჯერმე გაიმეორებენ, სანამ ფოთლები არ გახმება. გამხმარი ფოთოლი არის ის ჩაი, რომელსაც სასმელად ვხმარობთ. სამი გირვანქა ნედლი ფოთლიდგან ერთი გირვანქა გამხმარი ჩაი დგება.

---

## ყავის ხე.

ყავის ხე იმიტომ ჰქვიან, რომ იმის კურკიდგან ყავა მზადდება. ყავის ხე სიმაღლით ხუთი საჟენი იზრდება, სიგანით ოთხი გოჯი. აქვს ბევრი ტოტები, რომლებიც მოგრძო და მწვანე ფოთლებით შემოსილია. ფოთლების ძირში ხე გამოიფოთქს

ხოლმე ჯგუფ-ჯგუფად პატარას, თეთრსა და სუნელოვანს ყვავილსა. თუმცა ეს სუნელოვანი ყვავილი სამ-ოთხს დღეს მეტს ვერა სძლებს, მაგრამ ხე თითქმის მთელს წელიწადს ჰყვავის; ეს ხდება იმიტომ, რომ, როცა ერთს ტოტს ყვავილი სცვივა და ნაყოფი ისხება, ამ დროს სხვა ტოტებზედ ახალი ყვავილი იშლება. ყავის



ხე მოისხამს ხოლმე მუქ-წითელ ნაყოფს, რომელიც ალუბალს ძლიერა ჰგავს. ყველა ნაყოფში ორი რბილი კურკაა. აი სწორედ ეს კურკები არის ყავა. რადგანაც მთელი ხე ერთს დროს არა ჰყვავის და მწიფდება, ამიტომ ყავას ერთბაშად არა ჰკრეფენ: ჯერ დაჰკრეფენ ხოლმე იმ ტოტებს, რომელზედაც ნაყოფი ადრე მწიფდება, მერმე სხვებს, დამწიფების რიგზედ. კურკებს ნაყოფის გულიდგან იღებენ, მზეზე შლიან და ახმობენ. გამხმარს კურკებს ნაყავენ და ხარშავენ სასმელად. ცხელს ქვეყნებში ახლა ყავა ყველგან მოჰყავთ ამ გვარად: კურკებს სთესვენ და, როცა ყლორტები ამოვა და ნახევარ არშინის ოდენა გაიზრდება, მაშინ გადარგვენ. გადარგვის შემდეგ რომ ორი წელიწადი გავა, ხე ნაყოფს აქა-იქ მოისხამს, ოთხ წელს უკან კი მთლად დაიკუნწლება. ცხელი ქვეყნების ხალხი ყავას დიდი ხანია ხმარობს; ჩვენს ქვეყანაშიაც კარგა ხანია, რაც ყავის სმა შემოიღეს. ყავის სამშობლო ადგილი არის არაბეთი.

არავინ იცის, პირველად ვინ მოიგონა ყავის ხმარება. ამაზედ არაბებს მოკონილი აქვთ შემდეგი არაკი. იმათი სიტ-

ქვით, ერთს მეცხვარეს ერთი მთა თურმე საძოვრად ჰქონდა დაჩემებული. ამ მთის წვერზედ, სხვათა შორის, ერთი ბუჩქი იდგა. თხები მალ-მალე ეტანებოდნენ ამ ბუჩქსა და ფოთლებს ჰკორტნიდნენ. ამის შემდეგ საკვირვლად გაყოჩაღდებოდნენ ხოლმე: მხიარულად ხტოდნენ, არ იღლებოდნენ და დასასვენებლადაც არა წვებოდნენ. მეცხვარემ ეს შეამჩნია, ადგა და თვითონაც ამ ბუჩქის ფოთლები სჭამა. მეცხვარესაც სიმარდე მოემატა. ეს ცხვრის ფარა ღვთის მოყვარე მეუდაბნოეებისა იყო, და მეცხვარემ ურჩია მათ ეჭამათ იმ ბუჩქის ფოთლები, როცა სიფხიზლე და ლოცვა ჰსურდათ. მეუდაბნოეებმა ამ ბუჩქის ფოთლები მართლა სჭამეს და იგრძნეს ისეთივე მოქმედება მისი, როგორიც უწინ თხებმა და მეცხვარემ. მერმე მოხალულის ნაყოფის წვენის სმაც სცადეს; ნაყოფის წვენმა უფრო გააყოჩალა და მომეტებული სიფხიზლე მისცა. ამის შემდეგ მეუდაბნოენი დაეჩვივნენ ყავის ხმარებას, და მათგან ყავის კეთება სხვებმაც ისწავლეს.

---

## ქინაქინის ხე.

ბავშვებს და დიდებსაც ციება ძალიან ემტერება. შენი მტერი იყოს, რაც ისინი წვალებაში იქნებოდნენ, თუ ამ ავადმყოფობას უებარი წამალი არა ჰქონდეს. ეს წამალი არის მწარე ქინაქინა. ვინ მოსთვლის, რამდენი ყმაწვილი მოურჩენია ციებისაგან და ახლაც არჩენს. დიახ, ერთგული მეგობარია ბავშვებისა ქინაქინა და დიდ სიკეთეს უშვრება მათ. მაგრამ ისინი კი ხეირიანად არ იცნობენ თავისს კეთილის-მყოფელსა. არ იციან, რა არის ქინაქინა, სად იშოვება და როგორ ჩნდება ჩვენს აფთიაქებში ეს დაუფასებელი ნივთიერება. ამიტომ მე მინდა მოვუთხრო მათ ქინაქინის ამბავი.

შორს, ძალიან შორს, არის ერთი მცენარეებით მეტად მდიდარი ქვეყანა — ამერიკა *). ამ ქვეყანას მისდევს თავიდ-

---

*) საქართველოდგან რომ პირდაპირ დასავლეთისკენ წახვიდე, ჯერ შავს ზღვას მიადგები; როცა ცეცხლის გემით ხუთი დღის მოგზაურობის

გან ბოლომდინ ძალიან გრძელი მთების ქედი. ეს მთები არიან შემოსილნი დიდი და თითქმის შეუვალი ტყითა. სწორედ აქ, ამ ტყეებშია სამშობლო ქინაქინის ხისა. თუმცა ეს ხე ოქროზედაც ძვირფასია, არამც თუ სხვა ხეებზედ, მაგრამ შეხედულობით ბევრს ხეზე ნაკლებია. მას აქვს სწორე და მოყვანილი ტანი, რომელიც სამ-ოთხის კაცის სიმაღლეზედ ადის, სისქით კი ნახევარ არშინზედაც ნაკლებია. ხინაზე დიდი სჭირს. ქინაქინას არ უყვარს სიცივე, მაგრამ დიდი სიცხისაც ეშინიან; სწყენს სინოტიე, მაგრამ არც მეტად ხმელი ჰაერის ატანა შეუძლიან. ამიტომ ეს უძვირფასესი ხე ხარობს მხოლოდ ერთს განსაზღვრულს ადგილასა. ეს ადგილი სძევს მთების შუა წელზედ, სადაც შავი ღრუბლები მხოლოდ ხანდახან გადახურავენ ხოლმე თავს ნისლის საბანსა. სხვაგან სადმე დარგვა და ხარება ქინაქინისა ძალიან ძნელია.

ამ ცხელს ქვეყანაში თებერვლიდან დაწყობილი მაისამდინ ყოველ დღე მოდის ისეთი მსხვილი წვიმა, რომ გეგონება კოკებით საგანგებოდ ასხმენ ზევიდგან წყალსაო. მხოლოდ მაისში გადაიღებს ხოლმე წვიმას და შეჩერდება ქარიშხალი. სწორედ ამ დროს ევროპიელი ვაჭარი რამდენსამე ამერიკელს მუშას ქირაობს და გზავნის დაბურულს ტყეებში ქინაქინის ქერქის მოსაკრეფად. ქინაქინის მიგნება ადვილი არ არის, იმიტომ რომ ეს პატარა ხე მხოლოდ აქა-იქ ხარობს დაბურულს ტყეში, რომელიც სავსეა მრავალი სხვა უზარმაზარი ხეებითა. ამიტომ ამერიკელი მუშები, მივლენ თუ არა დანიშნულს ტყეში, მაშინვე დაუწყებენ ხოლმე სინჯვას და თვალიერებას გარშემო

---

შემდეგ გახვალ ამ ზღვის იქითა, დასავლეთის ნაპირსა, ევროპა დაგხვდება წინ; ექვსის დღის სიარული მოგინდება რკინის გზით, რომ ევროპის დასავლეთის საზღვრამდინ მიხვიდე. ამ საზღვარს გარს უვლის ერთი ვეებერთელა ზღვა, რომელსაც სიდიდის გამო ოკეანეს (ატლანტიისას) ეძახიან. ცეცხლის გემში რომ ჩაჯდე და მთელი ორი კვირა დღე-ღამე იარო ამ ოკეანეში სულ დასავლეთისკენ, ბოლოს მიადგები ერთს მეტად გრძელს ხმელეთსა, რომელსაც ამერიკა ჰქვიან.

ადგილებსა. ერთი იმათგანი ირჩევს ყველაზე მაღალს ხესა, ადის მის წვერამდინ, იქიდგან იცქირება აქეთ-იქით და ეძებს ქინაქინის ხესა. ქინაქინას ისეთი წითლად მბზინავი ფოთლები ასხია, რომ ადამიანი მას შორიდგანაც იცნობს ათასს ხეში. დაინახავს თუ არა ამ წითლად მბზინავს ფოთლებსა, ხეზედ ასული თავისს ამხანაგებს ანიშნებს, თუ საითკენ უნდა წავიდნენ ქინაქინის მისაგნებლად. როცა მიაგნებენ იმ ადგილსა, სადაც ქინაქინის ხეები ბლომად არის ამოსული, მაშინ ამერიკელები იქვე იკეთებენ ხის ქოხსა ღამის გასათევად და მოკრეფილის ქერქის შესანახად. ერთი მათგანი რჩება ქოხში საჭმლის გასაკეთებლად და ხორაგის შესანახავად, სხვანი კი ამ დროს აძრობენ ქინაქინას ქერქსა. ქერქის აძრობის დროს მეტად უგუნურად იქცევიან: სჭრიან მთელს ხესა, აძრობენ ტყავსა ღეროზე და ტოტებზე და სრულიად არა ზრუნავენ, რომ მოჭრილის ხის მაგივრად ახალი ხე ამოვიდეს. აძრობილი ქერქი მიაქვთ ტომრებით შინ თავისს მოქირავნე ვაჭართან, რომელიც ანაყვინებს ამ ქერქსა და პარაშოკად, ფხვნილად აქცევინებს. ვაჭრისაგან ქინაქინას ყიდულობენ აფთიაქების პატრონები, რომელნიც მეტად ძვირად ჰყიდიან ამ ციების უებარს წამალსა.

წინად ქინაქინა მეტად ძვირი იყო, რადგანაც მარტო ამერიკაში ხარობდა. ახლა კი გაიაფდა იმის გამო, რომ სხვა ქვეყნებშიაც მოახერხეს მისი დარგვა და ხარება.

---

## ფუჭი კაკალი.

კოტეს წინ ედგა ერთი ჯამი კაკალი და შეექცეოდა. კაკლების მტვრევაში ბევრი ჯაფა მოსდიოდა მის დანასა. ამიტომ ბავშვი ხანდახან აშველებდა ჩაქუჩსაცა. ეს საკვირველი არ არის: კაკლის ნაჭუჭი, რომელშიაც გემრიელი გული ძევს, მეტად მაგარია. კაკლების მტვრევა კოტეს ხან ჩაქუჩითაც უძნელდებოდა, ჯავრი მოსდიოდა და ამბობდა: რა იქნებოდა, რომ კაკლებს ასეთი მაგარი ნაჭუჭი არა ჰქონოდათ.

ბოლოს კაკლები თითქმის სულ გაასალა. ჯამში დარჩა მხოლოდ ერთი-ღა კაკალი. ეს კოტეს ყველაზე გემრიელი ეგონა, — უკანასკნელი ლუკმა ხომ ყოველთვის ტკბილია. აიღო კოტემ ხელში დანა, გადახლიჩა ნაჭუჭი და ხელი მიატანა გემრიელს გულსა. მაგრამ, უი! კაკალი ფუჭი გამოდგა; შიგ მუქი ნაცრის ფერი ფქვილის მეტი არაფერი იყო. ჭიას შეეჭამა კაკლის გული. როგორ მოხდა ეს? როგორ შეიძლო სუსტმა და მთლად რბილმა ჭიამ კაკლის მაგარი ნაჭუჭის გახვრეტა და შიგ მის გულში შეძრომა? მოისმინეთ, და ეხლავე გეტყვით ამის ამბავსა.

ყველა კაკალი ერთს დროს არა მწიფდება. ზოგს უფრო ადრე უმაგრდება ნაჭუჭი, ზოგს კი უფრო გვიან. ზაფხულის ერთს მოწმენდილს დღეში კაკლის ხეზე ცოცვით დასეირნობდა პატარა ბუზი, ყვითელ-ნაცარა ფერისა, რომელსაც ტანზედ ეყარა მუქი წინწკლები. ეს ბუზი ისეთი პატარაა, რომ თქვენი ნეკის ფრჩხილი დიდია იმაზედ. თავი მას გასაოცარი აქვს: მისი წინა ნაწილი დაგრძელებულია და გრძელს დინგსა ჰგავს. ეს დინგი ისეთი წვრილია, როგორც ნაზი თმა, და ისეთი გრძელი, რომ ტანის ნახევარს შეადგენს. ამასთან ის ქვემოდგან მოკაუჭებულია. დინგის ბოლოს ამ ბუზს აქვს პირი, რომელშიაც უსხედან ისეთი წვრილი კბილები, რომ თვალითაც კი არა სჩანან. ეს ბუზი მეტად მზრუნველი და მოსიყვარულე დედაა: ის თავისი შვილებისათვის ირჩევს მყუდრო და უშიშარს ადგილსა, რომელსაც არც ქარი და არც წვიმა არ მიუდგება და სადაც საჭმელი მზად ექნებათ მის ბაღლებსა.

კაკლის ხეზე სეირნობის დროს ჩვენი ბუზი მიადგა კაკლების კუნწულასა და ყურადღებით გასინჯა. რომელ კაკლებსაც ნაჭუჭი გამაგრებოდათ, ისინი არ ეპიტნავა. ეს ბუზი ამჯობინებს ხოლმე უნდილ წენგოიანს კაკლებსა. როცა ამ გვარი კაკალი იპოვნა, ბუზი გაჩერდა და შეუდგა მუშაობასა. თავისი ერთი ნამცეცა კბილებით თხარა კაკალი და გააკეთა წენგოსა და მერე ნაჭუჭში პატარა ნახვრეტი, ჩასდო შიგ თავისი კვერცხი და ცხვირით ჩასტენა კაკლის გულში, რომელიც

ჯერ კიდევ წყალივით თხელი იყო. ნახვრეტი კაკლის ნაჭუჭისა მალე ამოივსო. იმ ადგილს, საცა ეს ნახვრეტი გააკეთა, დარჩა მარტოკა ოდნავ შესამჩნევი მოშავო წერტილი.

რამდენსამე დღეს უკან კაკალში ბუზის კვერცხიდგან გამოძვრა ერთი ნამცეცა თეთრი მატლი. ამ მატლს სიარული და სირბილი არ მოუნდებოდა, ამიტომაც მას ფეხები არა ჰქონდა. ეს შეექცეოდა კაკლის გემრიელს გულს და თანდათან იზრდებოდა. მაგრამ გამოზოგვით კი უნდა ეჭამა გული, თორემ გაზრდამდინ არ ეყოფოდა, უსაჭმლოდ დარჩებოდა და სიმშილით სული ამოსძვრებოდა კაკალშივე.

მაშ ის როგორღა ხდება, რომ კაკლის გულში მკვდარს ჭიებს ვნახავთ ხოლმე? — ზოგიერთა მატლებმა საჭმლის დაზოგვა არ იციან, გაზრდამდინ შესჭამენ ხოლმე კაკლის მთელს გულსა და მერე სიმშილით იხოცებიან. ხან ისიც მოხდება ხოლმე, რომ მატლი დიდი ჯიშისაა და კაკალი კი იმდენად პატარაა, რომ მატლს არა ჰყოფნის გაზრდამდის, თუნდა დიდი დაზოგვითაც სჭამოს. ამ შემთხვევაშიაც მატლის სიმშილისაგან სიკვდილი აუცილებელია.

ორის კვირის შემდეგ მატლი გაიზარდა. იმან იგრძნო ვიწროობა თავისს ბნელს ოთახში და მოინდომა გამოსვლა იქიდგან სინათლეზედ. ამიტომ სცდილობდა გამოეკვლია გზა იმ უწინდელი ნაპრალიდგან, რომელიც იმისმა დედამ ჩახვრიტა. ბევრის ცდის შემდეგ მატლი ამოცოცდა კაკლიდგან, ჩამოვარდა და ძირს მიწაზე დაეცა. მაგრამ ამ ჩამოვარდნამ იმას არაფერი ავნო. ის მაშინვე მიწაში ჩაძვრა. აქ ის დარჩა დიდ ხანს, თითქმის მთელი წელიწადი. ამის შემდეგ იქ გადაიქცა პატარა ბუზად და ზაფხულში ამოვიდა ზევით სინათლეზედ. მიწიდგან მატლი სცდილობდა კაკლის ხეზედ ასულიყო და თავისი დედასავით კაკლებში ჩაედო კვერცხები.

## ხ ი ლ თ ა ქ ე ბ ა.

მარწყვმა სთქვა: მოვალ პირველად, მე ვერა მისწრობს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელად ტკბილია,

წინად მომისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილია,
მისგან სჩივიან ყველანი, გჳმეთ, მოგვკვეთა კბილია.
ტყემალმა უთხრა: შეგარცხვენს, მარწყვო, ეგ საუბარია,
უარესი ხარ ყოველთა, არა ხილთა რა დარია;
თავს მოგჭამენ ჭიანი, ძირი გაქვს მეტად მწარეა,
უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არცღა რა სანუკარია.
ბალმა უთხრა: ამხანაგნო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,
ხესა თეთრად ავიყვავებ, დავიშვენებ ჩემსა ძირსა,
ბროლისავით გადვიქცევი, ლალის ფერად შიგნით ჭვივსა,
შაქრის მსგავსად მე დავდნები, რა ჩამიდებს კაცი პირსა.
თხილმა სთქვა: გკადროთ მართალი, ჩემი პასუხი გულისა;
მოჰყევით ტყუილ-ტყუილსა, მე ამან გამაგულისა;
სალხინო შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა სჯულისა,
ვარ მატკივნელი კბილისა, მერმე დამწველი გულისა.
ქლიავმა უთხრა: იკვეხით, არა ხართ ჩემი დარია;
ცოტა ხანის სიცოცხლე რა თქვენი საკვეხარია;
ყველა უგვართ შეყრილხართ, ცუდი გაქვთ საუბარია,
უფრო ვუყვარვარ ყოველთა, ვარ დიდი სანუკარია.
მაყვალმა უთხრა: არა ვარ ხილი თქვენებრივ ქებული,
უარესი ვარ ყოველთა, არვისგან მოწონებული;
ზედან მასხია ეკალი, მისთვის ვარ დაწუნებული,
პირველ გლახა ვარ ყირმიზი, მერმე პირ-გაშავებული.
კიტრმა სთქვა: რადა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა,
ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა;
გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, თავი მე არ მექებისა,
ვინცა ჩემითა გაძღება, ციება შეეყრებისა.
ნესვმა სთქვა: ვჩივი ამისთვის, მიწასა მომაყრიანო,
რა გავიზრდები, საჭმელად ყველანი მინატრიანო;
მოვლენ, მძებნიან, მპოვებენ, ხორცსა დანითა სჭრიანო,
ციებას, მერმე ცხელებას, ჭირს ჩემგან შეიყრიანო.
საზამთრო იტყვის: ნუ უბნობთ, მე არვის დაგიცილებთო;
თავსა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველსა შეგარცხვენებთო;

შეწუხებულს სიცხითა მე გულს მოვუგრილებთ,
ვარ ჯანაოზი ექიმი, სნეულსაც მოვალხინებთ.
ატამმა სთქვა: რა ვიკადრო საქმე ჩემისა ქებისა,
უკეთესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ჰყვავის,
შეერა უხარის ყოველს ტურფისს სანახავის;
მე და ნესვი ვართ ამშლელი ყოვლისა სენის თავისა.
ვაშლმა უთხრა: შვენებითა თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი,
ვარ ყოველთა საყვარელი, საამური, საქებარი,
სალხინო და სანადიმო, სუფრაზედაც მადებარი,
გულის ჭირის უკუ-მყრელი, არად უნდა საუბარი.
ბროწეულმა სთქვა: ვერ უბნობთ მართლითა სამართალითა,.
ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა,
მე ჩემსა ხესა მოვკაზმავ, ტურფად შევამკობ ხილითა,
დარბაზს სუფრასა ავავსებ იაგუნდითა, ლალითა.
ნიგოზმაცა სთქვა: მე კაცნი ჯოხსა მესვრიან ხელითა,
მომტეხენ, ტყავს გამხდიან, ჰირს ჩამიდებენ ხელითა,
გულითა მასპინძელი ვარ, ნიადაგ მხიარულითა,
კაცსა საჭმელს შევუმკობ, კიდეც ვალხინებ გულითა.
ჭერამი იტყვის: ვერ იტყვით თქვენ ჩემსა ვერას ძვირსა,
ჩემი ხე თეთრად აჰყვავდეს, მსმელნი სხდეს ჩემსა ძირსა;
როდესაც თვალი შემერთვის, მოინდომებენ ჭირსა,
კაცი მჭამს, ჭირს შეიყრის, მერე მაგინებს ფირსა.
ნუშმა სთქვა: მე არ მახსენებთ, თქვენ ხართ თავთა მაქებელი,
სანატრელი ვარ მეფეთა, საჭმლისა შემამკობელი;
უტურფესი ვარ ყოველთა, აქიმთა სახმარებელი,
მკურნალი ყოვლის სენისა, ღვიძლისა მაგრილებელი.
შინდმა სთქვა: ტურფა ხილი ვარ, არ გავერევი ლალშია,
რა დამინახვენ ქალები, მოვეწონები თვალშია,
ტანისამოსის კალთასა მეტად ჩავაგდებ ძალშია,
მოწყვეტენ, უკუ მიგდებენ, უკუ მიყრიან გულშია.
მსხალი იკადრებს ქებასა: ვერ ხართ საქები ენისა,
ჩემებრივ ქვეყანაზედა ხილი ვერავინ ჰშვენისა,

უტურფესი ვარ ყოველთა, ნაქები ბრძენთა ბრძენისა,
საყვარელი ვარ სასმელად, მერმე მკურნალი სენისა.
  კომშმა სთქვა: გკადროთ მართალი ქება ჩემისა გვარისა,
თქვენ არა გმართებთ ყოველთა ცუდის საუბარისა,
მე როგორ დამედარებით, სუნი მაქვს მუშკამბარისა,
ჩემი შვენება თქვენად ღირს, ესე მეცა მეკმარისა.
  ზეთის-ხილმა სთქვა: ყოველთა გვარად მე გვობვარ ძირადო,
კაცისთვის მარგებელი ვარ, ღვთისათვის შესაწირადო,
ეს უცხოდ მიკვირს, ვერა ვარ ტურფა ტანად და პირადო,
უცხოს ქვეყნისა ხილი ვარ, მით ვიშოვები ძვირადო.
  ღედვი იკადრებს: ხილი ვარ, ნაქები ყოვლის ხისათ,
წვრილად გიამბო მართალი ამბავი სამოთხისათ,
ენკენისთვესა მოკართო ხილი ყოვლისა დღისათ,
მღვენი ვყოფილვარ ნიადაგ მეფეთა დარბაზისათ.
  წაბლმა სთქვა: ტურფა ხილი ვარ მეტად დიდისა მთისათ,
სახლი მაქვს შიგან საჯდომი, სხვა არა მინდა სხვისათ;
ტანსა მაცვია მრავალი, შიგნით არ ცივა, თბისათ,
ნახვა სწადიანთ ყოველთა ტურფის და ლამაზისათ.

მეფე თეიმურაზი.

---

## მოსავლის მცველნი.

### მწყერი.

მწყერი არის ჩიტზე (ბელურაზე) მოზრდილი ფრინველი, ჩიტის ფერი, და მუდამ ბალახებში სცხოვრობს. ხეზედ არას დროს არ შეჯდება. ამის გამო ნათქვამია ქართული ანდაზა: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. ამ ფრინველს ჩვენს საქართველოში ვხედავთ მარტო გაზაფხულზე, ზაფხულში და შუა შემოდგომამდინ. ზამთარში კი არსადა სჩანს. სად არის მაშინ?—სამხრეთის თბილს ქვეყანაში. რატომ ვერ ვამჩნევთ, როცა მწყრები სამხრეთისაკენ მიდიან, როგორც მიმავალს წეროებს ვხედავთ ხოლმე? იმი-

ტომ, რომ მწყრები თბილი ქვეყნებისაკენ ღამით მიფრინავენ და არა დღისით; როდესაც გაუთენდებათ, ბალახებში ჩაიმალებიან, დღისით ისვენებენ და, როცა დაბინდდება, ისევ აფრინდებიან და თავისს გზაზე მიდიან. ღამით იმიტომ მიფრინავენ, რომ დღისით ეშინიანთ ალალისა, ქორისა და სხვა მტაცებელის ფრინველებისა, რომელნიც მწყრებს ძლიერ ემტერებიან.

როცა გაზაფხული დადგება და ჩვენს ქვეყანაში სითბოს დაიჭერს, მაშინ მწყრები თბილს ადგილებს თავს ანებებენ და ჩვენსკენ მოდიან. აპრილშივე საქართველოს ეწვევიან ხოლმე. ამ დროს ისე მჭლედ და სუსტად არიან, რომ ხეირიანად ფრენაც არ შეუძლიანთ. თუ მოსვლის შემდეგ სიცივე დაუდგათ, ისე რეტიანდებიან, რომ სოფლის ბიჭები მინდორში ხელით იჭერენ.



თიბათვეში ბუდეს იკეთებენ, კვერცხებს სდებენ და ბარტყებსა სჩეკენ. მაგრამ ბევრი უშვილოდაც რჩება. მწყრის კვერცხი ქათმის კვერცხივით გემრიელია; ამიტომ პატარა ყმაწვილები და ზოგჯერ დიდებიც კვერცხებს ბუდიდგან ხშირად აცლიან მწყრებს და უშლიან ბარტყების გამოჩეკასა. ფეტვი მწყერს მეტად უყვარს და ძლიერ ასუქებს. მარიამობისთვეში, როცა ფეტვი ხმება, მწყერი ისეთი მსუქანია, რომ ფრენა უჭირს. ამ დროს მინდორში დიდებიც კი დამწყერაობენ, და პატარა ბიჭებისაგან ხომ მწყრებს მოსვენება არა აქვთ. მწყრებს ზოგნი მიმინოთიც იჭერენ. აცივდება, და მწყრები თბილ ქვეყნებისაკენ გასწევენ ხოლმე.

მწყერს ჩვენში ეძახიან ყანის მტერსა, ეძახიან არა მარტო ხალხში, არამედ ასე იხსენიებენ მას განათლებული მწერლებიცა, პოეტებიცა. მაგრამ ეს საშინელი უსამართლობაა. მწყერი ერთგული, დაუფასებელი მცველია ყანისა. ჯეჯილი ჯერ კიდევ კარგად არ ასცილებია მიწასა, და მასში გაისმის საამური ჰუკჰუკი მწყრისა. ჯეჯილი და ყანა საყვარელი ადგილია

მწყრისათვის. რისთვის ირჩევს საცხოვრებლად ამ ადგილსა? მარცვლეულობისათვის? ჯერ მარცვლის ჭაჭანებაც არ არის ჯეჯილში, და ამ საზრდოს წამლადაც ვერ იპოვნის მწყერი აქა. მარცვლები ყანას შეუძლიან უწილადოს მწყერს თავთავების მოსხმის შემდეგ. თავთავის მოსხმამდინ კი გაივლის გაზაფხულის დამდეგიდან თუნდა სამი თვე. ამდენი ხნის განმავლობაში რითი სცხოვრობს მწყერი ჯეჯილსა და ყანაში, რასა სჭამს? იჭერს, ჟლეტს და სჭამს სხვა-და-სხვა ჭია-მატლებს, რომელნიც უფუჭებენ ჯეჯილს ფესვებს, ღეროებს, უჭამენ ყანას გამოსახულ მარცვლებსა და ახდენენ მოსავალსა. მავნე მწერები, ყანაში დაბუდებულნი, შეადგენენ ერთად ერთს საჭმელს მწყრისასა, ვიდრე თავთავს არ მოისხამს ქერი, პური და ფეტვი და არ დამწიფდება. რადგანაც მწყერი მოზრდილი ფრინველია, კარგი ძალი საჭმელი უნდება; ამიტომ აუარებელს მავნე მწერებს ჟლეტს გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში. მეტადრე შავს დღეს აყენებს მათ თავისი ჩოჩრების დაზრდის დროსა. მწყრების ჩოჩრებს მარცვლების ჭამა არ შეუძლიანთ, და ამიტომ დედალ-მამალნი მათ ზრდიან ჭია-მატლებით, რომელთაც იჭერენ იქვე ყანაში. დიდი ხანია განათლებულს ქვეყნებში შენიშნულია, რომ, სადაც მწყერზე ნადირობა გახშირებულია, იქ ყანის მოსავალი მცირეა. სამაგიეროდ, სადაც მწყრები ნაკლებად იდევნებიან და დაუბრკოლებლივ მრავლდებიან, იქ მხვნელ-მთესველნი ხარობენ უხვი მოსავლითა.

დიაღ, მწყრები არიან დაუფასებელნი მცველნი და მფარველნი ყანისა და ჭინახულისა. ამიტომ მათზე ნადირობა ზაფხულის შუაგულამდის ნამდვილს უგუნურებას შეადგენს. თვითეულ მწყერის მოკვლა ჩანასახობით ამცირებს მოსავალსა, ყოველი ბუდის მოშლა კოდობით უმცირებს გლეხს პურის ხვავსა. ყველა სოფელმა, რომელსაც ცოტაოდენი შეგნება აქვს, უნდა აღკვეთოს მწყრებზე ნადირობა, აღკრძალოს იგი ივლისამდინ მაინცა და ჯარიმა გადაახდევინოს ყველას, ვინც კი ამ დრომდე მწყერს დაიჭერს, მოჰკლავს ან ბუდეს გამო-

უშლის. მწყერაობა ნება-დართული უნდა იქნას მხოლოდ იმ დროიდან, როცა პური და ფეტვი მოიწიფება, ჩოჩრებს დაა-ფრენენ მწყრები და იწყებენ მარცვლეულობის ჭამას, მეტა-დრე ფეტვის მარცვლისასა, რომელიც ისე უყვართ მწყრებს და ისე ასუქებს მათ.

---

## ბ უ ლ ბ უ ლ ი.

### 1. აგებულება, ზნე, საჭმელი და ბარტყების დაზრდა.

ბულბული არის პატარა, მშვიდი, ფრთხილი და გულ-კეთილი ფრინველი; ჩიტსა ჰგავს, ცოტათი კი უფრო წვრილისა და ლამაზის ტანისაა. ბუგულსავით მიუკარებელი არ არის და კაცს ადვილად ენდობა, თავისს საუბედუროდ. ამის გამო ბულბულის გასინჯვა ადვილია. ხეზე ჯდომა მაღლა არ იცის; კაცის სიმაღლეზე ზის და დაუდევნელად ჩამოუშვია ფრთები, ბოლო კი აშვერილი აქვს. მიწაზედ სწორე ჯდომა ეხერხება და მარდადაც დახტის.

ბულბული სჭამს სხვა-და-სხვა ჭია-ღუასა, რომელსაც მიწაში ქექით ეძებს და პოულობს. უფრო საყვარელი საჭმელი კი მისი ჭინჭველის კვერცხებია. არც მწიფე მარწყვსა და მაყვალს იწუნებს. წყლის სმა მალ-მალე იცის; ჭამის შემდეგ ყოველთვის წყალზედ უნდა გაიჩქაროს. როცა თბილი დარია, ყოველს დღეს წყალში ბანაობს. ბულბული ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ზაფხულობით მოფრინდება ხოლმე; სხვა დროს თბილს ქვეყნებშია. გაზაფხულზედ, ბულბული რო მოვა, თავის ძველს ადგილს მოსძებნის და ამ ადგილს სხვას არას დროს არ დაუთმობს. მაგრამ ერთი წლის ბულბულები კი ბევრს წვალებას გამოივლიან ხოლმე: მოუსვენრად ეძებენ მოხერხებულს ადგილს საცხოვრებლად და ბუდის გასაკეთებლად. ბუდის გაკეთება ბულბულს წყლის ახლო უყვარს, ხშირს ჯაგებში,



უფრო კი კუნელის ბუჩქებში. **მაისის** დამდეგს დედალი სდებს ოთხს ან ხუთს კვერცხსა; მამალი ბულბული ჰშველის შვილების გამოჩეკასა და გაზრდაში. **სამი კვირის** შემდეგ ბარტყები ფრენას შეიძლებენ ხოლმე, და ამის შემდეგ დედ-მამა სცდილობს თავისს ქორფა ბარტყებს გალობა კარგად ასწავლოს. **მეტად** საამური საყურებელია, როცა ჯაგზედ, ან ხეზედ დედალ-მამალნი შვილებს გარშემო შემოისხმენ და გალობას ასწავლიან.

### 2. შეუდარებელი გალობა ბულბულისა და დიდი სარგებლობა ჭინახულისათვის.

**ბულბულის** გალობას არა ფრინვლის გალობა არ შეედრება. **ხნიანი** მამალი ბულბულები უფრო კარგად გალობენ ყმაწვილს ბულბულებზედ. **მაგრამ** ბულბული, რაც უნდა ცუდად გალობდეს, სხვა ფრინველებს გალობაში მაინც ბევრად სჯობია. **ეს** ყველა ფრინველმა კარგად იცის და ზოგიერთსა სურს მიჰბაძოს ბულბულსა და იმისი გალობა ისწავლოს; მაგრამ ჯაფა ტყულად ჩაუვლით ხოლმე: ბულბულისებური გალობა მხოლოდ ბულბულს შეუძლიან.

**ბულბულს** გალობა უფრო დილით და სალამოთი უყვარს. **ხან** მამალი ბულბული ღამეც გალობს და ბუდეში მჯდომს დედალს მშვენიერი ხმით შეაქცევს. **მეტად** საამური მოსასმენია ბულბულის გალობა მშვიდსა და ნათელს ღამეში. **მაღლიდგან** სავსე მთვარე ბუჩქებსა და ხეებს ზედ მოჰფენია, ფრინველები ძილს მისცემიან, გარშემო ყველა სულდგმული ჩაყუჩებულა, და ამ დროს ბულბული ნაზი და სანატრელი ხმით ათას ნაირად უსტვენს და არღვევს სიჩუმესა. **ბულბულებს** უფრო გაცხარებული გალობა აქვთ გაზაფხულზედ, მაისში, როცა ახლად მოსულნი არიან. **ყველა** ბულბულს საყვარელს

სამშობლოში მოსვლა უხარიან და თავის სიხარულსა და კმაყოფილებას გალობით იჩენს, მაგრამ ამ გახშირებულს გალობას სხვა მიზეზიცა აქვს. **თ**ბილი ქვეყნებიდგან ჯერ მამალი ბულბულები მოვლენ ხოლმე და მერმე დედლები. **ყ**ველა მამალი ბულბული თითქმის განუწყვეტლივ გალობს, რომ დედალმა მოსვლის შემდეგ ხმაზედ იცნოს, იპოვოს და სხვა მამალს არ დაუმეგობრდეს.

**რ**ადგანაც ბულბულის გალობა ადამიანისათვის ფრიად სასიამოვნოა, ამიტომ ამ ფრინველს ბევრგან იჭერენ და გალიაში ჰყავთ. **მ**აგრამ ეს ჩვეულება მოსაწონი არ არის: ბულბულები ფრთხებიან და ამ გვარს საშიშს ადგილებს აღარ ეკარებიან. **ზ**ოგიერთს ქვეყანაში ისეთი უგუნური ხალხია, რომ ამ მშვენიერს პაწია ფრინველებს საჭმელად ხოცავს. **თ**უ ბულბულები სახლებს ახლო ხეებზე სხდებიან, მაშინ ამათი პირველი მტერი კატაა. **რ**ოცა ხეზე ბულბული გალობს, თვალები დახუჭული აქვს; ამიტომ ეშმაკი კატა ადვილად ეპარება და იჭერს. **ბ**ულბულს ბუც ძლიერ ემტერება. **პ**ატარა უგუნური ბიჭები ბუდეს მოუშლიან ხოლმე. **ა**გვისტოს გასულს ბულბული გვანებებს თავსა და თავისი ბარტყებით თბილს ქვეყანაში მიდის.

**ა**მასთან ბულბული მეტად სასარგებლო ფრინველია, რადგანაც მარცვლეულობის ჭამა არ შეუძლიან და იკვებება მთელს თავისს სიცოცხლეში მხოლოდ წვრილმანი მატლებით, ჭიებით და მათი კვერცხებით, რითაც ძლიერ ხელს უწყობს მოსავალსა.

**ა**სეთივე სასარგებლონი არიან ყველა სხვა მგალობელი ფრინველები და ჩიტები, მაგალითად: შაშვი, ტოროლა, ჭინჭრაქა, ანუ ლობე-მძვრალა, ნიბლია და სხვანი.

---

**ვირი და ბულბული.**

ვირმა ბულბული ერთხელა
ახლო მჯდომარე იხილა

და უთხრა: ქება შენის ხმის
თუმცა ბევრთაგან მსმენია,
მაგრამ არ მჯერა, ვიდრემდის
ჩემს ყურს არ გაუგონია;
მისთვის ფრიად მსურს გისმინო და ვიქმნა მე თვით მსაჯულად.
რა ესმა ესე ბულბულსა, შესძახა თავისებურად:
ხან დაუსტვინა, დაჰკეჟა, ხან ზედ დაჰკვნესა საწყალად;
ზოგჯერ ნაზად და ნაზადა მისი ხმა მისუსტდებოდა,
და მაშინ ვითა საამო შორს სალამური ისმოდა,—
და ხან ხმა მაღლივ რაკრაკით არესა განაღვიძებდა...
რა მისი განხდა ხმა არეს, მყისვე დადუმდა ყოველი;
ნიავი შესდგა, შესწყვიტეს სხვათა ფრინველთა ჟღივილი;
მწყემსმაც ძირს დასდვა დუდუკი, მის ჯუმუნვის გამქარვებელი;
მგზავრს დაავიწყდა თვისი გზა და იქმნა მისი მსმენელი...
ბულბულმა თვისი გრძნობანი, თუ სიყვარული, თუ ტანჯვა,
რაცა ვარდისგან მიეღო, ყველა სიმღერით წარმოსთქვა.
ბოლოს დადუმდა, და ვირმა ყურები დაუშვა და რქვა:
ჰო, მართლა შენი სიმღერა არა მოაწყენს მსმენელსა;
მაგრამა მებრალები კი, რომ ვერ სცნობ ჩვენსა მამალსა:
ცოტა მისგანც რომ გესწავლა მის საკვირველი ჰანგები,
მაშინ მერწმუნე, რომ უფრო შეიქმნებოდი საქები!
ეს სჯა ბულბულსა რა ესმა, კინაღამ გული გაუსკდა,
ჯავრით აფრინდა საბრალო და ცხრა მთას იქით გადვარდა...
ჰე, ღმერთო, ჩვენცა დაგვიხსენ ესრეთის მსაჯულისაგან!..

გრ. ორბელიანი.

---

## დიდი მოკეთე მტრის კანში
## ანუ ბეღურა ჩიტი.

### 1. თვალი ამტყუნებს ბეღურებსა, ცოდნა კი ამართლებს.

თვალი გვეუბნება: ბეღურა ჩიტი თქვენი მტერია, ზარალს გაძლევთ, სდიეთ და ქლიტეთ. ცოდნა კი გვარწმუნებს: ბეღურა შეუდარებელი მეველეა ჭინახულისა, დიდი მოკეთეა

თქვენი, სარჩლი გაუწიეთ და ამრავლეთო. ანდაზისა არ იყოს, ქუდი ძირს დავდოთ, გულმოდგინედ მოვუსმინოთ თვალსაცა და გონებასაცა და სწორე მსჯავრი დავადგინოთ.



Თვალს ბეღურას წინაამდეგ მოჰყავს შემდეგნი მისი მოქმედებანი.

Ყანაზე ძნა მოიტანეს. ძნას ჰყრიან ძირსა და მარცვალი სცვივა. ბეღურა ჩიტები გაჩნდნენ საიდგანღაც, მიფრინდნენ კალოს პირზე და დაუწყეს ხარბად კენკა მარცვლებსა.

Მანდილოსანი უყრის ქათმებსა და ბატებს პურის მარცვალსა, ჩიტები გულადად, შეუპოვრად მიდიან და მარცვლებს თითქმის პირიდან აცლიან შინაურს ფრინველებსა.

Ბაღში ბალი დამწიფდა. ჩიტები გახდნენ მისი ხშირი სტუმრები, ჰკენკენ ტკბილს მარცვლებსა და პირს იტკბარუნებენ.

Ხორბალი გაჰფინეთ ბანზე და ძირს ჩამოხვედით. ჩიტები იმავე წამს დაიბადნენ გაფენილ ხორბალთან და დაუწყეს კენკა.

Ყველა ეს მართალია, ყველა ამას თვალი ჰხედავს, გვატყობინებს, და სწორედ ამის გამო ადამიანი ემტერებოდა ბეღურა ჩიტებს წინედ და ახლაც ემტერება. Მაგრამ ნასწავლი გონება ამბობს, რომ ეს ზარალი ძლიერ მცირეა, ლაპარაკად არა ღირს, ხოლო უჩინარი სიკეთე ჩიტისა იმოდენაა, რომ ყველამდინ ვალში ვართ ამ პატარა ჩიორას წინაშე. Და აი რა საბუთები მოჰყავს.

ევროპა უკანასკნელს საუკუნოებში ისე გაივსო ხალხითა, რომ ტევა აღარ იყო. ამის გამო ბევრი ევროპიელი გადასახლდა საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში: ამერიკაში, აფრიკაში და ავსტრალიაში. იმ უცხო ქვეყნების მკვიდრნი არა სთესდნენ არც პურსა და არც სიმინდსა, არც ბაღები ჰქონდათ გაშენებული. იკვებებოდნენ სხვა-და-სხვა გემრიელი და ნოყიერი ხილეულობით, რომელიც ტყეში გარეულად ხარობდა და ხარობს მრავლისაგან მრავალი. ევროპიელებს არ შეეძლოთ უპუროდ ცხოვრება, ვერ იტანდნენ იქაურს ხილეულობას და ამიტომ იწყეს ხვნა-თესვა და შეუდგნენ სხვა-და-სხვა ჩვენებურის ქინახულის მოყვანასა. დარგეს აგრეთვე ევროპიული ხეხილები, გააშენეს ბაღები. მიწა იმ შორეულს ქვეყნებში ძლიერ ნოყიერია, მაგრამ ევროპიელებს იმედი სრულიად გაუმტყუნდათ. იმ ქვეყნებში იცის მრავლისაგან მრავალი სხვა-და-სხვა ჯურის ქია-მატლები, პეპელები, ბუზები, მწერები. ეს მწერები მიესივნენ ევროპიელებისაგან დათესილს ქინახულსა, დარგულს ხეებსა და სულ ერთიანად აოხრეს, გაახმეს და მოაცდინეს. ადგილობრივი ზანტი ფრინველები ათასობით დაერივნენ ამ მწერებსა, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, რადგან უძლურნი გამოდგნენ. თქვენი მტერი ჩავარდეს იმისთანა გაჭირვებაში, რომელიც მიადგათ ევროპიელებსა. იქაურს საჭმელს ვერ იტანდნენ, შეჩვეულის საჭმლის მოყვანას კი მწერები შეუძლებლად ხდიდნენ. არ იცოდნენ, რა ექნათ.

მაშინ ერთს ევროპიელ სწავლულს, გადასახლებულს ამერიკაში, გაახსენდა ბეღურა ჩიტი, მისი სიმარდე, მისი დაუღალავი ქლეტა მწერებისა, მისი სწრაფად გამრავლება და იფიქრა: იქნება ამ ყველასაგან ღევნილმა ჩიტუნიამ გვიხსნას განსაცდელისაგანაო. ადგა და ერთის ხომალდის კაპიტანს დაავალა: გვიყავ სიკეთე და ერთი ორმოციოდე დედალ-მამალი ბეღურა ჩიტი მოგვიყვანე აქაო. კაპიტანმა თავისი ხომალდით მოიარა გზა და რამდენისამე თვის შემდეგ გალიით მოიყვანა დამბარებელსა სამოცამდინ დედალ-მამალი ბეღურა. ბევრს სიცილად არ ეყო ეს ამბავი: ჩვენს მოუსავლობას რაღა ეგ

ქურდ-ბაცაცა ბელურები უნდოდაო. მაგრამ მალე ეს დამცინავნი თვითონ გახდნენ სასაცილონი. ჩიტების დამბარებელმა თავისს დიდს მამულში დაუმზადა მოხერხებული საბუდრები ბელურებსა და მერმე გამოუშვა გალიიდან. ჩიტებს მოეწონათ ეს საბუდრები, დაბინავდნენ თავისის პატრონის მამულში, უცხო ადგილი სწრაფად შეითვისეს, გამრავლდნენ და დაერივნენ იქაურს მწერებსა. და რა მოხდა მოკლე ხნის განმავლობაში? სწორედ ნამდვილი სასწაული. რაც იქაური ფერად-ფერადი, ლამაზ-ლამაზი ფრინველებისათვის შეუძლებელი იყო, ის ადვილად მოახერხა პატარა და სულ სადა ფრინველმა— ბელურა ჩიტმა. ისეთი მეველეობა გამოიჩინეს ჩვენმა ჩიორებმა, რომ ქინახული და ბაღები ავის თვალით აღარ ინახვებოდა. რამდენადაც უფრო მრავლდებოდნენ ბელურები, იმდენად უკეთესი მოსავალი მოდიოდა. მემამულე ალტაცებაში იყო და ახლა თვითონ იგდებდა მასხარად იმათ, ვინ წინედ მას დასცინოდნენ.

ეს ამბავი მოხდა კუნძულს კუბაზე, რომელიც სძევს აღმოსავლეთით შუა ამერიკისა. გაიგეს სხვა ცხელ ქვეყნებშიაც ის სასწაულ-მოქმედება, რომელიც ბელურა ჩიტებმა ჩაიდინეს კუნძულ კუბაზე, და ევროპიდან იწყეს გადაყვანა ამ ფრთოსანის მეველეებისა. ეხლა, სადაც-კი ევროპიელები სცხოვრობენ ცხელს ქვეყნებში, როგორც ახალ-შენნი, ყველგან გაჩენილი ჰყავთ ბელურა ჩიტები და ხელს უწყობენ მათს გამრავლებასა.

### 2. რა გვარად იცავს ბელურა ჩიტი მოსავალსა?

როგორ ახერხებს ამოდენა სიკეთეს პატარა ჩიტი-ბელურა? რა გვარად იცავს მოსავალსა და აძლიერებს მას? ჯერ უნდა კარგად, ზედ-მიწევნით გავიგოთ, რა აფუჭებს მოსავალს, რა არის მისი მტერი?—თუ გამხმარ, მომცდარ ქინახულს გასინჯავთ, ხშირად შენიშნავთ, რომ მას ახვევია ჭია-მატლი ან ფესვებზედ, ან ფოთლებსა და ტოტებზე და ან თვითონ ნაყოფზე, თავთავებზე, მარცვლებზედ. და სწორედ ჭია-მატლების ბრალია მოსავლის გახმობა. თუ მომცდარი ხეხილი ნახეთ, ამის ჩამდენიც ხშირად მატლია, რომელიც სთქვლეფავს მის კოკ-

რებს, მის ფოთლებს, მის ნაყოფის ნასახს. ყველამ ვიცით, რომ ქიანს ხილში ყოველთვის მატლი არის. თუ კომბოსტოს ან სხვა ბოსტნეულობას ფოთლები დახრული აქვს, ესეც ქია-მატლების ბრალია. ერთი სიტყვით, ქია-მატლები საშინელი მტრები არიან ყოველ გვარ მოსავლისა და აფუჭებენ მას დღისით და ღამით, აშკარად და უჩინრად. თვითონ ადამიანს მათთან ბრძოლა არ შეუძლიან, თოფს მათზე ვერ იხმარს და ხანჯალსა. მაგრამ სადაც ადამიანი უძლურია, იქ ფრინველნი ძლიერნი არიან და დიდს სიკეთეს გვძენენ. ამ ფრინველთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ბელურა ჩიტსა.

აი დაუბერა გაზაფხულის ნიავმა. ტყე ჯერ ნორჩი ფოთლით კარგად არ არის შემოსილი, ჯერ არ მოსულა ზოგი შემოდგომაზე წასული ფრინველი უცხო ქვეყნებიდან; მაგრამ ბელურას ბუდეში კი უკვე ჰყივიან პაწია ყვითელ-ყბიანი ბარტყები. აი ამის გამო არის ნათქვამი: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა-ჩიორამაო საძირკველი გადგაო“. დიაღ, ჩიორები ძალიან ადრე შეუდგნენ თავდარიგსა. სამაგიეროდ, სხვა ფრინველებზედ ადრეც დაუდგათ მათ დრო საშინელის ჯაფისა. ბარტყები სუსტნი არიან, მარცვლების მონელება მათ სულ არ შეუძლიანთ, და დედ-მამამ უნდა უზიდოს სხვა-და-სხვა მატლები, ქიები, ბუზები, პეპლები. პატარა მწერები არიან ერთად-ერთი საჭმელი ბარტყებისა, მინამ იგინი დაიზრდებიან. ამიტომ დედალ-მამალი დილით საღამომდინ დაფრინავს ბოსტნებში, ბაღებში, ვენახებში, ნათესებში და ეძებს მატლებსა, ქიებსა, მავნე პეპლებსა. მოჰკრავს თუ არა თავისს გამჭრიახს თვალს, მიფრინდება, იგდებს ნისკარტში და მიარბენინებს ბუდეში. ბარტყები პირებს განივრად აღებენ, და დედალ-მამალი რიგ-რიგით უდებს მათ მწერებსა. გარბიან ისევ უკან და ახლა სხვა მწერები მოაქვთ. ასე ნადირობენ ქია-მატლებზე მთელს დღესა, დილის ბინდ-ბუნდიდან საღამოს ბინდამდინ, თექვსმეტის საათის განმავლობაში, და ელეტენ მოსავლის მტრებსა.

ერთმა სწავლულმა მოინდომა გაეგო, რამდენი მატლი მოაქვს ბუდეში დედალ-მამალ ჩიტს დღეში, და ამისათვის მათი ბუდის ახლო დილა ადრიანად მივიდა და დაუწყო თვლა. თვალა, თვალა და ბოლოს ანგარიში დაკარგა, ისე მალ-მალე მიარბენინებდნენ ჩიტები თავის ბარტყებთან მატლებსა და ჭიებსა. ასე ჟლეტენ მავნე მწერებს ბეღურა ჩიტები ორი-სამის კვირის განმავლობაში, ვიდრე მათი ბარტყები მოჩიტდებოდნენ და დასაფრენნი გახდებოდნენ.

აი, ფრთებ შესხმული ბარტყები ამოფრინდნენ ბუდიდან და თავისუფლად დაიწყეს ფრენა. მხიარული ჭიკჭიკით სხდებიან ხან ღობეებზე, ხან ხეივნებში, ხან ბოსტნის კვლებში, ხან ბუჩქებზედ და ხან სად. ახლა უფრო დიდ მადაზედ არიან, თავისუფალი მოძრაობა უფრო ღორმუცელად ჰხდის მათ. მაგრამ საჭმლის შოვნა კი ჯერ თვითონ არ შეუძლიანთ. პატარა ჩინჩახვიც ჯერედ ისევ სუსტი აქვთ, მარცვლეულობას და მაგარს საჭმელს ვერ აიტანენ; ამიტომ დედალ-მამალი ახლა უფრო გაფაციცებით ეძებს ჭია-ღუებს, მატლებს, პეპლებს, იჭერს, მიარბენინებს თავის ბარტყებთან, ესენი თავისს ყვითელს პირებს აღებენ, იღებენ მოტანილს საჭმელს და ჰყლაპავენ.—ბოლოს ბარტყებს ასწავლა დედ-მამამ კარგ ფრენასთან მატლების და ჭიების ჭერაც, ასე რომ პატარებს დიდებში ვეღარც კი გამოარჩევთ. მაშინ საოჯახო კრება მოხდა. დიდები გამოეთხოვნენ ყმაწვილებსა და უთხრეს თავისს ენაზედ: თქვენ ახლა მოზრდილები ხართ, კარგად იცით ფრენაც, საჭმელ-სასმლის შოვნაც და ყველაფერი, რაც ჩიტისათვის საჭიროა. წადით ახლა და თქვენ თვითონ იცხოვრეთ, ჩვენ ახლა სხვა თქვენი მომდევნონი უნდა დავზარდოთ. მშვიდობით! —ამის შემდეგ დაიფრთხიალეს, შვილები ცალკე წავიდნენ და დედ-მამა კიდევ ცალკე.

ჩიტები ხელ-ახლად სწმენდენ ბუდეს, აახლებენ და დედალი მეორედ სდებს ჭროლა კვერცხებს ექვს-შვიდსა. მაშინვე ჯდება შიგ და ორს კვირაში სჩეკავს. იწყება ახალი ჟლეტა ჭია-მატლებისა მოსავლის სასარგებლოდ. დაზარდეს მეორედ

ექვსიოდე ახალი მმუსრავი მოსავლის მტრებისა და ამითიც არ დაკმაყოფილდნენ. მესამედაც დასდო დედალმა კვერცხები და კიდევ გამოჩიკა ბარტყები. ამათაც იმდენი ქია-მატლი იმსხვერპლეს, რამდენიც ორმა წინა რიგმა ბარტყებისამ.

ასე რომ საშინელს ქლეტას მოსავლის მტრებისას ბეღურები დაიწყებენ ხოლმე გაზაფხულის დამდეგიდან და შემოდგომის დაწყებამდინ განაგრძობენ თითქმის ექვსი თვის განმავლობაში. ახლა თქვენ იანგარიშეთ, რა აუარებელ მწერს აშორებენ ბეღურები ქინახულსა და რა რიგად უწყობენ მხვნელ-მთესველს ხელსა.—

### 3. რა სიკეთეს უშვრება ბეღურა ჩიტი ბოსტანსა და ვენახსა?

მეტადრე დიდს სიკეთეს უშვრება ჩიტი ბოსტნეულობასა. ყველას უნახავს ბოსტანში ლამაზი, თეთრი პეპელები. ესენი მუდამ დაფრთხიალებენ კომბოსტოს ახლო, დასტრიალებენ თავსა, თამაშობენ, ცელქობენ და ბოლოს ჯდებიან კომბოსტოს ფოთოლზედ. დიდ ხანს სხედან ზედა. რისთვის? იმისთვის, რომ ამ დროს სდებენ ოცობით პაწია მოყვითალო კვერცხებსა. ათს დღეს შემდეგ ყოველი კვერცხიდან გამოდის ერთი წიწკნა მოყვითალო მატლი, რომელიც კომბოსტოს ფოთოლს მაშინვე ჭამას დაუწყებს ხოლმე. რომ იცოდეთ, რა ღორმუცელაა ეს მატლი. დღეში სთქვლეფავს სამჯერ უფრო მეტს კომბოსტოს თავისს წონაზე და სწრაფად იზრდება. როცა კვერცხიდან ძვრება, ხაშხაშის მარცვლის ოდენა ძლივს არის, ორის კვირის შემდეგ კი ვეებერთელა, გოჯის სიგძე მატლი ხდება. ახლა იფიქრეთ, რამდენს ბოსტნეულს გაახრებს ეს ღორმუცელა ორ კვირაში. მაგრამ ეს მარტოდ-მარტო როდი ახრებს ბოსტანსა. მას ბევრი სხვა ამხანაგი ჰყავს. თითო პეპელა ოცობით და ასობით სდებს კვერცხსა, და ამისთანა პეპლები კი ყოველ დღე ბევრნი დაფრთხიალებენ ბოსტანში. რაც უნდა მხნე და ბეჯითი მებოსტნე იყოს, ამ მატლებს ვერ მოაშორებს ბოსტნეულობასა. ეს ბოსტნეულობა მთლად მოსცდებოდა, ჩვენ დავრჩებოდით უკომბოსტოდ და

უმწვანილოდ, რომ ბოსტანს დღისით არა ჰყავდეს მცველად ბეღურა ჩიტები. ისენი დილიდან საღამომდის დახტიან, დაფრთხიალებენ ბოსტანში, სინჯავენ ბოსტნეულობის ღეროებს, ფოთლებს და ყვავილსა და ჰყლაპავენ პეპლების კვერცხებს, მატლებს და ჭიებს. არც ერთი მეველე არ შეედრება მათ.

ბეღურა ჩიტს იქაც კი უჩინარი სარგებლობა მოაქვს, სადაც აშკარად ვხედავთ მისგან ზარალსა. მოისმინეთ.

ერთმა მებაღემ ერთს ბალს სიმწიფის დროს ბადე გადააფარა, რომ ჩიტები ვერ მისდგომოდნენ და არ ეკენკათ. მეორე ბალი კი ისე თავ-ახდილი დასტოვა. და რა მოხდა? დახურული ბალი სულ მთლად დაჭიანდა და აღარ იჭმეოდა. ახდილზე კი მშვენიერი სალი ბალი დამწიფდა, თუმცა აქა-იქა კი იყო ჩიტებისაგან გაკენკილი. როგორ მოხდა ესა? ახდილს ბალზე რაც ჭია-მატლები იყო, ჩიტებმა გადაყლაპეს, მოაშორეს ბალსა, დახურულს კი ვერ მიუდგნენ, და მასზედ გამრავლდა ჭია-მატლი და გაახრა ბალი.—ქალმა რომ ქურდებს გადაგარჩინოს და ცოტაოდენი საჭმელი დაგაკლოს, განა ეს დიდი მოკეთე არ იქნება შენი? აქაც ასე არის... ბეღურა ჩიტი ებრძვის მოსავლის მტრებსა და თავისს გამოსაკვებად გვაკლებს ცოტაოდენს რასმე ჩვენი საკუთრებიდან, მოსავლიდან. განა უდიერობა არ იქნება გავამტყუნოთ და მტრად გადავეკიდოთ?

საზოგადოდ მართალია, რომ ბეღურა ჩიტი გვაკლებს; მაგრამ რამდენს და რასა? ცოტაოდენსა და უფრო იმისთანა რამეს, რომელსაც ჩვენ ვეღარ გამოვიყენებთ. სჭამს მარცვლებს ქინძხულისას, კალოს პირზე დაბნეულსა, სჭამს კარზე გადაყრილს რასმე, სჭამს წისქვილში წაღებულ ტომრებიდგან გაბნეულს მარცვლებს, სჭამს ბზეში ჩაყოლილს პურსა და სხვებსა. და ამისთანა შეუდარებელი მოჯამაგირისათვის განა ალალი არ უნდა იყოს ესა? შგუნური ადამიანი-კი სდევნის იმ თავიდან ბეღურა ჩიტებსა, ესვრის ჯოხსა, აზელს ქვებსა, უდგამს კაკანათსა და ცდილობს გაჟლიტოს თავისი მოსავლის მცველნი და მფარველნი.

### 4. სოლცარი სიფხიზლე და სიმარდე ბელურასი. როგორ უნდა მოვექცეთ მას?

მეტად უსამართლო დევნას ერთი დიდი სიკეთე უქნია ჩიტისათვის. დაუჩვევია სოლცარს სიფხიზლეს, სიმარდეს და სიმარჯვეს. ბელურას მოტყუებაზე ძნელი არაფერია. რაც უნდა ეშმაკური მახე დაუგოთ, შიგ არ გაებმის; რაც უნდა გემრიელი მარცვლები დაუყაროთ, ახლო ვერ მიიტყუებთ დასაჭერად. თუ ხელში არაფერი გიჭირავს, თითქმის ფეხებს შუა გაგიძვრება და ცხვირ წინ აგიკენკავს დაბნეულს მარცვალსა. მაგრამ თუ შენს ხელში დაინახა ჯოხი, მაშინ ახლოც არ მიგიკარებს. ქვა რომ რამდენისამე ნაბიჯის მანძილზედ ესროლო ბელურას, ვერ მოარტყავ, უჟუოდ აიცდენს, ისეთი მარდია. შთვალავ გუნდში რომ ჯოხი გაურიო, არც ერთს არ მოჰხვდება, ყველანი აიცდენენ. ღორმა რომ კენკის დროს შეუტიოს, აფრინდება და ზედ ზურგზე დააჯდება. ასეთსავე სიმარჯვეს იჩენს ჩიტი ფრინველების შესახებაც. აი ბელურა ჩიტი ზის ეკლის ბუჩქის კენწეროზედ. ქორმა თვალი მოჰკრა და წამოვიდა მისკენ ჩუმი ფრენით. ფრთხილმა ბელურამ ეს კარგად შენიშნა, მაგრამ ისე-კი უჭირავს თავი, თითქო არაფერი იცოდეს. ქორი მოუახლოვდა და თავის კლანჭებით დააცხრა, მაგრამ რასა? ჩიტსა? ისე ეგონა ქორსაც, მაგრამ ჩიტის მაგიერად მან დაბლუჯა ეკლები, დაიფხაჭნა, დაისისხლიანა ფეხები. სახტად დარჩა, სულელივით გაშტერდა, გამწარდა. როგორ მოხდა ესა? ჩიტი სწორედ მაშინ აფრინდა სოლცარი სისწრაფით და ტყვიასავით ჩავარდა იქვე ახლო ეკლის ბუჩქში, როდესაც ქორმა, მეტის ნდომით თვალ-დაბნელებულმა, თავისი ბრჭყალები მიატანა. ადრე რომ აფრენილიყო, ქორი ეკალს აღარ დააცხრებოდა და დაუსჯელი დარჩებოდა. მოტყუილებულს ქორს საშინელი ბრაზი მოსდის; იცის, რომ ეშმაკი, მარჯვე ჩიორა, მისი დამსჯელი და მომტყუებელი, იქვე, იმის ნისკარტის წინ, ზის ეკლიანს ბუჩქში; მაგრამ რას იზამს, ეკლები მას ბუჩქში არ შეუშვებენ, და ჩიტი-კი შიგ

არხეინად ზის და თითქოს გამოსძახის: ჰე, მოგხვდა, თუ არა, ქურდ-ბაცაცა, საძაგელო მტაცებელო!

ასე, ბეღურა ჩიტი არამც თუ დიდი მოკეთეა ჩვენი და ჩინებული მეგობარი, არამედ ძლიერ ჭკვიანი, მარდი და გულადია. სრული სიყვარულის და მფარველობის ღირსია, და ჩვენ-კი მას ვდევნით. მეტი უსამართლობა და უგუნურობა იქნება?

რას გვასწავლის ნათქვამი? იმას, რომ ჩიტის ბუდე თავისს დღეში არ უნდა გამოვშალოთ. ყოველი ბუდე კოდობით გვმატებს მოსავალსა, მისი გამოშლა კი ამდენსავე გვაკლებს. არ უნდა ვესროლოთ ჯოხი, ან ქვა და არ უნდა დავუგოთ ბადეები ზამთრობით; პირ-იქით, ცივს ზამთარში, როდესაც სიმშილისა და სიცივისაგან ბევრი ჩიტი იჟლიტება, ჩვენ უნდა საკენკი დავუყაროთ ხოლმე და ნება მივცეთ თავი შეიხიზნონ ჩვენს სადგურს ახლო დერეფნებში და ყოველგვარი მფარველობა გავუწიოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ბეღურა ჩიტი ბევრად უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, ვიდრე ქათამი, იხვი და ბატი, რომლებზედაც იმდენს ამაგს და ხარჯს ვეწევით. ბეღურა ჩიტი კი არც ხარჯსა გვთხოვს და არც მოვლასა, მარტო მცირეოდენს შეწყნარებას ითხოვს. მხოლოდ გაზაფხულსა, ზაფხულსა და შემოდგომაზედაც ჩიტი არ უნდა მივუშვათ თავისუფლად მარცვლეულობასა და ხილზე, რადგანაც მით უფრო მეტს მწერსა ჟლეტს, რამდენადაც უფრო მშიერია.

---

## ჩ ი ტ ი.

ყველაზე უწინ მე გავიღვიძებ,
ფრთას ფრთას შემოვკრავ, რა თვალს ვახილებ,
დავკრავ, დავუსტვენ, მსმენელს ვაგიჟებ,
მშვენიერი ხმით ღმერთსა ვადიდებ.
ფლისაგან მაქვს სასმელ-საჭმელი,
არც ვთეს, არცა ვმკი, არცა ვარ მხვნელი,
ვარ გამაძღარი, მაქვს მე ყოველი,
მოდი, ზაფხულო, მე შენ მოგელი!
მიყვარს ზაფხული, მწვანით შემკული,
ვცეკვავ, მაშინ ვარ აღტაცებული;
სახლი მაქვს მინდვრად ღვთის მოცემული,
ცის ქვეშა ვფრინავ გახარებული.
ზეცით მწვანეზე ჩამოვეშვები,
მშვენიერ ყვავილთ შორისა ვჯდები,

ხან ტყის, ხან წყლისა პირს მოვე-
დები
და, ვით ისარი, მასზედ დავსხლტები.
ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი,
შავარდენსავით მალი გამფრენი;
მაგრამ მიჭერენ მცირე მახითა,
მატყუებენ რა ხორბლის მარ-
ცვლითა.

ილია ჭავჭავაძე.

---

# მ ე რ ც ხ ა ლ ი.

## 1. რად გვიყვარს ყველას მერცხალი.

მერცხალი თითქმის შინაური ფრინველია. **მ**უდამ ჩვენს გარშემო ტრიალებს, ჩვენს გვერდით სცხოვრობს, ჩვენს სახლებში აკეთებს ბუდესა და ჩვენ თვალ-წინა ზრდის შვილებსა. **რა**ტომ გვეტანება? **ი**მიტომ, რომ იცის, ადამიანს მოვწონვარ, ვუყვარვარ, შემხარის და ჩემთვის ცუდს არას დროს არ მოინდომებსო. **პ**ირ-იქით, თუ გარეულმა ონავარმა ფრინველმა



ჩემი ბარტყების დატაცება მოინდომა, ადამიანი ნებას არ მისცემს და კუდით ქვას ასროლინებსო. **ს**წორედ ასეც არის. **მ**ერცხალი სტუმარია ჩვენი, მაგრამ ყოველთვის სანატრელი, ყოველთვის სასიამოვნო. **ს**ხვა სტუმარი, ქართული ანდაზით, პირველ დღეს ოქროა, მეორე დღეს ვერცხლი, მესამე დღეს სპილენძი, მერცხალი კი სულ მუდამ ოქროა ჩვენთვის. **მ**ისი დანახვით ვსიამოვნებთ, მარდი და ლამაზი ფრენით ვერთობით, ჭიკჭიკით ვსტკბებით. **მ**ისს მოსვლასა უცხოეთიდან ალტაცებაში მოვყევართ, რადგანაც ეს არის ნიშანი სანატრელის გაზაფხულის მოახლოვებისა, დადგომისა. **მ**ერცხალი ჩვენთვის არის წყარო დიდის სიამოვნებისა, და ჩვენ გვიყვარს და კარგს მეგობრობას ვუწევთ. **ა**მ სიყვარულს ისიც აძლიერებს, რომ მერცხალი ჩიტივით არც მარცვალს გვიჭამს და არც ბალს გვიკენკავს. **ი**ს სცხოვრობს, იკვებება რაღაცა სხვა რამით; მაგრამ უბრალო კაცმა სრულიადაც არ იცის, თუ რა არის ეს უჩინარი საჭმელი მერცხლისა. **მ**ე ეხლა-

ვე აგიხსნით ამას, და მაშინ უფრო კიდევ მომეტებულად შეიყვარებთ ჩვენს ჰიკჰიკა მეგობარსა.

**2. რა სიკეთეს სძლევნის მერცხალი მოსავალსა?**

**Ა**რიან ერთგვარი მწერები, რომელნიც ადამიანს დიდს უსიამოვნებას აყენებენ, საშინლად აბეზრებენ, სტანჯავენ. **Ბ**უნების-მეტყველები მათ ეძახიან ორ-ფრთოვან მწერებსა. **რო**მელნი არიან ესენი? **Ე**სენი არიან ჩვენი კარგი ნაცნობები: ბუზები, კოღოები, ქინქლები. **Უ**რიცხვი ბუზები სცხოვრობენ ჩვენს სახლში, გვიბილწავენ საჭმელს, გვკბენენ, ჰამას გვიშლიან, საქმეში ხელს გვიცარავენ, არ გვაძინებენ, მოსვენებას არ გვაძლევენ. **Კ**ოღოები და ქინქლები თავისი კბენით ტანს გვატკივებენ, გვაწვალებენ, მუშაობას გვიშლიან ტყეში, მინდორში, მეტადრე მეთევზეობას აბრკოლებენ ძლიერ. **Შ**ინაური საქონელი ხომ კიდევ უფრო მომეტებულს ტანჯვაშია ამ ორ-ფრთოვან მწერებისაგან. **Თ**ავიანთ განუწყვეტელი კბენით საქონელს უშლიან სძოვოს ბალახი, მშვიდობიანად დაისვენოს. **Ა**მქლევებენ, ღონეს აკლებენ, მოთმინებიდან გამოჰყავთ, ილაჯს უწყვეტენ, ხან კლდეზედაც კი გადასჩეხავენ ხოლმე და ამით პატრონებს დიდს ზარალს აძლევენ. **Კ**იდევ უფრო უარესი იქნებოდა ადამიანისა და შინაურის საქონლის მდგომარეობა, რომ ამ მწერებს არა ჰყავდეთ დაუძინარი და მოუღალავი მტერი. **Ე**ს მტერი არის ჩვენი ჰიკჰიკა ფრინველი, ჩვენი საყვარელი მერცხალი.

**Მ**ერცხალი დილის გარიჟრაჟიდან საღამოს ჟამამდინ დაუღალავად დანადირობს ბუზებზე, კოღოებზე, ქინქლებზე და სხვა ამ გვარ მწერებზედ. როცა მერცხალი დაფრინავს, ხშირად გაუხვ-გამოუხვევს ხოლმე, ხან ზეით ასრიალდება, ხან ქვეით ჩამოვა, თითქო რაღაცას ეთამაშებაო. **Მ**აგრამ ეს თამაში არ არის. **Მ**ერცხალი ამ დროს იჭერს ჰაერში მყოფს უჩინარს პატარა მწერებსა და ჰყლაპავს. **Მ**ართალია, ჩვენი ჰიკჰიკა უნისკარტებს პატარა პეპელებსაც, მფრინავ ჭიებსაც და სხვებსა. **Მ**აგრამ მაინც დევნა და ჟლეტა ზემოდ მოხსენებულის გამაბეზრებელი მწერებისა პირველი საქმეა მისი.

თუ ცხელი დღეა და ჰაერი ხმელი, მაშინ მერცხალი მაღლა ჰაერში დაჰქროლავს; რისთვის? იმისთვის, რომ ამ დროს პატარა ბუზები, კოღოები და ქინქლები მაღლა არიან ასულნი და იქ თამაშობენ. ხან აქედან გაუქროლებს მერცხალი მოთამაშე მწერებსა, ხან იქიდან, იჭერს თავისი პატარა ნისკარტით და გზავნის ჩინჩახვში. მაგრამ აი ცა მოიღრუბლა, ჰაერში დატრიალდა სინესტე; კოღოებს, ბუზებს და ქინქლებს ფრთები სინესტისაგან დაუმძიმდათ და დაბლა დაეშვნენ. მერცხლებიც ძირს ჩამოჰყვნენ და ახლა მიწის პირად ნადირობენ. ეს ავდრის ნიშანია, ამბობს გლეხი და არცა სტყუვდება.

ორ-ფრთიან მწერებს შორის არის ერთგვარი პაწია ბუზი, რომელიც ხშირად ღუპავს პურისა და დიკის მოსავალსა. თვითონ ეს ბუზი უვნებელია; მაგრამ თავისს კვერცხებსა სდებს პურის ღეროში თავთავის მოსხმის დროსა, და ამ კვერცხებიდან გამოდიან მატლები, რომელნიც გულს უჭამენ ნედლს მარცვალსა და აფუჭებენ. ამ მავნე ბუზების პირველი მტერი არის მერცხალი. ეს თვალს ადევნებს ყანებს თავთავის მოსხმის დროსა და შეამჩნევს თუ არა, რომ ბუზების გუნდი მოფრინდა ყანაში კვერცხების დასადებად, ერთნაირად დაიჭყივლებს, შეატყობინებს ამ ამბავს სხვა მერცხლებს, და ესენიც მიაშურებენ ყანისაკენ. დაერევიან ბუზებსა, უნისკარტებენ, იჭერენ, ქლეტენ, სჭამენ. არ დაითვლება, რამდენს სიკეთეს უშვრება მხვნელ-მთესველს მერცხალი ამ ბუზების გამუსვრითა.

ასეთი სასარგებლოა მერცხალი კაცისთვის. ხოლო რამდენად სასიამოვნოა, ეს წინედ დავინახეთ. ამიტომ თქვენ უთუოდ გესიამოვნებათ, თუ მერცხალს სხვა მხრივაც გაგაცნობთ.—

### 3. მოგზაურობა მერცხლებისა.

დადგება ენკენისთვე, ჵ მერცხლები სამხრეთისაკენ თბილს ქვეყნებში წასასვლელად ემზადებიან. ეთხოვებიან თავიანთ ბუდეებს, გარს უვლიან, ერთად იკრიბებიან და მერე გუნდ-

გუნდად გაუდგებიან ხოლმე გზასა. რადა გვტოვებენ ასე ადრე? ნუ-თუ აგრილების გამო. არა, სიგრილისა მერცხლებს აგრე რიგად არ ეშინიანთ. საქმე ის არის, რომ შემოდგომის ცივი ღამეები ქლეტს მწერებსა, და ამის გამო მერცხლებს საზრდო ელევათ. მერცხალი შემოდგომაზედაც ჩვენთან დარჩებოდა, რომ მარცვლეულობის და ხილეულობის ჭამა შეეძლოს; მაგრამ ამ საჭმლის ატანა სრულიადაც არ შეუძლიან. ერთად ერთი მისი საზრდო მწერები არიან, და ესენი კი შემოდგომის პირშივე თითქმის მთლად ჰქრებიან. მერცხალი უსაჭმლოდ რჩება და ეშურება თბილ ქვეყნებისაკენ, სადაც მრავალი მწერია ამ დროსა, ზამთარი არ იცის და მუდამ ზაფხულია.

თუმცა ცხელს ქვეყნებში მერცხლებს საჭმელი უხვად აქვთ, არავინ მათ არა სდევნის და მოსვენებით არიან, მაგრამ სიმხიარულე კი არ ეტყობათ. ძალიან იშვიათად ჭიკჭიკებენ, ბუდეებს არ იკეთებენ, კვერცხებს არ სდებენ, ბარტყებს არ სჩეკენ. დედალ-მამალნიც ცალ-ცალკე სცხოვრობენ და აშკარად ეტყობათ დარდი. ასეთი მოწყენით არიან ცხელს ქვეყნებში არა მარტო მერცხლები, არამედ ყველა სხვა ფრინველებიც, რომელნიც ჩვენი ქვეყნიდან მიდიან საზამთროდ. ეტყობათ, რომ იმ ქვეყნებს უცხოეთად სთვლიან, ჩვენი საქართველო კი თავისს საყვარელ სამშობლოდ მიაჩნიათ და ამის დარდი აწუხებთ.

ამის გამო, მოატანს თუ არა გაზაფხული, მერცხლებს და ყველა სხვა ჩვენებურს ფრინველებს, უცხოეთში მყოფთ, დარდი გულიდან გადაეყრებათ ხოლმე, თავისს სამშობლოში წასვლა ახარებთ მათ და ამიტომ გააქვთ ჟივილ-ხივილი. ხშირად გალობენ, დედალ-მამალნი ერთმანეთს უახლოვდებიან და ეთამაშებიან, ერთი-მეორეს ფრენაში ეჯიბრებიან და სხვანი. ბოლოს მამლებმა ერთად მოიყარეს თავი, ძახილით მოუწოდეს სხვა თავისს ამხანაგებსაც, შეადგინეს დიდ-დიდი გუნდები და გამოსწიეს ჩრდილოეთისაკენ, ჩვენს ქვეყანაში. გზაში ბევრი მათგანი იღუპება ადამიანებისაგან, მხეცებისა და ონავა-

რი ფრინველებისაგან; მაგრამ სხვებს აინუნშიაც არ მოსდით ესა და მხიარულად მოისწრაფებიან ჩრდილოეთისაკენ.

### 4. მერცხლების მოსვლა უცხოეთიდგან. ბუდის გაკეთება და ბარტყების გამოჩეკა.

თბილი გაზაფხულის დღე გამოვიდა. სოფლის დიდი და პატარა, ქალი და კაცი, შინიდგან გარედ გამოიშალნენ და ბანებზე სტკბებიან თბილი და წმინდა ჰაერით. უცებ ერთმა შორს მხედველმა ბავშმა შეჰყვირა: შენი ჭირიმე, დედავ, აგერ მერცხლები მოჰქრიან ჩვენსკენ. ეს ხმა გადავიდა ერთი ბანიდგან მეორეზე, ყველამ გაიხარა და სამხრეთისაკენ დაიწყო ცქერა. მერცხლების გუნდი მხიარულად შემოერია სოფელსა და შიგ დატრიალდა. „გამარჯვებათ, ჩვენო მეგობრებო, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!“ ეუბნებიან აქეთ-იქიდან სოფლელები, და მერცხლებიც თავისებურად მადლობას უხდიან, სალამს აძლევენ. მაშინვე თავიანთ ბუდეებს მიაშურეს, ნახეს, გასინჯეს და დარწმუნდნენ, რომ ადამიანებს მათთვის ეს ბუდეები თითქმის ყველა ხელუხლებლად შეუნახავთ. ამის გამო სიმხიარულეს, ჭიკჭიკს და მარდს ფრენას უფრო უმატეს. მეორე-მესამე დღეს დედლების გუნდიც მხიარული ჭიკჭიკით შემოესია სოფელს. მამლები მაღლა ავიდნენ ფრენით და იქიდან ათვალიერებენ დედლებს, უნდათ იცნონ თავიანთი დედლები მოსულებში და მიესალმონ. ბევრმა იცნო და მაშინვე მხიარულად მიუჭიკჭიკა თავისს დედალსა, ამასაც ძლიერ გაუხარდა თავისის მეგობრის ნახვა, და ერთად იწყეს ტრიალი, ჭიკჭიკი და მხიარულება. მაგრამ ზოგი მამალი კი ძლიერ დაღონდა. მათი დედალი მეგობრები არსადა სჩანან. რა მიზეზია? არ მოჰყოლიან ამ გუნდსა და სამწუხაროდ არც შემდეგში მოვლენ. ერთი დედალი მერცხალი ბოროტმა კაცმა გუნდის მოგზაურობის დროს მოჰკლა და შეახრამუნა, მეორე დაიჭირა ქორმა, როცა საშინლად დაღალული ამხანაგებთან იჯდა დასასვენებლად, მესამე წააწყდა ღამით ტელეგრაფის მავთულს და სული განუტევა, მეოთხე დააბროწიალა ქარიშხალმა, როცა

ზღვაზე მოფრინავდა სხვა მერცხლებთან და ძალა გამოულია, დაქანცული წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. მაგრამ ამ სახით დაიყლიტნენ არა მარტო ბევრი დედლები, არამედ მამლებიცა. ამიტომ ერთი გუნდის მომეტებული მამლები გადავიდნენ მეორე გუნდის მომეტებულ დედლებთან, გაიცნეს, დაუახლოვდნენ, დაუმეგობრდნენ, შეადგინეს წყვილი და შეუდგნენ ბუდის განახლებას, ან ახლის გაკეთებასა.

ბუდის კეთებაში მერცხლები დიდს ოსტატობას იჩენენ. მიფრინდებიან წყლის პირს, სადაც შავად გამოიცქირება სქელი, გაუმშრალი ტალახი და თავისი პატარა ნისკარტებით იღებენ ამ ტალახსა. პირით გადაზელ-გადმოზელენ, შემდეგ თავისი ლორწოიანი ნერწყვით დაასველებენ და მიარბენინებენ იქ, სადაც ბუდის ადგილი ამოირჩიეს. აი მიაკრეს ტალახი ორნივემ, გამობრუნდნენ და სწრაფად მოიტანეს მეორეჯერაც. მეორე ჯერს მოჰყვა მესამე, მეოთხე, მეხუთე და მთელი დღე ზიდეს, თითქმის შეუსვენებლივ, ტალახი და აკრეს ოსტატურად. მეორე დღესაც, ინათლა თუ არა, შეუდგნენ იმავე საქმესა და საღამო ჟამამდინ იმუშავეს. ყოველ დღე იზრდება ბუდე, მაგრამ მისს დასრულებას მხოლოდ ორის კვირის შემდეგ მოესწრებიან მერცხლები. გააკეთეს მრგვალი და ისეთი მკვიდრი ბუდე, რომ არამც თუ კედლიდან, ფიცრიდანაც კი ვერ მოგლეჯავთ მას, თუ იარაღი არ იხმარეთ. ბუდე ქვემოდ სქელია, ზეით თან-და-თან თხელდება, რომ სიმძიმემ ძალა არ დაატანოს. პირი აქვს მრგვალი და განიერი, რომ ჩაფრენა-ამოფრენა ადვილი იყოს. ახლა ბუდის მორთულობას შეუდგნენ. დაჰქროლავენ გარშემო ადგილებში, ეძებენ ბუმბულსა, ჩალაბულასა, ფრთებსა, იღებენ ნისკარტით, მიარბენინებენ ბუდეში და აგებენ შიგა. რამდენსამე დღეს ისეთი ფაფუკი საფენი დააგეს ბუდეში, რომ თქვენი მოწონებული. გაათავეს მძიმე შრომა, და ახლა დედალი კვერცხების დებას შეუდგა. ყოველ დღე სდებს თითო კვერცხსა, თხელ ნაჭუჭასა და ბჟყვრიალს. ერთის კვირის განმავლობაში დასდო შვიდი კვერცხი დედალმა და დააჯდა ზედა. ძალიან თბილად ინახავს კვერ-

ცხებსა და სჩეკს ბარტყებსა. **თუ** გაუცივდა, გაულაყდება. **ამი**ტომ, როცა დედალი ამოდის ბუდიდან საჭმლის საშოვნელად, ან წყლის დასალევად, მაშინვე მამალი აჯდება ზეიდან კვერცხებსა და ათბობს. **გავა** ორი კვირა ჩეკაში, და შიგ კვერცხების გულიდან მოისმის რაღაც რაკუნი, თითქო პაწია ჩაქუჩებს



უჩაკუნებენ შიგნიდანაო. **ეს** რა ამბავია? **ბარტყები** ნისკარტს სცემენ ნაჭუჭსა, რომ გამოამტვრიონ და გამოვიდნენ გარედ. **ერთმა** გატეხა ნაჭუჭი და გამოძვრა ბუდეში. **მას** მოჰყვა მეორე,

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე. მაგრამ მეშვიდე კი ტყუილად აკაკუნებს შიგნიდან, ვერ გამოტეხა და ვერა ნაჭუჭი. ეტყობა ნაჭუჭი ამ კვერცხისა უფრო სქელი ყოფილა, და სუსტი ნისკარტით ვერ მოჰრევია მას. მაშინ დედა მერცხალი სცემს გარედან თავისს ნისკარტს კვერცხსა, სტეხს მას და გამოჰყავს გარედ ბუდეში მეშვიდე ბარტყიცა. ბარტყები ამ დროს არიან ტიტვლები, უბუმბულონი, ბრმები, უძლურნი, ვეებერთელა უშნო თავები ასხიათ, პირი აქვთ განიერი, ყბები ყვითელ-ფერა. დედ-მამას კი ესენი ძალიან ლამაზებად მიაჩნია, მათ დაბადების შეჰხარის და მათს კვებაში ატარებს მთელს დღესა.—ბარტყები გაუმაძღარნი არიან, წამ-და-უწუმ აღებენ პირსა და ითხოვენ საჭმელსა. დედ-მამაც ახლა ერთი-ხუთად მეტს ირჯება, დაქროლავს გარშემო და მოარბენინებს საჭმელს შვილებისათვის. სამის კვირის შემდეგ რომ ბუდეში ჩაიხედოთ, საშინლად გაოცდებით. თქვენ ნახავთ შიგ დაზრდილს პატარა მერცხლებს, ლამაზებს და შნოიანებს. რომ დაუქშიოთ და დააფრთხოთ, ერთი მეორის შემდეგ ბუდიდან ამოფრინდებიან და იწყებენ ფრენასა. უნებლიედ ეკითხებით თავსა: ნუ-თუ ესენი არიან ის ტიტველა, წითელ-კანა, უშნო და მახინჯი ლლაპეპი, რომელთაც ჩვენ ვხედავდით სამის კვირის წინედ ბუდეში? ნუ-თუ ასე მალე მოასწრეს დაზრდა და შეიმოსნენ ხშირი და ფაფუკი ბუმბულითა და ფრთებით? დიაღ, ამაში ეჭვი არ არის. ახლა თქვენ იანგარიშეთ, რამდენი საჭმელი უნდა შეეჭამათ ამ ბარტყებსა, რომ კაკლის ოდენა მახინჯები გარდაქცეულიყვნენ შნოიან მერცხლებად. მოიგონეთ, რომ ეს საჭმელი შესდგება პაწია ბუზებისაგან, კოღოებისა და ქინქლებისაგან, რომელნიც თვალით ძლივსა სჩანან, დაფიქრდით ამაზე და იანგარიშეთ, რა აუარებელი რიცხვი ამ წვნიკის მწერებისა უნდა დაეჭირათ მერცხლებს, რომ გაეზარდათ შვილებიც და თავისი თავიც გამოეკვებათ.

### 5. ბარტყების დაზრდა. რად უყვართ პატარა ფრინველებს მერცხალი?

აი დააფრინეს მერცხლებმა ბარტყები. მეტად სასიამოვნო სანახავია. ჯერ ამოფრინდა ერთი ბარტყი, მას უკან მოჰყვა მეორე, მერე მესამე და ერთის წამის განმავლობაში ყველანი აფრინდნენ და მწკრივად დასხდნენ ერთმანეთის ახლო ბანზედ. დედ-მამა გარს ევლება მათ, ფაცურობს, მოაქვს საჭმელი, უდებს პირში, შესჭიკჭიკებს და შეჰხარის. უცებ ახალგაზრდა დები და ძმები აიშალნენ ბანიდან და გასწიეს ფრენითა. სინჯავენ, სცდიან თავისს ნორჩს ფრთებსა. თავდაპირველად ბარტყებს ფრენა არ ეხერხებათ, ხამობა ეტყობათ, მალე იღლებიან, ხშირად ისვენებენ; მაგრამ აი გავიდა რამდენიმე საათი და პატარა ბარტყებს გაოცებიდან გამოვყევართ: ამ მოკლე ხანში ისე კარგად ისწავლეს ფრენა, ისე გავარჯიშდნენ, რომ დიდებიდან ძლივს-ღა გამოარჩევ. მიფრინავენ წინ დიდები, და მათ ფეხ-და-ფეხ უკან მისდევენ ბარტყები, მისდევენ მარდად, ყოჩაღად. დიდები იჭერენ ამ ფრენის დროს მწერებს, ბრუნდებიან უკან და უდებენ პირში მიმდევარს შვილებსა. ხან მაღლა ცაში ადიან და იქ ცელქობენ, თამაშობენ და მწერებს სდევნიან. პატარები დღითი დღე ღონივრდებიან, ყოჩაღდებიან, სწავლობენ დედ-მამისაგან მარდად ჭერას პეპლებისას, მწერებისას და გრძნობენ, რომ ახლა თვითონაც შეუძლიანთ იცხოვრონ თავის-თავად, დიდების შეუწევნელად.

გავა ორი კვირა, და სახლობა დაიშლება, წავლენ-წამოვლენ და ყველა ყმაწვილი მერცხალი ცალკე იწყებს ცხოვრებასა.—
მერცხალი იმავე ზაფხულში მეორედაცა სდებს კვერცხებსა და სჩეკს ბარტყებს, ასე რომ თითო დედალ-მამალი თორმეტამდე შვილს დაზრდის ხოლმე ერთს ზაფხულში.

ყველა ახალი გაზრდილი მერცხალი ისეთივე ოსტატობით გააკეთებს ბუდესა, როგორც მისი დედ მამა აკეთებდა; მხურვალედ ეყვარება თავისი ბარტყები, სამაგალითო იქნება თავისი დაუღალავი მხნეობით, სიმხიარულით, მავნე მწერების ჟლეტით და საყვარელი იქნება ყველა ადამიანისათვის. მაგ-

რამ განა მარტო ადამიანისათვის? არა, პატარა ფრინველებსაც-კი უყვართ მერცხალი, იმიტომ რომ იმათაც ერთს დიდს სიკეთეს უშვრება. როცა ქარი მიპარვით უახლოვდება ფრინ-



ველებსა, ყველაზედ ადრე ამას მერცხალი შეიტყობს ხოლმე, რადგანაც თითქმის მთელი დღე დაფრინავს ხან დაბლა, ხან

მაღლა, ხან ერთს მხარეს და ხან მეორესა. შეიტყობს თუ არა, ერთნაირად დასჭყივლებს და ამ ჭყივილით უძახის ყველა ფრინველებსა: „არიქათ, ძმებო, ავაზაკი მოდის, თავს უშველეთ, მიიმალ-მოიმალენით!“ ესენიც დროზედ მონახვენ ხოლმე თავ-შესაფარსა და გადარჩებიან. თვითონ მერცხალი-კი არსად იმალება, რადგანაც ქორისა სრულიადაც არ ეშინიან. ისეთი უჩქარესი ფრენა იცის, ისეთი სწრაფი მიხვევ-მოხვევა, რომ ქორს მისი დაჭერა სრულიადაც არ შეუძლიან. მერცხალი საათში გარბის ასს ვერსსა, ქორი ამის ნახევარსაც ვერ გაივლის, რომ დაედევნოს, დაიქანცება, ილაჯი გაუწყდება და ვერაფერს გახდება. მერცხალი დაფრინავს ქორის გარშემო, დაცინვით დასჭყივის, აჯავრებს და თითქო ეუბნება: „აი, შე ავაზაკო, დარჩი თუ არა პირ-ცარიელიო!“ მოდი ამის შემდეგ და ნუ შეუყვარდებათ პატარა ფრინველებს მერცხალი.

რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ადამიანი და ყველა ყმაწვილი იყოს იმისთანა კეთილი, უვნებელი, გამრჯელი, მხიარული, მოსიყვარულე, სასიამოვნო და სასარგებლო ქვეყნისათვის, როგორიც არის მერცხალი!

## მ ე რ ც ხ ა ლ ი.

ეს რა ჩიტი მოფრენილა, საიდგან და სადაური,
თეთრ-გულა და ყელ-წითელა, შავ-ზურგა და უცნაური?
—ვიცნობ, ვიცნობ მაგ შავ-თვალას, ზამთარშია უცხოური;
ახლა სტუმრად ჩვენ გვეწვია, ზაფხულშია აქაური.
ეგ სირი ხომ მერცხალია, ჭია-ღუის დიდი მტერი,
ბუზებს იჭერს კამარაში, არ წაუვა არსად მწერი;
უმანკო და ტურფა, ნაზი, სულ არ არის დასაჭერი,
მაგას უნდა ვუთავაზოთ ბუდისათვის სახლის ჭერი.
დახე, ცაში როგორ მარდად ნავარდობს და თითქოს სცურავს,
ხან მიწის პირს ისრივით მიფრინავს და ფრთასა სწურავს;
ჭიკჭიკობს და შეექცევა, საქმეს არ იქმს დასამდურავს,
თიხას ჰზიდავს ნისკარტითა და ბუმბულით ბუდეს ჰბურავს...

აგერ, ვხედავ, შემომჯდარა... რას ღღურტუღებ ნეტა, ჩიტო!
„ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა, ამბობს, ემაწვილები ღღიტო!“
—რისთვის?—რადგან ბუდეს უშლით... აღარ დაუშალო, ტიტო!
ასე უთხარ: არას გერჩით, ჩვენო მტრედო, ჩვენო გვრიტო!

რაფიელ ერისთავი.

---

## ფ რ თ ი ა ნ ი  კ ა ტ ა,
## ა ნ უ  ჭ ო ტ ი.

### 1. დღისით მძინარი, ღამით მღვიძარი. უსამართლოდ სახელის გატეხა ჭოტისა.

როცა სახლში მძიმე ავადმყოფია, მთელი ღამე ანთია სანთელი, კვარი, ან ჭრაქი. სინათლე ფანჯრიდან, ან სანათურიდან გარედ გამოდის. ამ სინათლეზე გროვდება მრავალი ღამის პეპელა, იკრიბებიან დიდრონი და პატარა ბუზები, კიდევ სხვა ფრთიანი მწერები და ფუსფუსი გააქვთ სინათლეში. ავადმყოფს მათი ბზუილი და შრიალი არ ესიამოვნება; მაგრამ ერთი ფრთოსანი კი ალტაცებაში მოჰყავს. ეს ფრთოსანი არის ჭოტი.

მთელი დღე ჭოტს ეძინა, ან სთვლემდა კოშკის ნანგრევში, ან ხის ფუღუროში და მხოლოდ საღამოზე გამოიღვიძა, როცა სხვა ფრინველები მიეცნენ ტკბილს ძილსა. ხაშინელი



სიმშილი აწუხებს, რადგანაც მთელს დღეს ნაყრი არ უნახავს. რად ეძინა მთელი დღე და რატომ სხვა ფრინველივით არ დანადირობდა? იმიტომ, რომ ჭოტის ბღვრიალა და გადმოკარკლულს თვალებს აბრმავებს მზის შუქი და იგი დღისით ხეირიანად ვერასა ხედავს. ღამით-კი თვალის ბაიები ისე უგანიერდება, რომ ერთი ვარსკვლავის სინათლეც საკმარისია მისთვის, რომ ყველაფერი კარგად გაარჩიოს. ამის გამო ჭოტისათვის დღე ღამეა და ღამე დღე.

მშიერი ჭოტი ამოძვრა ძველის კოშკის ჯურღმულიდან, დაჯდა კედლის წვეროკინაზე და სოფელი დაათვალიერა

თავისი აბრიალებული და გაუმაძღარი თვალებითა. ერთს სახლთან დაინახა სინათლე, რომელიც ფანჯრიდან გამოდიოდა. ამ სინათლეში გაარჩია ურიცხვი პეპელა და ბუზი და სიხარულით ცას დაეწია. იმ წამსვე დაიძრა ადგილიდან, თავისი ღონიერი ფრთები ერთმანეთს შემოჰკრა და ისარივით გაექანა მწერებისაკენ. მიფრინავდა ისე ჩუმად, რომ მწერებმა ვერაფერი შეუტყეს, სანამ მათში ჭოტი არ გაერია. შევარდა გუნდში, სტაცა ნისკარტი ერთს დიდს პეპელასა და გადაყლაპა. მერე მეორე მხრიდან გამოუქროლა, ახლა ვეებერთელა ბუზი იგდო პირში და თავისს ჩინჩახვში გაგზავნა. ხელ-ახლად მოტრიალდა და ერთს სხვა პეპელასაც ეს დღე დააყენა. ამ სახით ინადირა მთელი ღამეები და თანაც ხშირად სიამოვნებას აცხადებდა თავის საზარი ხმითა, რომელიც ავადმყოფის და მის მომვლელის ყურებს ძლიერ ეჩოთირებოდა.

გარდაიცვალა ავადმყოფი, გაქრა ღამით სანთელი, მწერების ჭაჭანებაც აღარ იყო, და ჭოტმაც დასტოვა ეს ადგილი. დიასახლისმა იფიქრა: ჭოტი არსად იყო, ვიდრე ჩემი ავადმყოფი უკეთ იმყოფებოდა; გაჩნდა საიდგანღაც ჭოტი, და იგი შეიქმნა სულთამობრძავი; თავისი ბაიყუში ხმით იძახა იქამდინ, ვიდრე სიკვდილმა ხელიდან არ გამომაცალა. მომიკვდა პატრონი, და ჭოტის ხმაც შესწყდა. ეტყობა, ეს საძაგელი ფრინველი უბედურების წინამორბედი ყოფილა. წყეული და შეჩვენებული იყოს ბოროტი ჭოტი.

ეს მოვლენა შეამჩნია ბევრმა სხვა მომაკვდავის პატრონმაც და ყველა იმ აზრს დაადგა, რომ ჭოტი მომასწავებელია უბედურებისა, ბოროტია, მავნეა და ღირსი დევნისა და სიკვდილისა. ის კი არავის მოსდიოდა ჭკუაში, რომ ჭოტს არაფერი გაეგება არც სახლისა, არც მდგმურებისა და არც ავადმყოფისა. ის სულ სხვა წადილით მოდიოდა სანათიან სახლებთან და რას მოიფიქრებდა, თუ ბოროტის წინასწარმეტყველის ნიჭს დაუსაკუთრებდნენ.

ამ სახით გაუტყდა სახელი ჭოტს. ყველას იგი სძულდა, ყველა მას სწყევლიდა, თავის მტრად მიაჩნდა და თუ

სადმე მოასწრობდა, დიდი სიამოვნებით ჰკლავდა. ასე იყო უწინ, ასე არის ეხლაც. დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც, ერიც და მღვდელიც ჭოტს მავნებელ ფრინველად რაცხვენ და სცდილობენ სამაგიერო გადაუხადონ.

## 2. ჭოტს მეცნიერნი ესარჩლებიან.

ადამიანის ბედად, ჭოტი უენოა. ჭოტი რომ მეტყველი ყოფილიყო და შესძლებოდა სამართალში ჩივილი, მთელს კაცობრიობას დაუმტკიცებდა უსამართლობას, უვიცობას, შეარცხვენდა და თავისს წინაშე დიდ დამნაშავედ გამოიყვანდა. მას შეეძლო მოწმედ წარედგინა სამართალის წინაშე ახლანდელი საუკეთესო ბუნების მეცნიერნი, რომელნიც აღიარებენ, რომ ჭოტი დიდი მოკეთეა ადამიანისა, ფრიად სასარგებლო ფრინველია და არამც თუ უბედურების მომასწავებელი არ არის, არამედ ნამდვილ ბედნიერებას შეადგენს ყოველი ადგილისათვის, სადაც კი იგი დაბინავდება. ჭოტს, სხვათა შორის, შეეძლო გასამართლების ჟამს წაეკითხნა შემდეგი სიტყვები ქარლ ფოხტისა, რომელიც ერთი უპირველესი მეცნიერია ბუნების-მეტყველთა შორის: „ჭოტები სწორედ რომ ყველა ფრინველებზე სასარგებლონი არიან და ბედნიერება მიაქვთ ყველგან, სადაც კი ისინი დაიბუდებენ. იგინი ღირსნი არიან გამოსარჩლებისა, მფარველობისა, და უნდა ყველა იმასა ცდილობდეს, რომ ჭოტებმა ბუდეები იკეთონ სოფლებისა და სადგურების ახლო“.

რასაკვირველია, იკითხავთ: რითი, რა სიკეთით დაიმსახურა ჭოტმა ამისთანა სახარბიელო სახელი თანამედროვე მეცნიერთა შორის?

ადამიანის მოსავალსა და დოვლათსა ჰყავს ერთი დაუდეგარი და დიდად მაზარალებელი მტერი. ამ მტერსა ჰქვიან თაგვი. თავისი პატარა ბასრი კბილებით თაგვი ფესვებს უფუჭებს პურსა, სიმინდსა, ქერსა, შვრიასა, ღომსა და სხვა ჭინახულსა, ახრამუნებს ყოველ გვარს მარცვალსა, ხნულში დათესილსა, ან თავთავზე მობმულსა, სჭრის ტანისამოსსა, ბილწავს სასმელსა, ეტანება ყოველგვარს საჭმელსა და სხვანი. ერთი სიტყვით, ყოველი თავისი მოქმედებით ადა-

მიანს რასმე ჰვნებს. თვითონ ადამიანს თაგვის ხოცვა არ შეუძლიან. თაგვი ძლიერ მარდია, მიწაში სცხოვრობს, სწრაფად მრავლდება, და ადამიანი მას ვერას აკლებს. ამ პატარა ნადირთან საბრძოლველად დიდი ხანია ადამიანს გაუშინაურებია კატა. მაგრამ კატა ებრძვის თაგვსა მხოლოდ სადგურებში. ბოსტანსა, ვენახსა და მინდვრის ნახნავ-ნათესს კატა პატრონობას ვერ გაუწევს. აქ თაგვი საშინლად გამრავლდებოდა და დიდს ზარალს მისცემდა ყოველგვარ მოსავალსა, რომ მას მტრად არ გასჩენოდა ფრთიანი კატა. ეს ფრთიანი კატა არის ჭოტი. ეს უცნაური ფრინველი დაუფასებელი მეველეა ჭინახულისა ღამით, როცა ადამიანს სძინავს და თავისი ნახნავ-ნათესი ღვთის ამარად აქვს დატოვებული. ჭოტი დაუღალავად სდევნის თაგვსა და ჟლეტავს. ამ პატარა მავნე ნადირის ჭერაში ისე გაოსტატებულია, რომ კაცი სწორედ გაოცდება. ჭოტს ძლიერ ჰშველის ის გარემოება, რომ ღამით დანადირობს. თაგვები დღისით სოროებში არიან მიმალულნი, ღამით-კი არავისი ეშინიანთ და ზეით თამამად ამოდიან. ღამით თაგვები ცუდად ხედავენ, ჭოტს კი ღამით ისე უჭრის თვალი, როგორც ადამიანს დღისით. მეტადრე მუსრს ავლებენ თაგვებს ჭოტები ბარტყების გამოზრდის დროსა. მთელი ღამე დაუღალავად მოაქვს ბუდეში დედალ-მამალს თაგვები და აჭმევს ბარტყებსა. ერთმა მეცნიერმა, სახელად ჩუდიმ, მიაგნო ჭოტების ბუდესა და ერთს საღამოს ამ ბუდის ახლო მიიმალა და უთვალ-თვალა. და რა აღმოჩნდა? ერთის საღამოს განმავლობაში დასთვალა თერთმეტი თაგვი, მიტანილი ბუდეში დედალ-მამალი ჭოტისაგან.

### 3. ორ-გვარი სიკეთე ჭოტისა. გაშინაურებულის ჭოტის ჩინებული ხასიათი.

გერმანიაში სოფლის მხვნელ-მთესველთა და მამულის პატრონთ დაქირავებული ჰყავთ ერთგვარი მეველეები, რომელნიც ვალდებულნი არიან იჭირონ და ჟლიტონ ვირთაგვები და თაგვები და ამითი მოსავალს ხელი შეუწყონ. ამ სამსახურისთვის მათ კარგი ჯამაგირები ეძლევათ. მეცნიერთა გამო-

კვლევით, მთელი ეს გროვა მევვლეები ორის წლის განმავლობაში ვერ დაიჭერენ იმდენს თაგვსა, რამდენსაც ქლეტენ ყოველს თვეში გერმანიის ქოტები. გერმანელი გლეხი კი თავისს ჩათლახს მევვლეებს კარგს ჯამაგირს აძლევს, ხოლო ფრთიანსა, მარდსა, მუქთსა და უფრო სასარგებლო მევვლეებსა სდევნის და ჰხოცავს. მეტი სიბრმავე და უსამართლობა იქნება?

ერთი სიტყვით, ყოველი ქოტი ხასიათით და ნადირობით ნამდვილი მფრინავი კატაა, და რა სიკეთეც კატას სახლში მოაქვს, ერთი ასად მეტს სიკეთესა სძენს ქოტი ვენახსა და ნახნავ-ნათესსა. ამასთან ოთხ-ფეხი კატა შენახვასა და ხარჯს თხოულობს, ხშირად საჭმელს უჭამს პატრონსა, ქურქელსაც უმტვრევს, ფრთიანი ორ-ფეხა კატა-კი უხარჯოდ, უფასოდ ემსახურება, იოტის ოდენა ზარალს არ აძლევს და მხოლოდ ევედრება: სიკეთისთვის ბოროტს ნუ მიშვრებით და მეგობრობისათვის მტრობასო. მაგრამ უვიცს ადამიანს ეს თხოვნა არ ესმის და საარაკო უსამართლობას სჩადის.

ეს კიდევ ცოტაა. ჭოტი ჩვენ გვიწევს მეორე დიდს სამსახურსაც, რომელიც კატას სრულიად არ შეუძლიან. თაგვის გარდა ყოველ გვარს მოსავალს ჰყავს ერთი კიდევ საშინელი მტერი, თაგვზე ბევრად უარესი. ეს მტერი არის სხვა და სხვა ქია-მატლი. ჭია-მატლები უხდენენ მცენარეებს ფესვებსა, ყლორტებსა, ფოთლებსა, კოკორსა, ყვავილსა და ნაყოფსა და ძლიერ ამცირებენ მოსავალს ბოსტნისას, ვენახისას და ნახნავ-ნათესისას. ამ მტრებს მოსავლისას მუდამ ებრძვის მუქთი ჯარი ფრინველებისა; ხოლო ფრინველთა შორის ერთი საუკეთესო მეომარი არის ქოტი. ჭოტი ქია-მატლებს მაშინაც სდევნის და ქლეტს, როდესაც თაგვებით მაძღარია, რადგანაც ეს მწერები მისთვის პირის ჩასატკბანურებელნი არიან. გარნა როცა ქოტს თაგვი საჭმელად აკლია, მაშინ მწერებს სულ მუსრს ავლებს. მეტადრე ბევრს ქია-მატლს აშორებენ მცენარეებს ქოტები მაშინ, როდესაც ბარტყები ახალი გამოჩეკილი ჰყავთ. ჩვილს ქოტებს თაგვის ხორცის მო-

ნელება ჯერედ არ შეუძლიანთ, და ამიტომ დედალ-მამალი მათ სულ მატლებით და ჭიებით ჰკვებავს. და ისიც რომელი ჭია-მატლებით? იმისთანებით, რომელნიც უფრო მავნებელნი არიან მოსავლისათვის. ჭოტებს ეს ჭია-ღუა, მავნებელი მწერები არ გამოეპარებათ, ვერ დაემალებათ ვერც მიწაზე, ვერც ბალახებში, არც ხეზე და არც სხვა ადგილს. სხვა ფრინველები სდევნიან ჭია-მატლებს დღისით, როდესაც მათ ჰღვიძავთ, ყველაფერსა ჰხედავენ და შეუძლიანთ დაემალნენ, თავს უშველონ. ჭოტები-კი უხილავი მტრები არიან, ღამით დანადირობენ, ძლიერ ჩუმი ფრენით ეპარებიან და მძინარე მატლებს უნისკარტებენ.

ამ სახით, ჭოტი არის მოსისხლე მტერი და მჟლეტელი ადამიანის ორის მეტად მაზარალებელის მტრისა: თაგვისა და ჭია-მატლისა. ამიტომ ნამდვილს ბედნიერებას შეადგენს ყველა ადგილისათვის, სადაც კი იგი დაიბუდებს, კარლ ფოხტისა არ იყოს. ადამიანი კი ამ თავისს უძვირფასესს მეგობარს მტრობასა და დევნას არ ულევს და სცდილობს მისი სახსენებელი ამოაგდოს! აი უვიცობამ და უსწავლელობამ რა იცის.

ჭოტმა გაშინაურებაც ადვილად იცის და დიდს ჭკუასაც იჩენს. ძნელად გასტეხს, ან გააფუჭებს რასმე, რიგზე და წესზე სცხოვრობს და ძლიერ აყვარებს თავისს თავს პატრონსა. მოძრაობა და ფრენა უცნაური აქვს, მოსწონს პრანჭვა-გრეხა და ხშირად გულიანად აცინებს შინაურებსა. ცუდ გუნებაზეა, როცა სახლი მზით არის გაჩაღებული, და ამ დროს მობუზული ზის სადმე ბნელს კუთხეში. კარგს ქეიფზე დადგება ხოლმე, როცა ღრუბლიანი დღეა, ან ფარდებით არის დაჩრდილული ოთახი. მეგობრობა გულითადი იცის. ერთმა გაშინაურებულმა ჭოტმა ისე შეიყვარა კატის კნუტი, რომ აღარ შორდებოდა და კალათაშიაც მუდამ მასთან იწვა. თუმცა ამ ჭოტს შინ საჭმელი ბლომად ჰქონდა, მაგრამ ბოსტანსა და ბაღჩაში უწინდებურად დანადირობდა თაგვებსა და ჭია-მატლებზე ღამ-ღამობით... გაშინაურებული ჭოტი მოგაგონებთ ულამაზო ადამიანსა, რომელიც ჭკუით, კეთილი გულით,

მშვიდობიანი ხასიათით და უწყინარობით ყველას გულს იგებს და თავს აყვარებს.

---

## შ ო შ ი ა.

### 1. რად უყვარს ადამიანს შოშია მერცხალსავით. რა სიკეთეს გვძლევნის.

შოშია ადამიანს თითქმის იმდენადვე უყვარს, რამდენადაც მერცხალი. და საბუთიც აქვს. შოშია ლამაზი ფრინველია, მბზინავი ბუმბულის პატრონი, ოქროს ფერი ნისკარტი აბია, მეტად ცქვიტია და მხიარული ხასიათისა. მისი პირი დილიდან საღამომდის არ დადგება, სულ ყბედობს, გალობს, უსტვენს, ტრიალებს, ცელქობს. რაც უნდა ცუდს გუნებაზედ იყოს კაცი, შოშია დარდს უქარვებს; თავისი მხიარულობით და სიცოცხლით სავსე მოძრაობით კაცს თითქო ეუბნება: რას ჩამოგიყრია ყურები, ესე ჩემსავით ყოჩაღად იყავიო. კიდეც



ამიტომ ცდილობს ადამიანი თავის ახლო გააკეთებინოს ბინა ამ მხიარულს და ცოცხალს ფრინველსა. ასე გასინჯეთ, ხის ბუდესაც კი უკეთებს და თავისს კარ-მიდამოზედ ამოსულს ხეზე ჩამოუკიდებს ხოლმე.

კიდევ უფრო მეტად შეიყვარებთ შოშიასა, როცა გაიგებთ, რომ ეს მგალობელი ფრინველი მჟლეტელია მოსავლის მტრებისა და მუდამ იკვებება მავნე მწერებითა,რომლებზედაც მარჯვედ ნადირობს. გავიცნოთ ახლო ცხოვრება ამ სასიამოვნო და სასარგებლო ფრინველისა.

გაზაფხულის პირზე, თბილის და კაშკაშა შუადღის დროს, მაღლა ცაში სამხრეთიდან მოჰქრიან ჩვენსკენ გრძლად დამწკრივებული გარეული ბატები და იხვები. მათ შორის მო-

ჩანან პატარა შავი ფრინველები გუნდ-გუნდად. ფრენა ამათ ისეთი თავისებური აქვთ, რომ მაშინვე იცნობ და იტყვი: ესენი სწორედ შოშიები არიანო. მათი გუნდი ხან აქეთ-იქით ცაში იფანტება, მუჭით გადაყრილი ცერცვივით, ხან ერთმანეთისაკენ გაექანებიან, შეერთდებიან და შეადგენენ ერთს შავს გუნდსა. ფრენა აქვთ მარდი, ცქვიტი, თითქო თამაშობენო. აი თავისს სოფელს მოატანეს, ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ჯგუფად შემოუარეს მას გარს და უცებ ტყვიასავით მიწაზე დაეცნენ სოფლის გვერდით მდებარე კორდზედ. სასაცილო სანახავები არიან შოშიები ამ დროსა: ისე დასხდნენ ახლად ამწვანებულს ბალახზე და ისე გამოიჭიმნენ, თითქო სალდათები იყვნენ; თავი მაღლა აიშვირეს, მოიყელყელავეს და გაშეშდნენ. დარჩნენ ასე გაშეშებულნი რამდენსამე წამს. მერმე უცებ, ერთბაშად შეხტნენ, შემოტრიალდნენ, შეუდგათ ერთი ალიაქოთი და გაიქც-გამოიქცნენ აქეთ-იქით. რაღა? ჰშიანთ, ძალიან ჰშიანთ. საჭმელს ეძებენ და ხარბად სჭამენ. გაძღნენ, მოიკლეს სიმშილიც, წყურვილიც და ყველანი გაეშურნენ ძველის ბუდეების საპოვნელად და დასაჩემებლად. ბუდეებზე ცილობენ, ძმობას სრულიად ივიწყებენ: დიდი ჩხუბი აქვს ზოგსა და უნისკარტებენ ერთმანეთს, ბუმბულს აგლეჯენ, ჰკბენენ. ბოლოს დაბინავდნენ, ყველამ დაიჩემა ბუდე და დამშვიდდნენ. დიდი სიხარული შეუდგათ და მორთეს განუწყვეტელი გალობა, თავიანთი საამური სტვენა. სტვენაში ვის არა ჰბაძავენ, ვის არ აჯავრებენ ჩვენი მხიარული შოშიები! გოჭის ჭყვირილი, კატის კნავილი, მწყრის ჭუკჭუკი და კიდევ სხვა ხმები გამოისმის იმათ გალობაში. ახლა თვითონ შოშიას უნდა ადევნო თვალი, რას შვრება. ხან გაიფხორება, აიბურძგნება, ხან შეიკუმშება და კოპწიაობს, ხან ფრთებს აქნევს, ხან თავს უკრავს ვილასაცა, ხტუნავს, ცქმუტავს, თითქო სამასხარო კამედიის ადგენსო.

### 2. ბუდის გაკეთება და ბარტყების დაფრენა. მოშინაურება შოშიასი.

თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ყოველს ბუდეს დაპატრონა მხოლოდ თითო შოშია. მეორე შოშია მასთან არა ჩანს. არც ბუდის წმენდასა და განახლებაზე ზრუნავს ჯერ მისი დამჩემებელი. თითქო ვილასაც ელის. ამ ლოდინში გავიდა რამდენიმე დღე. უცებ გაჩნდა სამხრეთიდგანვე მეორე ვეებერთელა გუნდი შოშიებისა და ამავე ადგილს დაეშვა. უველა წინედ მოსული შოშია დაუახლოვდა, დაუმეგობრდა ერთს რომელსამე ახლად მოსულსა. ვინ არიან ეს ახლად მოსულები? დედალი შოშიები. ესენი მამლების შემდეგ მოდიან ყოველთვის. დედალ-მამალნი მაშინვე შეუდგნენ ბუდის წმენდას და განახლებასა. აგებენ შიგ ფოთლებსა, ბუმბულს, ჩალა-ბულას და სხვასა. დედალი შოშია სდებს ექვს-შვიდს კვერცხსა მოლურჯო ფერისას. ორის კვირის შემდეგ გამოიჩიკნენ პატარა შოშიები, რომელთაც არაფრის ჭამა არ შეუძლიანთ, გარდა პატარა მწერებისა. ამიტომ დედალ-მამალი დაფრინავს მინდორში, იჭერს პეპელებს, ბუზებს, ჭიებს, მატლებს და მიართმევს თავისს ბარტყებთანა. აუარებელს მავნე მწერებს ულეტენ ამ დროს შოშიები და დიდს სიკეთეს უშვრებიან ბაღებს, ვენახებს, ბოსტნებს და ნათესსა.

ორი კვირის განმავლობაში პატარა შოშიები ისე იზრდებიან, რომ დასაფრენად მზად არიან. დედალ-მამალს ამოჰყავს ბუდიდგან და მიჰყავს ან ბოსტანში, ან ბაღში, ან სხვა მყუდრო ადგილებში და ასწავლის მწერების ჭერასა. როცა ფრენაში გავარჯიშდებიან ბარტყები და გამოიცდებიან, მაშინ ისინი მინდორში გაჰყავს დედ-მამასა და აქ უფრო თავისუფლად ნადირობენ მწერებზე. რადგანაც ჭია-მატლების მეტს არასა სჭამენ არას დროს არც დიდი შოშიები და არც ახალგაზდები, ამიტომ აუარებელს მწერებს აშორებენ თავიდან ბოსტნეულობას, ვაზსა, ხეხილსა და ნათესსა. ამისთანა სამსახურს უწევენ შოშიები მხვნელ-მთესველს მთელის ზაფხულის განმავლობაში. შემოდგომის პირში კი ყველანი შეუდგე-

ბიან ხოლმე სამგზავრო მზადებას. იკრიბებიან ერთად ჩირგვნარებში, ადგენენ დიდრონ გუნდებსა, მერმე აფრინდებიან და მიდიან თბილს სამხრეთის ქვეყნებში. მხოლოდ წასვლის დროს ისეთი სიმხიარულე არ ეტყობათ, როგორც მაშინ, როდესაც ჩვენსა მოდიან. სჩანს საქართველო მათ მიაჩნიათ თავისს საყვარელ სამშობლოდ და სამხრეთის მხარეებს კი უცხო ქვეყნებად სთვლიან.

ბზაზე ბევრი შოშია იხოცება,—ზოგი უგუნური ხალხი ასობით და ათასობით იჭერს ამ დაუფასებელს ფრინველსა და სჭამს, თავისს მოსავლის მტრების სასიხარულოდ და გასამრავლებლად. ქართველები ჭამით არა ვჭამთ შოშიებსა, მაგრამ ჯოხის ან ქვის სროლა კი ვიცით და ბუდესაც ხან-და-ხან ვუშლით. ეს დიდი უგუნურებაა, მტკნარი სულელობაა. შოშია დიდს სიამოვნებასაც გვაგრძნობინებს თავისი მხიარული გალობით და ხასიათით და დიდს სიკეთესაც გვიშვრება მავნე მწერების ჟლეტით. ვნების, ზარალის მოტანა მას სრულიად არ შეუძლიან და არც მოაქვს. მერცხალივით ეს ფრინველიც ნამდვილი წყარო სიამოვნებისაც და სარგებლობისაცა. მხოლოდ უვიცი და თავისი მტერი არ მოეპყრობა მას მეგობრულად და სიყვარულით.

შოშიას გაშინაურება ძალიან ადვილია. ჭაცს მალე შეეჩვევა ხოლმე და თავისი სტვენით ასიამოვნებს. სარგებლობაც მოაქვს: ჭიებს, მატლებს, ბუზებს, ბაბაჭუებს, ჭრიჭინებს და სხვა მწერებს აქრობს სახლში და სისუფთავეს ძლიერ ეწევა. ისეთი ნიჭიერია, რომ მთელს საგალობლებს ადვილად სწავლობს და მღერის. სიტყვების დახსომებაც შეუძლიან და თუთიყუშს არც კი დაუვარდება ამ მხრივ.

თუ შოშიას გაშინაურება მოინდომოთ, ასე მოიქეცით: ბუდიდან ამოიყვანეთ მაშინ, როცა ბუმბულით და ფრთებით შეიმოსება, მაგრამ ჯერ კიდევ დასაფრენი არ არის. აჭამეთ თეთრი, წმინდა პური, რძეში დასველებული, ან უკეთეთ რძის ფლავი. მეტი არაფერი უნდა. მანამ პატარები არიან, კატა არიდეთ, მერე კი, როცა დაიზრდებიან, ალარავის დაე-

ბრიყვებინებიან. გამარჯვებით ებრძვიან არამც თუ შინაურ დიდს ფრინველებსა, არამედ კატასა და ძაღლსაც და ხშირად უჭამენ მათ საჭმელსა. კატასა და ძაღლს იმიტომ ეშინიანთ შოშიასი, რომ მარჯვედ იცის ჩაკვრა თავისი ნისკარტისა თვალებში, ასე რომ ადვილად შეუძლიან დააბრმავოს თავისი მტერი. შოშიას კი კატა და ძაღლი პირს ვერ მოავლებენ, რადგანაც საოცრად მარდია და სწრაფი. გაჩვეულს შოშიას შეგიძლიანთ სრული თავისუფლება მიანიჭოთ. როგორც სხვა შინაური ფრინველები, ისიც შორს არსად წავა; მიისეირნ-მოისეირნებს და ისევ დაბრუნდება თავისს პატრონთან, რომელიც მას უყვარს მზრუნველობისათვის და რომელსაც ასიამოვნებს თავისი საამური სტვენით, ართობს თავისი სიცელქით და სიკეთესაც უშვრება მწერების ხოცვითა სახლში და კარ-მიდამოზედ.

## შ ა შ ვ ი.

უცხო, მშვენიერს გალიას უცხო შაშვი სჯდა, გალობდა,
ხან ჭახჭახებდა, უსტვენდა, ხან თვისს ტყვეობას ჰგლოვობდა;
ხან მართულთ კუთხეთ მიაწყდის, ხან გამოხსნასა სცდილობდა,
ხან დაღალული ტკბილი ხმით შორს სატრფოს თვის შაშვს უხმობდა:
„დაგნატრი იმ დროს, როს ვიყავთ შეტკბობილ ერთად ბუდესა,
მზის ამოსვლასა ვხარობდით, ვეტრფოდით ცისა ზღუდესა,
თავისუფლადა ვჯდებოდით ხესა სწორეს, გინდ ბრუნდესა;
აწ ტყვეთ მეოფს შენი სიშორე მაშხამებს წუთი-სოფელსა!“

ალექსანდრე ჩიქოვანი.

## გომბეშო—ბოსტნის მცველი.

საღამოს ჟამზე შინ შეხვედით. დაკრიალებულს ეზოში არა სულდგმული არ მოიპოვებოდა. პატარა ხანს უკან სახლიდან გამოხვედით ეზოში და კინაღამ ფეხი არ დაადგით რაღაც ჩუმს არსებას, რომელმაც იხტუნა და ხტუნვით იქით

გაგეცალოთ. ფუი, გომბეშო! წამოიძახეთ თქვენა სიძულვილით და ზიზღით.

დიაღ, გომბეშო ყველას ეზიზღება. რად? ჯერ იმიტომ, რომ საზარელი შეხედულობა აქვს. ტალახის ფერი, გაბერილი მუცელი, მრუდე ფეხები, გადმოკარკლული თვალები, ბურცებიანი და ჭენჭიანი კანი საშინელ მახინჯად ხდიან გომბეშოსა. მეორეც, გომბეშოს მუდამ გამოსდის თავსა და ზურგზე ჭენჭი, რომელსაც აქვს მსუსხავი და შხამიანი თვისება. ეს ჭენჭი რომ კაცის კანს მიეცხოს, ქავილს მოჰგვრის; თუ გაკაწრულს ადგილს მოჰხვდა, საშინელს წვას აუტეხავს. თუ თქვენ ხელში აიყვანეთ გომბეშო და მერმე დაუბანელი ხელით თვალები მოისრისეთ, მაშინვე იგრძნობთ დიდს სიმწვავეს და შეიძლება თვალის ანთებაც დაგემართოთ. მაგრამ საზოგადოდ ეს შხამიანი ჭენჭი ადამიანისათვის მაგრე რიგად არ არის მავნებელი. სრულიად სხვა ნაირად მოქმედობს პატარა ცხოველებზედ. ფრინველები, თევზები, ბაყაყები, რომელთათვის საცდელად დაულევინებიათ ეს ჭენჭი, საშინელი ტანჯვით დახოცილან ყოველთვის. ძაღლი, რომელმაც ერთხელ იწვნია გომბეშოს ჭენჭი, მეორედ ველარა ჰბედავს მიეკაროს. არც ერთს მხეცს არ შეუძლიან სჭამოს გომბეშო, გარდა ანკარასი, რომელიც არხეინად შეექცევა ხოლმე გომბეშოსა და არავითარ ვნებას არა გრძნობს მისი შხამიანი ჭენჭისაგან. ადამიანი-კი უნდა ერიდოს მხოლოდ ხელში გომბეშოს აყვანასა, და მაშინ ეს ცხოველი მას არავითარს ვნებას არ მიაყენებს. მაგრამ იქნება ყველას ისა სჯობდეს, რომ მიწის ბაყაყები გავჟლიტოთ? არა, ეს იქნება დიდი უგუნურობა. გომბეშო დიდად საზიზღარია, მაგრამ ამასთან დიდადაც სასარგებლო და დიდი სიკეთის დამთესი. გომბეშო რომ არ ყოფილიყო, ხშირად, ძალიან ხშირად ბოსტანი მოსავალს სრულიად მოაცდენ-



და, სხვა გვარი მოსავალიც იკლებდა, და მხვნელ-მთესველი დიდს ზარალში იქნებოდა.

საქმე ის არის, რომ დღისით, როგორც უკვე ვიცით, ბოსტანს უყარაულებენ ჩიტები, რომლებიც კომბოსტოს ფო-



თლებიდან, ხახვიდან და სხვა მწვანილიდან ჰკრეფენ ჭიებსა, მატლებსა, ჭია-ღუასა და არ აფუჭებინებენ ბოსტანსა. ღამით,

როგორც ვიცით, ჩიტებს თავიანთ ბუდეებში სძინავთ. ჭიები, მატლები, ლოკოკინები იდროვებენ ხოლმე და, დაღამდება თუ არა, ბოსტანში მიდიან კომბოსტოსა და სხვა მწვანილის საჭმელად. ღამის პეპელებიც სწორედ ამ დროს სდებენ ბოსტნეულობაზე თავისს კვერცხებსა, რომელთაგან გამოიჩიკებიან ხოლმე ღორმუცელა მატლები, და სთქვლეფენ კომბოსტოს და მწვანილსა. ესენი სრულიად აოხრებდნენ ბოსტნეულობასა, რომ გომბეშოები არ ყოფილიყვნენ. ამათ მთელი დღე სძინავთ ნესტიანს სოროებში, მაგრამ დაღამდება თუ არა, მაშინვე ხტუნვით გამოდიან გარედ და დაერევიან ხოლმე ბოსტნის მტერს მწერებსა. მთელის დღის მშიერი გომბეშო გაუმაძღრობას იჩენს და ბევრს მწერს ჭლეტავს. თუნდაც ღამის პეპელა მაღლა იჯდეს, გომბეშოს ვერ გადაურჩება. ჩუმად მიეპარება, მარდად შეხტება, თითქმის ცერის სიგრძეზე გამოაგდებს თავისს წებოიანს ენასა, მოავლებს პეპელასა და გაგზავნის თავისს მუცელში. ამ სურათზე ცხადად არის გამოხატული ეს ნადირობა გომბეშოსი ღამის პეპელაზედ. ენის აგებულება გომბეშოს თავისებური აქვს და ეს ძლიერ ჰშველის პეპელების და სხვა მწერების ჭერაში. ენა უკუღმა აბია გომბეშოსა. ძირი ენისა წინ აქვს, წვერი უკანა. ამის გამო მთელს ენას გამოაგდებს ხოლმე გარედ და დიდს მანძილზე სწვდება.

უწინდელმა მებოსტნეებმა არ იცოდნენ გომბეშოების სარგებლობა და, რადგანაც ისინი საზიზღარნი არიან, სდევნიდნენ და ხოცავდნენ მათ. ახლა-კი გომბეშოს დიდი პატივით ეპყრობიან. როგორც სახლებში ჰყავთ კატები თაგვების გასაწყვეტად, ისე ბოსტნებში გომბეშოებს ზრდიან მატლების გასამუსრად. პარიჟსა და ლონდონში მებოსტნეები არამც თუ არას ერჩიან გომბეშოებსა, კიდეც ყიდულობენ გასაშენებლად. ამრავლებენ, ავსებენ ბოჭკებსა და ზღვით უგზავნიან სხვა-და-სხვა ქვეყნებში მებოსტნეებსა და ფასსაც კარგს იღებენ.

თუმცა გომბეშოს უფრო ბოსტნის ახლო უყვარს ცხოვრება და უფრო ხშირად აქ დანადირობს, მაგრამ არც ვენახებს და ბაღებს ერიდება, მინდორშიაც იკეთებს ბინასა და

ყველგან მუსრს ავლებს მავნე მწერებსა. ამითი ძლიერ ხელს უმართავს მხვნელ-მთესველსა და დიდს სამსახურს უწევს. ჩვენც ნუ ვიქნებით უმადურნი, ნუ მივაქცევთ ყურადღებს ცუდს გარეგნობასა, მახინჯს შეხედულობასა, სახეში ვიქონიოთ გომბეშოს დიდი სარგებლობა და სიკეთისათვის მფარველობა გავუწიოთ.

---

## ღ ა მ უ რ ა.

### 1. დიდი სარგებლობა ღამურასი. მისი აგებულება.

ზაფხულის ცხელი დღე დაღამდა. მიიმალ-მოიმალნენ და ძილს მიეცნენ ფრინველებიც, სხვა ცხოველებიც და მწერებიც. თითქო შესწყდა ბრძოლა სხვა-და-სხვა სულდგმულებისა ერთმანეთთან; მაგრამ ეს ასე გვეჩვენება მხოლოდ, თვალი გვატყუებს. ბრძოლის მოედანი ახლა სხვა სულიერებს დარჩათ. დღის მეომარნი დაილალნენ, მოსვენებას მისცეს თავი. ღამის მეომართ დღისით ეძინათ, ახლა გამოიღვიძეს, დასტოვეს თავისი ბუნაგები და სანადიროდ გამოვიდნენ. ამ ღამის სულდგმულთა შორის ბევრნი მავნებელნი არიან ადამიანისათვის, უფუჭებენ ბოსტანს, ვენახს, ყანას და სხვა-და-სხვა ჰინახულსა, უფუჭებენ ჩუმად, უხილავად და დაუბრკოლებლივ. ყოველგვარ მოსავალს ბოლოს მოუღებდნენ ეს ღამის მცარცველები და ქურდები, ადამიანს რომ არა ჰყოლოდა ღამის სულდგმულთა შორის ზოგიერთი მოკეთე, მეგობარი, მცველი და მფარველი მისის ჰინახულისა. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ღამურასა, რომელიც ღამით ჟლეტს მავნე მწერებსა და ხელს უწყობს მოსავალსა. ბეღურა ჩიტი ხომ ისეთი სასარგებლო გამოდგა, ღამურა კიდევ უფრო მეტს სიკეთესა სძლევნის ადამიანსა. ჩიტი ცოტაოდენს ზარალს მაინც გვაძლევს, ღამურა კი სიკეთის მეტს არას გვიშვრება, იოტის ოდენა ზარალიც კი არ შეუძლიან. ჩვენ კი უცოდინარობის გამო გვძულს ეს ფრიად სასარგებლო, ყოვლად უვნებელი სულიე-

რი და მზადა ვართ ყოველთვის ვტანჯოთ და მოვკლათ იგი. ჭკვიანები ვყოფილვართ, განა? გავიცნოთ ახლა ეს ჩვენი ულაზათო, უშნო, მაგრამ ძლიერ სასარგებლო მეგობარი.

მეტად უცნაური ცხოველია ღამურა. რომ გკითხოთ, რა სულდგმულია ღამურა, თქვენ მომიგებთ: რაღა კითხი უნდა, ფრინველია.



დიაღ, ღამურამ სწრაფი და მარდი ფრენა იცის და გვიანაც ილ-ლება; ფრენაში ბევრით სჯობია ბეღურა ჩიტსა და თვითონ მერცხალსაც კი არ დაუვარდება; მაგრამ ფრინველი კი არ არის,— ეს სჩანს დღესავით ცხადად იქიდან, რომ არც კვერცხებსა სდებს და არც ბარტყებსა სჩეკს, არამედ შობს ცოცხალს შვილებსა და ზრდის მათ თავისი საკუთარი რძითა, როგორც ძროხა, ცხვარი, ღორი, ძაღლი, კატა და სხვანი. ამის გარდა, ღამურას ტანზე ბუმბული კი არ ასხია, ბალნით არის შემოსილი. ერთი სიტყვით, რძე-მწოველს ცხოველებს ეკუთვნის. მაგრამ სხვაფრივ კი სრულიად არა ჰგავს მათ. მთელი ტანი ერთს პატარა მოგრძო გუნდას მიუგავს. მოკლესა და უძრავს კისერზედ აბია პაწია თავი, ერთი ბეწვა თვალებით და ვეებერთელა ყურებითა, ფეხები მოკლეები ასხია. ყველაზე კი შესანიშნავია წინა ფეხები ღამურასი. ეს ფეხები ფრთებად აქვს გარდაქცეული. ყოველი ძვალი ამ ფეხებისა გაშლილია და მეტად დაგძელებული. მხოლოდ ცერს აქვს თავისი ბუნებრივი სახე და თავდება მოკაუჭებული ფრჩხილითა. დანარჩენი ოთხი თითი ორივე წინა ფეხისა, მეტის მეტად გაშვერილი გრძლად, მოკლებულია სრულიად ფრჩხილებსა. ეს წინა ფეხების ძვლები გაერთებულია სიფრიფანა, მაგარი და გასაჭიმი კანითა. ესეთივე კანი მისდევს წინა ფეხების მეხუთე თითებიდან გვერდებამდინ. უკანა ფეხებიც გაერთებული არის კუდთან ამისთანავე კანითა. მთელი ეს რეზინივით გასაჭიმი კანი შეადგენს ერთს ვეებერთელა ფრთასა. ღამურას როცა ფრენა მოუნდება, ამ კანს გასჭიმავს სრულიად, სწრაფად აქნევს წინა ფეხებს-ფრთებსა და დასრიალებს ჰაერში. ფრენის დროს

მიხვევ-მოხვევაში ისეთსავე ოსტატობას იჩენს, როგორსაც მერცხალი. სამაგიეროდ, მიწაზე ღამურა უსაცოდავესი რამეა. სიარული სულ არ შეუძლიან; პაწია უსუსური ბავშვისავით დაფორთხავს და ისეთი ტაატით მოძრაობს, რომ ჩათლახ კუსაცკი შეუძლიან გაასწროს სიარულში.

## 2. უცნაური ცხოვრება ღამურასი.

ღამურას სიცოცხლე სავსეა უცნაურობით. უმეტესს ნაწილს სიცოცხლისას ძილში ატარებს. დადგება თუ არა შემოდგომა, ღამურა საცალა ჰქრება, თვალს ველარ მოჰკრავს კაცი. სად არის? იქნება უცხო ქვეყნებში მიდიოდეს? არა, ჩვენსავე ქვეყანაში რჩება, მხოლოდ იმალება მიყრუებულ ადგილებში, სადაც ათობით და ოცობით მოიყრიან თავს ღამურები, ერთმანეთს მიეკრობიან, უკანა ფეხებს მოსჭიდებენ მაღალს რასმე მაგრად, დაეკიდებიან თავ-დაღმა და სძინავთ მთელს ზამთარს ზაფხულამდინ, ექვსის თვის განმავლობაში.

აგერ კიდეც გაზაფხულდა. ტყე შეიმოსა ფოთლითა, მცენარეებმა იწყეს აყვავება, და ჰაერში მორთეს ფრთხიალი და ფუსფუსი უთვალავმა მწერებმა. სწორედ ამ დროს იღვიძებს ღამურა თავისის ექვსის თვის ძილიდან და საღამო ჟამზე გამოდის სანადიროდ. ექვსის თვის მშიერია, და ადვილად მიხვდებით, რა გამგელებული უნდა ნადირობდეს. რაზე ნადირობს? ამას ვერ გაარჩევთ, რადგანაც ღამეა და ღამურაც ისე სწრაფად დასრიალებს ჰაერში, რომ ხეირიანად თვალსაც ვერ მოჰკრავთ. ამის შეტყობა მხოლოდ მაშინ შეგიძლიანთ, თუ მოჰკლავთ ღამურასა და კუჭს გაუსინჯავთ. კუჭი აღმოჩნდება სავსე სხვა-და-სხვა პეპელებით, ქიებით, მატლებით, ბუზებით და სხვა ქინახულის გამფუჭებელი მწერებითა. ამ მწერებს იჭერს ჩვენი უცნაური მონადირე თავისი განიერი პირით, რომელშიაც უსხედს მაგარი და მჭრელი კბილები. როცა სანადიროდ გამოდის, ჯერ უვლის გარშემო თავისს სადგურსა და ხოცავს მწერებსა; მერე თან-და-თან უფრო შორს მიდის, და ვაი იმ პეპელებსა და ბუზებსა, რომლებსაც იგი თვალს მოჰკრავს. მა-

გრამ ისე თვალი არ უჭრის, როგორც სმენა. სმენა ლამურას ისეთი მახვილი, ისეთი ძლიერი აქვს, რომ არც ერთი სულდგმული არ შეედრება მას. საკმარისია მცირეოდენი გაფაჩუნება, ოდნავი შრიალი მწერისა დიდ მანძილზედაც-კი, რომ ყურმახვილმა ლამურამ გაიგონოს და მაშინვე იქით გაეშუროს. ლამურა დაჰქროლავს, იჭერს მწერებს მარჯვნივ და მარცხნივ, ყლაპავს იქვე, ფრენის დროსა, და მხოლოდ ფრთები და ფეხები შეჭმულის მწერებისა ცვივა მიწაზედ. ასე ნადირობს ლამურა ორის, სამის საათის განმავლობაში და თუ ისვენებს ხანდიხან, ისიც რამდენიმე წუთით. ვერ მოსთვლის კაცი, რამდენს მწერს ჩანთქავს ამ ნადირობის დროს. ბოლოს გაძღა ჩვენი ღორმუცელა. ტანი დაუმძიმდა, ფრენა გაუძნელდა, დაღალულობა იგრძნო, გაეშურა თავისი ბუდისაკენ და ღრმა ძილს მიეცა. ბარიჟრაჟის წინედ კიდევ გამოიღვიძა, ამ სახითვე ქლიტა და სჭამა მწერები და დილა ადრიანად ისევ დაიძინა მთელი დღითა.

მაგრამ ლამურა ყოველ ღამე როდი ნადირობს. თუ წვიმა მოდის, ან ქარი ქრის, ან ნისლი სდგას, ლამურა თავის ბინას არა სტოვებს და ისევ სიმშილი ურჩევნია. საზოგადოდ ლამურა დიდს სიმშილსაც ადვილად იტანს და დიდს გაძლომასაც ირგებს. ექვსი თვე სძინავს უსაჭმლოდ და უსასმლოდ, სრულს მარხვას ინახავს,—ექვსს თვეს კი ხნილს იყენებს და თავს უმასპინძლდება იმისთანა სულდგმულებით, რომელნიც ძლიერ მაზარალებელნი არიან მოსავლისათვის.

დიაღ, მავნე მწერების მჟლეტელთ შორის ლამურას უჭირავს ერთი უპირველესი ადგილი. უამისოდ ღამის მწერები ისე გამრავლდებოდნენ, რომ ადამიანს სიცოცხლეს გაუძნელებდნენ, გაუმწარებდნენ. ერთი სწავლული ამბობს: ლამურა რომ დედამიწის ზურგზედ გასწყდეს, ღამის მავნე მწერები ისე გამრავლდებოდნენ მოკლე ხნის განმავლობაში, რომ მათი მატლები მცენარეებს გადასთქვლეფავდნენ, ტყეები გაქრებოდნენ, და ადამიანი კარგს მოსავალს დანატრულდებოდა.

რამდენადაც ახლოა ლამურას ბუდე რომელსამე ადგილზედ,

იმდენად უფრო სასარგებლოა ამ ადგილისათვის. თუ დიდი ხის ფუღუროში იკეთებს ბინასა, მაშინ ტყეში ან მინდორში დანა-დირობს ღამით და ტყის და ჭინახულის მცველი არის; თუ კოშკის ნაპრალში, ან ნაოხრებში იბუდებს, ბოსტანსა და ვენახებს უხაროდეთ. საზოგადოდ, ღამურა ირჩევს ბინად იმისთანა მყუდრო კუთხეებს, სადაც არა ხვდება არც ქარი, არც მზის შუქი და სიცივეც ნაკლებად უდგება.

დიაღ, დიდი, ძლიერ დიდი მადლობის ღირსია ჩვენგან ეს ცხოველი, თუმცა უშნო და ულაზათო, მაგრამ ფრიად სასარგებლო და დიდი სიკეთის მომტანი. როგორც შაქარში არ მოიპოვება მცირედი სიმწარეც, ისე ღამურას ცხოვრება-შიაც ვერ იპოვნით მცირეოდენს ზარალს, ადამიანისათვის მი-ყენებულს. ყოველი თავისი ნაბიჯით იგი ბევრს ჰმატებს მოსა-ვალსა და სრულიად არაფერს ითხოვს თავისი გამოკვებისა-თვის. ამის გამო ჩვენ დიდს სისულელეს და უსამართლობას ჩავიდენთ, თუ ჩვენი მისდამი მტრობა მეგობრობაზედ არ შევსცვალეთ, არ გავუწიეთ მფარველობა ღამურასა, არ და-ვეხსენით მისი ბუდის მოშლასა, მის დევნასა და არ ვეცადენით, რომ ღამურები ჩვენს ახლო დაუბრკოლებლივ ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ. ჰაცი, რომელსაც არ ახარებს ღამურების ახლო დაბინავება, როგორც შეუდარებელის და მუქთის მო-ჯამაგირისა, არის უვიცი და თავისის თავის მტერი.

---

## უდანაშაულოდ დასჯილი თხუნელა.

ბაღსა და მინდორში იზრდება ბალახი, ჭინახული და სხვა ბევრ-გვარი მცენარეობა. მცენარეებს ქვემოდ მიწაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები, რომლითაც ისინი სწუწნიან მიწიდან ნოყიერს ტენსა და იზრდებიან. აქვე მიწაში სცხოვრობენ სხვა-და-სხვა მატლები და ჭიები. ეს მატლები და ჭიები იკვებე-ბიან მცენარეების ფესვებით; ამის გამო ბევრს მცენარეს ახდენენ, რადგანაც, რაკი ფესვები უფუჭდება მცენარესა, მალე ყვითლდება და ხმება

Იქვე ღრმად ბნელს მიწაში ბინადრობს თხუნელა. Თვითონა სთხრის მიწაში სოროსა და შიგ ჰფენს ხმელს ბალახსა და ფოთლებსა. Სოროს გარშემო თხუნელა აკეთებს ორს დიდს სავლელსა, ერთს ზემოდ, მეორეს ქვემოდ. Ამ უმთავრესის კვლების გარდა თხუნელა დიდი შრომით და ბეჯითობით სთხრის აქეთ-იქით გძელს პატარა კვლებსა, დადის ამ კვლებში,



ეძებს და პოულობს მცენარეების ფესვების მტრებსა—მატლებს და ჭიებს—და ჰყლაპავს მათ. Ეს დიდი სიკეთეა მთელ ქვეყნისათვის: ბევრის მცენარის ფესვებს გადაარჩენს ხოლმე დახვრასა და შეჭმასა. Მთელს თავისს სიცოცხლეში არც მებაღეებსა და არც მხვნელ-მთესველებს თხუნელა კარგ სამსახურის მეტს არაფერს უწევს.

Მაგრამ უსწავლელმა გლეხმა არ იცის ესა. Შედის ბაღში და ხედავს გაყვითლებულს და გამხმარს მცენარეებსა. Ამასთან ამჩნევს თხუნელასგან ნათხარ მიწასა და მის გრძელს კვლებსა; მაგრამ მატლებსა და ჭიებს კი ვერა ხედავს, რადგანაც ისინი დამალულნი არიან მიწაში. Გლეხს ჰგონია, რომ თხუნელამ დაკემსა მცენარეების ძირები და გააფუჭა. Მას აბრალებს თავისს ზარალსა და ამიტომ გულში სწყვეტს თხუნელას მოკვლასა. Ამზადებს მავთულის მახეს, უგებს სწორედ სოროს ამოსავალში და მიდის შინა. Ჯაფის მოყვარე ცხოველი ამოდის თავის სოროდან ზემოდ, წყლის დასალევად, ვერ ამჩნევს მავთულის მახეს, მის სოროს პირში დადგმულსა, ებმება შიგ და იღუპება. Მეორე დღეს გლეხს უხარიან, ჩემი მცენარეების მტერი მოვკალიო; ის-კი არ იცის,

რომ იმან დალუპა თავის ერთგული მოკეთე. Ისკი არ იცის, რომ ეხლა მატლები გამრავლდებიან და უფრო მეტს ზარალს მისცემენ ბაღსა.

Შეჭნაშაულოდ დალუპულს თხუნელას დარჩა მოზრდილი შვილი. Შგუნურმა მებაღემ მარტო მამა არ მოუკლა უდროოდ. Იგივე უბედურება მიაყენა მისს პაპასა. Რას იქმს ახლა ჩვენი ახალგაზრდა თხუნელა? Იქნება გლეხკაცზე ჯავრი იყაროს და მისი მცენარეულობის ძირები დაკემსოს? Არა, ის ამას თავისს დღეშიაც არა იქმს; თხუნელა მებაღეს სამაგიეროს არ გადაუხდის; პაპასავით და მამასავით მარტო მატლებზე და ჭიებზედ ინადირებს და ამითი ბევრს მცენარეს გადაარჩენს


თხუნელას სორო.

გამხმობისაგან. Თუნდაც რომ გლეხმა ამასაც დაუდგას მახე დასაჭერად, მაინც თხუნელას ხასიათს ვერ გამოაცვლევინებს.

Ბოლოს მოდის მცოდნე კაცი და ესარჩლება საწყალს ცხოველსა, რომელსაც უთქმელობის გამო თავი ვერ გაუმართლებია და ვერ შეურცხვენია გლეხის უგუნურება. Მცოდნე კაცი აჩვენებს და უხსნის გლეხსა, რომ მახით წარჩობილის თხუნელას მუცელი სავსეა მხოლოდ მატლებითა და ჭიებით და იქ არ იპოვება არც ერთი ნამცეცი მცენარის ფესვი. Ასწავლის, რომ თხუნელას არ შეუძლიან სჭამოს მცენარეობა, რომ ის მხოლოდ ხორციელით სცხოვრობს, რომ ახალგაზრდა ხეხილები ხმებიან და ფუჭდებიან მატლებისა და ჭიებისაგან,

რომლებიც ხის ფესვებზედ ისე შეკუნწლულნი არიან, როგორც ყურძნის მტევნები და რომელთაცა ქლექს თხუნელა. მაშინ გლეხი გრძნობს და რწმუნდება, რომ პატარა მხნე ცხოველი, შავს ხავერდის მსგავსს ტყავში გახვეული, მისი ნამდვილი მეგობარი და შემწე ყოფილა და არა მტერი. ამის შემდეგ ის ბეჯითად სცდილობს, რომ თხუნელას ჩამომავლობა გაამრავლოს თავისს მამულში.

---

## დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი.

### 1. ჩვენი ვენახი და მოჯამაგირე.

ჩვენ ერთი დიდი ვენახი გვქონდა. შუაგული ვაზებით იყო სავსე, გარშემო-კი მწკრივ-მწკრივად ერიგა რჩეული, საუკეთესო ჯიშის ხეხილი. მამა ჩემი ისე უვლიდა ვენახსა, როგორც დედა უვლის თავისს შვილსა, და ამის გამო ჩვენს ვენახში შესვლა სწორედ საამური იყო თვალისა და გულისათვის. სამწუხაროდ, ქურდობა ყურძნისა და ხილეულობისა ზოგიერთა ჩვენს სოფლელს ჭირად სჭირდა. ამიტომ ჩვენს ვენახს, ყურძნისა და ხილის მწიფობის დროს, მცველად მოჯამაგირე ედგა.

ვენახის ბოლოს, ერთის გემრიელის დიდის მსხლის ახლო, სათივე იდგა ოთხს დიდს ბოძზედ. ბოძიდან ბოძზე სიგრძე-სიგანეზე გადადებული იყო პტყლად გათლილი ხეები, და ამ ხეებზედ იდო ლატანი. ზამთრობით ამ ბოძებზედ იდგა ვეებერთელა ზვინი, წმინდა აბრეშუმივით თივისა, ზაფხულობით-კი ცარიელი იყო. არა, სულ ცარიელი არ იყო. ლატანზე დაინახავდით გაშლილ თივასა, შუა-გულში ჩაღრმავებულსა და აქეთ-იქით-კი ამაღლებულსა. რისთვის? იმისთვის, რომ აქ ღამით ეძინა ჩვენს მოჯამაგირესა.

— დემეტრე! შენ იმ სათივეზე ძილს თავი დაანებე და ძირს გაიმართე საწოლი, თორემ ერთს მშვენიერს ღამეს იქიდან ძირს ზღართას გაადენ და ჩვენის სოფლის სასაფლაოს ერთს ახალ საფლავს კიდევ მიუმატებ, — ვეუბნებოდით ჩვენ მოჯამაგირესა.

— არხეინად ბრძანდებოდეთ; მაგისი დარდი ნუ გაქვთ. თქვენ ტახტიდან უფრო ადვილად გადმოცვივდებით, მინამ მე სათივიდან. აგრე არა მაქვს მე საქმე მოწყობილი. შიგ ისე ვწევარ, როგორც ბავშვი აკვანში. ან როგორ დავთმობ ჩემს სათივესა, როდესაც ისეთი ტკბილი ძილი იცის, რომ ხელმწიფის საწოლსაც არ ეცოდინება იმისთანა, გვიპასუხებდა ხოლმე მოჯამაგირე. და მართლაც, სათივეზე ღამით წოლა და ძილი ისე უხდებოდა, რომ ჯანსაღობით და დაბრაწული ლოყებით ცხადად ერჩეოდა ტოლ-ამხანაგებში.

ერთის იშვიათის თვისების პატრონი იყო ჩვენი დემეტრე მთვარიანს ღამეში თითქმის ისევე კარგად ჰხედავდა, როგორც დღისით.

## 2. ნაქარი მსხალი და ზღარბი.

ერთხელ კალოობის დროს მე წავასხი დილა-ადრიან ჩემი პატარა და-ძმა ვენახში. შევედით თუ არა კარებში, მაშინვე გავექანეთ გემრიელ მსხლისაკენ, გვინდოდა აგვეკრიბა ნაქარი მსხალი და პირი ჩაგვეტკბანურებინა; მაგრამ, დახე ჩვენს დაღონებასა, ერთი მსხალიც ვერ ვიპოვეთ.

— დემეტრე! რა ღმერთი გაგწყრომია, რომ ამ ადრიანს დილაზე სულ შეგითქვლეფია ნაქარი მსხალი, —ვუსაყვედურე მე მოჯამაგირეს, რომელიც აქვე ახლო ვაზებში მუშაობდა.

— თავი მომიკვდეს და ღმერთი გამიწყრეს, თუ მე დღეს მსხალი გემოთ მენახოს, —გვიპასუხა მოჯამაგირემ.

— მაშ რა იქნა ნაქარი მსხალი? გუშინ საღამოს და წუხელ ქარი ჰქროდა და უნდა ცოტაოდენი მაინც ჩამოეყრევინებინა.

— მართალია, ქარმა ხუთიოდ-ექვსი მსხალი ჩამოაგდებინა, მაგრამ ამ მსხლებს მე ახლოც არ მივკარებივარ. —ისინი შეჭამა წუხელის ერთმა დაუპატიჟებელმა ოთხფეხა სტუმარმა, გვითხრა მოჯამაგირემ.

— რას მიედ-მოედები, ღამით რა უნდოდა აქ სტუმარსა და ისიც ოთხ-ფეხასა?..

— ჭი არ მივედ-მოვედები, ჭეშმარიტს სიტყვას გეუბნები, — გვიპასუხა მოჯამაგირემ. — წუხელის სათივეზე შუაღამისას გამომეღვიძა და ქვევიდან სლაპა-სლუპი და ხრამა-ხრუმი შემომესმა. წამოვიწიე ჩემი საწოლიდან, გადმოვიხედე ქვევით და მსხლის ძირში მთვარის შუქზე დავინახე ვეებერთელა ზღარბი, რომელიც ფაცა-ფუცით ნაქარს მსხალსა სჭამდა. ერთი ღონივრად დავსჭყივლე, შეეშინდა, გაგოგმანდა და თხრილში ჩაგორდა. მერმე ისევ გულიანად დამეძინა. უთუოდ ისევ მოვიდა და დანარჩენი მსხლებიც შეახრამუნა.



ჩვენ საშინელს ბრაზზე მოვედით. გვინდოდა მიგვეგნო მსუნაგი ზღარბისათვის და მოგვეკლა. დავუწყეთ ძებნა; გადავაქოთებინეთ მოჯამაგირეს ახლო-მახლო ჩირგვები, თხრილები, ლობეები, მაგრამ კვალს ვერ მივაგენით.

შინ რომ ჩამოვედით, დედ-მამას ვუამბეთ ზღარბის ოინი. მოჯამაგირეს უბრძანეს, რომ ზღარბისთვის მოესწრო და უთუოდ მოეკლა. მოჯამაგირე ბევრს ეცადა აესრულებინა ბრძანება; დღისით ვენახში თვალი ეჭირა, ეგები სადმე შეხვდე ზღარბსაო და ღამით თავის საწოლს სათივეზე ვეებერთელა ქვები ეწყო, რომ ესროლა ზღარბისათვის, როცა ის მსხლის ძირში მიგოგდებოდა. პრა ერთხელ მოარტყა თურმე ვეებერთელა ქვა საწყალ მსხლის ქურდსა, მაგრამ მოკვლით კი ვერ მოჰკლა.

### 3. საშინელი დასჯა ზღარბისა.

ერთხელ, როცა მე და ჩემი პატარა და-ძმა ვენახში ვიყავით, ვაზებიდგან მოგვესმა ძახილი ჩვენის მოჯამაგირისა: „არიქათ, ზღარბი, ზღარბი!“ ჩვენ შევცვივდით ვაზებში და თავს წავადექით ერთს ეკლიანს და სრულიად მრგვალს გორგალსა.

ეს ეკლიანი გორგალი იყო ზღარბი. თავი და ფეხები შიგნით შეემალა და ისე ოსტატურად გაეერთებინა თავისი ეკლიანი ტყავი, რომ პირი ვერ ვუპოვნეთ და ვერა. ბევრჯელ გადა-

ვაგორ-გადმოვაგორეთ, ბევრგან ვატაკეთ სარები, გვინდოდა თავი და ფეხები გამოგვეჩინებინა, დაგვერტყა და მოგვეკლა; მაგრამ ტყუილად. ყოველ მხრივ ირგვლივ ეკლიანი ტყავი იფარავდა ჩვენს მსხლის ქურდსა, თითქო ციხე აქვს შემორტყმულიო. ბოლოს დაუშინეთ ტანზე სარები და იმდენი ვცემეთ, მინამ გავგუდავდით. პილო მოჯამაგირემ მკვდარი ზღარბი და თხრილში გადისროლა.



— ახლაც შეგვიჭამ ნაქარს მსხალსა,—მივაძახეთ ნიშნის მიგებით მკვდარს ზღარბსა.

მეორე დღესაც მოგვიხდა ვენახში ასვლა. მივედით და გადავიხედეთ იმ თხრილში, სადაც გუშინ ჩავაგდეთ მკვდარი ზღარბი. ჩვენდა გასაოცრად, ის ადგილი ცარიელი დაგვხვდა, ზღარბი აღარსად იყო. „უთუოდ მოცოცხლდა ის ოხერი და თავისი ბუნაგი მონახა, ძლიერ ამტანი ცხოველია,“ სთქვა ჩვენმა მოჯამაგირემ.

— იქნება შეჭამა რამემ? ვსთქვი მე.

— მგეც შეიძლება, მაგრამ მე-კი უფრო გაცოცხლებას ვაბრალებ იმის აქედან გაქრობასა, დაუმატა მოჯამაგირემ.

### 4. შხამიანი გველი.

იმავე დღეს ჩვენის ვენახის ბოლოში, სადაც განიერი წყლის საგუბარი იყო, ღრმა თხრილთან, გემრიელი მსხლის ახლო, ჩვენ წავაწყდით ისეთ რამესა, რომელმაც თავზარი დაგვცა და სრულიად დაგვავიწყა ზღარბი. ეს იყო ვეებერთელა გველი, რომელსაც ზურგზე შავი ზოლი ჩასდევდა თავიდან დაწყობილი კუდამდინ.—„ვაიმე, დედავ, შხამიანი გველი!“ —წამოიძახა ხმის კანკალით მოჯამაგირემ, რომელსაც საზოგადოდ ძლიერ ეშინოდა ყოველ გვარის მცურავისა და ქვეწარმავალისა. ჩვენ ყველანი შიშის კანკალმა აგვიტანა და უკან სწრაფად დავიწიეთ. გველი ჩვენს დანახვაზედ უკან დაბრუნდა, დინჯად. აუჩქარებლივ გაისრიალა, ეტყობოდა, რომ გრძნობდა თავისს ძალასა, და ხშირსა და მაღალს ბალახში მიიმალა.

ჩვენ გაფითრებულები ჩამოვედით შინა და დედ-მამას ვუამბეთ შხამიანის გველის დაბუდება ჩვენს ვენახში. ისინი ძალიან შეფიქრიანდნენ და სასტიკად აგვიკრძალეს: ჯერჯერობით ასვლა ვენახში აღარ გაბედოთო. ამასთან უბრძანეს მოჯამაგირეს, რომ ის ცდილიყო და როგორმე მოეკლა შხამიანი გველი; მაგრამ როგორ შესძლებდა ამას, როცა თვითონ ყველაზე მომეტებულად ეშინოდა... გავიდა რამდენიმე ხანი. არამც თუ ჩვენ, პატარები, დიდებიც-კი აღარ დადიოდნენ ვენახში შიშის გამო.

### 5. ზღარბი ებრძვის შხამიანს გველსა.

ერთს ადრიან დილაზე მოჯამაგირე ძლიერ გახარებული ჩამოიჭრა ვენახიდგან და მოგვაძახა:

—თქვენი ჭირიმე, რა ვნახე, რა ვნახე! აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი. წარმოიდგინეთ, წუხელის შუაღამისას მან ჩვენი დიდი მსხლის ძირში მოჰკლა ის შხამიანი გველი; დიაღ მოჰკლა!

ჩვენს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ჯერ ძლიერ გვაკვირვებდა გაცოცხლება ზღარბისა, რომელსაც ისე უწყალოდ ვცემეთ, რომ ხარსაც-კი მოჰკლავდა იმდენი ცემა. მაგრამ ყველაზე მეტად ის გვიკვირდა, რომ ზღარბს შესძლებია გველის მოკვლა და ისიც შხამიანისა. ჩვენთვის ყველასათვის ეს პირველი გაგონება იყო.

— როგორ მოხდა, დაწვრილებით გვიამბე,—ვუთხარით ჩვენ დემეტრესა.

— ჩვეულებისამებრ —დაიწყო მოჯამაგირემ—პირველ ძილს შემდეგ გამომეღვიძა შუაღამისას. მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და ღამე მეტად ცხელი იყო. უცებ ახლო, თხრილის გუბიდან მოისმა ბაყაყების ალიაქოთი. მე საწოლიდან წამოვიწიე, ნიდაყვს დავებჯინე და ცქერა დავიწყე თხრილისაკენა. ერთის წამის შემდეგ მე დავინახე ვეებერთელა ბაყაყი, რომელიც გუბიდგან ამოხტა და დიდი მსხლისაკენ ხტუნვით გამოეშურა. მას სწრაფი სრიალით მოსდევდა გველი. მსხლის ძირში რომ მოვიდა, უცებ გველი შედგა, ბაყაყს თვალი მოაშორა, ქვემოთკენ იწყო ცქერა, ტანი მოიკრიბა, სისინი დაიწყო, თავი მაღლა აიღო და თითქო საომრად მოემზადა. მე



ამან ძლიერ გამაოცა. რადგან გველმა თვალი დააშტერა ქვემოთკენ, ამიტომ მე ქვევით გადავიხედე და რა დავინახე? დავინახე ჩვენი ზღარბი, ის ზღარბი, რომელსაც იმდენი ვცემეთ და რომელიც მკვდარი გვეგონა. თავისი ეკლიანი ტყავი მაღლა აეკრიბა, ფეხები და თავი ცხადად უჩანდა, ყოჩაღად, მამაცურად იდგა და გამოქანებას აპირებდა გველისაკენ. აი, ის უეცრად დაიძრა ადგილიდან, ამრეზილი წამოვიდა, მოუახლოვდა გველსა და დაეტაკა. გაჩნდა საშინელი ბრძოლა. მე ცქერად გარდავიქეცი, სულ-განაბული ვუყურებდი და, რასაკვირველია, ვნატრობდი გულადის ზღარბის გამარჯვებასა. ეს სულ იმასა ცდილობდა, რომ გველის თავი ეგდო კბილებში; გველი-კი სწრაფად იკლაკნებოდა და მეტად ოსტატურად არიდებდა თავსა; თან ჰკბენდა ხან ტუჩებში და ხან ფეხებში და ისე ძლიერ, რომ სისხლი გამოსდიოდა ზღარბსა. „ვაიმე, წავიდა ზღარბის საქმე!“ ვამბობდი ჩემს გულში. მაგრამ, ჩემდა სასიხარულოდ, მალე შევნიშნე, რომ ზღარბი გველის კბენას არად იმჩნევდა, თითქო რწყილი ჰკბენსო და არა შხამიანი გველიო. ზღარბმაც თავისი ბასრი კბილები ბევრგან ჩაუყარა გველსა და სისხლიც ბევრი ადინა; ხოლო გველს არ ასუსტებდნენ ეს ჭრილობანი, და ის ისევ შეუპოვრად ჰკბენდა თავისს მოწინააღმდეგესა. ბოლოს, როცა გველი კიდევ მისწვდა ფეხში, ზღარბმა მოასწრო, ქეჩო დაუჭირა და თავი იგდო პირში; მოუჭირა კბილები, გაუჭყლიტა თავი, მოიქნია გველი და ზიზღით იქით გადააგდო. შემდეგ დაცუცქდა იქვე და დაუწყო ლოკვა დაკბენილს ადგილებს. ლოკვას კაი ხანი მოუნდა, მერე ნაქარს მსხლებს ეწვია და ხარბად დაუწყო ჭამა.—შეგარგოს ღმერთმა, ვეუბნებოდი მე ჩემს გულში გამარჯვებულს მამაცს, ეკლიანს გმირსა. როცა მსხლით გული იჯერა, გაგოგმანდა ქვევითკენ და ღობის ჩირგვებში შეძვრა.

### 6. ჩვენი მეგობრობა ზღარბთანა.

ამ ამბავმა, რომელიც ჩვენ ყველამ კრინტის დაუძვრელად მოვისმინეთ, მარტო გაოცება როდი გამოიწვია. მაო-

ცებას სხვა გრძნობაც დაერთო. Დიდმაც და პატარამაც აშკარად ვიგრძენით სირცხვილი. რისა გვრცხვენოდა? Იმისა, რომ ფრიად სასარგებლო ცხოველსა, ერთგულს ჩვენს მეგობარსა, მმუსვრელს ჩვენის შხამიანის მტრისას, ჩვენ ვდევნიდით და ვკლავდით და ისიც რადა? Იმის გამო, რომ სჭამდა ხან-და-ხან ნაყარს მსხალსა. უფრო დამპალსა და ჩვენთვის გამოუსადეგარსა. მეტი უმეცრება და უსამართლობა კიდევ იქნება? Და სწორედ ამ უმეცრებისა და უსამართლობისა გვრცხვენოდა ჩვენ ყველასა.

— Ვაი, თუ გველის შხამმა შემდეგ გასჭრას, მოსწამლოს ზღარბი და მოჰკლას, წამოვიძახე მე.

— Არა მგონია, შხამს რომ წყენა შესძლებოდა ზღარბისა, ის ისე არხეინად აღარ იქნებოდა ბრძოლის შემდეგ, სთქვა მოჯამაგირემ ჩემდა პასუხად.

— Არა ერთხელ გამიგონია ჩემს სიცოცხლეში, სთქვა მამა ჩემმა, რომ ზღარბზედ არც გველის შხამი და არც სხვა შხამი არ მოქმედობს, არა სჭრისო. Ეს წინედ მე წმინდა ჭორად მიმაჩნდა; ახლა კი ლამის მართალი გამოდგეს.

Ჩვენ ყველანი დიდით-პატარამდინ ვენახში გავემგზავრენით, რათა ჩვენი თვალით გვენახა ზღარბისაგან დაგლეჯილი და მოკლული გველი. Ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ, რაც მოჯამაგირემ გვითხრა, ყველაფერი მართალი იყო. Ჩვენ ძლიერ გვინდოდა ზღარბისთვის მიგვეგნო, სიკეთისათვის სიკეთე გვექნა, გვეჭმია სულ უკეთესი მსხალი, ალერსით მოვპყრობოდით, გაგვესწორებინა უწინდელი ჩვენი დანაშაული, მაგრამ კვალიც არსად სჩანდა მისი.

Ორ დღეს უკან ჩვენმა მოჯამაგირემ ჩამოირბინა ვენახიდან და გვითხრა:

— Სამახარობლო მერგება. Ჩვენი შიში ტყუილი გამოდგა. Ზღარბისთვის გველის შხამს სულაც ვერა დაუკლია-რა. Იმან, სალ-სალამათმა, წუხელ კიდევ მოიგოგმანა მსხლის ძირში, ჯერ კარგად გული იჯერა ნაქარი მსხლის ჭამითა, მერე იხტუნავა, ითამაშა და ბოლოს ისევ გასწია ბუნაგისაკენ.

ჩვენ ისეთი სიხარული შეგვიდგა, თითქო ოჯახში მძიმე ავადმყოფი მოგვრჩენოდეს.

ამის შემდეგ ჩვენს ვენახში ზღარბები თავისუფლად იბუდებდნენ, სცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ. ჩვენ არამც თუ არას ვუშავებდით, არამედ თავაზიანად და მეგობრულად ვეპყრობოდით, მეტადრე მათ პაწია შვილებსა. სამაგიეროდ, ზღარბები ხოცდნენ და სჭამდნენ გველებსა, და მათი სინსილა მთლად გასწყვა ჩვენი ვენახიდან. ზღარბები სხვა სიკეთესაც გვძლევნიდნენ: მრავალ-ძარღვას და სხვა ვენახების მავნე ბალახებს ძირიანად სთხრიდნენ და ძირებს უჭამდნენ, ასე რომ მუქთი მარგვლელები გამოდგნენ. ამასთან კატებსავით იჭერდნენ და ღლეტდნენ თაგვებსა, ამ ყანის და ვენახის მტრებსა. მაგრამ ყველაზედ უფრო დიდს სიკეთეს იმითი გვიშვრებოდნენ, რომ თავისი დინგით მარჯვედ იჭერდნენ და სთქვლეფდნენ მრავლისაგან მრავალს მატლსა და ჭიასა, რომელნიც უამისოდ



გაგვიოხრებდნენ ვენახსა და ბოსტანსა. ამ სიკეთეს ჩვენ პატარა ნორჩი ზღარბები უფრო მეტს გვძლევნიდნენ, რადგანაც მათი მთავარი საჭმელი იყო ჭია-მატლები. მართალია, ნაჭარს ხილს გვაკლებდნენ, მაგრამ განა ეს მცირეოდენი ზარალი სათქმელი იყო იმ დიდ სიკეთესთან, რომელსაც ჩვენ მათგან ვხედავდით?

# ქათმის საიდუმლოებანი.

## I

მე მაშინ პატარა ვიყავ, მაგრამ ცნობის მოყვარეობა კი დიდი მქონდა.

ერთხელ დედა-ჩემი ჩვენს კარაპანში იჯდა, მარცხნივ კალათა ედგა, მარჯვნივ კვერცხები ეწყო, და მზის სინათლეზე სინჯავდა თითოეულს კვერცხსა. აიღებდა ხელში, დაუპირ-დაპირებდა მზესა, დაკვირვებით გაიხედავდა შიგა და ამის შემდეგ ზოგს კალათში სდებდა, ზოგს იქით მიწაზე აწყობდა. მე ვკითხე: „დედილო, რას აკეთებ?“—ქარგს რამესა, ჩემო ბიჭუნია, მიპასუხა: ჩვენმა ქოჩორამ ეს ამოდენა კვერცხი პირველად დასდო და ახლა აკრუხდა. ამ კალათაში, ამ საბუდარში ვაწყობ საწიწილე კვერცხებსა და, როცა ჩაწყობას გავათავებ, კუნჭულში მივსდგამ, ზედ ქოჩორა დედალი დაჯდება და ჩეკას დაუწყებს.

— განა ყველა კვერცხი საწიწილე არ არის?—ცოტა გოლცებით ვკითხე მე დედა-ჩემსა.

— არა, შვილო, ზოგს კვერცხში წიწილის ნასახი არ არის, და ამისთანა კვერცხიდან წიწილა ვერას გზით ვერ გამოიჩეკება. ამ გვარი უნასახო კვერცხები აი იქით გადავაწყე და ჩვენ მათ საჭმელად ვიხმართ.

— მეთაყვა, დედილო, მეც მასწავლე, რა ნაირად, რა ნიშნით უნდა გავიგო, რომელი კვერცხია საწიწილე და რომელი არა, შევეხვეწე დედა-ჩემსა.

პასუხად დედამ ამოიღო საბუდრიდან ერთი კვერცხი და მითხრა:—დაიჭი ხელში, მზეს დაუპირდაპირე და გაიხედე შიგ სწორედ ისე, როგორც მე გავხედავდი ხოლმე.

ასეც მოვიქეცი. როცა კვერცხებში ვიხედებოდი, დედამ მკითხა:—შუაგულს კვერცხში რას ჰხედავ, რას ამჩნევ?—პატარა მოშავო წერტილსა, ვუპასუხე.—აი სწორედ ეგ შავი წერტილი არის წიწილის ნასახი.

მერმე აიღო იქით გადაწყობილი კვერცხებიდან ერთი

კვერცხი, მომცა ხელში და მითხრა:— აბა გაიხედე შიგ, მაგშიაც არის მოშავო წერტილი, თუ არა?

მე დიდ ხანს ვიხედებოდი, მაგრამ შიგ ვერაფერი წერტილი ვერ შევამჩნიე; კვერცხის გული ერთნაირი იყო მთლად.

— აი, ამისთანა კვერცხებიდან წიწილა არას დროს არ გამოიჩეკება, მითხრა დედამ.

## II

მე საძღრელი ამეშალა ცნობის მოყვარეობისა და კვლავ ვკითხე დედა-ჩემსა: რისგან არის, დედილო, რომ ზოგს კვერცხში ნასახი არის, ზოგი-კი მოკლებულია ნასახსა?

— ჯერ პატარა ხარ, მაგას ვერ გაიგებ; როცა გაიზრდები, მაშინ ადვილად მიხვდები.

— რამდენს დღეზე გამოიჩეკება წიწილები კვერცხებიდან?— ვკითხე დედასა.

— ოცდა ერთს დღეს ნასახი იქცევა სრულ წიწილად, იყო პასუხი.

— რა სჭირს წიწილებს?

— კრუხის სითბო, სხვა არაფერი. უსითბოდ ნასახი ვერ გაიზრდება და წიწილად ვერ გარდაიქცევა.

— კვერცხში არც წყალი აქვს წიწილასა და არც საჭმელი, და რა ზრდის? ვკითხე.

— კვერცხის ყვითელი გული და თეთრი ცილა საუკეთესო საჭმელიც არის წიწილისათვის და სასმელიცა, იყო პასუხი.

— წიწილა კვერცხში ცოტ-ცოტათი, დღითი-დღე იზრდება განა? ვკითხე.

— რასაკვირველია,—მიპასუხა დედამ.

— მე ძალიან მინდა, დედილო, თვალი ვადევნო კვერცხში წიწილის ზრდასა და შევიტყო, რომელი ასოები ეზრდება ადრე და რომელი გვიან, ვუთხარი დედას.

— ძალიან კარგი, ჩემო ცნობის-მოყვარე ბიჭუნია. ყოველ დღე სადილობისას კრუხი გადმოვა საბუდრიდან ცოტა

ხნობით წყლის დასალევად და საჭმლის ასაკენკად. მაძლევ ნებას ამ დროს მიხვიდე ხოლმე საბუდართან, ამოიღო კვერცხი და მზის შუქზე გაჰხედო. დაინახავ და შეიტყობ, რაც გინდა. მხოლოდ კვერცხი მალე უნდა ჩასდო საბუდარში და კრუხი არ დააგვიანო, თორემ კვერცხები გაცივდება და გალაყდება.

III

პირველ დღიდანვე დავიწყე სინჯვა კვერცხებისა, მაგრამ ორის დღის განმავლობაში ვერაფერი ცვლილება ვერ შევამჩნიე. მხოლოდ მესამე დღეს შუა კვერცხში ცხადად დავინახე წიწილის გული. დიახ, გული ყველაზედ ადრე გამოისახა, თითქო ბუნებას უნდა ეთქვა ამითი: სათავე და გვირგვინი სიცოცხლის გულიაო. მეოთხე დღემ სწორედ გამაოცა: ერთის დღის განმავლობაში, სულ ოც და ოთხს საათში, გულს მიჰმატებოდა ყველა შინაგანი ასო; არა სჩანდა მხოლოდ გარეგანი ასოები: ნისკარტი, ფეხები და ფრთები. შემდეგ დღეებში ეს ასოებიც გამოისხა წიწილმა. მაგრამ ყველა ასო ჯერ ძლიერ პატარა იყო. ასოები დღითი-დღე იზრდებოდნენ, და ამასთან ილეოდა ყვითელი გული და თეთრი ცილა კვერცხისა. მეცხრამეტე დღეს ცილის უკანასკნელი ნაწილებიც გაჰქრა, და დარჩა ცარიელი ნაჭუჭი კვერცხისა.



გამოელია მთლად ჩვენს პაწაწკინას საჭმელი; მაგრამ ამასთან თვითონაც სავსებით დასრულდა, დასრულდა ყველა თავისი ასოთი. დასრულებული წიწილა იმ გვარად იდო კვერცხის ნაჭუჭში, რომ თავი მარჯვენა ფრთის ქვეშ ედო, ფეხებიც მოკეცილი ჰქონდა და გაკრული ტანზედ. ამასთან ისიც შევამჩნიე, რომ ნაჭუჭსა და წიწილას შუა ცარიელი ადგილი იყო დარჩენილი, ასე რომ წიწილას ნაჭუჭში მიბრუნ-მობრუნება შეეძლო.

დასრულებული წიწილა ველარ გასძლებდა კვერცხის ნაჭუჭში, სადაც აღარც საჭმელი ჰქონდა და აღარც სასმელი, და თავისუფალი ჰაერიც იმისათვის ამ დროს აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა. მას ძალა უნებურად უნდა გამოეტეხა თავისი საპყრობილე და გამოსულიყო გარედ, სადაც მას დაატკბობდა მზის შუქი, წმინდა ჰაერი, ნოყიერი საჭმელი და თავისუფალი სარბიელი. ასეც მოხდა.

IV

ოც და მეერთე დღეს რო საბუდართან მიველი, კვერცხებიდან კაკუნი მომესმა: წიწილები თავიანთს ნისკარტსა სცემდნენ, რომ გაეტეხათ და გამოჩეკილიყვნენ. მე ერთს კვერცხს დავაკვირდი. წიწილამ შუა სარტყელზე კარგა ხანს სცემა თავისი ნისკარტი ერთსა და იმავე ადგილსა, გამოსტეხა და პაწია ჭუჭრუტანა გააკეთა. მაგრამ ამ ჭუჭრუტანიდან იგი ვერ გამოძვრებოდა, რასაკვირველია. ამისათვის საჭირო იყო ნაჭუჭის შუაზე გარღვევა, გადატეხა. პატარა ხანს უკან კაკუნი მოისმა მეორე მხრიდან, მაგრამ ისევ იმავ ხაზზედ; ეტყობოდა, რომ წიწილას კვერცხის ნაჭუჭში გვერდი ეცვალა, იქით მიბრუნებულიყო. აქაც მალე გააკეთა ჭუჭრუტანა. პატარა ხანს ნისკარტი გამოჰყო, მაგრამ ისევ შეიმალა. არ გასულა რამდენიმე წამი, რომ ახლა მარცხნივ მხარეს მოისმა კაკუნი, და აქაც ჭუჭრუტანა გააკეთა. ჩქარა მარჯვნივ მხარესაც გამოსტეხა ნაჭუჭი ჩვენმა პაწია არსებამ. ამ სახით მან გააკეთა ოთხი ჭუჭრუტანა ერთსა და იმავე წრეზედ, შუა სარტყელზედ. შემდეგ ნაჭუჭმა ცოტა ჭრაჭუნი დაიწყო. აშკარა იყო, რომ წიწილა შიგნიდან ნაჭუჭს აწვებოდა, რომ გამოეტეხა. ჯერ ნაჭუჭი უძალიანდებოდა, მაგრამ უცებ დაიჭექა, ორად გაირღვა, ნახევარი იქით გადავარდა, ნახევარი აქეთა, და ჩვენი წიწილა საბუდარში გადმოვიდა მეტად გახარებული და გამარჯვებული. ასევე მოიქცნენ სხვა წიწილებიც და საბუდარში დაიწყეს ფუსფუსი და წივილი. მაგრამ დარჩა რამდენიმე წიწილა ნაჭუჭში, რომელიც ვერ გამოტეხეს. კაკუნით ესენიც

ბევრს აკაკუნებდნენ, მაგრამ ამ კაკუნიდან არაფერი გამოდიოდა. აშკარა იყო, რომ ამათ იმდენად სუსტი ნისკარტი ჰქონდათ, რომ ნაჭუჭის დახვრეტა და გარღვევა არ შეეძლოთ. საჭირო იყო გარედან დახმარება და ეს დახმარებაც აღმოუჩინა მათმა დედამ, ქოჩორა კრუხმა. ამან ამ კვერცხებს ნისკარტი ხან აქ ჩასცხო, ხან იქ, გაარღვია, გატეხა და წიწილები გაანთავისუფლა. ესენიც მიემატნენ თავისს ახალ დაბადებულს ძმებსა და დებს, და აქამდინ მკვდარი საბუდარი სიცოცხლით აივსო.

## V

მაგრამ საბუდარიც საპყრობილე იყო ჩვენის პაწია წიწილებისათვის. იმათ სრული თავისუფლება უნდოდათ და ამ თავისუფლებას მოიპოებდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს დააღწევდნენ საბუდარსა. მაგრამ ესეც ადვილი საქმე არ იყო. საბუდარს გვერდები ცოტა მაღალი ჰქონდა, და მათზედ ასვლა და გადმოსვლა ჩვენის ქული წიწილებისაგან დიდს უნარს ითხოვდა. წიწილები ცდილობდნენ ამ გვერდებზედ ასულიყვნენ და გადმოსულიყვნენ, მაგრამ უღონობისა გამო ისევ უკან ცვიოდნენ. კრუხმა აქაც დედობრივი ზრუნვა აღმოუჩინა. ზეით ამოცოცებულს წიწილას ქვეიდან თავისს ნისკარტს მიაბჯენდა და შეიმაგრებდა ხოლმე, წიწილა საბუდარს თავზე მოექცეოდა და ძირს მიწაზე დაეშვებოდა და დაეცემოდა ხოლმე. ამ დაცემის დროს ტკივილსა ჰგრძნობდა, მაგრამ თავისუფლება, სინათლე და ჰაერი ისე ახარებდა, რომ ტკივილს არაფრად აგდებდა.

აი ყველა წიწილა გადმოვიდა საბუდრიდან და მზრუნველს დედას მიეყუჟა. პატარა ხანს უკან ქოჩორა კრუხს გარს ეხვია ოცამდე წიწილა. ესენი დაქანცულებიც იყვნენ და სვეელებიცა. მათ დასვენებაც უნდოდათ და გაშრობაცა. კრუხმა გაფხორა თავისი ფრთები განზე და შეისხა შიგ წიწილები. აქ მათ დაისვენეს, გაშრნენ და ბოლოს გარედ გამოსვლა მოიწადინეს. კრუხმა ეს შეამჩნია, გაფხორილი ფრთები ცოტა მაღლა ასწია და თავისი წიწილები გარედ გამო-

უშვა. ეს გროვა ქულა წიწილებისა სასიამოვნო სანახავიც იყო და სასაცილოცა.

ჩვენმა ახალმა დაბადებულმა წიწილებმა სეირნობაც მოინდომეს; მაგრამ ვაი ამ სეირნობასა! სიარულს შეუჩვეველნი წამ-და-უწუმ მიწაზედ იქცეოდნენ, ხან ყირამალაც გადადიოდნენ. დედა თვალს არ აშორებდა და ხშირად რაღასაც უძახოდა. ეს ძახილი ერთნაირი არ იყო. ეტყობოდა, რომ ქათმურს ენაზედ ელაპარაკებოდა, აფრთხილებდა, არიგებდა, ჭკუა-გონებას ასწავლიდა. როცა საკენკს იპოვნიდნენ, დედა აჩვენებდა, ასწავლიდა, როგორ უნდა აეკენკათ. თუ დიდი ლუკმა შეხვდებოდათ, დაანაწილებდა, რომ ჩაყლაპვა შესძლებოდათ მის შვილებსა.

აი დაამლო კრუხმა წიწილები და დაუჩახჩახა. წიწილები გაეშურნენ მისკენ, კრუხმა გაფხორა თავისი ფრთები და შეუშვა შიგნით წიწილები, რომელნიც დასხდნენ მიწაზედ, თავისის დედის ფრთებ ქვეშა, და მიეცნენ დასვენებას, ვიდრე საჭმელს მოინელებდნენ.

## VI

წიწილები თანდათან იზრდებიან, ტანი და ჭკუაც ემატებათ. ისეთი უვიცები აღარ არიან, როგორიც იყვნენ წინად; ბევრი რამ ისწავლეს, შეიგნეს, მაგრამ ზრუნვა მაინც ესაჭიროებათ, და დედაც მთელს თავისს დროს მათ ახმარებს. იგი ყოველთვის წინ მიუძღვის და უხმობს, უკან მომყევითო. როცა შეამჩნევს, რომ ზოგნი უკან დარჩნენ, მაშინვე შეჩერდება და იმათ მოახლოვებას უცდის, ხან უძახის: ფეხი ააჩქარეთო, — რასაკვირველია, ქათმურად. როცა შეატყობს, რომ წიწილები დაიღალნენ, მყუდრო ადგილას გაჩერდება, გაფხორავს ფრთებსა, უხმობს წიწილებს, რომელნიც გარბიან, შეუძვრებიან ფრთებს ქვეშ და მიეცემიან მოსვენებასა...

ბევრი, მეტად ბევრი ზრუნვა აწევს კისერზე ჩვენს ქორჩორასა. ამოდენა სახლობის გამოკვება ხუმრობა არ არის. აი იპოვა პურის მარცვალი და შეუდგა მისს დანაწილება-

სა. ჩაიდო პირში და მოუჭირა თავისი ნისკარტი; მაგრამ ვერ გატეხა, რადგან მარცვალი მაგარი გამოდგა; გამოაგდო პირიდან და ხელმეორედ დასტაცა ნისკარტი, რომ სხვა მხრიდან ეცადა გატეხა, მაგრამ ვერც ეხლა მოერია. მერმე მესამე მხრიდან მოუჭირა ნისკარტი, ბოლოს მეოთხე მხრიდან და ძლივს ეწია გულის წადილსა. წინა წიწილმა დასტაცა პირი მარცვლის ერთს ნაწილსა, საჩქაროდ გადაყლაპა და მეორე ნაწილსაც წაატანა პირი, მაგრამ დედამ იქით გააგდო და მეორე წიწილას არგუნა ეს ნაწილი. მესამე და მეოთხე ნაწილებიც სხვა-და-სხვა წიწილებს მისთავაზა. ეძება სხვა მარცვლებიც, მაგრამ ვერ იპოვა. ახლა მიწას დაუწყო ქექვა ფეხებით და იქიდან მოზრდილი მატლი ამოიყვანა. ნისკარტით ესეც დაანაწილა და თავისს წიწილებს გაუყო. თვითონ ამ დროს მშიერი იყო, მაგრამ აზრადაც არ მოჰსვლია თავის ჩინჩახვში გაეგზავნა ან მარცვალი, ან მატლი.

თავისი თავი ჩვენს ქოჩორას სრულიად დავიწყებული ჰქონდა და ხშირად მშიერი რჩებოდა. მაგრამ ამაზე სულაც არ სწუხდა, ოლონდ კი მაძღრები და უვნებლები ყოფილიყვნენ მისი წიწილები. ამის გამო მეტად გახდა, ფრთები, წინად აკრებილი, ძირს დაეშვა, წინანდელი სილამაზე დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ მას მიენიჭა შინაგანი სიმშვენიერე. წინად, ვარიაობის დროს, ჩვენი ქოჩორა მხდალი იყო და თაგვისაც კი ეშინოდა. ახლა კი სიმამაცით აივსო და ვეებერთელა გარეულ ფრინველებსაც კი გულადად შეებრძოლებოდა ხოლმე. წინად უჭკუობა ეტყობოდა, ახლა კი თავისი გონიერებით კაცს გააოცებდა. წინად მას უყვარდა მხოლოდ თავისი თავი, ახლა კი საკუთარი სიკეთე სრულიად დავიწყებული ჰქონდა.

და ეს დიდი, ძირითადი ცვლილება ჩვენს ქოჩორაში მოახდინა იმ გრძნობამ, რომელსაც წმინდა სიყვარული ჰქვიან. დიაღ, ჩვენს ქოჩორას თავისი პაწია შვილები უსაზღვრო სიყვარულით უყვარდა. ამ სიყვარულმა ეს დაბალი არსება აღამაღლა, ბევრი ღვაწლი ჩაადენინა, ბევრი სასახელო საქმე გააკეთებინა და ბოლოს მიანიჭა გმირული სიკვდილი.

## VII

ჩვენი სახლი ტყის მახლობლად იყო აშენებული. ერთს მშვენიერ დღეს, როცა მზემ დასავლეთისაკენ გადაიხარა, ჩვენს ქოჩორას თავისი წიწილები ტყის პირად ჰყავდა გაშლილი. მისვე მახლობლად იყო მეორე კრუხი თავისი წიწილებით. მე ამ დროს სახლის ბანზე ვიყავ და თვალს ვადევნებდი კრუხ-წიწილს. უცებ ჩვენმა ქოჩორამ მოუსვენრად იწყო ყელყელაობა, აქეთ-იქით გაქან-გამოქანდა, ერთი ბორბოქი შეუდგა.



ასეთივე ცვლილება შევატყე მეორე კრუხსაც. უთუოდ მტრის მოახლოვება იგრძნეს, ვსთქვი ჩემს გულში. და ეს მალე მართალიც გამოდგა. ტყიდან გამოვიდა მოგრძო ნადირი, თრითინაზე ცოტა დიდი, და გამოექანა ქოჩორას შვილებისაკენ. ქოჩორამ სწრაფად ერთნაირი ხმა მისცა თავისს წიწილებსა, რაც უსათუოდ ნიშნავდა: თავს უშველეთ, შინისაკენ გაიქეცითო. წიწილებმა მაშინვე უკან-უკან დაიხიეს. თვითონ ქოჩორამ-კი კისერი დაიგრძელა, ფრთები გაშალა და ნადირს მამაცურად გადაეღობა წინა. ნადირი კვერნა იყო. კვერნამ დაღრინა თავისი ბასრი კბილები და მივარდა ქოჩორასა; მაგრამ ქოჩორას მიეშველა მეორე კრუხი, და გაჩნდა საშინელი ომი.

მე შემეძლო ბანიდან ერთი ლონივრად დამექყივლა ქვერნასათვის, შემეშინებინა და უკუ მექცია ტყისაკენ; მაგრამ ცნობის მოყვარეობამ გამიტყუა, თვალებად გარდავიქეცი და სული გავნაბე.

ერთი მხრივ იბრძოდა ბასრი კბილებით და ბრჭყალებით შეიარაღებული ნადირი, მეორე მხრივ ორი სუსტი ფრინველი, რომელთაც იარაღად ჰქონდათ მხოლოდ სუსტი, ძლიერ სუსტი ნისკარტი და სხვა არაფერი. ამათი დაღუპვა და ნადირის გამარჯვება აუცილებელი იყო. მაგრამ ესენი გამხვალულნი იყვნენ ძლიერი დედობრივი სიყვარულით, ნადირს კი ამოძრავებდა მხოლოდ მსუნაგობა, და ჩვენდა სასიხარულოდ, ბრწყინვალედ გაიმარჯვა მაღალმა გრძნობამ და დამარცხებულ იქმნა დაბალი გრძნობა. მართალია, ორივე დედლები ბრძოლის ველზე დაიხოცნენ, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ დაიხოცნენ გმირული სიკვდილით, და მეორე ისა, რომ იგინი სავსებით ეწივნენ თავის გულის წადილსა—შვილების მშვიდობით გადარჩენას. მსუნაგმა ნადირმა-კი არამც თუ ვერ დააკმაყოფილა თავისი მსუნაგობა, არამედ დაისაჯა ისეთი საშინელი სასჯელით, რომელიც სიკვდილზე ბევრად უფრო საზარელია.

საქმე ის არის, რომ ქოჩორა და მისი ამხანაგი სოლცაარი ალღოთი იყვნენ მიმხვდარნი, რომ ერთად ერთი ასოქვერნასი, რომლის დასახიჩრება მათ შეეძლოთ თავისი სუსტი ნისკარტით, იყო მისი თვალები; ამასთან იმასაც კარგად გრძნობდნენ, რომ თვალებ დათხრილი ნადირი ველარაფერს დააკლებდა მათს შვილებსა და ისინი გადარჩებოდნენ უვნებლად, და ჩვენს ფრთოსანს გმირებსაც მეტი არაფერი უნდოდათ. ამის გამო ომის დროს სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ნისკარტი თვალში ჩაეკრათ, ამოეჩიჩქნათ თვალის ბაია და დაებრმავებინათ ნადირი. ჩვენი ქოჩორა უფრო მარჯვედ იბრძოდა და პირველად მან ჩაჰკრა ლონივრად ნისკარტი მტერს მარჯვენა თვალში და ამოსჩიჩქნა თვალის ბაია. ქვერნას საშინლად ეწვავა, გაშმაგებული მივარდა და უწყალოდ დაუ-

წყო გლეჯა. ამ დროს მეორე კრუხმა იხერხა და ჩაჰკრა ღონივრად თავისი ნისკარტი მარცხენა თვალში და მეორე ბაიაც ამოსჩიჩქნა; მაგრამ გამწვავებულის ნადირისაგან თვითონაც იქმნა დაგლეჯილი და დაფლეთილი.

როცა ომი გათავდა, ბრძოლის ველი წარმოადგენდა საშინელს სურათსა: ორი კრუხი დაგლეჯილ-დაფლეთილი ეგდო და სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდათ. თვითონ კვერნა ორივ თვალით დაბრმავებული და დასახიჩრებული საცოდავად დაფართფატებდა და ხან ერთს ხეს მიარტყამდა თავსა, ხან მეორესა. მოშორებით იდგა ორმოციოდე წიწილა, მშვიდობით გადარჩენილი. ესენი იყვნენ მობუზულნი, საცოდავად გასწიოდნენ და გლოვობდნენ თავისს დალუპულს დედებსა, რომელთაც თავისის შვილების სიცოცხლეს შესწირეს საკუთარი სიცოცხლე.

ჩემო ყმაწვილო მკითხველო! რა იქნებოდა, რომ იმ მაღალს არსებას, რომელსაც ქართველი ადამიანი ჰქვიან, იმდენადვე ჰყვარებოდა მოყვასი და მშობელი ქვეყანა, რამდენადაც სუსტსა და დაბალს სულიერს კრუხს უყვარს თავისი წიწილები? ის იქნებოდა, ჩემო კარგო, რომ მოკლე დროს განმავლობაში ჩვენი საქართველოც ბედს ეწეოდა.

---

## ა რ წ ი ვ ი.

არწივი ყველა ფრინველების მეფედ ითვლება და ღირსიც არის ამ დიდებულის სახელისა. იგი მძლავრი, გულადი და ამპარტავანი ფრინველია. ტანი მოშავო ფერისა აქვს, მარტო კისერზედ ოქროს ფერი დაჰკრავს; ნისკარტი აქვს მოკაუჭებული და მეტად მაგარი, ბრჭყალები საშინლად ბასრი და ღონიერი. იმის ბდღვრიალა და ცეცხლის მფრქვეველი თვალებიდგან ძალა და მამაცობა გამოსჩანს. ფრთები აქვს გრძელი, მოყვანილი და ღონიერი; იმისი ფეხები ბრჭყალებამდინ თეთრი ბუმბულით არის შემოსილი. არწივს საცხოვრებლად მაღალი მთიანი ადგილები უყვარს. საცა ერთხელ დაბინავ-

დება, იქ ზამთარ-ზაფხულს სცხოვრობს; ადგილის გამოცვლა მალ-მალე არ იცის.

ყოველს მოძრაობაში არწივი ძალიან სწრაფია. ფრინავს მშვენივრად, მიწაზე კი სიარული უშნოდ იცის. ჯდომაც



ლაზათიანი აქვს; ზის სწორედ, კაცივით ამართული, ფრთებაკრეფილი და ამპარტავნულად აქეთ-იქით იცქირება. ამიტომ მშვენიერი სანახავია მჯდომარე არწივი. გაჩნდება თუ არა რომელსამე ადგილს არწივი, შიშის საშინელს ზარს დასცემს ყველა ფრინველს და წვრილს ოთხ-ფეხს. რა წამს ფრინველები და პატარა ცხოველები გაიგონებენ არწივის ხმას, მაშინვე აქეთ-იქით გულ-გახეთქილები იფანტებიან. მაგრამ არწივის ბდღვრიალა თვალებს რა დაემალება! ფრინველების მეფე ამპარტავნულად და დინჯად ტრიალებს თვალ მიუწვდენელს სიმაღლეში, მაგრამ მისი გამჭრიახი თვალი დაკვირვებით დასცქერის ქვემოდ მთელს მინდორსა. თითქოს ცაში დაუდევნელად ტრიალებსო, მაგრამ რა წამს თავისს საკბილოს რასმე დაინახავს

ქვემოდ, ფრთებს ფიცხლავ შეჰკუმშავს და ალმაცერად ისარივით სწრაფად დაეშვება. ამ დროს საშინელი ძალით და სიჩქარით აპობს ჰაერსა, რომელსაც შხუილი გააქვს. ბასრი ბრჭყალები გაშლილი აქვს, რომ საჩქაროდ ჩაუყაროს საწყალს პირუტყვს, რომელიც თავისს ლუკმად ამოირჩია. არწივი დააცხრება ხოლმე ყოველს ცხოველს, რომლის მორევა და წაღებაც კი შეუძლიან. არ შეიცოდებს არც მოთამაშე პატარა ბავშვსა, არც ცქვიტსა და მკბენარა მელიას, თუმცა მელია ხანდახან ბევრს ანანებს ხოლმე: ჰაერში ატანილი მელია ზოგჯერ არწივს შიგ ყელში მარდად მისწვდება და ყანყრატოს გამოაღადრის ხოლმე. შველი, გარეული გოჭები, ციკნები, ბატკნები, კურდღლის ბაჭია და კატა სისხლით დაიცლებიან ხოლმე ამ საშინელის მონადირის ბრჭყალებში. ფრინველებში არწივი იტაცებს ბატსა, იხვსა, წეროსა, გარეულს ქათამსა და ყველა შინაურს ფრინველსა. არწივის საყვარელი საჭმელი პირუტყვების სისხლია; ამიტომაც წყალს ეს ფრინველი ხან მთელი კვირაობით არა სვამს.

## II

ადვილი წარმოსადგენია, როგორი საშინელი ჭირი უნდა იყოს არწივი თავისს საკბილო ცხოველებისათვის მაშინ, როცა ბარტყებსა ზრდის. როდესაც მხოლოდ თავისი თავი აქვს შესანახი, მაშინაც წვრილს ცხოველებს მოსვენებას არ აძლევს და ახლა ხომ სულ სისხლს უშრობს. მარტშივე დაიწყებს ხოლმე დედალ-მამალი ახალის ბუდის კეთებას, ან ძველის ბუდის გასუფთავებას. თუ არწივი მთებში სცხოვრობს, თავისს ბუდეს მაღალსა და მიუვალს კლდეებში აკეთებს; თუ ბინა ვაკე ტყეში აქვს, მაშინ ბუდეს მაღალსა და მიუდგომელს ხეებზედ იშენებს. არწივები აწყობენ ჯერ დიდს გამხმარს ხის ტოტებს, მერე წვრილსა, ღრმა ბუდეს აკეთებენ და შიგ მატყლსა და ჩალას აგებენ. ბუდე ოსტატური არ არის, მაგრამ დიდია და ისეთი მაგარი, რომ ზედ გაწოლილს კაცს დაიმაგრებს. ბუდის მასალა ორსავე არწივს მოაქვს. როცა მუშაობით ილ-

ლებიან, დედალ-მამალნი ზევით ჰაერში მიდიან დასასვენებლად და ერთმანეთს ოსტატური ფრენით ასიამოვნებენ. ამ გვარივე ფრენით მამალი ართობს დედალსა, როდესაც ის კვერცხებზე ზის. ბუდეში დასდებენ ხოლმე წაბლის ფერს კვერცხებსა ორსა ან სამსა, მაგრამ ორის ბარტყის მეტი იშვიათად გამოიჩეკება. ახალი გამოჩეკილი ბარტყები უფრო მატყლის გორგალსა ჰგვანან, ვიდრე ფრინველსა; მთელი ტანი შემოსილი აქვთ ხშირი თეთრი ბურტყლით; მაგრამ თავი კი მალე მიიღებს ხოლმე ამპარტავნულს გამომეტყველებას. მშობლები კარგად უვლიან, უხვად აჭმევენ ხორცსა, რომელსაც ჯერ თავისი პირით კარგად ჰღეჭვენ და მერმე ბარტყებს უდებენ პირში, ვიდრე ესენი პატარები არიან. ბარტყები, მანამ კარგად არ დაიზრდებიან, ბუდეს თავს არ ანებებენ. დაფრენის შემდეგ დედ-მამა ჯერ კარგად ფრენას ასწავლის, მერმე ნა-



დირობას. ამ დროს არწივები საშინლად ავდებიან, გულადობა და შეუპოვრობა ერთი სამად ემატებათ. არც ფრინველს, არც პატარა ცხოველს მოსვენებას აღარ აძლევენ. ძარგად გამოცდილი და გამბედავი მონადირე უნდა, რომ არწივს ბარტყები მოჰპაროს და დაუჭრელი გადაურჩეს. ხან არწივები კაცს სასიკვდილოდ დასჭრიან და დაამახინჯებენ ხოლმე. აი, ერთი საკვირველი მოთხრობა არწივებთან ბრძოლისა.

ერთმა მონადირემ მაღალს კლდეში არწივის ბუდე შეამჩნია და იქიდგან ბარტყების ამოსხმა მოინდომა. რადგანაც ქვემოდგან ბუდეს ვერ მიუდგებოდა, უნდა ცდილიყო როგორმე ზემოდგან ჩასულიყო. მონადირემ გაიდევნა რამდენიმე ახალგაზრდა ნაცნობი და

თან კანაფის მსხვილი თოკი წაიღო. როცა კლდეზედ ავიდნენ, ახალგაზრდებმა მონადირეს თოკი შემოარტყეს, იღლიებში ამოსდეს და გაფრთხილებით ძირს, ბუდისკენ, ჩაუშვეს. ზამბედავს მონადირეს ხმალი ერტყა, რომ არწივები მოეშორებინა, თუ უცებ გაჩნდებოდნენ და ბრძოლას დაუწყებდნენ. როცა ბუდემდინ ჩავიდა, ორი ბარტყი ამოიყვანა, პარკში ჩაისვა და თავის ამხანაგებს ანიშნა, რომ თოკი ზემოდ აეწიათ. კლდის წვერს ბევრი აღარა უკლდა-რა, როცა დედალ-მამალი არწივი გაჩნდა და მონადირეს საშინელი ყვირილით მიესია. მონადირეს უნდოდა მოეგერებინა, ხმალს ხან აქეთ იქნევდა, ხან იქით და ერთი თავისი მტერი კიდეც მოჰკლა. მეორე არწივი გაფრთხილდა და უფრო კაპასი ბრძოლა დაუწყო. ბულადს მონადირეს იმედი ჰქონდა, ამასაც ბოლოს მოვუღებო; მაგრამ ამ დროს გარშემო თვალი გადაავლო და საშინლად შეძრწუნდა, რადგანაც დაინახა, რომ თოკი ხმლით გადაუჭრია და მხოლოდ მის მეოთხედზედ ოდნავ-ღა ჰკიდია საშინელს უძირო ხრამზედ. შიშით გული წაუვიდა, ხმალი ხელიდგან გაუვარდა, და ამხანაგებმაც ცოცხალ-კვდარი ზემოდ აიტანეს. მონადირე ძლივს-ღა იცნეს, რადგანაც შემაძრწუნებელის შიშის გამო თმა უცებ სრულიად გასთეთრებოდა.

საზოგადოდ არწივზედ ნადირობა ძალიან ძნელია. ძლიერ ფრთხილი ფრინველია და მიუდგომელს ადგილზე ჯდება; იშვიათად მოხდება, რომ მონადირე სასროლს მანძილზე მიეპაროს. ცოცხალის დაჭერა კიდევ უფრო ძნელია. ზოგან არწივს ხაფანგით იჭერენ. შინ არწივი ადვილად გაეჩვევა ხოლმე. გაშინაურებულს არწივს ნადირობას ასწავლიან: აჭერინებენ კურდღელსა, მელას და ხან მგლის ლეკვებსაც. არწივი დიდ ხანს სცოცხლობს. ერთს ქვეყანაში ამას წინად გაჩვეული ჰყავდათ არწივი, რომელმაც ას ოთხი წელიწადი იცოცხლა. ტყესა და მინდორში თავისუფლად რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, უფრო ბევრს იცოცხლებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არწივი და თხუნელა.

შორიდგან ორი არწივი მოფრინდა უცხო მხარეში,
ბინა მონახა, ჩასახლდა ერთს მაღალს დაბურულს ტყეში.
იპოვეს მუხა რტოვანი, შორს ატყორცნილი ჰაერში,
და მყისვე ბუდის კეთება იწყეს უწვდენელს მის წვერში.
რა ესმა ესე თხუნელას, არწივს ჰკადრა: ეს ხეო
ძირშია სრულად დამპალი, მე ჩემი თვალით ვნახეო,
მასზედ ცხოვრება არ გარგებთ და ნურც ააგებთ ბუდესო,
თორემა შესაძლო არის, — მალე ძირს გადმობრუნდესო.
მაგრამ გავლა სხვის ჭკუაზე ვის სმენია არწივისგან,
ვის სმენია, რჩევა იღოს უძლეველმა უძლურისგან?
მაშ სადღა გაჰქრა ის ქება, რომ არწივისა თვალით
გამჭრიახია, ანათებს, როგორც რომ ცეცხლის ალით.
ან ბრმა თხუნელა ძირიდგან, სადღაც შემძვრალა სოროში,
როგორა ჰბედავს გარევას ფრინველთა მეფის საქმეში?
ასე ფიქრობდა არწივი, რჩევას არ უგდო მან ყური
და ფრინველთ დედოფლისათვის მუხაზე დადგა სადგური.
მარჯვედ წავიდა ჯერ საქმე, ეყოლათ ქორფა ბარტყები,
მათ შეჰხაროდნენ მშობლები, ბედისა მადლიერები.
ბოლოს კი სიცოცხლის ჩარხი უკუღმა დატრიალდათ,
ეს ტკბილი ბედნიერება გაუქრათ, გაუტიალდათ.
როცა ერთს დილას არწივი ნადირობიდგან მიჰქროდა
და მშიერ ოჯახისათვის კარგი საუზმე მიჰქონდა,
ნახა, რომ მუხა მაღალი მიწაზე წაქცეულიყო
და მთელი მისი ოჯახი ხის ქვეშა განთხეულიყო.
ზარ-დაცემულმა თავს უთხრა: „საბრალო შევცდი ავადო,
ამაყობით თვალ-აბმული ბედმა დამსაჯა მწვავადო;
არ შევისმინე მე რჩევა და დარიგება ბრძნულით
და ჩემი უგუნურებით მთლად მოვიკალი გულით.
მაგრამ რა საფიქრებელი იყო იმ ნეტარს დროსა,
თუ კარგის რჩევის მოცემა ეძლო იმ მიწა მძრომსაო."
შორით თხუნელამ არწივს შესძახა შებრალებითა:

„რომ ყური გეგდო ჩემთვის, გესინჯა რჩევა ჭკუით,
უეჭველად მიხვდებოდი, რომ მუდამ მძრომსა ქვესკნელში
შენზედ კარგად გაეგება, რაც ხდება ხის ფესვებში“.

ცახელი.

---

## სირაქლემა.

იქნება გაგონილიც არა გქონდეთ ამ ფრინველის სახელი. ეს საკვირველიც არ არის. სირაქლემა არა სცხოვრობს იმისთანა ქვეყნებში, სადაც ისეთი ცივი ზამთარი იცის, როგორც ჩვენს საქართველოში. ეს ფრინველი ცხელის ქვეყნების მცხოვრებია. საკვირველი აგებულება და თვისება აქვს სირაქლემას. კისერი და ფეხები აქვს მეტად გრძელი და ღონიერი, სიმაღლით ერთს საჟენზე მეტია, ასე რომ მაღალის ტანის კაცსა სჭარბობს; სიმძიმით რვა ფუთია. ფრთები აქვს პატარა და სუსტი, — ამიტომ ფრენა არ შეუძლიან. მაგრამ საკვირველი ჩქარი სირბილი იცის და არა ცხენს არ შეუძლიან მიჰყვეს. სირბილის დროს ორს საჟენს ნაბიჯს ადგამს; მხოლოდ მალე იღლება, და თუ კარგს ცხენზედ მჯდომმა კაცმა დაღლილს მოასწრო, შეუძლიან მოეწიოს და დაიჭიროს. ზურგი სირაქლემას ისეთი მაგარი და ღონიერი აქვს, რომ ზედ შეისვამს არამც თუ ერთს კაცსა, თუნდა ორსაც. კუჭი აქვს საშინლად გაუმაძღარი და მომნელებელი; ასე გასინჯეთ, თითქმის რკინის მონელებაც შეუძლიან. ერთხელ სირაქლემა ერთს ქალაქში საჩვენებლად დაჰყავდათ. ხალხი ბევრი შემოეხვია. აქ ერთი ბებერიც დაესწრო. ამ ბებერს თავისის სახლის გასაღები ხელში ეჭირა. სირაქლემა ბებერს მიუახლოვდა, თავისი გრძელი კისერით წასწვდა, ხელიდგან გასაღები გამოსტაცა და გადაყლაპა. მეორედ კიდევ ქალს ხელიდან ხელთათმანები გამოჰგლიჯა და ესეც გემრიელ ლუკმასავით გაგზავნა მუცელში. საყვარელი საჭმელი კი სირაქლემასი სხვა-და-სხვა მარცვლეულობა და ბალახია. თუ დაიჭირეს და გაშინაურდა, მაშინ პურის ჭამასაც ეჩვევა. სირაქლემას კვერცხი პატარა ყმაწვილის თავის ტოლაა და ქათმის ოც-და-სამს კვერცხს უდრის.

სირაქლემას ცხოვრებაში ბარტყების გამოჩეკა ყველაზედ უფრო შესანიშნავია. ისე დროსაც, და მეტადრე გამოჩეკის დროს, ოთხი, ან ხუთი სირაქლემა ერთად სცხოვრობს; ამ კრებაში მამალი ერთის მეტი არ არის; სხვა სულ დედლები არიან. ხამი ან ოთხი დედალი კვერცხებს ერთს ბუდეში სდებს. ბუდეს მრგვალს აკეთებენ თიხნარის მიწის ორმოში; გარშემო ბუდეს



მიწის ამაღლებულს ბექობს გაუკეთებენ ხოლმე, რომ ვეებერთელა კვერცხები არ გადმოცვივდეს. ძკვერცხები ბუდეში ყირამალა აწყვია, ვიწრო თავი ძირსა აქვს, განიერი ბოლო ზემოდ, რომ ბუდეში უფრო ბევრი კვერცხი ჩაეტიოს. სირაქლემა კრუხად კვერცხებს მაშინ დააჯდება, როცა ათი ან თორმეტი კვერცხი სძევს ბუდეში. დღისით ბუდეზე დედლები ჯერით სხედან; როცა ერთს ჯდომა მოსწყინდება, სიარული და საჭმლის შოვნა მოუნდება, მეორე დედალი მივა, ბუდეზე მჯდომარეს დაითხოვს და თვითონ დაჯდება. როცა ამას ამოსვლა მოუნდება, მესამე მივა და მის მაგივრად ჩაჯდება. ზამოჩეკაში დედალი სირაქლემები ერთმანეთს ასე ჰშველიან დღისით; ღამით კი კვერცხებს მამალი აზის, რადგანაც დედალზედ უფრო ღონიერია და ბუდესთან არ უშვებს ტურებსა და გარეულს კატებს,

რომლებსაც სირაქლემას კვერცხების ჭამა ძლიერ უყვართ. ეს ნადირნი ზევრჯელ სირაქლემის ბუდესთან დახოცილნი უნახავთ; სჩანს, რომ მამალი სირაქლემა არამც თუ იბრძვის, არამედ თავისს მტერს მარჯვედ ჩაკრული წიხლით კიდეცა ჰკლავს.

სირაქლემა ძლიერ ფრთხილი ფრინველია; მონადირე მინდორში ძალიან ძნელად მიუახლოვდება. ბამჭრიახი თვალები და მახვილი ყურები მალეატყობინებს მტრის სიახლოვეს, და სირაქლემა იმავე წამს ჰქრება.

სირაქლემას ხმა ხან კვნესასა ჰგავს, ხან ყმუილსა. როცა ეს ფრინველი გაჯავრებულია, მაშინ ბატივით სისინებს. სირაქლემა ძლიერ გაუმაძღარი რამ არის. ვაი, იმ ნათესის პატრონს, სადაც სირაქლემები შეესევიან. თავთავებს სულ მოსძოვენ და ნაწვერალს ფეხებით ჩაჰქელვენ. სირაქლემაზე ნადირობა ძლიერ სასარგებლოა. ზოგიერთა ხალხი მარტო სირაქლემას კვერცხებითა და ხორცით იკვებება. მის ტყავიდგან აკეთებენ სხვა-და-სხვა ნივთებსა. მშვენიერი ფრთები, რომლებიც სირაქლემას ბოლოზედ ასხია, ძვირად იყიდება ქალების შლაპებისათვის.

ცხელის ქვეყნების მცხოვრებლები სცდილობენ ძვირფასის ფრთების გულისათვის ეს ფრინველი შეიჩვიონ და გაიშინაურონ. სირაქლემა მალე მიეჩვევა ხოლმე შინაურს ცხოვრებას და მოსამსახურობასაც. ბევრს მოგზაურს უნახავს, რომ სირაქლემას ზურგზე კოკები ჰკიდებოდეს და წყალი მიჰქონებოდეს; ზოგნი სირაქლემას ცხენის მაგივრადაც ხმარობენ: ზედ შეჯდებიან და დააჭენებენ.

---

## ფრინველების გონება.

ყველამ იცის, რომ ფრინველები სიმარხაზითა და სილამაზით სხვა ცხოველებს ძლიერ სჯობიან. იმათ გონებაზედ კი ბევრს შემცდარი აზრი აქვს და უგონო სულდგმულებად მიაჩნიათ. მაგრამ, ვისაც კი ყურადღება მიუქცევია იმათ ცხოვრებისათვის, კარგად იცის, რომ ფრთოვანი ცხოველები

დიდს გონებასა და მეხსიერებას იჩენენ თავისს ყველა მოქმედებაში. ერთის წლის გამოცდილება ფრინველებს რამდენსამე წელიწადს ახსოვთ. წეროსა, შროშანსა და მერცხალს თავისი ბინა არ ავიწყდებათ ზამთარში, როცა თბილს ქვეყანაში არიან; გაზაფხულზე რომ მოდიან, ძველს ბუდეს ადვილად პოულობენ. მაშასადამე, გარეულს ფრინველებს სუსტი მეხსიერება არა ჰქონიათ. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითიც. ერთი ბუნების-მეტყველი ყვავებზე ნადირობდა და იმათი ხორცით გაშინაურებულს არწივს ჰკვებავდა. ყვავებმა მალე დაიხსომეს ეს კაცი, და რა წამს ერთი ყვავი დაინახავდა, მაშინვე დაიწყებდა საშინელს ყვირილს. ამით შეატყობინებდა სხვა ყვავებს, და ისინი აქეთ-იქით გაიფანტებოდნენ.

შინაური ფრინველები კიდევ უფრო ცხადად იჩენენ მეხსიერებას. აი, ერთი ამისი მაგალითი: ერთს სწავლულს კაცსა ჰყავდა მამალი, რომელსაც ერთი ქათამი ძლიერ ეჯავრებოდა. რადგანაც ამათი ჩხუბით სხვა ქათმებსაც მოსვენება არა ჰქონდათ, ამიტომ ამ კაცმა ეს მამალი ერთს გლეხკაცს აჩუქა და სამაგიეროდ ახალი მამალი იშოვნა. ორის წლის შემდეგ ნაშოვნი მამალი მოუკვდა და გლეხთან ბიჭი გაგზავნა უწინდელ მამლის სასყიდლად. შემოვიდა თუ არა ეზოში ძველი მამალი, მაშინვე სიხარულით მიიხედ-მოიხედა, ფრთა ფრთას შემოჰკრა, დაიყივლა და თავისს ნაცნობს ქათმებს დიდის ალერსით მიესალმა. მაგრამ მერმე უცებ უსიამოვნოდ გაშტერდა, როცა თვალი მოჰკრა იმ ქათამს, რომლის გულისათვისაც პატრონმა ის უწინ სახლს მოაშორა. მამალი აიმრიზა და ქათამს მტრულად დაუწყო ცქერა. ქათამი შეშინდა და მოიბუზა. რამდენისამე წამის შემდეგ ამათ შუა ისევ ომი გაჩაღდა. რაღა გაეწყობოდა, პატრონმა აიღო და ეს მამალი თავისს ეზოდგან ხელ-მეორედ გადაკარგა.

ფრინველები დიდს ჭკუას იჩენენ ყველა თავისს მოქმედებაში: საჭმლის შოვნაში, ბუდის კეთებაში, მტრის მოგერიებასა და იმის მოტყუებაში, შვილების დაზრდასა და იმათ

დაფრენაში. ზევრმა ფრინველებმა იციან, თუ ლეში, ან სხვა საჭმელი დაბლობს ალაგას იპოვნეს, ჯერ ახლო მაღლობზედ მცველებს დააყენებენ, მერმე დაასხდებიან და ჭამას დაუწყებენ. წეროები მცველებად ხნიანსა და გამოცდილს ამხანაგებს ირჩევენ. ბატებს თუ წყალში ჩასხდომა უნდათ, ჯერ ფრენით მაღლა-მაღლა წავლენ ცაში და იქიდგან ტბის ნაპირებს დაათვალიერებენ, მტერი ხომ არსად არის დამალულიო; მერმე შიგ შუა ტბაში ჩაეშვებიან, რომ ნაპირიდგან მონადირემ ტყვია ვერ მიუწიოს. აი, ერთი შესანიშნავი მაგალითი ფრინველების ეშმაკობისა: ერთს კაცს შინ გაჩვეული კაჭკაჭი ჰყავდა, რომელიც ქათმებისაგან დიდს შეწუხებაში იყო; ქათმები მიესეოდნენ, საჭმლიდგან გააგდებდნენ და მშიერს დაარჩენდნენ ხოლმე. საწყალს კაჭკაჭს საშინელი ჯავრი მოსდიოდა, როცა იმის საჭმელს ქათმები შეექცეოდნენ და იმას-კი შორიდგან თვალები ებრიცებოდა. რადგანაც ძალით კაჭკაჭი ქათმებს ვერას გზით ვერ მოერეოდა, ამიტომ ღონის მაგივრად ხერხი იხმარა: ჭამას დაიწყებდნენ თუ არა ქათმები, კაჭკაჭი მაშინვე მიუახლოვდებოდა და ცხარე ჩხუბს აუტეხდა; ქათმებს ჯავრი მოუვიდოდათ, კაჭკაჭს გამოეკიდებოდნენ, ის შორს გაიტყუებდა, მერმე უეცრად აფრინდებოდა, საჭმელს დააფრინდებოდა, კარგს ლუკმას წაიღებდა და ღობეს ქვეშ შეინახავდა. მერმე კიდევ მოვიდოდა და ქათმებს ხელ-ახლად ჩხუბს დაუწყებდა; ქათმები ისევ გამოეკიდებოდნენ, და კაჭკაჭიც საჭმელს უწინდებურადვე მოსტაცებდა ხოლმე. ამ გვარს ეშმაკობას იქამდე განაგრძობდა, ვიდრე თავისს სამყოფს საჭმელს არ იშოვნიდა.

ერთის სოფლის მახლობლად პატარა ტყეში ყვავი სცხოვრობდა. როცა ეს ყვავი მშიერი იყო, მაშინ იმისთანა ეშმაკობასა და გულადობას იჩენდა, რომ მთელს სოფელს აკვირვებდა და მცხოვრებლები მოთმინებიდგანაც გამოჰყავდა. რა წამს პატარა ბატების გროვას უპატრონოდ დაინახავდა, მაშინვე უკან დარჩენილს ჭუკს დაეცემოდა, ნისკარტის ცემით დაარეტიანებდა, მერმე კისერში დააფრინდებოდა და თავისს

ბახალებს წაუღებდა. პატარა იხვებსა და წიწილებსაც ასევე იტაცებდა. ერთხელ ერთი დედაკაცი ბოსტანს მარგლიდა; გვერდით ედო ყველის კარგა მოზრდილი ნაჭერი. დაინახა თუ არა ეს ყვავმა, მაშინვე ზევიდგან სწრაფად წამოვიდა, დედაკაცს არ მოერიდა, ყველი მოსტაცა და თავისს ბუდეში წაიღო. პატრონმა ბევრი უკივლა, მაგრამ ყვავი არაფერს შეეპუა. ერთის თავადიშვილის ყანაში გლეხები მუშაობდნენ და საუზმე ჯიბით თან მიჰქონდათ ხოლმე. როცა მზე მაღლა ავიდოდა, ტანისამოსს იხდიდნენ და მიჯნაზედ აწყობდნენ. ერთხელ, მუშები რო შორს წავიდნენ, ყვავი მიფრინდა, ჯიბეები კარგად გასინჯა, ერთი ჯიბიდგან საუზმე ამოიღო და წაიღო. ამხანაგებმა გაძარცულს დასცინეს და უთხრეს, ჩვენ მაგისთანა სასაცილო საქმე არ მოგვივაო. მეორე დღეს იმათ თავისს ტანისამოსს ჯიბეები შიგნით უყვეს და ზემოდგან კალთები წააფარეს. ყვავმა მაინც მუშებს უთვალთვალა და, როცა ისევ შორს წავიდნენ, ტანისამოსთან მიფრინდა, ნისკარტით კალთები გადაჰხადა, ჯიბიდგან საჭმელი ამოიღო, ჯერ თვითონ გაძღა და მერმე თავისს შვილებსაც კარგი სადილი წაუღო. მეტი ღონე არ იყო, მუშებს ტანისამოსზედ ისეთი დიდი ქვები უნდა დაეწყოთ, რომ ყვავს გადაგორება ვერ შესძლებოდა. ამის შემდეგ ჰკვიანმა ყვავმა დიდი ყურადღება მიაქცია კაცების ჯიბეებსა და სინჯავდა ყოველთვის, როცა კი ჯიბიან ტანისამოსს დაინახავდა კარზედ, ან დერეფანში უპატრონოდ. სოფლის მცხოვრებლებმა ერთს მონადირეს ბევრი სთხოვეს, რომ ეს ყვავი მოეკლა, მაგრამ უარი უთხრა, რადგანაც იმის ჰკუით ძლიერ გაკვირვებული იყო.

---

## ფრინველების მოგზაურობა.

დადგება შემოდგომა, თან სიცივე მოაქვს და ბუნებას აჭკნობს. ხეებს ფოთლის ტანისამოსი ეხდება, ყვავილები მინდორს აღარ ალამაზებს, თანდათან ყოველი სულდგმული ღონდება და ნაღვლიანდება. მარტო ფრინველები არიან ცქვიტად

და მხიარულად. ან რა აქვთ დასაღონებელი? სიცივე და ზამთარი მათ ვერაფერს დააკლებს; ჩვენს ქვეყანას მოშორდებიან და იქ წავლენ, სადაც მზეს უფრო კაშკაში გააქვს, თბილა და საჭმელიც ბევრია. მოატანს თუ არა შემოდგომა, ფრინველები თბილს ქვეყანაში წასასვლელად მზადებას შეუდგებიან. ბევრი ცხოველი საზამთროდ მიწაში ჩაძვრება, ბევრი სიცივით კიდეც მოკვდება, ფრინველები კი ამ დროს სტუმრად არიან იქა, სადაც არც სიცივეა და არც თოვლი. ბედნიერნი არიან! გამოსალმების წინ თავიანთ მხიარულს ლექსებს ერთხელ კიდევ გვიგალობებენ, თავისს ნაცნობს ადგილებს ერთხელ კიდევ ეწვევიან, თავისს დატოვებულ ბუდეს ბოლოს კიდევ ნახავენ, მერმე აფრინდებიან და თბილის ქვეყნებისაკენ გასწევენ. სასიამოვნო ჟივჟივი და ჭიკჭიკი აღარ გვესმის, მშვენიერი ბულბულის გალობა და მერცხლის საამური ხმაურობა გულს აღარ გვიმხიარულებს. შორს, შორს მიემგზავრებიან ჩვენი მგალობელი მეგობრები. იმათ ადამიანი უკან დიდი სიხარულით დაელოდებოდა, მაგრამ მიწის მტკიცე ბინადარია და ზამთარზაფხულ სცხოვრობს იქ, სადაც პირველად მზე დაინახა. ადამიანი ფრინველებს სიმწუხარით იგონებს და თავის თავს ჰკითხავს: „ნეტა ვნახავთ-ღა კიდევ ერთმანეთსა?“

იმედი ანუგეშებს კაცსა, რომ თავის მგალობელს მეგობრებს ისევა ნახავს, როცა ახალი გაზაფხული დადგება და თან მოიდევნებს მშვენიერს მაისს, რომელსაც მხიარული მგალობლები მოჰყვებიან. ისინი მართლაც ისევ დაბრუნდებიან, ჩვეულებრივ დაიწყებენ ჭიკჭიკსა და გალობას და თავისს სამშობლო ქვეყანას შეამკობენ. ჩვენ თვითოეულის ფრინველის მოსვლა გვიხარიან, იმიტომ რომ გამოსაკითხი ბევრი რამე გვაქვს.

რისთვის დაუტევეთ სამშობლო ქვეყანა და რად მობრუნდით? პირველად თავი ვინ დაგვანება, მერე იმას ვინ გაჰყვა და სულ ბოლოს აქედგან ვინ წავიდა? ხით მიფრინავდით, როგორ მოგზაურობდით და გზას ვინ გიჩვენებდათ?.. როგორი ქვეყანაა, სადა თქვენ იყავით, როგორია ცა, როგორი პირუტყვები, მინდვრები და ტყეები? როგორ გაატარეთ დრო უცხო

ქვეყნებში, ვინ მოგცათ იქ ბინა? გვითხარით, მხიარულნი იყავით, თუ დაღონებულნი? თქვენს ძველს ლექსებს იქაც გალობდით, თუ არა? ბარტყები იქაც დაზარდეთ, თუ უშვილოდ იყავით? ისევ უწინდელი ფრინველები მოხვედით, თუ სხვები? თქვენი ძველი სამშობლო იპოვეთ, თუ ვერა?

დიაღ, კარგი იქნებოდა, რომ გვესმოდეს ფრინველების ენა! უთუოდ თავისს ლექსებში გველაპარაკებიან თავიანთს ცხოვრებასა და თავგადასავალზედ. მაგრამ ჩვენ იმათი არაფერი გვესმის, ფრინვლის ცოცხალი და მკაფიო ენა ჩვენ არ გვეყურება.

## ფრინველების მომზადება წასვლისათვის.

მინდვრები ჯერ ისევ მარცვლებით სავსეა, ხეები მწვანეა, ყვავილები ჰყვავის, ბაყაყების ხროვა სალამ-სალამობით თავისს მხიარულს ყიყინს ჯერ ისევ გასძახის, ჯერ მზე ქვეყანას ისევ თბილ სხივებს უგზავნის, ღამეები ჯერ კიდევ ცივი არ არის; მაგრამ მიუხედავად ამისა, ფრინველები ამ დროს წასვლისთვის ემზადებიან. რა არის ამისი მიზეზი? პირველი მიზეზი საჭმლის მოკლების შიშია. მართალია, საჭმელი ამ დროს ფრინველებს კიდევ უხვად აქვთ, ძლიერ მსუქნებიც არიან, ასე რომ მწყრებს ამ დროს ფრინვა ხეირიანად არ შეუძლიანთ, მაგრამ ისინი კარგად გრძნობენ, რომ საჭმელი ჩვენ ქვეყანაში მალე გამოილევა, და უნდათ დროით წავიდნენ. მეორე მიზეზი სიცივეა. მართალია, შემოდგომის დამდეგს ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ თბილა, მაგრამ ფრინველებს გრძნობა ატყობინებს, რომ სიცივე მალე დადგება, და ამიტომ თბილს ქვეყნებში მიეშურებიან. ამ დროს გალიაში დამწყვდეულის ფრინველების ყოფაქცევა შესანიშნავია. თუმცა მთელი წელიწადი საჭმელი უხვად აქვთ და ერთნაირს სითბოში სცხოვრობენ, მაგრამ როცა ფრინველების წასვლის დრო მოახლოვდება, ამათაც მოგზაურობა და თბილს ქვეყნებში წასვლა მოუნდებათ ხოლმე. დაღონებულნი გალიაში სხედან, ღამ-ღამე ცოტა სძინავთ და ძალიან იშვიათად გალობენ, მოუსვენრად არიან, უნდათ

გალიიდგან გამოფრინდნენ და წასულს ფრინველებს დაედევნენ.

ფრინველები წასვლის წინ მოგროვებას გუნდ-გუნდად იწყებენ ხოლმე. ყველას უნახავს, რომ ამ დროს მერცხლები ერთად იკრიბებიან. წასვლის წინა ღამეს კი ერთმანეთს ისევ ჰშორდებიან; ყველა დედალ-მამალი თავის ბუდესთან მიდის, გარეშემო რამდენჯერმე უვლის, მერმე ზედა ჯდება და კარგა ხანი ჰიკჰიკობს, თითქო თავისს ბუდეს ესალმებაო. სალამოზედ ისევ ერთად გროვდებიან, საყდრებსა და კოშკებს გუნდ-გუნდად გარს უვლიან, მერმე სოფლის გარშემო ტრიალებენ, თითქო სამშობლოს ეთხოვებიანო; ბოლოს ბინდისას მერცხლების მთელი გუნდი სოფლის გარედ გადის და უკანასკნელს ღამეს ჭაობის ჩალებსა და ლერწმებში ათევს. მეორე დღეს, ინათებს თუ არა, გუნდი გზას გაუდგება ხოლმე. აგრეთვე ერთად იკრიბებიან წასვლის დროს წეროები და სხვა ფრინველები. მგზავრების დროს თუ შენიშნეს, რომ ამხანაგები აკლიათ, მაშინვე მოპატიჯეს გაუგზავნიან და წასასვლელად მოიწვევენ.

თუ შემოდგომაზე ფრინველები ნელ-ნელა ემზადებიან და წასვლას არ ეჩქარებიან, წასვლის შემდეგაც გზაზედ მალ-მალე ჩერდებიან და ხშირად გალობენ,—მაშინ კარგსა და თბილს შემოდგომას უნდა მოველოდეთ. თუ კი წასვლას მოუსვენრად ეშურებიან, ცოტას გალობენ და თავს უეცრად გვანებებენ, უთუოდ ნაადრი და ცივი შემოდგომა დაგვიდგება. ჩვენი ქვეყნიდგან რომელი ფრინველიც გვიან წავა ხოლმე, ის ყველაზედ ადრე მოდის; რომელიც თავს ყველაზედ ადრე გვანებებს, ის გვიან მოგვიგონებს ხოლმე. ვისაც ჩვენი გაშორება ემძიმება, ის ადრე ბრუნდება, და ვისაც არა, ის გვიან მოდის.

## ფრინველების მგზავრობა თბილის ქვეყნებისაკენ.

ფრინველები ჩვენი ქვეყნიდგან სამხრეთისაკენ მიდიან, რადგანაც თბილი ქვეყნები იქით არის. მოგზაურობის დროს

უკან მალ-მალე იხედებიან, რომ სამშობლო ქვეყანას ერთხელ კიდევ თვალი მოჰკრან. წამსვლელის ფრინველის რიცხვი დიდია; ჩვენი ქვეყნიდგან ნახევარზე მეტი ფრინველი წავა ხოლმე. საზამთროდ თავს გვანებებენ: გუგული, ბულბული, მერცხალი, გარეული იხვი, მწყერი, ტოროლა, წერო, გარეული ბატი, შროშანი და კიდევ სხვანი. ჩვენთან ზამთარში რჩებიან: არწივი, ჩიტი, ალალი, ბუ, ქოტი, ყვავი, კაჭკაჭი, კირკიტა და სხვები. ზოგი ფრინველი მარტო მოგზაურობს, ზოგი დედალ-მამალი — ერთად, ზოგი — ჯგუფად. ზამოჩეკის შემდეგ, როცა ფრინველები წასვლას ჯერ კიდევ არ აპირებენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან; მერმე რამდენიმე ჯგუფი ერთად შეგროვდება და ბრბოს შეადგენს, — ეს ბრბო წასვლის შემდეგ ერთად მოგზაურობს. ზოგიერთი ფრინველები წასვლის წინ დაიყოფებიან ხოლმე: დედლები ცალკე იკრიბებიან, მამლები ცალკე. ჯერ დედლები წავლენ ხოლმე, მერმე მამლები. მგზავრობის დროს ფრინველების გუნდი არ გაიყოფება. ზოგიერთის ფრინველების მგზავრობა სასიამოვნო საცქერია: სწორედ ჯარის-კაცებივით დამწკრივდებიან, ხან ერთ რიგად, ხან ორ რიგად, ერთი წინ მიუძღვის, სხვანი უკან მისდევენ. როცა წინამძღოლი დაიღლება, სხვა დაწინაურდება და წინანდელი ბელადი სულ ბოლოს მოექცევა. წინა ფრინველი უფრო იღლება, ამიტომ რომ ის ჰაერს აპობს, სხვანი კი გაკვალულს გზას მისდევენ. ამ გვარად მოგზაურობენ: ჩვენი წეროები, გარეული ბატები და სხვა დიდი ფრინველები. გზად ამოირჩევენ ხოლმე მდინარეების ნაპირებს, რომელიც სამხრეთისაკენ მიდის, ღელეებს, ტყის პირებსა. ეს რისთვის? იმისთვის, რომ ამ ადგილებში უფრო ბევრს საჭმელს შოულობენ. ფრინველები დღისითაც მგზავრობენ და ღამითაც. რომელთაც სხვა ფრინველებისა არ ეშინიანთ, დღისით მოგზაურობენ, ღამე კი დაისვენებენ ხოლმე; რომელთაც სხვა-და-სხვა ფრინველები ემტერებიან, ისინი ღამ-ღამე მიფრინავენ, დღისით კი ტყესა და ჭალაში ისვენებენ და საჭმელს შოულობენ. შლონო და პატარა ფრინველები დაბლა მიფრინავენ, რომ მტრის დადევ-

ნების დროს ტყეში, ან ჩირგვში ადვილად ჩაიმალნენ. დონიერი და დიდი ფრინველები ცის სიმაღლეში მიდიან, რადგანაც არავისი არ ეშინიანთ და პირდაპირ სიარულს იმ სიმაღლეზე მთა და გორა ვერ დაუშლით. რომელი ფრინველებიც დღისით მგზავრობენ, სადილს უკან ისვენებენ. წეროებს თუ ეჩქარებათ, ან ღამის ბინაზედ ვინმემ შეაწუხა, მგზავრობას ღამეც განაგრძობენ ხოლმე. ღამით მიფრინავენ: ჰოტი, ბულბული, იხვი, მწყერი; მოგზაურობის დროს ამ ფრინველებს თითქმის სულ არა სძინავთ,—ღამე მიფრინავენ, დღისით ისვენებენ და საჭმელს შოულობენ. თუ კარგი დარი დაუდგათ, ფრინველები მგზავრობას ჩქარა ათავებენ და აღნიშნულს ქვეყანაში მალე მიდიან; თუ ცუდი დარი შეხვდათ, უგვიანდებათ. ზოგი ფრინველი ახლო ქვეყანაში ჩერდება და ამიტომ თავისს მგზავრობას მალე ათავებს. მოგზაურობის დროს ფრინველები მოწყენილნი არიან და ცოტას გალობენ; ენანებათ თავიანთი სამშობლო, რომელსაც ძალა-უნებურად თავი დაანებეს. ამის გარდა, სხვა წვალებასა და ტანჯვასაც ბევრს გამოივლიან ხოლმე. რომელ ქვეყნებზედაც იმათ გზა უძევთ, იქ ბევრი იმათგანი უდროოდ აკლდება წუთი-სოფელსა. ამ ქვეყნის მცხოვრებელნი დიდით-პატარამდე მინდორში მოდებულნი არიან და ფრინველებზე ნადირობენ. ზოგი თოფს ესვრის, ზოგი ჯოხით ჰხოცავს, ზოგი ხაფანგით იჭერს. დიდ-ძალი ფრინველი იხოცება ამ დროს. ბევრი ფრინველი, რომელიც ამ დროს გადარჩება, შემდეგ ზღვაში იღუპება. ფრინველები რომ ზღვას მიუახლოვდებიან, დასასვენებლად ნაპირზედ სხდებიან და ზურგის ქარის ამოსვლას უცდიან. როცა ეს ქარი ამოვა, აფრინდებიან და ქარის შემწეობით ცდილობენ ზღვის იქით ნაპირს გადაფრინდნენ. მაგრამ ბევრი პატარა ფრინველი იღლება, ფრენას ველარ უძლებს, ცვივა ზღვაში და იხრჩობა; მეტადრე თუ ქარი ჩაუდგათ, ან ზღვაში ფრენის დროს პირქარი ამოუვარდათ, ძალიან ბევრი ფრინველი იღუპება წყალში და ხდება ონავარის მტაცებელის თევზების ლუკმად.

## სამთრობით ფრინველების უცხო ქვეყნებში ყოფნა.

შემოდგომაზედ, როცა ჩვენს ქვეყანას თანდათან ფრინველები აკლდება, თბილი ქვეყნები ჩვენგან წასული ფრინველებით ივსება. ჯერ მიდიან ხოლმე იქ ის ფრინველები, რომლებიც აქედან ადრე მიდიან, მერმე შემდეგ წასულნი, ბოლოს ისინი, რომლებიც ყველაზედ უკან თავს გვანებებენ. რომელი ფრინველებიც მოგზაურობას ცალკ-ცალკე შეუდგებიან, თბილს ქვეყნებშიაც თითო-თითოდ მიდიან; რომლებიც კრებით მიდიან, იქაც გუნდ-გუნდად მიფრინდებიან ხოლმე. მშვენიერი სანახავია ამ დროს სამხრეთის ქვეყნები: მინდვრები, ტყეები, ტბები სულ სავსეა სხვა-და-სხვა ჩვენებური და იქაური ფრინველებითა. მათი ჟივილ-ხივილი მთელს იქაურს ბუნებას აღვიძებს. მეტადრე მწყრებისა ისეთი დიდი გუნდი მიდის ხოლმე, რომ მარჯვე მონადირე თოფით დღეში ოთხასსა და ხუთასზე მეტს მოჰკლავს. უმეტესი წილი ჩვენის ფრინველებისა საზამთროდ ეგვიპტეში მიდის. აქ არის მაღალი, მიუდგომელი და ტიტველი მთები, რომელსაც გარს აკრავს აყვავებული, შემუშავებული და ჭალიანი მინდვრები. ამასთან ეგვიპტეში მრავალი ტბებია და ჰაობები; ამიტომ ეგვიპტეს ეტანება მრავლისგან მრავალი ფრინველი და მთელს ზამთარს იქ ატარებს. მეტადრე ურიცხვი ფრინველი გროვდება იქაურს ტბებში, რომლებსაც გარშემო მშვენიერი ხშირი ტყეები არტყია. თუმცა იმ ტყეებში ზაფხულშიაც ბევრი ფრინველი სცხოვრობს, მაგრამ ამ ფრინველების რიცხვი სრულიად არ შეედრება ზამთარში მცხოვრებლების რაოდენობას. ასე გეგონება, მთელის ქვეყნის ფრინველებს თავი იქ მოუყრიათო: ხან მთელი ტბა ისეა სავსე, რომ წყალი აღარა სჩანს, ნემსის კუნწიც არ ჩავარდება. და თუ ამ ფრინველის ბრბომ თოფის ხმა გაიგონა, უცებ აფრინდება და ისეთს გრიალს მოიღებს, რომ რამდენიმე ვერსზე კაცი ხმაურობას გაიგონებს. ხან გუნდი ისეთი დიდია, რომ ფრენის დროს თითქმის მზეს აბნელებს. საკვირველია, იმდენს ფრინველს რა თეეზი უძლებს; ყოველ

დღე უკანასკნელი სამოცი ათასი გირვანქა თევზი მაინც მოუნდება მათ. არწივებსა და შავარდნებს ამ ტყეების ახლო დაბინავება უყვართ, რადგანაც ესენი ფრინველებით იკვებებიან. საშინელი ალიაქოთი შეუდგება ხოლმე ფრინველების გროვას, როცა ზევიდგან შავარდენი საჭმლის საშოვრად ისარივით ტბაში ჩაეშვება. ყველა ფრინველი სცდილობს თავს უშველოს, მაგრამ ერთ-ერთი მაინც შავარდენს კლანჭებში უთუოდ ჩაუვარდება. მძლავრის არწივისა არამც თუ პატარა ფრინველებს ეშინიანთ, გარეული ბატებიც დიდს ზარალში არიან იმისაგან. ამ დიდს ფრინველსაც არწივი ყოველთვის მოეწევა ხოლმე და ადვილადაც ერევა.

არც ერთი ჩვენებური ფრინველი ზამთრობით თბილს ქვეყნებში სრულს მხიარულებას არა გრძნობს. ფრინველებს აგონდებათ თავიანთი სამშობლო, სადაც დროს მხიარულად და ბედნიერად ატარებდნენ, სადაც საყვარელი ბარტყები დაზარდეს და ნაღვლიანად არიან. როგორც მგზავრობის დროს, ისე თბილს ქვეყნებში არც ერთი ჩვენი ფრინველი თავისს საამურს ლექსებს არა გალობს, არც ერთი ბუდეს არ იკეთებს, არც ერთი შვილებს არა სჩეკს. რადა? იმიტომ, რომ იმ საზამთრო ადგილებს უცხო ქვეყნებად სთვლიან და არა სამშობლოდ. ჩვენთან დაბრუნებას მოუთმენლად ელიან. ის დრო რო მოახლოვდება, ფრინველები თითქო ცოცხლდებიან. თავიანთს ძველს ლექსებს იგონებენ და იქაურს მინდვრებს მხიარული გალობით აღვიძებენ. რა უხარიანთ ფრინველებსა? ის, რომ თავიანთს სამშობლოში გაზაფხულის მოახლოვება შეიტყეს; იციან, რომ ცოტა ხანს უკან თავიანთს საყვარელსა და სანატრელს ქვეყანაში წამოსვლა მოუხდებათ. რამდენადაც უფრო და უფრო ახლოვდება წამოსვლის დრო, იმდენად ფრინველების სიხარულიც ძლიერდება, უფრო ბევრსა ფრინავენ, მალ-მალე გალობენ; დედალ-მამალი ერთმანეთს ეთამაშებიან. ტოროლა მაღლა-მაღლა ცაში მიდის და მინდვრებს მხიარულად დასძახის; ბულბულები ჭალებსა და ტყეებში საამურად უსტვენენ. დადგება მარტი და თანდათან

თბილი ქვეყნების მინდვრები ცარიელდება, ჩვენებური ფრინველები ერთი მეორის შემდეგ იმ ადგილებს თავს ანებებენ და ჩვენის ქვეყნისაკენ მოეშურებიან.

---

## ფრინველების წამოსვლა ჩვენს ქვეყანაში.

წამოსვლისთვისაც სწორედ ისე ემზადებიან ფრინველები, როგორც წასვლისთვის მოემზადნენ. რომელნიც დაფანტულნი იყვნენ, წამოსვლის წინ ერთად მოგროვებას იწყებენ და, როცა გუნდი შესდგება, აფრინდებიან და ჩვენსკენ გამოსწევენ. რა რიგითა და წესითაც აქედგან წავიდნენ, სწორედ იქიდგანაც იმავე რიგითა და წესით მოდიან. მაგრამ ერთი დიდი განსხვავებაც არის: როცა აქედგან თბილს ქვეყნებში მიდიან, ნაღვლიანად არიან, ეტყობათ, რომ სამშობლოს თავის დანებება ეზარებათ, უსიამოვნოდ მიფრინავენ; როცა კი სამხრეთ ქვეყნებიდგან მოდიან, დიდი სიხარული აქვთ, წამ-და-უწუმ გალობენ, მთელს არე-მარეს ჟივილ-ხივილითავსებენ.

მოსვლის შემდეგ ყველა ფრინველი ცდილობს, რომ დედალი იშოვნოს, თუ ჯერ არა ჰყავს. არიან იმისთანა ჯიშის ფრინველები, რომ ჯერ მამლები მოვლენ ხოლმე, მერმე დედლები. რასაკვირველია, ესენი ცდილობენ ერთმანეთი მალე იპოვონ; ამიტომ თითქმის მუდამ ჭყივიან და გალობენ, რომ ერთმა მეორეს ხმა გააგონოს და თავი აცნობოს. როცა მამლები დედლებს იპოვნიან, მაშინვე ბუდის კეთების თადარიგს შეუდგებიან ხოლმე. თუ ძველი ბუდე მოუშლელი დახვდათ, ახალის ბუდის გაკეთება აღარ მოუნდებათ; მხოლოდ ძველს ბუდეს გამოსწმენდენ დ̃ გაასუფთავებენ. მაგრამ თუ ძველი ბუდის ალაგი აღარ მოეწონათ, მაშინ ახალს ადგილს მოსძებნიან და ბუდის კეთებას იქ დაიწყებენ.

მაგრამ ვიცით კი ნამდვილად, რომ ის ფრინველები, რომლებიც გაზაფხულზე ჩვენს ქვეყანაში მოდიან, სწორედ ისინი არიან, შემოდგომაზე რომ აქედგან წავლენ ხოლმე?

ახლად მოსული ფრინველები ჩვენს ქვეყანას ალერსიანად შეჰხარიან და ცხადად ეტყობათ, რომ მისი ნახვა ესიამოვნებათ. ჩველა ფრინველი გულადად და გაბედვით დაეძებს თავისს ძველს ბუდესა. ჩოველს მოქმედებაში: ფრინვაში, საჭმლის შოვნაში, ადამიანთან განწყობილებაში ფრინველებს ეტყობათ, რომ უცხონი არ არიან და ჩვენს ქვეყანას დიდი ხანია იცნობენ. მერცხლები მოსვლის უმალვე თავიანთს ბუდეს იპოვნიან ხოლმე და იჩემებენ, როგორც ნამდვილი პატრონები. აგრეევე იქცევიან ყველა სხვა ფრინველებიც. შემდეგი მაგალითები უფრო ცხადად ამტკიცებს, რომ გაზაფხულზე ჩვენში მოსული ფრინველები არიან სწორედ ისინი, რომელნიც შემოდგომაზედ ჩვენი ქვეყნიდგან მიდიან.

ერთმა სწავლულმა კაცმა ზაფხულში ერთი მერცხალი შეჩვია. მალ-მალე მიფრინდებოდა თავისს მეგობართან, მიუჰიკჰიკებდა, მიუალერსებდა და ხელზე დააჯდებოდა ხოლმე; პატარა ხანს უკან ისევ აფრინდებოდა და თავისს საყვარელს მინდორში ჰიკჰიკით გასწევდა. მთელის ზაფხულის განმავლობაში მერცხალი თავისს მეგობარს, სადაც კი ნახავდა, ყოველთვის მიესაყვარლებოდა ხოლმე. შემოდგომაზე სხვა მერცხლებთან ეს მერცხალიც თბილს ქვეყანაში წავიდა. გაზაფხულზე რო მოვიდა, გზაზე დაინახა თავისი ნაცნობი, რომელიც მახლობელს ქალაქში მიდიოდა. მერცხალმა მაშინვე იცნო და მხიარული ხმით მიეალერსა. კაცმა ხელი გაუშალა და მერცხალი ზედ დააჯდა. მთელს გაზაფხულსა და ზაფხულს მერცხალი თავისს მეგობარს ასე გულ-დინდლობილად ექცეოდა, როცა კი სადმე შეხვდებოდა. შემოდგომაზედ, რასაკვირველია, თბილს ქვეყნებში წავიდა. გაზაფხულზე რო მოფრინდა, თავისს ნაცნობთან უწინდელივე მეგობრობა განაახლა. მესამე წელიწადს კი აღარ მობრუნებულა. რასაკვირველია, თუ სიკვდილს არ ესწრო, კეთილი მერცხალი უწინდებურად სიხარულით მობრუნდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

ერთმა ვაჭარმა კაცმა ერთს ჰალის ჩიტს ბუდე გამოუშალა და ორი ბარტყი ამოიყვანა. ერთი სამამლე გამოდგა,

მეორე სადღეღლე. და-ძმანი ჯერ გალიაში ერთად ჰყავდა, მერმე დედალი გაუშვა, მამალი კი გალიაში ფანჯრის გარედ დაჰკიდა. დედალი ჩიტი თავისს ძმას მალ-მალე ეწვეოდა ხოლმე, გალიაში თავს შეჰყოფდა და თავის ძმასთან სჭამდა. პატრონმა მერმე გალია შიგნით შეიტანა და ფანჯარაზე დასდგა, ფანჯრის კარი კი ცოტათი ღია დააგდო. ზულადი დედალი ჩიტი ფანჯრიდგან უშიშრად შედიოდა, გალიის გვერდზე ჯდებოდა, თავისს ძმას ეალერსებოდა და იმის საჭმლით იკვებებოდა. როცა გაძღებოდა, ფანჯრიდგან ისევ გაფრინდებოდა, ახლო-მახლო ხეზედ დაჯდებოდა დასაამურად ჭიკჭიკებდა. შემდგომ სახლის პატრონმა გალია იქითა კედლის ფანჯარაზე გადაიტანა, უწინდელი ფანჯარა კი გაღებული დააგდო. დედალი ჩიტი რო მოვიდა, ჯერ დაფიქრდა, მერმე მაინც ფანჯრიდგან შესვლა გაჰბედა, ძირს იატაკზედ ჩახტა, მერმე შეხტა სტოლზედ, რომელიც ოთახის შუა იდგა, სტოლიდგან აფრინდა და თავისს ძმას მიუკურკურა. ბოლოს, ჩვეულებრივად, ჭამას მიჰყო ხელი და, როცა გაძღა, ისევ უშიშრად გაფრინდა. მას უკან მთელს ზაფხულს მალ-მალე ეწვევოდა ხოლმე თავისს ძმასა. შემოდგომაზედ ეს ჩიტი სხვა ჩიტებს გაჰყვა თბილს ქვეყნებში. გაზაფხულზედ ისევ მოვიდა და თავისს ძმას უწინდებურად მალ-მალე ჰნახავდა ხოლმე. ბოლოს გალიის ახლო ბუდეც გააკეთა, თავისის ძმის საჭმლით იკვებებოდა და თავისს ბარტყებსაც აქედგან ასაზრდოებდა. ოთხჯერ კიდევ წავიდ-წამოვიდა და თავისს ძმას მუდამ დასავით ექცეოდა. მეექვსე გაზაფხულზედ კი ვეღარ მობრუნდა.
—საკვირველია, იმ სიშორიდგან ფრინველებს რატომ გზა არ ეკარგებათ და როგორ პოულობენ თავიანთს სამშობლო ქვეყანასა!

---

## ძ ა ღ ლ ი.

ძაღლი შინაური ოთხფეხია. ჯიშით ბევრ-გვარია. ზოგი ძაღლი ისეთი პატარაა, რომ კაცის ჯიბეშიაც ჩაეტევა, ზოგი

ისეთი დიდია, რომ ხბოს აჭარბებს. ზოგს ბალანი მოკლე ასხია, ზოგს—გრძელი, ზოგს—ხუჭუჭი, ზოგს—სწორე. ყველა ძაღლს თავი მოგრძო აქვს, კბილები დიდი და ბასრი ასხია, ენა განიერი და ადვილად გამოსაყოფი აბია, ცხვირი ყოველთვის სველი და ცივი აქვს. ტანი მისი გრძელია,—წინ განიერი, უკან ვიწრო. ზოგს ძაღლს ყურები აცქვეტილი აქვს, როგორც ქოფაკს ძაღლებს, ზოგს-კი—ძირს ჩამოშვებული, მაგალითად, მეძებრებს. კუდი ძაღლებს მაღლა აქვთ შეკაუჭებული. წინა ფეხებზე ხუთი თითი აბიათ, უკანაზედ—ოთხი. თითებზე გრძელი ბრჭყალები ასხიათ. ძაღლმა სუნის აღება ძლიერ იცის. მოძრაობს და ხმაურობს, სხვა-დასხვა ნაირად დარბის, ხტუნავს, იკბინება, ჰხრავს, იყეფება, ღრინავს, ყმუის. მწევრები ძლიერ ჩქარა დარბიან, რადგანაც უკანა ფეხები გრძელი აქვთ. წყალს ძაღლი სხვა პირუტყვსავით კი არა სვამს, სლაპავს ენითა. სჭამს: ხორცსა, პურსა, ყურძენსა, ხან ბალახსაც და ჰხრავს ძვლებსა.

ისე არა შინაურს პირუტყვს არ უყვარს კაცი, როგორც ძაღლსა. ბევრი ძაღლი ისეთი ერთგული ყოფილა თავისის პატრონისა, რომ იმის საფლავზე თავი მოუკლავს. ყველამ იცის, როგორი ერთგული მცველია ძაღლი კაცისა და იმის სახლისა. ხშირად ძაღლი ქურდებისაგან გადაარჩენს სახლსა, თავისს პატრონს მტრისა და ხიფათისაგან გამოიხსნის ხოლმე. რამდენს საქონელს დააკლებდა ნადირი კაცსა, ძაღლი რომ არა ჰყოლოდა. ამიტომ აფასებს კაცი ძაღლსა და სახლში ინახავს. იშვიათი სახლი იქნება, რომ ძაღლი არ იყოს. ყველა ქვეყანაში კაცმა ძაღლი გაიშინაურა. ნადირობაშიაც კაცს ბევრსა ჰშველის და ძლიერ ადგება, რადგანაც ნადირის, ან ფრინველის კვალს სუნით ადვილად პოულობს. ძაღლს კიდეც იმსახურებენ, ასწავლიან კარების გაღებას, მიხურვას, პირით ნივთების ტარებას და დაკარგულის მოძებნას. ბავშვების ყურის გდება, იმათთან თამაშობა ძაღლს ძლიერ ეხერხება; ამიტომ ზოგჯერ ყმაწვილების მოვლას ღარიბი დედ-მამა, სადმე წასვლის დროს, ჰკვიანს ძაღლს მიანდობს ხოლმე. ცივსა

და თოვლიანს ქვეყნებში, მაგალითად, ციმბირში, ძაღლებს ცხენების მაგივრად ხმარობენ: რამდენსამე უღელს ძაღლს მარხილში შეაბამენ და დაარბენინებენ. ისეთის ჯიშის ძაღლებიც არიან, რომ ცურვა და ყურჭუმელაობა წყალში კარგად იციან. ამისთანა ძაღლებს წყალში დამხრჩვალს ადამიანებს აძებნინებენ. შემდეგი მოთხრობები ცხადად გვიჩვენებს ძაღლის ჭკუასა და იმის ერთგულებასა.

## II

შვეიცარიაში ისეთი მაღალი მთებია, რომ ზაფხულშიაც კი თოვლი და ყინული ძევს. ამ მთებზე მიდის გზა, რომელზედაც წელიწადში შვიდასი მგზავრი მაინც გაივლის. ზამთარში აქ მგზავრობა მეტად ძნელია, რადგანაც ძლიერ ცივა და ამასთანავე საშინელი ნამქერი იცის. ბევრს მგზავრს ეკარგება გზა და ყინვით, სიმშილით კვდება მთებში. მაგრამ უფრო ბევრი მგზავრი დაიხოცებოდა, თუ აქ გამომხსნელი ძაღლები არ ყოფილიყვნენ. ამ მთებზედ არის აშენებული ერთი



უდაბნო, სადაც ბერები სცხოვრობენ. ამათ ჰყავთ დიდი ძაღლები, რომელთაც ყინვასა და ნამქერში ბევრი კაცი სიკვდი-

ლისაგან გადაურჩენიათ. ამ ძაღლებს ზამთარში, ცუდის დარის დროს, ბერები ბოთლით ღვინოს, ან არაყს შეაბმენ ხოლმე ყელზედ, კალათით პურს ჩამოჰკიდებენ და მთებზედ გაჰგზავნიან. ძაღლი დარბის და ათვალიერებს, გზა ხომ არავის დაჰკარგვია. თუ გზა-დაკარგული კაცი ნახა, სიმშილითა და სიცივით თოვლში შეწუხებული, მაშინვე მიირბენს, პურსა და ღვინოს მიუტანს, აჭმევს, ასმევს, ღონეზე მოიყვანს, მერმე წინ გაუძღვება და უდაბნოში მიიყვანს. ერთმა ამისთანა ძაღლმა ორმოცი კაცი გადაარჩინა სიკვდილს თორმეტის წლის განმავლობაში. ერთხელ მან თოვლში იპოვნა პატარა ყმაწვილი, ყინვითა და სიმშილით შეწუხებული. ეს ყმაწვილი თურმე დედასთან ერთად გზაზე მიდიოდა, გზა დაჰკარგოდათ, დედა ხევში გადავარდნილიყო და დაღუპულიყო. დარჩენილიყო მარტოდ ყმაწვილი ყინვასა და თოვლში. ძაღლმა რო თოვლში ჩაფლული ყმაწვილი იპოვა, წევა დაუწყო, უნდოდა ბოთლიდგან არაყი დაელევინებინა. ყმაწვილმა თვალები გაახილა და დაინახა თუ არა დიდი ძაღლი, ძლიერ შეეშინდა და გაქცევა მოინდომა. მაგრამ იმდენი ძალა აღარა ჰქონდა, რომ ზეზე წამომდგარიყო. მაშინ ძაღლმა ლაქუცი და ალერსი დაუწყო და გაყინულს თითებს ულოკდა; ბოლოს ყმაწვილს გვერდზე დაუწვა და ანიშნებდა, რომ იგი ზედ შემჯდარიყო. მაშინ კი ყმაწვილი ძაღლის განზრახვას მიხვდა, როგორც იყო, ზურგზე შეაჯდა და ძაღლმა საჩქაროდ უდაბნოში ბერებთან მიიყვანა. აქ ამ ბავშვს კარგად მოუარეს და მალე სრულებით მოარჩინეს. მაგრამ ამ ყმაწვილის უბედური დედა კი ველარ იპოვეს. ერთმა მდიდარმა კაცმა გაიგო ეს ამბავი და ობოლი ყმაწვილი შვილად აიყვანა.

## III

ერთს კაცს პატარა ფინია ჰყავდა. ერთხელ ეს კაცი თავისს მეგობართან სადილად წავიდა; ფინია კი შინ დარჩა. ძუჩებში ცუნცულის დროს დაინახა, რომ პატარა ბავშვი, რომელიც თავისს დას მისდევდა, ხიდიდან წყალში გადავარდა.

გონიერი პირუტყვი მაშინვე გაექანა, წყალში ჩახტა, მოეწია ბავშვს, რომელიც წყალს მიჰქონდა, პირი წაავლო, შუა რიყეზე გაიყვანა და იქ დასვა. მერმე საჩქაროდ ისევ წყალში შეცურდა, ნაპირას გამოვიდა და თავისის პატრონის მოსაძებნად გაიქცა; უნდოდა შეეტყობინებინა, რომ ყმაწვილი რიყიდგან გამოეყვანა. ამ ფინიას პატრონი თავისს ნაცნობთან სადილად იჯდა. ძაღლი სახლში შევარდა, თავისს პატრონს ძებნა დაუწყო და ყეფა ასტეხა. უბრძანეს, რომ გარეთ გაეგდოთ, მაგრამ ფინია ხელ-მეორედ შეუხტა სასადილო ოთახში, ყეფა უფრო მაღლა დაიწყო, მერმე თავისს პატრონს კბილებით მივარდა და გარეთ ეწეოდა. მგონათ, პური ჰშიანო, წინ ხორცის ნაჭერი დაუდეს; მაგრამ ფინიამ შორს გადააგდო: თითქოს ეუბნებოდა, ახლა ჭამის დრო არ არისო. პატრონმა ნახა, რომ ფინია სველი იყო, იფიქრა, უთუოდ მომხდარა რამეო, და წასასვლელად ადგა. როცა ეს ფინიამ დაინახა, მაშინვე ყეფა შესწყვიტა და სიხარულით თავისს პაცრონს ლოქუცი დაუწყო. მერმე წინ გაუძღვა და ხიდთან მიიყვანა. ფინია მაშინვე წყალში ჩახტა და ცურვით ახლო რიყეზე გავიდა. ამ დროს ხიდზე შენიშნეს პატარა მტირალი გოგო. როცა ჰკითხეს, რად სტირიო, იმან უთხრა, რომ ჩემი სამის წლის ძმა ხიდიდგან გადავარდა, აი ის ბოროტი ფინია წყალში გადახტა, მწარედ უკბინა ჩემს ძმასა და რიყეზე დასვაო. ფინიას უნდოდა ყმაწვილი ნაპირზე ცურვით გამოეყვანა. მაგრამ პატრონმა დაუძახა, მანდ იყავიო, და ძაღლი მაშინვე ყმაწვილს გვერდით მოუჯდა. მერმე ბავშვი ნავით გამოიყვანეს. ბავშვს არაფერი დაჰშავებოდა და მალე მორჩა. ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა.

შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ძაღლს თვლის სწავლაც შეუძლიან. ერთმა მექათმემ ძაღლს ქათმები ჩააბარა ყურის საგდებლად. ძაღლი ერთგული მფარველი იყო მიბარებულის ქათმებისა, და ამიტომ მელია და სხვა მტრები იმათ ვერას აკლებდნენ. ჩვენი ქათმების მცველი ყოველს საღამოს საქათმეში

თავს შეჰყოფდა ხოლმე, თითქო ქათმებს სთვლისო, ხომ არ დაჰკლებიაო. ერთხელ მექათმემ აილო და ვაჭარს კაცს სამი ქათამი მიჰყიდა. ამ დროს ძაღლი შინ არ იყო. საღამოზედ, ჩვეულებისამებრ, ძაღლმა თავი საქათმეში შეჰყო და შეამჩნია, რომ ქათმების რიცხვი შემცირებულიყო. მაშინვე შურდულივით გაექანა, მთელი სოფელი გაირბინა, სოფელს გარედ ვაჭარს დაეწია, ძირს დასცა, ურმიდგან ქათმებიანი გალია გადმოაგდო, გარედ გამოუშვა, წინ გამოირეკა და მხიარულად შინ დაბრუნდა. მექათმეს გაუკვირდა, გაყიდული ქათმები რო ისევ უკან მობრუნდნენ, და, როცა გაიგო თავისის ძაღლის ოინი, თავისს თავს სიტყვა მისცა, რომ კვლავ ძაღლის მალვით ქათმები აღარ გაეყიდა.

ინგლისში ჰყავთ იმისთანა ძაღლები, რომელნიც დაჩვეულნი არიან ცეცხლ-წაკიდებული სახლიდგან გამოიყვანონ ყოველი სულიერი, რომელიც კი შიგ მოჰყვება. ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი გადაურჩენიათ დაწვასა.

ბევრი სხვა მაგალითებიც შეიძლებოდა დაგვესახელებინა და უფრო ცხადად გაგვეხადა, რომ ძაღლი ძლიერ ჭკვიანი პირუტყვია. მაგალითად: ნავში იჯდა ძაღლი, მენავეს კი ეძინა; ძაღლმა მენავე სწორედ მაშინ გააღვიძა, როცა ნავი ხიდის ბურჯს უნდა დასჯახებოდა.

---

**ძაღლების მეგობრობა** (იგავი-არაკი).

სამზარეულოს მახლობლად იწვნენ ბროლია და მურა;
მზეზე თბებოდნენ მაძღრები, ყურ-მოჭრილი და გძელ-ყურა.
სახლის დაცვა-კი ძაღლებსა არ მოსდიოდათ ფიქრშია,
რომ უცხო პირი და ქურდი ამათ ჰყოლოდათ შიშშია.
დღე არა ჰქეეფდნენ, ღამე-კი მუდამ ეძინათ ჩალაში,
არას დასდევდნენ, რომ ალა ჩავარდეს ხათაბალაში!
ბოლოს გაგორდნენ, დაიწყეს ერთმანეთისა ალერსი,
აქებდნენ ერთი მეორეს, შენ ხარო ნამდვილი მწყემსი.
შემდეგ შექნათ ბაასი ძმობაზედ, მეგობრობაზედ...

ბროლიამ უთხრა მურიას (მოვიდა უცებ გრძნობაზედ):
— იცი, ძმიავ, რა გითხრა? მოდი, ვიცხოვროთ ძმურადა!
ხორცი ბევრი გვაქვს და წვენი, პურიც გვეყოფა პურადა.
რადაზედ ვჩხუბობთ ხანდახან? რას ვიყოფთ, ნეტა, ძმობაში?..
გაგიგონია ხომ, რომ ძაღლს აქებენ მეგობრობაში?
მაშ, მოდი, ჩვენც დავმეგობრდეთ, საქმე გავაწყოთ ხერხადა,
ვინც რომ ჩვენ შემოგვიტიოს, ჩვენც შევუტიოთ ერთადა...
— მოდი, ძმობილო, სთქვა მურამ, კარგი იქნება ძლიერა!
ვინც უღალატოს ერთმანეთს, ის ღმერთმა გაატიელა!..
იმ ჟამად მეგობრობაში არა ჰყავდათ ამათ ცალი...
ამ დროს ძაღლებს მზარეულმა გადმოუგდო დიდი ძვალი...
ეცნენ ორნივ, წაიჩხუბნენ, სიყვარული წახდა ძვლითა,
და ახალი მეგობრები ძლივს-ღა გააშველეს წყლითა!..
ამნაირი მეგობრობა ქვეყანაზედ არის ხშირი;
ახლანდელსა მეგობრებზე ვერას იტყვის ჩემი პირი...
ჰხედავ, ჰკოცნიან ერთმანეთს, არ გსურს მოაშორო თვალი.
მაგრამ, თუ გსურს გამოსცადო, აბა გადაუგდე ძვალი?!.

რ. ერისთავი.

---

## ა ქ ლ ე მ ი.

ციყვი აკეთებს საკუჭნაოს ნაძვის ან სხვა ხის ტოტებზედ; აქ აგროვებს და ინახავს თხილსა და კაკალს ზამთარში საკნატუნებლად. თაგვი საკუჭნაოს მიწაში იშენებს, სადაც ინახავს საზამთროდ პურის მარცვალსა, სისირსა და მცენარეების ფესვებს. აქლემს კი თავისი საკუჭნაო ზურგზედ აბია.

აქლემი არის ცხელის უდაბნოს მცხოვრებელი. ამისთანა უდაბნო ძალიან ძნელი სასიარულოა. აქ ოცს, ორმოცს ვერსს ისე გაივლის კაცი, რომ ვერა ნახოს ვერც ერთი ღერი ბალახი, ვერც ერთი მწვანე ფოთოლი. გარშემო ყველგან ყრია მარტო გახურებული ქვები და მოფენილია ყვითელი, მშრალი და ცხელი ქვიშა. მხოლოდ აქა-იქ ადგილებში ჩა-

მოწანწკარებს პატარა, თხელი რუები, რომლის გარშემო ხა-რობს ხეები და ყვავილები. ამ გვარს ნაყოფიერსა და მწვანით შემოსილს ადგილებს უდაბნოში ოაზისები ანუ კორდები ჰქვიან.

ერთს ამგვარს ოაზისში არაბებმა დასცეს თავისი კარვები. აქ დაიბადა პატარა აქლემი. არაბის შავგვრემანი ბავშვები ეთამაშებოდნენ კოზაკსა, ხუჭუჭიანს თავს სდებდნენ იმის რბილს კისერზე და ისე იძინებდნენ. საჭმელი ერთი ჰქონდათ; როგორც ბავშვები, ისე ის კოზაკი იკვებებოდნენ აქლემის ტკბილი რძით. რამდენსამე წელს უკან კოზაკი გაიზარდა და გარდაიქცა



ღონიერ აქლემად და ერთგულ მოსამსახურედ თავისის პატრონისა. ტუჩები აქლემს ძალიან ხმელი და მაგარი ჰქონდა; ამიტომ არ დაესერებოდა ხოლმე, როდესაც ჰგლეჯდა მაგარს ეკლიანს მცენარეებსა, რომლითაც იკვებებოდა. აქლემი ამ მცირედი საჭმლითაც კმაყოფილი იყო და ასე გაიზარდა და გაღონიერდა, რომ თავისი ზურგით ატარებდა თავისს პატრონსაც და მძიმე საპალნესაც. საჭმლიდგან აქლემს უკეთდებოდა არა

მარტო ხორცი და სისხლი, კანი და ძვლები, არამედ ცოტარამ საზრდოც ინახებოდა მის სხეულში იმ დროსათვის, როდესაც აქლემს მოუხდებოდა შორს მგზავრობა უწყლო და უსაჭმლო უდაბნოში. საჭმლიდგან კეთდებოდა აქლემის სხეულში ქონი, რომელიც ზურგზედ ამოსულს კუზში გროვდებოდა.

აფრიკის აქლემებს მარტო ერთი კუზი აქვთ; სხვა აქლემებს, რომელნიც შუა აზიაში სცხოვრობენ, ორ-ორი კუზი აბიათ. პირველს აქლემებს ეძახიან ცალ-კუზიანს ანუ დრომადერებსა, მეორეებს—ორ-კუზიანსა. გარედგან კუზი აქლემებისა შემოსილია ხშირი და გრძელი ბალნითა; შიგნიდგან კი შესდგება მეტად ნაზი და დაცალკევებული კანიდგან. ეს კანი დაყოფილია მრავალ პატარ-პატარა უჯრებად და ემსგავსება ღრუბელსა. მხოლოდ აქ კანსა და კანს შუა უფრო მცირე ცალიერი ადგილია, ვიდრე ღრუბელში და ყველა მხრიდგან გარეშემო ეს ცალიერი ადგილები დახურულია. ყველა უჯრა პაწაწინა საკუჭნაოა აქლემებისთვის, თვითოეულს უჯრას ყოველ დღე ემატება ქონი. თუ აქლემს საკმარისი საჭმელი ეძლევა, მაშინ კუზი მას მაღალი და გაჭიკნილი აქვს. მხედარი თავ-მოწონებითა ზის მასზედ, როგორც ბალიშზედ. აქეთ-იქით გვერდებზედ აქლემს ჰკიდია საპალნის ცალები, გოდრები, საგზაო ხორაგით სავსე და ტიკები წყლითა. ამ საჭმლის საკუჭნაოს გარდა აქლემს აქვს კიდევ საკუჭნაო წყლისა, რომელიც საჭმელზე ბევრად საჭიროა, მეტადრე ცხელს ქვეყნებში. კუჭთან აქლემს აქვს კანის მრავალი უჯრები. ეს უჯრები იღება და იკეტება ისე, როგორც მჭედლის საბერველი. როცა წყაროზე ჩასვლა მოუხდება ხოლმე, აქლემი სვამს გასაოცრად ბევრს წყალს,—ეს იმიტომ, რომ ივსებს წყლის საკუჭნაოს. წყალს აქლემის კუჭი ინახავს იმ დროსათვის, როდესაც უდაბნოში ერთი ცვარითაც პირის გასველება არ შეიძლება.

აი, ქარავანი შორს გზას გაუდგა. გზა მიდის ხრიოკს ქვიშიანს უდაბნოზედ. გზის ნავალი სრულიად არ ემჩნევა, რადგანაც ქვიშისაგან წალეკილია. წინამძღოლი მზის მდებარეობით იგნებს გზასა და ქარავანს მიუძღვის. კარგა ხანია, რაც გზაზედ

არიან, მაგრამ მისასვლელი ადგილი ჯერ კიდევ შორს არის; სასმელ-საჭმელი ქარავანს ელევა და მოჰკირვებას ითხოვს. აი, იქამდის გაჭირდა საქმე, რომ მოგზაური თავისს აქლემებს ჯერ-ზედ აძლევს მხოლოდ ცოტა დანაყილს ინდის-ხურმის გულსა და ტირიფის რამდენსამე ყლორტსა ხორაგის თითქმის დაცალიერებულ კალათიდგან. წყალი ტიკებში აღარ არის, ქარავანი უწყლოდ იღუპება. აი ამ დროს აქლემი ზოგვითა ხმარობს თავისს საკუჭნაოებში შენახულს ქონს და წყალსა. მართალია, კუზი აქლემს დაეფუკა და დაუპატარავდა, წყალიც თითქმის გამოელია, მაგრამ საკუჭნაოები მაინც კიდევ ასაზრდოებს, აქლემი ჯერ კიდევ არა ჰკარგავს თავისს ღონესა და მხნედ მიჰყავს თავისი პატრონი დანიშნულს ადგილას. ხან იგი სხვა სახითაც გადაარჩენს ხოლმე ქარავანსა. აქლემი, რომელიც სველს ჰაერს საკვირველად შორს ყნოსავს, რა წამს იგრძნობს მას თავისი მაღლა აღებული ცხვირით, მაშინვე გააჩქარებს თავისს გრძელს ფეხებს იქითკენ, საიდგანაც სისველის სუნი ესმის, და პატარა ხანს უკან პირუტყვი და მისი მხედარი დასვენებულნი არიან დიდის ბზის ჩრდილს ქვეშ, რომელიც დაკუნწლულია გემრიელი ნაყოფითა და სადაც გამოჩხრიალებს ცივი წყარო, გარშემორტყმული მწვანე ბალახითა.

---

## მგელი და სოფელი.

მეტად კარგს ყოფაში იყო მგელი ზაფხულში. ტყე და მინდორი სავსე იყო მგლის საკბილო ნადირითა და ფრინველებით. ცხვრის ფარებსაც ადვილად მიეპარებოდა ხოლმე და ბატკნის ხორცით ძღებოდა. ისე გასუქდა, რომ ტყავში აღარ ეტეოდა. მაგრამ აი გავიდა ზაფხული, გაჰყვა მას უკან შემოდგომა და დადგა ზამთარი, ისიც მეტად ყინვიანი. ნადირები სოროებში შეიმალნენ, ფრინველები გალაგდნენ შორს თბილს ქვეყნებში. მეცხვარეებმა ცხვარი საზამთრო ფარეხებში დაა-

ბინავეს. მაუთავდა ჩვენს მგელს ყველიერი და დაუდგა დიდ-მარხვა. მთელი დღეობით მშიერი იყო. დაღონდა, ყურები ჩამოყარა, გახდა. მეტი ღონე აღარ იყო, სოფელში უნდა ქურდობა დაეწყო. მგელმა კარგად იცოდა, რომ ასეთი ქურდობა სახიფათო და საშიში იყო: სოფლის ქოფაკი ძაღლები ადვილად დაჰგლეჯდნენ მას, გლეხს შეეძლო მოესწრო ქურდობაზედ, კეტი ედრუზა და ფეხები ეფშეკინებინა. შეიძლებოდა მონადირე გლეხსაც ეკრა მისთვის ტყვია ღამის სიბნელეში და გადაეკოტრიალებინა. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ჩვენმა მსუნაგმა, მაგრამ სიმშილმა ისე შეაწუხა, რომ საჭმლის საშოვნელად თავი უნდა გაეწირა, მეტი ჯანი არ იყო. ტყიდგან გამოვიდა ბინდისას და ფრთხილად ახლო სოფლისკენ გასწია. მივიდა ერთს ფარეხს, მაგრამ ფარეხის კარები მაგრად დაკეტილი დაჰხვდა. მაშინ მგელმა გამოთხარა ღობის ძირი და იქიდგან შეძვრა ფარეხში. სტაცა პირი ერთს ცხვარსა, გამოსჭრა ყელი, ღობის გამოთხრილს ძირში გამოაძვრინა, ზურგზე წამოიკიდა და შორს წაიღო, რომ უფრო მოსვენებით შეეჭამა. მუდმივმა საშიშმა მდგომარეობამ მგელს შესძინა მოსაზრება, ეშმაკობა და სიფრთხილე. ამიტომ სოფლელებმა ვერაფერი დააკლეს, შიშიც ვერაფრით მისცეს. დღეს მოსტაცებდა ცხვარს, ხვალ ბატკანს, ზეგ გოჭსა, მაზეგ ბატსა და სხვებსა. მთელი სოფელი დაიღონა. ზოგმა თოფითა სდია, ზოგმა ხაფანგი უგო, ზოგმა კიდევ სხვა ღონისძიება იხმარა, მაგრამ ვერა დააკლეს-რა. ბოლოს ერთმა მონადირემ იკისრა ამოსავარდნელის მგლის მოკვლა. აიღო მკვდარი ცხენი და სოფლის გარედ საბძლის გვერდით დასდო. ამ მხრიდგან მოდიოდა ხოლმე მგელი ღამ-ღამით. ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხებს ძაღლები შინ დაამწყვდევინა, რომ ღამე მგლისთვის მოსვლა არ დაეშალათ, და გატენილი თოფით საბძელში ჩასაფრდა. ღამე მთვარიანი იყო. პატარა ხანი უცადა მონადირემა, და



აი მგელიც გაჩნდა. ის სიფრთხილით მიუახლოვდა ლეშსა და პირში ნერწყვი მოუვიდა. მონადირემ თოფი ნელ-ნელა დაუმიზნა, მაგრამ—დახეთ იმის უბედურებას!—უცებ ცხვირს დააცემინა. მგელი, რასაკვირველია, მაშინვე გაფრთხა, მოჰკურცხლა და ჩვენი მონადირე ხელ-ცარიელი დარჩა. ჯავრი მოუვიდა მაგრამ რაღას უშველიდა.

მეორე და მესამე ღამეს მგელი აღარ მოსულა. მაგრამ მეოთხე ღამეს კი ისევ მოძუნძულდა, რადგანაც სიმშილმა ძალა დაატანა. ლეშს რო მიუახლოვდა, მგელმა მაღლა აიღო ცხვირი და ჰაერს სუნვა დაუწყო; ყნოსვამ შეატყობინა მონადირის ისევ იქ ყოფნა და მგელმა უკანვე გაჰკურცხლა. საწყალი მონადირე სიცივით კინაღამ გაფიჩხდა და მგელს თოფი ვერც კი ესროლა. დილით რო სოფელში გამოვიდა, მეზობლებს უამბო თავისი დარდი. ხნიერმა მონადირეებმა სასაცილოდ აიგდეს: „აი სულელი“, ეუბნებოდნენ ისინი, „განა, შეიძლება მაგნაირად ნადირობა იმისთანა გონიერ, ყურ-მახვილ და ცხვირ-მახვილ ნადირზედ, როგორიც არის მგელი? აგილია ლეშში და დაგიდვია იქითკენ, საითაც ქარი მიჰქრის. ქარს მიაქვს შენი სუნი მგლისაკენ და ატყობინებს მტრის სიახლოვეს. რასაკვირველია, ის ლეშს არ მიეკარება. უნდა მოუცადო, მინამ ქარი მობრუნდებოდეს, რომ შენი სუნი აქეთ მოჰქონდეს და არა მგლისკენა ამის გარდა ისე გაკავებული უნდა იჯდე საბძელში, რომ ჩამი-ჩუმი არ ისმოდეს, თორემ მგელი გაიგებს და შორი-ახლოც არ.მოგეკარება“.

მონადირე სწორედ ისე მოიქცა, როგორც ურჩიეს. მეორე დღესვე ქარი მოტრიალდა. მონადირე ჩაუსაფრდა მგელსა და ლოდინი დაუწყო. ბვიანობამდინ მგელი არსადა სჩანდა. ბოლოს, შუაღამე რომ გადავიდა, გამოჩნდა, მაგრამ ძალიან ფრთხილად იქცეოდა. რადგანაც მგლისთვის ზურგ-ქარი იყო, ამიტომ სუნი მონადირისა ველარ აიღო. მოიძუნძულა ლეშთან, მაგრამ ისე მარჯვედ ამოეფარა მას, რომ თოფის სროლა სრულებით არ შეიძლებოდა: ტყვია ლეშს მოხვდებოდა, და მგელი სამუდამოდ გაფრთხებოდა. მთელი ღამე უცადა, ეგება

მგელი ან აქეთ მოტრიალდეს, ან იქითაო; მაგრამ სულ ამაოდ: მგელი კარგა მიაძლა ლეშსა და ისე საჩქაროდ გაიქცა, რომ მონადირემ თოფის სროლა ვერ მოასწრო. გაფიჩხებული მონადირე დილით ხელ-ცალიერი დაბრუნდა სახლში. „მოიცა, შე ეშმაკო, ემუქრებოდა მგელს მონადირე, თავი ცოცხალი რაღად მინდა, თუ შენ ვერ მოგკალი!“ როცა პირ-ქარი ამოვარდა, ლეშს იქითა გვერდით ლასტი აუფარა. მგელი რო მოვიდა, ლასტის აფარება არ ეჭაშნიკა და უკან უნდოდა დაბრუნებულიყო, მაგრამ, ყოყმანის შემდეგ, ფრთხილად მივიდა ლეშთან. მოუარა ლასტსა, გვერდით მოუდგა და დაუწყო ჭამა. „ახლა კი ველარსად წამიხვალ“, იმედიანად იფიქრა მონადირემ, გაასწორა თოფი, დაუმიზნა მგელსა და ესროლა. მაგრამ ტყვია საშიშარს ადგილს არ მოჰხვდა და მგელი მხოლოდ დასჭრა. ნადირი შეხტა, ჯერ მივარდა პირით იმ ალაგს, სადაც ტყვია მოჰხვდა, და მერე გაჰკურცხლა. მონადირე საყარაულოდგან გამოვარდა, რომ მგელს გამოსდგომოდა. მგელი თუმცა დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც კიდევ ჩქარა გარბოდა! მონადირემ მალე დაინახა, რომ მგელს ვერ მოეწეოდა და გაანება თავი. მგელი ჭრილობისაგან მალე მორჩა, მაგრამ იმ სოფელს კი აღარ მიეკარა და სხვა ახლო-მახლო სოფელში დაიწყო მტაცებლობა.

ბევრის ვაი-ვაგლახისა და ოინის შემდეგ მგელს სიბერე შეეპარა. ტყავი ძირს დაეკიდა, ბალანიც გასცვივდა და ზედ ცოტა-ღა შერჩა, ისიც სულ გაუშეშდა და გაუთეთრდა. ღონე გამოელია, კბილები სრულიად დაუჩლუნგდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ დღისით მინდორში შეჰხვდა ხბოსა, წააქცია მიწაზედ, მაგრამ ველარა დააკლო-რა. კბილები აღარ უჭრიდა, რომ ყელი გამოეჭრა, და უცდიდა სხვა ახალგაზრდა მგლის შველასა. თვითონაც ჰკბენდა, მაგრამ იმისი ნაკბენი ხბოს არც კი ემჩნეოდა. ბოლოს დაღონებულმა მგელმა დაანება თავი ხბოსა და მშიერმა გასწია ახლო ტყისკენ, სადაც მალე სული დალია.

## მგელი და წერო.

ეს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძღარნი არიან,
ჭამის დროს ძვალსაც და რბილსაც ერთად მუცლისკენ ჰგზავნიან.
ამ ღორმუცლობამ ერთს მათგანს სულ აწყევლინა თავ-ბედი:
ძვალი დაადგა მას ყელზე, გაჰქრა სიცოცხლის იმედი.
სული უგუბდა, სახსნელად ვეღარ ხმარობდა ხერხებსა,
აბრიალებდა თვალებსა, ფშეკდა მიწაზე ფეხებსა...
იღბლად გამოჩნდა იქ ახლოს წერო თვის გრძელი ნისკარტით;
მის გასაჭირი თავისი მგელმა ანიშნა მას თითით.
ლმობიერებით შესცქერდა და გულით ევედრებოდა,
ეპატრონა და მომაკვდავს რითიმე მიჰშველებოდა.
ჩაუყო გრძელი ნისკარტი მგლის წერომ, დიდ ხანს ეწვალა,
გაჭირვებითა ყელიდგან მას ძვალი ამოაცალა;
და შემდეგ, რაკი ნადირი გადაარჩინა შავს ბედსა,
გარჯისთვის თავაზიანად სასყიდელს სთხოვდა მცირედსა.
მგელმა შეჰყმუვლა: „ხუმრობ თუ? განა, ვის ჰხედავ ტოლსაო?
შენც ფასსა ითხოვ ჯაფისას? შეხეთ ამ უმადლოსაო!
საწუხრად ის არ გეყოფა, რომ ეგ სულელი თავიო
ამ ჩემ საშიშარ კბილთაგან მოგლეჯას დაგიცავიო.
გასწი, ძმაივ, გაფრთხილდი, კვლავ აღარ მომხვდე ხელშიო,
თორემ ვეღარ იხილავ ცის ნათელს თავის დღეშიო!“

ცახელი.

---

## ლ ო მ ი.

ლომს ნადირთ მეფეს ეძახიან. იმისი ერთი შეხედულობა კაცს დაარწმუნებს, რომ მეფის სახელი ტყუილად არ დაურქმევიათ. ახოვნობითა და გაბედულობით ლომს ვერა ნადირი ვერ შეედრება. სილამაზე, სიძლიერე, სხეულის კარგი მოყვანილობა და განიერი მკერდი ლომს მშვენიერ სანახავ მხეცად ჰხდის. გასაკვირველია იმისი ღირსებით სავსე მიხვრა-მოხვრა, მისი სა-

შინელი ლონე, გამბედავი და შეუშფოთებელი სიმამაცე. ლომი ამაყია და ამასთან სულ-გრძელი და მაღალის თვისებისა. ის მხოლოდ მაშინ მტაცებლობს, როდესაც მშიერია; მხოლოდ მაშინ გაბასრდება და იბრძვის, როდესაც შეჰხვდება თავისს საკადრისსა და დაუნდობელს მტერსა. უმიზეზოდ არავის ვნებას ლომი არ მოინდომებს. იმისი თვალები ბნელს ღამეში ცეცხლივით ელვარებს. იმისი კბილები სწორედ რომ ალმასია. გრძელი ფაფარი თავსა და ბეჭებზე ლომს სქლად აყრია და დიდებულს სახეს აძლევს. გრძელი და წვეტიანი ბრჭყალები კატასავით თითებში აქვს შეკაუჭებული და, როცა დადის, ბრჭყალების წვერებს დედამიწას არ აკარებს. ამისათვის იმისი



ბრჭყალები ყოველთვის წვეტიანია. ძუდი გრძელი და ღონიერი აქვს, და იმისი ბოლო ხარის კუდსა ჰგავს. ლომი კატის ჯიშისა არის და ცხელს ქვეყნებში სცხოვრობს. მარტოდ ცხოვრება ძლიერ უყვარს. როცა ისა ბრდღვინავს, მთელი ტყე ხმას აძლევს, თითქო ჰქუხსო. ამისთვის არაბები, იმის ხმას რო გაიგონებენ, იტყვიან ხოლმე: ლომს ქუხილი გააქვსო. ლომს საცხოვრებლად მოსწონს დაბურული, ტყიანი ღელე, წყლის ახლო მდებარე. მთაზე ცხოვრება ავრე რიგად არ უყვარს. თუ ლომმა იპოვა ძალიან მივარდნილი ალაგი, სა-

დაც კაცის ფეხი არა ჰხვდება, იქ კარგა ხანს დაბინავდება და სცხოვრობს მარტოდ-მარტო. ის იკვებება სხვა-და-სხვა პირუტყვის ხორცით. როდესაც ერთს ალაგას საჭმელი შემოაკლდება, მაშინ ბინასა ცვლილობს, სხვაგან გადადის. ლომი მხოლოდ ღამე ნადირობს. როცა ირაჟრაჟებს, ბუჩქნარებში იმალება და მთელი დღე მოსვენებაშია. მაგრამ რა წამს მზე ჩავა და ვარსკვლავები ცაში ამოკაშკაშდება, ლომი გამოდის სანადიროდ და თავისი მქუხარე ხმით ყველას აცნობებს, აღარა მძინავსო. მაშინ ყოველი სულდგმული, იმის საშინელის ხმის გამგონე, ძრწის, ინაბება, სულს იკმენდავს; მაგრამ იმისს გამკრიახს თვალებს რა გამოეპარება და ან რა წაუვა იმისს წვეტიანს და ბასრს ბრჭყალებსა!

ლომი ბევრს შინაურს პირუტყვსა ღუპავს. ცხვარი, ძროხა, თხა, ცხენი და აქლემი ლომის საყვარელი საჭმელია. აგერ დაღამდა. არაბმა თავისი საქონელი შეღალა ბაკში, რომელსაც კარგა მაღალი ღობე აქვს შემორტყმული. ლომი, სიმშილისაგან გამგელებული, აქეთ-იქით დადის. მიუახლოვდა ბაკსა, იშვირა ფეხები და ღობეზე გადაეშვა. საქონელი დაფრთხა და ერთი საცოდავი ბღავილი შეჰქმნა, თითქო ლომს შებრალებას ეხვეწებაო. შეშინებული ძაღლები თავისს პატრონთან მიცვივდნენ და ყეფის მაგივრად საცოდავი წკმუტუნი შეჰქმნეს. საწყალი მწყემსი, თავზარ-დაცემული, კანკალებს და სულ-გაკმენდილი კუნჭულში ინაბება. ან კი რა ჰქმნას? ლომთან რას გააწყობს? თუ მწყემსს შუბი აქვს, ლომს უფრო ალმასივით მჭრელი კბილები ასხია: შუბის მოქნევას არც კი დააცდის, თვალის ერთს დახამხამებაზე ლომი მიჰვარდება და სულს გაანთხევინებს. მწყემსი იმალება, რომ თავისი თავი მაინც გადაარჩინოს, თუ საქონელს ვერაფრით უშველის. ლომი თანდათან საქონელს მიუახლოვდება, აირჩევს რომელსამე პირუტყვს, დაეცემა და ერთს წამს სულს გააყრევინებს; მერმე თავისს ბასრს კბილებს ჩაუყრის და ლობეს გარედ გადასტყორცნის; ბოლოს თვითონაც ბაკიდგან უკანვე გადახტება, დაავლებს პირს თავისს მსხვერპლსა და ბუნაგში მიარბენინებს

ისეთი სიადვილით, თითქოს ალალს ჩიტი მიაქვსო. შესანიშნავია, რომ შინაურს საქონელში დარევის დროს ლომმა დაგლეჯა არ იცის პირუტყვისა. Ცუდ-უბრალოდ საქონლის დასახიჩრებას ლომი არა კადრულობს.

ლომი გარეულს პირუტყვზე სხვა ნაირად ნადირობს. Ნადირის დაჭერა ისეთი ადვილი არ არის, როგორც შინაურის საქონლისა: ბევრი ნადირი კარგა შორსა ჰხედავს, ბევრი ძალიან ცქვიტი და ყურ-მახვილია და ამასთან მეტად ჩქარი გამქცევია, ასე რომ ლომი ვერ მოეწევა. ამ შემთხვევაში ლომი კარგი მონადირესავით მოქმედობს. Იგი მოსძებნის ხოლმე წყლის ახლო მოხერხებულს ალაგს, აქ ბუჩქებში ჩაესაფრება და ნადირს უთვალთვალებს. Აგერ, დაღამდა, და ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. Უცებ ბინდში გამოჩნდა მშვენიერი ირემი. Იმას უკან სხვა ირმებიც მოსდევენ. მაგრამ უნდა შეჰხედო, რა ნაირის სილამაზით მოუღერებია ყელი. Ყურები როგორ ცქვიტად უჭირავს და რა მარდად ატრიალებს თავისს გამჭრიახს თვალებსა. Იმას არ გამოეპარება ფოთლის შრიალიც კი და, თუ გაიჩუჩუნა რამემ, სწრაფად ბრუნდება უკან და ისარივით მიჰქრის. Ირმები მდინარეს მიუახლოვდნენ და წყალს სმა დაუწყეს. ამ დროს ბუჩქიდგან ლომმა უეცრად ისკუპა და ერთს ირემს სწრაფად ზედ დაეცა. სხვა ირმები გაიფანტნენ, მაგრამ ერთი კი ბრჭყალებში იგდო და ლომს მეტიც არ უნდოდა.

## II

ძალიან გამბედავი მონადირე უნდა იყოს, რომ ლომზედ ინადიროს. მონადირე ლომს პირდაპირ ძნელად შეებმის და თუ შეებმის და დასძლევს, მაშინ სახელი შორს გაუვარდება დახალხიც გმირს დაუძახებს. ბევრს მონადირეს ენატრება, რომ ხალხში ლომის მძლეველის სახელი გაიგდოს, მაგრამ ხან ძვირად დაუჯდება ხოლმე ნატვრის ასრულება. ლომზედ სხვა-დასხვა ნაირად ნადირობენ. შეგროვდება ორმოც-სამოცი კაცი, თოფებით შეიარაღდება და ლომის ბუნაგთან წავა. როცა მიუახლოვდებიან, სამ რიგად დამწკრივდებიან. პირველი რიგი

ცდილობს, ლომი თავისი ბუნაგიდგან გამოაგდოს. ამისთვის თოფს რამდენჯერმე გაისვრიან. ბოლოს გაშფოთებული ლომი ბუნაგიდგან გამოვარდება, თვალებს საშინლად აბრიალებს და მონადირეებს მრისხანედ უცქერის. ამათ ამ დროს თოფები მზად უჭირავთ და ჩახმახი ფეხზედ შეყენებული აქვთ. შიცხლავ დააგრიალა თოფები მონადირეების პირველმა რიგმა, ლომი შეხტა და წინ გაექანა, მაგრამ ერთის თვალის დახამხამებაზე დაახალა თოფები მეორე რიგმა, და ლომი მიწაზე დაეცა. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ ლომი, ორი და სამი ტყვიით დაჭრილი, კიდევ ცოცხალია, და მაშინ უნდა უცქირო, როგორი მძვინვარებით მიჭვარდება თავისს მტერს და რა გაშმაგებული იბრძვის. ამ გვარი ნადირობა ძალიან საშიშარია. ერთხელ სამოცი არაბი წავიდა, რომ ძუ-ლომისთვის პატარა ლეკვი მოეპარათ, როდესაც დედა ბინაზედ არ იყო. მართლაც მოჰპარეს და უკან დაბრუნდნენ, მაგრამ გზაზე გაცოფებული ძუ-ლომი დაეწიათ. უკანა მონადირე უშიშრად დაუხვდა და ორი ტყვია შიგ გულში მიარტყა, მაგრამ ლომმა ამას არ დაჰხედა, მიჭვარდა და მკლავი მოაგლიჯა. მეორე ამხანაგმა ამ დროს ტყვია შიგ ყბაში მოარტყა; ლომი არც ამას შეეპუა, მოუბრუნდა, წააქცია, გვერდი გამოაგლიჯა, დააჯდა ზედა და სული ისე დალია. ბევრჯელ მოხდება, რომ ერთი ლომი გააქცევს ასზე მეტს არაბს. ლომმა ბრძოლაში გაქცევა სულ არ იცის. იგი ან კვდება მტრის ხელით, ან გამარჯვებული გამოდის ბრძოლიდგან. ერთხელ ერთმა ლომმა ორასი კარგად შეიარაღებული არაბი დაიფრინა, ერთი კაცი მოჰკლა და ექვსი დაგლიჯა.

გაზაფხულზედ, როცა ძუ-ლომს ლეკვების დაყრის დრო მოუვა, ერთს უდაბურს ალაგს მოსძებნის წყალს ახლო და იქ დაბინავდება. აქ დაჰყრის სამს, ან ოთხს ლეკვსა, რომელთაც მაშინვე თვალები ახილული აქვთ. ექვსს ლეკვზე მეტი კი ლომს არას დროს არ ეყოლება. ახლად დაბადებული ლეკვები კატის ტოლები არიან. ხვადი ლომი ძუ-ლომს საჭმლის შოვნაში ჰშველის. ძუ-ლომს ძალიან უყვარს თავისი პატარა

ლეკვები და სიამოვნებით უცქერის იმათს ცელქურს თამაშობას. ორის თვის შემდეგ ლეკვები სიარულში იმართებიან. პირველად კატის კნუტივით კნავიან, მერმე თანდათან ხმა ეცვლებათ, უდიდდებათ და სიმარდეც ემატებათ. დედა ზრდის ექვსს თვეს, მერმე ლეკვები იმას უკან გაჰყვებიან სანადიროდ და საქმლის საშოვრად.

ლომს სიკეთის სოლცარი გადახდა შეუძლიან. აი ამისი უტყუარი მაგალითი:

ძველს დროში რომის ერთის მებატონის მონამ, სახელად ანდროკლმა დანაშაულობა ჩაიდინა. სასჯელისა შეეშინდა და შორეულს ქვეყანაში—აფრიკაში გაიქცა, სადაც ბევრი ლომი იცოდა და იცის. რადგანაც ანდროკლს დაჭერისა ეშინოდა, ამიტომ უდაბნოში გავიდა და იქ იმალებოდა. დიდის სიცხის დროს თავი შეაფარა ერთს დიდს გამოქვაბულში, მაგრამ დახე ხიფათსა. იმავ გამოქვაბულში პატარა ხანს უკან უშველებელი ლომი შევიდა, თურმე აქ მისი ბუნაგი იყო. ანდროკლს სიკვდილის ფერი დაედო. მაგრამ სულ ტყუილად.

როცა ლომმა დაუპატიჟებელი სტუმარი დაინახა თავისს ბუნაგში, მშვიდობიანად მიუახლოვდა და მუხლზე დაადო თავისი დაჭრილი ფეხი. რომელიც სისხლში ჰქონდა მოსვრილი. ანდროკლი იმ წამსვე მიხვდა ლომის სურვილსა, გაუშინჯა დაჭრილი ფეხი და ამოუღო იქიდგან გრძელი და წვეტიანი ეკალი. ლომმა შვება იგრძნო და ანდროკლს დაუწყო ლოკვა და ლაქუცი, ნიშნად მადლობისა. ლომმა ესეც არ იკმარა. ყოველთვის, როცა ნანადირევი მოჰქონდა, წილს ანდროკლს სთავაზობდა. ასე იცხოვრა ორმა მეგობარმა მთელი სამი თვე.

ბოლოს ანდროკლს გამოქვაბულში მოეწყინა მარტოდმარტო ცხოვრება, გამოვიდა გარედ და დაჭერილი იქმნა. იგი რომში გაგზავნეს. ჩქარა იგივე უბედურება ლომსაც ეწია. იგიც დაიჭირეს და რომში წაიყვანეს. აქ, სხვა მხეცებთან ერთად, რომის ხალხისათვის ამ ლომს უნდა სხვა და სხვა სეირი ეჩვენებინა.

ანდროკლს, როგორც დამნაშავე მონას, მიუსაჯეს ლო-

მებთან ბრძოლა. ეს ბრძოლა საზოგადოდ დამნაშავეს დაგლეჯით და სიკვდილით თავდებოდა. დანიშნულს დროს ანდროკლი გამოიყვანეს ბრძოლის ადგილსა და იმ წამსვე გამოუშვეს ლომებიცა. ყველაზე დიდი და საშინელი ლომი მიუახლოვდა ანდროკლსა, მაგრამ მისი დაგლეჯის მაგივრად სრულიად სხვა სეირი აჩვენა ხალხსა. დასუნა, გარს შემოუარა და ფეხთ ქვეშ გაუგორდა, თან დაუწყო ლოკვა და ლაქუცი. ეს ის ლომი იყო, რომელთანაც ანდროკლი სცხოვრობდა გამოქვაბულში. ყველა მაცქერალს გული აუჩუყდა და სასიხარულო ჟრიამული შეიქმნა. ანდროკლს დანაშაული აპატიეს და ეს ლომიც საჩუქრად მისცეს. ანდროკლს ეს ცხოველთა მეფე დაჰყავდა რომის ქუჩებში და ხალხს აჩვენებდა. ხალხიც ფულს უხვად აძლევდა მას და ლომსაც ყვავილებს აყრიდა, ნიშნად გულითადის პატივისცემისა.

**ლომი და კოღო.**

უძლურს ნუ სცემი და სუსტს ნუ სჩაგრავ,
ამაყად, ბრიყვად წიხლებს ნუ წაჰკრავ;
ნუ დაენდობი შენ შენსა ღონეს,
თორემ უძლურიც ზოგჯერ გიმონებს.
დაგიდარაჯებს, შეგირჩევს დროსა,
ავად რომ იყო, ან გეძინოსა,
ვეღარ მოიხმარ შვილსა და ძმასა,
და ცხვირში გადენს ნაღველს და ძმარსა!
არაკად ასე იტყვიან, მეც ასე გამიგონია:
ლომმა დასცინა კოღოსა, რადგან მცირე აქვს ღონეა.
კოღო არაფრად ჩააგდო,—ან კი რა მოსაწონია?
კოღომ იწყინა ლომისგან ამ გვარი მედიდურობა
და დაიქადა მრისხანედ (არ გეგონოთ-კი ხუმრობა):
„ვუჩვენებ თავის თამაშას,—მე თუ ვგონივარ მძრომია?
გაჩხავლებ, როგორც თიკანსა, ვნახავ, რადაცა ლომია!..“
მიუხდა ლომსა ბზუილით, გამოუცხადა ომია.
ლომს ჩაეცინა გულშია, ყურსაც არ აძრევს ამაზედ;
კოღო-კი ბზუის, ჰკრა საყვირს და ლომს დააჯდა გავაზედ-

შეჭყვირა ლომმა მრისხანედ, მოუწო გავა ძალიან,
მაგრამ რას უზამს კოღოსა? კოღო ქარივით მალია...
ხან ცხვირში და ხან თვალებში —სულ დასტრიალებს ბზუილით;
ხან ყურში ჩაუფუფუნებს, მარდად ჩაუვლის წუილით!..
აგერ, შუბლზედაც მიეკრა, ლომის სისხლსა სწოვს ძალზედა,
ცხვირშიც შეუძვრა და მერმე დააჯდა ხერხემალზედა!..
გადაირია მხეცთ მეფე, გამძაგდა ლომი ფიცხელი,
კბილების დრჭენით დრიალებს, კვნესის და გმინავს, ვით ხელი!
ტყე და მთა, ბარი ზანზარებს, შეკრთნენ, შეშინდნენ სულ მხეცნი,
მირბიან უგზო-უკვლოდა, თითქოს ცეცხლს სწვიმდეს ზეცანი!..
ლომმა იშფოთა, იბრძოლა, დაეცა ძალ-მოღებული!..
ევედრა კოღოს, ამანაც შეუნდო შეცოდებული!..
როცა რომ კოღომ ლომს აპატია უმეცრებისა დანაშაული,
ყველას შეჰზუვლა ეს გამარჯვება და გადიხადა დღესასწაული!..

რ. ერისთავი.

---

## ს პ ი ლ ო.

სპილო მეტად უზარ-მაზარი ცხოველია. სიდიდით ყველა სხვა ცხოველს ბევრად აჭარბებს. აქლემი ხომ მეტად მაღალი პირუტყვია, მაგრამ სპილოსთან რომ დააყენო, ფერდამდინ ძლივს მისწვდება. ტანის სისრულე კიდევ უფრო გასაოცარი აქვს. როცა აქლემი სპილოსთანა სდგას, ისეთი თხელი ჩნდება, როგორც მწევარი სრულს მოზვერთანა. შეჰხედავ თუ არა სპილოს სურათსა, პირველად შენს თვალს მიიპყრობს თეთრი და მეტად გრძელი ეშვები. ეს უშნოდ გამოშვერილი ეშვები ბევრსა ჰშველის: მათი შემწეობით სპილო მძიმე რამეებს სწევს, დიდს ქვებს აგოროვებს და აქეთ-იქით ჰყრის, მიწასა სთხრის, მტრებს იგერიებს და კიდევ სხვა გვარად ხმარობს. მაგრამ ეშვები ბევრს მტერს უჩენს, რადგან მათგან ბევრ გვარს ძვირფასს ნივთებს აკეთებენ. ეშვებზე კიდევ უფრო შესანიშნავია სპილოს გრძელი ხორთუმი, რომელსაც ისე ხმარობს, როგორც კაცი ხელსა. ხორთუმის ბოლოს აბია შესა-

ნიშნავი პატარა თითი. **რას** არ აკეთებს ამ თითით? პაწაწა ქაღალდი შეუძლიან მიწიდგან აიღოს, ბოთლის პრობკა მარჯვედ ამოაძროს, კლიტე გააღოს და სხვა. **Თვით** ხორთუმს, თითქო რეზინისა არისო, როცა უნდა—დაიგრძელებს და როცა უნდა—დაიმოკლებს. **Ამას** გარდა ხორთუმი სპილოს იარაღია, თავისს მტერს ამითი იგერებს. **რასაც** ხორთუმს მოარტყამს, ის ფეხზე ვეღარ დადგება. **ხორთუმის** ერთი დაკვრით ცხენს წააქცევს და ვეებერთელა ხეს დაამტვრევს; ხორთუმით სპილოს აგრეთვე ყოველ-გვარი მუშაობა ემარჯვება.



**სპილოს** ლომსავით ცალკე ცხოვრება არ მოსწონს. **სხვა** ბალახის მჭამელ პირუტყვებსავით სპილოებს ერთად ყოფნა უყვართ. **ხან** ასი სული და ხან მეტიც თავს ერთად მოიყრის და კრებით სცხოვრობს. მშვენიერი სანახავია ამ უზარ-მაზარის პირუტყვის კრება ხშირსა და ატეხილს ტყეში. **Ახალგაზრდა** სპილოები ცქვიტად დარბიან და ტყის პირად ველზე დედ-მამის ახლო კუნტრუშობენ, თამაშობენ. **სპილოებსა** ჰყავთ წინა-მძღოლი, რომელსაც ყველანი ემორჩილებიან. **საშინელი** ხევ-

ბის ლაწა-ლუწი გამოისმის დაბურული ჭალიდგან, სადაც სპილოები მძიმედ და დაუდევნელად დაიარებიან. ცხოვრება უფრო მდინარეების ახლო ღელეებში უყვართ. იქაური მწვანე და ხშირი ფოთოლი სპილოს სიცხისაგან იფარავს. ახლო მდინარე სასმელს არ აკლებს. როცა სპილოების ნახირი მდინარისაკენ წყლის დასალევად ჩაეშვება, ყოველი ცხოველი, რომელიც კი იმათ გზაზე შეჰხვდება, საჩქაროდ ჩამოეცლება და, ვიდრე ეს დევები წყლის სმას არ გაათავებენ, წყალზე ჩასვლას ვერ გაჰბედავს. შუაღამის დროს მამალი სპილო გვერდზე წვება და დილამდის ასე სძინავს. დედალი სპილო კი, რომელსაც თავისის შვილების დარდი აქვს, ხეზე მიყუდებულია ხოლმე და ისე ფრთხილად, ზეზეულად სთვლემს; ამ დროს შვილი იქვე თავისს ახლო უწევს. თუ გრილი დღეა, მაშინ საღამომდინ სძოვენ; ცხელს დღეში კი შუადღისას ბანაობენ. ბანაობა სპილოს უფრო იმიტომ უყვარს, რომ თუმცა ტყავი ძლიერ სქელი აქვს, მაგრამ ერთ გვარი ბუზი მაინც საგრძნობლად ჰკბენს და აწუხებს, ხოლო როცა სპილო წყალშია, მაშინ ბუზი ვერ ეკარება. ტყესა და მინდორში სპილოები იკვებებიან ხის ქორფა ფოთლით, რომელსაც თავისი გრძელი ხორთუმით ჰგლეჯენ; მეტადრე საშინლად უყვართ ახლად ამოსული ტკბილი მცენარეები. ეს სპილოს თვისება ინდოეთისა და სხვა ქვეყნების მცხოვრებლებს დიდს ზარალს აძლევს. ამ ქვეყნებში შაქრის ლერწამს ბევრსა სთესენ. მინდვრები ამ გვარი ნათესით სულ სავსეა. სპილოები ბევრჯელ შეესევიან და ჰინახულს სულ აოხრებენ ხოლმე. ჟამით ხომ ბევრსა სჭამენ, მაგრამ თავის ტლანქი ფეხებით უფრო კიდევ მომეტებულს აფუჭებენ. ბრინჯისა და სიმინდის ჯეჯილიც სპილოებისთვის სანატრელი საჭმელია. გარდა ამისა, სპილოს ძლიერ უყვარს ხახვის მსგავსი ძირთავა მცენარეები, რომელთაც მიწაში სუნით ეძებს და თავისი ეშვებით მარჯვედ სთხრის. საცა ამისთანა მცენარეს შეამჩნევს, იმ ალაგს თავისი ეშვებით ისე გადასთხრის, რომ კაცს ნახნავი ეგონება.

II

თუმცა სპილოს საშინელი ღონე და ძალა აქვს, მაგრამ ძლიერ მშვიდი და უწყინარი პირუტყვია. არა სულდგმულს არას დაუშავებს სპილო, თუ მან თვითონ არ უმტრო და არ გააჯავრა. რასაკვირველია, ცალკე არა ცხოველს არ შეუძლიან სამტროდ დაეცეს სპილოების გროვას. თუ ერთმა სპილომ დაინახა, რომ ერთად შეგროვილნი ნადირნი აპირებენ იმაზე დაცემას, მაშინვე დაიყვირებს და შეატყობინებს თავისს ამხანაგებს. სპილოები ერთად მოგროვდებიან, ნადირნი დაცემას ველარ გაჰბედავენ და დაიფანტებიან. მარტო მყოფს სპილოსაც კი თვით ლომიც ძნელად შეებმის. მამალი სპილო თავისს მტერს ეშვებით დაუხვდება, ქვევიდგან ამოჰკრავს, ჰაერში შეაგდებს, მერმე, როცა ძირს დასცემს, თავისი ღონიერი ფეხებით შესდგება და სულ დასჭყლეტავს. დედალს სპილოს კი ეშვები არა აქვს და ხერხით იბრძვის. გასაოცარი ოსტატობით წააწვება თავის მტერს, ქვეშ მოიტანს და გასჭყლეტს ხოლმე. თუმცა სპილოს ბევრი კაცის გაფუჭება შეუძლიან, მაგრამ არაფერს ჰვნებს. სპილო მთელს სახლს მოჰგლეჯს, ისე ღონიერია, მაგრამ კაცზე მტრობას არას დროს არ განიზრახავს და თავისთვის მშვიდობიანად სცხოვრობს. მხოლოდ მაშინ კი უნდა ერიდოს კაცი, როცა სპილო მთვრალია. სპილოს კაცზე ნაკლებ არ უყვარს ქეიფი და ტვინის შეხურება. გარეული სპილო მათრობელას თვითონ იმზადებს, მხოლოდ ამ მათრობელას იგი არა სვამს კი, სჭამს. მათრობელას აკეთებს ერთ-გვარის ხის ნაყოფისას, რომელსაც თავისი გრძელი ხორთუმით ჰკრეფავს და მერმე მზეზე გაჰშლის ხოლმე, მინამ ჩახურდებოდეს და ადუღდებოდეს. ეს ნაყოფი ჰგავს ჩვენს ქლიავს და ძლიერ მჟავეა. კაცს ათი ეს ნაყოფი დაათრობს, სპილო კი კოდობით ჩანთქავს ხოლმე და მაშინ ისე გაცეცხლდება, რომ არა სულდგმულს არ შეუძლიან ახლო მიეკაროს. როცა კი ფხიზელია, სპილო მეტად მშვიდობიანად სცხოვრობს.

თვითონ კაცი კი სპილოს არ ასვენებს. თუ სპილოებმა მონადირეების სიახლოვე შეიტყეს, ეცდებიან თავი მოარიდონ. მაგრამ ვინიცობაა მონადირეებმა თავი არ დაანებეს და მეტადრე თუ დასჭრეს ერთი ამათგანი, მაშინ უყურე, როგორ გაცეცხლდებიან; გაშფოთებულნი გაექანებიან თავისი მტრისაკენ და გზაზე დიდს ხეებს პატარა წკეპლებსავით ამსხვრევენ. ვაი, იმ მონადირეს, რომელმაც გაქცევით თავს ვერ უშველა! წამოეწევა სპილო, ლუკმა-ლუკმად დაჰგლეჯს, მერმე ზედ შესდგება ფეხებით და დასჭყლეტავს. ასე ამოიყრის ხოლმე თავისის მტრის ჯავრსა. მაგრამ მონადირეებიც ბევრს სპილოებს ჰხოცავენ. სპილო სასიკვდილოდ მხოლოდ მაშინ დაიჭრება, როცა ან ტვინში მიარტყავენ ტყვიას, ან ფერდში. სხვა ადგილებში რამდენიც უნდა ტყვია მოჰხვდეს, ყურსაც არ გაიბერტყს. მონადირეებმა ეს იციან და ტყვიას ხსენებულს ადგილებში დაუმიზნებენ ხოლმე. ნადირობის დროს სასიამოვნო საყურებელია, დედები როგორი თავდადებით იფარავენ თავისს შვილებსა: როცა დედა გარბის, შვილიც მუცელს ქვეშ ფეხებს შუა მისდევს და ხორთუმი ხორთუმზედ უკიდია. დედა თავისს პატარა სპილოს ისე მიარბენინებს, როგორც ქალს თავისი ხელ-ჩაკიდული შვილი მიჰყავს. სასიკვდილოდ დაჭრილი სპილო ახლო ხეს მიეყუდება, თვალებიდგან ცხარე ცრემლსა ჰღვრის, ბოლოს ეცემა ძირს და სულსა ჰლევს. თუ მტერმა დღე არ მოუსწრაფა, სპილო ორას წლამდინ იცოცხლებს. გაშინაურებული სპილოები კი ამის ნახევარსაც ძლივს სძლებენ. ასე უმოკლებს სიცოცხლეს ყოველს პირუტყვს თავისუფლების დაკარგვა.

## III

სპილოს იმიტომ აშინაურებენ, რომ მეტად ღონიერი პირუტყვია და მუშაობაში ძალიან გამოსადეგი. ერთი სპილო იმდენს აიკიდებს, რამდენსაც ხუთი აქლემი. რომელი საპალნეც ათს ცხენს წასაღებად უძნელდება, ერთს სპილოს ადვილად მიაქვს. ამასთან სიარული ჩქარი იცის; უბრალო ცხენი ვერ მიჰყვება სიარულში, თუ არა კაი მატარებელი. ამისთვის

სპილო ძვირად ფასობს. როცა გარეულს სპილოს დაიჭერენ, ეშვებს დაახერხავენ ხოლმე. ეს ეშვები კაი ფასად იყიდება და მათგან თეთრს სავარცხლებსა და ნივთებს აკეთებენ.

გარეულს სპილოს მოსაშინაურებლად სხვა-და-სხვა ღონისძიებით იჭერენ. უფრო უბრალო ღონისძიება არის შემდეგი. მიაგნებენ თუ არა სპილოს ბინას, მონადირეები პირ-ქარზედ უახლოვდებიან და თან თასმის მაგარი თოკი მიაქვთ. თოკს ბოლოზე ყულფი აქვს გამობმული. როცა იდროვებენ, ერთი მონადირე სპილოს ჩუმად მიეპარება და ფეხში ყულფს ამოსდებს; მეორე მონადირე ამ დროს ერთს დიდს ხეზედ თოკის მეორე წვერს მიაბამს. სპილო ტრიალს დაიწყებს, და თოკი გარშემო შემოეხვევა. მერმე რამდენსამე დღეს ამავე მდგომარეობაში მშიერს დააყენებენ, საჭმელს არ მისცემენ; სპილო მოიქანცება, ღონე გამოელევა და დამშვიდდება. ბოლოს შინაურს სპილოს მიიყვანენ და ახალს დაჭერილს სპილოს შინ გააყოლებენ. ექვსის თვის შემდეგ სპილო სრულიად შინაურდება.

შეიძლება იფიქროთ: სპილო უთუოდ ძალიან უგუნური პირუტყვი უნდა იყოს, თორემ იმოდენა დევს ცხოველს ერთი ბეწვა კაცი როგორ დაიჭერდა და დაატყვევებდაო. სრულიადაც არა, პირ-იქით, სპილო ძლიერ ჭკვიანი ოთხფეხია; გონებით ყოველს ცხოველს სჯობია, მაიმუნსა და ძაღლს გარდა. მაგრამ კაცის ჭკუასთან რა გაუვა! კაცი ბევრს პირუტყვზე ფრიად პატარა და უღონოა, მაგრამ თავისი დიდი ჭკვით ყველასა სძლევს და იმორჩილებს. სპილოები ბევრს შემთხვევაში ძლიერ დიდს გონიერებას იჩენენ. აი, მაგალითად, როცა ცაში ქუხილი ატყდება ხოლმე, სპილო ტყეს თავს ანებებს და ხეს ახლო აღარ ეკარება. ეს საკვირველად ჭკვიანური მოქმედებაა: ქუხილის დროს, როცა მეხი ჩამოვარდება, ხეებს ხშირად დაეცემა ხოლმე; ეტყობა, სპილოს ეს მოვლენა შეუნიშნავს და ამიტომ ტყეს ქუხილის დროს ერიდება. მოდი და ჭკვიანს პირუტყვს ნუ დაუძახებ! ბევრი ადამიანია, რომ ქუხილის დროს გაექანება და ხეს შეეფარება ხოლმე და ამითი

სპილოზე ნაკლებ ჭკუას იჩენს. სპილო, რაკი გაშინაურდება, კიდევ უფრო ჭკვიანდება. შინაური და გარეული სპილო გონებით შორი-შორს არიან.

— გაშინაურებულს სპილოს გონებას რა უმატებს! მკითხავთ.

— კაცთან სიახლოვე. კაცი, როგორც ვიცით, ყველა ცხოველზე ბევრად უფრო ნიჭიერი და გონიერია. შინაური სპილო კაცის ყველა მოქმედებას ყურს უგდებს, იმისს ცხოვრებას თვალს ადევნებს, თვითონაც ჰბაძავს და ამიტომ ჭკვიანდება. ადამიანიც ხომ ასეა. თუ პატარა ბავშვი გონიერს ადამიანებში გაიზარდა, იმათგან ჭკუას ისწავლის და გონიერი კაცი გამოვა. როცა სპილო ტყესა და მინდორში იმყოფება, მარტოკა თავისთანა უგუნურს პირუტყვებს ჰხედავს, იმათგან ის აბა რას ისწავლის. როცა კაცთან სცხოვრობს, იმისგან ჭკუას ითვისებს. შინაურის სპილოების გონებაზე წიგნებში ბევრს მოთხრობას ამოიკითხავთ.

ერთხელ ჯარის-კაცებს ურმით საომარი იარაღი მიჰქონდათ. უნდა გასულიყვნენ მდინარეში, რომელიც ოღრო-ჩოღრო იყო. წყალში გასვლის დროს ერთმა ურემმა გვერდზე გადაიწია, და ამ დროს გადავარდა აფიცერი, რომელიც ურემში ყუთზე იჯდა. თუ ერთის თვალის დახამხამება დასცლოდა, უკანა თვალი გადაუვლიდა და აფიცერს გასჭყლეტდა. მაგრამ სპილომ, რომელიც ამ ურმის უკან მოდიოდა, თვალი შეასწრო ამ ხიფათსა, ფიცხლავ თავისი ხორთუმით ურმის უკანა თვალი მაღლა ასწია და ისე დაიჭირა, მინამ ურემი აფიცერს გადასცილდებოდა. ასე გადაარჩინა სპილომ კაცი სიკვდილს, თუმცა იმისთვის ეს არავის უბრძანებია.

ერთხელ კიდევ შინაური სპილო ვიწრო ქუჩაში მირბოდა, წინ დაუხვდა ბავშვი, რომელმაც ჩამოცლა ვერ მოასწრო. სპილო შეჩერდა, ბავშვი თავისი ხორთუმით ნაზად აიყვანა, ნაპირს გადასვა და მერმე ისევ გასწია თავისს გზაზე.

სპილო თუმცა მშვიდი და უვნებელი პირუტყვია, მაგრამ, თუ კაცმა დიდი უსამართლობა მიაყენა, გულში ჩაიტანს

და სამაგიეროს გადაუხდის. ერთმა სპილოს წინამძღოლმა სპილოს თავზე კაკალი დასდო და ზედ გატეხა ქვითა. მეორე დღეს სპილო იმავე კაცს ქუჩაში მიჰყავდა. ბაყლის დუქნის წინ სპილომ კაკლის გროვა დაინახა, თავისი ხორთუმით წასწვდა, ერთი კაკალი აიღო, თავისს წინამძღოლს შიგ შუბლში ღონივრად მიარტყა და იქვე მიწაზე გააგორა.

### სპილო საერისთაოზედ.

ჩამომავლობით ვინც რომ დიდია
და ძლიერებაც თუ ხელთ უგდია,
თუ ჭკვაც არ შესწევს—მოსარიდია,
თუ გულ-კეთილობს—უფრო ცუდია.

—

სპილო იყდა ერისთავად ერთს უდაბურ ტყეში,
კამეჩი კატად მოჩანდა იმასთან სისქეში;
ჭკუაზე კი სუსტი იყო ამოდენა დეში,
თუმცა სპილო ჭკვით იქების, ვიცით, თავისს დღეში...
მაგიერად ერისთავი კეთილი რამ ბრძანდებოდა!..
ჭიანჭველას არ გასჭყლეტდა, ასე შეებრალებოდა!.

ერთ დღეს ცხვრებმა ერისთავსა,
გულ-წრფელსა და გულ-მართალსა,
მიართვეს არზა და საჩივარი,
თვისი ჩასწერეს მათ სატკივარი:
„ერისთავო, გვიპატრონე, მგლებმა სულ მთლად აგვიკლესო,
ტყავი აღარ შეგვარჩინეს, ბატკნები სულ დაგვიკლესო!..“
ამისმა მსმენმა შეჰყვირა სპილომ:
მაცათ, ისინი როგორ დაგზილო
და მაგალითით სხვაც გავაფრთხილო!..
რაზედ ჰყვლეფენ სწყალობელსა?..
გაძარცვის ნება ვინ მისცა მგლებსა?..
ამ დროს წარმოსდგნენ მგლები ერთადა
და მოახსენეს სპილოს ერთ-ხმადა:

„დიდო ბატონო,
ჩვენო პატრონო!
თქვენ არ გვიბრძანეთ ქურქად ზამთარში
მობოჭვა თითო ტყავისა ცხვარში?..“
მაშინ სპილომა, დიდმა ბატონმა,
წარმოსთქვა წყნარად ერის პატრონმა:
— მაშ რას სჩივიან ეგ სულელები?!.
არა სტყუიან ამაში მგლები...
ცხვრებს აუგდიათ, მე ვხედავ, თავი!
თითოს შეჰხვდება სულ თითო ტყავი...
და ეგეც ჰშურთ?!..
ახლა კი, თუ გსურთ,
თითო საქურქე მობოჭეთ, მგლებო!..
(მე ბოროტება ძლიერ მძულს, ძმებო!)
მეტი კი—ბეწვიც არ შეუხაროთ,
თორემ გავწყრები თქვენ სამწუხაროდ!..

რ. ერისთავი.

## მ ა ი მ უ ნ ი.

მაიმუნი აგებულებითა და გონებით ადამიანს უფრო ჰგავს, ვიდრე სხვა ცხოველებსა. ცხელის ქვეყნების ბინადარია. იქაურებს ჰგონიათ, მაიმუნს ლაპარაკის ნიჭიცა აქვსო და, თუ მოინდომა, კიდეც ილაპარაკებსო; მაგრამ ამ ნიჭს ჰმალავს და ჩუმად არის, რომ ადამიანმა მონად არ გაიხადოსო. რასაკვირველია, ეს შეცდომაა. მაიმუნს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ხომ კიდეც ილაპარაკებდა. მეტყველება ღმერთს მარტო ადამიანისათვის მიუნიჭებია. მაინც მაიმუნი ქვეყანაზე პირველი სულდგმული იქნებოდა გონებით, კაცი რო გაჩენილი არა ყოფილიყო. გასაკვირველია, რომ პატარაობისას მაიმუნი დიდს ნიჭს იჩენს და მერმე კი, რამდენადაც უფრო ხანში შედის, იმდენად ჭკუა და გონება აკლდება. სრულიად წინააღმდეგს მოვლენას ვხედავთ ადამიანთა შორის. ადამიანი პატარაობისას

უჭკუოა, შემდეგ, რამდენადაც იზრდება და ხანში შედის, იმდენად ჭკვიანდება და გონება ემატება. ხანი მაიმუნს გონებას უმცირებს, კაცს კი უმატებს. მაიმუნი ამასთან სრული მონაა ბუნებისა, ადამიანი კი მეფურად უფლობს მასზე და ბუნების ყოველს ძალას იმსახურებს. მაგალითად, ავიღოთ თუნდა ცეცხლის ხმარება. მაიმუნებს ძლიერ მოსწონთ ცეცხლზე თბობა, მაგრამ აქამდინ ცეცხლის გაჩენა და ხმარება არ იციან. როცა უდაბნოში ქარავნისგან დარჩენილს ცეცხლს ნახავენ, დიდი სიამოვნებით თბებიან, მაგრამ იმდენი კი ვერ მოუხერხებიათ, რომ შეშა მიიტანონ, დააყარონ და ცეცხლი მალე არ გააქრონ. უკანასკნელი ველური კაცი ხმარობს ცეცხლსა და უგონიერესს მაიმუნს კი არ შეუძლიან ესა. აქედგან ცხადად სჩანს, თუ რა განუზომელი შინაგანი განსხვავებაა მაიმუნსა და ადამიანს შუა, თუმცა პირველი მეორეს გარეგნობით ჰგავს.

მაიმუნი მეტად ცოცხალი და მოძრავი ცხოველია. მუდამ საჭმელს ეძებს, პირს არ აყენებს, არ ისვენებს. სჭამს თითქმის ყველაფერს. ხილი, სხვა-და-სხვა ფესვები, მარცვლები, კაკალი, კოკორი და ფოთოლი იმისი ჩვეულებრივი საჭმელია; არც სხვა-და-სხვა ჭიებსა და ბუზებს იწუნებს; კვერცხებისა და ბარტყების შოვნა ხომ იმისთვის ადებლამეა. ამიტომ მაიმუნს საქმე არას დროს არ ელევა; ხან აქეთ-იქით მოუსვენრად იხედება, ხან ჰგლეჯავს რასმე, ხან იჭერს, სუნავს და სინჯავს, კარგია საჭმელად, თუ არაო. ერთი სიტყვით, მაიმუნი ყოველთვის ფაცი-ფუცშია.

მაიმუნები სხვა-და-სხვა ჯიშისანი არიან. ჩვენს საქართველოში მხოლოდ პატარა მაიმუნები მოჰყავთ. სხვა ქვეყნებში კი ძალიან დიდი და ღონიერი მაიმუნები სცხოვრობენ. ზევრი ამათგანი მაღალის კაცის ოდენაა. მაიმუნი სცხოვრობს ცხელს ქვეყნებში და სიცივის ატანა არ შეუძლიან. ამიტომ თუ კაცმა დაიჭირა და ცივს ქვეყანაში წაიყვანა, დაჭლექდება და მალე მოკვდება. მაიმუნებს ტყეში ცხოვრება იმიტომ უყვართ, რომ იმათი საყვარელი საჭმელი ხილია; მხოლოდ მარტო ტყეს არა სჯერდებიან, ნათესი მინდვრები

და შემუშავებული ბალღებიც თავისს საკუთრებად მიაჩნიათ. „ჩვენ ვთესავთ, მაიმუნები კი მკიანო“, იტყვიან ხოლმე არაბები, როცა თავისს ნათესს, ან ბაღს მაიმუნებისაგან აოხრებულს ჰნახავენ. Თვითოეული მაიმუნი იმაზედ ათჯერ ბევრს წაახდენს, რამდენისაც შეჭმა შეუძლიან. Ვერც კლიტე, ვერც კედელი, ვერც ღობე ვერ იმაგრებს ამ სათოკე ქურდებსა. Ძარებს ურდულს გამოუყრიან, ღობეებზე მარჯვედ გადახტებიან და, თუ საჭმელი ვერა იშოვნეს რა, ნივთს რასმე მაინც მოიპარავენ. Ხშირად გაიტაცებენ ხოლმე ოქროსა, ვერცხლსა და ძვირფასს ქვებსა, ანუ თვლებსა. Მეტადრე, როცა ტყეში ხილი გამოილევა, მაიმუნები ბაღებში ხშირად ქურდობენ; რომელს ბაღსაც შეეჩვევიან, სულ აოხრებენ.

II

Ასოები და სახსრები ზოგს მაიმუნს საკვირვლად ღონიერი აქვს: შეუძლიან ასწიოს იმოდენა სიმძიმე, რასაც ადამიანის სუსტი ხელები სრულიად ვერ მოერევა. Მაიმუნები ხეზედ ასვლაში დიდს სიმარდესა და ოსტატობას იჩენენ. Ხის მაღლა კენწეროზე თავის ამოყოფა, ოთხს, ხუთს საჟენზე ტოტიდგან ტოტზე გადახტომა, გადმოხტომა, ახტომა, ჩახტომა ზოგი მაიმუნისათვის სულ ადვილია. Აგრეთვე მაიმუნები წყალში კარგად ცურაობენ; ზოგმა კი სულ არ იცის ცურვა და, თუ წყალში ჩავარდა, ტყვიასავით ძირს-ძირს წავა.



Მტრისა ყველა მაიმუნს არ ეშინიან. Დიდი და ღონიერი მაიმუნები გულადად უხვდებიან მონადირეს. Დედალი მაიმუნები ბრძოლაში მხოლოდ მაშინ გაერევიან, როცა იმათი სიცოცხლე და იმათის შვილებისა ხიფათში ჩავარდება; ამ დროს მამაცობაში

მამლებს უკან არ ჩამორჩებიან. მაიმუნები ხელებითა და კბილებით იბრძვიან. ამბობენ, რომ ომში ხან ტოტებსა და ჯოხებს ხმარობენო. ის კი ნამდვილია, რომ მაიმუნები თავისს მტერს მსხვილს ხილსა, ქვებსა და ხეების კუნძებს ღონივრად ესვრიან.

დედალს მაიმუნს ერთი შვილი ეყოლება ხოლმე. იმისთანა ჯიშის მაიმუნებიც არიან, რომელნიც ორს შვილსა ჰშობენ. ზოგიერთა მაიმუნები ამ დროს ადამიანურს გრძნობას იჩენენ; მშობიარეს გარს ეხვევიან და ახალს ნაშობს ხან ერთი იყვანს ხელში, ეალერსება და ჰკოცნის, ხან მეორე, ხან მესამე. ახალი დაბადებული საძაგელი არსებაა, იმისი დალმექილი პირი უფრო ბებრის სახესა ჰგავს, მინამ ბავშვისას. მაგრამ ეს მახინჯი დედას ძლიერ უყვარს, მუდამ ეფერება და ეალერსება, ართობს, ათამაშებს, ჰფხანს, ხან გულში ჩაიკრავს, ხან ხელებზე დაისვამს და ჩასცქერის, თითქოს ცქერით ვერ გამაძღარაო, ხან ისევ გულში მიიხუტებს, ხან ანძრევს, თითქოს არწევს და ნანას ეუბნებაო. პატარა მაიმუნი მალე ისწავლის ხოლმე დედის გულში ჩაკვრას: წინა ხელებს კისერზე შემოჰხვევს, უკანას—გვერდებზე, და ამ სახით დედას ყველგან თავისუფლად დაჰყავს იგი და, როცა უნდა, ძუძუს აწოვებს. დედა თავისს შვილს საკვირველად სუფთად ინახავს: წყალზე წაიყვანს ხოლმე და, თუმცა ის წივის და კივის, მაინც მინამ პირს კარგად არ დაჰბანს, არ მოეშვება; ამასთან ტანს უსუფთავებს და უხილავს. რამდენისამე ხნის შემდეგ, პატარა მაიმუნი რო წამოიზრდება, თავისუფლებას ნდომულობს, და ამაზე დედაც უარს არ არის; მუხლებიდგან გადასვამს და ნებას აძლევს სხვა პატარა მაიმუნებთან იხტუნოს და ითამაშოს. მაგრამ თვალი კი მოუშორებლივ შვილისკენ უჭირავს. თუ სახიფათო რამე შეამჩნია, დედა დაიკივლებს, მივარდება თავისს შვილთან, და ისიც მაშინვე გულში ჩაეკვრის. არა გაჭირვებაში დედა შვილს არ ულალატებს,—იგი თავისს სიკვდილს უფრო ირჩევს, მინამ შვილისას. ბევრჯელ სასიკვდილოდ დაჭრილი დედა თავისს თავს ივიწყებს, ხელსა სტაცებს

შვილსა, ხეზე სვამს, თავს უშველეო, მერმე დაეცემა და მოკვდება. ტყვეობაში ყოველს ლუკმას დედა თავისს შვილს უყოფს და საცოდავად ეწვის გული იმისს უბედურს მდგომარეობაზედ. შვილის სიკვდილი დედასაც ხშირად თან გაიტანს ხოლმე. ასეთი დედობრივი ჯავრი იცის. თუ დედა-მაიმუნს სიკვდილის შემდეგ პატარა შვილი ობლად დარჩა, სხვა მაიმუნი იშვილებს და ღვიძლი შვილისავით უყვარს.

III

გაშინაურებული მაიმუნი ადამიანისაგან ბევრს რასმე სწავლობს. ერთს სწავლულს კაცს (ბიუფონს) ჰყავდა მაიმუნი, რომელიც კაცურად ამართული დადიოდა მაშინაც კი, როცა მძიმეს რასმეს ჰზიდავდა; ეს მაიმუნი ყოველთვის ჩაფიქრებული იყო და დინჯად დაიარებოდა. თავისს პატრონს ყოვლის უარის უთქმელად ემორჩილებოდა და იმისს სიტყვას ძირს არ დაუშვებდა. ყველა სტუმარს ხელს ჩამოართმევდა ხოლმე, სეირნობდა იმათთან, სტოლთან სკამზე ჯდებოდა და ბაასს ყურს უგდებდა, თითქოს ესმის რამეო. სადილის დროს სალფეთქს გადიშლიდა, სტაქანში ღვინოს ჩაისხამდა, სადღეგრძელოს დროს მოსადილეებს სტაქანს სტაქანზედ მიუხლიდა და მერმე ვაჟკაცურად გადაჰკრავდა. ჩაის დალევის დროს სტაქანს ლამბაქით მოიტანდა, შაქარს ჩაჰყრიდა, ჩაის დაასხამდა და, მინამ არ გაცივდებოდა, არ დალევდა. ეს მშვიდი პირუტყვი ყველას ზრდილობიანად ექცეოდა და ადამიანის ალერსი მეტად ახარებდა. ბიუფონის ნაცნობებს უყვარდათ ეს მაიმუნი და მალე-მალე მიუტანდნენ ხოლმე სხვა-და-სხვა ხილსა. ამ ჭკვიანს მაიმუნს ჭლექმა დღე მალე მოუსწრაფა.

ერთს კაცს ჰყავდა ძლიერ ეშმაკი და გამოქნილი მაიმუნი. როცა სურვილს არ აუსრულებდნენ, კედელს თავს ახლიდა, ან ხელებს თავში წაიშენდა, სწორედ ისე, როგორც იქცევიან გააზიზებული ბავშვები, როცა უნდათ დედ-მამას საქმელი, ან სათამაშო რამე გამოსტყუონ. ბევრს მოქმედებაში დიდს ჭკუასა და თვალთ-მაქცობას იჩენდა. ერთხელ რაღასთვისაც დამწყვდევით დასაჯეს და მაიმუნმა სატუსაღოდგან

თავის დასხნა მოინდომა. Თავისის განზრახვის აღსრულების დროს ისეთი ოსტატობა გამოიჩინა, რომ არა ცხოველს არ შეუძლიან. Მაიმუნმა პირველად ყურადღება კარებს მიაქცია, მაგრამ კარები დაკეტილი იყო, და გასაღები ლურსმანზედ ეკიდა. Მაიმუნი ჯერ დაღონდა, ჩაფიქრდა, მერმე გასაღებთან მივიდა, ფეხის თითებზედ შედგა და უნდოდა ჩამოეღო; მაგრამ მაიმუნი დაბალი იყო, და გასაღები კი კარგა მაღლა ეკიდა; ბევრს ეცადა შესწდომოდა, მაგრამ ტყუილად. Მაშინ აიღო სკამი, გასაღების პირდაპირ მიიდგა, ზედ ავიდა, მისწვდა, ჩამოიღო გასაღები, კარები გააღო და თავი განითავისუფლა.

Მაიმუნი საზოგადოდ დიდს ნიჭს იჩენს ადამიანის მიბაძვაში, მაგრამ ჰბაძავს მხოლოდ გარეგნობით, შინაგანი მხარე ადამიანის მოქმედებისა კი მისთვის ყოველთვის გაუგებარი რჩება, რადგანაც ადამიანის გონება ისე მაღლა სდგას მაიმუნისაზედ, როგორც ცა დედამიწაზედ.

### მაიმუნი და სარკე (იგავ-არაკი).

მაიმუნმა დაინახა თავის სახე სარკეშია,
ჩაიცინა და იქ მყოფს დათვს ტოტი წაჰკრა გვერდებშია,
თან ჩაჰკითხა ჩურჩულითა: „თუ გინახავს შენს დღეშია
ამ ნაირი გონჯი ვინმე და უმსგავსი მხეცებშია?..
ერთი შეხე ამ მანჭიას, ნეტა რას ჰგავს ეს ახმახი?
სარკეშიც რომ თავს იწონებს, სწორედ არის გასალახი!..
ამისთანა უხეიროს ნეტა სულაც არ შევყროდი,—
ერთი ბეწვად რომა ვგავდე, უცებ ჯავრით გავსქდებოდი...
მგონია, ჩვენს მეზობლებში ხუთიოდე ჰგავდეს ამას...
თითო-თითოს ჩამოგითვლი, თუ კი გინდა ამ ერთ წამას".
აქ დათუნამ უპასუხა პირუთვნელად მაიმუნსა:
„აბა თავი შეადარე მას, ვინც შენ სარკეში გძულსა...
რაღა მეზობლები გინდა? სწორესა სცნობ, თუ კი გსურსა"..
მაგრამ დათუნიას სიტყვა ასცდა მაიმუნის ყურსა!
ზოგიერთს კაცს რო უწუნებ მექრთამობას, ბოროტებას,
თავის თავზედ არ დებულობს, არც კი იმჩნევს დაცინებას;

შენ რო გიგოს ჩასძახოდე: „რად ჰგევხარო გამკვრელს მგელსა“.
ის იცინის, თავს მართლულობს და პეტრეზედ იშვერს ხელსა!

რ. ერისთავი.

---

# ორაგულის ცხოვრება.

## 1. ორაგულის სიყმაწვილე.

შუა ქართლში კავკასიონის ქედის კალთიდგან პაწია წყარომ ცელქად გამოხეთქა. თამაშობით დაეშვა ქვემოდ, სამხრეთისკენ, და იწყო სწრაფად ჩანჩქარი ნათესს მინდვრებსა და ტყიანს მთებს შუა. ჩვენი ჩანჩქარი წყარო ბროლივით წმინდა იყო; ამიტომ მის ნაპირზედ ამოსული ტირიფები ისე სჩანდა წყალში, როგორც სარკეში, და მის ძირზედ კენჭებს სათითაოდ დასთვლიდი. ამ ძირზედ ქვებს შუა ათასობით ეწყო თევზის პაწაწა კვერცხები ანუ ქვირითი. ამ კვერცხებს ნაჭუჭის მაგივრად სიფრიფანა კანი ჰქონდა, და ამ კანში ყველაფერი სჩანდა.

შუადღისას მზე თავისს ცხოველს შუქს ლონივრად ჩაანათებდა ხოლმე ფშანში და ათბობდა წყალსა და ქვებსა. ცხელს დღეში იმ ქვირითს რომ დაჰკვირვებოდი, შიგ ერთი-ბეწვა ლიფსიტებს დაინახავდი. თითოეულს ლიფსიტას პირი და თვალები უჩანდა, მაგრამ ფრთები კი ჯერ არა ჰქონდა. ახალი ჩასახული ისეთი წვრილი და ბროლივით წმინდა იყო, რომ ცხადად დაინახავდი იმის სისხლის დენასა და ძარღვის ცემას. აი პაწაწა ლიფსიტამ სიფრიფანა რბილი კანიდგან გარედ გამოიტანა ჯერ თავი, მერმე ტანი და უკანასკნელად ბოლო, რომელიც ჯერ ისევ მოკაკული იყო, რადგანაც ქვირითში თევზი რკალივით მოხვეული იწვა. როცა ცოტ-ცოტა ბოლო გაუსწორდა, ლიფსიტამ იწყო მისი ცემა წყალზედ. რამდენსამე საათს უკან ქვიშიდგან და ქვებიდგან ათასობით გამოცქირებოდნენ პაწაწკინა ლიფსიტები, რომელნიც, კვერცხებიდგან გამოსვლის შემდეგ, მყუდრო პატარა თხელ ყურესკენ მისრიალდნენ და იქ დაიწყეს ცურვა. ამ ლიფსიტებს

არც დედა ჰყავდათ გვერდით და არც მამა, ცურვასაც არავინ ასწავლიდა. ყველა თვითონ ცდილობდა გზა გაეკვლია ცხოვ-რებაში.

ჩვენის პაწაწინა ლიფსიტების ქერქი ერთის ფერისა არ იყო: გვერდზე მოლურჯო ფერი დასცემდა; მუცელზე მო-წითალო, ზურგზედ კი მოშავო. მზეზე ლიფსიტები ვერცხლი-ვით ბჭყვრიალებდნენ, შუბლზე შავი ნიშანი უჩნდათ. ეს ლიფსიტები პატარა ორაგულები იყვნენ. წყალს დაჰქონდა ისინი და არხევდა, როგორც დედა არწევს თავისს შვილს აკვანში. წყალივე ზრუნავდა იმათ საჭმელზედ, მიჰქონდა სწო-რედ იმათ პირთან გემრიელი ჭიები, მატლები,—თევზებს პირის გაღებისა და ჩაყლაპვის მეტი აღარა უნდოდათ რა. წყალს ზე-



მოდ მარდად მოექცეოდნენ ხოლმე და მხიარულად ქანაობდნენ თავისის საცურაო ფრთების შემწეობით. ცურვაში მათ ბევ-რას შველოდა საცურაო ბუშტი, რომელიც სხეულის შიგნით იყო მოქცეული და გავსებული ჰაერით. თითო გარტყმა ბო-ლოსი წყალზე ლიფსიტებს შორის ამოაყოფინებდა ხოლმე თავსა. მაგრამ იმათი მარდი ცურვა სრულიად გასაკვირველი არ იყო. თავი მოწვეტიანებული ჰქონდათ, ტანი ნავისავით მო-ყვანილი, ქერქი მათი იყო ლიპი ლორწოსაგან, რომელიც შეუ-წყვეტლივ გამოჰყონავდა გვერდების ორი ჯირკვლიდგან. ამი-ტომ ლიფსიტები წყალს ადვილად აპობდნენ და შიგ საკვირ-ველი სისწრაფით დასრიალებდნენ.

მდინარის ნაპირას რომ ტირიფები იდგა, ფესვები ძირს მდინარეში ჰქონდათ ჩაშვებული. ამ ფესვებზე ჩაყოლებით უთვალავი ჭია ჩადიოდა ანკარა წყალში საბანაოდ. ჩიები

გადაებმოდნენ ზედი-ზედ, თითქო ფერხული დაუბამთო, და ჰყუპალაობდნენ. ჩვენი პატარა ორაგულის ლიფსიტები გასრიალდებოდნენ ხოლმე მათკენ და თავისებურად გაეთამაშებოდნენ. ხან ერთი მხრიდგან გამოუქროლებდნენ მობანავე ჰიებს, ხან მეორედგან და ჰყლაპავდნენ, მაგრამ ამას სხვა ჰიები ვერ ამჩნევდნენ სიმრავლისა გამო. როცა სალამ-სალამოთი კოღოების გუნდი ტრიალებდა წყლის პირად, პაწაწკინტელა ორაგულები შეუმჩნევლად ამოცურდებოდნენ, მარდად შეხტებოდნენ ჰაერში და კოღოებს ჰყლაპავდნენ. რამდენადაც ღონე და სიმარდე ემატებოდათ ჩვენს პატარა თევზებს, იმდენად უფრო გულადნი ხდებოდნენ: თანდათან უფრო და უფრო შორს მიდიოდნენ თავის მყუდრო ყურედგან, ეჩვეოდნენ დაღარებულ წყალთან ბრძოლასა, სწავლობდნენ ტალღის წინააღმდეგ ცურვასა, ეჯიბრებოდნენ ერთი-ერთმანეთს სწრაფს სრიალში, დასდევდნენ თავისს საკბილო პატარა წყლის ცხოველებსა, და ვინც იმათში უფრო მარდნი და გულადნი იყვნენ, ისინი წყალს ზევით მაღლა ხტებოდნენ და ჰაერში ბუზებს იჭერდნენ. მაგრამ თუ დაინახავდნენ ონავარს თევზსა, თვალის დახამხამებაზე გაქრებოდნენ და აქეთ-იქით დარნებში მიიმალებოდენენ.

თამაშობას რო ათავებდნენ, პატარა ორაგულები დიდი სიამოვნებით ისვენებდნენ მივარდნილს ადგილას, ხოლო დიდსა და კრიალა თვალებს ერთს წამსაც არა ჰხუჭავდნენ, განიერს სასას მიუშვერდნენ ხოლმე ტალღებსა და გაუმაძღრივ სვამდნენ წმინდა წყალსა. პირიდგან წყალი, შიგნითის მილის საშუალებით, ჩადიოდა ლაყუჩებში, რომელიც თევზებს თავის აქეთ-იქით მხარეს ესხათ. ეს ლაყუჩები იმათ წმინდა სავარცხლის კბილებს მიუგავდათ და იმის შემწეობით სწუწნიდნენ წყალში ნარევს ჰაერსა.

## 2. ორაგული სამშობლოდგან ზღვისკენ მიდის.

შემოდგომა მოახლოვდა. მთები შავი ღრუბლით შემოგრაგნა, მიწაზე ასხამდა მსხვილს, კოკურს წვიმასა; ხის ფოთლებს წურწურით ჩამოსდიოდა წვიმის წყალი; აქეთ-იქით ღე-

ლეებიდგან წვიმის ნაკადულები მორბოდა, გზები გარდაიქცა მდინარეებად, დაბალი ღელეები—ტბად. ჩვენი პატარა მდინარე მრისხანედ აბურცდა და მღვრიე ტალღებს შეუწყვეტლივ სცემდა თავისს ვიწრო ნაპირებსა. ჩვენის ორაგულების წყნარს ყურეს ვეღარ იცნობდი. ისიც ისე შფოთავდა, როგორც მთელი მდინარე, და ორაგულებს ქვევით ერეკებოდა. თევზები ჯერ სცდილობდნენ თავიანთს სამშობლოს არ მოჰშორებოდნენ და როგორმე გამაგრებულიყვნენ ძველს საყვარელს ადგილზედ, მაგრამ ტყუილად. ქარიშხალი ტირიფებსა ჰგლეჯდა, მდინარეს საშინლად აღელვებდა და ტალღებს ჩვენის ორაგულების ყურეში მიჰქონდა: შლამი, ქვიშა, ხის ტოტები და ქვები. პატარა ორაგულებმა ახლა კი იკადრეს მოკურცხლვა ქვემოდ; სრიალით გაჰყვნენ აშფოთებულს პატარა მდინარეს და ჩქარა პატარა მდინარიდან დიდ-ლიახვში შეცურდნენ. ლიახვმა გამოაქანა ქვემოდ, გორის გვერდით გამოატარა და მისცა მტკვარსა. მტკვარი მდორედ მიდიოდა, პატარა ორაგულებს წინ არ ერეკებოდა, და ამიტომ ამათ კარგად დაისვენეს; მაგრამ სამშობლოში დაბრუნება კი აღარ უნდოდათ. ძლიერ მოეწონათ მოგზაურობა და სხვა-და-სხვა გვარი სანახავები; სამშობლო შორს დარჩათ, ქვეყანა დიდი იყო, მდინარის პირის ქუჩებიდგან განუწყვეტელი ჟრიამული ისმოდა; ქალაქები მოძრაობითა და სიცოცხლით სდუღდა, წყალი გაუჩერებლივ მიდიოდა სადღაცა უცნობს ადგილს. ჩვენს ორაგულებს ყველა ეს მოსწონდათ და სულ წინ მისრიალებდნენ. მეტადრე გააცვიფრა და ასიამოვნა თბილისის ჟრიამულმა. არა ერთხელ ამოჰყვეს თავები წყლიდგან, რომ დაენახათ დიდი ქალაქი. მართალია, განსაცდელიც არ აკლდათ, მაგრამ არ ეპუებოდნენ. აქ მარდად გაუსხლტებოდნენ ონავარს თევზსა, იქ თავს დააძვრენდნენ მეთევზის ბადესა. უცებ წააწყდნენ კლდეებს, რომლებიც გამწკრივებული იყო ერთი ნაპირიდგან მეორე ნაპირამდინ. ამ კლდეებზე აქაფებული წყალი ადიოდა და მერმე ძირს ჩაქუხდა, ჩახრიალებდა. ორაგულები აჰყვნენ წყალსა ზევით, გადისრიალეს კლდეებზე და მერმე ზვირთებ-

თან ერთად ჩაცვივდნენ ქვემოდ მორევში. ეს იყო სალიანთან.
ცოტა შეისვენეს და მერმე ისევ სწრაფად გასწიეს წინა. ბო-
ლოს გემები დაუხვდათ წინა. აქაც იხერხეს. ღრმად ჩაიყურ-
ყუმელავეს, ძირ-ძირ იარეს და მხოლოდ მაშინ მოექცნენ ზე-
ვით, როცა გემებს მოშორდნენ.

შცებ ორაგულები გაშტერებულნი გაჩერდნენ. რა მოხ-
და? წინ დაჰხვდათ მლაშე წყალი. მათ მიატანეს შესართავსა,
სადაც მდინარე ჩადიოდა მლაშე ზღვაში, რომელსაც ჰასპიის
ზღვა ჰქვიან. ორაგულებმა უკან დაიწიეს, რადგან მლაშე წყა-
ლი ეუცხოვათ და წინ წასვლისაც ეშინოდათ. როცა ტალღა
ზღვიდგან მოგორავდა, თევზები ზევით-ზევით იწევდნენ; რო-
ცა ტალღა უკან დაბრუნდებოდა, თევზებიც წინ წაიწევდნენ
ხოლმე. რამდენ ნაირი ზღვის ცხოველი სცურავდა აქა და
სულ იმისთანები, რომლებიც ორაგულებს თავისს დღეშიაც
არ ენახათ. სიმშილმა რო ძალა დაატანა, ორაგულებმა წინ
წასვლა გაბედეს და ზღვის პატარა ცხოველებზე ნადირობა
დაიწყეს; ცხოველები გაექცეოდნენ ხოლმე, ორაგულები გა-
მოუდგებოდნენ, უნებურად შედიოდნენ ზღვაში და ცოტ-ცო-
ტათი ეჩვეოდნენ მლაშე და მწვანე წყალსა; თანდათან უფრო
შორს შეჰბედეს ზღვაში და ისე გამამაცდნენ, რომ ძირშიაც
ჩაიყურყუმელავეს. საჭმელი აქაც ბევრი იპოვეს. ერთს ად-
გილას შესთქვლიფეს ზღვის ქორფა ზღარბი, მეორე ადგილას
—კიბო, მესამე ადგილას დაიჭირეს ზღვის ლამაზი ლოკოკი-
ნები, რომელნიც გაუფრთხილებლივ იცქირებოდნენ თავიანთი
ჰრელი ოთახებიდგან. შცებ ზღვის ძირზედ დაინახეს ვეებერ-
თელა თევზი და გულ-გახეთქილები ელვასავით გამოექანნენ
ზევით. მაგრამ პატარა ხანს უკან ისეთივე სისწრაფით ჩაი-
ყურქუმელავეს ძირს, რადგანაც თვალი მოჰკრეს, რომ იმათ
დასაჭერად ზევიდგან თევზი-ყლაპია წამოვიდა.

რადგანაც საჭმელი ზღვაში ბევრი ჰქონდათ, ამიტომ ჩვენი
ორაგულები მალე დაიზარდნენ. მაისში ხომ კვერცხებიდგან
გამოვიდნენ და თიბათვეში თითოეული მათგანი სამს გირვან-
ქას აიწონდა. ენკენისთვეში სიმძიმე ერთი-ორად მოემატათ.

ამის შემდეგ კი ნელ-ნელა იზრდებოდნენ და ნახევარს ფუთზე ზევით არც ერთი არ წასულა.

### 3. ორაგული ზღვიდგან სამშობლოში ბრუნდება.

ქეთილს ცხოვრებაში იყო ორაგული ზღვაში. გემრიელი საჭმელი ბევრი ჰქონდა, გარშემო უთვალავი ცხოველი ეხვია, ზღვის ზვირთებში ქანაობდა, როგორც აკვანში, გაუზომელს სიღრმეში ხალვათად ყურყუმელაობდა და სცურავდა. მაგრამ ყველა ამ სიკეთემ მაინც ვერ დაავიწყებინა სამშობლო. მალ-მალე იგონებდა ქვით მოფენილს პატარა მდინარეს მთებში, იდგენდა თვალ-წინ მყუდრო ყურეს წყლის ნაპირს, გაახსენდებოდა ხოლმე პატარა ჭიები ტირიფის ფესვების გარშემო და კოღოების გუნდი, რომლებიც საღამოობით წყალს დაჰბზუოდნენ. სამშობლოს ნატვრა ორაგულს ყოველ დღე უცხოველდებოდა და გული შინისკენ ეწეოდა. ბოლოს თევზი მიუახლოვდა მდინარის შესართავსა და აქ შეჰხვდა თავისს ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად შემოვიდა ზღვაში წინად. მაშინ ზღვაში აქეთ-იქით დაიქსაქსნენ, ახლა კი ისევ ერთად შეჰყარა საზოგადო სურვილმა; ყველას უნდოდა დაბრუნებულიყო იქ, სადაც დაიბადა.

მაგრამ ორაგულებისათვის სამშობლოსკენ მოგზაურობა ბევრად უფრო ძნელი იყო, მინამ აღიდებულის მდინარის ჩამოყოლა ზღვამდის. მივიდნენ თუ არა მდინარის შესართავთან, შეამჩნიეს ორაგულებმა, რომ გადაჩვეულიყვნენ მდინარის წყალსა მლაშე ზღვის წყალში ყოფნის დროს. მეტი ღონე არ იყო, რამდენისამე ხნით უნდა გადაედოთ თავისი მოგზაურობა, ვიდრე შეეჩვეოდნენ უბრალო წყალსა. ამის გულისათვის ორაგულები ზღვის ზვირთებს შეჰყვებოდნენ მდინარეში და მერმე ისევ უკან გაჰყვებოდნენ ხოლმე. მდინარისა და ზღვის მიჯნაზედ იმდენი ხანი იტრიალეს, ვიდრე კარგად არ შეეჩვივნენ მდინარის წყალსა. მერმე კი დამწკრივდნენ და გასწიეს წინ; ღონივრები წინ მიდიოდნენ, უღონონი კი უკან მისდევდნენ. ყველა ტალღა უძნელებდა მათ მდინარის პირ-

შელმა ცურვასა; სამშობლოში დაბრუნება ითხოვდა განუწყვეტელს ბრძოლასა, და ისინიც ღონივრად სცემდნენ წყალზე თავიანთს ბოლოსა, მდინარეს აპობდნენ და მისრიალებდნენ.

უცებ მიადგნენ ხალიანის ჩახრიალას, სადაც წყალი მაღლიდგან მეტად სწრაფად ჩარბოდა; მდინარე აქ კლდეებს შუა ძლივს იკვლევდა გზასა და შხუილი გაჰქონდა; ორაგულები ერთმანეთს ახლო მიეკედლნენ და შეერთებულის ძალით ჩანჩქარს ბრძოლა დაუწყეს. სწორედ იმ წამს, როცა მათი ყოველი ღონე და ძალა ბრძოლაში იყო გაბმული, სათევზაო ნავები მიუახლოვდა აქეთ-იქიდგან დაქანცულს ორაგულებსა. შეუბრალებელმა ადამიანებმა მოასწრეს თევზებს გაჭირვებულს დროს და ჩაჰყარეს მდინარეში წვეტიანი ჩანგლები, რომლებიც მოგროვილს ორაგულებს ზურგში ჩაერჭო და წყალი წითლად შეღება. შეიქმნა გულ-მოსაკლავი ფართხალი, მაგრამ დაჭრილმა თევზებმა თავს ველარ უშველეს და მეთევზეებმა აიტანეს ისინი მაღლა ნავებში; დაუჭრელს ორაგულებს კი ხიფათმა ღონე ერთი ორად გარდაუქცია, ისინი მომეტებული ძალით გაექანნენ წინ, სახიფათო ჩანჩქარი აირბინეს და ავიდნენ გაგანიერებულს მდინარეში, რომელმაც მფარველობა გაუწია.

მაგრამ მშვიდობიანმა მოგზაურობამ ბევრს ხანს არ გასტანა, ჩქარა ახალმა დაბრკოლებამ შეუკრა მათ გზა.. ისინი წააწყდნენ ქვის კონსა, რომელიც მდინარის ერთი ნაპირიდგან მეორემდინ იყო გაბმული. აქაფებული მდინარე გადადიოდა პირდაპირ აყვანილს კონზედ, საშინელი სახით ჩაჰქუხდა ქვემოდ და გაცოფებულივით ტრიალებდა. ორაგულები ხან აქ მოცურდნენ, ხან იქ, დიდი ყურადღებით სინჯეს კონი, მაგრამ ასავალი ვერსად იპოვეს. რა უნდა ექმნათ საწყლებსა? მაგრამ ტყუილად არ არის ქართული ანდაზა ნათქვამი: გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. ისინი დაემზადნენ მაღლა ღონივრად შეხტომისათვის. მოიკაკვეს თავიანთი ლაპლაპა ტანი, ბოლო პირში ჩაიდეს, მერე უცებ გაუშვეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ბოლო წყალს გაარტყეს და შეხტნენ. მაღლა, ძალიან მაღლა შეხტნენ, მაგრამ კონი უფრო მაღლა-

ლი გამოდგა, ორაგულები ძირს დაეცნენ და წყალმა უკან გააქანა. მალე ისევ დაბრუნდნენ და ხელ-მეორედ ისკუპეს და შეხტნენ. ბოლოს ისე მარჯვედ მოახერხეს შეხტომა, რომ კონზე გადაფრინდნენ და ზევით მდინარეში მოექცნენ. დიდი სიხარული შეუდგათ და უნდოდათ ცურვა გაეგრძელებინათ; მაგრამ უეცრად შენიშნეს, რომ დიდს ბადეში გაბმულიყვნენ. ამ ბადეზედ ება პატარა თოკი, რომელიც ზარზედ იყო მიბმული. ზაანძრიეს თუ არა ორაგულებმა ბადე, ზარმა რეკა დაიწყო და ნაპირზე მყოფ მეთევზეებს თევზების მახეში გაბმა შეატყობინა. მინამ მეთევზეები ნავებით მოცვივდებოდნენ, ზოგმა ორაგულმა თავს უშველა, ზოგნი კი მეთევზეების მსხვერპლნი შეიქმნენ. რამდენიც ზევით მიცურავდნენ გადარჩენილი ორაგულები, იმდენად მდინარე უფრო თხელდებოდა და პატარავდებოდა. ამდენმა ვაი-ვაგლახმა ორაგულები ძალიან დააშინა. შზრალო ჰიის შექმის დროსაც კი იმას ფიქრობდნენ, ჩანგალი ხომ არ არის შიგ დამალულიო.

ბოლოს, როგორც იყო, ძლიერ შეთხელებული ქარავანი ორაგულებისა მიუახლოვდა სანატრელს სამშობლოს. თევზები დიდს სიხარულს მიეცნენ, როცა მიადგნენ ნაცნობს ნაპირებსა, დაინახეს ტირიფები, თაგვის-ყურა ყვავილები და შენიშნეს მდინარის ძირზედ უწინდელი ლამაზი და სუფთა ქვები. ტყუილად არ არის ნათქვამი: ჩიტი სადაც გაიზრდება, იმისი ბაღდადი ის არისო. აქ დასვენებას მიეცნენ ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილი ორაგულები. დედალი ორაგულები აქამდინ ცეცხლის ფრად ბზინავდნენ, ეხლა მათ ოქროს ფერი მიეცათ, თითქოს სამშობლოში მოსვლას დღესასწაულობენ და იმიტომ მოირთვნენო. როცა დილისა და საღამოს ბინდი მოიცავდა ხოლმე მდინარეს და იმის მცხოვრებლებს, მაშინ დედალი ორაგულები სთხრიდნენ გრძელსა და ღრმა ორმოებს ქვიშიანს ძირში და შიგ ჰყრიდნენ კვერცხებსა ანუ ქვირითსა. ქვიშასა და წვრილს ქვას აკვნის მაგიერობა უნდა ექმნა ქვირითისათვის, მზეს უნდა ლიფსიტები გამოეჩეკა და წყალი ყო-

ფილიყო იმათი ძიძა. წყალი შეინახავდა იმათ, გაზრდიდა და შემდეგ ზღვისკენ წაასხამდა.

ორაგულებმა სიხარულის შემდეგ შენიშნეს, რომ სამშობლო მდინარე მათთვის პატარა იყო და ვერც საკმაო საჭმელს აძლევდა; ქიები და კოლოები, რითაც ისინი აქ პატარაობის დროს იზრდებოდნენ, კუჭს ვეღარ უძღობდნენ. ამიტომ, გაათავეს თუ არა ქვირითის დაყრა, დაჰყვნენ ისევ მდინარესა და ხელ-ახლავ გასწიეს გაუზომელის ზღვისაკენ მეორე გაზაფხულამდის.

### ორაგული.

ორაგულზე საჩივარი სამსაჯულოს მოახსენეს:
„თურმე წყლები აამტუტა და სხვა თევზებს არ ასვენებს:
ზოგს სდევნის დაუცხრომლად, ზოგს ჰკბენს და ზოგს ჰყლაპავს,
ამ თევზს ვერვინ გადაურჩა, ჯიშით მოუსვენარს და ავს.“
დაბეზღების საბუთებიც წარადგინეს დიდი ყოფით,
თვითონ თევზიც სამსჯავროში შეიტანეს დიდი გობით*).
შეკრბნენ ამის მსაჯულები,
მხეცნი სხვა-და-სხვა სჯულები:
ორი დავარდნილი ცხენი, ორი თხა და ორი ვირი
სამართლისა გასარჩენად... საქმე იყო გასაჭირი.
აქ მოვიდნენ მომჩივნებიც, მომზერალნიც, —შეკრბა ყველა;
მამტყუვნებლად წესისათვის და მდივნადაც დასვეს მელა...
თურმე ძველად ორაგული უგზავნიდა მელას თევზებს,
მაგრამ ახლა სამსჯავროში ვერა ჰნახავთ ქრთამის ამღებს...
ესეც არის აქ სათქმელი: დამნაშავის დანაშაულს
ველარავინ დაჰფარავდა, ცხადი იყო, ამღვრევდა გულს!..
აღარ იყო მეტი ღონე, შეაყენეს განჩინება,
რომ ორაგულს—დამნაშავეს მიაყენონ ასე ვნება:
ჩამოარჩონ მაღლა ხეზე!

---

*) იმერეთში რომ გობს უწოდებენ, ამას ქართლში და კახეთში გორდას ეძახიან.

მაშინ მელა ადგა ზეზე,
აღძრა თვისი ტკბილი ენა
და მსაჯულებს მოახსენა:
— ბატონებო, მომისმინეთ!..
დარჩობა რომ გააჩინეთ,
ეს სჯობია სულ ყველასა...
და თუ მომისმენთ მელასა,
გბედავ, რომ ვთქვა: დასასჯელად
და პლუტების საგრძნობელად
დავარჩოთ!.. მაგრამ რა გვარად?..
ისე, რომ დავცეთ თავს ზარად
ეს დასჯა ავაზაკებსა!..
მაშინ სულ ყველა გვაქებსა,
ხმაც გავარდება ხალხშია...
დავარჩოთ ჩვენ ორაგული, —
ხეზე რად გვსურს ჩამობმული? —
ჩავაგდოთ ღრმეს წყალშია!..
— ძალიან კარგი! შესძახეს მსაჯულთ:
კარგი აზრია, ჩვენც მოგვდის ჭკვაში...
და ორაგული, — რადგან ყოველთ სძულთ, —
გადაისროლეს შიგ შუა წყალში...

რ. ერისთავი.

## გ ვ ე ლ ი.

ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია. მისი შხამი ისეთი მომაკვდინებელი რამ არის, რომ რამდენსამე წამს სალს ადამიანს სიცოცხლეს გამოასალმებს. ამიტომაც გველი ყველას საზარელ ცხოველად მიაჩნია. უბედურება კიდევ ის არის, რომ გველი ძალიან ძნელად კვდება. ერთს გველს, შხამიანის ჯიშისას, თავი წააგდებინეს; ათის წუთის შემდეგ თავთან ძაღლი მივიდა, უსუნა და პირი მოჰკიდა. გველის თავმა ძაღლს უკბინა და დაკბენილი ორის საათის შემ-

დეგ მოკვდა. ჩქარა და ადვილად მხოლოდ მაშინ კვდება გველი, როცა თავს გაუჩეჩქვენ.

გველის შხამი მხოლოდ მაშინ არის საშიში, როცა პირდაპირ ძარღვებში ჩადის, სისხლში ერევა. ამის გამო, კაცმა რომ გველის შხამი დალიოს, სრულიად არა დაუშავდება რა. ერთმა მეცნიერმა ორის გველის შხამი დალია და სრულიად



არა ევნო რა. ერთმა ექიმმა რამდენისამე გველის შხამი ჩაყლაპა საცდელად და ავად სრულიადაც არ გამხდარა. თუ რომ კაცს უნდა შხამი ჩაყლაპოს, ან ამოწოვოს ახალი ნაკბენიდგან, დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რომ ენასა და ღრძილზედ, ან ხახაში გაფხაჭნილი ალაგი არა ჰქონდეს, თორემ შეიძლება

მოიშხამოს და სასიკვდილოდ ავად გახდეს, რადგანაც მოსალოდნელია, რომ გაფხაჭნილიდგან შხამი პირდაპირ სისხლში შეერიოს და მოშხამოს. გველის ნაკბენის მოსარჩენად ყველაზედ უკეთესი წამალი ის არის, რომ ნაკბენიდგან მაშინვე სისხლი ამოიწოვოს. გამომწოვს შხამი ვერას უზამს, თუ ტუჩები, ან პირი სრულიად საღი აქვს. მუცელს შხამი ვერას აკლებს, იმიტომ რომ კუჭი მას ჰშლის და ძალას სრულიად უკარგავს. ერთმა დედოფალმა შხამის გამოწუწვნით სიკვდილისაგან იხსნა თავისი ქმარი, რომელიც დაშხამული ისრით იყო დაჭრილი. გამოწუწვნითვე იხსნიდნენ ხოლმე გველის ნაკბენისაგან რომის ჯარის-კაცებს ცხელს აფრიკაში ლაშქრობის დროს. გველის შხამი მცენარესაც აზარალებს. ერთი მეცნიერი საცდელად დაასხამდა ხოლმე შხამს საღსა და მაგარს მცენარეებსა და მეორე დღეს ჰნახავდა ხოლმე დამჭკნარსა, თითქოს ცეცხლი მოჰხვედრია და გაუტრუსავსო.

შხამიანი გველი ბევრი იცის მხოლოდ ცხელს ქვეყნებში. ზოგის იქაური გველის შხამი ისეთი ძლიერია, რომ ყველა სულიერს რამდენსამე წამს სულსართმევს. ცივი ქვეყნები კი შხამიანს გველს სრულიად მოკლებულნი არიან. აქ მცურავი ან სულ არ იცის და ან თუ იცის, სრულიად უშხამო და უვნებელი. იმ ქვეყნებს კი სადაც ზომიერი ჰავაა, მაგალითად, ჩვენს საქართველოში, შუა ადგილი უჭირავთ; აქ შხამიანი გველი თუმცა იცის, მაგრამ ძალიან მცირედ და ისიც სუსტის შხამის პატრონი. ამისთანა ქვეყნებში გველისაგან დაშხამული კაცი იშვიათად კვდება. გველის შხამი ყმაწვილებს უფრო ძლიერ სწამლავს, ვიდრე დიდებსა. ერთს ყმაწვილს კაცს ერთი შხამიანი გველი თექვსმეტი წელიწადი ჰყავდა გაშინაურებული და ხელში აყვანას დაჩვია. ერთხელ თამაშობის დროს გველი მეტად გათამამდა და თავის პატრონს თითზედ უკბინა მაშინ, როცა გველის დამწყვდევა მოინდომა. ხელი დაუსივდა, თავი ასტკივდა და პირს საქმება დააწყებინა; საღამოზე სიცხე მისცა და მაჯამაც ნელა დაუწყო ცემა. წავიდა საავადმყოფოში და იქ ხუთს დღეში სრუ-

ლიად მორჩა. ასეთი სუსტი შხამი აქვთ გველებს ზომიერ ჰავიანს ქვეყნებში.

ერთხელ ერთმა მეცნიერმა მინდორში ნახა ერთი გველი, რომელსაც მუცელი ძლიერ გაბერილი ჰქონდა და მზეზე ზანტად იზლაზნებოდა; ახლოს რო გასინჯა, შეამჩნია, რომ იმას შუა წელზე თავისი თხუთმეტი წიწილი შემოჰხვევოდა. ყველაზე პატარები შვიდ-შვიდი გოჯი თუ იქნებოდნენ, თორემ მეტი არა და წვიმის ჭიაყელებსა ჰგავდნენ. ამ პატარა გველის წიწილებს სიფხიზლე და გამბედაობა მაშინვე ეტყობოდათ. ხან მოეხვევოდნენ ხოლმე, ხან გაიშლებოდნენ და, თუ ვინმე გააჯავრებდა, თავს აიღებდნენ და პირს დიდად გააღებდნენ საკბენად, თუმცა ჯერ შხამიანი კბილები არ ამოსვლოდათ. არ შეიძლება კაცი არ გაკვირდეს, როცა ჰხედავს ცხოველში ასე ადრე გაღვიძებულს ალღოს, რომელიც ასწავლის იმასა, თუ რა ღონისძიებით უნდა დაიცვას თავისი თავი და ან რა რიგად უნდა მოიხმაროს ბუნებისაგან მინიჭებული იარაღი. პატარა ყვინჩილა, მინამ ფეხებზე დეზები ამოუვიდოდეს, იმ ალაგითა სცემს ფეხს, სადაც დეზები ამოუვა. პატარა ხბო ირქინება იმ ალაგით, სადაც რქა უნდა გაეზარდოს. აგრეთვე პატარა გველის წიწილი იწევს საკბენად, თუმცა ჯერ კბილები არ ამოსვლია.

ყველა შხამიანს გველს პირი სხვა რიგად აქვს მოწყობილი: ზევით ყბაში მარტო ორი მოხრილი და მოძრავი კბილი აბია. კბილების ძირში პაწაწინა შხამით სავსე პარკები უწყვია; წვეტიანს კბილებში პატარა მილი გამოსდევს. როცა გველი პირს რასმე მოუჭერს, კბილები პარკებს დააწვება, იქიდგან შხამი გამოვა, კბილის მილში გაირბენს, ნაკბენში ჩავა და მოშხამავს.

გველები ფრინველებივით კვერცხებიდგან იბადებიან. გარედ გამოდიან პაწაწა წიწილებად, რომლებსაც გველაძუებს ეძახიან. გველები სჭამენ: ბაყაყებსა, ჯოჯოებსა, თაგვებსა, ხვლიკებსა და პატარა ჩიტებსა; მჯდომარე ჩიტს გველი ისეთი სისწრაფით მიჰვარდება ხოლმე, რომ აფრენას ვერ დაასწრობს.

ზველს შეუძლიან სიმშილი რამდესამე თვეს მოითმინოს. სამაგიეროდ, როცა ბევრს საჭმელს იშოვნის, ისე ხარბად მიაძღება ხოლმე, რომ ძლივს-ღა იძვრის. უწინ ამბობდნენ, ვითომც გველებს ჯიქნის გამოწოვა უყვარდეთ, მაგრამ ეს ჯერ დაბეჯითებით არავინ იცის, თუმცა შემჩნეულია, რომ გველს რძე გაგიჟებით უყვარს. ამ რძის სიყვარულმა ერთი გველების მონადირე სიკვდილს გადაარჩინა. ეს მონადირე მოვიდა შინა და დაჭერილი გველები ჩაყარა ვარცლში, რომელიც კარგად ვერ დახურა; მერმე დაწვა და დაიძინა. დილაზე რო გამოიღვიძა, იგრძნო, რომ იმის ტანზე რაღაებიც ცივად დასრიალებდნენ; თურმე გველები ვარცლიდგან ამოსულიყვნენ და იმას დაჰხვევოდნენ. კარგად იცოდა, რომ, თუ გაინძრეოდა, გველები მაშინვე კბენას დაუწყებდნენ და ერთს წამს გაჰგუდავდნენ. ამიტომ დაიცადა გაშეშებულმა, მინამ სახლში იმისი ძმა შევიდოდა. როცა ძმა დაინახა, უთხრა, რომ მის ახლო თაბხით რძე დაედგა. ზველებმა რა წამს თავისს ახლო რძე დაინახეს, მაშინვე მონადირის ტანიდგან ჩამოსრიალდნენ, რძესთან მისრიალდნენ, თაბახში ჩავიდნენ და რძეს ხარბად დაუწყეს სმა. მონადირე წამოდგა და თაბახს სახურავი დაახურა.

უველა გველები რაღაც ბრაზიანის სახისანი არიან; ამას გარდა, ზოგიერთებს მთელს ტანსა და კისერზე კაშკაშა ფოლაქები გასდევს. იმათ ნაკბენს კაცს ცხელს ქვეყნებში აუცილებელი სიკვდილი მოელის. ზველს უყვარს საცხოვრებლად იმისთანა ადგილი, სადაც მზე უფრო დიდ ხანსა სდგას და სადაც ბევრი ქვა ყრია. მზისგან გაცხელებულს ქვაზე მოხვევა და ნებივრობა გველს სრულ ნეტარებად მიაჩნია.

### გველი და გლეხი.

ზველი შეცოცდა გლეხთანა,
უთხრა: „ნუ მიცქერ მტრულადო,
აწ ჩემი შიში ნულარ გაქვს.
ვიცხოვროთ მეგობრულადო.
შენც თვითონ ჰხედავ, აღარ ვარ

იგი, რაც წინად ვიყავი,
ამ გაზაფხულზე მე ძველი
გამოვიცვალე მთლად ტყავი!“
გლეხმა მიუგო: „ვერ მაცდენ.
ზხედავ, ხარ იგივ გველიო,

ტყავი თუმც გამოგიცვლია,
გული გაქვს ისევ ძველიო!“
უთხრა და გამეტებულად
ყუით დაარტყა მას ცული
და მატყუარა ცბიერსა
დაალევინა წამს სული.

ცახელი.

## მ წ ე რ ე ბ ი.

### კ ა ლ ი ა.

თუ ზაფხულობით მინდორში გივლიათ, კალია უთუოდ ნანახი გეყოლებათ. პატარა ცხოველია, განა? მაგრამ ეს პატარა არსება დიდი და საშინელი მტერია მინდვრის ნათესისა. არა ცხოველს არ შეუძლიან იმდენი ზარალი მისცეს მხვნელ-მთესველსა და ისე აუოხროს ჭირნახული, როგორც კალიასა.

მკათათვე იყო. საქართველოში მშვენიერი ამინდი იდგა ნათესისათვის. ყველა მეტად მდიდარს მოსავალს მოელოდა. გაყვითლებულს პურს, მოღაღანე სიმინდსა და ფეტვს შე-



ჰხაროდნენ მხვნელ-მთესველნი და დოვლათის შემატებას მოელოდნენ. მკის დრო მოახლოვებული იყო. მაგრამ აი ერთს დილაზე შორს ცაში გამოჩნდა რაღაცა მოშავო გუნდი; ეს გუნდი თანდათან დიდდებოდა და ახლოვდებოდა. მცოვრებლებმა შეშფოთებით დაიწყეს მაღლა ცქერა და უცებ მოისმა ხმა: კალია, კალია! ყველას თავს ზარი დაეცა. კაცები, ქალები, ბავშვები გამოცვივდნენ გარედ, დაავლეს ხელი თაბხებსა, ტაფებსა, ტასტებსა, დაუწყეს რაკუნი ჯოხებით, მორთეს ერთად ხმა-მაღლა ყვირილი, კივილი, ასტეხეს ერთი სა-

შინელი რახა-რუხი, ხმაურობა და ღრიანცელი. უნდოდათ კალია დაეფრთხოთ, რომ არ დაშვებულიყო იმათს მინდვრებზედ, გადაეარნა და სხვაგან წასულიყო. თან საჩქაროდ გააკეთეს გროვები თივისა, წივისა, ვაზის წალმისა და მოუკიდეს ცეცხლი. კომლის სვეტები ზევით აეყუდა და ცა შავად მოჰფინა. მაგრამ კალიამ ყურიც არ გაიბერტყა. უთვალავი გუნდი სოფელს თანდათან მოუახლოვდა მოწმენდილს ცაზე და სწრაფად დაეშვა ძირს მინდორზედ. საშინელი წივილ-კივილი შეექნათ მცხოვრებლებს. იმათ კარგად იცოდნენ, რა ოხრებაც მოელოდათ. როცა რამდენისამე საათის შემდეგ კალია ისევ აიშალა სხვაგან წასასვლელად, მთელი ნათესი მოტვლეპილი იყო. მინდორშიაც ველარ ნახავდით გადარჩენილს ბალახსა და ჭაობებში ჩალისა და ლერწმის კვალსა. ადამიანს ეგონებოდა, საშინელს ცეცხლს გადაუწვავს მთელი არე-მარეო. რამდენისამე საათის განმავლობაში კალიამ გუშინდელი სიხარული მცხოვრებლებს საშინელ მწუხარებად გარდაუქცია.

ასეთსავე შავს დღეს დააყენებს ხოლმე კალია ბევრს სხვა ქვეყნებსაც. მხოლოდ ცივი ქვეყანაა მოშორებული იმისს თავ-დასხმასა. იქამდინ კალია ვერ უწევს ხოლმე. კალიამ რომ ამოირჩიოს ერთი და იგივე ქვეყანა, რამდენსამე წლის განმავლობაში ამ ქვეყანას მთლად აოხრებს, გაატიალებს და უდაბნოდ გადააქცევს: იქ ერთი მცხოვრებიც ველარ დარჩება. მაგრამ კალია სხვა-და-სხვა გზას ირჩევს ფრინვის დროს, — წლეულს რომ ერთს ქვეყანას ეწვევა, მერმის მეორეს დაესხმის თავსა, იქითა მერმის მესამეს დაეცემა და სხვა.

დიდ ხანს ზედმიწევნით არ იცოდნენ, საიდგანა ჩნდება და როგორ იზრდება კალია, მაგრამ ეხლა კი სწავლულის კაცების მეცადინეობით კალიისა ყველაფერია შეტყობილი. საქართველოდგან რომ სამხრეთისაკენ გამგზავრდეთ, ჯერ სომხეთში ჩახვალთ, მერმე რამდენისამე კვირის შემდეგ მიადგებით ერთს დიდსა და უდაბურს ადგილსა, რომელიც სძევს ორ დიდს მდინარეს შუა: ერთს მდინარეს ტიგრი ჰქვიან, მეორეს ეფრატი. ამ უდაბურს ადგილს წვიმა ძალიან იშვიათად ეღირსება ხოლ-

მე და ამიტომ მზისგან სრულიად გადამხმარია. ეს ხმელი და მხურვალე ადგილი კალიის სამშობლოდ ითვლება. აქედგან ხშირად გაუტევს ხოლმე ეს მწერი ხან აღმოსავლეთისკენ, ხან სამხრეთისკენ და ხან ჩრდილოეთისკენ.

მარიამობისთვის გასულს დედალი კალია თავისი კურტუმით, რომელზედაც ნემსივით ოთხი წვეტი აბია, პატარა ორმოსა სთხრის და, როცა კარგა ღრმად ჩავა მიწაში, მაშინ ყვითელს კვერცხებს სდებს, რიცხვით სამოცამდინ. ეს კვერცხები პურის მარცვლების ოდენა ძლივს არის. ამის შემდეგ ორმოს მიწას აყრის და თვითონ იქვე კვდება. კვერცხები მთელს ზამთარს მიწაში აწყვია. თუ შემდეგი გაზაფხული წვიმიანი არ დაუდგა და წყალმა კალიის კვერცხები არ წალეკა, მაისში გამოიჩეკებიან ჭიანჭველების ოდენა პატარა კუტი-კალიები. პირველ ორის კვირის განმავლობაში კუტი-კალია ისეთი სუსტია, რომ ერთს ადგილას არის გაჩერებული, რადგანაც მოძრაობა ძალიან უძნელდება. ამ დროს ის მხოლოდ ნორჩი და ნაზი მცენარეებით იკვებება. მაგრამ აი კალია მოიზარდა და მოღონიერდა, მთლად მოტვლიპა ის ადგილი, სადაც დაიბადა, და საჭმლის საშოვრად სხვაგან დააპირა წასვლა. უთვალავმა კალიამ თავი ერთად მოიყარა სამგზავროდ. უშველებელს ხროვას სიგანით უჭირავს ერთი ვერსი და სიგრძით ორი. აი, დაიძრა კუტი-კალია და გასწია წინ პირდაპირ, თითქო გაბმულს ლარს მისდევსო. დღეში ხუთ ვერსამდის მიდის და ამ დროს ვერა დაბრკოლება ვერ შეაფერხებს. სოფელი დაუხვდებათ, გზას არ აუქცევენ, ზედ გადაივლიან; მდინარეს მიადგებიან, შიგ გაცურდებიან. გზაზე ბევრი შინაური საქონლისაგან იჭყლიტება, უთვალავი რიცხვი ფრინველისგან იყლაპება, მილიონობით წყალში ირჩობა, მაგრამ კალიის ურიცხვს ქარავანს შემცირება სრულიად არ ეტყობა. კუტი-კალიის შეშინება ან გზის შეკვრა სრულიად შეუძლებელია. თუ წინ ამ კალიას ახალი მწვანე ჭინახული დაუხვდა, ისე მოსტვლეპს, რომ ადამიანის მოპარსულს თავს დაამ-

ზვავსებს. მარტო ცეცხლს შეუძლიან გადაარჩინოს მინდვრები ამ საშინელ მწერსა; მაგრამ ცეცხლის მოკიდება შეიძლება მხოლოდ იმისთანა უდაბურსა და განმარტოებულს ადგილში, რომელიც სოფლებსა და სახნავ-სათესს მოშორებულია.

ძუტი-კალია ოთხჯერ გაიძრობს ხოლმე ქერქსა. როცა მეოთხედ გამოიცვლის, ქერქიდგან დაფრთიანებული გამოდის. ამის შემდეგ კალია სტოვებს დედამიწას, ჰაერში ადის და მიფრინავს; დღეში ორმოც ვერსამდინ მიდის და ეძებს ნაყოფიერს ადგილებს, სადაც ნოყიერი საჭმელი უხვად არის. ფრთიანის კალიის გზა ქარზედ არის დამოკიდებული. საითკენაც ქარი ჰქრის, კალიაც იქით მიფრინავს. როცა მოღრუბლული დღეა, მაშინ ფრენა მიწის პირად იცის. თუ გზაზე წვიმამ მოასწრო, კალია მაშინვე ძირს დაეშვება. კალია მარტო დღისით არ მიფრინავს; თუ მოწმენდილი თბილი ღამეა, მოგზაურობას არ სწყვეტავს. მხოლოდ შუა-ღამის უკან სხდება მიწაზე დასასვენებლად. დილით, აილებს თუ არა ნამსა, კალია ისევ აიშლება ხოლმე. დასასხდომად კალია ირჩევს მყუდრო ადგილს, სადაც ქარი არა ჰხვდება. დასხდომის დროს საშინელს ალიაქოთში არის. მწერები ერთმანეთს ეჯახებიან, ჰკბენენ, ზედი-ზედ ასხდებიან და უნდათ, რომ ჩქარა სხვაზედ უფრო კარგი ადგილი დაიჭირონ. გახარებული ფრინველები გამოეშურებიან გუნდ-გუნდად და დაერევიან ხოლმე კალიასა; მათთვის ახლა სწორედ ლხინი ღმერთმა, მაგრამ მხვნელ-მთესველისათვის კი შავი დღეა. იმისი ჭინახული რამდენსამე დღეს უკან ისე ჰქრება, ვითომც დათესილი არც კი ჰქონდეს.

დიდ ხანს არა სცოცხლობს ეს ადამიანის ამაოხრებელი მწერი. ოთხის კვირის შემდეგ კალია პოულობს უდაბურს ადგილსა, მიწაში კვერცხებს სდებს და იხოცება. დახოცილი კალია ჩინებული სასუქია მიწისათვის. ამას გარდა, ბევრს ქვეყნებში მოხრაკული კალია შეადგენს საყვარელს საჭმელს მცხოვრებლისას. ეგვიპეტში ისე მოსწონთ ეს საჭმელი, რომ კალიობას ყველაფერი ხორაგეულობა მეტად იაფდება.

## ფუტკარი.

ფუტკრები ათასობითა და ათი-ათასობით სცხოვრობენ პატარა და ვიწრო სკაში. ამის გამო თვითეული სკა ფუტკრებისა ცალკე ქალაქს შეადგენს. ფუტკრების მმართველი არის დედა-ფუტკარი, რომელიც სხვა ფუტკრებზე ბევრად დიდია. დედა ფუტკარი არა საქმეს არ აკეთებს; თუ ხანდახან სკიდგან გამოფრინდება, ისიც სასეირნოდ, ამ დროს უთუოდ თან ახლავს რამდენიმე ასი მამალი ფუტკარი. როგორც დედა-ფუტკარი, ისე მამალი ფუტკრები არა შრომობენ და თავიანთ სიცოცხლეს ცუდაობაში ატარებენ. მამალს ფუტკრებზედ უფრო მომცრო ტანი აქვთ მუშა უსქესო ფუტკრებსა, რომლებიც დედლობასაც მოკლებულნი არიან და მამლობასაც. მთელი ჯაფა ამ უსქესო ფუტკრებს აწევთ კისერზედ. მუშა ფუტკრები დედა-ფუტკარს უკან არ დასდევენ მამალი ფუტკრებსავით, მაგრამ ძალიან კი უყვართ. საშინელი ალიაქოთი შეუდგებათ ხოლმე, როდესაც დედა-ფუტკარი უკვდებათ. ვინც პირველად ტყობულობს ამ უბედურებას, ნაღვლიანი ბზუილით აქეთ-იქით მიეშურება და სკის ყველა კუთხეში მიაქვს ეს სამწუხარო ამბავი. ფუტკრები მაშინვე თავს ანებებენ მუშაობასა, მორბიან მომაკვდავ დედა-ფუტკართან და დიდს მწუხარებას გრძნობენ. თუ იმის სიკვდილის შემდეგ ახალი დედა არ აღმოუჩნდათ, დაღონებული ფუტკრები სკიდგან გამოდიან, აქეთ-იქით იქსაქსებიან უმწყემსო ცხვრებივითა და იხოცებიან. სამაგიეროდ, თუ ახალმა დედა-ფუტკარმა იჩინა თავი, მწუხარება სიმხიარულედ გარდაექცევათ, ყველანი გარს ეხვევიან თავისს ახალს მბრძანებელსა, ულერსებენ, თავისს ულვაშებს ტანზედ უცაცუნებენ, თითქო ჰკოცნიანო, და თაფლსა სთავაზობენ.

ყველა სკაში მუშა ფუტკრები უფრო ბევრნი არიან სხვა ფუტკრებზედ; იმათი რიცხვი უწევს თხუთმეტი ათასიდგან ოცდა-ხუთ ათასამდე; ტანით არიან პატარანი, მსუბუქნი, მეტად მხნენი და გამრჯელნი. მთელი დღე მხიარულად დაბზუიან,

ერთი ყვავილიდგან მეორეზე ფრინავენ და თაფლის ზოდების გასაკეთებლად მასალას აგროვებენ.

აი, მუშა ფუტკრები გამოფრინდნენ სკიდგანა და ბზუილით გასწიეს მინდორში. გავყვეთ უკან ერთს მათგანს და თვალი ვადევნოთ იმისს გამრჯელობასა. აგერ ყვავილზე დაჯდა, შიგ ღრმად ჩაყო პაწია დინგი და სწუწნის ტკბილს წვენსა. თან დაუყენებლივ ანძრევს თავისს ბანჯღვლიან ფეხებსა. რადა? მისი ბუსუსიანი ტანი ყვავილის მტვრით სულ გაიგინგლა; ამ გინგლს წინა ფეხებით ჰხვეტავს მთელი ტანიდგან, მიაქვს უკანა ფეხებთან და აქ აგროვებს ორს პაწაწინა ფოსოში, რომელიც უკანა მუხლებს ქვემოდ აქვს. მალე ერთი ყვავილიდგან მეორეზე გადაფრინდა, მეორიდგან მესამეზედ, მესამიდგან მეოთხეზე და ბოლოს გასწია ისევ სკისაკენ. ამ დროს იმის მუცლის წინა ნაწილში შეწუწვნილი წვენი თაფლად იქცა.




სკაში რო შეფრინდა, ფუტკარმა იპოვა ცალიერი ფიჩის ექვს-კუთხიანი უჯრა და თაფლი მუცლიდგან და პირიდგან შიგ ჩაარწყია. მინამ ეს ამ საქმეში იყო, მეორე ფუტკარი მოფრინდა, უკანა ფეხებზე ყვავილის მტვერი აულოკა და ჩაყლაპა. ეს მტვერი იმის მუცელში ფიჩად გადაიქცა და ეს ფიჩა მუცლიდგან ჰენჰად გამოვიდა პატარა ნემსებივით. ფუტკარმა თავისი ფეხებით ეს ფიჩა ერთად მოაგროვა, პირში დაღეჩა და გააკეთა ახალი ექვს-კუთხიანი უჯრა წინად აყვანილს უჯრებზედ. ჩქარა ეს ახალი ფიჩის უჯრა მესამე ფუტკარმა პირიდგან ჩაშვებული თაფლით აავსო. ასე მუშაობენ ყველა ფუტკრები და ამ გვარად აკეთებენ თაფლის ზოდებსა. უჯრებს, სადაც თაფლს აგროვებენ, უკეთებენ ფიჩის სახურავსა, რომ თაფლი უფრო სუფთად შეინახონ. მთელი დღე გაფაციცებულს მუშაობაში არიან და უჯრებს ას-ასობით აკეთებენ მცირეს ხანსა. ერთი შეხედვით ფუტკრების მუშაობა უაზრო ფაცი-ფუცად გეჩვენებათ, მაგ-

რამ როცა დააკვირდებით, შენიშნავთ საკვირველს რიგსა და წესიერებას. ყველა თავისს საქმეს ისე აკეთებს, რომ სხვას სრულიად არ უშლის; ყველა მზად არის თავისს მოძმეს საქმეში უშველოს, თუ იმას სჭირდება ეს შველა. ზოგნი გამოდიან სკიდან და მინდორში მიდიან; ზოგნი, მასალით დატვირთულნი, მინდვრიდგან მოდიან; ზოგნი ამათ უცდიან, რომ ტვირთი ჩამოართვან; ზოგნი ზოდების კეთებას ადგანან. ფუტკრები იმდენს თაფლს აკეთებენ, რომ მცირე ნაწილიც საკმარისია იმათის გამოკვებისათვის მთელს ზამთარში.

## II

ფუტკრები მარტო საკუჭნაო უჯრებს როდი აშენებენ. იმათ გაკეთებული აქვთ იმისთანა უჯრებიცა, სადაც იბადება და იზრდება მათი ახალი თაობა. მუშა ფუტკრების გასაზრდელად ბევრი მოჰცრო უჯრები არის დანიშნული, მამალი ფუტკრებისთვის კი დამზადებულია ნაკლები რიცხვი უფრო მოზრდილის უჯრებისა. ახალგაზრდა დედა-ფუტკრებისათვის დანიშნულია მხოლოდ რამდენიმე უჯრა. ეს უკანასკნელი უჯრები სხვა უჯრებსავით ექვს-კუთხიანი კი არ არის, რგვალი მოყვანილობა აქვს და სხვებზედ ბევრად მოზრდილია. დედა-ფუტკარი თავისი მგალობლებით ხშირად იქა ტრიალებს, სადაც ახალ ნაშობის ფუტკრების უჯრებია. დიდ-კაცურად სეირნობს ერთი უჯრიდგან მეორე უჯრამდინ, იხედება ყველა უჯრაში და რა წამს ცალიერს უჯრას ნახავს, მაშინვე შიგ თეთრს პატარა კვერცხს ჰსდებს.

რამდენისამე თვის განმავლობაში დედა-ფუტკარი სდებს თორმეტ ათასამდე კვერცხსა, საიდგანაც რამდენსამე დღეს უკან იჩეკებიან მატლები. ამ მატლებს სრულიად არ შეუძლიანთ ცოცვა და საჭმლის ძებნა; ამიტომ უჯრებში წვანან და სხვისა მოვლა უჭირთ. დედა-ფუტკარი თავისს შვილებს არცა ზრდის და არც ჰკვებავს; ეს შრომა აწევთ მუშა ფუტკრებს და ისინი ერთგულად უვლიან ნორჩს ფუტკრებსა და საჭმელს უზიდავენ. რვა დღის განმავლობაში მატლები სი-

სრულეში შედიან და საჭმელი აღარ უნდათ; მეცხრე დღეს მუშა ფუტკრები გადააგლესენ ხოლმე მათ ზემოდგან ფიჭასა და სტოვებენ უჯრაში. მაშინ მატლი თავისს ბინაში შეუდგება პირველს თავისს შრომასა: მთელს ტანზედ იხვევს წმინდა აბრეშუმივით ძაფსა, აკეთებს პარკსა და ბოლოს შიგ მკვდარივით უძრავი წვება. მაგრამ ცამეტის დღის შემდეგ მატლი თავისს კანს არღვევს, პარკსა ჰხევს, ფიჭის სახურავსა ღრღნის, ჰყოფს გარედ ჯერ თავსა, მერმე წინა ფეხებსა და ბოლოს ძვრება უჯრიდგან ახალგაზრდა ფუტკარი, რომელსაც ორი დიდი და ორი პატარა თვალი აბია. ხნიანი ფუტკრები მაშინვე გარს ეხვევიან ახალს შობილსა, ეფერებიან და მთელს ტანს ულოკავენ. ახლად შობილი ისე მალე შეეჩვევა ხოლმე ხნიანს ფუტკრებსა და ახალს ცხოვრებასა, რომ იმათთან პატარა ხანს უკან მინდორში მიდის. დაცარიელებულს უჯრას მუშა ფუტკრები სწმენდენ და იქ დედა-ფუტკარი ახალს კვერცხსა სდებს. ხანდახან სკას ეწვევიან ხოლმე დაუპატიჟებელი სტუმრები, მაგალითად, თაგვი, ჩრჩილი და უცხო ფუტკრები. თაგვები და უცხო ფუტკრები მიესევიან ხოლმე თაფლის გულისათვის, ჩრჩილი კი იმიტომ ეტანება სკასა, რომ ძალიან უყვარს სკაში კვერცხების დება. ჩრჩილის შეპარვა სკაში დიდს უბედურებას შეადგენს ფუტკრებისთვის: ჩრჩილის უთვალავი კვერცხებისგან იჩეკებიან მრავლისაგან უმრავლესი გაუმაძღარი მატლები. ეს მატლები გრძლად ღრღნიან ზოდებსა, სჭამენ ფიჭასა და აბმენ თავისს გარშემო ისეთს მაგარს ქსელსა, რომ ფიქრიც აღარა აქვთ ფუტკრების თავ-დასხმისა. თუ ჩრჩილი სკაში დაბინავდა და გამრავლდა, ფუტკრებმა თავი უნდა დაანებონ სკასა და ახალი ბინა მოსძებნონ. ამიტომ ფუტკრები დასაძრახისნი არ არიან, როცა მიუწვევარს სტუმრებს წინ უხვდებიან, ალერსით კი არა, თავისი შხამიანი იარაღით.

## III

ფუტკრის იარაღი შესდგება მილიანის ისრისაგან, რომლის ბოლო სძევს პატარა შხამით სავსე ბუშტთან. როცა ფუტკარი

მტერს ისარს ტანში ურჭობს, ისრის ბოლო ბუშტს აწვება, ბუშტიდგან შხამი გამოდის, ისარს შუა მილში გარბის, ნაკბენში ჩადის და შხამავს. სკის შესავალთან მუდამ დღე და ღამე მცველად სდგას რამდენიმე ფუტკარი. ამიტომ დღისით ჩრჩილი ძნელად შეეპარებათ სკაში. მაგრამ ბნელს ღამეში კი შეიძლება მცველებმა ვერ მოჰკრან თვალი წყეულს ჩრჩილსა და შეუმჩნევლად შეძვრეს სკაში. რაკი შიგნით მოექცევა ჩრჩილი, თუნდა მალეც შეუტყონ ფუტკრებმა, ბევრს არას ინაღვლის, რადგანაც ფუტკრებზე მარდი სირბილი იცის და ადვილად ემალება ვიწრო მიხვეულ-მოხვეულებში. მაგრამ თუ ფუტკრებმა დაიჭირეს ჩრჩილი, შენი მტერი, იმას დღეს დააყენებენ: ასობით მიეხვევიან, ჩაურჭობენ თავიანთს ისრებსა, ბევრს გასტანჯავენ და ისე მოჰკლავენ. მომკვდარსა და დასივებულს ჩრჩილს სიხარულით მოათრევენ ფუტკრები სკიდგან და ბოლოს გარედ აგდებენ ფრინველების საჭმელად. ასევე ჰკლავენ პატარა თაგვებსაც. მხოლოდ, თავისს სამწუხაროდ, თაგვის სკიდგან გამოტანა და გადმოგდება კი არ შეუძლიანთ. ამ შემთხვევაში სხვა ხერხსა ხმარობენ: რომ თაგვი არ დალპეს სკაში, არ აყროლდეს და არ წაუხდინოს იმათ სადგომი, ფუტკრები მკვდარს თაგვს გარშემო აგლესენ ფიჭასა და შიგ ახვევენ; ფიჭაში გახვეულს თაგვს სუნი სრულიადაც არ ასდის, არ იშლება და ისე წევს, თითქო ფიჭის კუბოში იყოსო. ამ მტრებზედ უფრო ხშირად უცხო ფუტკრები მიუხტებიან ხოლმე დასარბევად. ესენი სცდილობენ როგორმე შეუმჩნევლად შეიპარნენ სკაში, ბევრი თაფლი მოიტაცონ და მდიდარი დავლით დაბრუნდნენ შინა. მაგრამ, აი მცველებმა შეიტყეს მტაცებლების მიახლოვება და დაუძახეს თავიანთს ამხანაგებსა. ამხანაგები მაშინვე სკის შესავალთან დაიბადნენ და დაეტაკნენ მტაცებლებსა. გაჩნდა საშინელი ბრძოლა, ორივე მხარე თავგანწირულებით იბრძვის. თუ მოსულებმა დასძლიეს, მაშინ სკას სულ დაარბევენ და თაფლს წაიღებენ, თუ არა-და, დაზარალებულები და შერცხვენილები უნდა ისევ უკან დაბრუნდნენ. ყოველს ფუტკრების ქალაქს მტრული დამოკიდებულება აქვს სხვა ქალაქებთან და ხშირად მათთან ომსა ჰმართავს.

ფუტკრები თავიანთ იარაღს ხმარობენ არა მარტო მტრებზედ, არამედ შინაურებზედაც. ყოველს წელიწადს, ზაფხულის გასულს, როცა ყვავილები მინდორში აღარ იპოვება და საზრდო აკლდებათ, ფუტკრები ჰხოცვენ მამალს ფუტკრებსა. მთელს ზაფხულს მამლები არას აკეთებენ; თუმცა ხანდახან გამოფრინდებოდნენ სკიდგან, მაგრამ თაფლი და ყვავილის მტვერი კი არას დროს არ მოჰქონდათ. ამისი მიზეზი ზარმაცობა არ იყო. ამ მამლებს, საომარის იარაღის გარდა, სამუშაო იარაღიც აკლიათ. იმათი ტანი შემოსილი არ არის ბანჯგვლითა, რომ ყვავილების მტვერი მიიკრან ზედა, უკანა ფეხებზე ფოსოები აკლიათ და ენა ისეთი მოკლე აქვთ, რომ წვენის ამოწუწვნა ყვავილებიდგან თითქმის არ შეუძლიათ. მინამ მუშა ფუტკრები ზაფხულში უხვად შოულობდნენ საზრდოსა, მამლებს ცუდაობას უთმენდნენ და წილად აძლევდნენ რამდენსამე თაფლით სავსე უჯრასა, მაგრამ ახლა, რაკი საჭმელი შემოაკლდათ და ზამთარი მოახლოვდა, ჯავრი მოუვიდათ მუქთა მჭამლებზე და მისცვივდნენ. რადგანაც მუშა ფუტკარი უფრო ბევრია მამლებზედ, ამიტომ ერთს ორნი-სამნი ეხვევიან და ისრებით ჰხოცავენ. როცა სულ გაჟლეტენ, შეერთებული შრომით მკვდრებს გარეთ ჰყრიან. ამ დროს რომ სკასთან მიხვიდეთ, იმის წინ ასობით დასთვლით მკვდარს ფუტკრებსა. ესენი არიან დახოცილი მამლები. ხიკაპასე მუშა ფუტკრებისა ამ დროს იქამდინ მიდის, რომ სამამლე მატლებსაც აღარა ზოგავენ, უჯრებიდგან ამოჰყავთ და ჰხოცავენ. ამას გარდა, იმ ახალს ნაშობს დედა-ფუტკრებსაც ჟლეტენ, რომელთაც რასმე სიმახინჯეს შეატყობენ. ასე, საგარეო ომს გარდა, ფუტკრებში შინაური ომიცა ხდება ყოველს წელიწადსა.

ხანდახან ფუტკრის გუნდი სკიდგან გამოვა და გადასახლდება ხოლმე. ეს ხდება ფუტკრის სიმრავლის გამო. სკაში ვეღარ ეტევიან და იმასაც კარგად გრძნობენ, რომ ერთი სკა თაფლით ყველას ვერ გამოჰკვებავს ზამთარში. ამიტომ ფუტკრები ემზადებიან გადასახლებისათვის. ამ დროს სკიდგან გამოდის გაბმული ერთ-გვარი გუგუნი. საქმეს ყველა ფუტკრები

თავს ანებებენ, ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან და ღამეს უძილოდ ატარებენ. მეორე დილას არც ერთი ფუტკარი არ გამოდის სკიდგან, ჰაერი სკაში თანდათან გუბდება და, თუ ცა მოწმენდილია, წვიმა არ მოდის და ქარიც არა ჰქრის, შუადღის წინად ფუტკრები სტოვებენ ძველს ბინას და მიდიან ახალისა და ფართო ბინის საძებნელად. მაშინ იტყვიან ხოლმე: „ფუტკარმა იყარაო“. სკაში რჩება მხოლოდ იმდენი ფუტკარი, რამდენიც მოთავსდება.

როცა ზამთარი მოახლოვდება, მუშა ფუტკრებისათვის დასვენების დრო დგება. თუ ზამთარი ძალიან ცივი არ არის, სკაში თბილი ჰაერი ტრიალებს და ფუტკრები იკვებებიან ზაფხულში შენახული თაფლითა. ამ დროს რომ დაუკაკუნოთ, შიგნიდგან მაშინვე გუგუნს გაიგონებთ. მაგრამ თუ ზამთარი ძალიან ცივია, ფუტკრები გაფიჩხებულნი, ერთმანეთზედ შეკუნწლულნი და ფეხებ-გადახლართულნი არიან, თითქო სიკვდილის შემდეგაც არ უნდათ ერთმანეთის გაშორებაო. მარტის დამდეგისათვის ფუტკრები იღვიძებენ და იკვებებიან საზამთრო თაფლით, ვიდრე გაზაფხული დადგებოდეს. რაკი გაზაფხული დადგება, თუნდა რომ თაფლი ჯერ კიდევ ბევრიცა ჰქონდეთ, სკას თავს ანებებენ და მინდორში გადიან სამუშაოდ. შეუჭმელს თაფლს დიდი სიხარულით უთმობენ ადამიანსა და ძალიან უხარიანთ, რომ მუშაობას ხელ-ახლად იწყებენ. ბევრი, ძალიან ბევრი ჯაფა მოელით ზაფხულში, მაგრამ ეს ფუტკრებს არ აღონებთ, იმიტომ რომ იმათთვის შრომა სასიამოვნო და სანატრელი რამეა.

### ხარაბუზა და ფუტკარი.

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა, მიაძახა: „გზა მომეც!
ვერ მიცანი, განა ვინც ვარ? როგორ გამეთამამე?!“
— თუ ვერ ატყობ თავს, ვინცა ხარ, გამიგონე, რომ გითხრა:
შენ რომ ფრთები გამოგბმია, ღმერთიც მაშინ გაგიწყრა!
ბზუილასა, ტყუილასა, მხამიანსა, მკბენარსა,
ვინ არ გიცნობს უსაქმურსა, მფრინავს — მოუსვენარსა!?

მე კი დარბაისლად მცნობენ, შრომისა ვარ მოყვარეო..
ჩემთვისა ვარ — არავის ვკბენ, არ ვარ შენი მოკვარეო!
ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ, შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?
ჩამოდექი, გზა მომეცი... ურჩობას ნუ მიბედავო!"
ფუტკარმა ეს უპასუხა: „ნუ მაცინებ!.. ხა-ხა-ხაო!
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა, ნეხვის ჭიად დაგსახაო!
ბევრს რომ შრომობ, ნუ თუ ფიქრობ, რომ მთა და ბარს ასწორებო?..
მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ, იქვე ახლო აგორებო.
ის ხომ შენი საზრდო არის? შენს მეტს არვის არგიაო!
შენ აკეთებ... შენვე ზიდავ... საკუთარი ბარგიაო!
დარბაისლად იმუშავებ, რაღად ირბენ აბა მორსო?
ყოველ ფეხის გადადგმაზე ნახავ, გინდა, მთელს გოდორსო!
მე კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა და სხვა გვარად მოღვაწეო:
„ზეცის მუშას" მეძახიან, არ ვარ მარტო სამიწეო!
მისთვის დავფრენ მოუსვენრად, რომ მოვძებნო ყვავილიო!
გულის წვენი ამოვწუწნო, სამკურნალო რამ ტკბილიო,
შევუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას — სანთელიო,
რომ იქ წმინდად შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო.
ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის, ქვეყნის მტერიც ის არიო,
და მისთვის მაქვს მომართული გესლიანი ისარიო!"
ეს უთხრა და ფრთა გაშალა, მიაშურა ყვავილებსა!
და ჩვენც ამ გვარს პასუხს ვკადრებთ ზოგიერთს ჩვენს ყმაწვილებსა.

აკაკი წერეთელი

---

## აბრეშუმის ჭია.

საქართველოდგან რომ აღმოსავლეთისაკენ წახვიდეთ და სულ პირდაპირ იაროთ ფეხით, ექვსი-შვიდის თვის შემდეგ მიხვალთ ერთს დიდს სახელმწიფოში, რომელსაც ჰქვიან ჩინეთი. არა ქვეყანა არ შეედრება ჩინეთს მცხოვრებლების რიცხვით მთელს დედამიწის ზურგზედ. აქ არის განთქმული აბრეშუმის ჭიის სამშობლო და ამისის საჭმლისა — თუთის ხისა. ამ ჭიას ჩინეთში ცალკე ოთახებს არ უშენებენ, როგორც ჩვენში, იმი-

ტომ რომ ზამთარი ამ ქვეყანაში სრულიად არ იცის. თუთის ხეები მთელი წელიწადი ჰყვავის და მათზე სცხოვრობს აბრეშუმის ჰია. ზამთარ-ზაფხულ ამ ხეებიდგან აქაური მცოვრებლები ჰკრეფენ აბრეშუმის პარკებსა და აკეთებენ აბრეშუმსა. უწინდელ დროში ამ ქვეყნის გარედ არსად იპოვებოდა აბრეშუმის ჰია და არც თუთის ხე იზრდებოდა სადმე. ამიტომ ჩინელები აბრეშუმს მამასისხლად ჰყიდდნენ. მაშინ აბრეშუმეული ისე ძვირი იყო ჩვენს ქვეყნებში, რომ ძალიან მდიდარს ხელმწიფის ცოლებსაც კი უჭირდებოდათ ფარჩის ტანისამოსის ყიდვა. ჩინელებს უნდოდათ, რომ მათგან აბრეშუმის კეთება არავის ესწავლა და მათი მოგება არ შემცირებულიყო; ამიტომ მართებლობამ გასცა სასტიკი ბრძანება, ყველა ჩვენი ქვეყნიდგან სხვაგან წამსვლელი კარგად გასჩხრიკეთ ხოლმე, რომ არავინ გააპაროს აბრეშუმის პეპელა, ან ჰია და ან თესლით.

დიდ ხანს ვერავინ მოახერხა ჩინეთიდგან აბრეშუმის ჰიის გამოპარება. ბოლოს ეს გაბედა ორმა ფრანგის მღვდელმა, ჩინეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად მისულმა. ეს მოხდა სამასის წლის წინად. მოგზაურობის დროს ამ მღვდლებმა თვალი ადევნეს ჩინეთში ჰიის მოვლასა, აბრეშუმის კეთებასა, შემდეგ გაიკეთეს გულ-ამოფულურული ჯოხები ასახდელი თავებითა და ჩუმად გაავსეს აბრეშუმის ჰიის თესლით. როცა ისინი ჩინეთიდან მოდიოდნენ, ყველა ნივთი დაწვრილებით გაუსინჯეს, ის კი არავის მოუვიდა ფიქრად, რომ ყურადღება მიექცია იმათის ჯოხებისათვის, რომლებიც სრულიად უბრალო ჯოხებსა ჰგავდა. ასე გამოიტანეს ჩინეთიდგან ამ მღვდლებმა აბრეშუმის ჰიის თესლი და მას უკან იმ ჟენად გავრცელდა ჩვენს ქვეყნებში აბრეშუმის ჰია, რომ იმის პარკებიდგან ეხლანდელს დროში ურიცხვს აბრეშუმეულს ართვენ და აკეთებენ. ამიტომ ყველა აბრეშუმეული ძალიან გაიაფდა. უწინ ხელმწიფის ცოლებსაც იშვიათად ეცვათ აბრეშუმის ტანიმამოსი, ახლა სოფლის გლეხის ქალებიც კი კოხტაობენ ფარჩეულობით.

## II

აბრეშუმის ჭიის ცხოვრება და მოქმედება მეტად შესანიშნავია და საინტერესო... აი, აბრეშუმის პეპელამ დაყარა თესლი, ანუ, უფრო სწორედ ვთქვათ, პაწია კვერცხები, ქინძისთავის თავის ოდენა. ეს კვერცხები პატრონმა გაამზევა გაზაფხულზედ. მზის სითბომ რამდენსამე დღეს კვერცხის გულში გაზარდა ჭია, რომელიც მოხვეული იდვა შიგ, როგორც წიწილა სძევს ხოლმე ქათმის კვერცხში. ეს ჭია ისეთი პატარა იყო, რომ ერთი ბეწვა ნაჭუჭში ადვილად თავსდებოდა. როცა მას ვიწრო ოთახში წოლა მოსწყინდა და სიმშილმაც შეაწუხა, მაშინ, საპყრობილეში მყოფსავით, გარედ გამოძრომა მოინდომა. მაგრამ როგორ გამოუვიდოდა გარედ მაგარს ნაჭუჭსა? პაწაწა ჭიას ორი მაგარი პატარა ყბა ება და იმათი შემწეობით ნაჭუჭს დაუწყო კბენა და ხვრეტა. აი, გაიკეთა პატარა ჭუჭრუტანა და დაინახა პირველად სინათლე. მერმე მთელს ნახევარს დღეს იმუშავა და ეს ჭუჭრუტანა ისე გაადიდა, რომ თავისუფლად გამოძვრა გარედ. აი, ჭია გაიზმორა და შეჰხარა მზის თბილს სინათლესა და თუთის მწვანე ფოთოლს, რომელიც იქვე იმისთვის იყო დამზადებული პატრონისაგან. ძნელის მუშაობის შემდეგ ჭია სიმშილსა გრძნობს და თავისი ორი თვალით ჰხედავს ახლო გემრიელს საჭმელს. თექვსმეტის ფეხის შემწეობით, რომელთაგან ექვსი წინ აბია და ათი უკან, მიცოცდა თუთის ნორჩს ფურცლებთან, დაუწყო ჭამა და როგორი ჭამა! დღე და ღამე განუწყვეტლივა სჭამდა, პირი აღარ დაუყენებია. მაგრამ, რაც უნდა ბევრი ეჭამა, ფოთლებს ვერ გამოლევდა თუთაზედ, იმიტომ რომ ამ ხეს უფრო იმაზე მოულოლავადა და ბეჯითად გამოჰქონდა ახალ-ახალი კოკორი. ბევრის ჭამისაგან მუცელი ისე გაებერა, რომ სარტყელის შემორტყმა მოუხდებოდა.

ჩქარა ჭიას კარი დაუვიწროვდა და შიგ ხორცი აღარ ეტეოდა. მაშინ შესწყვიტა ჭამა, მოიბუზა, თანდათან გაყვითლდა, მძიმე ავადმყოფსა და მომაკვდავს დაემგზავსა. უცებ

ჭიამ როგორღაც მოიტრიალა თავი და კანი თავზედ გაუსქდა. ჭია გამოძვრა თავისივე კანიდგან და ძველი ქერქი მიწაზედ დაანარჩუნა.

მაშ ჭია ტიტველი დარჩა? სულაც არა. წინადვე ამოუვიდა ძველს კანს ქვეშ ახალი კანი. ახლა ხელ-ახლად კიდევ უფრო მადიანად მიჰყო პირი ჭამას და იქამდინ სთქვლიფა თუთის ფოთოლი, ვიდრე ახალი კანიც არ დაუვიწროვდა. კანი მეორედაც გაიშვლიპა. ეს ტანისამოსის გამოცვლა მოხდა ოთხჯერ და ამ გზით ერთი ბეწვა ჭიისაგან, რომელიც პაწაწინა კვერცხიდგან გამოძვრა, ექვსი-შვიდის კვირის განმავლობაში გაიზარდა თითის ოდენა ჭია.

## II

იმ ფოთლების წვენიდგან, რომელსაც სჭამდა ისეთი გაუმაძღრობით, ჭიის ტანში გაუკეთდა ბევრ გვარი მასალა, უმეტესად კი ის ნივთიერება, რომლისაგანაც ქსელს აბამს ობობა. ამ წებოიანი წვენიდგან მან გამოუშვა წვრილი და წმინდა ძაფი, მიაბა ხის ტოტზედ და სარტყელივით გარს შემოიხვია.



ახლა იწყო გამუდმებით ტრიალი და ამ დროს იმისი ტანიდგან გამოდიოდა მეტად წვრილი ძაფი და გორგალივით გარს ეხვეოდა. ჭიის მოქმედება ამ დროს მოგაგონებდათ პატარა გოგოს, რომელიც თითისტარზედ ძაფს მარდად ახვევს. ამ გვარად იტრიალა მან რვა დღეს და ერთხელაც არ გაუწყვეტია ძაფი. ბოლოს გამოიყვანა მოგრძო, წმინდა აბრეშუმის პარკი, რომელსაც ნახევარ თითის სიგრძე ჰქონდა და იყო თეთრ-ყვითელის ფერისა.

პარკის გარეთა პირს შეადგენდა მრავალი აწეწილი და გადახვეულ-გადმოხვეული ძაფი, შიგნითა პირი კი იყო შემდგარი მხოლოდ ერთის სწორედ დახვეულის ძაფისაგან, რომელსაც ას ოცდა-რვა საჟენ ნახევარი სიგრძე ჰქონდა. პარკის შუაგულში ჭიამ დაარჩინა ცალიერი ადგილი, სადაც დამჭლევე-

ბულმა და დაღალულმა დასვენებას მისცა თავი. მქვსი კვირა სულ ქამაში გაატარა, ოთხჯერ კანი გამოიცვალა ამ დროს, რვა დღეს განუწყვეტლივ იტრიალა, ართა და ახვია ძაფი, ახლა კი სთვლემდა. ბოლოს უკანასკნელად ქიამ გაიხადა თავისი სამუშაო ტანისამოსი. რადგანაც პარკში სირბილი არ შეეძლო, ფეხები საჭირო აღარ იყო, და ამისთვის ქიამ ფეხებიც დაიყრევინა ტანისამოსთან ერთად. თვალებს საცქერელი არა ჰქონდათ რა, რადგანაც ქიის ოთახი ბნელი იყო; ყბებიც უსაქმოდ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქია საჭმელს მოკლებული იყო. ამიტომ ყველა ესენი ქიამ მოიშორა და დააწყო ერთად: თვალები, ფეხები, ყბები, ბალანი და კანი, სწორედ ისე, როგორც მუშა ხელოსანი დღესასწაულის წინად იარაღს აწყობს და იხდის გათხუპნულს ტანისამოსს. ქია თითქოს მოკვდა; იდვა გაუნძრევლად, უთავოდ და უფეხოდ, უპიროდ და უთვალოდ. ახლა იმისი კანი, რომელიც იქამდინ რბილი იყო, რამდენიც უფრო ბევრი დრო გადიოდა წოლაში, იმდენად უფრო მაგრდებოდა. მის გარშემო სიბნელე იყო, ჰაერი თითქმის არ ჩადიოდა, ქია იდვა გაუნძრეველი, როგორც კუბოში. ამ დროს ყველა იფიქრებდა, რომ ქია ახლა მოსვენებაშია თავისის ხანგრძლივის ჯაფის შემდეგ, ან იქნება კიდეც მოკვდაო, მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლო იქნებოდა, იმიტომ რომ სწორედ ახლა სცდილობდა ეს გაუნძრეველი სულიერი მოეხდინა ისეთი რამე, რომ ყველა იმისს ნამოქმედარზედ უფრო გასაკვირველი ყოფილიყო.

მკვდრად ჩათვლილმა მწერმა გამაგრებულს კანს ქვეშ დალაგა ლამაზად და რიგზე თავისი ახალი ასოები, თოთხმეტის დღის შემდეგ მიხაკის ფერი კანი გაიხსნა და იქიდგან გამოვიდა პეპელა. მას ორი დიდი თვალი ება, თავზე ქოჩორი ესხა და მუცელი შემოსილი ჰქონდა წმინდა ხშირი ბინგლით. იმისი აგებულება ამტკიცებდა, რომ ახლა იგი უნდა დამტკბარიყო სიცოცხლით მზის შუქზე და თბილს ჰაერში. მაგრამ როგორ გამოვიდა ეს პეპელა თავისს საპყრობილედგან? ფეხები ძალიან სუსტი ჰქონდა, მჭიდროდ დახვეულს ძაფს ვერ დასწ-

ყვეტდა, კბილები სულ არ ებადა. მართალია, პაწაწა, ნაზი ენა ება, მაგრამ იმითი შეეძლო მხოლოდ ეწუწნა ტკბილი წვენი ყვავილებისა. პეპელა უთუოდ სიმშილით მოკვდებოდა პარკში, ბუნებას რომ სხვა იარაღი არ მიეცა იმისთვის. იმ წებოიანს წვენს გარდა, რისგანაც ჭიამ პარკი გააკეთა, სხვა წვენიც უდგა ტანში. ამ უკანასკნელი წვენით პარკი ერთს ადგილას დაასველა და ამ წვენმა ეს ადგილი ამოსჭამა, რის გამოც პეპელას კარზე გამოსასვლელი ჭუჭრუტანა გაუკეთდა.



სხვა იმის ამხანაგებს კი პეპლად გარდაქცევა არ დააცალა პატრონმა, იმიტომ რომ, რაკი პეპელა პარკში ჭუჭრუტანას გააკეთებს და ქსელს გასწყვეტს, აბრეშუმი სრულიად აღარ ივარგებს. ამიტომ პატრონმა პარკები თავისს დროს ადუღებულს წყალში გამოხარშა და ჭიები შიგ ჩახოცა. მარტო რამოდენსამე პეპელას, ჩვენს პეპელას გარდა, მისცა ნება გარედ გამოსვლისა, რადგანაც ესენი სათესლედ უნდოდა. თითო პეპელამ ხუთასამდე კვერცხი დასდვა. პატრონმა გამოხარშული პარკებისაგან წვრილი ძაფი ამოახვია; მერმე სიმაგრისათვის რამდენიმე ძაფი ერთად შეგრიხა. ასე გაკეთებული აბრეშუმი სხვა-და-სხვა ფრად შეღება და შემდეგ მოქსოვა მშვენიერი ფარჩები.

## ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ე ბ ი.

თუ მინდორსა და ტყეში გივლიათ, არა ერთხელ წაადგებოდით ჭიანჭველების ბუდესა. შორიდგან პატარა კორომად გეჩვენებათ ეს ამაღლებული ბუდე. როცა ახლო გასინჯავთ, ნახავთ, რომ იგი არის შენობა პაწაწინა ნაფოტებისა, ფოთლებისა, ჩალისა, კენჭებისა, ფისის ნაჭრებისა და კიდევ სხვა ბევრის რამისა. ზემოდ ბუდეზე ბუდრუგუნაობენ იმისი აშენებლები. ყველა ჭიანჭველას აქვს მოქნილი, მწევა-

რივით წვრილი ტანი, რომელზედაც ასხია წვნიკი და ბალნიანი ფეხები. ძაფივით წვრილი ყელი აერთებს თავს მკერდთან, რომელზედაც დედალ-მამალ ჭიანჭველებს ასხია ძარღვიანი ფრთები. Დედალი უფრო მსხვილია და დიდი მამალზედ. Ხოლო



ფრთები ყველა ჭიანჭველას როდი აქვს. Აგერ, ბუდეზე დარბიან მრავალი უფრო მომცრო ჭიანჭველები. Ესენი მუშა ჭიანჭველები არიან.

Ჭიანჭველები მოქმედებენ შესანიშნავი ჭკუით, მოხერხებით და თავისს გულის წადილს საკვირველი შეუპოვრობით ისრულებენ. Აი რას ამბობს ერთი მეცნიერი: „ერთხელ ჭიანჭველების ბუდეს ჯოხით თხრა დავუწყე და ერთს ალაგას ჩავანგრიე. Ჭიანჭველები მაშინვე დაფაცურდნენ, მალე ჩაირბინეს ძირსა და ჩანგრეულს მასალას ზევით დაუწყეს ზიდვა. Ერთი ჩალა მოზრდილი გამოდგა. Ერთი ჭიანჭველა ბევრს ეცადა, მაგრამ ადგილიდგან ვერ დასძრა. Მაშინ მივარდა ხან ერთს თავისს ამხანაგთან, ხან მეორესთან და თავისი ულვაშებით ურქენდა, თითქოს ეუბნებაო: წამოდი, მიშველე, ტვირთს მარტო ვერ მოვერევიო. Ერთს წამზედ მრავალი ჭიანჭველები დაიბადნენ ჩალასთან, ასწიეს ერთად და უწინდელს ადგილზედ ამოიტანეს. Მე ძალიან მსურდა გამეგო, რას იქმოდნენ ჭიანჭველები, თუ მუშაობას დავუშლიდი. Ამიტომ ჯოხით ისევ ქვევით ჩავუყარე ყველაფერი, რაც კი ზევით ამოიტანეს. Მაგრამ მუშაობაზე ხელი მაინც ვერ ავაღებინე. Ათჯერ მაინც ჩავყარე ქვევით ჭიანჭველები თავისი ნამუშავრით, მაგრამ ტყუილად: ქვევით ჩაცვივნულნი და ზურგზე დაცემულნი მარდად წამოხტებოდნენ ხოლმე ფეხზედა და ცოტა ხნის განმავლობაში თვისს ხადგომს უწინდებურად ჰმართავდნენ. Ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულნი და გაკაპასებულნი ჩემი მოქმედებით გამოექანნენ ჩემკენ, დამეხვივნენ, დამიწყეს საშინელი ღიტინი და კბენა ხელებსა და ფეხებზედ. Მე შინისაკენ გავიქეცი და მხოლოდ მაშინ მოვიშორე თავიდგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზებული მწერები, როდესაც ტანისამოსი სულ ერთიანად გამოვიცვალე“.

## II

Თქვენ ძალიან შემცდარი იქნებით, თუ იფიქრებთ, რომ ჭიანჭველების ბუდე უბრალო გროვაა ნაგვისა. Ის პაწაწინა არსებანი შენობაში ისეთს ხელოსნობას იჩენენ, ისე მოხერხებულად და ლამაზად აკეთებენ თავიანთ სადგურსა, რომ კარგად დახელოვნებულს კალატოზსაც გააკვირვებს. Აი როგორ აშენებენ ჭიანჭველები თავიანთს ბუდეს:

Ზოგი ჭიანჭველები სთხრიან მიწაში ორმოსა, ზოგნი ზიდავენ აქეთ-იქიდგან ასაშენებელს მასალასა. Შემდეგ გათხრილს ორმოში ან ბეგობში აკეთებენ პაწაწინა დერეფნებსა, ოთახებსა და დარბაზებსა, რომელთაც ბოძებად აქვს შედგმული კენჭები, თიხის ნატეხები, ჩინჩხვრები და კიდევ სხვა რამეები. სადგომის ჩასავალი ღამით და წვიმის დროს დახშულია თიხის კარებით. Ამ გვარს სადგომს რამდენსამე სართულიანს აკეთებენ. რადგანაც ქვემო სართულის ოთახში უფრო თბილა, ამიტომ ჭიანჭველებს თავისი შვილები აქა ჰყავთ ცივის ამინდის დროს.

როგორც წინად ვთქვით, ჭიანჭველების საზოგადოებას შეადგენენ სამ გვარი ჭიანჭველები: დედლები, მამლები და მუშა ჭიანჭველები. Ამ მუშა ჭიანჭველებს აწევთ კისერზე სადგომის შენებაც, საზრდოს მომზადებაც, შვილების კვება და აღზრდაც, ერთი სიტყვით, ყოველ გვარი ჯაფა; ესენივე იცავენ ბუდეს სხვა-და-სხვა მტრებისაგან.

პაწაწკინა თეთრს კვერცხებს დედლები სდებენ, სადაც კი მოჰხვდებათ და თავს ანებებენ. Მუშა ჭიანჭველები მაშინვე ჰკრეფენ ამ კვერცხებსა, მიაქვთ სადგომში, ცალკე ოთახში ერთად აგროვებენ და ერთგულად უვლიან, მანამ მატლები არ გამოიჩეკებიან. Ისეც კი უნდა ვთქვათ, რომ ამ კვერცხებს ყოველთვის ერთს ადგილზედ არ არჩენენ. რა წამს ცივი დარი დადგება, მუშა ჭიანჭველები მაშინვე დაეხვევიან კვერცხებსა და გადააქვთ სხვა უფრო თბილს ადგილას. Და

თუ მთელს სადგომში ცივა, მაშინ კვერცხებს ზედ აჯდებიან კრუხებსავით და ათბობენ. ბოლოს კვერცხებიდგან გამოიჩეკებიან ხოლმე პაწაწინა მატლები. მათის დაბადების შემდეგ მუშა ჭიანჭველებს შრომა ემატებათ. რა წამს მზის ნათელი მიადგება ბუდეს, ზემო ოთახებში მყოფი ჭიანჭველები ჩარბიან ქვევით და თავიანთს ამხანაგებს აღვიძებენ ულვაშების ცაცუნით. მაშინ მუშა ჭიანჭველები წამოხტებიან ფეხზედ, ავლებენ პირს მატლებსა და მიარბენინებენ ზემო ოთახებში, რომლებიც მზის შუქით არის განათებული. მაგრამ, როცა მზე სიცხის ლულს დააყენებს, მაშინ მატლებს ისევ ქვემო გრილს ოთახებში ჩაასხამენ ხოლმე. მატლები მეტად გაუმაძღარნი არიან და თავიანთ გამზრდელებს წამ-და-უწუმ პირს უღებენ. გამზრდელები იღებენ იმათ პირს თავიანთ პირში და მატლები იმათი პირიდგან სწოვენ წებოიანს წვენს ისე, როგორც ხბო სწოვს ძუძუდგან რძესა. ამას გარდა, მუშა ჭიანჭველები ბევრსა ზრუნავენ იმათ სიფაქიზეზედ. გააძლობენ თუ არა, მაშინვე მიჰყვებიან და ულოკავენ ენით ტანსა იქამდინ, მინამ სულ არ გაუსუფთავებენ. როცა მატლები დასრულდებიან, თავის გარეშემო ახვევენ ძაფის ქსელსა, აკეთებენ პარკსა და ბოლოს უძრავად რჩებიან შიგ. ამ დროს ისინი მკვდრებსა ჰგვანან და საჭმელი სრულიად არ ეჭირვებათ. ამის გამო მუშა ჭიანჭველებს შრომა უსუბუქდებათ. აგერ, რამდენისამე დღის შემდეგ, პარკში მატლი გაინძრა. რამდენიმე მუშა ჭიანჭველა მაშინვე მასთან გაჩნდა, ავიდა ზედ პარკზედ, თავისი ყბებით გახია ერთს ადგილას და გამოიყვანა ახლად დაბადებული ჭიანჭველა. პარკის გარდა, ბალღი გახვეულია რაღაც სიფრიფანა კანში, რომელიც ჰფარავს იმისს ფრთებსა. ჭიანჭველებმა მოაცალეს ეს კანი, გაუშალეს ფრთები და გააძღეს. ახალგაზრდა ჭიანჭველა კიდევ კარგა ხანი იქნება იმათ მზრუნველობის ქვეშ. ასწავლიან ბინის გზასაც სხვა-და-სხვა ადგილიდან, მერმე საჭმლის ძებნასა, სახლის კეთებას, როცა გაუფუჭებს ვინმე, და სხვასა. რადგანაც მუშა ჭიანჭველები ბევრს უვლიან და დიდს ამაგსა სდებენ მოზარდს

ჭიანჭველებსა, ამიტომ ძალიან უყვართ ერთმანეთი. საზოგადოდ ჭიანჭველის მთელს ოჯახობაში დიდი თანხმობა არსებობს. თუ ერთს უბედურება რამე მიადგა, ყველა ცდილობს, რომ შემწეობა მალე მიაშველოს.

## III

ჭიანჭველები საჭმელად ხმარობენ: ახალს ან დამპალს ხორცსა, ხილსა, ყვავილსა და მეტადრე ყოველს ტკბილეულს, რის გამოც თაფლი და შაქარი არსად გამოეპარებათ.

რომელი ჭიანჭველებიც ადამიანის ბინასთან ახლოს ცხოვრობენ, ყოველთვის შოულობენ სამყოფს პირის გასატკბილებელსა, მაგრამ რომლებიც ტყესა და მინდორში ბინადრობენ, ისინი მოშორებულნი არიან თაფლსაცა, მურაბასაცა და შაქარსაც. მაშ პირის გასატკბილებელს საჭმელს ეს ჭიანჭველები სრულიად მოკლებულნი არიან? არა, ჭიანჭველას სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნია, თუ პირი ხანდახან მაინც არ გაიტკბარუნა. მინდვრისა და ტყის ჭიანჭველებს ტკბილის საჭმლის საშოვნელად ერთი ღონისძიება აქვთ მოგონილი. ქვეყანაზედ არსებობენ მცენარეების ერთი წიწკნა ტილები. ისინი ფერით ჰგვანან ყველა იმ მცენარესა, რომელზედაც სცხოვრობენ, და ამიტომ იმათი დანახვა ძნელია. ამ ტილებს ბოლოზედ აქვთ ორი მოკლე მილი, საიდგანაც გამოსდით ტკბილი, წებოიანი წვენი; ეს წვენი სიარულს კიდეც უშლის იმათ, იმიტომ რომ ერთსა და იმავე ადგილზედ აწებებს. აი ამ ტილებს სძებნიან ჭიანჭველები და უკანიდგან სწოვენ ტკბილს წვენსა. მაგრამ იმათს აქეთ-იქით ძებნაში ჭიანჭველებს ბევრი დრო დაეკარგებოდათ. ჭიანჭველები ძალიან აზრიანი არსებანი არიან: იმათ უნდათ, რომ ტკბილი წვენიც გამოულეველი ჰქონდეთ და დროც ცოტა დაკარგონ იმისს შოვნაში. ამიტომ შემდეგი ხერხი აქვთ ნახმარი; წავლენ, მოჰკრეფენ შორეულს მცენარეებზე ტილებს, წაასხმენ და მახლობელს მცენარეებზე დააბინავებენ ხოლმე. ამიტომ შენიშნულია, რომ სადაც ბევრი ჭიანჭველაა, იქ მახლობელი მცენარეები ტილებით არის შე-

ხორხლილი. ამ ტილებთან მივლენ ხოლმე ჭიანჭველები, უკანიდგან ულიტინებენ თავისი ულვაშებით, გამოადენენ ტკბილს წვენსა და სმენ დიდი სიხარბით და სიამოვნებით. მაგრამ ჭიანჭველები მარტო ტკბილს საჭმელს არა სჯერდებიან: ძალიან გემრიელად სჭამენ მკვდარს მატლებსაცა; ამას გარდა ცოცხალს მწერებსაც დაეცემიან ხოლმე, ჰხოცავენ და სწუწნიან წვენსა.

ცხარე ომსაც ხშირად გამართავენ ხოლმე სხვა ჭიანჭველებთანა. ყველას უნახავს სხვა-და-სხვა ჯიშის ჭიანჭველა: პატარა, დიდი, ყვითელი, მოწითალო და შავი. თვითოეული ჯიში ჭიანჭველისა სცხოვრობს განცალკევებულს ადგილს საკუთარს ბუდეში. ყოველი ბუდე შეადგენს ცალკე ქალაქსა და ეს ქალაქი ხშირად ჰმართავს ომს სხვა ჭიანჭველის ქალაქებთან. „ერთხელ შუადღისას, ამბობს ერთი მეცნიერი, ზაფხულის პაპანაქება დღეში, გზაზე მიდიოდა მთელი გროვა მოწითალო ჭიანჭველებისა; ჯარის-კაცებსავით რიგზე დამწკრივებულიყვნენ და, როცა გზას გადაუხვევდნენ და ბალახებში ერთმანეთს ასცდებოდნენ, მაშინ ერთმანეთის კვალის საპოვნელად წამ-და-უწუმ მიწას ეხებოდნენ თავისი ულვაშებით, სწორედ ისე, როგორც ძაღლი თავისი ცხვირით შეეხება ხოლმე მიწას და ამ სახით მისდევს რისამე კვალსა. აი, ბოლოს მიუახლოვდნენ მოგზაურნი შავის ჭიანჭველების ბუდესა. მაგრამ შესავალი თავ-დანებებული როდი დაუხვდათ. კარებთან მცველებად იდგნენ შავი ჭიანჭველები, რომლებიც საკვირველის სიმამაცით გაექანნენ და ეტაკნენ მოწითალო ჭიანჭველებს. შეიქმნა საშინელი ბრძოლა. შავი ჭიანჭველები თუმცა უფრო დიდები იყვნენ და გარეგანი შეხედულობით უფრო ღონივრები სჩანდნენ, მაგრამ მაინც იძლივნენ: მოწითალო ჭიანჭველებმა აქეთ-იქით გაფანტეს ისინი და შეუცვივდნენ ბინაში. პირველადვე გაექანნენ იმ ოთახებისკენ, სადაც წვრილ-ფეხობა ეგულებოდათ; დაავლეს პირი ჭიანჭველების მატლებსა, გამოიტაცეს გარედ და გასწიეს შინისკენ უწინდელი გზით". როცა ეს მოტაცებული მატლები ჭიან-

ქველებად გარდაიქცევიან, მაშინ ისინი გახდებიან მონები თავისის მომტაცებლებისა, იმათ ყოველ გვარს სამსახურს გაუწევენ. მონობა და ბატონ-ყმობა ჭიანჭველების ცხოვრებაში მეტად შესანიშნავი მოვლენაა.

### ჭრიჭინა და ჭიანჭველა (იგავ-არაკი).

ხტუნია, ლაღა ჭრიჭინა მთელი ზაფხული გალობდა,
შეექცეოდა, დახტოდა, მინამ ბუნება სწყალობდა,
ლხინობდა, მკალსა ვერა რამ ვერ შეუხარა ბეწვის.
უცებ შეჰხედა საბრალომ, ზამთარი წამოეწია!
შემოეჭკნა ველი, მინდორი, წარვიდნენ დღენი ლხენისა,
ჭრიჭინას გამხარებელნი, გამქარვებელნი სენისა,
როცა მას ყოველს ჯაგის ძირს უსრულდებოდა წადილი,
მზად ჰქონდა სახლი და ბინა, გახშამი, გინა სადილი!..
გაჰქრა ყოველი, დაზამთრდა, ჭრიჭინამ იგრძნო სიმშილი;
აღარა გალობს საბრალო, გამოეცალა სინსილი!...
დაღონებულმა ჭრიჭინამ მიჰმართა ჭიანჭველასა
და ევედრება: „ნათლიავ, შენის შვილების ლხენასა,
მომხედე, ხელი გამიწყე, გამათბე, დამაპურე,
გაზაფხულამდინ იოლად წამიყე, მიმსახურე!.“
ამისმა მსმენმა ჭიანჭველამ ჭრიჭინას ჰკითხა წყნარადა:
—რას აკეთებდი, დაიავ, მთელი ზაფხული ბარადა?
—რას ვაკეთებდი, ღობილო? სად მქონდა მოცალებანი;
ღიღოში ვხტოდი, ვგალობდი, თავს ბრუს მახვევდა გრძნობანი!
—შრომის დროს თუ კი გალობდი, უთხრა პასუხად ჭიანჭველამა:
მაშ წადი ახლაც იცეკვე, არ დაგამძიმოს მუცელმა.

რ. ერისთავი.

---

## ა დ ა მ ი ა ნ ზ ე დ.

### 1. სხეულის შენობა და ნაწილები.

თუმცა ჯერ კიდევ პატარა ვარ, მაგრამ მეც ადამიანი ვარ, იმიტომ რომ მეც იმისთანა სული და სხეული მაქვს, რო-

გორიც დიდებსა. ჩემს სხეულში შვიდი უმთავრესი ასოა: თავი, ყელი, ტანი, ორი ხელი და ორი ფეხი. ჩემი თავი მრგვალია, მაგრამ ბურთივით კი არა, ცოტა მოგრძოა, გვერდებიდგან შეწეულია და უკან კი გამოწეული. ერთი წილი თავისა თმით არის დაფარული, მეორე კი არა. ზემო ნაწილს თავისას საქოჩრე ჰქვიან, უკანა ნაწილს—კეფა, წინას—პირისახე.

თავს აერთებს ტანთან მოქნილი ყელი, რის გამოისობითაც მე თავის მიხვრა-მოხვრა ბევრ ნაირად შემიძლიან: შემიძლიან მაღლა ავილო, ძირს დავუშვა და აქეთ-იქით ვაბრუნო. ყელის უკანა ნაწილს კისერი ჰქვიან.

ჩემის სხეულის ყველა ასოზე ტანი უფრო დიდია და იმას ასხია ყველა სხვა ასოები: თავი, ორი ხელი და ორი ფეხი. თვითონ ტანს აგრეთვე რამდენიმე ნაწილი აქვს: მკერდი, მუცელი და ზურგი.

ერთი ხელი მარჯვენად იწოდება და მეორე მარცხენად; ორივე ხელი ერთმანეთსა ჰგავს და ტოლად ჰკიდია ჩემის ტანის აქეთ-იქით მხარესა. ხელები ჩემის სხეულის ზევითა ნაწილს შეადგენს, ფეხები კი ქვევითასა. მარჯვენა და მარცხენა ფეხიც აგრეთვე ერთმანეთსა ჰგავს. ხელს, ანუ მკლავს, სამი ნაწილი შეადგენს: ზემო ნაწილს ნიდაყვამდინ მხრის-თავი ჰქვიან, შუა ნაწილს ნიდაყვიდგან ხელამდინ—წყრთა, ქვემოთას კი ხელს ეძახიან, ანუ თათსა. ხელის, ანუ თათის, ქვემოთა ნაწილს ხელის გული ჰქვიან, ზემოთას კი—ზურგი. ხელს ბოლოზე ხუთი თითი აბია: ერთსა ჰქვიან ცერი, მეორეს—სალოკი თითი, მესამეს—შუა თითი, მეოთხეს—არა თითი, მეხუთეს—ნეკი. ოთხი თითი სამი სახსრიდგან შესდგება, ცერი კი ორიდგან. თითების ბოლოში ფრჩხილებია გამოსული.

ფეხიც აგრეთვე სამ ნაწილად განიყოფება: ზემო ნაწილს, ტანიდგან მუხლის თავამდინ, ბარძაყი ჰქვიან: შუა ნაწილს, მუხლის თავიდგან კოჭამდინ, წვივს, ანუ კანჭს, ეძახიან; ქვეითას კი საკუთრივ ფეხს უწოდებენ. ფეხის ზემო ნაწილს ფე-

ხის ზურგი ჰქვიან, ქვემოთა ნაწილს—ფეხის გული, უკანას—ქუსლი. ფეხს წინ ხუთი თითი აბია; ყველა თითში სამ-სამი სახსარია, ცერში კი ორი, როგორც ხელის თითებში. მაგრამ ფეხის თითები ისე გრძელი, მოქნილი და მოძრავი არ არის, როგორც ხელის თითები.

პირისახის გარეგანს ნაწილებს სხვა-და-სხვა სახელი ჰქვიან, სახელდობრ: შუბლი, საფეთქლები, ლოყები, თვალები, ცხვირი, პირი, ანუ ბაგე, ნიკაპი, ყურები.

თვალის კაკლები აწყვია შუბლის ქვემოდ განსაკუთრებულს ფოსოებში. თვალის კაკლის შუაგულში ჩვენ მრგვალ შავს ბიას ვამჩნევთ და ბიის გარშემო ფერადს სალტასა. ყველა კაცს თვალის სალტა ერთი ფერი არა აქვს, ზოგს ცხვრის ფერი აქვს, ზოგს შავი, ზოგს ჭრელი. სალტის გარშემო მოგრძო სითეთრეს თვალის გუგა ჰქვიან, თვალის კუთხეებში წითელი კილოებია. თვალსა ჰფარავს ორი ქუთუთო. ქვემო ქუთუთო უძრავია, ზემო კი დაუყოვნებლივ მოძრაობს, ხან აიწევს, ხან ჩამოეშვება—ხამხამებს. ქუთუთოების პირი წამწამებით არის შემოსილი. თვალებს ზევით კაცს წარბები ასხია.

ყურებიც ადამიანს თვალებსავით წყვილი ასხია. ჩვენ მარტო გარეგანს ნაწილს ვხედავთ ყურისასა, შინაგანი ნაწილი კი თავშია დამალული. გარეთა ნაწილს ყურის ბიბილოს უძახიან. ყურის ბიბილოს რომ ხელი მოვავლოთ, ვიგრძნობთ, რომ იმის ტყავს ქვეშ ერთი იმისთანა რაღაცა რამ არის, რომელიც ხორცზე მაგარია და ძვალზე რბილი,—ეს არის კანტელა. ყურში გრძელი მილი მისდევს, რომელსაც ყურის სანათურს ეძახიან. ამ სანათურის საშუალებით მიდის ტვინამდის ჰაერის ყოველი მოძრაობა და კაცი ისმენს ამ მოძრაობას, ხმაურობას.

ცხვირი კენტი ორგანოა და შუა პირზედ არის ამოსული. ცხვირში შეიძლება რამდენიმე ნაწილი გავარჩიოთ: ძირი, ანუ ცხვირის საძირკველი, რომელიც თვალებს შუა მდებარებს, ხერხემალი, წვერი და ორი ნესტო. ცხვირის უკანა

ნაწილი მაგარის ძვლისაგან არის შემდგარი, წინა—კანცელისაგან. შიგნიდგან ცხვირი მოფენილია ლორწოიანი კანით. ცხვირით სუნს ვარჩევთ და ვსუნთქავთ უფრო ხშირად, მინამ პირით.

პირიდგან შიგნით გვამში ორი მილი მიდის: ერთი, რომლითაც ვსუნთქავთ, ყელის შუაზე ჩადის და ჰქვიან სასულე; მეორე ამას უკან ჩასდევს და ჰქვიან ყანყრატო. სასულეს ზემო ნაწილში არის ხმის ორგანო.

პირი ძალიან რთული ორგანოა. გარედგან გადაფარებული აქვს ორი რბილი და წითელი ტუჩი. პირში შიგნით ჩვენ გავარჩევთ: ყბებს, ღრძილებს, კბილებს, სასას, ენას და ხახას.

თითოეულს კბილში ორი ნაწილია: ზემოთი, ანუ თავი, და ქვემოთი, ანუ ძირი. გარედგან კბილები მოფენილია წმინდა და მბრწყინავი მინანქრითა. ქაცი უკბილოდ იბადება და რამდენსამე თვეს უკან კბილები ამოსდის ერთი მეორის შემდეგ. ამ პირველად ამოსულს კბილებს სარძევე კბილები ეწოდება. შვიდის, ანუ რვა წლის შემდეგ ყმაწვილს ეს სარძევე კბილები სცვივა და სამუდამოდ კბილები ამოსდის. კბილებს სხვა-და-სხვა სახე, ანუ მოყვანილობა, აქვს. ორსავე ყბაში წინ ოთხ-ოთხი ბასრი, ანუ წვეტიანი, კბილი სხედს, რიცხვით რვა. ამათ წინა კბილებს უწოდებენ და ამათით საჭმელს ჩვენ დანასავით ვჭრით. ამ წინა კბილების უკან ორსავე მხარესა და ორსავე ყბაში თითო-თითო გრძელი და წვეტიანი კბილი ზის, რომელსაც შუა კბილი ჰქვიან. ეს კბილები რიცხვით ოთხია, ეშვებსა ჰგავს და იმათი საქმე საჭმლის გლეჯაა. შემდეგ გამწკრივებულია სქელი და პრტყელთავიანი კბილები, რომელსაც ზემო პირი ღორო-ხიდორო აქვს. ამ პრტყელს კბილებს ძირის კბილებს ვუძახით; ამ პრტყელი კბილებით ჩვენ საჭმელსა ენაყავთ და ვღეჭავთ. ადამიანს სულ 32 კბილი აბია.

რადგანაც პირი ძალიან რთული ორგანოა, ამიტომ რამდენსამე სამსახურს ასრულებს. პირით ვჭამთ, ვლაპარაკობთ

და ვსუნთქავთ. სხვა-და-სხვა ასოს გამოთქმაში პირის ყველა ნაწილი და თითქმის ცხვირიც მიიღებს ხოლმე მონაწილეობას. მაგალითად ასოს ა ჩვენ მარტო ხახით გამოვთქვამთ; ბ ან ბ რომ გამოვთქვათ, უნდა ტუჩები ვახმაროთ; დ გამოსათქმელად ენა კბილებს უნდა მივაბჯინოთ და ქ გამოსათქმელად—სასას; ასოს ნ გამოთქმაში ცხვირიც მონაწილეობას იღებს.

მთელი ჩემი სხეული ტყავში, ანუ კანში, ზის. ბევრს ნადირს ტყავი ბალნითა აქვს შემოსილი; ადამიანის ტყავი კი თითქმის სულ ტიტველია, სუფთა და თანასწორე. თავის კანი შემოსილია გრძელი და სქელი თმით. ტანის კანზედაც აგრეთვე აქა-იქ ამოსულია პატარ-პატარა მოთეთრო ბალანი, მაგრამ ეს ისე თხელი და წმინდაა, რომ თითქმის არც კი სჩანს.

## 2. ადამიანის ძვლები, კუთები, კანი და ნერვები.

ჩემს სხეულს რომ ხელი დავაჭირო, კანს ქვეშ შევხებები მაგარს რაღასაც,—ეს არის ძვლები. გარედგან ხელის შეხებით შემიძლიან გავარჩიო მარტო უმთავრესი და დიდი ძვლები. თავს რომ შევეხო, ხელში თავის ქალა მომხვდება. ეს ქალა შემდგარია რამდენისამე მორგვალებულის ძვლისაგან, რომელიც ერთი-ერთმანეთთან ნაპირებით გადაბმულია და მიწებებული კოთნის ნატეხებივით. შუბლა ძვლები თავის ქალასი ერთად შეადგენს ერთს მრგვალს ძვლის ყუთს, რომელშიაც არის დაცული უსაჭიროესი და მეტად ნაზი ორგანო—ტვინი. პირს რომ შევეხო, ხელში მომხვდება ორი ყბა—ზევითი და ქვევითი. ზემოთი ყბა მიკრულია თავის ქალაზედ ისე მაგრად, რომ მარტო იმასთან ერთად შეუძლიან განძრეს, თავის თავად კი ცალკე ვერ იმოძრავებს. ხოლო ქვევითი ყბა თავისუფლად მოძრაობს, იმიტომ რომ ქალასთან არ არის შეხორცებული, მარტო მიბმულია მაგარი და მოქნილი გადასაბმელით. მე შემიძლიან ქვემოთი ყბა ძირს დავუშვა, მაღ-

ლა ავწიოთ, ერთი მხრიდგან მეორესკენ მივიქნიოთ, პირი მოვკუმოთ და გავაღოთ, ვილაპარაკოთ და ვღეჭოთ. ორსავე ყბაში კბილები მისხედს.



თავი მობმულია ტანზე რბილი ყელით. იგი დაბჯენილია ხერხემალზედ, რომელიც კეფიდგან დაწყებული ჯერ კისერზე ჩასდევს და შემდეგ შუა ზურგზე ჩადის ტანის ბოლომდინ. ხერხემალი შესდგება 33 პატარა ძვლისაგან, რომლებსაც ხერხემლის მძივები ჰქვიან. მძივები შეიძლება ხელის შეხებით გავსინჯოთ; ესენი ერთი-ერთმანეთზედ აწყვია და მიმაგრებულია მაგარი და მოქნილი გადასაბმელებით. ხერხემალი შეადგენს ერთს გრძელს მილს, რომელიც თავის ქალასავით ტვინით სავსეა. ხერხემლის ტვინს ერთობა აქვს თავის ტვინთან. ხერხემალი რომ ერთიანი და მაგარი ძვალი იყოს, კაცი ვერც წინ მოიხრებოდა, ვერც უკან გადიხრებოდა, ვერც გვერდზე გადიზნიქებოდა; ვერ შეიძლებდა ვერც კისრის მიბრუნ-მობრუნებასა და ვერც თავის განძრევასა.

ხერხემალი არის უმთავრესი შუა ძვალი ტანისა. იმაზედ არის მიბმული ყველა სხვა ძვლები: ზემოდ დამაგრებუ-

ლია გვერდის ნეკნები და ამაზე კიდევ ხელების ძვლები; ქვემოდ დიდი და მაგარი თეძოს ძვლებია და იმასთან კიდევ დაკავშირებულია ფეხების ძვლები. ნეკნები იწყება ხერხემლიდგან, რკალივით იკაკვება ორივე გვერდზე და ადგენს მკერდის ბუდეს, სადაც გული სცემს და ფილტვები ჰკიდია, რითაც ჩვენ ვსუნთქავთ. კაცს თორმეტი წყვილი ნეკნი აქვს. ზემოთი შვიდი წყვილი ნეკნი წინ, მკერდის შუა ადგილას, შეუერთდება პრტყელსა და განიერს გულის ფიცარსა, რომელსაც შემიძლიან ხელი დავაბჯინო. ქვეითი ხუთი წყვილი ნეკნი კი არ ერთდება ერთი-ერთმანეთთან ბოლოებით. ხერხემლის ქვემო ნაწილებზე მიბმულია სამი ძვალი, ერთ დიდ ძვალად შეზრდილი; ამ ძვალსა ჰქვიან თეძო. ეს ძვალი იმაგრებს მთელს ტანსა და ფეხების ძვლებიც იმაზედ არის მიბმული.

თითოეული ხელი შეერთებულია მკერდის ბუდესთან ორი ძვლითა: ბეჭითა და ლავიწითა. ბეჭი არის განიერი, სამ-კუთხიანი და პრტყელი ძვალი და სძევს ნეკნებს უკან ზურგზედ. ლავიწი მომცრო, თხელი და მორკალული ძვალია და მხრიდგან გულის ფიცრის თავზე გადადის.

ხელის ზემო ნაწილში ერთი სქელი და გრძელი ძვალია, რომელსაც მხრის ძვალს ეძახიან. წყრთაში ორი ძვალია, ერთი უფრო სქელი, მეორე უფრო ვიწრო. საკუთრივ ხელში ბევრი ძვლებია: მაჯისა, ტერფისა, თითებისა. ხელის ძვლები მაჯის ძვლით ერთდება წყრთის ძვლებთან.

ფეხის ზემო ნაწილში, ანუ ბარძაყში, გრძელი ძვალია, რომელსაც მეჯის ძვალი ჰქვიან. შუა ნაწილში კი, ანუ წვივში, ორი ძვალი სძევს. მუხლს აფარია ერთი პატარა მრგვალი ძვალი, რომელსაც კვირისტავს ვეძახით. თვითონ ფეხში კი ბევრი ძვლებია. ფეხის ძვლები, როგორც ხელისა, სამ ნაწილად განიყოფება: ქუსლისა, ფეხის გულისა და თითების ძვლები. ქუსლზე დაბჯენილია მუხლის ძვლები. ქუსლის ქვევით იწყება ფეხის შუაგული ძვალი, რომელსაც თითების ძვლები ასხია.

ყველა ძვლები ერთმანეთზე მიმაგრებულია მოქნილი გადასაბმელებით და შეადგენს ჩონჩხსა. ჩონჩხი ადამიანის

სხეულის ნამდვილი ბურჯია. ჩონჩხის ძვლები რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ვერ შესძლებდა ვერც სწორედ დგომას, ვერც დაჯდომას და ვერც სიარულსა. ამას გარდა ძვლები იცავენ და იფარვენ ადამიანის სხვა-და-სხვა ორგანოებს, ანუ ნაწილებსა. მაგალითად, თავის ქალა იფარავს თავის ტვინსა, ხერხემლის ძვლები იცავენ ხერხემლის ტვინსა, მკერდის ბუდე იფარავს გულსა და ფილტვებსა. ერთი სიტყვით, კაცის მთელს სხეულს ჩონჩხი იმაგრებს და იფარავს.

თუ სხეულს ხელს მოვუსვამთ, ვიგრძნობთ, რომ ძვლები დაფარულია რაღაცა რბილი და მოქნილი რამით,—ეს არის ხორცი, ანუ კუთები. კუთებს ზემოდამ აკრავს სიმსუქნე, ანუ ქონი: გამხდარს ადამიანს ქონი ცოტა აკრავს, გასუქებულს—ბევრი. ქონი ზეიდან გადაფარებულია კანით. კანი იფარავს ადამიანის სხეულს სიცხისა და სიცივისაგან, სიმშრალისა და სინესტის ცუდის გავლენისაგან. კანის ქვემოთ ქონთან არიან პატარ-პატარა ჯირკვლები. ამ ჯირკვლებიდან გამოდის პაწაწ-პაწაწა მილები, რომელთაც კანის ზედაპირზე თავი აქვთ გახსნილი. როდესაც სისხლი პატარ-პატარა ძარღვებით კანისაკენ დაიწყებს დენას, ეს ჯირკვლები სისხლიდან შეისვრეტენ სხეულისათვის და სისხლისათვის მავნებელს სითხეს, რომელიც მილებით ამოდის კანს ზეით ოფლის სახით. თუ კანი სუფთა აქვს კაცსა, ეს მავნებელი სითხე თავისუფლად იდენს ჯირკვლებიდან და ეს სისალეს დაეხმარება. თუ კანი ჭუჭყიანია და ჯირკვლების თავები შეკრული, მავნებელი სითხე სხეულშივე დარჩება და დაასნეულებს მას. კუთი ემსგავსება რეზინსა და შეუძლიან შეკუმშვაცა და გაშლაც, ანუ გაგანიერება, რის გამოც სხეულის ნაწილების მოძრაობა შეგვიძლიან. მაგალითად, მხარი წყრთასთან კუთებით არის შეერთებული; როდესაც კუთები შეიკუმშება, მკლავი მოიკაკვება და როდესაც გაიშლება, გასწორდება. კაცის სხეულში დიდრონი და პატარა კუთები ძალიან ბევრია. მცირე შენძრევაც კი პირისახისა დამოკიდებულია კუთების შეკუმშვასა და გაშლაზედ. ჩვენი ენაც აგრეთვე დიდი და მოქნილი

კუთია. მოძრაობა კუთებს ძალიან ამაგრებს. ვინც ბევრს დადის, იმას ფეხების კუთები შეექნება მაგარი და ღონიერი; ვინც ხელებით მუშაობს, ხელის კუთები უმაგრდება და უღონიერდება. ზარმაცებს კუთები უძლური და სუსტი აქვთ და მალეც ეღლებათ. კუთები ძვლებზეა მიბმული ხმელი ძარღვებით, ანუ თმისაზრდელებით; ხმელს ძარღვებს იმიტომ ეძახიან, რომ გაარჩიონ იმ რბილის ძარღვებისაგან, რომლებშიაც სისხლი მოძრაობს.

მაგრამ თვითონ თავის თავად კუთები როდი იკუმშება და იშლება, თვითონ როდი ამოძრავებს ჩვენს სხეულს: იმათ ჰკუმშავს და ჰშლის ადამიანის ნებით ძაფივით წმინდა ნერვები. ეს ნერვები ძალიან ბევრია კაცის სხეულის ყველა ასოში და ბადესავით გაბმულ-გამობმული არის; ნერვები გამოდის თავისა და ხერხემლის ტვინიდგან, ეშვება ქვევით და აქეთ-იქით იფანტება მთელს სხეულში. რომელი ნერვიც თავის ტვინიდგან თვალებთან მიდის, იწოდება მხედველობის ნერვად; რომელიც ყურებთან მიდის, სმენის ნერვი ჰქვიან. რომელი ნერვებიც კუთებში შედის და ხან ჰკუმშავს და ხან ჰშლის მათ, იწოდება მოძრაობის ნერვებად, იმიტომ რომ ამ ნერვების საშუალებით კაცს შეუძლიან თავისის სხეულის სხვა-და-სხვა ასო მოძრაობაში მოიყვანოს. თვალებთან რომ ნერვები მიდის, თუ წახდა და მოქმედების ძალა დაჰკარგა, მაშინ კაცს მოაკლდება მხედველობის ნიჭი, თუნდაც რომ იმისი თვალები უწინდებურად საღად იცქირებოდეს. თუ წახდა და აღარ იმოქმედა იმ ნერვებმა, რომელიც ხერხემლის ტვინიდგან ფეხების კუთებში ჩადის, მაშინ კაცს ფეხები დაუდუნდება და სიარულის ნიჭს სრულიად დაჰკარგავს, თუნდაც რომ თვითონ ფეხები ისევ საღი ჰქონდეს. თუ კი თვითონ ტვინი, საიდგანაც მთელს სხეულში ნერვებია მოდებული, წახდა და აღარ იმოქმედა, მაშინ ადამიანი დაჰკარგავს გრძნობის ნიჭსაცა და მოძრაობისასაც. აი ამისთვის არის ეს ყოვლად უსაჭიროესი და ნაზი ორგანო საგანგებოდ დაცული თავის ქალასა და ხერხემლის მაგარს ძვლებს შუა.

### 3. ადამიანის სისხლი, კუჭი და სხვა შიგნეული ორგანოები; ფილტვები და ტვინი. სიცოცხლე და სიკვდილი.

თუ ჩვენს ტყავს გავსჭრით სადმე, მაშინ იმ ადგილიდგან ამოხეთქს თხელი, წითელი და თბილი სისხლი. სისხლი მოძრაობს კაცის სხეულის რბილსა და წვრილს მილებში, რომელსაც ძარღვები ჰქვიან. თითი რომ დავადოთ მაჯის ძარღვსა, ან კისრისას, ან კიდევ საფეთქლისას, ვიგრძნობთ, რომ ტყავს ქვეშ რაღაცა ჩუჩუნებს, რაღაცა სცემს,—ეს იკუმშება და იშლება ძარღვი, რომელშიაც სისხლი მოძრაობს. სხეულს რომ ძალიან ჩავაკვირდეთ, შევამჩნევთ, რომ ტყავს ქვეშ წასულ-წამოსულია ძარღვები, ხოლო სულ წვრილის ძარღვების დანახვა კი ტყავს ქვეშ არ შეგვიძლიან. ეს ძარღვები არა თუ კუთებსა და კუთებს შუა გადის, თვითონ შიგ კუთებშიაც არის მოფენილი; ამიტომ კაცის ხორცს წითელი ფერი სძევს. ჩვენის ლოყებისა და ტუჩების წითელი ფერი წარმოსდგება იმ სისხლის მზიდველ ძარღვებისაგან, რომელიც ტყავიდგან ამოსჭვივის. ერთი ხელი რომ მეორეზე ძლიერ დავირტყათ, შევნიშნავთ, რომ ის ადგილი, რომელსაც ხელი მოჰხვდა, პირველად ფერს დაჰკარგავს, მერე ისევ გაწითლდება. ეს იმისგან არის, რომ იმ ადგილიდგან სისხლი ჯერ გაიქცა, მერმე კი ჰარბად მოაწვა. სხეულში ძარღვები გაბმულია ხვართქლის ურიცხვი ტოტებივით. ეს ძარღვები სულ ერთიანად გულთან იკრიბება, ხოლო გული იმყოფება მკერდის მარცხენა მხარეს ნეკნებ ქვეშ და დაუდგრომლად სცემს, ე. ი. იკუმშება და იშლება. როდესაც გული გაიშლება, მაშინ იმაში სისხლი ჩადის ძარღვებიდგან; როდესაც მოიკუმშება, სისხლი გამოდის და ძარღვებში ჩადის.

როგორც ყველა ადამიანებისთვის, ისე ჩემთვის საჭიროა საჭმელი და სასმელი. უსაჭმლოდ და უსასმლოდ სიმშილით და წყურვილით მოვკვდებოდი. როდესაც დიდ ხანს არა ვჭამ, მაშინ ჩემს თავს უსიამოვნოდ ვგრძნობ, ჩემის სხეულის ყველა ასო უძლურდება, არაქათი ელევა და სუსტდება. როდესაც

საკმაოდა ვჭამ, ვყოჩაღდები, ვმაგრდები და ვღონიერდები საჭმელს პირში კბილებითა ვღეჭავ, ნერწყვით ვასველებ და მერმე ვყლაპავ. ჩაყლაპული საჭმელი გაივლის საყლაპავს მილს და ჩავა კუჭში, რომელიც იმყოფება გვამის ქვემოთა ნაწილში. კუჭი მოხარშავს საჭმელსა, სისხლად მოამზადებს მიღებულ საჭმლის ნოყიერს ნაწილებსა, და უსარგებლო და უნოყივრო ნაწილებს კი გარედ გამოჰყრის. საჭმლის მონელებაში, სისხლის კეთებაში და საჭმლის უვარგისს ნაწილების გარედ გამოყრაში კუჭს ეხმარებიან სხეულის სხვა ნაწილებიც, რომელნიც კუჭის ქვევით აწყვიან, სახელდობრ: ნაწლავები, ღვიძლი, თირკმელები და ელენთა, ანუ ტყირპი.

სისხლი ჯერ მიმდინარეობს ძარღვებში და ჩადის გულში, მერმე გულიდგან გამოდის და სხვა ძარღვებით ფილტვებში ადის. ფილტვები ჰკიდია მკერდში; ეს დიდი და რბილი ორგანო შემდგარია ძლიერ პაწაწ-პაწაწინა ურიცხვის მილებისაგან. ფილტვებით ჩვენ ვსუთნქავთ, ე. ი. ჰაერს ჩავისუნთქავთ და ამოვისუნთქავთ ხოლმე. ჰაერი ფილტვებში ჩადის და მერმე ისევ ზევით ამოდის სასულისა, ცხვირისა და პირის საშუალებით. როდესაც ვსუნთქავთ, ე. ი. როდესაც ჰაერსა ვყლაპავთ, მაშინ ჩვენი მკერდი მაღლა იწევს, განიერდება და ფილტვებიც იშლება; როდესაც ამოვისუნთქავთ ჰაერს, მაშინ მკერდი დაბლა დაიწევს და ფილტვებიც იკუმშება. სუნთქვისათვის საჭიროა ჰაერი, კაცი უჰაეროდ უფრო მალე მოკვდება, ვიდრე უსაჭმლოდ. რაკი ფილტვებში ამოსული სისხლი გარეთა ჰაერს შეეხება, მაშინვე ალის ფერს მიიღებს და გაახლდება, შემდეგ ფილტვებიდგან ისევ დაბრუნდება გულში, რომელიც თავისი განუწყვეტელი შეკუმშვითა და გაშლით ჰგზავნის სისხლს მთელს სხეულში; ხოლო სხეული ამ სისხლით საზრდოობს და იზრდება.

შიგნით სხეულში იმყოფება რამდენიმე უსაჭიროესი ორგანო; მათ შორის უპირველესია ტვინი, რომელიც სძევს თავის ქალაში და მძივის ხერხემალში, გული და ფილტვები,

რომლებიც მკერდში იმყოფება, და კუჭი, რომლის ბინაც მუცელია.

როდესაც ჩემს თავს სრულ-წლოვანს ვაჟკაცებს ვადარებ, ვხედავ, რომ მე ჯერ კიდევ დიდი და ღონიერი ვერა ვარ, მაგრამ უწინ უფრო პატარა და სუსტი ვიყავი. როგორც ამბობენ, მაშინ თურმე სიარული და ლაპარაკიც არ შემეძლო, მხოლოდ მე ეს დრო არ მახსოვს. გავა კიდევ რამდენიმე წელიწადი, გავიზრდები, გავხდები დიდი, ძლიერი და შევიქნები სრული კაცი. ამის შემდეგ გაივლის კიდევ ერთი ოცდა-ათი წელიწადი და დაბერებასაც ვიწყებ: ღონე დამაკლდება, პირისახე მომელმანჭება, თვალები დამისუსტდება, კბილები დამცვივა და შევიქნები მოხუცებული. შემდეგ სიკვდილის დროც მოვა: ჩემი სხეული გრძნობისა და მოძრაობის ნიჭს დაჰკარგავს, მერმე დაიშლება და გარდაიქცევა მიწად და ჰაერად, რისგანაც შემდგარია. ხოლო ჩემი სული კი არასოდეს არ მოკვდება, იმიტომ რომ ღმერთმა, თუმცა მომაკვდავი სხეული მომცა, სული უკვდავი მომანიჭა. ახლა კი ჩემი სხეული სცხოვრობს, სვამს, სჭამს და იზრდება, გრძნობს და მოძრაობს, იმიტომ რომ სიცოცხლის ნიჭი აქვს მოცემული უფლისაგან და მასში სცხოვრობს უხილავი და უკვდავი სული.

## ლუკმის დადგომა ყელზედ.

მშიერს ილიკოს საუზმედ მწვადი მიუტანეს თეფშით. დასჭრა პატარ-პატარა ნაჭრებად და დიდს სიამოვნებას მოელოდა მადიანი ჭამისაგან. აი იმან მიჰყო პირი ჭამასა. ხორცის ნაჭერი პირში მოიქცია. ენამ და კბილებმა იწყეს ჩვეულებრივი მოქმედება. ენა საჭმლის ნაჭერს სრულიად არ შორდებოდა: ხან წინა კბილების ქვეშ მოაქცევდა, რომ მათ ხორცი დაეკემსათ, ხან გადმოაბრუნებდა, ხან ძირის კბილებს შუა შეაგდებდა, რომ მათ დაეღეჭათ თავიანთი პტყელი წვერებით. ამავე დროს ხორცის ნაჭერი სველდებოდა და ბოლოს გარდაიქცა პატარა სქელ ფაფის გუნდად. ეს უკანასკნელი ცვლი-

ლება მასში მოახდინა ნერწყვმა. თუ ნერწყვს არ დაესველებინა და არ გაერბილებინა, ხორცის ჩაყლაპვა ილიკოს გაუძნელდებოდა. როცა კარგად დაღეჭა ლუკმა, ილიკომ მოუქნია ყბა და ყელში გააქანა; მაგრამ სწორედ ამ დროს დამ გააცინა. უცებ სიცილი გასწყვიტა, ხველება მორთო, პირი გაულურჯდა, თვალები ცრემლებით აევსო. რა მოხდა? ლუკმა ყელზე დაადგა. როგორ მოხდა ესა? სრულიად უბრალოდ: ლუკმამ გზა დაკარგა და სხვა ადგილას ჩავარდა. ის უნდა ჩასულიყო კუჭში, მაგრამ სხვაგან საცალა ჩაეცო. სად ჩავარდა და ჩაეცო ლუკმა?

აბა, პირთან მიიტანეთ ხელის გული და გააჩერეთ რამდენსამე ხანსა; თქვენ იგრძნობთ, რომ პირიდგან ნიავი ჰქრის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ნიავი მაშინა ჩნდება, როცა ჰაერი იძვრის; მაშასადამე, პირიდგანაც ჰაერი გამოქრის. ეს ჰაერი სუნთქვის დროს ჩაგვაქვს ჩვენ, ამოსუნთქვის დროს ამოგვაქვს და ამოვუშვებთ პირიდგან. როცა ადამიანი სჭამს და ლუკმას ლუკმაზე ჰგზავნის თავისს კუჭში, მაშინ სუნთქვა არა ჩერდება, ამ დროსაც ჩვეულებრივ თავისუფლად ვსუნთქავთ. აქედან ცხადად სჩანს, რომ გარდა იმ მილისა, რომლითაც საჭმელი კუჭში ჩადის, კაცის გვამში ყოფილა მეორე მილიც. ამ მილსა ჰქვიან სასულე. ეს იწყება პირიდგან და თავდება მკერდში ფილტვებთან. თუ საჭმელი უცებ ამ მილში ჩავარდება, მილი დაცობილი შეიქნება, კაცს სუნთქვა გაუძნელდება, ჰაერი ნაკლებად ჩავა, სული შეუგუბდება და დაიწყებს საცოდავად ხველასა.

მაგრამ ეს ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე. რადა? როგორ ხდება ისა, რომ საჭმელი თავისს გზაზე მიდის და სასულეში ძალიან იშვიათად ჩავარდება ხოლმე? ორივე მოხსენებული მილი ერთმანეთის ახლო არის ჩაკიდული ქვემოდ: წინ სძევს სასულე, უკან სასაჭმლო მილი. როცა კაცი ლუკმასა ჰყლაპავს, ენა ქვემოდ იწევს და ეფარება სასულესა, ლუკმა ენაზე ცურდება და პირდაპირ ჩადის სასაჭმლო მილში. ეს ხდება ძალიან სწრაფად და ჩაცურდება თუ არა ლუკმა, იმ

წამსვე ენა ისევ აეხდება ხოლმე სასულესა, ასე რომ ადამიანი ვერც კი იგებს სუნთქვის შეწყვეტასა. მაგრამ თუ ლუკმის ჩაყლაპვის დროს ადამიანმა გაიცინა, მაშინ სუნთქვა განშირდება, სასულეში შეუწყვეტელი ქარი გაჩნდება, ეს ქარი ენას აჰხდის სასულესა და ამ დროს შეიძლება ლუკმა უკანა მილის მაგიერად წინა მილში ჩავარდეს და სუნთქვა თითქმის შესწყვიტოს.

პირში არის კიდევ მესამე მილიც, რომელიც ზემოდ ცხვირში მიდის. როცა ადამიანი პირსა კუმშავს, მაშინ ჰაერი ცხვირიდგან კიდეც ჩადის ფილტვებში და კიდეც ამოდის უკანვე. ამ მილში საჭმელი ძალიან იშვიათად ავარდება ხოლმე, იმიტომ რომ სიმძიმე ლუკმას ქვევით ეწევა. მაგრამ სიცილის დროს ამომაქშინარს ჰაერს შეუძლიან საჭმლის ლუკმა ამ ზემოდ მილში შეაგდოს, მეტადრე თუ საჭმელი თხელია, მაგალითად: რძე, შექამანდი და სხვანი. ცხვირისაკენ მიმავალი მილიც დაიხურება ხოლმე, როცა ადამიანი საჭმელსა ჰყლაპავს. ამ სახურავს შეადგენს პატარა ენა, რომელიც სასას ბოლოზედ აბია და ქვემოდ არის ჩამოკიდული. როცა ლუკმა მიდის ყელში, ამ პატარა ენას უკანა სწევს და ის ეფარება ცხვირის მილსა. თუ ეს პაწია ენა კაცს გაუცივდა, მაგალითად, ცივის წყლის დალევის დროს, იგი გასივდება და ყლაპვას დაუშლის.

## ხუთი გრძნობა.

ყველა სალს კაცს ხუთი გრძნობა აქვს: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემოვნება და შეხება.

მხედველობის ორგანო თვალებია. თვალებში ისახება ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ: ადამიანი, ცხოველები, მცენარეები, სახლები, ბაღები, მინდვრები, მთები, ვარსკვლავები და სხვანი. ჩვენ თვალებითა ვცნობთ სხვა-და-სხვა ფერსა: წითელსა, თეთრსა, ყვითელსა, ლურჯსა და სხვასა. ხიშორესა და საგნების სახეს, ფორმას, ანუ მოყვანილობას, აგრეთვე თვალებით ვიგებთ. ამიტომ, ვინც ბრმაა და უსინათ-

ლო, რამდენიც უნდა აუხსნა, რაიმე ფერს ვერას დროს ვერ წარმოიდგენს; ამისთანა კაცისათვის სიტყვები: თეთრი, წითელი, ლურჯი სრულიად გაუგებარია. თვალი ყველა ორგანოებზედ უსაჭიროესია; ამისთვის ყველაფერს უნდა ერიდო, რაც თვალისათვის მავნებელია. მზეს თვალი არ უნდა გაუშტერო, რადგანაც ბრწყინვალე შუქი თვალებს გატკენს და შეიძლება დაგისნეულოს; აგრეთვე კითხვის ან წერის დროს თვალები წიგნთან ან ქაღალდთან ძლიერ ახლო არ უნდა მიიტანო, თორემ დაგისუსტდება და ბოლოს დაგიბეცდება. თვალები უნდა შორს ხედვას დააჩვიო. სოფლის ხალხს, რომელიც თვალებს შორს ხედვაში ავარჯიშებს, ყოველთვინ უფრო სალი და გამჭრიახი თვალები აქვს, ვიდრე ქალაქელებსა და მეტადრე მწიგნობრებსა.

სმენის ორგანო ყურებია. ყურებში ყველაფერი ხმა ისმის. ყურით ჩვენ გვესმის: ზარის რეკა, ფრინველების გალობა, ადამიანის ლაპარაკი, მუსიკის ხმა, მდინარეების შუილი, ქუხილი, ძაღლის ყეფა, ქათმის კაკანი, პირუტყვების ბღავილი. სხვა-და-სხვა ხმას სხვა-და-სხვა სახელს ეძახიან. ადამიანის ხმაურობას შემდეგი სახელები ჰქვიან: ლაპარაკი, გალობა, ძახილი, ყვირილი, სიცილი, ტირილი, გოდება, კვნესა, ოხვრა, სტვენა, ცხვირის ცემინება, სლოკინი და სხვა. ცხოველების ხმაურობა არის: ჩხავილი, ყეფა, ყმუილი, კნავილი, წივილი, ბუტბუტი, ხრუტუნი, ბზუილი, ბღავილი, ჭიხვინი, კაკანი, ღრუტუნი, ჭყივილი და სხვა. უსულო არსებათა ხმა არის: შუილი, შრიალი, ზუზუნი, ანუ ქიქინი, წკარუნი, შხივილი, რაკუნი, ჭრიალი, ტკაცანი, ჭექა, ქუხილი და სხვა. ყველა ეს ხმები ჩვენ ყურების შემწეობით გვესმის. ვინც ყრუა, იმას არ ესმის არც ადამიანის ლაპარაკი, არც ფრინველების გალობა, არც ჭექა-ქუხილი და არც სხვა ხმაურობა.

თვალ-დახუჭულსა და ყურებ-დაცობილს შეუძლიან გაიგოს, ბუხარი ცხელია თუ ცივი, მაგიდა (ანუ სტოლი) თანასწორეა თუ ხორკლიანი, ნივთი მრგვალია თუ კუთხიანი, მძიმეა თუ მსუბუქი, პატარაა, თუ დიდი, თუ თხელი, მაგარია თუ რბილი,

ხმელია თუ ნედლი, მშრალია თუ სველი. ჩვენ ეს შეგვიძლიან შევიტყოთ შეხების შემწეობით. შეხებას ვგრძნობთ ხელით, პირით, ფეხით, ერთი სიტყვით, მთელის სხეულის კანით, მაგრამ შეხების უკეთესი გრძნობა ხელის თითების ბოლოში გვაქვს.

ჩვენ შეგვიძლიან ვარდი, მიხაკი ვიცნოთ და ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, თუნდა ვერა ვხედავდეთ ამ მცენარეებს და გემოდაც არა ვნახოთ. ამის გამოცნობა სუნით შეგვიძლიან. სუნის, ანუ ყნოსვის, ორგანო ცხვირია. ვარდს, მიხაკს, პიტნას, იას და სხვებს საამო სუნი აქვს; ამისთანა მცენარეებს სუნნელოვანს ეძახიან. მაგრამ ზოგს საგანს სუნი სრულიად არა აქვს, მაგალითად, წმინდა წყალსა. ბევრს ცხოველს ადამიანზედ უფრო მახვილი ყნოსვა აქვს და საგნებს სუნით დიდს მანძილზედ იცნობს. მაგალითად: ძაღლი რამდენისამე საათის შემდეგ თავისის პატრონის გზასა პოულობს, რადგანაც გამჭრიახი ყნოსვით იღებს სუნსა და მისდევს იმისს კვალსა.

პური, ხორცი, წყალი, რძე, შაქარი და ძმარი შეგვიძლიან ვიცნოთ და ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, თუნდა არცა ვხედავდეთ, არც ვეხებოდეთ და არცა ვსუნავდეთ. ჩვენ ამას შევიძლებთ, თუ გემოდ ვნახავთ. გემოს ენითა და სასითა ვგრძნობთ. სხვა-და-სხვა რამეს სხვა-და-სხვა გემო აქვს. მაგალითად: წყალი უგემოა, შაქარი ტკბილია, ძმარი მჟავეა, მარილი მლაშეა, ხარდალი მწარეა და სხვანი. გემოთი ჩვენ ვიტყობთ სიტკბოს, სიმჟავეს, სიმწარეს, სიმლაშეს და სხვას.

თვალებითა ვხედავთ, ყურებით ვისმენთ, ცხვირით ვყნოსავთ, ანუ ვსუნავთ ენით ვგემოვნებთ, სხეულის მთელი კანით შეხებასა ვგრძნობთ. მაშ საგნების გაცნობა სხვა-და-სხვა გზით შეგვძლებია. ზოგს საგნებს თვალით ვცნობთ, ზოგს—ყურით, ზოგს—ყნოსვით, ზოგს—გემოთი, ზოგს შეხებით. ხედვითა, სმენითა და ყნოსვით საგნების გარჩევა შორიდგან შეგვიძლიან, მაგრამ შეხებასა და გემოს ვერ ვიგრძნობთ, თუ საგანი ჩვენს სხეულს არ მოეხვდა. ზოგს საგანს ყველა ხუთი

გრძნობით ვცნობთ, ზოგს—ოთხი გრძნობით, ზოგს —სამით, ზოგს—ორი გრძნობით და ზოგს—მარტოკა ერთით. მაგალითად, ვაშლს ყველა ხუთი გრძნობით ვცნობთ: ვხედავთ, რომ მრგვალია, წითელია ან ყვითელი, ხეზე ჰკიდია და სხვა; მესმის, როცა ის ზევიდგან ვარდება, გახლეჩის დროს ხმას იღებს; იმის სუნს ვყნოსავ; გემოთი ვარჩევ, ტკბილია თუ მჟავე; შეხებით ვიგებ, თანასწორეა თუ ხორკლიანი. მარილს ოთხი გრძნობით ვცნობ, რადგანაც სუნი არა აქვს. ჰაერს მარტოკა ორი გრძნობით ვარჩევ: მესმის ჰაერის ზუზუნი და იმის შეხებასაცა ვგრძნობ, მაგრამ ვერა ვხედავ, ვერა ვყნოსავ და ვერც გემოთი ვნახავ. მზესა, მთვარესა და ვარსკვლავებს მხოლოდ თვალითა ვსინჯავთ, იმათი არც ხმა ვიცით, არც სუნი, არც გემო. სითბოსა და სიცივესა ვგრძნობთ მხოლოდ შეხებით და იმათ ვერცა ვხედავთ, ვერცა ვყნოსავთ, ვერც ვისმენთ, ვერც გემოდ ვნახავთ. ამიტომ, ვინც ერთს ან ორს გრძნობას მოკლებულია, იმას ქვეყნის მთელი ცნობა არა აქვს.

ჩვენ გვგონია,—თვითონ თვალები ჰხედავსო, თვითონ ყურები ისმენსო, გემოსაც თვითონ ენა გრძნობსო, სუნსაც თვითონ ცხვირი იტყობსო და შეხებას თვითონ ტყავი გრძნობსო. მაგრამ ამაში ძალიან ვტყუვდებით. Თვალები, ყურები, ენა, ცხვირი და სხეულის ტყავი მარტო შუამავალი, ანუ ორგანო, არის და არა თვით-მგრძნობელი. ჩვენ ყველას ვგრძნობთ მარტო თავის ტვინში. როცა თვალში საგნები ისახება, ამ გამოსახულებას ვხედავთ ტვინში, რომელიც თვალის კაკალთან შეერთებულია სამხედველო ნერვით. Ეს ნერვი რომ გადიჭრას, კაცი მაშინ ველარაფერს დაინახავს, თუნდა თვალები ისევ სალი ჰქონდეს და საგნები შიგ უწინდებურად ისახებოდეს. Აქედგან ცხადად სჩანს, რომ საგნებს თვითონ თვალი არა ჰხედავს და იგი არის მარტო საშუალება, ანუ ორგანო. Ესევე უნდა ვთქვათ სმენაზედაც. ჩვენ გვგონია, ყოველს ხმას თვითონ ყური ისმენსო, მაგრამ ვტყუვდებით. Ყურს მარტო ჰაერი მიეხლება ხოლმე, ხმა კი გვესმის თავის ტვინში, რომელიც ყურთან სასმენელი ნერვით არის შეერთებული. Ეს

ნერვი რომ გაწყდეს, მაშინ ყურს კავშირი ტვინთან აღარ ექმნება და კაცი ვეღარაფერს გაიგონებს, თუნდაც რომ ყური თავის თავად სულ საღი იყოს. ასევე უნდა ვთქვათ სხვა გრძნობის ორგანოებზედაც. გემოსა, სუნსა და შეხებას ვგრძნობთ ტვინში და არა ცხვირში, არა ენით და არა სხეულის ტყავით. თუ კაცს ტვინი წაუხდა, ყველა გრძნობას დაჰკარგავს, თუნდა რომ ისევ საღი თვალები, საღი ყურები, საღი ენა და საღი ცხვირი ჰქონდეს.

### ადამიანის ნიჭნი.

მე მესმის, მეყურება, რასაც მეუბნებიან, შემიძლიან ჩემი აზრი, გრძნობა და სურვილი სიტყვით გამოვხატო და სხვას შევატყობინო. მე მაქვს სიტყვიერების, ანუ მეტყველების, ნიჭი.

თუ ვსინჯავ რასმე, ან ბეჯითად ყურს ვუგდებ ვისმე, მერმე შემიძლიან, როდესაც მსურს, მოვიგონო, რაცა ვნახე და რაც გავიგონე; შემიძლიან გაკვეთილი დავისწავლო და შემდეგ მოვიგონო და წარმოვსთქვა. ჩემის ნაცნობის კაცების სახე და სახელები მახსოვს, აგრეთვე მახსოვს მრავალის საგნის სახელები. მე მაქვს მეხსიერება.

თუ მინდა, შემიძლიან ძალიან ცხადად წარმოვიდგინო, რა სიამოვნებას გამოვივლი, როდესაც ზაფხული დადგება: როგორ ვისეირნებ, ხილს როგორ მოვკრებ, თევზს როგორ დავიჭერ, ამხანაგებთან როგორ ვითამაშებ, როგორ ვინადირებ და სხვანი. აგრეთვე შემიძლიან გონებაში ცხადად გამოვისახო ჩემის ნაცნობის კაცის სახე. ღამე ხშირად ვხედავ სიზმრებსა და სიზმარში ის მეჩვენება, რაც ნამდვილად არ არსებობს. მე მაქვს წარმოდგენის ნიჭი.

ყველაფერს მაშინვე ვერ ვიგებ, რასაც მეუბნებიან და რასაც წიგნში ვკითხულობ, მაგრამ როდესაც კარგად ამიხსნიან და ყურადღებით მოვისმენ, მაშინ ჩემთვის გაადვილდება ხოლმე შეგნება იმისი, რაც წინად არ მესმოდა. ახლა ბევრი არ ვიცი, მაგრამ უწინ უფრო ცოტა ვიცოდი; რამდენადაც ბევრს

ვისწავლი, იმდენად მომეტებული მეცოდინება და უფრო ბევრს გავიგებ; ხანდახან ზეპირად მისწავლია, მაგრამ გაგებით კი ვერ გამიგია, და როდესაც აუხსნიათ, მაშინ კარგად მივხვედრილვარ. მე მაქვს ჭკუა, ანუ გონება.

მესიამოვნება, როდესაც მაქებენ და მეჯავრება, როცა მტუქსავენ. მე მიყვარს ჩემი მშობლები, აგრეთვე ბევრი ჩემი ამხანაგთაგანი. როდესაც სიკეთეს მიზმენ რასმე, ან სხვა სიამოვნებას მაჩვენებენ, მაშინ მადლობასა ვგრძნობ. მჯავრობ, როდესაც მწყინს რამე; ვიცინი, როდესაც გამეხარდება რამე; ვსტირი, როდესაც მწუხარე ვარ. მე მაქვს მრავალი შინაგანი სულიერი გრძნობა.

როდესაც ჩემს გაკვეთილს დავისწავლი და ყველას შევასრულებ, რისაც ვალდებული ვარ, როცა არაფერი დანაშაულობა არ მიქნია, მაშინ გული მშვიდად, ნათლადა მაქვს და ტკბილს კმაყოფილებასა ვგრძნობ. მაგრამ, როდესაც ვიზარმაცებ, ან ურჩობას გავწევ, ან ვიეშმაკებ, გინდ ცუდუბრალოდ ვაწყენინებ ვისმე, მაშინ ჩემი გული აშფოთებულია და ჩემის ყოფაქცევის უკმაყოფილო ვარ. მე მაქვს სინიდისი. ეს ნიჭი სიბოროტისათვის მაწუხებს და მსჯის, სიკეთისათვის კი მშვიდობასა და სიამოვნებას მაგრძნობინებს.

ხანდახან სწავლა არა მსურს, მაგრამ შემიძლიან ჩემი თავი ძალად დავსვა საქმეზედ, რადგანაც ვიცი, რომ უნდა ვიშრომო და ზარმაცობა სირცხვილია. ზოგჯერ იმისი გაკეთება არ მინდა, რასაც მიბრძანებენ, მაგრამ შემიძლიან ჩემს თავს ძალად ავასრულებინო ჩემის მშობლებისა ან მასწავლებლების ნება, რადგანაც ვიცი, რომ ჩემთვის კეთილი უნდათ და იმათ უნდა ვემორჩილებოდე. ზოგჯერ ის მინდა, რაც სასარგებლო არ არის. მაგრამ შემიძლიან უარ·ვყო ჩემი სურვილი და ჩემს თავს გავაკეთებინო, რისაც ვალდებული ვარ. მე მაქვს ნება.

მე არ მინახავს და ვერცა ვნახავ ღმერთსა, იმიტომ რომ იგი არის სული უხილავი; მჯერა კი, რომ იგი არსებობს, ყველაფერსა ჰხედავს, იცის ყველა, მთელს ქვეყანას განაგებს,

უყვარხართ ჩვენა და ყველასათვის სიკეთე სურს. მე მრწამს ღმერთი.

ზოგჯერ ვგიჟობ, ზოგჯერ ვზარმაცობ, ზოგჯერ ვჯავრობ, ზოგჯერ ურჩობასა ვწევ, ხან კიდევ ბოროტს რასმე ჩავიდენ, ხან ტყუილსაც ვიტყვი ხოლმე, მაგრამ მე მაქვს სურვილი, რომ ჭკვიანი გავხდე, ბევრი ვიცოდე, ვიყო მორჩილი, მართლის მიმყოლი და კეთილი. მე შემიძლიან ასეთი შევიქმნე, თუ ვეცდები. მაქვს სურვილი და შეძლება გაუკეთესებისა, გაუმჯობესებისა.

ყველა ეს ნიჭიერებანი: სიტყვიერება, ანუ მეტყველება, მეხსიერება, წარმოდგენილება, ჭკუა, სინიდისი, ნება, სარწმუნოება, სურვილი გაუკეთესებისა სულიერ ნიჭიერებად იწოდება.

კაცის სხეულში სცხოვრობს უხილავი სული, რომელიც მას აცოცხლებს; უამისოდ სხეული მკვდარი იქნებოდა,—არც გრძნობა, არც მოძრაობა არ შეეძლებოდა, თუნდა სადღიცა ჰქონოდა თავისი ყველა ორგანოები.

ასე, კაცისათვის ღმერთს მოუცია მშვენივრად აგებული სხეული, მიუნიჭებია სიცოცხლე თავისუფალი, გონიერი და უკვდავი სული, რომელსაც სიკეთე სურს და ქვეყნის შემომქმედი სწამს.

### საოცარი სახლი.

(გამოცანა).

მე ვიცი საოცარი სახლი, შემკული ყოველი სოფჯახო მოწყობილობით. შიგა ბრუნავს წისქვილი, შიგვე არის სამზარეულო, სადაც განუწყვეტლივ დღე და ღამ საქმელი მზადდება. ეს სახლი სავსეა მრავალი შინაგანი სადგომებით, და ამ სადგომებზე მარდი მოსამსახურეები მიარბენინებენ საქმელს ყოველს კუნჭულში. ამ სახლშივე არის დაუღალავი ეკონომოსი. არც დღისითა და არც ღამით ძილი ერთს წამსაც არ მოუვა. განუწყვეტლივ გააქვს რაკა-რუკი და ერეკება მარდს მოსამსახურეებს აქეთ-იქით კუნჭულებში, სადაც კი სა-

ქიროა საჭმელი, სასმელი და სითბო. ამ სახლში არის ვეებერთელა დარბაზი, სადაც თავისუფლად შედის წმინდა ჰაერი; არის აგრეთვე ორი პატარა ნათელი ფანჯარა სახურავებითა; ღამით ეს სახურავები იხურება, დღისით კი ღიაა. ამ სახლში სცხოვრობს უხილავი მანდილოსანი. იმისი ნახვა არავის შეუძლიან, მაგრამ მთელს სახლს კი იგი განაგებს და განაცხოველებს. ამ მანდილოსნისათვის ირჯება ეკონომოსი, მისთვის სცდილობენ მარდი მოსამსახურეები, სწორედ ის იცქირება პატარა ნათელი ფანჯრებიდგან, ასწევს და დასწევს სახურავებსა. მანდილოსანი რომ მიდის ამ სახლიდგან, ყველაფერი დუმდება; ეკონომოსი რაკა-რუკს ფიცხლავ სწყვეტავს, მოსამსახურეები ზედ გზაზედ შეშდებიან. სახურავები ეფარება პატარა ფანჯრებსა, და მთელი სახლი შეიქმნება ჩუმი, ცალიერი და ცივი. მაგრამ სად მიდის მანდილოსანი? იქ, საიდგანაც მოსული იყო — ზეცას. ქვეყანაზედ იგი მხოლოდ სტუმარია და სცხოვრობს დროებით სახლში, რომელიც მისის წასვლის შემდეგ მტვრად იქცევა ხოლმე.

## ქვისა და მცენარის განსხვავება.

ყველა მცენარე ჯერ პატარაა, მერე იზრდება. ვსთქვათ, მებაღემ ბაღში ვაშლის ნამყენი ჩარგო. თავდაპირველად ეს ნამყენი რამდენისამე მტკავლის სიმაღლეა, მაგრამ თანდათან ყოველს წელიწადს სიმაღლეც ემატება და სისქეც. რამდენსამე წელიწადს უკან დიდ ხეხილად გარდაიქცევა და ხილს მოისხამს. ქვას ეს თვისება სულ არა აქვს; მცენარესავით არ იზრდება: ერთს ალაგას რომ ასი წელიწადი ეგდოს, არც სიმაღლე მოემატება, არც სისქე. რა არის მიზეზი ამ განსხვავებისა? აი რა: მცენარეს მიწაში ფესვები გადგმული აქვს, ამ ფესვებით მიწიდგან სინოყივრესა სწოვს, როგორც ყმაწვილი თავისს დედის ძუძუსა, ამ სინოყივრეს მერე წვნად გადააკეთებს, როგორც ყმაწვილის მუცელი რძეს სისხლად გარდააქცევს ხოლმე, და იმ წვენიდგან ტოტები და ფოთლები ეზრდება. საჭმელს გარდა, მცენარე ჰაერითაც საზრდოობს, რომელსაც

### ცხოველისა და ადამიანის მსგავსება და განსხვავება.

ცხოველი და ადამიანი ერთმანეთს იმითი ჰგვანან, რომ ორივეს სიცოცხლე აქვს მინიჭებული, ესე იგი იბადებიან, სჭამენ, სმენ, იზრდებიან, მრავლდებიან, მერმე ბერდებიან და ბოლოს იხოცებიან. ამ მხრივ ადამიანს მცენარეცა ჰგავს. ამას გარდა, ცხოველსავით ადამიანსაც თავისუფალი მოძრაობა შეუძლიან: როცა უნდა, ზეზე სწორედ დგას, როცა უნდა, წევს, ხან დადის, ხან დარბის. ცხოველსავით ადამიანს შეუძლიან ამოძრაოს სხეულის ყოველი ასო: ხელი, ფეხი, თავი, ტანი და სხვანი. როგორც ცხოველს, ისე კაცს ხუთი გრძნობა აქვს. როგორც ადამიანს, ისე ცხოველს რამდენისამე წლის გამოცდილება ახსოვს, ესე იგი მეხსიერება აქვს. ცხოველები ადამიანივით მოსაზრებას იჩენენ: თავისს დაცვაში, საჭმლის შოვნაში, ბინის ძებნაში, ბუდის კეთებაში, შვილების ყოლაში, იმათს აღზრდაში და სხვა მოქმედებაში.

მაგრამ განსხვავება კი ბევრით უფრო დიდია ადამიანსა და ცხოველს შუა.

ადამიანი ყოველს თავისს გრძნობასა, სურვილსა და აზრს სიტყვით გამოსთქვამს ხოლმე. ეს არა პირუტყვს არ შეუძლიან; მეტყველებას ცხოველი მოკლებულია. იმას შეუძლიან სხვა-და-სხვა ხმით მხოლოდ თავისი შინაგანი მდგომარეობა გამოხატოს, ისიც გაურკვევლად. აზრისა ან სურვილის სიტყვით გამოთქმა ცხოველისთვის სრულიად შეუძლებელი საქმეა.

წარმოდგენის ნიჭიც მარტო კაცის საკუთრებაა. იმას შეუძლიან გონებაში ცხადად გამოიხატოს დაშორებული საგნები, რომლებიც იმაზედ სულ არ მოქმედობს. ყველა განათლებული კაცი კაცობრიობის წარსულს ცხოვრებას ცხადად იდგენს, მომავალზე ფიქრობს და სხვა. ამიტომ ადამიანი მარტო აწმდგომს არა სჯერდება, ამასთან იგი სცხოვრობს წარსულითაცა და მომავალითაცა. ამ ნიჭსაც ცხოველები სრულიად მოკლებულნი არიან; იმათს გონებაში მხოლოდ ის იხატება, რაც თვალ წინ უდგათ, რასაცა ჰხედავენ, რასაცა გრძნობენ. ცხადი

წარმოდგენა შორეულის საგნისა, თუნდა ეს საგანი პირუტყვს რამდენჯერმე ენახოს, იმისთვის შეუძლებელია. აწმდგომს ცხოველის გონება ვერ გასცილდება, — იმისთვის არ არსებობს არც წარსული და არც მომავალი. ამიტომ თავისის ტომის ისტორიის ცოდნა პირუტყვებისთვის შეუძლებელია.

მიზეზთა გამოძიების ნიჭიც მარტო ადამიანის თვისებაა. რად გვშორდებიან ზამთრობით ფრინველები; საიდგანა ჩნდება წვიმა, თოვლი, სეტყვა; ზამთარში რადა ცივა და ზაფხულში რად ცხელა? — ეს აზრები ყველა მახვილ-გონებიანს ყმაწვილს მოსდის გონებაში. როცა ჭკუა მოემატება, მაშინ უფრო მძიმე საგნებზე დაიწყებს კითხვას: ვინ გააჩინა ადამიანი ქვეყანაზედ?; ვინ შექმნა თვითონ ქვეყანა? ცაში ვარსკვლავები ვინ ჩამოჰკიდა? ერთი სიტყვით, ადამიანი ყოველის საგნისა და მოქმედების მიზეზს იძიებს. ამ ნიჭსაც ცხოველები, მეტადრე დაბალნი, სრულიად მოკლებულნი არიან. უგონიერესი ცხოველები: ძაღლი, სპილო, მაიმუნი თუმცა თავისს ზოგს მოქმედებაში მიზეზის გამოძიების ნიჭს იჩენენ, მაგრამ ძალიან მცირედ. უბრალო მაგალითით ავხსნი ამას: ცხენი საბლით ხეზედ არის საძოვრად მიბმული; გარშემო ტრიალი დაიწყო; მთელი საბელი ხეზე შემოეხვია; ცხენი ბალახს ვეღარა სწვდება და სიმშილი აწუხებს. ამ პირუტყვს არას დროს არ მოუვა აზრად, რომ თავისის ცუდის მდგომარეობის მიზეზი გამოიძიოს. იმდენს ვერას დროს ვერ მოიაზრებს, რომ უკუღმა გატრიალდეს და საბელი ხეს მოაშოროს. რასაკვირველია, ზემოდ მოყვანილი კითხვები ცხოველებს ხომ სრულიად არ მოუვათ გონებაში. ამიტომ ქვეყნის გამჩენს ღმერთზედ ცხოველებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ.

ადამიანს გაუმჯობესების ნიჭი და სურვილი აქვს. ყველა ყმაწვილს უნდა, რომ ჭკვიანი, კეთილი და სახელოვანი კაცი გამოვიდეს. ყველა ადამიანი ცდილობს თავისი ცხოვრება და გარემოება უფრო და უფრო გააუმჯობესოს. ამ სურვილს საზღვარი არა აქვს. სწავლულს კაცს უფრო მეტი სწავლა სურს, მდიდარს — უფრო კიდევ მომეტებული სიმ-

დიდრე, ოსტატს—უკეთესი ოსტატობა. ცხოველები ამ გვარს სურვილსა და ნიჭიერებას თითქმის არ იჩენენ. რაც იციან, იმაზე მომეტებული სწავლა არა სურთ. ბევრი ფრინველი ოსტატურად აკეთებს თავისს ბუდეს, მაგრამ ოსტატობის წარმატებაზე სულაც არ ზრუნავს და როგორც ყმაწვილობაში იკეთებდა ბუდეს, ისე სიბერეში იშენებს. ამიტომ ადამიანები თანდათან უფრო და უფრო წინ მიდიან განათლებით და კეთილი ცხოვრებით, პირუტყვები კი ისევ იმ მდგომარეობაში არიან, როგორშიაც უწინ იყვნენ.

ადამიანს ესმის, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. როცა კეთილს საქმეს აასრულებს, გულში სიამოვნებასა გრძნობს; როცა ბოროტს ჩაიდენს, მაშინ სწუხს და გულში იტანჯება. ერთი სიტყვით, ადამიანს სინიდისი აქვს, რომელიც კეთილისთვის აჯილდოვებს და ბოროტისთვის სჯის. პირუტყვი ამ ნიჭსაც მოკლებულია. იმისთვის კეთილი და ბოროტი ორივ ერთია, განსხვავებას ვერა ჰხედავს. როცა მავნებელს საქმეს ჩაიდენს, პირუტყვი არა სწუხს; როცა სასარგებლოს რასმე მოიქმედებს, სიამოვნებას არა გრძნობს. ვთქვათ, ადამიანს ჩხუბში კაცი უნებურად შემოაკვდა; ამის შემდეგ სინიდისი აღარ ასვენებს, აწუხებს და სწვავს. ცხენმა წიხლი ჰკრა თავისს პატრონს და სული გააყრევინა; რასაკვირველია, დიდად ბოროტი საქმეა, მაგრამ ცხენი შეწუხებას არა გრძნობს. სახლს ცეცხლი წაეკიდა, პატარა ყმაწვილი შიგ მოჰყვა, ერთი გულადი კაცი ცეცხლში შევარდა, ყმაწვილი გამოიტაცა და სიკვდილს გადაარჩინა. რასაკვირველია, სინიდისი ამას დიდს სიამოვნებას და კმაყოფილებას აგრძნობინებს. ვსთქვათ, სახლში ქურდები შეიპარნენ, ძაღლმა შეიტყო, ყეფა ასტეხა, პატრონმა გაიღვიძა და სახლი გაქურდვას გადაარჩინა. კეთილი საქმეა, მაგრამ ძაღლს არ უხარიან, სასარგებლო საქმე ჩავიდინეო.

ადამიანს შეუძლიან ჰშიოდეს, საჭმელი ჰქონდეს, მაგრამ მოითმინოს და არა სჭამოს; სწყუროდეს და წყალი არ დალიოს; ძილი ეროდეს და არ დაიძინოს. ერთი სიტყვით,

ადამიანს შეუძლიან თავისი სურვილი არ აასრულოს, თუ მოინდომა. მაგალითად: მარხვაში ზოგს სასხნილოს ჭამა უნდა, მაგრამ ითმენს; დიდ-მარხვაში ზოგი რამოდენიმე დღით პურს სულ არ გაიტარებს პირში, თუმცა საშინლად ჰშიან. ერთი სიტყვით, ადამიანი თავისუფალია. პირუტყვებს არც ეს თვისება აქვთ მინიჭებული. თავისის სურვილის სრულნი მონანი არიან,—მოთმინება სრულიად არ იციან.

---

## წელიწადის დრონი
## საქართველოში.
### ზამთარი.

ზამთარში მზე თუმცა ანათებს ქვეყანას, მაგრამ ძალიან ნაკლებად ათბობს. ცაში მზე ძლიერ ცოტა ხანს რჩება, გვიან ამოდის, ადრე ჩადის; დღე ძალიან პატარაა, ღამე კი მეტად დიდი. ამიტომ ზამთარში ცივა. ჩვენს საქართველოში ზამთარი გრძელი არ იცის, ბევრი, ბევრი სამი თვე გასტანოს: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. მაგრამ სხვა ქვეყნებში, რომელიც ჩვენგან ჩრდილოეთისკენ არის, ხანგრძლივი ზამთარი იცის. მაგალითად, რუსეთში ზამთარი ხუთ-ექვსს თვეს გასტანს ხოლმე და მასთან დიდი ყინვები სდგას. ჩვენს ქვეყანაში კი ზამთრობით ზომიერად ცივა; ხან ისე გაივლის მთელი ზამთარი, რომ მიწაზე დადებული თოვლი ორჯერ თვალით ვერა ვნახოთ. მაგრამ ამისთანა ხმელი ზამთარი ჭინახულს ძლიერ ახდენს. თოვლიანი ზამთარი სასარგებლოა; თოვლს ქვეშ უფრო თბილა, თოვლი მიწაში ჰაერის ყინვას არ უშვებს; ამიტომ როცა ნათესს ზევიდგან თოვლი აძევს, უფრო თბილად, სალად ინახება და ზაფხულში კარგი მოსავალი მოჰყავს.

ცივს ზამთარში მდინარეები მთლად იყინება, ყინულზე გადი-გამოდიან ქვევითა კაცები; თუ ყინული სქელი და მაგარია, მაშინ ურმები და მარხილებიც ზედ გააქვთ. მინდორი ამ დროს სულ ტიტველაა და ზედ ცივი ქარი თავისუფლად დასეირნობს. ხეებს შემოდგომაზე ფოთლები სცვივა და ზამ-

თარში გაშიშვლებული სდგას. ტოტებზე ფოთლების მაგივრად თოვლის ბარდანები და ყინულის ლოლუები ჰკიდია. ტიტველა ტყიდგან მწვანედ მარტო ფიჭვი და ნაძვი მოსჩანს.

ზამთარში ტყე და მინდორი დაობლებული სდგას, სულდგმულით ძლიერ ღარიბი არის. მწერი ამ დროს სრულიად გამქრალია: არსადა სჩანს არც ბუზი, არც კოღო, არც სხვა-და-სხვა ჭიები. სად არიან? ზოგნი დაიხოცნენ, მხოლოდ მიწაში ჩაფლეს თავისი კვერცხები, რომელთაც გაზაფხულის მზე გამოსჩეკს; ზოგი ძირს მიწაში ღრმად ჩაძვრა და იქა სცხოვრობს მთელს ზამთარს. ასე სჩადიან ჭიანჭველები და სხვა ამგვარი მწერები. ცოცხალს მწერებს მთელს ზამთარს განუწყვეტლივ სძინავთ და მხოლოდ მაშინ იღვიძებენ, როცა გაზაფხულის მზე მიადგებათ.

უმეტესი ნაწილი ფრინველებისა ამ დროს თბილს ქვეყნებში ატარებს ცხოვრებასა. ზოგი ფრინველები ჩვენთან არიან დარჩენილნი, მაგრამ ისინიც მყუდრო და თბილს ადგილებს ეძებენ და მინდორში იშვიათად გადიან. სიცივე და უსაჭმლობა სრულიად უკარგავს ჩვეულებრივს სიმხიარულესა და სიცელქეს. მომეტებული ნაწილი დაღონებული და ფრთებ ჩამოშვებულია. რადგანაც ფრინველები მინდორში საჭმელს ვერა შოულობენ, სოფლების ახლო ბინავდებიან. კაჭკაჭები, ყვავები და ჩიტები საბძლებს ძლიერ ეტანებიან. რისთვის? იმისთვის, რომ საბძელში ბზეს პურის მარცვლები ურევია; ბზესა ჰქექავენ, მარცვლებსა პოულობენ და იმით იკვებებიან. მაგრამ ძვირად უჯდებათ საჭმლის შოვნა, მეტადრე ჩიტებს. სოფლის ბიჭები საბძლის ბოლოს ბადეს უგებენ, კარებიდგან უქშევენ და ბევრს ჩიტს იჭერენ. საცოდავი სანახავები არიან სიცივეში ჩიორები. სადღაა იმათი ზაფხულის ციბრუტივით ტრიალი, მარდი ხტუნვა, ცქვიტი ფრენა და მხიარულად ჟივილ-ხივილი. სიცივე ყველაფერს ავიწყებს. ჩიტები მობუზულნი და მშიერნი საბძლის საყვავეზედა სხედან და საცოდავი ხმით ჰყივიან. მერ იქცევიან ჭკვიანად, რომ სხვა ფრინველებს სამხრეთის ქვეყნებში არ გაჰყვებიან ხოლმე.

ნადირთა უმეტესი ნაწილიც ზამთარში ბუნაგებსა, სოროებსა და ხის ფუღუროებს მოსძებნის ხოლმე. აქ ნადირნი დიდის სიცივის დროს ხანგრძლივს ძილს ეძლევიან; მაგალითად: ზღარბი, დათვი, ვირ-თაგვა და სხვანი. ციყვი კი ზამთარს ბევრს არას ეპუება და თავის მოძრავს ცხოვრებას არც სიცივეში იშლის. ზაფხულში ბლომად შეაგროვა კაკალი, ზამთარში ხის ფუღუროში ზის, მხიარულად ამტვრევს და შეექცევა. შინაური პირუტყვები ამ დროს თბილს ბოსლებში უბიათ. ცხენები, კამბეჩები, ხარები, ძროხები და ცხვრები სიცივისა და სიმშილისაგან დაიხოცებოდნენ, ზამთარში რომ გარედ სცხოვრობდნენ. მინდვრის ნადირი კი დიდს შეწუხებაშია. სიცივე და სიმშილი ზამთარში ჩააშხამებს ხოლმე იმათ ზაფხულში ტკბილად გატარებულს დროს. სიმშილისაგან გაცოფებული მგელი მთელი დღე და ღამე ტიტველა მინდორში დარბის, მაგრამ ბევრს ვერაფერს შოულობს; მეცხვარეს ცხვარი მაგარს ბოსელში ჰყავს, მეღორეს ღორი საღორეში უმწყვდევია,—თიქნისა და გოჭების ხორცით პირს ველარ იტკბანურებს; მთელი ღამე მინდორში დაწანწალებს, იქნება გარედ სადმე ცხენი ან სხვა შინაური პირუტყვი დარჩენილიყოსო. თუ გლეხ-კაცს მართლა საქონელი როგორმე გარედ დარჩა, იმედი უნდა გარდაიწყვიტოს: უთუოდ მშიერის მგლის წერა გახდება. სიმშილი მგელს დიდს გაბედულობას აძლევს; ღამ-ღამე სოფელში შემოვარდება ხოლმე და სკდილოს ან ღორი მოიტაცოს, ან ბატი. ამ დროს მგელი გლეხ-კაცს ბევრს ზარალს აძლევს. არც გლეხ-კაცი აყრის ხეირს: ბევრი მგელი ტყვიის წერა გახდება ხოლმე.

ზამთარში გლეხ-კაცს ისე ბევრი საქმე არა აქვს, როგორც სხვა დროს, მაგრამ უსაქმოდ კი არც ეხლა რჩება. მოახლოვდება თუ არა ზამთარი, გლეხ-კაცი ზამთრეულად მოეწყობა ხოლმე. ზაფხულში და შემოდგომაზე პური და ღვინო მოიმზადა, ახლა უნდა შეშაც საკმაოდ მოიტანოს. თუ ჯერ თოვლი არ არის დადებული, გლეხ-კაცი ურმით მიდის შეშაზედ, თუ თოვლი ძევს, მაშინ შეშა მარხილით მოაქვს. დიდს

წვალებას ითხოვს შეშის მოტანა, მეტადრე თუ ძლიერ ცივა. ზოგჯერ გზაზე საწყალს გლეხს კორიანტელი აუდგება და დიდს გაჭირვებაში აგდებს; ხან ფეხებსა და ხელებს შინ დამზრალს მოიტანს ხოლმე. თუ ბუქი, ანუ კორიანტელი, ავია და ტრიალს მინდორზე მოასწრო, მაშინ შეუძლიან გლეხ-კაცი სულაც დაარჩოს. ამ გვარი შემთხვევა ძლიერ ხშირია ცივ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენშიაც კი მოხდება ხოლმე. ზამთარი დასვენების დროა მხოლოდ იმ გლეხ-კაცისთვის, რომელსაც საკმაოდ აქვს პურიც, ღვინოც, შეშაც და თბილს სახლშიაცა სცხოვრობს. მაგრამ, საუბედუროდ, გლეხებში ამისთანა ბედნიერნი ცოტანი არიან.

ზამთარში ვდღესასწაულობთ იესო ქრისტეს შობას, ნათლის-ღებას და მირქმას, აგრეთვე ახალ-წელიწადსა.

**ზ ა მ თ ა რ ი** (ლექსი).

(ყმაწვილის მოგონება).

გხედავ, გხედავ, დაგვიზამთრდა, მომაგონდა მე ზამთარი,
მომაგონდა პაწიობა, მომაგონდა მე სახლ-კარი;
მახსოვს, როცა პატარა ვიყავ, მიხაროდა თოვლის მოსვლა,
თოვლის გუნდის გაკეთება, სროლა თავში, გორვა, მოსვრა.
შვილდ-ისარით მაშვსა ვდევდით, ჩიტს ვუდგამდით კაკანათსა,
ლასტს ვუგებდით ბეღურაებს, ვერ გვხედავდნენ მუხანათსა.
შევებმოდი მე ციგაში და ზედ მიჯდა გოგიელა,
გადაბრუნდის ჩვენი ციგა,—კოტრიელა, კოტრიელა!..
ბიჭები თავს შევიყრიდით, ვხტოდით, ვჭიდაობდით ყველა,
ხან ერთი ძირს, ხან მეორე,—ჰქერი, ბიჭო, კოტრიელა!..
დაღალულნი, გათოშვილნი მივდიოდით დამე შინა,
მაგრამ ყინვამ და სიცივემ ვერც ერთი ვერ შეგვაშინა...
მეორე დღეს ყინულზედა ვცურაობდით ნელა-ნელა...
უკან კოპი, შუბლზე კოპი, კოტრიელა, კოტრიელა!..

რ. ერისთავი

**მ ე კ ვ ლ ე ვ ი** (ლექსი).

შემოვდგი ფეხი, გილოცავთ, გწყალობდეთ წმიდა ვასილი,
იმისი მადლით იყავით პურით და ღვინით აღვსილი!

ჩემს ნაფეხურსა კვალი აჩნს წმიდისა ანგელოზისა:
ისა გლოცავდეთ, გფარვიდეთ, უფლის მარჯვენით რომ ზის!
გულზე ხატ-დასვენებული მოვდივარ, მომიხარიან,
მადლი უფლისა მომიძღვის, წმიდანნი ჩემთან არიან;
თელის ტაბაკი მიჭირავს, სანთლებით გაჩაღებული,
ზედ ხორბალია, პურ-ღვინო, ოქრო და ვერცხლი ქებული;
ზედვე აწყვია: ვაშლები, ალვა და გოზინაყია,
ქერი, თაფლი და ჩურჩხელა და ერთიც პატარა ტყვია*).
ეს მოხვდეს თქვენსა მოშურნეს და დაგიმარცხდეთ მტერია;
განათლდეს ჩვენი ქვეყანა, გამრავლდეს ჩვენი ერია!..

რ. ერისთავი.

## გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი.

დღე დეკემბრიდგანვე მატულობს; ცხრა მარტს დღე ღამეს სრულიად უსწორდება და გაზაფხული ამ რიცხვიდგან იწყება. ამ დროიდგან მზე უფრო და უფრო გვიახლოვდება, სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენ მაღლა-მაღლა მოდის, უფრო ადრე ამოდის და გვიან ჩადის, ამიტომ დღე დიდდება, ღამე კი თანდათან პატარავდება. რამდენიც დრო გადის, იმდენი მზე უფრო გვიპირდაპირდება და თავის სხივებს უფრო დასწვრივ ჰგზავნის. ამიტომ ქვეყანა თანდათან თბება. თოვლი მინდორსა და მთებში დნება, ყინული წყალში თხელდება, ტყდება და წყალს მიაქვს. მდინარეები საშინლად ადიდდნენ; რუებში წყალი აღარ ეტევა: ნაპირებზე გადმოდის და გარშემო მინდვრებსა რწყავს. მდინარეებში გასვლა ძნელი ხდება. რომელს მდინარეშიაც პატარა ბიჭები კვლავ ფეხით გარბი-გამორბოდნენ, ამ დროს ურმითაც ველარ გადიან. ზოგიერთს მთის ღელეში, სადაც მზე ვერ უდგება, თოვლი გაზაფხულის სითბოს ჯერ კიდევ უძალიანდება, მაგრამ ტყუილად: ბრწყინვალე მზე ამ თოვლსაც მალე აქცევს წყლად და ადიდებულს მდინარეში გაჰგზავნის.

*) უწინდელს დროში საქართველოს მეფის წინ ტყვიას დაანარცხებდნენ ხოლმე ახალი წლის მილოცვის დღესა და იტყოდნენ; «შენს მტერს გულშიო!»

გაზაფხული ყველგან ერთს დროს არ იწყება. სამხრეთისკენ მდებარე ქვეყნებში უფრო ადრე დადგება ხოლმე. რომელი ქვეყანაც ჩრდილოეთისკენ არის, ის უფრო გვიან მოესწრება ხოლმე გაზაფხულს. მაგალითად, აპრილში ჩვენში მინდვრები მწვანითა და ყვავილებით არის მოფენილი, რუსეთში კი ამ დროს ჯერ ისევ თოვლი ძევს. თებერვალში ჩვენში ისევ ზამთარია, სპარსეთში კი ამ დროს გაზაფხულია გაჩაღებული.

გაზაფხულის სითბომ მთელი დედამიწა გაალვიძა. პიდო თუ არა თოვლი, ველზე მაშინვე მწვანე ბალახმა თავი ამოყო. ნათესმა მინდორმა იწყო საამური ბიბინი მწვანე ხავერდივით. აქა-იქ ადრეული ყვავილებიც გაიშალა. გაზაფხულის სითბომ ხეებიც ზამთრის ძილიდგან გამოაფხიზლა; ჯერ კოკორი გამოიტანა ხეებმა, მერმე თეთრი ყვავილები გადაიშალა და ბოლოს ხშირი ფოთლებით შეიმოსა. ყველაზედ ადრე ნერგმა გამოიფოთქა მწვანედ. დიდგულა, ცაცხვი, მურყანი, მუხა, ნეკერჩხალი ერთი მეორის შემდეგ საამურად იშლება და იფოთლება. ტყე, სადაც ზამთარში კაცის თვალს არაფერი დაემალებოდა, სრულიად იბურება, ასე რომ შიგ აღარაფერი სჩანს. მინდორი შეღერებული ბალახით აივსო; მრავალი ყვავილი გაიშალა. ზამთარში ბუნება ყოველთვის ერთ-გვარია; კაცი სულ ერთსა და იმავე თოვლს ან ტიტველა მიწასა ჰხედავს; გაზაფხულზე კი ყოველს დღეს ახალ-ახალი რამე ჩნდება: აქ მტრედის ფერმა თაგვის-ყურამ თავი ამოყო; იქ გაიშალა ზამბახი და გარშემო საამური სუნი მოჰფინა; აქ მწვანეში ელვარება დაიწყო მარწყვის პატარა თეთრმა ყვავილმა, რომელიც გაზაფხულის გასულს დაწითლდება და გემრიელ ხილად გარდაიქცევა. ბალი, ვაშლი, მსხალი, ნუში, ატამი იმოსება ზოგი თეთრი და ზოგი თეთრ-წითელი ყვავილითა.

გაზაფხულს თან მრავალი ფრინველი მოსდევს. აგერ, რაღამაც მაღლა ცაში დილით ზარივით სიმღერა შემოსძახა; ეტყობა, ტოროლა მოსულა. პატარა ხანს უკან მარდი და კეთილი მერცხლებიც გვეწვევიან. შროშანი, მოლაღური, ღაღღა, მწყერი, გუგული ერთი მეორის შემდეგ ჩვენს ქვე-

ქანაში სიხარულით მოდიან. მინდორი, ტყე და ჭალა სხვა-და სხვა ფრინველებით ივსება. ამათი გალობა და ჭიკჭიკი, ქუჩული და სტვენა მთელს ბუნებას აღვიძებს. წეროები, გარეული ბატები და იხვები, მაღლა ჰაერში დამწკრივებულნი, ჩრდილოეთისკენ მიდიან. ბულბულიც მალე გააბედნიერებს ჩვენს ქვეყანას თავისი მოსვლით და ჰალას სანატრელს ლექსებს დასძახებს. ზოგიერთი მოსული ფრინველები ჩვენში არ ჩერდებიან, ჩრდილოეთისკენ მიდიან: მაგალითად, წეროები და გარეული ბატები. უფრო ბევრი კი მთელს ზაფხულს ჩვენთან რჩება. რომელნიც ჩვენთან რჩებიან, ბუდის კეთებას იწყებენ: დაფრინავენ, ქუჩიან, ირჯებიან, აგროვებენ ხის ხმელს ტოტებს, ჩალას, ხავსსა, ბუმბულსა და თავისს მომავალს შვილებს ბინას უკეთებენ. ბუდრუგუნა ჭიანჭველები, ჭრელი პეპლები, უშნო ბუზანკალები მრავალნი ჩნდებიან. ძაღის შემაწუხებელი კოღო, ქინქლა და სხვა მფრინავი და მცოცავი მწერები, რომელთა ხსენებაც არსად იყო ზამთარში, გაზაფხულზედ ათასობით მოჰფენენ ხოლმე მიწას და ჰაერს. მხნე ფუტკარი, რომელმაც მთელი ზამთარი თბილს სკაში ძილით გაატარა, გაზაფხულზედ იფხიზლებს, თავისს წმიდა სანთლის ოთახს თავს ანებებს, ბზუილით მიფრინავს ყვავილებისკენ და იქ ტკბილს წვენს აგროვებს თაფლის გასაკეთებლად.

ზაფხულის მზემ ნადირებიც გაალვიძა: დათვმა, ზღარბმა, ციყვმა და სხვებმა ბუნაგებს, ხის ფუღუროებს თავი დაანებეს და ტყე-ჭალას მოედენენ. ძაცი ნადირთ იშვიათად ჰხედავს და ამიტომ არ იცის, თუ იმათ რა რიგად უხარიანთ გაზაფხულის დადგომა. მაგრამ შინაურს საქონელს კი ყველა ამჩნევს სიხარულსა და სიამოვნებას. ეს საცოდავები მთელს ზამთარს ბოსელში ტუსაღებივით იყვნენ დამწყვდეულნი; იქ სტბილოდათ და საჭმელიც საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ მოშორებულნი იყვნენ გამაცოცხლებელს მზის შუქსა, წმინდა ჰაერსა და თავისუფალს მოძრაობას. მწვანე და ნოყიერის ბალახის მაგიერად მთელს ზამთარს ხმელი თივით, ფუჩეჩით და ბზით იკვებებოდნენ. მოვიდა გაზაფხული და ამ გვარის შემავიწრო-

ვეზელის ცხოვრებიდგან შინაური საქონელი გამოიხსნა. ამიტომ დიდს სიხარულში არიან. ბოსლიდგან გამოშვების შემდეგ თავისს სიამოვნებას კუნტრუშით იჩენენ. ისინიც კი და-



ხტიან, რომელნიც ზამთარმა ისე დაამქლევა, რომ სიარულის დროს ფეხები ეხლართებათ სისუსტის გამო.

ეს დრო ადამიანისთვისაც დიდად სასიამოვნოა. გაზაფხულის სითბო აფხიზლებს მას, წმინდა და შეზავებული ჰაერი მთელს სხეულს სიცოცხლით უვსებს, მწვანე მინდორი, სუნნელოვანი ყვავილებით დაფენილი, იმისს თვალს იტაცებს და დიდს კმაყოფილებას აგრძნობინებს; ფრინველების ჭიკჭიკი და მრავალ გვარი გალობა იმის ყურსა და სმენას ტკბილად შეაქცევს. ერთი სიტყვით, ამ დროს ბუნება სიამოვნებით სავსეა. მაგრამ ვინც ბუნებაზედ უფრო ახლოა, იმას ამგვარის სიამოვნებისთვის არა სცალიან. გლეხ-კაცებს მუშაობის დრო მოუვიდათ. გაზაფხულის მზე გარედ გასარჯელად იწვევს. იმათაც არ ეზარებათ. ზამთარმა თითქმის სულ გამოულია პური, ქერი, სიმინდი, შვრია, ფეტვი, ბზე, თივა. უნდა მუშაობას შეუდგნენ, რომ მომავალის ზამთრისათვის უსაზრდოოდ არ დარჩნენ. ტყავები და ნაბდები, რომლებშიაც მთელს ზამთარში გახვეულნი იყვნენ, გლეხ-კაცებმა მოიხსნეს და სადმე კუნქულში მეორე ზამთრისთვის შეინახეს. სამუშაოდ გაემზადნენ. ზოგი ურემს ჰმართავს, ზოგი გუთანს აკეთებს, ზოგი ფარცხსა სწნავს. ვისაც ვენახი დამარხული ჰქონდა, ვაზები ააყენა,

გასხლა და სარები შეუდგა. გუთნებიც შეიბა; ჰხვნენ საგაზაფხულოს, ჰფარცხვენ და სთესავენ: სიმინდსა, ქერსა, ფეტვსა, შვრიასა, ლობიოსა და სხვას. ბოსტნები დაბარეს, კვლები გააკეთეს და დათესეს: კართოფილი, ხახვი, ცერცვი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო და სხვა. ამ მუშაობაში მაისიც გავიდა. აქამდინ თბილოდა, ახლა კი დაცხა; მაშასადმე, გაზაფხული გათავდა და ზაფხული დადგა.

გაზაფხულს ამშვენებს ფრიად სასიხარულო დღესასწაული—აღდგომა ქრისტესი.

### გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი (ლექსი).

თოვლი ატირდა ლანქერად, ადიდდა ჩვენი წყლებია,
ბალღებს უხარით, დარბიან, ჯაჯას გაუთბა ძვლებია,
მიმჯდარა ბერი მეუდროზედ, ყავარჯენს მისჩერებია...
ქვეყანამ გამოიღვიძა, სიცოცხლე მოსწყურებია!..
წეროებს ვხედავ ცაშია, დამწკრივდნენ, როგორც ისარი,
წინა უგანას ხმას აძლევს, უყვირის, როგორც ციცარი;
არც სცილდებიან ერთმანეთს, ვით ძმა ძმას შენაფიცარი,
მიფრინვენ ჩრდილოეთისკენ, იმათი წესი ის არი...
აგერ, მერცხალმა ჭაერში რა ცელქად შეინავარდა.
ბუზს იჭერს კამარაშია, ელვასებრ ფრთები ამართა;
აგერ, წყლის სარკეს დაეკრა, მაგრამ შიგ კი არ ჩავარდა...
იამაც სუნი მოგვფინა, რა ზამთარს სული გავარდა.
სუყველა ხარობს და გალობს: სირი იმზადებს ბუდესა,
სახნის-საკვეთსა სწვერავენ, ბოსტანს უვლებენ ზღუდესა.
ბუნებაც ჰყვავის მრავალ-ფრად, დღე, ცივს ზამთარს ჰშურდესა,
ამგვარი ძალა, სიცოცხლე, ვინ არის, რომ არ სწყურდესა?!

რ. ერისთავი.

### გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი (ლექსი).

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
«გაზაფხული, გაზაფხული!»
გულს იმედი დამესახა.

ვიდექ სარკმელს, გადვიხედე,
არე-მარე მესხვაფერა!
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

ხუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი;
მთქვი, თუ გულსა რაღად ვიტეხ,
ახლო არის გაზაფხული.
მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა;

ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.
დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილს იას,
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია—ტიას“.

აკაკი წერეთელი.

## ბ ზ ო ბ ა (ლექსი).

ბზობა არის, ბზობა არის! წამო, განო, საყდარშია;
იქ დაშლაშებს კელეპტრები, ნათელა და კაშკაშია...
იქ მოგვცემენ ბზის ტოტებსა, დავითვალოთ ზინზილები:
თუ შეგვხვდება ბლომად, მაშინ მოგვივა ჭინასწულები!..
ბზა გავირჭოთ ქუდებშია, აღარ დაგვძლევს წლეულს ყვავი,
არ დაგვცარავს სწავლაშია, ჯეჯილს მიაფარონ თავი.
წამო, ბიჭო, საყდარშია, კვირაა და ბზობა არი;
კარგი დღეა, ქრისტეს დღეა, ყველასათვის გასახარი!..
ოსტატმა სთქვა: სვალ ბზობაა და საყდარში გვმართებს კრძალვა!
აი, განო, რა მიამბო მე ოსტატმა, რა მასწავლა:
ქრისტე ღმერთი ჰქადაგებდა და ჰკურნებდა სნეულებსა,
აღადგენდა მიცვალებულთ, ჰხსნიდა ეშმაკეულებსა,
იწყალებდა გლახაკებსა, არ იმხელდა თავისს თავსა,
სიკეთის გზას ასწავლიდა და სდევნიდა ყველა ავსა...
ერთს დღეს შეჯდა კიცვსა ზედა, თან ახლნენ მაგირდები...
სულ რომ გეტყვი ამ ამბავსა, გაოცდები, გაჰკვირდები...
წაბრძანდა იერუსალიმს, შეიძრა ხალხი ერთიან,
მოაქვთ და მოჰქუავთ საპყარნი, მიწაზე პირ-ქვე ერთხმიან;
უფენენ დანაკის-კუდსა, მწვანე შტოებსა მრავალსა,
სამოსელს, ტანით განაძრობს, უფენენ იმის სავალსა.
ხმა ისმის ხალხის ზრიალის, ვედრება-ღაღადებანი:
დიდება მოძღვარს, ღვთის ძესა, კურთხევანი და ქებანი!
„ოსანა მაღალთა შინა!“ და ამ გვარივე ხმა ერმათა:
„კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“
შებრძანდა მოძღვარ დიდებით, სდევნა ვაჭარნი ტაძრიდგან—

მტრედთა მეიდგელნი, ზარათნი, მოსულნი იქვე ბაზრიდგან".
ეს ყოფილა ქრისტეს დროსა და დღეს ნიშნად ბზობა არი,
ყველა მიდის საყდრისკენა, ღია არის საყდრის კარი...
წამო, ბიჭო, საყდარშია, კვირაა და ბზობა არი,
კარგი დღეა, ქრისტეს დღეა, ყველასათვის გასახარი!
იქ მოგვცემენ ბზის ტოტებსა, შიგ გავირჭოთ ქუდებშია,
ეშმაკი ველარას გვაწყენს, შეძვრეს თავის ბუდეშია!

რ. ერისთავი.

### ა ღ დ გ ო მ ა (ლექსი).

შუაღამე გადავიდა, ასტყდა, ასტყდა ზარის რეკა,
დიდი ზარიც ბოხს ხმას აძლევს, ზარბაზანმაც დაიჭექა!
ადექ, გიგო, ადე, ადე! ხალხი მიდის საყდრისკენა,
ადექ ჩქარა, ტანთ ჩავიცოთ, დავგვიანდით მარტო ჩვენა...
ყველა ახლით მოკაზმულა, ხელთ უჭირავთ კელეპტრები..
ადე, ბიჭო, ტანთ ჩაიცვი, მაგ საბანში რაღას ძვრები?!
აგერ, ზარებს მოუხშირეს, ხალხი იყრის მეტანიას,
საყდრები სულ ლაპლაპებენ, გარს უვლიან ლიტანიას...
მოვიკაზმეთ და გავსწიეთ, ეკლესია მხიარულობს,
ყველას ტუჩზე ღიმი უქრის, მღვდელი გალობს და ლოცულობს!
აგერ, მღვდელმა შეიძახა: „ქრისტე აღსდგა!“ და ჩვენც ცქვიტად
ვუპასუხეთ სუყველამა: „ჭეშმარიტად!“ „ჭეშმარიტად!“
ქრისტე აღსდგა! მიყვარს ეს დღე, მიყვარს, მიყვარს, მიყვარს დიდად...
მოდი, გიგო, გადაგკოცნო! „ქრისტე აღსდგა!“ „ჭეშმარიტად!“
მოდი, კვერცხი კვერცხსა დავკრათ, მაგრად იყავ და კირკიტად...
„ქრისტე აღსდგა!“ „ქრისტე აღსდგა!“ „ჭეშმარიტად!“ „ჭეშმარიტად!“

მისივე.

### ზ ა ფ ხ უ ლ ი.

ზაფხული თიბათვიდგან იწყება. ამ დროს უდიდესი დღეებია: თოთხმეტის საათის განმავლობაში მზე ცას არ შორდება; მზის ჩასვლიდგან ამოსვლამდინ ძლიერ ცოტაღა დრო რჩება; კაცს ჯერ ერთი პირი ძილი არ გაუთავებია, შეხედავ—მზემ აღმოსავლეთიდგან ამოაშუქა. რამდენადაც უფრო ჩრდილოეთისა-

კენ არის ქვეყანა, იმდენად ზაფხულში უფრო პატარა ღამე იცის. მაგალითად, პეტერბურგში ზაფხულის დამდეგს ღამე სულ ოთხი საათია. მაღლა, ძალიან მაღლა ადის მზე ზაფხულში. ცოტასაც რომ კიდევ აიწევდეს, სწორედ პირდაპირ თავზე დაგვადგებოდა. თითქმის პირდაპირ ჩამოშვებული სხივები ქვეყანას ძლიერ ათბობს, შუადღისას ხომ თითქმის სწვავს. აი შუადღემ მოატანა, მზე სულ მაღლა ავიდა და დედამიწას სწორედ შუა ციდგან დაჰყურებს. ამაზე ზევით მზეს ასვლა აღარ შეუძლიან. ამ დროს არამც თუ კაცი მზეს თვალს ვერ გაუსწორებს, განათებულის ცისა და დედამიწის ყურებაც ძნელია. ცაც, მინდორიც, მდინარეებიც, ჰაერიც მეტად ბრწყინვალე ნათელით არის მოფენილი. საშინელი სიცხეა, პაპანაქებაა, როგორც ამბობენ ქართველები. ხეები სრულიად გაშეშებული სდგას, ფოთოლი არ ინძრევა და ძირს დაშვებული ჰკიდია. ფრინველები ტყესა და ჭალაში დაიმალნენ; სიცხისაგან დაქანცულებს ენა გამოუყვიათ და საცოდავად ქაქანებენ. რასაკვირველია, ამ დროს გალობისა არა სცხელათ. შინაურმა საქონელმაც ძოვნას თავი დაანება და ჩრდილი მოსძებნა. ოფლში გაწურული მუშა დიდს დაღალულობასა ჰგრძნობს და საქმეს თავს ანებებს. დიდი და ხშირი ჩრდილიანი ხე მუშა-კაცს ერთ რადმე ულირს ამ დროს. ყოველი სულდგმული აგრილებას მოუთმენელად ელის.

აგერ, მზემ ძალაზე გადაიხარა, იმისი სხივები მიწაზედ ალმაცრივ ეცემა და ამიტომ აგრილდა. ფრინველები მინდორში გაიშალნენ, საქონელი ისევ ველზე საძოვრად გავიდა, გლეხმა მუშაობას კვლავ მუყაითად მიჰყო ხელი. ამ გვარი სიცხეები სულდგმულს საქმეს უჭირვებს, მაგრამ მცენარეებისთვის კი საჭიროა, უსიცხოდ თესლი მცენარეებისა ვერ დამწიფდება. დიდის ხნის უწვიმობა კი მავნებელია მცენარისთვის, რადგანაც სიცხესთან მას სინოტივე და ნამი უყვარს. უწვიმობა ადამიანისთვისაც შემაწუხარია. ამისთვის უხარიანთ გლეხებს, როცა ჰაერში ღრუბელი გაჩნდება, ცაში ქუხილი და ელვა შეიქმნება და ქვეყნის გამაცოცხლებელს ხშირს წვიმას

დაუშვებს. მაგრამ ხან წვიმას მოჰყვება ხოლმე სეტყვა, რომელიც ქვეყნის ამაოხრებელია: ხეხილებს ნაყოფს აყრევინებს, ვაზების მტევნებსა ჰბერტყავს, ნათესს მიწაზედ აქცევს, ჰქელავს და ანადგურებს. ამიტომ გლეხები ერთგულად ეხვეწებიან ღმერთსა, რომ სეტყვისაგან დაიფაროს.

მინდვრებს ზაფხულში მშვენიერი შეხედულობა აქვს. სათიბში ხშირი და მაღალი ბალახი ზღვასავით ღელავს. მთელი სათიბი სავსეა სხვა-და-სხვა ბუდრუგუნა მწერებითა; იმათი ბზუილი კაცს შორიდგანვე ესმის. ბაღებში ხეხილებმა კაი ხანია დაიყვავილა. ბალი აქა-იქ წითლად კიდეც შეთვალდა, ქლიავი შიგა-და-შიგ გაშავდა. ვაშლი, მსხალი, ატამი ჯერ ისევ მკვახე და მწვანეა, მაგრამ თანდათან ნაყოფი ეზრდება და უმწიფდება. მხოლოდ ცაცხვი ისევ ჰყვავის ამ დროს და თავისს გარშემო მშვენიერს სუნსა ჰფენს. იმისი ხშირი ფოთლებიდგან და პატარა თეთრი ყვავილებიდგან რაღაცა გუგუნი ისმის: აქ სიმღერით მრავალი ფუტკარი ირჯება და ყვავილებიდგან ტკბილს წვენს აგროვებს თაფლის გასაკეთებლად. ხეს რომ მიუახლოვდე, თაფლის სუნი გეცემა. მინდვრის ხილსაც თვალი შეუვიდა. მარწყვის პატარა მრგვალი მარცვალი, რომელიც ჯერ ბალახებში თეთრად გამოჩნდა, ახლა დამწიფდა, მთელი მინდორი წითლად ააჭრელა. მალე შავად დამწიფებული მაყვალიც კუნწულ-კუნწულ გადმოეკიდება ბუჩქს. მაგრამ განა შეიძლება ჩამოითვალოს, რაც კი ზაფხულში ჩნდება? ერთი ხილი მეორის შემდეგ მწიფდება, ერთი მეორეს უსწრებს.

ფრინველი, ნადირი და მწერი ზაფხულში კეთილს ცხოვრებაში არიან. გაზაფხულზე დადებულ კვერცხებიდგან ფრინველებმა ბარტყები ეხლა გამოჩეკეს. პატარა ბარტყებმა ბუდეში ჰყივილი და წივილი იწყეს; მინამ ამათ ფრთები დაეზრდებოდეს, დედ-მამა ჰაერში მხიარულად დაფრინავს და თავისი ქორფა შვილებისთვის საზრდოს შოულობს. საქმელი ფრინველებს ბევრი აქვთ: ერთი იტაცებს თავთავის დაბნეულს მარცვლებს; მეორე დამწიფებულს ბალსა ჰკენკავს, მესამე ჰაერში ქინქლების გუნდს დასდევს. თვალ-გამჭრიახი ქორი მაღ-

ლა ცაში დატრიალებს და იქიდგან დაკვირვებით ძირს იხედება, პატარა ვარია ან სხვა ახალგაზდა და გამოუცდელი ფრინველი ხომ არ ასცდენია დედასაო. და რა წამს დაინახავს გამარტოებულს ფრინველს, ისარივით ზევიდგან დაეცემა, თავისს ბასრს ბრჭყალებს ჩაავლებს და ჰაერში აიტაცებს. მეტადრე ყვავი და კაჭკაჭი დიდს ოინებს სჩადიან. ეს ფრინველები ბუდეს სოფლის ახლო იკეთებენ და ისე დღე არ გავა, რამდენიმე ქათმის წიწილა, ბატის, ან იხვის ჭუჭული, ან კიდევ ინდოურის ჭუკი არ მოიტაცონ. ხანდახან ისე გაონავრებულნი არიან, რომ შინაურს მოზარდს ფრინველსაც თვალ წინ აცლიან კაცს. ბედი იმათი, რომ ბუდის კეთება მაღალს ხეებზედ იციან, სადაც კაცი ძნელად მიუდგება, თორემ გაბრაზებული სოფლელები არც ერთს ყვავსა და კაჭკაჭს ბარტყებს არ გამოაჩეკინებდნენ.

მთელი მინდორი ზაფხულში სხვა-და-სხვა მწერებით არის მოფენილი, მრავალი ჭრელი პეპელები საამურად დაფრინავენ. ოქროს ფერი ფუტკარი ამ დროს მუყაითად ირჯება ცაცხვის ხეზე და სუნნელოვანს ყვავილებზედ, საიდგანაც ტკბილს წვენს სწუწნის თაფლის ზოდების გასაკეთებლად სკაში. სკებიდგან ამ დროს განუწყვეტელი გუგუნი გამოდის. ჩქარა სკებში ვიწროობა შეიქმნება და ფუტკრები სკებიდგან გუნდ-გუნდად გამოიშლებიან; ამაზედ ამბობენ, ფუტკარმა იყარაო. სკიდგან გამოსული ფუტკრის გუნდი ახალს ბინას ეძებს და რომელსამე ხეს ეხვევა. მაგრამ მეფუტკრეს დიდი ხანია იმათთვის ახალი სკა აქვს მომზადებული; ამ სკაში მოაქცევს ნაყარს ფუტკარს და საფუტკრეში დასდგამს. ხან კი ნაყარი ფუტკარი ახლო ხეს არ დაეხვევა, შორს წავა და ისე სწრაფად, რომ მეფუტკრე თვალს ველარ მოასწრებს. მაშინ იგი ნაყარს ფუტკარს სრულიად დაჰკარგავს. ბუღრუგუნა ჭიანჭველა ზაფხულში მიწის ქვეშ საზამთროდ საზრდოს აგროვებს; შემნახავი ციყვი გამხმარს კაკალს დაუღალავად ზიდავს და ზიდავს ფუღუროში. ასე ჰხარობს, შრომობს და სიამოვნებს ყოველი სულდგმული ზაფხულში!

ბევრი, ძალიან ბევრი საქმე აქვს გლეხ-კაცს ზაფხულში. ანეულის ხვნა ჯერ კიდევ არ გაუთავებია, თივის თიბვის დრო მოუვიდა. გლეხმა ცელს ხელი მოავლო. ჯერ ცელი არ გაუგდია ხელიდგან, მკის დროც დადგა. მარცვლით სავსემა და გაყვითლებულმა ქერმა თავთავი ძირს ჩამოჰკიდა, მომკას ითხოვს. გლეხმა კაცმა ნამგალი მალე უნდა მიაშველოს, თორემ ქერს მარცვალი გასცვივა და ღვთის მოცემული მოსავალი შემცირდება. გლეხებმა ნამგალს ხელი წამოავლეს და ქერებს შეესივნენ. მინამ ქერის მკას გაათავებდნენ, პურიც შემოვიდა. ღეროებ-გაყვითლებულმა და მარცვლისაგან დამძიმებულმა ყანამ თავთავი მიწისკენ დაიხარა, თითქო ზეზე დგომით დაიღალაო. გლეხი ატყობს, რომ ყანაც ძირს ჩაქცევას ნდომულობს და მკისთვის ემზადება. ყანის მკა საშინლად ძნელი სამუშაოა, მაგრამ ჩვენი გლეხები ამ საქმეს ძლიერ მხიარულად



ასრულებენ. შემძლებელი გლეხი ყანის მომკას მარტო არ შეუდგება, მუშას შეჰყრის ხოლმე. მუშები, მივლენ თუ არა დილით ყანაში, რამდენიმე პირად დაიყოფვებიან და მხიარულად დაიწყებენ მკას. იმათი ლაზათიანი ჰოპი-უპი შორს გაისმის; ისინი გულს ართობენ დილით საღამომდინ სხვა-და-სხვა სამხიარულო ლექსებითა. ხელეურს საკვირვლად ჩქარა იღებენ და უკან აწყობენ. პატარა ბიჭები მისდევენ, ხელეურს საჩქაროდ ჰკრეფენ და მიარბენინებენ მეძნეურთან, რომელიც ძნასა ჰკრავს. მასპინძელი საღვინით უკან მისდევს და, ვისაც წყა-

ლი მოსწყურდება, ღვინოს ასმევს. ღვინო ამ ძნელ მუშაობაში გლეხ-კაცს ძლიერ ჰშველის და ჯუთს აძლევს. დილით საღამომდინ წელში მოხრილი და წაკუზული გლეხი ებრძვის ღონიერს ყანას. მხოლოდ შუადღისას, როცა მზე ძლიერ ჩამოანთებს, ჩრდილს ქვეშ მუშები პატარა ხანს თვალს წაატყუებენ და მერმე უფრო კიდევ ერთგულად ყანას ძირს აკცევენ. დაღლილნი და დაჭანცულნი ბინდისასაც სოფლისკენ ჩუმად როდი მიდიან:—ორ-სამ რიგად დადგებიან, ორპირს მუშურს დასძახებენ, ამ გვარად სოფელში შემოვლენ და მცხოვრებლებს გაამხიარულებენ. ყანის შემდეგ გლეხი შერიისა და ფეტვის მკას შეუდგება ხოლმე.

ამდენი მუშაობა აწევს თავზე გლეხ-კაცსა, მაგრამ მაინც ის ზაფხულში ძლიერ მხიარულად არის. რადა? იმიტომ რომ ჯაფისა არას დროს არ ეშინიან, მუშაობაში გამოჯეკნილია და იცის, რომ ზაფხულის შრომა მთელს წელიწადს ჰკვებავს,—იმიტომ კიდევ, რომ გლეხი კარგად გრძნობს თავისს შრომის საზოგადო სარგებლობასა; იმისი ოფლით მარტო მისი სახლობა კი არ იკვებება, მთელი ქვეყანა საზრდოობს: მეცა, შენცა და ყველა. გლეხ-კაცი თავ-დადებული მუშაობს მიწასა, მოჰყავს მოსავალი და ასაზრდოებს ყველას, ვინც იმაზე მაღლა სდგას, სწორედ ისე, როგორც ხის ფესვები უბზაენიან საჭმელს მაღლა ამპარტავნულად წასულს და ფოთლით მდიდრად შემოსილს ტოტებსა.

დიაღ, დიდი მოთმინება და ბეჯითობა უნდა სოფლის მუშაობასა. მაგრამ ცოდნა და გამოცდილებაც საჭიროა. აბა სცადე მკა და ნახავ, რომ ამ საქმისთვის ოსტატობა უნდა. თუ შეუჩვევარი ვინმე აიღებს ცელსა, მაგდენს ვერაფერს გაარიგებს. ხვნაც ადვილი საქმე არ არის. ზვარიანი თესვა, რომ არც თხელი და არც სქელი მოვიდეს, ყველა გლეხსაც არ შეუძლიან. ბუთნისა და ფარცხის გამართვასაც ცოდნა და ოსტატობა უნდა. ბევრი, ძალიან ბევრი იცის და ბევრის გაკეთება ეხერხება გლეხსა და იმას არას დროს არ შეიძლება დავუძახოთ უმეცარი, თუნდა წიგნიც არ იცოდეს. წიგნის სწავ-

ლა უფრო ადვილია, ვიდრე იმისი მიხვედრა, რაც ყველა გამოცდილმა გლეხმა კაცმა უნდა იცოდეს.

ტკბილად დაიძინებს ხოლმე სალამოზე დაღლილ-დაქანცული გლეხი, რადგანაც გრძნობს, რომ აღასრულა თავისი წმიდა მოვალეობა. სიკვდილიც იმისთვის ძნელი არ არის; მოხნული მიწები და დათესილი მინდვრები დარჩება იმის შვილებს, რომლებიც მან შობა, გაზარდა, ჯაფას შეაჩვია და თავისს მაგივრად დაადგინა მუშაკებად ქვეყანაზე ღვთისა და კაცის წინაშე.

### ზ ა ფ ხ უ ლ ი (ლექსი).

გაზაფხული გაგვიფრინდა, გაითოხნა სიმინდები,
თივა დასდგეს, ანეულსაც დასდგომია ამინდები...
აგერ, აგერ ყანებშია „ჭოროპუნას" იძახიან,
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან...
მტრედი, გვრიტი და ქედანი იქ ირევა ნამჯაშია,
მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს მღერასა და გარჯაშია!
შეხე იმ ერთს, გულ-გაღეღილს, თავზე ქუდი არა ჰხურავს,
ხელსახოცი შუბლს წაუკრავს, დასძახის და ოფლში სცურავს!
შეხე ერთი მეთაურსა, შეხე იმის ნამგლის ტრიალს;
ყური უგდე მუშის გუგუნს, ყური უგდე იმათ გრიალს...
ჭინჭველივით ირევიან, სიცხეა და პაპანება...
აბა, შეხე, რა ერთგულად ყველა ყანას ეტანება!..
მღერიან და კიჟინობენ, „ჭოროპუნას" იძახიან,
ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, ქერს მორჩნენ და პურსა მკიან...
ყველა სცდილობს მეტი მომკოს, ეჯიბრება აქ ძმა ძმასა;
იძახიან: „ულო, ულო!" მეძნეური უკრავს ძნასა.
რიგი მიაქვთ საძნე ურმით, რიგსა ჰკლეწვენ სოფელშია;
წვრილ-ფეხობა კევრზედ უდგა, ხარი ხვნეშის უღელშია...
ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს...
ვაშა, ვაშა მუშა ხალხსა! ღმერთმა იმას გაუმარჯოს!..

რ. ერისთავი.

## ს ა თ ი ბ ი (ლექსი).

აყვავებულა მინდორი, ლურჯად ბიბინებს სათიბი,
შიგ ლალდა გამოიძახის, უხდება ჭრელი ქათიბი;
აგერ იელა ცელმაცა, წამოაწვინა მოლია,
თან მოჰყვა ტურფა ღიღილი, ყაყაჩო, თომა, ფოლია...
ნორჩი სუნნელი ბალახი გვერდზე წამოწვა წყობით!
ახარებს გულსა მცელდგელის სიმწვანით, ყნოსვის ტკბობითა!
გამოშრა, აბუღდუღდეს, შედგა და შედგა ზვინები,
შიგა ჰგორავენ ბალღები, წამოდგეს დიდი ძირები...
პირუტყვის საჩრო მზადა მაქვს, ზამთარს გავუძლებ, მგონია,
აბრეშუმივით თივა ხარს, იგი ხომ ჩემი ღონეა!...

მისივე.

## სიმღერა მკის დროს.

გავლესოთ, ძმებო, ნამგალი, პური შეგვქმნია სამკალი,
ჯერ ჭოპუმ დავაგუგუნოთ და მერმე ჭარი-არალი.
ვერა ჰხედავთ ჩვენს მეთაურს, როგორა ხტის, გული უხურს;
რა სიამით და სიხარბით შეჰყურებს დამწიფებულს პურს?
მეთაურო, დაგვაცალე, ჯერ ეს ყანწი გამოცალე,
მერმე გნახავთ, რაც ბიჭი ხარ, ნამგალი დაატრიალე;
მკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით, ჩვენც გვერდში ამოგიდგებით,
გულ-გადებული, პერანგა, პურს ცეცხლივით მოვედებით!
და თანასწორ დავუაროთ, გულს დარდები გავუქარვოთ,
და ვინც მკაში ჩამოგვრჩება, პირში პური მივაყაროთ.
მეთაურო თაბაგარო, ნუ გგონია, რომ დაგვჩაგრო!
ნახავ, რომ ჩვენთან მკაშია შენც ბევრი ოფლი დაღვარო.
მომკლები ვართ ჩვენცა სრული, არ ვყოფილვართ დაჩაგრული;
თაბაგრები თუმც არა ვართ, მკა კი ვიცით თაბაგრული.
ჰე! დატრიალდა ნამგლები, ბიჭებო, გენაცვალები!
გიცნობთ, სადაურიცა ხართ, შორაპნიდგან იმერლები!
ემას ჰქვიან ხელეური, ასე უნდა მომკო პური!
მეთაურო, შენც კარგად მკი, მაგრამ კი აგდის ალმური.
ჩუ! მტრედმა დაიღუღუნა, მკა ხომ ჩვენ არ დაგვიწუნა?

ჰა, ბიჭებო, დატრიალდით! ჰოოპუნა, ჰოოპუნა!
ჰოოპუნა, ავხე, ავხე, ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე
და, თუ შენ მკაში ჩამოგრჩე, ქალაჩუნა დამიძახე.
ჰოოპ, ჰოოპ, ჰერი, ჰერი! ნუ, გამოხტა აგერ მწყერი!
ნამგლებით გარს შემოვერტყათ, დავიჭიროთ პურის მტერი.
მეთაურო, ბარაქალა! ხომ ნახე აწ ჩვენი ძალა!
აქამდის სრულად მოვმკიდით, ნამგალმა აღარ გვაცალა.
ნელა, ბიჭო! აწი კმარა, ჰხედავ, მზემაც გადიხარა;
ჯერ რიგიანად ვისამხროთ, მერმე მოვმკით უფრო ჩქარა.

აკაკი.

## შ ე მ ო დ გ ო მ ა.

ცხრა თიბათვიდგან მზე სამხრეთისკენ ბრუნდება და ცოტ-ცოტათი გვშორდება; თანდათან გვიან-გვიან ამოდის და უფრო ადრე ჩადის; ამიტომ დღე მცირდება, ღამე კი მატულობს. Თერთმეტს ენკენისთვეს დღე და ღამე სწორდება, ასე რომ თორმეტი საათი ღამეა, თორმეტი დღე. Ამ რიცხვიდგან იწყება შემოდგომა. Ღამე თანდათან სჭარბობს დღესა და თორმეტს ქრისტეშობისთვეს ერთი ორად მეტი ხდება დღეზედ. Მზე რამდენადაც სამხრეთისკენ მიდის, იმდენად თავისს სხივებს უფრო ალმაცრივ გვიგზავნის. Სიცხოველე მას ცოტ-ცოტათი აკლდება, ქვეყანას ხეირიანად ველარ ათბობს და ამიტომ ჰაერი ცივდება. Დილით და საღამოთი ხან ისე ცივა, რომ თბილი ტანისამოსი უნდა ჩაიცვას კაცმა. Მოწმენდილს ღამეში ნამის მაგივრად თრთვილს გააგდებს ხოლმე. Დილ-დილით წყლის პატარა გუბეებს ჰყინავს. Ცა მალ-მალე იღრუბლება; ამასთან ზაფხულის ლამაზს თეთრს ღრუბლებს ველარა ვხედავთ; ამათ მაგივრად გულს გვილონებს ტყვიის ფერი ხშირი ღრუბელი, რომელიც ცას მთელი კვირაობით აღარა ჰშორდება. Შემოდგომის წვრილი წვიმა ზაფხულის სხვილსა და შხაპუნა წვიმას არა ჰგავს. Ამ გვარი წვიმა ხან რამდენსამე დღეს განუწყვეტლადა სცრის, მიწაც ძნელად შრება. Მთებს ამ დროს სთოვსავს, თუმცა ბარში ჯერ თოვლს ფეხი ვერ მოუკიდნია. Რა-

დგანაც მთებში ამ დროს ზამთარია, ამიტომ იქიდგან ცივი ქარი მალ-მალე მოჰქრის.

წამსვლელი ფრინველები ზაფხულის გასულშივე შორს მოგზაურობისთვის ემზადებიან. ყველაზედ ადრე დაფაცურდნენ მერცხლები და ენკენისთვის დამდეგსვე გასწიეს თბილს ქვეყნებში. მერმე რამდენიმე რიგად დამწკვრივებული წეროები და გარეული ბატები ყვირილით გაემგზავრნენ. ამათ თან გაჰყვებიან მწყრები და სხვა ფრინველები. ტყეები და ჭალები ცალიერდება და გულ-გამაწვრილებელი სიჩუმე მყარდება. ზამთრისთვის ჩვენთან ცოტა-ღა რჩება ფრინველი.

ზაფხულში ბევრი ხილი დამწიფდა და მოილია, მაგრამ ზოგმა კი დამწიფება ვერ მოასწრო და შემოდგომას შემოუსვლელი შეჰყვა. შემოდგომაზე ბაღებში ბევრ-ნაირი მსხალი და ვაშლი ჯერ კიდევ შეკუნწლული სდგას. მაგრამ ისინიც მალე მოიკრიფება. ყურძენიც შემოდგომის დამდეგს სრულიად მწიფდება. ამ დროს მსხმოიარე ზვარი მეტად სასიამოვნო სანახავია.

რამდენიც დრო გადის, იმდენი მთელი ბუნება უფრო მეტად ღონდება. ხეებს ფოთოლი უყვითლდება და ძირსა სცვივა. რომელი ხეც გაზაფხულზედ ადრე აყვავდება ხოლმე, იმას ფოთოლიც ადრე უყვითლდება. ღონიერი ქარი ძალიად აყრევინებს ჯერ კიდევ ნახევრობით მწვანე ფოთოლსა, მაღლა ჰაერში ააქვს, ატრიალებს, დედამიწას ჰფენს და ზოგან მყუდრო ადგილებში ფოთლების გროვებს აყენებს. ცოტა ხნის განმავლობაში ტყე და ჭალა მთლად შიშვლდება.

გადავიხედოთ მინდორში. არც ეს არის სასიამოვნო მდგომარეობაში. რომელს ბალახსაც გახმობა ზაფხულში ვერ მოჰრევია, შემოდგომის სიცივე და ქარი ჩქარა ახმობს. ჭინახულის მიწები ზაფხულშივე დაცალიერდება; შემოდგომაზე მხოლოდ სიმინდი მოსჩანს აქა-იქ ყვითლად, მაგრამ იმასაც მალე მიჰზიდავს გლეხ-კაცი. მინდორი დარჩება სრულიად ცალიერი და შემოდგომის ცივი ქარი ზედ თავისუფლად დაიწყებს სეირნობას. მხოლოდ შემოდგომის ჯეჯილი მწვანე ხავერდი-

ვით ამშვენებს არე-მარეს. მაგრამ ამ ჯეჯილს დიდი დღე არა აქვს, ზამთრის სიცივე და თოვლი სრულიად მოალპობს. ფესვები კი ისევ მთელი დაურჩება და ამ ფესვებიდგან გაზაფხულზე მწვანე ჯეჯილი ზევით საამურად წამოვა.



შემოდგომაზე ყველა სულდგმული ნაღვლიანდება და ზაფხულის სიმხიარულეს ჰკარგავს. ამ დროს ბუნება ხანგრძლივის მუშაობისაგან დაღლილს კაცსა ჰგავს, რომელსაც ძილი მოჰრევია. ცოტა ხანს შემდეგ ბუნება ბამბის მსგავს თეთრს საბანს წაიხურავს და მთელს ზამთარს დაიძინებს.

შემოდგომაზე გლეხ-კაცს საქმე ცოტა არა აქვს. ენკენისთვის დამდეგს ხნულებში წყალი უნდა ჩაუგდოს, მერმე, როცა ხნული გამოშრება, პური დათესოს და დაფარცხოს. ამ დროს გუთანიც უბიათ იმათ, ვისაც კი გაზაფხულზე და ზაფხულში ანეული საკმაოდ ვერ მოუხნავს. მერმე უნდა მინდორში გამხმარი სიმინდი მოსჭრას, ურმით შინ მოიტანოს, გაარჩიოს და სასიმინდე ძარში ჩაყაროს. ვენახებშიაც დამწიფებული ყურძენი მოკრეფას ელის. გლეხ-კაცი რთვლისათვის მხიარულად ემზადება: გოდრებსა სწნავს, ქვევრებსა რეცხავს.

მთელი ჯალაბობა დილით ადრე ადგა და მთლად ვენახისკენ სიამოვნებით გაემგზავრა. ქალებიც, კაცებიც და პატარა ყმაწვილებიც ერთიანად გალაგდნენ, ძუძუ-მწოვარა ბავშვე-

ბიც-კი აკვნიანად თან წაიყვანეს. შინ აღარავინ დარჩა. შევიდნენ ვენახში და ვაზებს შეესივნენ. ყველას დანა უჭირავს და ყურძენს კალათში ჰკრეფს; კალათებს რომ გაავსებენ, გოდრებში ჩაჰყრიან და გოდრებით საწნახელში მიაქვთ დასაწურად. დიდით პატარამდინ დიდს სიხარულში არიან. ყანის მკაც ხომ სასიამოვნო მუშაობაა გლეხ-კაცისათვის, მაგრამ რთველს მაინც ვერ შეედრება. ყმაწვილები აკიდოებსა სჭრიან, ერთად ჰკრავენ და ჯაგნებს აკეთებენ. ბოლოს რთველი გაათავეს, ყურძენი საწნახელში დასწურეს და ტკბილი ქვევრებში ჩაასხეს. ასე, გლეხმა კაცმა საზამთროდ ზაფხულში პური შეინახა, შემოდგომაზე ქვევრებში ღვინო ჩაასხა.

შემოდგომაზე გლეხ-კაცს მაინც უფრო ცოტა და სუბუქი საქმე აქვს, ვიდრე ზაფხულში და ეშურება ქეიფი გასწიოს. ამ დროს დღესასწაული ბევრია. ქორწილების გაჩაღებაც სოფლებში სწორეთ შემოდგომაზედ იციან. უხვი დოვლათიც ხელს უწყობთ. ნათესავები ამ დროს ერთი-ერთმანეთს სხვა-და-სხვა სოფლებიდან მალ-მალე ეწვევიან ხოლმე. გლეხკაცი ყველა სტუმარს პურადად და მხიარულად უხვდება. ამ დროს ხორაგი არ აკლია და თავისი ქონება არავისთვის არა ჰშურს.

შემოდგომა ქალაქებშიაც სცვლის ცხოვრებასა. უქოლგოდ, უპალტოოდ და უკალოშოდ ქალაქელები გარედ უფრო ძვირად გამოდიან. ზრილი აგარაკებიდგან ყველანი ჩამოდგნენ. ქუჩებში ისე ბევრს აღარ დასეირნობენ, როგორც ზაფხულში. ამის მაგივრად უფრო ბევრს დადიან თეატრში, კონცერტებში და სხვა-და-სხვა კრებებზე. კაცი ამ დროს უფრო საღადა გრძნობს თავისს თავსა, იმიტომ რომ ზომიერად ცივა და ამისთანა სიცივე კაცის სხეულს ამაგრებს. მაგრამ ჩქარა თოვლი მოსვლას იწყებს; ჯერ გაუძნელდება დედამიწაზე ფეხის მოკიდება და ჩქარა გადნება, მაგრამ, როცა გაყინული მიწა დაჰხვდება, თოვლი აღარ დადნება; დაიჭერს სიცივეებს, გაჰყინავს თოვლსა და დადგება ზამთარი.

## რ თ ვ ე ლ ი (ლექსი).

ყურძენი დამწიფებულა, დახე, როგორ წითლად ღუის,
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ კოდო, ბუზი თავს დაჰბზუის.
შეიკრიბნენ მკრეფავები, ამოუდგნენ თითო ვაზსა,
ყურძენს ჰკრეფენ, იცინიან და მოაბეს მხარი მხარსა.
მტევნებს ჰკრეფენ, ჰგლეჯენ, სჭრიან, გაჰკრეს, გაჰკრეს ვენახს ხელი,
კალათები იტვირთება და შეიქმნა ხშირი რთველი!..
საურმეზე გოდრები სდგას, კალათს სცლიან ზედი-ზედა...
აბა, ბიჭო, მარნისაკენ, თორემ ძლიერ გაიჭედა!..
იგიდებენ მძიმე გოდრებს სიცილით და ღიღინითა,
ურმით მიაქვთ საწნახლისკენ ნება-ნება ჭრიჭინითა!..
აბა, გიგო, კრჩხა თუ გინდა, ან ჯაგანი, ან აკიდო,
შენი წილი ზამთრისათვის, მოდი, ზურგზე წამოგკიდო...
ჩვეულება ესრეთი გვაქვს, ხილს ვინახავთ საზამთროსა,
ყურძენი სჯობს შესანახად ნესვებსა და საზამთროსა.
მზე ჩავიდა, საწნახლიდგან მოწანწკარებს ტკბილი წყარო,
აბა, ბიჭო, შეადექით, ახლა წურვას მოვუჩქაროთ!..
ბიჭებმა ფეხთ დაიბანეს, შემოადგნენ საწნახელსა,
გადიან და გამოდიან, უმაღლიან ყურძნის რთველსა.
აგერ, ტკბილმაც მოიმატა, ძლივს-და იტევს ვიწრო დარი,
ჩქაფა-ჩქუფით მოჩქრიალებს, ქვევრი დახვდა უმაძღარი!..
დაილოცა ღვთის ნაკურთხი ჩვენი ოფლით მონაგარი,
მაშ, პირველად ღვთისთვის იყოს ზედაშე და კელეპტარი!..

რ. ერისთავი.

## გ უ თ ა ნ ი (ლექსი).

„გადი, გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო!“
სახნის-საკვეთო, გაუსვი, რომ კაჭკაჭს ძირი უთხარო!
ნიშავ, ნიკორას გაუწი, მაგას მოაბი მხარია;
მეხრევ, გაუკარ შვინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია.
გააჭიმინეთ ჯამბარა, დამღერეთ „ოროველათ“,

გადააშავეთ მინდორი, რომ დაგვნატროდეს ყველათ...
ფრთას აუწიე, სახნისსაც უმარჯვე, გუთნის დედაო,
ყამირო ბელტო, ნუ ნაზობ, გადადი ზედი-ზედაო!
შენი ჭირიმე, გუთანო, ნაკურთხო მაღლა ღვთისაო,
მოჰხან, მოთესე ხორბალი, მოვიმკო სარჩო წლისაო!
„გადი, გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო!“
სახნის-საკვეთო, გაუსვი, რომ კაჭკაჭს ძირი უთხარო.

მისივე.

## ღამის მეხრე (ლექსი).

ღამის მეხრე ვარ, ტლუ ბიჭი, ნაბადში გახვეულია,
გუთნის ხარ-კამბეჩს ვდარაჯობ, უნდა ვხნა ანეულია...
მზე რაკი ჩავა, გუთნეულს გამოვაყოლებ ჭალასა,
თუ მგელი ამოგვედევნა, ავად აგუშლი ბალანსა!
რო დაღამდება, ყურს ვუგდებ, არ ისმის ჩამი-ჩუმია,
მარტოკა მშიერს ხარ-კამბეჩს გაუდის ხრამა-ხრუმია!
ხანდისხან ჭოტის ხმა ისმის და გულს მიღონებს წყეული;
ისე საბრალოდ გასძახის, როგორც თიკანი ქული.
ჯეჯილის სანაპიროზე სძოვს და სძოვს გუთნეულია,
იმათ ცოხნაზე მალი-მალ მომეკიდება რულია.
ვმაგრობ და ვფხიზლობ, თავს ვიჭერ, თან დავღიღინებ წუნარადა...
შავხედე, ხარი-ჰარიამ ლამაზად გამოანათა!
მერმე აღარა მიჭირს-რა, გატყდება ღამე და ძილი;
მრავალიც გადექანება, დიდი არ რჩება მანძილი.
მას უკან დილის რიჟრაჟი ცას გაანათლებს და გულსა,
ტოროლაც შეინავარდებს, ძირს ვეღარ ვნახავ ნაბუდსა;
მზე ყურს ამოჰყოფს, გუთნეულს დავირეკ შესაბმელათა,
ორი დღის ალო მერგება, გადამიხნავენ ხელათა.

მისივე.

## ბუნების მოვლენანი.

### ცის-სარტყელა.

მაისი იდგა. ცა შავად მოიღრუბლა და კარგა ხანი იწვიმა. ამ დროს ფარდულს ქვეშ იდგნენ სოსო და დიმიტრი და სიამოვნებით ყურს უგდებდნენ წვიმის შხაპა-შხუპს მცენა-

რ ეებზედ. შემდეგ ღრუბლებმა თანდათან აღმოსავლეთისკენ მოგროვება იწყო. პატარა ხანს უკან დასავლეთისკენ ცა სრულიად მოიწმინდა და აღმოსავლეთისკენ კი ისევ წვიმდა. მზემ გამოანათა თუ არა, მაშინვე აღმოსავლეთისკენ ცას მშვენიერი ფერადი რკალი გადაეკრა. ჩვენმა ყმაწვილებმა დიდი სიამოვნებით დაუწყეს ცქერა ამ საამურს ბუნების მოვლენასა.

— მართლა, ეს ფერადიცისსარტყელა როგორ-ღა ჩნდება? ჰკითხა უეცრად სოსომ დიმიტრის.

— ცისსარტყელა, ჩემო სოსო, მზის სხივებისაგან წარმოსდგება. მზის თეთრი სხივი მარტივი არ არის; იმას შეადგენს შვიდი ფერი: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მტრედის ფერი და იის ფერი. როცა ეს შვიდივე ფერი ერთად არის შეერთებული, მაშინ მზის სხივს თეთრი ფერი აქვს. მაგრამ თუ წყლის ნამები ბლომად მოდის მაღლიდგან ქვევით და ამ დროს იმათ მზე მიადგა, მაშინ მზის სხივი, წყლის ნამში გავლის დროს, შვიდ ნაწილად განიყოფება, თვითოეულს ფერს ცალ-ცალკე დავინახავთ და ცისსარტყელას მსგავსი მოვლენა გაჩნდება. ეს მოხდება ხოლმე, მაგალითად, იქ, სადაც მდინარე მაღლობიდგან ქვევით ღრანტეში გადაქუხს; კიდევ მაშინ, როცა შადრევანიდგან წყალი მაღლა ადის და ამას მზის შუქი ადგა. მე შენთვის, სოსო, შინაც ბევრჯელ მიჩვენებია ცისსარტყელასთანა მოვლენა. ფანჯარაზე წყლით სავსე გრაფინკა რამდენჯერ დამიდგამს მზის პირდაპირ და სიხარულით გიყურებია, როცა მზის სხივი, გრაფინკაში გავლის შემდეგ, შვიდ ფრად გარდაქცეულა და გრაფინკის მეორე გვერდზე ფერადი სარტყელივით გაგრძელებულა. ცაშიაც სწორედ აგრე ჩნდება ცისსარტყელა. ცისსარტყელა მაშინ გამოისახება ხოლმე, როცა ერთს მხარეზე ხშირი წვიმა მოდის, როგორც აი ახლა, და მეორე მხრიდგან მზე იცქირება; მზის სხივები წვიმის ნამებში გავლის დროს შვიდ ფრად იყოფება და ფერადი სარტყელივით ცას გადაეკვრის ხოლმე. ამას ვეძახით ჩვენ ცისსარტყელასა. ცისსარტყელა ხან ორი ერთს დროს ჩნდება ცაში.

## ნ ა მ ი.

— ქეკე, მითხარი, გეთაყვა, საიდგან მოდის ნამი? ჰკითხა კოტემ თავისს უფროსს დას.

— ნამი ზეციდგანცვივა, უთხრა ქეკემ.

კოტე მიუბრუნდა მამას და ჰკითხა:

— მართლა ნამი ზეციდგან ცვივა, მამილო?

მამას გაეცინა.

— არა, შვილო, ეგ ტყუილია. ნამი აი როგორა ჩნდება. დღისით, როცა თბილა, მიწიდგან და მცენარეებიდგან ჰაერში ორთქლი ბლომად ადის. თუ ღამით ბევრად უფრო ცივა, ვიდრე დღისით, მაშინ ხეები და სხვა მცენარეები ბევრს სითბოს ჰკარგავს და ცივდება; ჰაერი კი ამ დროს უფრო თბილია. როცა ჰაერი ამ გვარს ცივს საგნებს შეეხება, გაცივდება და იმაში მყოფი ორთქლი იკუმშება, წყლის ცვარებად გარდაიქცევა და ეს ცვარები ამ ცივს საგნებზე დაეცემა. მაგრამ ყველა საგანი ღამე თანაბრად არა ცივდება. ბალახი, მიწა, ქვიშა ღამით სითბოს ბევრსა ჰკარგავს და ამიტომ ნამით შეიფინება ხოლმე. ბამბა, მატყლი და მეტადრე ლითონი ბევრად უფრო ნაკლებად ცივდება და ამიტომ ამ საგნებზე დილ-დილით ნამი ან სულ არ არის, ან ძალიან ცოტაა. რასაკვირველია, რაც უფრო ბევრი ორთქლი ურევია ჰაერში, იმდენად უფრო ხშირი ნამი ჩნდება; სადა ჰაერი ორთქლით ღარიბია, იქ თხელი ნამი იცის. ამიტომ ზღვის მახლობლად ხშირი ნამი ჩნდება, ზღვის მოშორებით კი—თხელი. უბრალო მაგალითით ადვილია ნამის გაჩენის ახსნა: ზამთარში რომ სტაქანი ყინულით აავსო და თბილს ოთახში შეიტანო, სტაქანს მაშინვე ოფლს დაასხამს. საიდგან გაჩნდა ეს ოფლი? იქიდგან, რომ სტაქანმა გააცივა ჰაერი, რომელიც იმისს ცივს გვერდებს გარშემო ეხვია; ამ ჰაერის ორთქლი შეიკუმშა, ნამებად გარდაიქცა და ეს ნამი სტაქანს მიეკრა. მეორე მაგალითი: ზამთარში ფანჯრის მინებს შიგნიდგან ოფლს დაასხამს ხოლმე. საიდგან ჩნდება ეს ოფლი? ოთახის თბილს ჰაერში ორთქლი ბევრი ურევია; ეს

ორთქლი ზოგი ადამიანის სუნთქვას ამოსდევს, ზოგი მდუღარე ქვაბიდგან, სამოვრიდგან ადის და სახლის ჰაერში ერევა. ფანჯრების ცივს მინებს რომ ჰაერი ეხება, ცივდება, იკუმშება, ორთქლის ნაწილები ერთმანეთს უახლოვდება, ერთმანეთს უერთდება, ცვარებად იქცევა და ფანჯარას ეკვრება. გარეთა ჰაერის ორთქლიც სწორედ ამ სახითვე გარდაიქცევა ხოლმე ნამად ცივის მცენარეებისა და მიწისაგან.

— მაშ, თუ აგრეა, რატომ ნამს ყოველ დილას არა ვხედავთ? ჰკითხა ჭეკემ თავისს მამასა.

— მგ იმიტომ, შვილო, რომ ყოველ ღამეს ერთ ნაირად არა ცივა; ზაფხულის ღამეში ნამი მხოლოდ მაშინ განჩნდება ხოლმე, როცა დღისით ძლიერ თბილა და ღამით კი მეტად გრილა.

— ზოგჯერ თბილის დღის შემდეგ ღამე ძალიან გრილი ქარი ჰქრის, მაგრამ მეორე დილაზე ჩვენ ნამს ვერა ვხედავთ, —ეს რისგან ხდება? ჰკითხა მამას სანდრომ.

—მგ სწორედ შეგინიშნავს, უთხრა მამამ: მართლა, თუ ღამე ღონიერი ქარი ქრის, ნამი არა ჩნდება. აქედგანა სჩანს, რომ ქარი უშლის ნამის გაჩენას. როგორ და რა გზით? ქარი ცივ საგნებთან ერთსა და იმავე ჰაერს ერთს წამსაც არ აყენებს, განუწყვეტლივ სხვა-და-სხვა ჰაერი მოაქვს; ხეებისა და ბალახების გარშემო ამისთანა ამინდში ჰაერი მუდამ იცვლება და ახლდება. ამიტომ ეს ცივი საგნები ვერ ასწრობს, რომ ჰაერი გააციოს და იმაში მყოფი ორთქლი ნამად გარდააქციოს. აი რის გამო ხდება, რომ ქარიანის ღამის შემდეგ ნამს არ გააგდებს ხოლმე. ნამი ჩნდება მხოლოდ დაწყნარებულის ამინდის დროსა.

— მამა, ხან დაწყნარებული ღამე ყოფილა, მაგრამ მეორე დილაზე კი ნამი არ მინახავს! წამოიძახა ჭეკემ.

— ჰო, შვილო, ეგეც მოხდება ხოლმე,—თუ ჩუმს ღამეში ცას ღრუბელი ახვევია, მაშინ ნამი არა ჩნდება.

— რატომ, მამილო, ალერსით ჰკითხა ისევ ჭეკემ.

— იმიტომ, შვილო, რომ ღრუბელი მიწის სითბოს ზევით არ უშვებს, ისევ უკანვე აბრუნებს და ამის გამო ღრუბ-

ლიანს ღამეს თბილა. ამ დროს საკმაოდ არ ცივდება არც ხეები; არც ბალახი და არც სხვა საგნები; ამიტომაც ჰაერსაც სითბო არ აკლდება და ნამიც ამისთვის არა ჩნდება. როცა კი მოწმენდილი ღამეა, მაშინ მიწის სითბო მაღლა ცაში ადის, იქ იფანტება და უკან აღარა ბრუნდება. ამ დროს მიწა ბევრს სითბოსა ჰკარგავს, ცივდება და ნამიც იმიტომ გაჩნდება ხოლმე.

## დილის ნამი (ლექსი).

აგერ დილის ნამი ვარდზე ცვრქად მზეს ელერსება,
ათას ფერადა ბრწყინავს, ალმასივით ინთება...
მაგრამ დაუდგა ავდარი,
ქარიც ამოვარდა ცხარი,
ვარდს ფურცელი შეურყია, ძირს ჩააგდო დილის ცვარი,
იგი ტალახთან შეერთდა, დაჰკარგა ფერი ანკარი,
უწინდელის სილამაზის კვალიც კი აღარსად არი.
მაგრამ რა წამს გამოდარდა
და ავი ქარი ჩავარდა,
მზემ ღრუბლით გამოიცქირა, ღიმილით მიწას დაადგა;
მაშინ ჩვენი დილის ნამი, თუმცა ეგდო ტალახშია,
ამაღლდა ბრწყინვალებითა, ვენთო ვით ალმასია.

## რთვილი.

თუ ღამე ისე ცივა, რომ მიწა და მცენარეები სითბოს სრულიად ჰკარგავს, მაშინ ნამი გაიყინება და რთვილი გაჩნდება. მაშასადამე, რთვილი გაყინული ნამი ყოფილა. რთვილს გაზაფხულზე, შემოდგომაზე და ზამთარში ვხედავთ, იმიტომ რომ მხოლოდ ამ დროს იცის ცივი ღამეები. რასაკვირველია, რთვილიც ნამსავით მხოლოდ იმისთანა ღამეში ჩნდება, როცა ცა მოწმენდილია; აგრეთვე ქარიანსა და ღრუბლიანს ღამეში რთვილს არ გააგდებს ხოლმე. რამდენადაც საგანი უფრო ბევრს სითბოს ჰკარგავს და უფრო ცივდება, იმდენად უფრო ხშირი რთვილით შეიფინება ხოლმე, მაგალითად: ხეები, ბალახი და თვითონ მიწა. რაც უფრო მაღლა არის აშვერილი მცენარეების ნაწილები, იმდენად უფრო მეტს რთვილსა სდებს

მათზედ. როცა შემოდგომაზე რთვილი თავისს დროზე ჩნდება, ზოგს მცენარეებს ძლიერა რგებს, მაგალითად: კომბოსტოს, გოგრას, კარტოფილსა და სხვებს. თუ გაზაფხულზე ცამ რთვილი გვიან გააგდო, ხეხილის კოკორსა და ყვავილს დასუსხავს, დააჭკნობს და მოსავალს გააფუჭებს.

### სეტყვა.

სეტყვა მარტო გაზაფხულზე და ზაფხულში მოდის, უფრო მაშინ, როდესაც ძლიერ ცხელა. სეტყვა ჩნდება შემდეგი სახით: როცა მაღლა ღრუბლებიდგან წვიმა წამოვა და გზაზედ იმას დაუხვდება ძლიერ ცივი ჰაერი, ანუ ქარი, მაშინ წვიმის ნამები იყინება და დედამიწაზე სწრაფად რახა-რუხით ცვივა. რაც უფრო სხვილი წვიმა მოდის ზევიდგან, იმდენად უფრო სხვილი სეტყვა ჩნდება. ძაკალზე მოზრდილი სეტყვა ჩვენში იშვიათია, მაგრამ ზოგიერთს ქვეყნებში ხან ქათმის კვერცხის ოდენა სეტყვას ჰყრის. სეტყვა საშინლად აოხრებს ყოველს მოსავალს და დიდს ზარალს აძლევს მხვნელ-მთესველსა. ზოგჯერ ფრინველსაც ბევრსა ხოცავს. ძიდევ კარგი, რომ სეტყვა დიდს მანძილზე ვერ უწევს და ამასთან რამდენსამე წამს შემდეგ გადაივლის ხოლმე. სეტყვის ღრუბელი ადვილი საცნობია: იმასა აქვს თეთრი ან ყომრალი ფერი, გვერდები ოღრო-ჩოღრო, თითქო ვისმე გამოუგლეჯიაო. სეტყვის ღრუბელი დაბლა დადის და ცას ძლიერ აბნელებს. სეტყვის მოსვლის წინ ისმის ერთნაირი შხუილი და მას ყოველთვის თან მოსდევს ქარიშხალი, ელვა და ქექა-ქუხილი. სეტყვა ჩნდება ყოველთვის დღისით, ღამით კი ძალიან იშვიათად მოვა ხოლმე.

### ტეტიას მოთქმა (ლექსი).

ნეტა, რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი,
ამ დასაქცევმა სეტყვამა კარს მომაყენა სიმშილი.
რას ვიფიქრებდი ბეჩავი, ცა კამკამებდა ლურჯათა.
სამი დღის ყანა, სამკალი, ზედ კარზე მედგა ბურჯათა.
უცებ გამოჩნდა პაწაწა, მუშტის ოდენა ღრუბელი,

მერმე გადიდდა, იგრგვინა და წამოვიდა სულ ბნელი...
დასავლეთიდგან დაჭბერა, წამოგვაყარა კოხია,
მაღლები დამიწიოკა, მოაძებნინა ქოხია...
ისროდა მუშტის ოდენსა და გრიალებდა წყეული,
მირეგვ-მორეგვა ხეხილი, გაწყალდა ანაზდეული.
ყანა წამიხდა, რა ყანა, ავს თვალს არ ენახვებოდა,
თავთავს ქვეშ იზნიქებოდა, სიმძიმისაგან წვებოდა...
ნეტა რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი,
იმ დასაქცევმა სეტყვა'ა კარს მომაყენა სიმშილი.

რ. ერისთავი.

## თ ო ვ ლ ი.

ზამთარში წყლის ორთქლი, როცა თბილი ჰაერიდგან ძლიერ ცივს ჰაერში გადავა, ნამებად გადაქცევას ველარ ასწრებს და უცებ იყინება. ზამთრის ღრუბელი შესდგება იმისთანა გაყინულის ორთქლისაგან, რომელიც ჯერ სუბუქია, მაგრამ მერმე მისი ნაწილები ერთმანეთთან შეერთდება, დამძიმდება და დედამიწაზედ თეთრად ჩამოცვივა. მაშინ ვამბობთ: თოვლი მოდისო! თოვლს ექვს-კუთხიანის ვარსკვლავის სახე აქვს. რამდენადაც ქვეყანა უფრო ცივია, იმდენად უფრო ბევრი თოვლი მოდის. ამიტომ ჩრდილოეთის მხარეში დიდი თოვლი იცის და ბევრს ხანსაც გასტანს ხოლმე. აგრეთვე მაღალს მთებზედაც თოვლს სქლადა სდებს; თუ მთა ძლიერ მაღალია, მაშინ იქ ზაფხულშიაც არა დნება თოვლი, როგორც მაგალითად, ჩვენის კავკასიონის ქედზედ.

## ქუხილი, ელვა და მეხი.

ქუხილი, ელვა და მეხი ზაფხულის მოვლენანი არიან და სხვა დროს ვერა ვხედავთ. ამათი მიზეზი ელექტრონული ძალაა. შემდეგიდგან შეიტყობთ, თუ რაში მდგომარეობს ეს ძალა და როგორ აჩენს ელვასა, ქუხილსა და მეხსა.

ორი ხე რომ ერთმანეთს დიდ ხანს ღონივრად ვუხახუნოთ, სითბოს გავაჩენთ. თუ კი სხვა-და-სხვა გვარი საგნები ავიღეთ,

მაგალითად, მაუდის ნაჭერი და ლაქა და ერთმანეთს მაგრა წავუსვ-წამოვუსვით, მაშინ შევამჩნევთ, რომ ეს საგნები არამც თუ გახურდება, ლაქა ამასთან იმისთანა ძალასაც გამოიჩენს, რომ თავისთან მიიტაცებს და მიიკრავს ქაღალდის პატარა ნაჭრებსა და კიდევ სხვა პატარა რამეებს. თბილს ოთახში რომ სანთელი გავაქროთ და ბნელაში ღონივრად ნახეხი ლაქა ერთს ხელში გვეჭიროს და მეორე ხელის თითი ლაქას მივუახლოვოთ, ნახეხი ლაქისაგან ნაპერწკალი გამოვარდება, ხელში გვეცემა და სუსტს ტკაცანსაც გაიღებს. უწინდელმა ბრძნებმა ამისთანა ძალა შეამჩნიეს მხოლოდ ქარვაში, რომელსაც ბერძნულად ელექტრონი ჰქვიან. ამის გამო სწავლულმა კაცებმა ამ ძალას ელექტრონობა დაარქვეს. უწინ ეგონათ, ეს ძალა მარტო ქარვაში არისო, მაგრამ ახლა მეტ-ნაკლებობით ყველა საგანში აღმოაჩინეს: ლაქაში, ნავთში, მიწაში, მცენარეში, პირუტყვში და ადამიანში. კატაში ეს ძალა ძლიერ ბევრია მოგროვილი. ამ ოთხფეხს რომ ბნელაში ბალანზე ხელის სმა დაუწყო, რაღაც ტკაცა-ტკუცს გაიგონებ და პატარ-პატარა ნაპერწკლებიც გამოჩნდება. აი ეს ნაპერწკალი არის ელექტრონობა. ზოგიერთს საგნებში ელექტრონობა ჩქარა და ადვილად გაივლის ხოლმე, მაგალითად, რკინაში; მინა კი ცუდი გამტარებელია. ამიტომ, თუ ელექტრონობის დიდს ნაპერწკალს მინა დაუხვდა, არ გაუშვებს და ნაპერწკლის ძალა იმას გასტეხს და ისე გავა. რადგანაც ელექტრონობა რკინის მართულში ერთს წამს გაირბენს ხოლმე, ამიტომ ტელეგრაფი მოიგონეს: შეაგროვებენ ელექტრონობას, გაუშვებენ მართულში, ერთ წამს ათასს ვერსს გაირბენს, დასწერს ქაღალდზედ ერთ გვარს საგულისხმო ნიშნებსა და ამ სახით შორს აცნობებს, რაც საჭიროა.

სწორედ ეს ელექტრონული ძალა აჩენს ცაში ელვასა, ქუხილსა და მეხსა. მაგრამ ელექტრონობა თვითონ წმინდა ჰაერში არ ურევია. მაშ ცაში საიდგან გაჩნდება ხოლმე? აი საიდგან: დედამიწაში ეს ძალა ბევრია და მაღლობების წვეროებზედ ბევრი გროვდება: მთების წვერებზე, საყდრების

გუმბათებზედ, კოშკებისა ან ციხეების თავზე და სხვაგან. ამ წვეროკინებთან ჰაერის ორთქლს შეხება აქვს, ამიტომ აქედგან ამ ორთქლში ადის ელექტრონული ძალა და ორთქლიდგან კიდევ მაღლა მყოფს ღრუბლებში ვრცელდება. ჩვეულა ღრუბელშია ელექტრონობა, მაგრამ უჩინარია. როცა ზაფხულის ცხელ დღეში ცაში ღრუბლები აირევა, მხოლოდ მაშინ იჩენს ხოლმე თავს ელექტრონობა. ღრუბლები ამ დროს ერთმანეთს ეხლება, ეხახუნება და ამიტომ გაჩნდება ხოლმე ელექტრონობის ნაპერწკლები; რამდენიმე ნაპერწკალი შეერთდება ერთად და ერთი ღრუბლიდგან მეორე ღრუბლისკენ გარბის და ანათებს. ამას ვეძახით ჩვენ ელვას. მაგრამ ხანდახან ელექტრონობის დიდი ნაპერწკალი მიწისკენ დაეშვება ხოლმე და საშინელი ძალით დაეცემა; რასაც მოჰხვდება, ვერა გაუძლებს რა, ყველაფერს ამსხვრევს: შენობას არღვევს, ხეებს შუაზედ აპობს, ცხოველებსა და ადამიანს ერთს წამსა ჰკლავს. თუ ძირს წყლიანი, ანუ ნოტიო, მიწა დახვდა, დედამიწის პირზე გაჩერდება და, თუ ქვიშიანი ადგილი, მაშინ ქვიშას საშინელი ძალით გალთხრის, გააპობს და ღრმად წავა მიწაში, ვიდრე ნოტიო ადგილამდინ არ მიაღწევს. აი ამას ვეძახით ჩვენ მეხსა. მაშასადამე, მეხი ელექტრონობის დიდი ნაპერწკალი ყოფილა. უბრალო ხალხს კი რომ ჰკითხო, გეტყვის, მეხი დიდი ქვა არის და ზეციდგან ვარდებაო. ხალხს ისატყუებს, რომ ელექტრონობით გამდნარი ქვიშა, როცა ცივდება, გრძელ ქვებად იქცევა და ეს ჰგონიათ იმათ მეხი.

როცა კაცი მათრახს ან ჯოხს ჰაერში ჩქარა იქნევს, მაშინ ჰაერი ინძრევა და ხმა ისმის. როცა ელექტრონობის ნაპერწკალი ერთი ღრუბლიდგან მეორე ღრუბლისკენ მირბის, ან მიწისკენ დაეშვება, მაშინ საშინელი ძალითა და სიჩქარით არღვევს ჰაერსა, ჰაერი მოძრაობაში მოდის და გრიალი გააქვს. ამას ვეძახით ჩვენ ქექა-ქუხილსა. რაც უფრო დიდი ნაპერწკალია, იმდენად უფრო ძლიერი ქუხილი ისმის. ელვა და ქუხილი ერთს დროს ჩნდება, მაგრამ რადგანაც სინათლე უფრო ჩქარია ხმაზედ, ამიტომ ჯერ ელვასა ვხედავთ, მერე

ქუხილი გვესმის. თუ ელექტრონული ძალა ძლიერ ახლო არის ჩვენზედ, ელვის დანახვა და ჭექის გაგონება თითქმის ერთს დროსა ხდება. რაც უფრო შორს არის, იმდენად უფრო ბევრი ხანი გადის ელვის დანახვასა და ქუხილის გაგონების შუა.

ქუხილის დროს ადამიანი უნდა ერიდოს იმ საგნებს, რაშიაც ელექტრონობა ადვილად გაივლის. ზევიდგან რომ ელვა მიწისაკენ დაეშვება, ამ გვარ საგნებს მიეტანება, რათა უფრო ადვილად ჩაეშვას მიწაში. ამიტომ ჭექა-ქუხილის დროს ადამიანი არ უნდა მიუახლოვდეს: საყდრის სამრეკლოს, სადაც რკინის ზარები ჰკიდია, რკინის ფეჩს და დიდს სარკეს, თუ სარკე რკინის ჩარჩოში ზის. ცეცხლის ბოლი აგრეთვე ელექტრონობის კარგი გამტარებელია, ამიტომ ქუხილის დროს ბუხარში ცეცხლის გაქრობა კარგია, რომ ბოლს ელვა არ მიეტანოს და სახლში არ ჩავარდეს. ყოველს შემთხვევაში ამისთანა ავდრის დროს შუა ოთახში დგომა უფრო უსაშიშროა, იმიტომ რომ, თუ ელვა სახლისკენ დაექანა, ან ბუხარში ჩავარდება, ან კედელს მიწაში ჩაჰყვება; ოთახის შუა ჰერს არას დროს არ დაეცემა. როცა სოფლის მცხოვრებთ ელვა-ქუხილი მინდორში მოასწრებს, ისინი დიდს ხეებს ან ძველს საყდრებს და კოშკებს შეეფარებიან ხოლმე. ეს ძლიერ ცუდი და უგუნური ჩვეულებაა, იმიტომ, რომ თუ ახლო-მახლო სადმე ელვა გაჩნდა, ამ მაღალს ადგილებს მიეტანება და იქ მდგომარე კაცს მაშინვე სულს გააფრთხობინებს. სწორსა და უხეო მინდორში ყოფნა ამ დროს საშიშარია; ამიტომ რომ მდგომარე კაცი აქ ყველა საგანზედ უფრო მაღალია, უფრო ახლოა ღრუბლებზედ, და, თუ ახლო-მახლო ელვა გაჩნდა და მიწისკენ მეხი წამოვიდა, ადამიანს მიეტანება, დაეცემა, მოჰკლავს და მერე მიწაში ღრმად წავა. ყველას ისა სჯობია, რომ კაცმა ჭექა-ქუხილის გადავლას მაღალის ხის მახლობლად დაუცადოს, თვითონ ხის ძირში კი არ უნდა მივიდეს: ოთხისა ან ხუთი საჟენის სიშორეზედ უნდა დადგეს. თუ ამ დროს ელვა მახლობლად გაჩნდა, ამ მაღალის ხისაკენ გაექანება და შიგ გაივლის; ადამიანს კი არაფერს ავნებს, რადგან მოშორებით იდგება.

## მ ი წ ი ს ძ ვ რ ა.

მიწის ძვრა არის მეტად საშიშარი მოვლენა. ამ დროს დედამიწის ქვეშ ისმის რაღაცა საზარელი გრგვინვა, რომელიც ქექაქუხილს მოაგონებს კაცსა,—დედამიწის პირი ზღვასავით ადის და დადის, შენობები იქცევა, თავზარდაცემული ადამიანები ცდილობენ როგორმე მინდორში გაასწრონ და ქვეშ არ მოჰყვნენ ნანგრევებსა. საქონელი საცოდავი ხმით ბღავის, მდინარეები ნაპირებიდგან გადმოდის და ქვეშ იტანს თავისს გარეშემო ადგილებსა; ზოგი მთები სქდება და იქცევა. ამ გვარი მიწის ძვრა თვით უდიდეს ქალაქებს რამდენსამე წამს ნაოხრად გარდააქცევს ხოლმე.

რა აჩენს მიწის ძვრასა?

მეცნიერების გამოკვლევით, ჩვენი დედამიწა მთლად მაგარი და ცივი არ არის. მაგარი და ცივი მას აქვს მხოლოდ ზედა-პირი კანი; შუაგული კი მისი არის სრულიად გამდნარი საშინელი სიცხისაგან, ასე რომ აქ ქვებიც კი გამდნარია. ერთი სიტყვით, დედამიწა ჰგავს კვერცხსა, რომელსაც კანი მაგარი აქვს და გული კი რბილი და თხელი, იმ განსხვავებით, რომ კვერცხი მთლად ცივია, დედამიწას კი გული მეტად ცხელი აქვს. ქანი დედამიწისა თანასწორე არ არის: ზოგან ჩაღრმავებულია და ჩაზნექილი. ამ ჩაღრმავებულს ადგილებში შეგროვილია წყალი და შეადგენს ზღვებსა, ოკეანეებს. რასაკვირველია, სადაც კანი მიწისა ჩაღრმავებულია, იქ ამ კანს უნდა აკლდეს სისქე, უფრო თხელი უნდა იყოს. წარმოიდგინოთ ახლა, რომ ზღვის ძირიდგან დედამიწის თხელს კანში წყალმა იპოვა გზა, მილი, იდინა, იდინა და ჩავიდა დედამიწის გულში. რა უნდა მოხდეს ამ დროსა? რადგანაც დედამიწის გულში საშინელი სიცხეა, ამიტომ ეს წყალი ფიცხლავ ორთქლად იქცევა. როცა წყალი ორთქლად იქცევა, საშინლად განიერდება და დატევისათვის დიდს ადგილს ითხოვს. თუ შეგიმჩნევიათ როდისმე, ცოტაოდენი ორთქლი საარაყე ქვაბის ზარფუშს როგორ ბუმბულივით მაღლა შეისვრის ხოლმე,

მიხვედრილი იქმნებით, რომ ორთქლს საოცარი ძალა აქვს. Ახლა წარმოიდგინეთ, რომ ზღვებიდგან ბლომად ჩავიდა დედამიწის გულში წყალი და ბევრი ორთქლი დაგუბდა შიგ. Ეს ორთქლი, რასაკვირველია, საშინელი ძალით დაიწყებს მაღლა წევას, ერთი ადგილიდგან მეორე ადგილისკენ გაექანება, დედამიწის კანს ზევით მძლავრად მოაწვება, რომ დასძლიოს, გზა გაიკვლიოს, ამოხეთქოს და ზევით ამოვარდეს. Ცხადია, რომ ამ დროს დედამიწა იმ ადგილს, სადაც ორთქლი ქვემოდგან აწვება, უნდა გაქანდ-გამოქანდეს, უნდა ავიდ-დავიდეს, ერთი სიტყვით, მიწის ძვრა უნდა მოხდეს. Რამდენიც უფრო ბევრი ორთქლია დაგუბებული დედამიწის შუაგულში, იმდენად უფრო ღონიერი მიწის ძვრა უნდა იქმნას. Ეს მიწის ძვრა იქამდინ გაგრძელდება, მინამდინ ორთქლი დედამიწაში სადმე დიდს ნაპრალს არ იპოვის და არ ამოვარდება ზევით. Ამ გვარი ნაპრალები დედამიწას აქვს ზოგიერთს მთებში და იქიდგან მიწის ძვრის დროს ვეებერთელა შადრევანივით ამოქუხს ხოლმე ორთქლი და თან ამოაქვს მეტად ცხელი, გამდნარი ნივთიერება. Შენიშნულია, რომ რა წამს რომელიმე მთის ნაპრალიდგან ორთქლი და ცხელი ნივთიერება დენას იწყებს, იმ წამსვე დედამიწის ძვრაც შესუსტდება ხოლმე.

Მაგრამ რა საფუძველი აქვს მიწის ძვრის ამ გვარს ახსნას? Რაზედ არის დამყარებული ის აზრი, რომ დედამიწის გული გამდნარია და საშინლად ცხელის ნივთიერებისაგან შესდგება?

Შენიშნულია მეცნიერთაგან, რომ თორმეტის საჟენის სიღრმეზე დედამიწაში ზამთარ-ზაფხულს ერთ ნაირი სითბო ტრიალებს. Რაც უნდა ცხელი ზაფხული იყოს და რაც უნდა ცივი ზამთარი, ამ სითბოს არც მოემატება და არც მოაკლდება. Ამის მაგალითს თვითონ ქის წყალიც ნათლად გვიჩვენებს: თუ ქა ღრმად არის ამოთხრილი, იმისი წყალი პაპანაქს სიცხეში ძალიან ცივი გვეჩვენება და ცივს ზამთარში—თბილი. Ეს იმიტომ, რომ ამ წყლის სითბოს თითქმის არც ემატება და არც აკლდება. Იმ სახელმწიფოში, სადაც მადნებსა სთხრიან, ალაგ-ალაგ მიწაში ძლიერ ღრმად ჩასულან და

შეუმჩნევიათ, რომ რამდენადაც უფრო ქვემოდ მიდის კაცი მიწაში, იმდენად უფრო მომეტებულს სითბოსა ჰგრძნობს. გაზომეს ეს სითბო ერთი იარაღით, რომელსაც ტერმომეტრი ჰქვიან და დარწმუნდნენ, რომ ყოველს 18 საჟენს იმ ადგილის ქვევით, სადაც მუდამ ზამთარ-ზაფხულ ერთი და იგივე სითბოა, თითო გრადუსი სითბო ემატება. გამოიანგარიშეს და შეიტყეს, რომ სამოც-და-თორმეტი ვერსის სიღრმეზე ძირს მიწაში ისეთი საშინელი სიცხე უნდა იდგეს, რომელიც ალხობს და ადნობს ყოველს ქვასა და რკინეულს. **რომ** მიწის შუაგულში სწორედ ამისთანა სიცხე ტრიალებს, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ის გამდნარი ნივთიერება, რომელიც ამოდის ხანდახან ზოგიერთ მთების ნაპრალებიდგან, არის საშინლად ცხელი, ასე რომ მთების გვერდობზე დენის დროს რკინას ერთს წამსვე ადნობს და თავის სიცხელეს არა ჰკარგავს რამდენისამე წლის განმავლობაში. **რომ** მიწის ძვრაში წყალიც მონაწილეა, ესეც აშკარა საქმეა: როცა მიწის ძვრის დროს რომელისამე მთის ნაპრალიდგან ცხელი ნივთიერება ამოქუხს, იმაში ურევია ძალიან ბევრი ორთქლი. **ეს** ორთქლი იმდენად ბევრია, რომ მთელს მთასა და გარშემო ადგილებს ნისლითა და ღრუბლით ჰფარავს და აჩენს ხშირსა და სხვილს წვიმას, მაშინაც კი, როდესაც ცის ღრუბელი სრულიად არსადა სჩანს. **ამას** ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ღონიერი მიწის ძვრა და ცხელის ნივთიერების ამოხეთქვა მთების ნაპრალებიდგან მოხდება ხოლმე უმეტეს ნაწილად ზღვის მახლობელს ქვეყანაში. **შუაგულს** ხმელეთში, ზღვის დაშორებით, ეს ორი მოვლენა ძალიან იშვიათია.

# ქრისტომატია.

## პოეზია.

### ლექსები ყრმათა შესახებ.

#### მძინარე ყმაწვილს.

ღმერთო! აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე,
აღუხსენ ხედვად მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.
ღმერთო! მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თვისის ერისა
მოძმე ერთგული და მოყვარული.
ღმერთო! თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაელივნოს,
ვიდრე ტანჯვისა ცრემლი თვისს ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს.

ილია ჭავჭავაძე.

#### ისწავლეთ, ძენო.

ისწავლეთ, ძენო, ნუ დაზოგავთ ღვაწლსა და შრომას,
ნათლის თვალითა ერიდენით ცრუ გზას და ცთომას.
განათლდით სწავლის ლამპრითა, ისწავლეთ კვალად!
სწავლა არს მადლი ღვთაებისა, ცხოველი მარად.
სწავლა აიყვანს თქვენს გონებას იმ სიმაღლესა,
საიდამც განსჭვრეტს და მისწვდება დიდს განგებასა,
მის უსაზღვროსა, მშვენიერსა, დიდს ქმნილებას,
მის დიდს სიბრძნესა და დაფუძნულს ჭეშმარიტებას.
სწავლა არს ძალა, დიდი ძალა, ძალა ღვთიური!
სწავლული იყოს თუმცა ღონით სუსტი, უძლური,
მისია მაინც ეს ქვეყანა და მის დიდება;

გით მზე ცხოველი, ცხოველია სწავლის უფლება.
თქვენის სამშობლოს თქვენკენა რბის გული და თვალი,
ისწავლეთ, ძენო, თქვენს ხელთ არის მის მომავალი!

ვ. ორბელიანი.

## დის სიმღერა.

მე ბოგია მისთვის მიყვარს,
რომ ძმაა და მეგობარი;
და მისთვის მსურს მისი ხილვა,
მასთან ხშირი საუბარი!
ღმერთო, მიეც გამარჯვება,
განსაცდლისგან დაიხსენი!
დაგვიბრუნე შინ მშვიდობით,
გევედრები მონა შენი!

და, თუ მოკვდეს ბრძოლის ველზედ,
გაემსჭვალოს ისრით გული,
მაშინ ჩიტად გარდამქენი;
მსურს შევიქნე მე ბულბული,
რომ მის საფლავს მწირს და ობოლს
მე ვუსტვენდე გრძნობა-მტკბარი,
და იმ ხმასაც ყურს უგდებდნენ
არე-მარე, მთა და ბარი.

აკ. წერეთელი.

## ყინვა და პატარა მოწაფე.

თოვლით დაფენილს ტრიალს მინ-
დორსა
თითქო ღრმა ძილით წასძინებოდა,
და ხშირსა ტყესა, ჩადრ-წამოსხმულ-
სა,
სახე სრულიად გაჰშეშებოდა.
არსაიდამა არ მოისმოდა
არც ნადირთა ხმა, არც კაცთ ძახილი,
ირგვლივ ცის კიდით კიდემდისინა
იდგა სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი.
და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში
ყინვა თანდათან ძლიერდებოდა;
ხან ალმა მთებზე და ხან ჩამოლმა
იგი მეფურად დაბრძანდებოდა.
დაბრძანდებოდა და თანაც თვალსა
არ აშორებდა გატკეპნილს გზასა;
უნდოდა ძალა გამოეჩინა, [სა.
წინ დაჰხვედროდა მომავალს მგზავრ-
აგერა კიდეც გზაზე გამოჩნდა
ბავშვი წიგნებით იღლიაში!
ჩქარა ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულებდა ის სკოლაში.

ყინვამ მაშინვე მისკენ მიჰმართა
და მრისხანებით გადუდგა წინა:
„ბავშვო, სულელო, სწრაფლ მია-
[ძახა,
გირჩევ ეხლავე დაბრუნდე შინა.
„ჩემთან კერპობა შენ არ გაგივა,
მალე გეცვლება წითელი ფერი;
იცოდე. შენზე დიდებისათვის
მომიგრეხია მწარედ კისერი“.
ესმის ყველა ეს პატარა ბავშვსა,
სცივა და მთელი ტანით ძაგძაგებს,
მაინც არ სდგება, ხელების ფშვნეტით
მიხტის და ფეხებს მიაბაკუნებს...
ყინვა ბრაზდება და გული მოსდის
პატარა ბავშვის მხნეობაზედა,
უმატებს სუსხსა და ცეცხლსა ანთებს
იმის ლოყებსა და ყურებზედა.
შესწუხდა ძლიერ ჩვენი პატარა,
მთლად დაეყინა ხელი, ფეხები,
„ვაიმე დედავ!“ უცებ გაისმა
და გადმოსცვივდა საწყალს ცრემ-
[ლები.

მაგრამ მაინც კი სულ არ შეშინდა,
ფეხიც არ შესდგა, არ შეისვენა!
უცებ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,
მარდად მოჰკურცხლა მან სკოლისკენა.

მირბის პატარა, მირბის და... აგერ
სკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა!
სულ დაავიწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და იმის ბაქი-ბუქიცა.

ნ. ლომოური.

## ბებია და მისი შვილები.

მძიმედ დაჭრილი მხეცივით გამწარებულად მყვირალი,
მინდვრად და მთაში გლოვის ხმით საზარლად ღმუის გრიგალი!
ხან რისხვით დაიგრიალებს, თოვლსა ჰხვეტს მინდორ-ველადა
და ხეებს ჩაფიქრებულებს აკვნესებს გულ-საწყლადა!
ხან კი კარს უკან ქვითინებს, თითქო სიცივით კვდებათ
და სახლში გასათბობელად შემოსვლას გვევედრებათ...
ცეცხლის პირს დამშვიდებულად ზის და საუბრობს ბებია;
მისი ხელობა ზღაპრები და ძველი არაკებია...
მას ყურს უგდებენ მდუმარედ მისი შვილისა შვილები,
გუგულებივით მის გვერდით საყვარლად ჩასხდომილები.
ხან ჩააფიქრებთ ზღაპრები, ხან წყნარად ჩაეცინებათ
და, რა სძლევთ ძილი, ბებიის მუხლებზე მიეძინებათ.

ცახელი.

## დედა და შვილი.

რაც უნდ ვიცოცხლო, დედა მე არ დამავიწყდება:
მე მისი სახე ახლაც ცოცხლად წარმომიდგება.
მახსოვს მე, დედა ღამე გულზე მიმიხუტებდა
და წმინდა ლოცვებს ტკბილად, წყნარად მიჩუჩუნებდა.
სულ განაბული მე ვუსმენდი მისს დარიგებას—
მისი სიტყვები გრძნობიერნი ჩარჩნენ გონებას:
„ისწავლე, შვილო, რომა შეიქნე კარგი სწავლული
და შენი სწავლით ასარგებლო შენი მამული.
იცოდე, რომა მამულისთვის ის ძე ფუჭია,
რომელს ნაყოფი ტკბილი მისთვის არ მიუცია.
ეცადე ერის, მამულისა შენ აღდგინებას,
თუ გინდ ელოდე შენ ამისთვის ტანჯვას, წვალებას".
ამისთვის დედა მე მიყვარდა გულით და სულით,

დედას—მე, რომა ყურადღებით ვუსმენდი სრულით.
მაგრამ უწყალომ მომაშორა ბედმა მე დედას,
ისე, რომ ყური მას ვერ უსმენს, თვალი ვერ ხედავს. .
მახსოვს შავი დღე, როცა დედამ შეწუხებულმა
მიმიკრა გულზედ, მითხრა სულით აღშფოთებულმა:
„გიკვდები, შვილო, მით სიცოცხლე გამმწარებია,
რომ შენი სწავლა, შენი აღზრდა არ მომსწრებია...
„ვკვდები, სამშობლოს—შენს უფროსსა დედას გაბარებ:
იმედია, რომ... ჩემზედ უფრო... მას შეიყვარებ.—
რაც რომ გმართებდა, შვილო, ჩემი... პატივის ცემა,
უმეტეს გმართებს... მამულისთვის... თავის გაცემა. .
გახსოვდეს, შვილო, რაც რომ შენმა დედამ გასწავლა...
ვკვდები, სიკვდილმა მეტისა თქმა აღარ... მაცალა"...

სილოვან ხუნდაძე.

## სწავლა მოსწავლეთა.

ისმინე, სწავლის მძებნელო, მიჰყევ დავითის მცნებასა;
ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.
თავს სინანული სჯობიან ბოლოს ყამს დანანებასა;
ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.
დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიხსენებსა,
მის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მსგავსსა სენებსა.
მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა...
ეგრეთ მოსწავლე, სწავლასა რა სრულ ჰყოფს, განისვენებსა.
სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი...
სხვას ყველას მაზე უგია თავისა გასაყოფელი...
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთი-სოფელი.
ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების;
არც ცხადის ძალით წაირთმის, არც მალვით მოიპარების...
ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.
ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,

ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს,
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთველი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

დავით გურამიშვილი.

---

## ლექსები სოფლის ცხოვრებიდან.

### საწყალი გლეხი (ხალხური).

ერთი გლეხი ვარ საწყალი, სხვა სოფელს მივალ დასთანა,
იქ პური უნდა ვიყიდო, გამოვიკვებო ზამთარა.
შუა გზაზე დამიღამდა, შეველი მიკიტანთანა;
ერთსა ერქვა ასატურა, მეორეს ერქვა ვართანა,
იმ ღამეს ისე დამიხვდნენ, როგორც ძმა მივა ძმასთანა.
მეორე დღე რო გათენდა, ფიცხლავ წამოდგა ვართანა,
ამხანაგსა ხელი წაჰკრა, სომხურად სიტყვა გათალა.
გულმა ძაგძაგი დამიწყო, რაღაცა საქმე მომხდარა;
სალოკი თითი დაადო, გააქან-გამოაქანა;
ხუთი მანეთი წამართვეს, ერთი აბაზი დამრჩა-და...
ისიც მიკიტანს გადვუგდე, — მაგის წამლებიც გამქრალა,
ამისი ოტკა დამისხი, ეგები გამყვეს კართანა.
ჩოტკო, გაგიწყდეს გამგუთხი, რომელმა ხელმა გაგთალა,
აგასხა წინდის ჩხირზედა, მიკიტნის დახლში გაგგზავნა!
დავწყევლი, აღარ გავივლი ჩემს დღეში მიკიტანთანა,
ყოველი ჩვენი ცხოვრება მიდის სულ ვაჭარ ხალხთანა.

### ალზივანს წასვლა.

მარილზე მივლენ ბიჭები, დარდი არა აქვთ გულშია,
ურემი მისდევს ურემსა, შოლტების ტულაშა-ტულუშია!..
ნაცადი ბიჭი მიუძღვის, ტკბილად დამღერის ხარებსა,
ფიქრობს მოივლის ალზევანს და ცოლ-შვილს გაახარებსა:
„ალზევანს წავალ მარილზედ, მარილს მოვიტან ბროლსათ,
გაუწი, შინდავ, გიშერას, რათა ჰლალატობ ტოლსათ?
გაუწი, ქედის ჭირიმე, გიშერა ცოდო ხარია,
უშველე, ნურას ცუდლუტობ, ტოლს დაუჭირე მხარია...

ურემი, ჩემი ურემი გამყოლი არის ხარისა,
არ ეფიქრება კლდე-ღრისა, აღზევნის მთა და ბარისა ..
ღერძი უდგია წითლისა, გასაპნულ-გაპოხილია,
ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით გახეშილ-გაჭედილია;
უბე გაგაწყე ლართხებით, დანდლებით გადაბმულია;
ისე გაუძლებს ასს ქვასა, არსად დასჭირდეს ცულია.
თვლები დავკვერცხე, რა თვლები, გრგოლივით ჩამოსხმულია;
ჯაგ-რცხილის ფესვებს მოვკიდე სოლებად იფნის გულია...
გინდ გავატარებ თოკზედა, არ მოკვდეს ჩემი თავია!
გაუწი, შინდავ, გიშერას, ნუ სცრუობ, ნუ ხარ ავია!
აღზევანს მივალთ მე და შენ, როგორ არ გაგიხარდება...
ლოკე და ლოკე მარილი, არავინ გაგიჯავრდება...
შენ რაღას ხვნეში, ნიკორავ? ღონე თუ გამოგლევია?
ეშმაკობ, თორემ ჯერ ირმას შენთვის არ დაუძლევია.
აღზევანს წავალ მარილზედ, მარილს მოვიტან ბროლსათ,
ჯერ დედას გადავეხვევი, მერე შვილსა და ცოლსათ“.

რ. ერისთავი.

## ბერუას ჩაფიქრება.

ე როგორ არის, ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია?
მიწა სხვისაა, ვქირაობ, შრომა კი მარტო ჩემია.
როცა მღალატობს მზე-წვიმა და მომიცდება ყანები,
უფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვეთაყვანები!
მაგრამ რომ ღალა მიწისა არ ასცილდება მთესავსა?
სად რა ვიშოვო საბრალომ, ვინ მომაქვავებს ბედ-შავსა.
ე შავი მიწა მაინც რომ საყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ — რა ვიცი — მე რაღა დამაღონებდა.

რ. ერისთავი.

## წ ი ს ქ ვ ი ლ ი.

წყალი მოშხუის ღარშია, გაძალებული შხრიალებს,
ქაფი დუღს, სწინწკლავს, ბორბალი ციბრუტივითა ტრიალებს.
წისქვილი მოქუხს, დოლაბი ბრუნავს და ბრუნავს ძალათა;
ვარცლი ზანზარებს, ხორბალი მოცურს და მოცურს წუნარათა.

აქ სარეკელაც ტაშს უკრავს, ერთი შეხედეთ კუკნასა!
წისქვილიც, მათი ამყოლი, ცეკვავს და უვლის ბუქნასა..
თეთრი მტვერია ყველგანა, არა ჩანს მზისა შუქა;
სპეტაკს ფქვილს ისვრის დოლაბი, დამდგარა ხორბლის ბუქი.

რ. ერისთავი.

## თინიას მამითადი.

მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის იმის ლხინია,
ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია!..
ქვრივ-ოხერს, ბეჩავს თინიას ჰყავს ერთად-ერთი შვილია,
პაწია წვითა და დაგვით, ვაებით გამოზრდილია.

დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთის დღის მიწა ნაოში;
მაგრამ სათესლე გაჭირდა—არ გახლდათ საკუჭნაოში!..
ჩამოითხოვა თინიამ ორ-ოლი მუჭა ხორბალი,
მოთესა, უცებ ზღვა გასქდა, შიგ დატრიალდა ღვთის თვალი!..

თავთავმა თავი დახარა, ყველამ გალესა ნამგალი,
თინას კი გული უსკდება, ვინ მისცა ამას მომკალი?..
თუ სანახევროდ სხვას მისცეს, რაღაა გასაყოფელი?..
თუ არა, ღონე არა აქვს, მისი ღონეა სოფელი...

ჩამოუარა სოფელსა, სთქვა: „ყველას დავედრიჯები“.
დილა ადრიან მოადგნენ კარზე რჩეული ბიჭები.
ჭოოპუნათი, კაჟინით მოედვნენ ქვრივის ყანასა...
არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!..

თინა მასპინძლობს გულ-უხვად: მოუტანია მჭადები,
მაწონი, ორი დედალი, მუშისთვის დანამზადები...
ცოტა არ იყოს სცხვენიან, ღვინო არა აქვს საწყალსა,
მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივს წყალსა!..

ჭოოპუნა და კაჟინი უხდება ქვრივის ყანასა!..
არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!..
ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია,
მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის იმის ლხინია!..

რ. ერისთავი.

## სესიას ფიქრები.

მიწა ვარ ნიადაგ მენა, ბეჩავი გლეხად შობილი;
მიწაა ჩემი დედ-მამა, ჩემი ძმა, ჩემი დობილი...
ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა, ე შრომა მაინც ფუჭია;
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია.
მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჭინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი — ყველა მე შემომცქერია.
ნეტავი გამაგებინა, როდისღა მამასვენებენ?
ვერ მოვესწრები მგონია, მინამ არ წამასვენებენ.

რ. ერისთავი.

## გლეხის ნუგეში.

ცხელა და ცხელა, პაპანებაა, ქოხის წინა ზის ყმაწვილი დედა,
პაწია ბიჭი, ჩჩვილი, ფუნთუშა, ხელს უტაცუნებს ძუძუებზედა...
„აქა, მამილო! მამილო, აქა!“ დედა იძახის შვილის მაგივრად,
მაგრამ „მამილო“ ჯერ არსად სჩანს, ის სამუშაოდ წასულა მინდვრად..
„აქა, მამილო!“ სთქვა კიდევ დედამ: „თან მოიტანე ბევრი კაკები...“
გულში კი ფიქრობს: „სად რას მუშაობ, პაპანებაში რას იკაკვები...“
მზემ გადიხარა, დაჰბერა სიომ, აგერ გამოჩნდა მუშა მაშვრალი,
ხვითქი გადასდის გულ-გაღეღილს და ახალუხიც არ მოსდევს მშრალი.
თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი, მოდის, ღიღინებს დაბალს ხმაზედა,
მოდის ამაყად, მჭრელი ნამგალი გადაუდვია მოღლილს მკლავზედა!..
წინ მიეგება ყმაწვილი ცოლი და მიაწოდა გიგლა მამასა,
იმანაც შვილი ოფლიანს გულში მაგრად ჩაიკრა და ჰკოცნის მასა!..
გიგლამ უტაცა მამას ულვაში, ლოყაზედ თითი მოუცაცუნა,
მამას იამა შვილის ცელქობა, ულვაშის წიწკნა არ დაუწუნა...
დაჯდა მაშვრალი დერეფანშია, გვერდით მიიდო მჭრელი ნამგალი,
ამაყობს ცოლით, ამაყობს შვილით, ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი..
ცოლმა მიართვა მჭადი და წყალი, გიგლა ჩააკრა „აკვანშია“,
გვერდით მოუჯდა ქმარსა და შვილსა, მათის ყურებით განცხრომაშია!..

მისივე.

## იმერი გლეხი.

მე მუშა კაცი გახლავარ, გლეხი ვარ, გლეხად შობილი,
არა ვარ ღვთის მომდურავი, არა ვარ გულ-ჩათხრობილი.

ჩალური სახლი მიდგია, ხულა, ღერეფნით სრულია,
სხვენი აქვს წიფლის ფიცრისა, კედლები გამოწნულია!..
წინ და გვერდებზე კარები, ურდულად დიდი კეტია,
ხულის კარებს კი რაზა აქვს, შიგნიდგან დასაკეტია.
შიგ შუა სხვენში ჰკიდია ჩალხანის საკიდარია,
ხულისკენ—თარო, ჯამ-ჭურჭლით და კრუხის საბუდარია...
კერასთან შუა-ბოძია, ბოძთან—ძმრის ქოცო თხლიანი,
ბოძს უკან ფქვილის გოდორი და კიდი ბარაქიანი!..
უღელი ხარი კარზე მყავს, ძროხა და ერთიც ფურ-ზაქი,
ქათმები, კრუხ-წიწილები, ქოსმანად—ერთი ბურვაკი!..
ვცხოვრობ ბეჩავი, ღვთის მადლით, არ გამტეხია გულია,
ნუ გეგონებათ, შავშინდე ჯაფისგან მოქანცულია!...
საღამო ხანზედ ცოლ-შვილით რომ მოუჯდები კერასა,
მჭადს და ლობიოს მოვიდგამთ, ღვინოზე ვიწყებ მღერასა!
დავაგურგურებ დიდს სათარს, ბალღებს მივაწვენ ჩუღლებზე,
მეც იქვე წამოვგორდები, არასა ვდარდობ ფულებზე!...
მე დედამიწის მებრძოლი გლეხი ვარ, გლეხად შობილი,
არა ვარ ღვთის მომდურავი, არა ვარ გულ-ჩათხრობილი.
მაგრამ, რომ ვშრომობ დღე და ღამ,—ნეტავი გამაგებინა—
ეს სიღარიბე რას დამდევს?—წამი არ მასუნთქებინა!..
სჩანს, შავი მიწის ბრძოლასაც ზოგჯერ არა აქვს ხვავია...
მაგრამ რა ვუყო ბეჩავმა, ვის ვუთხრა სამდურავია?..
წელს კი—უნდა ვსთქვა სულს ქვეშა—მიწას არ უმტყუნებია:
პური და ღვინო მოვიდა, ნიგოზი, ბლომად ლებია.
ვცხოვრობ ბეჩავი, ღვთის მადლით, არ გამტეხია გულია,
ნუ გეგონებათ, შავშინდე ჯაფისგან მოქანცულია!..

რაფ. ერისთავი.

## ნიკორას ჩივილი.

ატირდა ხარი ნიკორა
მარგალიტისა ცრემლითა:
«მექცევა ჩემი პატრონი
ქცევითა უდიერითა;
დამადგა მძიმე უღელი
კისერზედ ორის ხელითა:
დილით ბინდამდე ოფლსა ვღვრი,
ვიწვი ცეცხლითა ცხელითა...
დღე ჩამოვლიე ტანჯვითა,
ტანჯვითა დიდ ძნელითა,

არ მალირსებენ აპეურს,
მაბმენ არყისა წნელითა, —
გახმება, შემომიჭირებს,
მიწას-ღა დავლოკ ენითა.
ჩავჩერებივარ შავ მიწას,
მეც დღენი მიშავდებიან.
მეხრე და მოსამხრეები
ზედ უღელზედა მსხდებიან,
მეწევი ლონე-მიხდილი,
ხისხლისა კვლები მყვებიან.
ისევ მე მცემენ, ისევ მე
მყვედრიან, მიჯავრდებიან;
თუ დავიჩოქე უღელს ქვეშ,
დღე დამიბნელდა შავადა.
მომკერძდა სოფლის სიმუხთლე,
ბუთანში გავხდი ავადა, —
განა დამაცლის პატრონი,
სული დავლიო თავადა?!
წამიყვანს დაოსებულსა
მინდორში დასაკლავადა!..
მინდორო, მინდვრის დედაო!
ნიკორა გებრალებოდეთ!
რო მოკვდეს, თქვენსა კალთაში
მიიღეთ, მიიბარეთო,
ნუ გაჰხდით საყვავ-ყორნედა,
შვილურად შეინახეთო!!

თ. რაზიკაშვილ

## მოუმკალი ყანა.

(ნეკრასოვიდან).

შემოდგომა მიიწურა, გაემგზავრნენ შორს ფრინველნი,
მინდორ-ველი დაიცალა, ტყესაც გასძვრა სამოსელნი.
მხოლოდ ერთგან ობოლივით მოსჩანს ყანა მოუმკალი,
მისი ცქერით სული კვნესის და ეხვევა გულს ნაღველი.
თავთავები ჩაქინდრულნი შესჩივიან ერთმანეთსა:
ვით გავუძლოთ შემოდგომის ძლიერს გრიგალს, სუსხიანსა.
ქარის ყოველ დაბერვაზე ჩვენ მიწამდინ თავსა ვხრითო
და ამ საწყალ მწიფე მარცვლებს ტალახსა და მტვერში ვსვრითო.
დღე-ღამესა ჩვენ გვიკლებენ ფრინველთ ხშირი გუნდებიო,
შორე მხრისკენ მიმავალნი, უმაძღარნი, ურგებნიო.
კურდღელიცა ფეხით გვთელავს, ქარიშხალი ტყავს გვაძრობსო,
სად წასულა ჩვენი მკელი? რაღას უცდის, რას საზრობსო?
ამათ ქარი უპასუხებს, ცუდი მომაქვს ამბავიო:
თქვენი მკელი ლოგინში წევს, ავადმყოფი, უძრავიო.

ცახელი.

## ტყვის სიმღერა.

ვინა სთქვას, ვინ გაიხსენოს
ამბავი გარდასულისა?
ტრფიალთა საით სად იგრძნონ
ლხინობა ერთურთის გულისა, —
იქით ვინ გადაიტანოს
ამბავი დაკარგულისა!?

ვტირი და ვტირი ბეჩავი,
შუქი არ ვიცი მზისაო...
სადა ვარ გადმოვარდნილი
მე სადაური წყლისაო!
ფრინველნო, გემუდარებით,
მარქვით რამ ჩემის მხრისაო!
მიამბეთ, ჩემს სამშობლოში
წყარონი კიდევ დიანო?
მზე, მთოვარე და ვარსკვლავნი
ცაზე კიდევა კრთიანო?
თავზედაც შემოგევლები,
ჩემო ქვეყანავ მთიანო!

ნუ ამირიდებთ, ფრთოსანნო,
ტყვესთან იქონეთ ზავია;
ბეჩავს დედაჩემს უთხარით,
არ ჩაიქოლოს თავია;
უამბეთ, ცოცხალიაო,
შემოიძარცვოს შავია.
დრო მოვა, ცა გაიელვებს,
ბარად წამოვა ცვარია;
ჩამოაბნელებს ღრუბელი,
მოჰსკდება ნიავ-ღვარია;
ჩვენის მტრის არე-მარესა
დაანიავებს ქარია...

ბაჩანა.

## მ უ ხ ა.

მუხავ, მიყვარხარ, ტიალო,
განმარტოებით მდგომარე, —
ერთი შენ გპოვე გულისა,
ქვეყანა შემოვიარე.
დაღონებული მტირალი
მუდამ შენკენ ვარ მოარე!
მე მიყვარს შენი სიბერე,
მუდმივი დარეჯილობა,
დახავსებული ტოტები,
სიმტკიცე, ფოთოლთ-შლილობა...
შენ არ გაშინებს, ვაჟკაცო,
ბუნების ფერის ცვლილობა!
რაც უნდა ქარი შხუოდეს
და ელვა იკლაკნებოდეს,
მთა-ბარი ირეგვებოდეს,
ხილ-ხული იხოშებოდეს,

ლერწამი მიწას ეკვროდეს,
მშველი ტყეს ინაბებოდეს,
ზარ-დაცემული მხეცი რამ
პწკალზე კლდის ეხში ღმუოდეს,
ამაყად ელი ავდარსა,
ქარს არ უყადრებ თავსაო,
ელვა და ქექა-ქუხილი
ვერ შეგიხრიან წარბსაო!
არ აგდებ ბაი-ბუადა
ხალხის ულმერთოდ ჰრასაო!
საფლავიმც აუყვავდება,
ვინაც გვაუწყა მცნებაო:
„კაცი იშობის ერთ დღესა
და ისევ ერთ დღეს კვდებაო.
კარგი ჭაბუკი სიკვდილსა
აროდეს შეუდრკებაო“!

მისივე.

## ბერუას ჩივილი.

ყველა მე ჩამამეკიდა, მამასახლისი, გზირია;
როგორ არა ვთქვა ბეჩავმა მეც ჩემი გასაჭირია?
ფული მემართა ვაჭრისა, „რიგისთვის“ აღებულია;
თავნში პურ-ღვინოს დამჯერდა, ვახშში მივეცი ფულია.

აგი გაუწყრა ღმერთია და მიმილთახა წყეულმა:
გალი მომთხოვა მეორედ ღვინოზედ შემოჩვეულმა!
ხელახლად წამომიარა, სულით ხორცამდის გამცალა!
ნათლია-მამასახლისმაც ერთს თუნგს არაყში გამცვალა:
არ შემარჩინა ზედაშე, გოჭი, ქათამი, წიწილა,
არც საბუდარში კვერცხები,—გამომილიეს სინსილა.
გეო ვაჟარი ჩემ სახლში ნავარდობს, როგორც ქორია,
გზირიც, არყისგან გამტყვრალი, გორაობს, როგორც ღორია.
რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რით მოვიცილო ჭირია,
ყველა მე ჩამამეკიდა: სოფლის მოხელე, გზირია.

## გუთნის დედა.

გადი, გამოდი გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო.

ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ მე და შენ...
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი.
ბელტო ბელტოზედ გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით.
შენებრ მეც მელის მიწა, ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყებლსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?
ეგ, ჩემო ლობავ, ნუ შეგშურდება.
რად მინდა ხმალი, თუნდ იყვეს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება...
აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომა აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,

რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კატობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს.
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი ..
მაშ რა გაღონებს?—გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს;
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!

ილია ჭავჭავაძე.

## ვაჟკაცის სიკვდილი.

(ხალხური).

მთაში ვაჟკაცი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა სჭეხდა, მიწა გრგვინავდა.—
სული გვიანა ჰხდებოდა!..
ჩამოდიოდა ვარსკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა;
ძორ-შავარდენი, არწივი
სულ მხრებით იხოშებოდა...
მაღლის ჰიუხის ნადირი

სატირლად ემზადებოდა;
ცხენი იმისი, ტიალი,
ლურჯა ტოტზედა დგებოდა;
ცოლი იმისი, ბეჩავი,
სულ შავად იმოსებოდა;
დედას იმისას, საბრალოს,
ტირილით სული ჰხდებოდა;
მამა იმისი,ბეჩავი,
თმა წვერით იხოშებოდა.

## მ უ შ ა.

### I

გოლვიან დღეს ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახვიხარ შენ
კედელთან მწოლი, მხურვალე მზე ზედ დაგჰურებდა.
ჩემი დიდინი შენი ხშირად გულს მიწულულებდა.

ნაღვლიანს ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოჰშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიედ გადმოგრტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?... რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი თბილისშია, აბა, რა ჰპოვე?...

## II

აი, ტვირთ ქვეშე მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსანს შუბლით გედვრება;
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა.
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება!...
ვინ შეგიბრალებს?... აგერ მოჰქრის დიდ-კაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად.
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა და, როგორც კოკა,
შენ—კერძო ღვთისა—არ დაგინდო დასამსხვრევლად...
შენ გარდიქეცი ტომარითურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენს ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რაც მაშინ იგრძნე, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა;
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!
იმავ დუმილით მიხველ, წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გადურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი—გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს—და არავინ არა გშველიან!...

## III

აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზედ იწმენდავ ოფლსა,
განივრად იძვრის ლიდი მკერდი სიგრილეშია,—
იცდი, საწყალო!—შენი ლუკმა იმის ხელშია!...

ხშირად ამ ლუკმის მოლად მოცემაც იმას შენთვის ჰშურს,
ხშირად ფასს გაკლებს, შიშველს, მშიერს, მწუხარვალს, უბედურს...
„ნუ მიტეხ ლუკმას,—ეუბნები—ღმერთსაც შეხედე!..
მე ჩემი ლუკმა პირუტყვსავით ზიდვით ვიყიდე“.
შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრიყვებს;
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზე შეგევაჭრება.
ვისაც არ უჭირს, მას გაამძღობს და შენ კი გაკლებს,
შენ, რომელსაცა ერთი გროშით დღე გემატება.
ეგრედ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზე მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამ რიგად განაგრძელებ უღმრთო შრომასა.

IV

შენს სიცოცხლესა დაალამებ ესრეთ შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა
და სახურავად, თუ კი მოგეცა, რუსის ფარაჯა!...
მარტო იცოცხლებ და მარტოვა, ძმაო, მოკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.
მოკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედავენ საკაცეშია!
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრედ უბრალოდ გაფუჭდები,—და ჩვენს ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ“ ყოფნასა.

ილია ჭავჭავაძე.

---

## იგავ-არაკები.

### დატყვევებული არწივი.

გალიაში ზის არწივი, ვეღარ ახერხებს ნავარდსა;
ვეღარ სჭვრეტს ატეხილ ჭალებს, ვერც ყნოსავს ია და ვარდსა;

ტანჯვით იგონებს ის ძველ დროს, როცა თავს აჯდა იალბუზს
და ქვემოდ მაგალ ცხოვრებს ოდნავ ხედავდა ვითა ბუზს:
ცის სიახლოვით ამაყი ძირს ეშვებოდა მურდულად,
სხვებზე პირდაპირ მიმსვლელი თვით დაიჭირეს ქურდულად.
გალიაშია მზებნელი, მარტოდ-მარტოა იქ ობლად,
და იქვე ჯირკზე მიბმული ბაიყუში ჰყავს მეზობლად.

აკაკი.

## ბედი გადაგვარებულისა.

ერთმა უგნურმა თაგვუნამ იუკადრისა თაგვობა;
დასწყევლა თვისი გაჩენა, ბუნების იწყო მან გმობა:
„იმ უსამართლო ბუნებამ თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა, მან ჯერ ქვეშ მომცა ბინაო!
ვის ეკადრება თაგვებთან კუდის ბზეკა და ღხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა, რომ მეწყო მაღლა ფრენაო
რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს, გამომაბამდეს ფრთაებსაო,
გავფრინდებოდი ერთს წამს, გადავივლიდი მთებსაო!.“
რომ დაასრულა ეს ნატვრა, ნახა, რომ ფრთები ესხმება
და მეტი სიხარულითა საბრალოს თავს ბრუ ესხმება...
ზიზღით შეხედა თვის ტოლებს, დაუყოვნებლივ აფარდა,
ჩიტებში გამოერია, ამანაც გაინავარდა...
ჩიტებმა აჰხედ-დაჰხედეს, სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო?
რა რჯულის ცხოველი არის? ჩვენთან ვინ განაწესაო?
თვალ-ტანადობა თაგვს უგავს, ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს, ჭირი არის და სენიო.
ეგება მტრებმაც მოგზავნეს, შემოჩენილიც იყოსო...
არიქა, ფრთხილად იყავით, არავინ გაგვაბრიყვოსო!“
დაჰჭყლიტეს, ჩაუნისკარტეს, გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები,
სისხლი ადინეს ღამურას, გამოუბნელეს თვალები!
დაღმა დაეშვა ღამურა, მიმართა ისევ ძველს სადგურს...
მაგრამ აქ უფრო შავი დღე დაუდგა მაშინ უბედურს:
თაგვებმა აითვალწუნეს, აღარ მიიღეს, რომ ნახეს,
მიჰვარდნენ ერთად საკბენად: ,,ჰკა მაგასაო“! დასძახეს...
მაშინ კი მიხვდა ღამურა, რომ ანგარიში წაუხდა

და მისი ნატვრა უგნური საჭირ-ბოროტოდ აუხდა!
გვიან-და იყო! გაფრინდა აგიცხულ, თავს დაფ-დასხმული,
ერთს ძველს ნანგრევში შეფრინდა და მოიბრუნა იქ გული.
მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს, დღისით ვერ ჩნდება სირცხვილით
და მუდამ ამას წრიპინებს კვნესით და გულის ტკივილით:
„კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის-ტომის დამწუნებელსა ჭირი მიუვა კარზედა!
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა და ნუ სცვლის თავისს ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის ჩემსავით ცრემლთა დენასა!
გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია!“

მისივე.

## სოფლელნი და მდინარე.

სადღაცა ერთსა სოფელსა
პატარა ხევში წყარონი ჩაუდიოდნენ ახლოსა.
მაგრამ ეს ხევი უჩინო ყოველს წელს ადელდებოდა
და მაშინ ამა სოფელსა საშინლად გაათხრებდა:
ზოგისა ბაღსა ახდენდა,
ზოგსა სახლებსა უქცევდა,
ზოგისა ცხვარი, ქათამი, ზოგის წისქვილი მიჰქონდა
და ესრეთ ძალად ყოველ-წლივ ხარჯსა სოფლიდამ მოჰკრებდა.
ბოლოს ერთს დღესა სოფლელნი,
მოთმინებიდგან გასულნი,
შეჰკრბნენ, იყვირეს, არჩიეს
და ბოლოს ასე გადასწყვიტეს:
რომ წყაროთ ბატონს შესჩივლონ, არზა მიართვან მდინარეს,
რომელიც მძიმედ, თავ-მდაბლად განცხრომით ქალაქს ჩაუდის;
მისგან კაცისა დაჩაგვრა არა ჰსმენია არავის.
ჩვენს შეწუხებას წყაროთგან რა იგი ესრედ მოისმენს,
მათა შესტუქსავს, წაართმევს და მოგვცემს დანაკარგსა ჩვენს.
ამა იმედით სოფლელნი საჩივლელადა წავიდნენ
და, რა ახლოსა მივიდნენ,
ნახეს, რაც კარგი მათ ნივთი წყაროთგან იყო წაღებულ,
სრულებით ყველა მდინარეს თვითონ მიჰქონდა შუაგულ.

მცირეს ხანს გაოცებულნი მწარედ სთვლელნი უმზერდნენ,
მერმე შეჰხედეს ერთმანეთს და თავდაკიდვით დაბრუნდნენ.

—

იქ სამართალი ვით ჰპოვოს საწყალმან, ანუ უძლურმან,
სადაცა ქრთამებს იყოფენ მწერალნი დიამბეგებთან?!

გრიგოლ ორბელიანი.

## დათვის წვეულობა.

დათვმა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეზობლები.
გარეშენიც ბევრი ჰყავდა:
ტურა, მელა, კატა, მგელი.
უკეთესი მასპინძლობა,
უნდა ვსთქვათ, რომ არ ნახულა:
რა საჭმელი! რა სასმელი!
რა იყო, რომ იქ არ დგმულა?
გადაჰკრეს და სადღეგრძელო
სათვითაოდ გააჩინეს,
სამადლობელს სავსეს სვამდნენ,
წვეთი არვის შეარჩინეს.
გახალისდა დათუნია,
მოლხენით რომ სხვებიც ნახა,
თვისის ბოხი მაღალ-ბანით
„სუფრულიც“ კი შემოსძახა.
გოაცებულს თავის სტუმრებს
მარტო ესაც არ აკმარა;
გადმოახტა სუფრას თავზე
და ლეკურიც დაუარა.
მელა კუდამ ტაში დაჰკრა:
„ამფერ! ჩემო დათუნაო!
როგორ გშვენის ეგ დავლური,
მალაყები და ხტუნვაო!“
მაშინ მგელმა წასჩურჩულა:
„მელავ! ტყუილს ნუ ამბობო!
სასაცილოდ დაძუნძულებს,
და შენ მაგრე რად ამკობო?“
მაშინ მელამ უპასუხა:
«ბრიყვი ხარ და სულელიო!
რას დავეძებ მაგის თამაშს?
მე სხვა რამეს მოველიო.
მოვუწონებ,—იამება,
გაბრიყვდება ამ ქებითო,
და ჩვენ კი რა გვენაღვლება,
ვახშმადაც აქ დავჩებითო.“

აკაკი.

## ბ ა ტ ე ბ ი.

გლეხი ბატებს მირეკავდა
ბაზრისაკენ გასასყიდად.
და უნდა ვსთქვათ, რომ იმ საწყლებს
არა სცემდა პატივს დიდად.
რომ არ დაჰგვიანებოდა,
აჩქარებდა გძელი სახრით;
გადმოუქნევ-გადუქნევდა
ზაპა-ზუპით, ლანძღა-ოხვრით.
ეს ბატებმა იუცხოვეს,
აყიყინდნენ, მგზავრს შესჩივლეს:
„ვერა ხედავთ ამ ბრიყვისა
უზრდელობა-სისულელეს?
ნეტავ, ჩვენგან რა სწყენია?
და ან რა აქვს ჩვენთან მტრობა,
რომ უბრალო ბატებივით
აგდებულად დღეს გვეპყრობა!

არ იცის რომ, სხვა მოდგმის ვართ
და არ ვგევართ სხვა ბატებსა?
ჩვენ წინაპრებს ისტორიაც
იხსენებს და აქებსა.
სხვა შეგვფერის ჩვენ პატივი,
სხვა სასწორი, სხვა საზომი;
იმ ბატების ნაშთები ვართ,
რომ დაიხსნეს ერთხელ რომი.‘‘
—„მართლა? კარგი წინაპრები
გყოლიათ თქვენ. როგორც გატყობთ!.
მაგრამ თქვენ კი, თქვენდა თავად,
რას აკეთებთ, რით ამაყობთ?“
—„ჩვენ? არაფერს!.. მაგრამ გვყავდა
დიდებული მამა-პაპა...“
—„ვიცი! ვიცი! მაგრამ ის ხომ
დრომ წაიღო და ჩაყლაპა?
თქვენ ის ბრძანეთ, თქვენდა თავად,
რას აკეთებთ? რა ბრძანდებით?‘‘
—„როგორ?! ჩვენის წინაპრებით
განა აღარ დავფასდებით?“
—მაშ არა და! ვის რად უნდა,
ვინ რა იყო თქვენი ძველად?
თქვენ-კი სხვებრ ხომ არ ვარგიხართ,
თუ არ ცეცხლზე შესაწველად.—
ზოგიერთი ბატონები,
ვგონებ, ჩვენშიც ასე სჯიდნენ.
მივათითებ მათზე, მაგრამ
ვშიშობ, რომ არ აყიყინდნენ.

მისივე.

## გულ-კეთილი მელა.

მონადირემ გაზაფხულზე
მოჰკლა ერთი თოხიტარა
და მასთანვე მის ბარტყებსაც
მით სიცოცხლე დაუმწარა.
ტვლიპანებს და უსუსურებს
რა შეეძლოთ თავის თავად!?
რომ შესცივდათ და მოშივდათ,
აჭყვლიპინდნენ საცოდავად.
მაგრამ ამ დროს, მოსწრებაზე,
სადაც იყო, გაჩნდა მელა;
თითქოს სუნი სცემოდეს მას,
მოცუნცულდა ნელა-ნელა.
იმ ობლების დანახვაზე,
უცბად გული აუძგერდა.
სთქვა: „დღეიდგან მე ვუგამდლებ“!
ჩაცუცქდა და მიაჩერდა.
აწუწუნდა მათის ცოდვით:
„ვერა ხედავთ ამ საწყლებსო?
უპატრონოდ, მოუვლელ ად,
ველარც ერთი ვერ გასძლებსო.
მაგრამ ჩვენი ვალი არის,
ვუპატრონოთ როგორმეო
და ვისაც რა შეგიძლიანთ,
მომეხმაროთ ყველა მეო.
შენ მერცხალო საზრდო ზიდე !
ძორო, მტრები უგერეო,
გვრიტი ზღაპრებს ულულუნებს,
შენც, ბულბულო, უმღერეო.
შენ, კოდარავ!..“ მაგრამ ამ დროს
დაუბერა უცბად ქარმა,
შტო შეინძრა და ბარტყებიც
აიტანა შიშის ზარმა.
გამოცვივდნენ, ძირს დაეცენ,
შეკრთა ცოდვით მაშინ მელა,
მაგრამ თვისი ქადაგება
დაავიწყდა უცბად ყველა.
მივარდა და რომ დარწმუნდა,
არ შეეძლოთ არსად წასვლა,
შეებრალა, სტაცა პირი
და სუყველა გადასანსლა.

მისივე.

## მელა და ყურძენი.

დამშეული კუდა მელა
ვენახში მიიპარება...
მიცუნცულებს ნელა-ნელა,
ლობე-ყორეს ეფარება.
ბოლოს შეძვრა... ნახა კარი,
მაგრამ აზრი კი წაუხდა:
ბაღი იყო სულ მაღლარი
და დაბლარი არ დაუხვდა:
ყურძენი რომ მაღლა ნახა
მიმწიფებულ-მინაბდული,
დაუღო მას წუწკმა ხახა,
აუძგერდა მსუნაგს გული.
მაღლა-მაღლა იყურება,
იგრიხება, იწურება...
აქეთ-იქით დატრიალებს,
თვალებს სისხლით აბრიალებს.

ხან დაწვება, ხან ადგება,
ნდომის ნერწყვი პირს ადგება;
კბილები მთლად აექავა,
მაგრამ მაღლა ხომ ვერ ავა?
სწორედ პირის დღე დაადგა,
დაიქანცა, დაიღალა,
მაგრამ აღარ გამოადგა
აღარც ხერხი და არც ძალა.
დარჩა ამოძუებული...
მაგრამ აღარ გაიტეხა
ქუდიანმა ვითომ გული
და ურცხვად ეს დაიკვეხა:
„რომ არ ვსჭამე, კარგად ვქენი,
ვეფიცებით შვილებსაო;
მკვახე იყო ის ყურძენი
და მომჭრიდა კბილებსაო!“

მისივე.

## ლექსები მამულის სიყვარულზედ.

### მეცა მქონია.

(ჰეინედან).

მეცა მქონია კარგი მამული,
თურმე სუფევდა იქ სიყვარული,
თურმე იქ ჰფრენდა ბედი მღიმარი,
ახლა კია ეს მარტო სიზმარი.

თურმე იქაცა ბრწყინავდნენ დღენი,
იქაც სცხოვრობდნენ ერთგულნი ძენი:
ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი,
ახლა კია ეს მარტო სიზმარი.

ილია ჭავჭავაძე

### ა რ ა გ ვ ი.

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
ვარემოს თვისსა ატეხილს ჰალებს.
ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს

ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენ ბუჩქებში არა ჩამოხტეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს,
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს, შუბლს განიგრილებს,

ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს, | და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულს მთებს, | იგი იმისთვის არა დაღონდეს.

ნ. ბარათაშვილი.

## მამულის სიყვარული.

(უნგრეთელი ლექსი).

ყმაწვილო, იყავ უცვლელად ერთგული შენის ქვეყნისა;
იქა ხარ დაბადებული და იქვე ჩახვალ საფლავსა!
ის გზრდის, გივლის, გპატრონობს, გისტუმრებს შორსა გზაზედა,
სიკვდილის შემდეგ მშობლიურად ის მიგისვენებს გულზედა.
ვერსად მთელსა ხმელეთზე ვერ ჰპოვებ ისეთს ადგილსა,
სადაც ნახავდე ალერსსა და სიყვარულსა ამგვარსა.
ყმაწვილო, იყავ უცვლელად, ერთგული შენის ქვეყნისა!
აქ გმირულადა ჩაღვრილა სისხლი მამა და პაპისა.
აუარებლად ტრიალებს მათ ხსოვნა ჩვენსა მამულში,
ვითა მნათობი ვასკვლავი ბნელით მოფენილ ღამეში.
საუკეთესო მოძმენი, მშვენება ჩვენის ქვეყნისა,
სისხლის ბრძოლის ველს უშიშრად შენთვის ჩასულან საფლავსა.
ჰოი, სამშობლოვ! რამდენი ტანჯვა გინახავს ბედისგან
და შერყეულხარ ძირამდინ უზომოდ მძლავრის მტერისგან!
მაშ, შენ ყმაწვილო, იყავი ერთგული შენის ქვეყნისა:
იქა ხარ დაბადებული და იქვე ჩახვალ საფლავსა!

ანტონ ფურცელაძე.

## კაცი ის არის.

კაცი ის არის, ვინც მისდევს დიდის მოძღვრისა მცნებასა,
ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის, თავს აუცილებს ვნებასა.
ქვრივ-ობლებს ცრემლებს მოსწმენდავს, მოუსპობს გაჭირვებასა,
იბრძვის და იბრძვის ერისთვის, ქვეყანას მისცემს შვებასა!
კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილათა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს თავი სამსხვერპლო წილათა.
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს, მისი ღიმილი ლხინათა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს, მას შემოავლებს ფთილათა!
კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება,

ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო, ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს, მოწამეს დაეგვანება!

 რ. ერისთავი.

### განთიადი.

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება!
აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი,
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შევნატრით მხილველნი!
ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან,
ათასი ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიავიც, გულისა მაგრილებელი,
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი.
ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, გალობს ბულბული!..
ვიშ, ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!..
ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის ფერ-უთვალავს შვენებას!
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!

გრიგოლ ორბელიანი.

### მამულს.

ჰე, მამულო, სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააკლას თავი თვისი შენს დიდებად, ვითა მსხვერპლი?
ვინ არ შეჰტრფოდა მას ადგილს, სად აღგვეხილნეს პირველ თვალ-
სად რბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი! [ნი,
სად გვფარვიდა ნებიერად ხვევნა-ალერსი მშობლისა
და სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა...
სადა შევხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,
მასზე მავალსა ხელმწიფებრ მზეს, ბრწყინვით განსხვავებულსა;
ღამით ვარსკვლოვან ფირუზსა, მთოვარით განათებულსა,
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე ასულნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი;
უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალ-გაუწვდენელნი...
სად მონადირე სდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ვლენან დრუბელნი!
სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზად ამწვანდებიან,
მათზე კასკასით წყარონი გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყვავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან;
გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან!
სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა,
ერი გულადი, ჰურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამანტისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავისს მიწისა...

მისივე.

## ქართლის დედას.

ქართლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალს გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა;
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, — სადღაა მამა პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მეობადი;
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მადლი

დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას;
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

ი. ჭავჭავაძე.

## ბაზალეთის ტბა.

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არას დროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუა გულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ახვევიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო იგინი, გრძნეულნი,
დასტრფიან და დამღერიან...
ამბობენ, — თამარ-დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარგად ზედ გადუხურავს.
ამას კი აღარ ამბობენ, —
აკვანში ვინ ჩააწვინა.
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...
იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
თუ ეს არის, ნეტა, მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ეს არის, ნეტა, მას
დედასა სახელ-დებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს, მადლით ცხებულსა!

მიხივ.

### პოეტი.

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში.
ერის წყლული მახნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცედ გული...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი,
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლს!

მისივე.

## სამშობლო ხევსურისა.

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავების ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!
მე მირჩევნია შავი კლდე თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც გადმოქუხს ბროლი-წყლიანი;
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავების ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხრის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხრის...
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავების ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა!..
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა;
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!..
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!...

რ. ერისთავი.



რაფიელ ერისთავი.

## რაზე მიწყრები, ყეენო?

რაზე მიწყრები, ყეენო?—ვიბრძოდი ქართვლის ჯარშია,
დღეს შენი ტყვე ვარ, ხელთ დაგრჩი, რაკი დავიჭერ მხარშია;
მამულისათვის ვიბრძოდი, რაში შემწამე ღალატი?..
შენი რა მმართებს, ყეენო, თავს რომ მადგია ჯალათი?..
მე სჯულისათვის ვიბრძოდი, სხვა რა შემწამე ავი?...
სჯულს არ შევიცვლი, ყეენო, არ მოკვდეს ჩემი თავი.
ამისთვის—თუ კი გგონია—მენა ვარ მოსაკლავი,
„თვალი მომთხარე კისრიდან“, მომჭერ ფეხი და მკლავი;
მაგრამ ყელს გიწევ, ყეენო,—შენი შვილების ღხენასა,—

ისმინე ჩემი ვედრება: დღეს მე ნუ მომჭრი ენასა,—
მინდა მოკითხვა შევთვალო, ვილაპარაკო ქართული,
ვადიდო იესო ქრისტე, სჯული, ენასთან შერთული.

მისივე.

## ელეგია.

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა,
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
ჰგვანდა ჩემ ქვეყნის ძილს განგრძელებას;
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როს-და გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!...

ილია ჭავჭავაძე.

## მესმის, მესმის.

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში.
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!.

მისივე.

## ნ ა ნ ა.

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტა რამ შეგაშინა?
რაზედ შეჰკრთი, მტირალნი
რისთვის მომაპყარ თვალნი?

ჯერეთ ხომ შენი ბედი,
ბრძნობა წინა-მორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთადმი ღვთიურს ვალს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ რაღამ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!
ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზე შეგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
ჰნახავ ჩვენს ბედშავობას,
ჩვენს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!..
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
დედათა გული ჩჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
რომ მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!
ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისის სიკეთისათვის
ვაგწირავ და გაზრძოლებ...

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შეჰრგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაჰზარებია!..
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!
იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი დიდი რამ არი!
უკვდავი არის შვილი,
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამა
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ იცეს დედამა,
რომ კაცი კაცად კვდები.
ნუგეშს ვიცემ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს, მისგან მოცემულს,
მასვე გმირებრ უბრუნებ.
აღსრულდები ღიმილით,
რომ მამულს არ უმტყუნე
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.
გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე;
რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!

მისივე.

---

## სატირული (დამცინავი) ლექსები.

### საკვირველი ამბავი.

ერთხელ ერთს ქართველს კაცსა შიშით გამოეღვიძა,—
საკვირველიც არ არის, მას ცუდი რამ ესიზმრა.
მის დღეში არ უგრძვნია ამ ვაჟკაცს შიშის ზარი;
მაგრამ ამ სიზმარმა-კი დაუკარგა დავთარი.
ნეტა რა მოელანდა და რამ დაუფრთხო ძილი?
ანუ რამ გაუხეთქა ასე უეცრად გული?
რა ნახა, რა ეჩვენა? სიმშილი თუ წყურვილი?
თუ ლეკის შემოსევა და სისხლის ნიაღვარი?
არა, იმას ეჩვენა მეტი საშინელება...
მან ნახა... ღმერთო ჩემო, წარმოთქმაც მეძნელება...
მან ნახა, რაც ხმელეთზე სავსე ქვევრები იყო,
რაღაც მანქანებითა ერთბაშად დაცლილიყო.

ანტონ ფურცელაძე.

### აპელაციის მცოდნე.

ბედნიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები,
თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იცის აპელაცია!...
წვერ-ულვაშს არ კადრულობს, მოუშვია ბაკები:
ეს სწავლის ნიშანია, უჰ, რა დიდი კაცია!...
ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს:
სწავლული კაცი არის, ტანზე ფრაკი აცვია;
ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს,—
ვინ ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!..
არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური,
ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია.
ვერც დაუზრახავთ! ოპერისთვის მიუჩვევია ყური;
უჰ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!...
მაზრაც კი ჩააბარეს, აწ ვიღა შეედრება!
მოჩივარს რომ შეუტევს, სწორედ რომ მამაცია!
უფულო კაცის წვევა ჟამივით ეჯავრება!
სხვა რამე არ იფიქროთ?! ის სწავლული კაცია!..

ამბობენ, ქრთამი სძულსო, არ იძღვნის არც ქათამსა,
მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ მსუქანი გაცია;
მაგრამ ეს ზვარაკია! ამას ვინ ეტყვის ქრთამსა!
სხვამ რომ ჰქნას, ის სხვა არის! ეს სწავლული კაცია!



აკაკი წერეთელი.

თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;
უსწავლელებთან თურმე მოსდის ზაფრის ქარები;
რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!...
გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში,
მთელს ნაციას ის მოსწონს, მას სძულს მთელი ნაცია!..
აი სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში,
მოხელეთა შეხედვით ყოვლად კარგი კაცია!...

აკაკი წერეთელი.

## ხმა სამარიდამ.

I

სამართალს ფულითა ვსჭრიდი,
ფროშისთვის კაცს გავყიდდი,
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი.
საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დავაგდებდი;
თუ სიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ დამნანდებოდა.

რაც კი რამ ჰქონდა საწყალსა,
ჩემს ჯიბეს აძლევდა ხარჯსა;
ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოვკვდი, ვერ გავტენე.

II

ობლის ვედრება, ტირილი
ჩემთვის იყო გაუგებრად,
ზანა ვიყავ მე გულ-ჩვილი?
სხვის ტირილი მიჩნდა მღერად.
წვრილ-შვილნი გლეხთა ქვრივებსა
სიმშილით ეხოცებოდნენ;
მათაც კი ვსთხოვდი ფულებსა,
რომ საქმისთვის მოვიდოდნენ.
ირჩობოდა, კაცს ვხედავდი,
მე შემეძლო მის მორჩენა;
მის მორჩენას გავბედავდი,
თუ მესმოდა ვერცხლის ბზენა.

III

თუ არა და ხელსა ვკრავდი
და მათ წყალში მე ჩავკლავდი;
ბევრსა საქმეს ამის მსგავსსა
მე ვიქმოდი მეტად კარგსა.
სიცოცხლეს კარგად ვიცნობდი
და იმ ცნობით ვსარგებლობდი:
დროზედ სიბრმავე ვიცოდი,
დროზედ თვალის ახილება,
დროზედ სიფიცხით ვიწოდი,
ხანც ვიცოდი დაზანტება.

IV

გლეხებთან ვიყავ მკვიანი,
ტუტუცი ნაჩალნიკთანა;
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყვო ხმიანთანა.
ვინც მე შიშით მიყურებდა,
მას ბრაგა-ბრუგს დავუწყებდი;
და ვინც კი დამიყვირებდა,
მას მე ფეხ-ქვეშ ვუძვრებოდი.
ღმერთმან მოგვცა მარდი ხელი,
დაუღლელი თავის დღეში,
მუნით ცურდებოდა ჰრელი
ჩემ გაუმაძღარს ჯიბეში.

V

სულ ჯიბისთვინა ვცდილობდი,
მისთვის კაცსა ტყავს ვაძრობდი,
ეს წყეული ვტენე, ვტენე,
აჰა, მოვკვდი, ვერ გავტენე...
რაღა გითხრათ? ვიყავ კარგი,
ქვეყნისათვის დიდი მარგი.
არც ვიყავ დიდი, არც მცირე,
ჩემს დღეში ცრუადა ვსწირე;
არც ვიყავ გლეხი, არც ბეგი;
მაშ რა ვიყავ? მდივან-ბეგი!
და აწ მეხი გლეხებისა,
ერთგული ყმა ფულებისა,
მტვრადა ვდევარ სამარესა!
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!...
შეიბრალეთ ჩემი გვამი!..
თუ ოდესმე ვინმე მნახეთ,
საიქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომძახეთ.

ილია ჭავჭავაძე.

## ლექსები წარსულზედ.

### ქ ო რ ო ღ ლ ი.

(ხალხური ლეგენდა იმ დროისა, როდესაც თოფის წამალი პირველად შემოიღეს).

ქოროღლი სახელ-განთქმული მოდის და მოიმღერის;
შეუპოვარსა, ძლიერსა არ ეშინიან მტერისა...

წინ შეეჩეხა ვიღაცა, თოფი ჰკიდია მხარზედა,
არ მოერიდა ქოროღლის, ფეხი არ გადგა განზედა..
აწყინა ძლიერ ქოროღლის თამამი ქცევა მგზავრისა,
აენთო, გულში გაივლო ამოერა მისის ჯავრისა...
მაგრამ ჯერ ჰკითხა უცნობსა: „რაზედ თავ-ხედობს იგია?...
ან რა რკინაა, რომ იმას ზედ მხარზედ გადუკიდია?“..
მგზავრმა არ გასცა პასუხი, მოიგდო თოფი ხელშია,
ჰკრა ყორანს, სული გაუფრთხო, გაჰგლიჯა შუა წელშია...
თავს ზარი ეცა ქოროღლის, პირველად, რაც კი შობილა,
გაიგო, თოფი რისთვისაც რა მოსახმარიც ყოფილა...
მაშინ წარმოსთქვა ვაჟკაცმა სიტყვა სწორი და მწარია:
„აგი და კარგი გასწორდა, გასწორდა მთა და ბარია!..“

რ. ერისთავი.

### გლეხის ნაამბობი.

(ძაკოს ცხოვრებიდგან).

„მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა;
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორს.
ჯერ-კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა;
სხვები ლხინობდნენ და მე-კი დუღი
ცრემლისა თვალზედ არა შრებოდა.
პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემს გულ-ჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დაჰგვიწყებოდათ თავისს დარდები,
როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!...
მეც-კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა,—
ჩემს ამხანაგებს გავექცეოდი,
მივუჯდებოდი ერთს ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდ-ხანს ვტიროდი.
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,

თან გადიტანა ჩემი ნაღველი,
პატარა გულმან გამოიდარა
და შევუბრუნე ნაღველსა ხელი.
ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე:
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი;
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
აღარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.
ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა,



ილია ჭავჭავაძე.

გავიზიარეთ ყველამა საქმე
და რიგ-რიგადა, ყველა ძმურადა
ვყარაულობდით ძროხასა ღამე.
რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა,
და გაჰკვროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა,
და დავიწყებდით ყველანი თვლასა.

და დავაბამდით რაკი ძროხასა,
ტყის პირს ერთს დიდს ცეცხლს გავაჩაღებდით
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ცეცხლსა გარშემო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი
ხეზედა მძინარს ფრინველს აფრთხობდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა.
რაკი მტრედის ფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხობდა.
ავიშლებოდით და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა-ბარი გაცოცხლდებოდა,
და თავისს ძროხას ყველა ზღაზვნითა
ასაშვებადა მიესეოდა.
ზოგი აქ მოდის თექა-მოსხმული
და მოიფშვნეტავს ზარმაცად თვალსა;
სხვა იქ მიიმღერს დაღონებული
და ერეკება თავისს ძროხასა.
და ერთს წუთს უკან ძროხა ბღავილით
გაიშლებოდა ფართო მინდორზედ,
და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
მოვგროვდებოდით მთის ცივს წყაროზედ.
პირს დავიბანდით, ძილს დავიფრთხობდით,
მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით;
გხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდარობდით
და ზუზუყრად დავნაყრდებოდით...
მერე ვმართავდით თამაშობასა:
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა,
და შუადღისა გოლვისა ჟამსა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა.
ალაზანშია ვურიდით ძროხასა,

თან ჩავყვებოდით უკანა ჩვენა...
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემს ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ახლა ის ლხენა?..
საღამოს ჟამზედ ისევ იმ რიგად
ცეცხლსა ანთებულს მოვუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
თითოს მაინცა ყველა ვიტყოდით.
ის ზღაპრები მე გულს მიღონებდა
და აქამდისა ჩამრჩა ხსოვნაში,
ძველებურს დროსა შემაყვარებდა
იმ ჩემს მხიარულს ყმაწვილობაში.
ეგრედ მინდორზედ, ძმაო, ვყვაოდი
ჩემს ბიჭობაში შეუშფოთარი,
ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი,
შინაურობის არ მქონდა ჯავრი!
მე ჯერედ ვიყავ პაწაწკინტელა
და მადლიერი ჩემ კეთილ დღისა;
ისე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა
მადლიერია თავისს ბედისა...

ილია ჭავჭავაძე.

## დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევება.

მო, ყური მიგდე: მოგითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა:
ქვეყნის წახდენის მიზეზით ვცხოვრობდი სხვის ქვეყანასა...
სადაც უხმობენ სახელად ქსნის ხევზედ—ღამის-ყანასა;
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას ვუპირებდით ყანასა.
დილაზედ ადვსდეგ, წინაწინ წავედ კაცითა ორითა,
ვთქვი, მუშას სადილს ვუმზადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა.
არ შეყრილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა.
ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა ირტოზის გორითა.
მუნ ახლო წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, ჩაგვისხდნენ თხუთმეტი კაცი მზირადო.
ავიხსენ თოფი და ხმალი, მივყუდე მუხის ძირადო,

მუნ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო.
შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდვეს გუნია,
გადმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია;
მუდამ თვალთაგან ნაკადი მდუღარე ცრემლი მდენია,
მაჭამეს დუმა და მხალი, მახვრიტეს ხინკლის წვენია.
მომიყვანეს არა ღირსთა, ღირსეულად მომსახურეს:
არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს.
უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდად დამაშურეს;
გავიპარე, დამიჭირეს,—რად წახველო, დამპანღურეს.

დავით გურამიშვილი.

## ტყვეობიდგან გაპარვა დავითისა.

მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
არცა მაქვნდა საიმედო საჭურველი სამხედრონი;
ღმერთს მივენდე, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი,
ხელ-მეორედ გავიპარე, რაკი ვპოვე ჟამი-დრონი. [რესა;
დღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით ვუჭვრეტდი მთვა-
მივენდევ შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა.
ღამით შიშველს მთას მოვადეგ შუა დაღისტნის არესა,
მუნ ჟამსა რასმე შევესწარ სიცოცხლის დასამწარესა.
ასტყდა ქარი და დაიწყო სეტყვა, ელვა და ქუხილი;
წამდაწუმ ელვის ზარითა თვალებმა შექმნეს წუხილი;
არსად სჩნდა თავის საფარი, მასზედ შემექმნა წუხილი,
თავს დავიხვიე სარტყელი, წავსწევ, ტანს არას ვუფრთხილდი.
სეტყვისა თავში დაცემის შიშით პირ-ქვე მხობილსა
გულმან მთქვა: ადექ, იელვებს, იპოვნი გამოქობილსა.
ავდექ, იელვა, მივადეგ კარს მთა-ხვრელს, ლოდ-გამოძრობილსა;
მიველ და მასშიგ უკუ ვძევ, ვმადლობდი მხოლოდ-შობილსა.
დამედვა დიდი იმედი, ვთქვი: თურმე ღმერთი მფარავსა;
თუ ჩემთვის კარგი არ სწადდეს, არ დამადგამდა კარავსა.
დამიხსნა წვიმას, სეტყვასა, ქარსა სასტიკად მზარავსა,
რაც კაცი ღმერთსა ენდობის, ღმერთი კარგს უზამს, არ ავსა.

სეტყვამ გადიღო, გამოველ, უფალს მსხვერპლი შევწირე;
არ მყავდა საღმრთო ზვარაკი, მხურვალე გულით შევტირე;
არც მაქვნდა საღმრთო წერილი, ცოდნაცა მქონდა მე მცირე,
„ღმერთო, დამიხსენ მტერთაგან!“ ეს ლოცვა გავიზეპირე.

კოშკამდის სეტყვას ვაპობდი, ფეხები მაქვნდა შიშველი,
ყველაზე გული მაგრობდა, არაზედ ვიყავ მშიშველი.
ვთქვი, თუ რას მიზამს მაცდური, ან მგელი, დათვი, ან შველი,
შევეპუები არავის, თუ, ღმერთო, შენ კი მიშველი!

აწ ყველას წვრილად ვერ მოვთვლი, რაც მაშინ გადამხედია:
სამი დღე შამბში ვწოლილვარ, მაღლა არ ამიხედია,
წინ გზისა შეკვრის შიშითა წასვლა ვერ გამიბედია,
სიმშილისაგან მუცელი, მიმკვრია ფერდზე ფერდია.

ჩემს უკან მდევართ გადვურჩი იქ წოლით დღითა სამითა;
ხუთი დღე-ღამე ვიცხოვრე შვიდის ტყემალის ჭამითა;
დღისით ჯაგნარში ვძვრებოდი, მინდვრად ვიდოდი ღამითა...
დღე თერთმეტამდის ვიარე ყოფა-ქცევითა ამითა.

დაღამდა, სხვა დღე გათენდა, არვინ ჩნდა ჩემი მდევარი,
დილაზედ ადრე წამოვდექ უძილო, ღამის მთევარი;
წამოველ გზაზედ, უფალმან მიბოძა საზრდო მდღევარი —
ორი კიტრი და საზამთროს ნაჭერი მე ნახევარი.

საზამთრო სიცხით დამჭკნარი ხელში მეჩვენა მე ცხლადა,
წყალი ახლოს მხვდა მდინარე, ვიკაკვე გასარეცხადა...
კიტრი უბიდგან გამცვივდა, გულზე მომედვა ცეცხლადა,
რომ მომეყიდა, მიღირდა ას ოქროდ, ათას ვერცხლადა.

წყალმან წაიღო, მივდივე, ვეცადე, ვერ დავიჭირე;
ბეწვი მწყდა, მისის დევნითა მეც წყალში არ დავიძირე;
ღვთისაგან გულსა შემაკლდა, ვაყვედრე, ასე ვიტირე:
თუ მომეც, რადად წამართვი, აწ ასე რად გამიწირე.

მერმე რა მოველ გონებას, მასვე დავუწყე ვედრება:
შემინდევ ეს ვითარი უმეცრებითა ყვედრება;
რაც ავი მიყო, დაგითმო, აწ იმას რა შეედრება,
მაგრამ მე ასე მშიერსა არ ძალ-მიძს გრძლად გზაზე რება.

თავ დავგმე, ვუთხარ: სიმშილით რა გული დაგიუშმედია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარხულობა და სასჯელი გონების გასაწმედია;
მემთვრალეთათვის მაცდურსი მახეთა დაარწყმენდია;
ნებიერობა ხორცისა სულისა წარსაწყმედია.
    მოვდიოდი და ვტიროდი, მოვსთქვამდი ჩემსა ზიანსა,
ღვთის საბოდიშო სიტყვებსა ვიტყოდი თავაზიანსა;
უეცრად ალაგს მოვადექ ტურფასა, ლამაზიანსა,
მსხმოიარესა ბაღნარსა, ატმიანს და ვაშლიანსა.
    დავღუნე თავი, უკუ ვძგერ ვაზნარსა შინა ბურვილსა,
აღმოვირეხვე ყურძნითა, მოვრჩი სიმშილსა, წყურვილსა;
მაგრამ ღვთისა კი მრცხვენოდა მე, ცოდვით პირ შემურვილსა,
ვიტყოდი, რად არ მივენდე ჩემის საყვარლის სურვილსა.
    მუნ ბაღში ხილი დავკრიფე, საგზალი მოვიმზადეო:
ზოგი უბეში ჩავიწყე, ზოგი კალთაში ჩავდეო;
კვლავ სინიდისმა მამხილა: ბინდამდის მოიცადეო;
დღისით ნუ წახვალ, არამცა მოგიდგას ვინმე ბადეო.
    აწ შეისმინა უფალმან ხმა ვედრებისა ჩემისა,
დაღონებულსა მომაგო ჟამი ნუგეშის-ცემისა;
ხმა მომღერალთა მასმინა, არა თუ ზართ დაცემისა;
საყდარს დარეკეს, გამოხდა ზრიალი ზართა ცემისა.
    რა შემომესმა ზარის ხმა, გულმა დამიწყო ძგერანი,
ფეხზე წამოვდეგ, დავიწყე ბურვილით გამომზერანი;
შევხედე, საყდრის კარზედა პირჯვარს დაიწყეს წერანი.
ვთქვი, თუ უცილოდ აქ არის ჩემი ბედი და წერანი.
    კიდევ შევხედე, გავსინჯე, გარჩევით დავინახეო;
თავთ იალქანნი ქალთანი დევთა რქად გამოვსახეო;
ვთქვი, თუ ვაი თუ მაცდურმა დამიწყო რამე მახეო.
მუნ მისვლა ვეღარ გავბედე, შორს წასვლა განვიზრახეო.
    წავედ, უკუ ვწევ ჩალასა, სად უფრო იყო ხშირია,
ღმერთმან თქვენ მტერთა შეჰყაროს, რაც მე ამიტყდა ჭირია;
წამოდგა კოდოს ლაშქარი, რა შევძარ ჩალის ძირია;
მე დამარჩობდნენ უცილოდ, თუ არ დამეცო პირია.
    რა შემაწუხეს მეტადრე, ვიტყოდი გაჯავრებული:
ვინც უნდა იყოს, მივიდე, სიცოცხლე გამწარებული.

აღარ დავდივე, წამოვხტი, წამოველ გაჩქარებული,
მუნ ახლოს კალოს ლეწავდნენ, მივედ, ვით დაბარებული...

მისივე.

---

## სასულიერო-ზნეობრივი ლექსები.

### საქები წესი.

კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი მტკიცედ დარგე:
ყოველს დღესა შენს თავს ჰკითხე: აბა მე დღეს ვის რა ვარგე?

ილია ჭავჭავაძე.

### მტრის ძლევა.

სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა:
სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა!

მისივე.

### ლოცვა.

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,
მუხლ-მოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა!
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვყო მე ლოცვა წმიდა.
არამედ მწყურის განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნევი სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ უნდათ გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“!

მისივე.

### ფსალმუნი.

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?..
— სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილი,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკიცხვად;
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მისდევს, სცნობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა;
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძმას დაცემულს მისცა ხელი და აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

გრიგოლ ორბელიანი.

## ნინას საფლავი.

რა რომ დადგა გაზაფხული, და ზამთარი გარდიცვალა,
ნინას მყუდრო სამარეზედ ია ნაზად გადიშალა.
ნაღვლიანის დედისაკენ გიგამ მკვირცხლად მიირბინა,
ჰკითხა:—„დედა, აწ ხომ ჩქარა გაიღვიძებს ჩვენი ნინა?
— „არა, შვილო, ვეღარ გვნახავს ამიერით ჩვენ ნინაო,
ფრთიან ანგელოზთა გუნდში დაიმკვიდრა მან ბინაო!"
—„ნინას ფრთები რომ არ ჰქსხმია, დედავ, რად მატყუებ შენა?
უფრთოს ანგელოზთა გუნდში რა რიგ შეუძლიან ფრენა?"
— „შვილო, ნინას მძინარების შემდეგ ფრთები შეესხაო,
ანგელოზად გარდაიქცა და დაფრინავს, ვითა სხვაო".
—ჩემო დედა, წამიყვანე იქ, სად სძინავს ნინასაო,
ფრთიან ანგელოზთა ამბავს თვით მე ვკითხავ იმასაო!"
შვილის დამკარგველმა დედამ მწარე ცრემლი ჩამოღვარა
და თავისს პაწაწა ნინას სამარისკენ გაემგზავრა.
იმას გვერდით მისი გიგა მხიარულად მიჰყვებოდა,
დედის ცრემლებს რო ჰხედავდა, ფიქრობდა და ჰკვირდებოდა.
ბოლოს იმათ მიაწიეს და შეჩერდნენ იმ არესა,
სადაც პაწაწინა ნინა წყნარად იდვა სამარესა.
ია-ვარდით გარს შემორტყმულს იმის მყუდრო საფლავზედა
ქვითინებდა და ეკვროდა გულ-ამოსკვნით მისი დედა.
მშობლის დამწველ მწუხარებით მოერია უმაწვილს ცრემლი,
მაგრამ ყვავილთ ჩააცქერდა და წაავლო დედას ხელი.
—„დედა ჩემო, რა გაგკვნესებს, გულ-მოკლულად რად სტირით?
სთქვი: რად ჰყვავის საფლავებზე ხშირად იის ყვავილით?"
—მისთვის, რომ ეგ ყვავილი მკვდრისთვის დიდ-სასმთაო:
სადაც ჩასწვეთს დედის ცრემლი, ყვავდება ია ამოვაო!

ცახელი.

## ხატის წინ.

მიყვარს, როდესაც ხატის წინ ანთია წმიდა სანთელი
და საიდუმლო პარპალით ბნელს ფანტავს მისი ნათელი.
მეუდროდ, უხმოდ და უძრავად დნება, ვით მსხვერპლი დიდი,
რომ მადლით გაასპეტაკოს თვალ-უწვდომელი წყვდიადი.
მივჩერებივარ ამ დიდს ძალს, მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული,
მეცა უსიტყვოდ, უძრავად ცის სვეტად გაქვავებული.
რადაც უცნაურს ერთობას ვხედავ სანთელს და ჩემს შუა!
მხოლოდ ვგრძნობ, თვარა ვერ სწვდება ჩემი გონება და ჭკუა.
სანთელი ჩემი ხორცია, სიცოცხლე—მოკლე პატრუქი;
ნათელი—ჭკუა გონება, იმათგან გამონაშუქი.
ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდე, ვკვდებოდე, არ შემიძლიან მეც განა?

აკაკი.

## სიმართლის მსახურება.

მე ჩანგური მისთვის მინდა რომ, სიმართლეს მსახურებდეს.
განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურვებდეს.
რომ დაჩაგრულს მის სიმღერით თვალთ ცრემლები ეშრობოდეს,
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს.
გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო
და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო.
და გინდ ბედით ვიყო კრული, საშინელიც მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული, გინდა ქვითაც დავიქოლო.
მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა და გულს წრფელად ახურვებდეს.

აკაკი.

## რა არის ჩვენი სიცოცხლე?

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ აზრის გულსა დანერგვით ვდევნიდეთ სულ-მოკლეობას,
ვდევნიდეთ ძლას დამხაგვრელს და მისსა უსამართლობას;
ვდევნიდეთ კაცის წამბილწველს უწმინდურსანგარეობას;
ვდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მაღლობას!..
მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა—ღირსებას;
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!
კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული.

გრიგოლ ორბელიანი.

## კაცი ის არის.

კაცი ის არის, ვინც ოფლს მიწას ჰღვრის
და დაუღგრომლით, ხელით ძლიერით,
დედამიწასა და მის წიაღსა,
ღვთისა მადლობით, მხიარულობით,
აჰობს და არღვევს, დაღალვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს.
და იმ ტკბილს ნაყოფს ქვრივ-ობერს უყოფს
და უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს.
კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა „ძმობა, ერთობა“,
და სიყვარულით აღვსილი გულით
დავრდომილ მოყვასთ მოეხმარება.
ვინც საქმით ქველით, გონებით, სწავლით
მიახლოვდება მაღალს ღვთაებას;
ვინც სცდილობს მისწვდეს და ჭკუით მიჰხვდეს
საღმრთო განგების იდუმალს ნებას,—
გამოიძიოს, გამოიკვლიოს
დიდი უსაზღვრო ღვთისა ქმნილება
და ჭვრეტს მასში, იმ ღვთის დიდს ღვაწლში,
მის საიდუმლო—ჭეშმარიტება;
და მისს ძლიერით სიტყვით და აზრით,
ვით აბჯარ-აბჯრით, მთლად შეიჭურვოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იგი სიტყვა, მღელავი ვით ზღვა,
მაღლა უშიშრად ერთა ამხილოს;
ვინც უდგას შორს სიცრუეს, შურსა,
ვის არ ეხება პირ-მოთნეობა,
აქვს სული წრფელი, სიტყვა ნათელი,
გულს უმარხია ჭეშმარიტება;
ვის არა რცხვენის, ვის არ ეშინის,
იგი მაღალთა მაღლა ასმინოს,
და იმ ღვთაებას, ჭეშმარიტებას,
არ დაიზოგოს, თავი შესწიროს.
სად არის კაცი? მე არსად ვიცი;
ვერსად ვერ ვჰპოვებ მას წმინდა არსსა...
იყო-კი ერთი, ის იყო ღმერთი,
ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა.

ვახტანგ ორბელიანი.

## სიზმარი.

დღის სიცხადით გულ-დაჩაგრულსა
ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი:
ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა წმიდა მოწამის,
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდის ქრისტიანობის.
ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალი;
საქართველოსკენ აშვერდნენ ხელსა
და შეერთებით, ხმა შეწყობილად
ჰგალობდნენ ტკბილსა საგალობელსა:
„დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ-ჭირნახული;
შეუნდევ ცოდვა, ნუ აიღებ ხელს!
ლმობიერებით იბრუნე გული.

„მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გამოჰსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი დედა,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი.
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
გაუმტკიცებდე აღმა-ფრენასა,
და შენ საქებრად, სადიდებელად
ნუ დაუკარგავ იმ ტკბილს ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო მისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულს ერს უქადაგებდა.“

აკაკი წერეთელი.

## ფუჭი სიცოცხლე.

ვითარცა ცეცხლი მარტოდა სჩანს ველსაზედა შთომილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლად მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლის და არ აღბეჭდა ნავალი.

გრ. ორბელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროზა.

## ძაღლი როგორ გაშინაურდა.

(მეგრული არაკი).

მოწყენილი იყო გარეული ძაღლი: არ იცოდა, ვის მიჰკედლებოდა, ვის დამეგობრებოდა. დაფიქრებული დადიოდა ტყეში. ერთხელ ტურას შეხვდა და გაჰყვნენ ერთად ორივენი გზასა. ერთგან მგლის კვალი დაინახეს.

— ეს ვისი კვალია? ჰკითხა ძაღლმა.—საშინელი მხეცისა, მიუგო ტურამ; ღმერთმა ნუ ქნას, რომ შეგხვდეს სადმე, თორემ ორივეს გაგვგუდავს.

.ძაღლმა მიატოვა ტურა და გაჰყვა მგლის კვალსა. მივიდა მგელთან.

— ვინ ხარ შენ? ჰკითხა მგელმა.

— შენი მონა მორჩილი, მიუგო ძაღლმა.

— მაშ გამომყე, უთხრა მგელმა, და წავიდნენ ორივენი სანადიროდ. გზაზე დათვის კვალი დაინახეს.

— ეს ვისი კვალია? იკითხა ძაღლმა.

— ოო, ეს ისეთი მხეცისაა, რომ, თუ მოინდომა, ერთის თათის დაკვრით მიწასთან გაგვასწორებს ორთავეს...

ძაღლმა მიატოვა მგელი და გაჰყვა დათვის კვალსა.

— ვინ ხარ შენ? ჰკითხა დათვმა.

— შენი მორჩილი მონა, მიუგო ძაღლმა.

— მაშ წამოდი.

წავიდნენ ერთად ტყეში.

გზაში ადამიანის კვალი დაინახეს.

— ეს ვისი კვალია? ჰკითხა ძაღლმა.

— ოო, ეს ისეთი შკვიანი მხეცისაა, რომ იმაზე ძლიერი არავინ არის ქვეყანაზე.

მაღლმა მიატოვა დათვი; გაჰყვა კვალსა, მივიდა ადამიანთან და იმ დღიდან მასთან ცხოვრობს.

„ნაკადულიდან". ნინო ნაკაშიძე.

## სამნი ძმანი.

(ხალხური არაკი).

იყო ერთი ხელმწიფე; ჰყავდა სამი ვაჟი. ხელმწიფე ავად გახდა, მოიხმო შვილები და უთხრა: „შვილებო, მე, როგორც ვატყობ, ვეღარ მოვრჩები; აი, ეს სამი ძვირფასი თვალი შეინახეთ; მე მრავალი მტერი მყავს,—რაკი შეიტყობენ ჩემს სიკვდილს, ვიცი, საომრად მოვლენ; მაგრამ თქვენ ნუ შეშინდებით. მე ერთი მაგარი ციხე მაქვს, ანდამანტის ციხეს ვეძახით; იმ ციხეში შეიხიზნენით, და რაც უნდა ჯარი მოგადგეთ, ვერ შემოგივათ. თუ, ვინიცობაა, შეშინდეთ, ერთი მეგობარი ხელმწიფე მყავს, იმასთან წადით, ეს სამი თვალი მიართვით და ის დაგიფარავთ."

გარდაიცვალა ხელმწიფე და როგორც ეკადრებოდა, ისე დაასაფლავეს.

გავარდა თუ არა ხმა, ხელმწიფე მოკვდაო, მაშინვე მტრები ყოველ კუთხიდგან მოადგნენ იმ ქვეყანას და შვილებს შემოუთვალეს: „მამა თქვენი აღარ არის და ჯავრს ახლა თქვენზედ ამოვიყრითო." ყმაწვილებს შიშით გული გაუსქდათ, მსწრაფლ გაიქცნენ და მივიდნენ თავიანთ მამის მეგობარ ხელმწიფესთან.

ერთს დღეს სამთა ძმათა სთქვეს: „მამა ჩვენმა რომ სამი თვალი მოგვცა, რატომ ხელმწიფეს არ მივართვითო?" მაგრამ, დახე უბედურებას, თვლები დაჰკარგოდათ, და სამ ძმაში რომელსა ჰქონდა, არა სჩანდა. ერთი ამბობდა: მე არა მაქვსო; მეორე ამბობდა: მე არ მინახავსო. რო აღარა იქმნა-რა და არავინ გამოაჩინა, მოახსენეს ხელმწიფეს: ესაა ჩვენი დარდიო, არ ვიცით, ჩვენში რომელს აქვს ის ძვირფასი თვლები, რომელიც მამა ჩვენმა თქვენთვის მოსართმევად დაგვიტოვაო.

ხელმწიფემ ბრძანა იგავი: „ერთს ხელმწიფეს ჰყავდა ქალი. გაათხოვა და ერთ ხელმწიფის შვილს მისცა, თუმცა კი ქალს ერთის ვეზირის ვაჟი უყვარდა. ქმარმა მოიყვანა ცოლი შინ, მაგრამ მალე შეატყო, რომ ცოლს არ უყვარდა. ჩააცვა თავისს ცოლს ძალიან მდიდრულად, ბევრი ძვირფასი ნივთები აჩუქა და გაისტუმრა სამშობლოში თავისს სახლიდგან. გზაზედ ამ ქალს ავაზაკები დახვდნენ. ერთმა სთქვა: „მოდი მოვკლათო“. მეორემ: „რადაო? ერთი სუსტი არსებაა, დეე წავიდეს თავისს გზასაო“. მესამემ: „გავძარცოთ და ისე გავუშვათო“. აბა, ახლა მე თქვენ გკითხავთ, რომელს უფრო კარგი უთქვამს? უფროსმა სთქვა: პირველსაო; შუათანამ: მეორესაო; უმცროსმა: ნივთები რო წაერთმიათ, უფრო კარგს იქმოდნენო. „მაშ შენ გექმნება დამალული თვლებიო“, უთხრა ხელმწიფემ, და კიდეც გამოაჩენინა.

ორი უფროსი ძმა ხელმწიფემ სკოლაში მისცა სწავლაზე და უმცროსი კი, რადგანაც ძალიან პატარა იყო, შინა ჰყავდა. ერთხელ დღისით დედოფალს ეძინა. ჭერიდგან ჩამოვიდა გველი, მიცურდა დედოფალთან და უნდა ეკბინა. ამ დროს უმცროსმა ძმამ გველს თვალი შეასწრო, მიჰპარდა, მოკლა, გაიტანა და ხაროში ჩააგდო. შემობრუნდა, დაჰხედა მძინარე დედოფალს და შენიშნა, რომ ერთი წვეთი სისხლი ზედ ჯიბის პირთან კაბაზე დასცემოდა. მივიდა და დაუწყო წმენდა. ამ დროს გამოეღვიძა დედოფალს, გაჰრისხდა და ხელმწიფეს მოახსენა: „აი, ეს შენი შვილად აყვანილი რა ცუდი ყოფილა: რო მეძინა, ჯიბეში ხელს მიყოფდა და ფულს მპარავდაო“. ხელმწიფემ უბრძანა მსახურებს, უმაწვილი წაეყვანათ და ხაროში ჩაეგდოთ.

როდესაც უფროსი ძმები სკოლიდგან დაბრუნდნენ, უმცროსი ძმა მოიკითხეს. ხელმწიფემ ყოველისფერი უამბო. ძმები ძალიან დაღონდნენ, მაგრამ რას იზამდნენ. ბოლოს მოახსენეს: რატომ არა ჰკითხეთ, ი ქნება რა მიზეზი იყოვო?

უფროსმა ძმამ სთქვა იგავი: „იყო ერთი თავადიშვილი და ჰყავდა ერთი ქორი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა. ერთხელ სანადიროდ გავიდა, იარა ბევრი, მოსწყურდა და წყლის საძებნელად წავიდა. ნახა, ერთს ალაგას ცოტათი ჩამოსწვეთდა; შეუდგა ჭურჭე-

ლი... მინამ აივსებოდა, მოფრინდა იმისი ქორი, შემოჰკრა ფრთა და წყალი დაუღვარა. რასაკვირველია, თავადიშვილს ძალიან ეწყინა. კიდევ შეუდგა წურწურს; ქორმა კიდევ დაუღვარა. თავადიშვილი ძალიან ბრაზზედ მოვიდა: როგორა მწყურია წყალი და დახე ეს ჩემი საყვარელი ქორი რა მტრობას მიშვრებაო. ადგა და ქორი მოკლა. შემდეგ შეჯდა ცხენზე და სთქვა: მოდი წავალ, სათავეს ვიპოვნი, იქ უთუოდ დიდი წყალი იქნება და დავლევო. მივიდა, ნახა, რომ სათავეში ერთი გველ-ვეშაპი გდია და ის წყალი იმისს ლეშს გასდის. ბევრი იცა თავში თავადიშვილმა: ვაი, შენ ჩემო ქორო! შენ ჩემთვის სიკეთე გდომებია და მე კი რა განუკითხავად მოგკალიო! მაგრამ რაღას უშველიდა... „თქვე დალოცვილო, იქნება ჩემს ძმასაც არა აქვს-რა დანაშაული, რატომ არა ჰკითხავთ?", გაათავა უცროსმა ძმამ. ხელმწიფემ უბრძანა: ტყუილად ამართლებთ თქვენს ძმას, ის ნამდვილი დამნაშავე არისო.

შუათანა ძმამ სთქვა იგავი: იყო ერთი ხელმწიფე; ჰყავდა ბარუეში. ამ ფრინველმა ლაპარაკი იცოდა და ხელმწიფეს ძალიან უყვარდა; მაგრამ იმის ვეზირს კი ეჯავრებოდა, თვალში ეკლად მიაჩნდა. ერთს დღეს ბარუეში დაეთხოვა ხელმწიფეს: ჩვენს ქვეყანაში გიახლებით და სამის თვის შემდეგ დიდი საჩუქრით დავბრუნდები და საგანგებო ფეშქაშს მოგართმევთო. ხელმწიფემ დაითხოვა. ბოროტი ვეზირი ეუბნებოდა: „ნუ დაითხოვ, თორემ აღარ მოვაო." წავიდა ბარუეში. გავიდა სამი თვე. ერთი საათი-და აკლდა ვადას, რომ შემოვიდა ვეზირი მეფესთან და მოახსენა ნიშნის გებით: აკი მოგახსენებდით, აღარ დაბრუნდება-მეთქი. ამ დროს კიდეც მოფრინდა ბარუეში და მიართვა მეფეს სამი თესლი უკვდავების ვაშლისა. ხელმწიფემ თავისს ბაღში დაათესინა. რამდენისამე წლის უკან, როცა ვაშლი ამოვიდა და ნაყოფი მოისხა, მეფემ დაიბარა მებაღე და უთხრა: აბა, ერთი უკვდავების ვაშლი მომიტანეო. მანამ მებაღე მოიტანდა, ვეზირმა სხვა ვაშლებს შხამი წაუსვა, მებაღეს კარებში დახვდა და უთხრა: მოიტა, მე შევუტან ხელმწიფესაო. გამოართვა კალათა, შესცვალა ვაშლები და შერე ისევ მისცა: აჰა, თვითონ შენ მიართვიო. შეიტანა მებაღემ ვაშლები. ამ დროს შე-

ვიდა ვეზირიცა და მოახსენა: არ მიირთვათ, მეფევ, თორემ მოჰკვდებით, შხამიანია. ბარუუში ჰფიცავდა, რომ შხამი არა აქვსო. ვეზირმა მოახსენა: აბა, საცდელად ჯერ ძაღლს შევაჭამოთო. შეაჭამეს ძაღლს და იქვე ფეხები ფშიკა. ვეზირმა ნიშნი მიუგო ხელმწიფეს: აკი მოგახსენებდით, შხამიანია-მეთქი; მაგან, უკვდავების კი არა, სასიკვდილო ვაშლი მოგართვათო. ბარუუში იმ წამსვე მოაკვლევინა ხელმწიფემ.

იმ ქალაქში ერთი თავზედ ხელ-აღებული ქურდი იყო. ხელმწიფემ ბრძანება გასცა, უთუოდ დაეჭირათ და დაეხვრიტათ. ქურდმა იფიქრა, დახვრეტას ისევ თავის-თავად სიკვდილი სჯობიაო; მოდი გადავიპარები ხელმწიფის ბაღში, სასიკვდილო ვაშლს შევჭამ და გამოვესალმები ამ წუთი სოფელსაო. გადახტა ბაღში, თან ხელმწიფის კაცებიც გადაჰყვნენ; ქურდმა შესჭამა ვაშლი და უცებ ახალგაზრდა ბიჭად გარდაიქცა.

კაცები იმასვე ჰკითხავენ: აქ ქურდი გადმოხტა, ხომ არ გინახავსო? ის ეუბნება, მე ვარო.—რას ამბობ, ის შუა კაცი იყო და შენ კი თხუთმეტის წლის ბიჭი ხარო.—რას ამბობთ, ის სწორედ მე ვარო, და უამბო, როგორც იყო საქმე. მაშინვე ეს ამბავი ხელმწიფეს მოახსენეს. იმას მოაგონდა საწყალი ბარუუში, ბევრი ინანა, ვეზირიც მაშინვე მოაკვლევინა, ქურდსაც აპატივა სასჯელი; მაგრამ ბარუუშს კი აღარა ეშველა-რა.

— თქვე დალოცვილო, ერთი ჰკითხეთ ჩემს ძმასაც, იქნება სულ ცამდე მართალია, დაუმატა შუათანა ძმამ.

დაფიქრდა ხელმწიფე და მერე ბიჭებს უბრძანა, მეფის შვილი ხაროდგან მოეყვანათ. უმცროსმა ძმამ დაწვრილებით უამბო ხელმწიფეს, როგორც იყო საქმე. აბა ნახეთ, ხაროში მართლა გდია მოკლული გველიო? ბრძანა ხელმწიფემ. ნახეს და მართალი გამოდგა. ხელმწიფემ დიდად დაასაჩუქრა მეფის შვილი და ისიც სკოლაში მისცა. ძმები დაიზარდნენ, ისწავლეს და შემდეგ მშვიდობით დაბრუნდნენ თავისს საბრძანებელში.

ხელმწიფემ დალოცა ისინი, დიდი საჩუქრებით გაისტუმრა და შემდეგშიაც არ აკლებდა თავისს მფარველობას.

## ნაცარ-ქექია (არაკი).

ერთი ნაცარ-ქექია იყო ყოვლად უღონო, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მხოლოდ იჯდა კერასთან და სადგისით ნაცარს ქექავდა. მოეწყინათ ძმებს მისი მუქთად რჩენა და გააგდეს გარეთ; ზურგზე ერთი გუდა ნაცარი მოჰკიდეს, ხელში სადგისი მისცეს, კალთაში ჭყინტლი ყველი გამოუხვიეს საგზლად და გაისტუმრეს. „დაიკარგე ამ ჩვენის ქვეყნიდანაო!" უთხრეს. ტირილით დაადგა გზას საბრალო ნაცარ-ქექია. ცოტა იარა, ბევრი იარა, მიადგა ერთ მდინარეს, ვეღარ გაბედა წყალში გასვლა და დაჯდა კიდეზე. საღამომდე იქ იცადა. საღამოს ნახა, რომ ერთი უზარ-მაზარი დევი მოადგა წყალს გაღმით და დაუწყო ხვრეპა. „ჭეი! რომელი ხარ შენ მანდ? აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, თვარა მე თვითონ მეზარება ფეხის დასველებაო", გასძახა დევს დიდბუღლად ნაცარ-ქექიამ. დევმა გამოხედა და გაკვირვებით ჰკითხა: „ვინა ხარ და რა სულიერი ხარ, რომ მაგას მიბედავო? „ჰმ მე შენ გიჩვენებდი ვინცა ვარ, რომ არ მებრალებოდე, შე ბრიყვო შენაო! იცოდე! სამჯერ გაპატივებ შეცოდებას და მერე კი ვეღარ გადამირჩები ცოცხალიო, უპასუხა ნაცარ-ქექიამ. „შენ ჩემი ამბავი არ გაგიგონიაო? მე ვერმიცანი მქვიანო!.. ჯერ გამიმეტებია, თვარა დედა მიწას რომ ხელი მოვავლო და ზეცას შევსტყორცნო, ქვეყანა დაიქცევაო! გინდა ეხლავე გიჩვენო ჩემი ძალაო? აბა შენ მანდ აიღე ერთი ქვა, მეც აქ დავსწვდები მეორეს, მოუჭირეთ ხელი და ვინც წვენს გაადენს, კაციც ის იქნება და წვერ-ულვაშიც იმას ესხმისო!" აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშვნა. დაიხარა ძირს ნაცარ-ქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო კალთიდან ყველი, მოუჭირა ხელი და სულ წურწკურ-წურწკურით გაადინა წვენი. გაუკვირდა დევს, ეს რა არისო?—აბა ერთი გავიქცეთ რიყეზე და ვინც უფრო მეტს ბდღვირს აადენს ჩვენ ორში, ბიჭიც ის იქნებაო, კიდევ უთხრა ნაცარ-ქექიამ. აძუნძულდა გაღმით რიყეზე დევი და სულ ლაწა-ლუწი დააწყებინა სიპი-ქვებს. გაკუნკულდა გამოღმა ნაცარ-ქექია, უჩხვლიტა და უჩხვლიტა გუდას სადგისი, გამოვიდა ნაცარი და ისეთი მტვერი ადგა, რომ თვალით აღარა იხედებოდარა. შეშინდა დევი; დაღუნა თავი და ეახლა მორჩილად ნაცარ-ქექიას და

შეისვა მხარზე. შუამდინ რომ შევიდნენ წყალში, დევმა ჰკითხა: „ბატონო გერმიცანავ, როგორღაც მემჩატებითო! გემჩატებითო? ჰმ, შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგას აღარ წამოროშავდით. რომ ახლა უჩინარის ბაწრით ცაზე არ ვიყო მიბმული და იქ არ მიჭერდნენ, ქვესკნელში ჩაგიტანდით! აბა ვნახოთ, ერთი ცოტათი შემიმშვან ხელიო! სთქვა ნაცარ-ქექიამ. ამოიღო უბიდგან სადგისი და დაასჭირა კისერზე.—ვაიმე!.. ვაიმე!.. ნუ!.. ნუ შენიჭირიმე! უბძანე, რომ ისევ აგწიონო, შეეხვეწა დევი და ნაცარ-ქექიამაც ამოაძრო სადგისი. დარწმუნდა დევი, რომ ეს ნაცარ-ქექია მართლა საშინელი სულიერი რამ ყოფილაო, და მიიწვია თავისს სახლში; დიდი პატივი სცა და ვახშამის მზადებას შეუდგა: მოზიდა პური, ჩააკრა კეცში და მოუფიცხა ცეცხლს. თვითონ სანადიროთ წავიდა, ვახშმისთვის ნანადირევზე, და სტუმარს დაუბარა: თუ უკაცრავად არ გახლდეთ, ყური უგდეთ პურს, რომ არ დაიწვასო! პურს რომ ცალი გვერდი შეებრაწა, ნაცარ-ქექიამ კეცის მობრუნება მოინდომა, დაუწყო საკეცით ჩხუკური; წამოიქცა კეცი, დაეცა ნაცარ-ქექიას და მოიმწყვდია ქვეშ.

დევი რომ დაბრუნდა, ნაცარ-ქექია კეც-ქვეშ სულზე მიგდებული ნახა, აღარც ფერი ჰქონდა და აღარც ხორცი. „რა დაგმართნიათ? ჰკითხა.—„რა უნდა დამმართნოდესო? მუცელი ამტკივდა და ზედ ცხელი კეცი დავიდევით. ახლა კი გადამიარა, აღარა მიჭირს რაო. მოდი, ამაცალე ეს კეციო!“ დევმა დაუჯერა და მოწიწებით აუსრულა ბძანება. ვახშმად რომ დასხდნენ, დევმა უცბათ დააცხიკვა და სტუმარი სუსხვანზე შეაგდო. ნაცარ-ქექიამ დირეს დაუწყო ბღაუჭი. „მანდ რას შვრებითო? ჰკითხა დევმა. „როგორ თუ რას შვრებითო?! ვისთან გაბედე შენ ცხვირის დაცემინებაო? ამ ჩხირს ავიღებ და დაგკრავ და თავ-მთხლეს გადაგადენო!..“ დევმა იფიქრა, ე რა მოუსვენარი და გულ-ბიწი რამ ყოფილაო: მე ძლივს, გაჭირვებით გაუძლევი და ეს კი ჩხირს ეძახის ამ დიდ-უშველებელ დირესო?! ერთხელაც იქნება არ შემარჩენს და მის მიზეზიანობას მე ვეღარ გადავურჩებიო!..“ დაჰკრა ფეხი, გავარდა კარში და ცხრა-მთას იქით გადაიკარგა. დევის სახლ-კარი კი მისის მოწყო-

ბილობით იმ ნაცარ-ქექიას დარჩა. ისიც წავიდა, მოიყვანა ძმები, თავისთან დააყენა და უთხრა: ხომ გაგიგონიათო:

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო“.

აკაკი.

## კაკანათი.

(სურათი ბავშვების ცხოვრებიდგანა).

შუა ზამთარია. გარეთ სთოვს და ძალიან ცივა; მაგრამ მე და ჩვენი პატარა ბიჭი ვსუა ამ ამბავს სრულიადაც არაფრად არ ვაგდებთ და ბოსლის კართან აკუზულნი ძალიან გულ-მოდგინედ ვუყურებთ ერთს ათიოდე ნაბიჯზე დაგებულს კაკანათსა. კაკანათი სრულიად დამალულია თოვლში, გარდა სამიოდ პურის მარცვლისა, რომელნიც ასხმულნი არიან ძაფზე და ელიან ეშმაკს ბეღურა ჩიტებს. მოფრინდება პატარა ეშმაკი ჩიტი, დაინახავს მარცვალს, მივა, ჩაჰკრავს, ჩაჰკრავს... კაპ... დაეცემა კაკანათი და ჩაუჭირებს კისერში რკალი ჩვენს პატარა ჩიტუნიასა.

ჩვენს სულ განაბულები ვუყურებთ კაკანათს პატარა ჭუჭრუტანიდამ.

ჩიტებმა დაიწყეს კაკანათთან მოგროვება. ერთი მათგანი გამოგოგდა კიდეც კაკანათისკენ, აუარ-ჩამოუარა მას, იპოვნა მისახლო ორიოდე პურის მარცვალი და ერთბაშად ულაჭანი გაადინა. აი, დაუპირდაპირდა კაკანათსაც და... ჩაჰკრა ერთი... ჩვენ სიხარულისაგან ყელში სისხლი მოგვაწვა, გულმა ძაგა-ძუგი დაგვიწყო.

— „მომეცა!“ — იძახის ვასიკო. — მომეცა, საცაა დაეცემა!“ და რაც შეუძლიან იჭყიტება ჭუჭრუტანაში. მაგრამ ამ დროს კაკანათის დაცემის ხმის მაგიერ მოისმის ფრ... რ... რ... და ჩიტები აიშლებიან. იმათმა აშლილმა, ერთმა ვიღაც ახმახმა, ნაბადში გახვეულმა კაცმა არხეინად ჩამოიარა კაკანათისკენ, თითქოს აქ არაფერიაო, წამოჰკრა კაკანათს თავისი ტოტყო ფეხები და ამოაგდო თოვლიდგან.

— „მოგტყდეს კისერი, გაგიხმეს ფეხები“! — მისძახის მას უკან გულ-დათუთქული ვასიკო.

მაგრამ მეტი ღონე არ არის, ჩვენ გავრბივართ, რომ კაკანათი ხელ-მეორედ გავასწოროთ.

გავასწორეთ ხელ-მეორედ კაკანათი, წავაყარეთ ახალი თოვლი და ისევ ამოვეფარეთ ბოსლის კარებს.

ჩიტებმა იწყეს ხელ-ახლად მოგროვება. ორიოდე მათგანი გიდეც მიუახლოვდა კაკანათს.

— „მოდით, გენაცვალთ, მოდით კუჭისა!“ — იძახის ჩუმად გახარებული გასიკო და თან, რაც ძალი და ღონე აქვს, მუჯლუგუნებს მცემს.

— „იცი რა?“ — განაგრძობს სიტყვას გასიკო, — „ეგ ოხერი ჩიტი წელანდელია, აი... კუდზედ ეტყობა!“.

— „კუდზედ ეტყობა!“ ჩუმად გავიმეორე მე და ერთბაშად წამსკდა სიცილი. უნდა გითხრათ, რომ მე საკვირველი სიცილი ვიყოდი: თუ ერთი ამიტყდებოდა — გათავდა, ვეღარავინ ვერ დამაყენებდა; ყოველი გაჯავრება, ხვეწნა ამის შემდეგ ამაო იყო. მოხდებოდა ხოლმე, რომ ცოტას ხანს როგორმე შევიმაგრებდი თავს, მაგრამ მერმე ისევ ერთი ახირებული რამ მომაგონდებოდა და ისევ ვიწყებდი ხარხარს...

— „სუ, ბიჭო, გაიგებენ! — თორემ აგინთე სახრით გვერდებს!“ ჩუმად მიჯავრდება გასიკო. მაგრამ მე, ჩუმდა უნებურად, უფრო ვუმატებ ხარხარს.

— „გაჩუმდი მეთქი!“, შემეორებს გასიკო — „რა გახითხითებს, თორემ კაკანათს თავს დავანებებ, აი!“

— „რა ვქნა, გასიკო!“ — ვეუბნები მე, — „არ შემიძლიან და რა ვქნა?“

— „არ შეგიძლიან!? მაშ მოიგონე ვინმე თქვენი მიცვალებული და სიცილი ჩაგივარდება“.

მეტი ღონე არ იყო... მე მივეცი თავი ჩიტების გულისთვის მწარე ფიქრებს და მოვიგონე საწყალი ჩემი დიდ-დედა. სიცილი მართლა ჩამივარდა.

ჩვენ მივცვივდით ისევ ჭუჭრუტანასთან და თვალ წინ წარმოგვიდგა შემდეგი სურათი: ერთი მამალი ჩიტი შემჯდარიყო ჩვენის კაკანათის რკალზე და შეუპოვრად იწმენდდა ფრთებს, თითქოს სხვა ადგილი ვეღარ უპოვნიაო. აი, ერთბაშად შეასწრო მან თვალი პურის მარცვლებს, გადმოხტა იქიდამ, ეცა კაკანათს და... ჩაჭკრა ერთი!..

— ჯან!...

ჩაჭკრა მეორე: კაკანათის ენამ ცოტა ძირს დაიწია.

— „ერთიც!“

— „ვა... ა... სი... კო... ო... ო!“ — შეჰყვირა ვიღამაც ჩვენს ახლოს ერთი ისეთი, თითქოს გასიკო ცხრა მთას იქით ყოფილიყოს.

ჩიტები, რასაკვირველია, აფრინდნენ. ჩვენ ჯავრისაგან გული დაგვწყდა და სიბრაზისაგან კინაღამ ქვითინი ამოვუშვით. გავიხედეთ, იქვე ახლოს — შეშებთან სდგას ჩვენი მოსამსახურე გოგო ანუა კოკით ხელში. ჩვენ, რასაკვირველია, მივხვდით, რომ ის იყო მიზეზი ჩვენის ჩიტების დაფრთხობის.

— „მე ამოსავარდნელო, შენა“, — ვეუბნებოდი ანუას, — „რაზე დაგვიფრთხე ჩიტები, ა?.. ის იყო ჩაჭკრა კიდეც!..“

— „ჩაჭკრა?! არ ვიცოდი, ღმერთმანი“, იძახის ანუა.

— არა-მარა და დარღუბალა, მე ხმა გასწყვეტო, შენა!“ — მიაძახა ამ დროს ბოსლიდამ გამოსულმა გასიკომ. — „არა, ისე რომ არ შეგებდავლა, არ იქნებოდა?“

— „ხმაც გაგიწყდა და თვალებიც დაგიდგა, მე მანჭიავ, შენა!“ გასწი, ე კოკით წყალი ამოიტანე, თორემ ქალბატონს ვეტყვი“. ამ დროს ჩამოივლის მამა ჩემი. გასიკო წამოავლებს ხელს კოკას და გარბის წყალზედ.

— „რაო, რა ამბავია?“ — კითხულობს მამა ჩემი.

— „რა ვიცი“ — ეუბნება ანუა, — „ერთი ყოფა კი დამწიეს და! აქაო-და ჩიტები რათ დამიფთხეო, იმ პირ-გასაშავებელმა გასიკომ წყევლით ამიკლო.

— „ეგ არის, კაკანათზედ იარე, შვილო, კაკანათზედ! ეგ გაცხოვრებს, აი!“ — ეუბნება მამა ჩემი. — „აჭყოლიხარ მაგ გიჟ ბიჭს და მთელი დღე დასდევთ ჩიტებს!“

ამ სიტყვების შემდეგ ის ჩაივლის მინისკენ.

რასაკვირველია, მე მინდა ისე მოვიქცე, როგორც მამა ჩემს იამება; მაგრამ რავქნა, რომ ძალიან მიყვარს ჩიტების დევნა და მზადა ვარ ყოველს თავისუფალ დროს ვავარჯიშო ჩემი გონება რომელიმე კაი მახის მოგონებაში, რომ უფრო ადვილად დავიჭირო გულიანი ჩიტები...

და ამიტომ, მამი ჩემის სიტყვების შემდეგ, ვდგევარ გაცებული ერთს ადგილს და ვფიქრობ, თუ რით არის ჩემი ამხანაგი ვასუა გიჟი და კიდევ რაღაც საშინელს „ცხოვრებაზედ", რომელსაც მამა ჩემი მაგონებს ყოველ ცის-მარე დღე...

„ნობათი." იოსებ მრევლიშვილი.

---

## ქინაქინა.

(მოთხრობა).

მშვენიერი გაზაფხულის დილა იყო. მზეს თუმცა უხვად მოეფინა დედა-მიწაზე თავისი სხივები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა. ხან-და-ხან ჰქროდა საამო ნიავი და ჰფენდა გარშემო ბაღებიდამ ტკბილსურნელებას სხვა-და-სხვა ყვავილებისას. დიდი სიმხიარულე იდგა, სულიერი თუ უსულო სიამოვნებით შეხაროდა ამ ბედნიერს დილას.

არც კ--ის სასოფლო სკოლის პაწაწა შეგირდებით მოფენილი ეზო იყო მოწყენილი ამ დილას: ბავშვები უკან არ ჩამორჩებოდნენ საერთო მხიარულებაში სიცოცხლით სავსე ბუნებას და მასთან ერთად დღესასწაულობდნენ, ათასნაირ თამაშობაში გართულნი. სულ პატარები ჭრელ პეპლებს დასდევდნენ დასაჭერად, უფრო მოზრდილები რიგ-ტაფელას თამაშობდნენ, ყველაზე უფროსები ბურთს გაეტაცნა და იქით-აქეთ დარბოდნენ თავდავიწყებულნი. სკოლის აივანი სავსე იყო პატარა გოგოებით: ესენი რაღაცებს აკეთებდნენ—ალბად თავიანთ დედოფლებისათვის—და ისე მხიარულად იცინოდნენ, რომ მათი კისკისი მაღლა ღმერთს ეყურებოდა...

— აგერ გამოვიდა აივანზედ ახალგაზრდა, ცოტათი გამხდარი კაცი. ღიმილით გაიარ-გამოიარა გოგოებში, ზოგიერთებს კიდეც ელაპარაკა და მივიდა სვეტთან, სადაც ზარი ეკიდა. გოგოებმა იცოდნენ, რომ ზარის დარეკა იყო საჭირო და თვალებში შესცქეროდნენ მასწავლებელს, არა მე დამარეკიო, არა მეო.

— დარო, მოდი დარეკე!—დაუძახა მასწავლებელმა ყველაზედ უფრო პატარა გოგოს, რომელიც კუთხეში იჯდა მარტოდ. გოგოს აქამდის მოწყენილი სახე გაუბრწყინდა: ლოყები გაუწითლდა, თვა-

ლები გაუცოცხლდა, ტუჩები გაეღიმა. თვალის დახამხამებაზე მიირბინა სვეტთან, ძლივს მოჰკიდა ზარის ბაწარს ხელი და რამდენიმეჯერ ჩამოაწკარუნა.

გაიგონეს თუ არა ბავშვებმა ზარის ხმა, მაშინვე მიატოვეს თამაშობა და ყვირილით გაიქცნენ სკოლისკენ. გოგოები დაროსთან ერთად ბიჭებზედ უმალ შევიდნენ სკოლაში. სკოლის კარებზედ იდგა მასწავლებელი და უცინოდა თავისს მოწაფეებს, რომელნიც მხიარულად მოსტოდნენ მის წინ.

— ბევრი ითამაშე? — ჰკითხა მასწავლებელმა ერთს შეგირდს.

— ბევრი, — მიუგო მან.

— როცა სახლში მიხვიდე, არ დაგავიწყდეს, გააკერინე, სახელო დაგგლეჯია. ბავშმა დახედა ჩამოხეულს სახელოს, გაწითლდა და შევიდა სკოლაში.

— სიკო, რად კოჭლობ? — ჰკითხა მეორე შეგირდს მასწავლებელმა.

— მკალი შემესო ფეხში, — უპასუხა ბავშმა და აჩვენა გამოკლეჯილს წუღიდამ გამოყოფილი ტიტველი ქუსლი.

— მერე ვერ გამოიღე?

— ვერა.

— მოდი ჩემთან, მე გამოგიღებ.

მასწავლებელი და ბავშვი შევიდნენ იქვე ოთახში. პატარა ხანს უკან ბავშვი გახარებული გამოვიდა იქიდამ და თამაშ-თამაშობით შევიდა სკოლაში.

როცა ყველანი მივიდნენ და დასხდნენ თავ-თავიანთ ადგილებზედ, მასწავლებელიც შევიდა; შეგირდები მაშინვე ადგნენ და ერთმა მათგანმა წაიკითხა სწავლის დაწყების წინ სათქმელი ლოცვა.

— დაჯექით! — უთხრა მასწავლებელმა შეგირდებს, როცა ლოცვა გათავდა.

შეგირდები დასხდნენ. მასწავლებელმა ერთი გაიარ-გამოიარა და გაჩერდა შუა ადგილზედ. შეგირდებმა ხმა გაკმინდეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრენასაც გაიგონებდა ადამიანი.

— დღეს ჩვენ გვეწვევა ერთი სტუმარი, — ღიმილით დაიწყო

მასწავლებელმა: როცა აქ შემოვიდეს, ყველანი ადექით და, სანამ არ გითხრათ, ნუ დაჯდებით. როცა გკითხოსთ რამე, პასუხი თამამად უთხარით, ხმა მაღლა, გარკვევით, არ შეგეშინოსთ! ის ერთობ კეთილი კაცია და ბავშვები ძლიერ უყვარს. გკითხავსთ მხოლოდ იმას, რაც იცით და გისწავლიათ. ცოდნა კი უნდა მოიხმაროთ, როცა საჭიროება მოიტანს, და დღეს სწორედ საჭირო იქნება მისი მოხმარება, რაც გისწავლიათ. აბა თქვენ იცით!..

გაათავა ეს სიტყვები, მივიდა კედელთან, სადაც გამოკიდული იყო შეგირდების სახელი და გვარები, და ჩამოიკითხა, რომ გაეგო, ვინ არ იყო იმ დღეს სკოლაში. აღმოჩნდა, რომ ერთი პაწაწა ბავშვს მიხას გარდა ყველა იყო.

— ავად ხომ არ არის მიხა, თუ იცით ვინმე?— იკითხა მასწავლებელმა. ბავშვებმა ერთი მეორეს გადახედეს და პასუხი კი ვერავინ უთხრა.

## II

პაწაწა მიხა ავად არ იყო, მაგრამ სკოლაში წასასვლელად მაინც არა სცალოდა. საბრალო მიხას დედას აცივებდა და იმ დილასაც საშინლად გააცივა. მიხას მამა ყანაში იყო წასული და ავადმყოფს მიხას მეტი პატრონი არავინ ჰყავდა. ჯერ ვითომ გაუძალდა მიხას დედა სენს და სადილის კეთებას მიჰყო ხელი; მაგრამ ფეხებმა და ხელებმა უსუსტეს უბედურს, და იძულებული შეიქნა დაწოლილიყო. დაწვა საწყალი, მოატანინა მიხას, რაც რამ ქვეშსაგების მაგვარი მოიპოვებოდა მათ სახლში, მოატანინა აგრეთვე, რაც რომ კონები ებადათ, და დაიყარა ყველაფერი ზედან; მაინც ვერაფერი ეშველა, ვერ გათბა.

— მოდი, შვილო, შენც დამაწევი, თვარა მოვკვდი სიცივით, — უთხრა შვილს აკანკალებულმა დედამ.

მიხა მაშინვე მივიდა და ჩაეკრა დედას. რამოდენიმე ხანს ასე იყვნენ დედა-შვილი. გათბა, როგორც იქმნა, მიხას დედა და მიხაც ძირს ჩამოვიდა ნელ-ნელა. სიცხემ უმატა ავადმყოფს და პატარა ხანს უკან ისეთი ბორგვა დაიწყო, რომ, რაც ეხურა, ყველაფერი გადაყარა.

— წყალი, წყალი!... იძახოდა ყოველს წამს ავადმყოფი და მიხაც აწოდებდა პატარა ხელადით წყალს.

ამასობაში შუა დღემ მოატანა. ავადმყოფს ოფლი მოედინა და დაწყნარდა. მიხა თავით უჯდა და ფიქრებში იყო გართული.

— ეხლა რა ამბავია სკოლაში,—ფიქრობდა მიხა: იქნება კარგი რამ არის და მე-კი წასვლა არ შემიძლია...

მიხა არა სტყუვდებოდა; სკოლაში მართლა კარგი ამბავი იყო. სტუმარი, რომელზედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეგირდებს, მართლა ეწვია სკოლას. იგი დაესწრო გაკვეთილებს და შეგირდების ცოდნით მადლობელი დარჩა. ბევრმა შეგირდმა საჩუქარიც მიიღო მისგან კარგი სწავლისათვის, და მთელმა სკოლამ მასწავლებელთან ერთად მადლობა დაიმსახურა.

— ნეტა ეხლა მამა მოვიდოდეს, ფიქრობდა მიხა, რომ მე სკოლაში წავიდე!

მიხამ იცოდა, რომ ეხლა გვიანღა იყო, მაგრამ მაინც უნდოდა სკოლაში მისვლა. დიდი ხანი არ იყო, რაც მიხა სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ისე შეუყვარდა სკოლაში სიარული, მასწავლებლის ყურის გდება, სასიამოვნო ამბების კითხვა ახალ წიგნში, რომელიც ანბანის შემდეგ დააწყებინეს, რომ ის დღე, რა დღესაც სკოლაში ვერ წავიდოდა, დღედ არ მიაჩნდა.

ამ დროს მიხას მამა სიმინდს მარგლიდა ყანაში. სადილობის დრომ მოატანა და იმისთვის კი სადილი კაცს არ მიჰქონდა.

— ალბად კიდევ გააცივა დედაკაცს,—იფიქრა იმან, როცა ნახა რომ აღარავინ მოდის, და მწარედ დაღონებული წავიდა შინისკენ.

— რა ვქნა, რა მოვახერხო, რომ არ ვიცი?—ფიქრობდა სიარულით მუშა-კაცი გზაზედ: ავადმყოფს მოვუარო, სადილი ვაკეთო, თუ ვთიბნო? დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!... მარტოხელი კაცი ვარ და ამდენი საქმე კისერზედ მაწევს. რა ვქნა, რომელ ერთს გავუძლვე? ამ დღეებში „ბორჩიკიც" მომადგება კარებზედ ფოსტის ფულისთვის და მე-კი ორი გროში ვერ მიშოვნია ქინაქინა ვიყიდო, იქნება დედა-კაცს ციებამ თავი დაანებოს...

ამ მწარე ფიქრებში გართული იყო უბედური მიხას მამა; მაგრამ შევიდა თუ არა თავის სახლში, სადაც ავადმყოფი ცოლი ეწვა, მაშინვე ალერსიანად დაეკითხა ავადმყოფს, როგორა ხარო.

რადა როგორა ვარ, საშინლად გამაცივა, - ძლივს უპასუხა ცოლმა.

— არაფერია, ღიმილით უთხრა ქმარმა, დღეს ან ხვალ საიდგანმე ღმერთი მოწყალებას მოიღებს ჩვენზე; ფულს ვიშოვი, ერთი-ორ ჯერს ქინაქინს გადაგაშუშხვინებ და სულ გულით ქვას ვესროლინებ შენს ციებას.

— ქინაქინა კი არა, ნეტავი რაც საჭიროა, იმისთვის ვიშოვდეთ ფულს, სთქვა ავადმყოფმა.

— ვიშოვით, ვიშოვით!.. აბა ხომ ჩვენზედ არ შეიკვრის ქვეყანა, ამბობდა მიხას მამა.

—მამი, რა არის ქინაქინა?—იკითხა მიხამ, ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა.

— წამალი, შვილო, მერე რა წამალი,—დედაშენმა ეხლა ერთი წვეთი რომ დალიოს, მაშინვე ფეხზედ წამოდგება, უთხრა მამამ.

მიხა გაჩუმდა, ვეღარაფერი სთქვა, ისე გაიტაცა დედის მორჩენის სურვილმა.

— ნეტა ერთი ფულს ვიპოვიდე დღეს, რომ დედისთვის „ქინაქინა“ ვაყიდვინო მამას, ფიქრობდა მიხა და გულში ღმერთს ევედრებოდა: ღმერთო, გზაზედ ფული მაპოვნინეო.

— მიხა, შვილო, თუ გინდა, წადი სკოლაში!—უთხრა დედამ მიხას, რადგან იცოდა, რომ სკოლაში წასვლა მიხას არ ეწყინებოდა.

— წადი, შვილო, წადი,—უთხრა მამამაც: წადი, იქნება ისწავლო რამე და გამოიყენო, თვარა ხომ ხედავ ჩვენს გაჭირვებას? წადი, მე სადილს დაგახვედრებ...

მიხასაც ეს უნდოდა; მაშინვე წამოხტა ფეხზე, ჩაიწყო ჩანთაში წიგნები და გაექანა მხიარული სკოლისაკენ.

## III

როცა მიხა სკოლაში შევიდა და დაინახა თავის ამხანაგების გაბრწყინვებული სახე, ბედნიერი მასწავლებელი, კმაყოფილი სტუმარი, დაინახა რომ მთელს სკოლას რაღაც სადღესასწაულო ფერი

დასდებია, აღარ იცოდა, რა ექმნა; შემკრთალი გაჩერდა ერთს ადგილზედ და მიაჩერდა მასწავლებელს, თითქოს თვალებით შესთხოვს გამაგებინე, რა ამბავია აქაო.

— მიხას გაუმარჯოს! დაუძახა მასწავლებელმა ღიმილით: —სად იყავი ამდენს ხანს?

მიხა არაფერს არ ამბობდა და გაშტერებული იდგა.

— სხვა დროს არ დაგვიანებია და დღეს როგორ დაგემართა, რომ ამიმსთანა ბედნიერ დღეს გამოგვაკლდი? დღეს ჩვენ გვეწვია ძვირფასი სტუმარი, ყველანი შეძლებისა-და გვარად დავხვდით და მადლობა დავიმსახურეთ. შენ-კი ასე გვიან მოხველი .. მაგრე უნდა მასპინძლობა?...

მიხას თვალები ძირს დაეშვა და ცრემლებით ევსებოდა. რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვათ კიდევ, ის ტირილს დაიწყებდა; მაგრამ ამ დროს მიიხმო სტუმარმა მასწავლებელი და ცოტა ხანს ჩუმად ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ორივენი მიხას უყურებდნენ. მერე მივიდა მასწავლებელი მიხასთან, გადაუსვა თავზედ ხელი და უთხრა:

— არა უშავს-რა, კიდევ კარგ დროს მოგვისწარი. აბა წამოდი და შეხებურად წაუკითხე ჩვენს სტუმარს წიგნი.

— მოდი ჩემთან, მოდი, პაწაწავ!—უთხრა სტუმარმაც ალერსიანად მიხას. მიხას იამა მასწავლებლისა და სტუმრის სიტყვების კილო და თამამად მივიდა.

— აბა, მოჰყევი აქედამ! — უთხრა სტუმარმა და აჩვენა გადაშლილ წიგნზედ ადგილი. მიხა ჯერ ხმის კანკალით შეუდგა კითხვას, მერე და მერე კი გათამამდა და ჩინებულად დაიწყო კითხვა. წაკითხვის მერე სტუმარმა ათქმევინა წანაკითხი, და მიხამაც მშვენიერად უამბო ყველაფერი, რაც წაიკითხა. მერე ლექსები ათქმევინეს მიხას ზეპირად, მერე საანგარიშო მისცეს. მიხამ თავი გამოიჩინა, ისე კარგათ უთხრა ყველაფერი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!—იძახოდა სტუმარი. მასწავლებელი გახარებული იყო მიხას პასუხებით, სტუმარი გაკვირვებული.

გაათავა მიხას გამოკითხვა.

— საჩუქარი რომ აღარა მაქვს შენთვის!—გულ-დაწყვეტი-

ლი ეუბნებოდა მიხას სტუმარი: რაც მქონდა, ყველა დავარიგე დღეს.

— ნუ შესწუხდებით, მე მივცემ საჩუქარს თქვენ მაგიერ, უთხრა სტუმარს მასწავლებელმა.

— თქვენ-კი მისცემთ, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემგანაც ჰქონდეს რამე. მე მოგცემთ ფულს და გთხოვთ, ჩემ მაგიერ უყიდოთ, რაც თვითონ სურს.

ამ სიტყვებზედ ამოიღო სტუმარმა რამოდენიმე თეთრი ფული და მისცა მასწავლებელს. მასწავლებელმა გამოართვა და მიუბრუნდა მიხას.

— მიხა, ბარემ ეხლავე მითხარი, რა გიყიდო ამ ფულით?

— „ქინაქინი“!—წამოიძახა უცებ გახარებულმა მიხამ.

ყველამ ყურები სცქვიტეს და გაოცებულებმა შეხედეს.

— რა?—დაეკითხა მეორედ მასწავლებელი, რომელსაც ეგონა, რომ ყურმა მომატყუაო.

— „ქინაქინი“!—განიმეორა ბავშმა.

— იცი მერე, რა არის ქინაქინი?—ღიმილით ჰკითხა სტუმარმა მიხას.

— წამალია!—მიუგო ბავშმა.

— მერე რად გინდა შენ ეგ წამალი?—კითხა მასწავლებელმა.

— დედას აციებს და მამა სწუხს: უფულობას რა ვუყო, თვარა „ქინაქინს“ ვიყიდდი და მოვარჩენდიო.

სტუმარმა და მასწავლებელმა ერთმანეთს შეხედეს...

იმ საღამოს მასწავლებელი და ფერშალი მახლობელ დაბიდამ მივიდნენ მიხას სახლში ფერშალმა ნახა ავადმყოფი. საჭირო წამლები (რასაკვირველია „ქინაქინაც“) დაუტოვა და დარიგებაც მისცა, როგორ მოქცეულიყო. მასწავლებელმა-კი პატარა სურათებიანი წიგნი მოუტანა მიხას. აუწერელია ის მხიარულება, რომელსაც გრძნობდნენ როგორც მიხას მშობლები, ისე თვითონ მიხა.

დუტუ მეგრელი.

## თევზაობა.

(ბავშვობის დროის მოგონება).

პატარაობისას თევზაობა ძლიერ მიყვარდა. ჩვენის სოფლის არე-მარეც ხელს მიწყობდა. თვითონ შუაგულ სოფელში რამდენი-

შე ვეებართელა წყარო ამოჩუხჩუხებდა მიწიდან. სოფლის გარშემო ადგილები ხომ სულ სავსე იყო ცივ-ცივი წყაროებითა. წყაროების თავი დახრდილული იყო ირგვლივ ჩარგული ნერგებითა და ზაფხულში აქ საამური სიგრილე ტრიალებდა. ამ ჩრდილებში დასვენება, ყინულივით ცივი წყლით წყურვილის მოკვლა ზაფხულის პაპანაქებაში სწორედ ნეტარება იყო.

ეს მრავალი წყაროები სულ სამხრეთისაკენ მიდიოდნენ, გზაზედ ერთმანეთში ერეოდნენ და აჩენდნენ მოზრდილს ფშანებსა, რომელთა ნაპირებს ბურავდა ხშირი თხილის ბუჩქები. ამ ფშანების წმინდა წყალში ჩნდებოდნენ და მრავლდებოდნენ სხვა-და-სხვა თევზები და მათ შორის კალმახიცა, უგემრიელესი თევზთა შორის.

სათევზაოდ ჩემს უფროსს ძმას დავაწყნევინე ლერწმის პატარა კალათი, წოწლოკინა, პწკეული და ისეთი სუბუქი, რომ ნიავიც კი წაიღებდა. წამოვიდებდი მარჯვენა მხარზედ ამ კალათსა, გავწევდი ქვემოდ და ჩავიდოდი ფშანების პირსა. გავიხდიდი ჩუსტებსა და წინდებსა, გამოვიხვევდი ახალუხის კალთაში, ჩავხტებოდი ფშნის ბოლოში და შევყვებოდი ზევით-ზევით თევზაობითა. მივაგნებდი დარნებს (ჯილს), ერთი ხელით კალათს მივუმარჯვებდი, მეორე ხელით ჯოხს შევუჩიჩხვინებდი დარნებში და დაუქშევდი თევზებსა. დაფეთებული თევზები გარედ გამორბოდნენ და ცვივდებოდნენ კალათაში, რომელსაც მე სწრაფად ავაცილებდი ხოლმე ზევით წყალსა. რასაკვირველია, ბევრი თევზი აიცდენდა ხოლმე კალათსა და თავს უშველიდა; მაგრამ ზოგი კალათაში მოჰყვებოდა ხოლმე და სამუდამოდ გამოესალმებოდა თავისს საყვარელ დარნებსა.

მე ძლიერ მომწონდა ცოცხალი თევზების მოყვანა შინა. ამიტომ თან დამქონდა პატარა საპილენძის თუნგი, მუა წყლამდის წყლით სავსე და მასში ვყრიდი დაჭერილს თევზებსა.

თევზის ჭერას ისე გატაცებით მივდევდი, რომ ხშირად მთელს დღეს ფშნებში ვალამებდი და მარტო ხმელი პურის ამარა ვრჩებოდი. იქნება გეგონოთ, თევზის ჭამისთვის სული მიმდიოდა და იმიტომ ვიყავი ასე გატაცებული? სრულიადაც არა. თევზს საჭმელად ძალიან ნაკლებად ვეწყობოდი და ხიზილალა ხომ თვალის დასანახავად მეჯავრებოდა. მაშ რად მეხალისებოდა ასე ძლიერ თევზის

ჭერა? ჯერ იმიტომ, რომ სასიქადულო საქმედ მიმაჩნდა, ყოჩაღობად ვთვლიდი და მერე იმიტომ, რომ მშობლებისთვის თევზი სანატრელი საჭმელი იყო; ხოლო მე მათს სიამოვნებას და ქებას ძვირად ვაფასებდი. მე მაშინ ჯერედ პატარა ვიყავი და თევზის სიბრალული იოტის ოდენადაც არა მქონდა. მე არ დავიდევდი მას, რომ თევზიც ქვეყანაზე ღმერთს გაეჩინა მისის სიამისა და ბედნიერებისათვის და არა ჩვენ საწვალებლად და საჭმელად; ამიტომაც შეუბრალებლად ვასალმებდი წუთი სოფელს ახლად გაჩენილს თევზებსაც-კი, ჭიჭყინებსა, რომელთაც ჯერედ სიცოცხლით არ გაეხარნათ.

როცა იღბლიანი დღე დამიდგებოდა და თუნგს ცოცხალი თევზით ავავსებდი, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მე ამ დროს ჩემი თავი ალექსანდრე მაკედონელი მეგონა და სოფელში ისე წელ გაშლით და თამამად გამოვივლიდი ხოლმე, თითქო დიდს ომში გაუმარჯვნიაო. მაგრამ თუ ნავსიანი დღე დამიდგებოდა და თუნგი ცარიელი მომქონდა, მგლოვიარესავით დადონებული მოვდიოდი.

ნაფოტა თევზი, ფიჩხული, მურწა, შავი თევზი და სხვა წვრილმანი თევზები ხშირად ჩადიოდნენ ჩემს კალათაში და კალათიდგან ჩემს თუნგში მოექცეოდნენ ხოლმე. მაგრამ მე მაინც გულნაკლულად ვიყავი და ჩემს თავს ნამდვილ მეთევზედ არა ვთვლიდი. რადა? იმიტომ რომ ვერ ვღირსე და ვერა კალმახის დაჭერასა. ბევრჯელ მოვასწარ კალმახს დარანში, რამდენჯერმე კიდეც ჩავაგდე კალათში, მაგრამ, მინამ მე კალათს ზეით ავაცილებდი წყალს, სწრაფი კალმახი ელვასავით გავარდებოდა კალათიდგანა და გაქრებოდა. რამდენადაც ძნელი გამოდგა კალმახის დაჭერა, იმდენად უფრო მიძლიერდებოდა სურვილი იმის დაჭერისა. ზაფხულის მაპანაქებაში უდაბნოში მყოფს ირემს ისე არ ენატრება დაწაფება ცივის წყლისა, მშიერს კატას ისე ძლიერ არ მისდის სული თევზის შესუსვნისათვის, დამშეული კაჭკაჭი ისე არ ეტანება წიწილის ჩაგდებას თავისს კლანჭებში, როგორც მე მინდოდა კალმახის დაჭერა; მაგრამ ვერ იქმნა და ვერა.

— ზაქრო, ერთი კალმახის დაჭერა მასწავლე და რახაც

მთხოვ, მომცემი ვარ, შევეხვეწე მე ჩვენს მეზობელს გლეხს კოკაურს, რომელიც კალმახის მარჯვე ჭერაში გათქმული იყო არამც თუ ჩვენს სოფელში, არამედ გარშემო სოფლებშიაც. იგი ყოველთვის კალმახით გაუმასპინძლდებოდა ხოლმე თავისს მებატონეებს და სხვა მსხვილ სტუმრებს სოფლისას.

— ხა! ხა! ხა! ხა! ჩაიხარხარა ზაქარა კოკაურმა: მაგ კალანჩხათი უნდა კალმახი დაიჭირო?! იმ უგემრიელესის თევზის დაჭერა რომ მაგრე ადვილი იყოს, მისი სახსენებელიც კი აქამდინ ათასჯერ გაწყდებოდა დედამიწის ზურგზედ. მე თევზაობაში დავბერდი, ხოლიხის ხმარებაში, კბეხნით არ ვიტყვი, ტოლი არა მყავს, და მეც კი საქმეს საშინლად მიჭირებს ხოლმე. ჯერ მისი ჩაგდებაა ხოლიხში ძნელი და მერე აღარ ამოშვება. თუ ნახევარ წუთით ხოლიხის ზემოდ ამოკვრა დავაგვიანე, კალმახი ელვასავით ამოვარდება და თავს უშველის. სამს კალმახში, ხოლიხში მოქცეულში, ორი მაინცა და მაინც ისევ წამივა ხოლმე, და შენ, შვიდის წლის ბაღანამ, მაგ სამასხარაო კალანჩხათი როგორ უნდა დაიჭირო ასეთი სწრაფი და მარდი თევზი? არა, კაკო, კალმახს თავი დაანებე, შენი საკბილო არ არის, იჭირე პატარა ზანტი ჭიჭყინები, მეტი შენ ჯერ არა მოგეთხოვება-რა.

კოკაურის სიტყვებმა არამც თუ ხელი არ ამაღებინეს ჩემს წადილზედ, კიდევ უფრო გამიცხოველეს სურვილი კალმახის დაჭერისა. „ან მოვკვდები და ან კალმახს დავიჭერ ამ კალანჩხით და დავუმტკიცებ კოკაურს, რომ მარტო მას არ შეუძლიან კალმახის დაჭერა“, — გარდავწყვიტე მე ჩემს გულში და უფრო ბეჯითად შევუდექი თევზის ჭერასა. მალე გავაორკეცე ჩემი ხერხი, ჩემი სიმარჯვე. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ერთმა შემთხვევამ ისეთი თავზარი დამცა, რომ არამც თუ კალმახის დაჭერაზედ, თვით თევზაობაზედაც სრულიად ხელი ამაღებინა.

ერთხელ იმდენი თევზი დავიჭირე, რომ თუნგი ყელამდინ მოიყარა. შინ მივდიოდი და სოფელს რომ მოვუახლოვდი, ფეხში დიდი ეკალი შემერჭო და ძლიერ ღრმად წავიდა. ეკალმა შემაწუხა და ფეტვის მჭადივით დამღრიჯა. როცა ამ სახით ჩვენის მეზობ-

ლის ეზოს დავუპირდაპირდი, ბებერმა მელანიამ ბაკის ღობიდგან დამინახა დაღრეჯილი სახით და მიკიჟინა:

— ცარიელი მოდიხარ, განა?

მე შევუხვიე მის ეზოში და თავმოწონებით დავუდგი წინ თევზით სავსე თუნგი.

მელანია შურიანი ადამიანი იყო, არაფრად ეპიტნავა ამდენი თევზის დაჭერა და, რომ გული წაეხდინა ჩემთვის, მითხრა:

— მაგ თევზაობას თავი დაანებე, თორემ ფშნებში გველი იცის, გიკბენს როდისმე, დაგშხამავს და ისე სწრაფად გაგგუდავს, რომ ზიარებასაც ვეღარ მოგასწრობენ.

თუმცა მელანიას შურიანობა კარგად ვიცოდი, მაგრამ მისი სიტყვები მაინც ტყვიასავით მომხვდა გულში და ძლიერ შემაშინა. მთელის ორის კვირის განმავლობაში სათევზაოდ აღარ გამივლია. მოკლებული ჩემს უპირველესს სიამოვნებას, მე დიდს მოწყენილობას ვგრძნობდი. ბოლოს ვიფიქრე: ეს კოკაურიანთ ზაქარა ამდენი ხანია ხშირად დაიარება სათევზაოდ და თუ შხამიანი გველი იცის ფშნებში, რატომ ერთხელ მაინც არ უკბენია მისთვის. და განვაახლე თევზაობა, თუმცა გულში შიში ისევ მიტრიალებდა.

ერთხელ ძლიერ ნავსიანი დღე დამიდგა. მთელი დილა ვითევზავე, მაგრამ ოციოდე პაწია ჭიჭყინას მეტი ვერა ვიგდე-რა ხელში. გულზედ მოვედი, გავბრაზდი და ცხარედ დავიწყე ტაკება ჯოხისა დარნებში და ფშანის ნაპირებში. უცებ მარჯვენა ფეხზედ რაღაც მეჩოთირა, რაღაც ლიპის და ცივის რისამე შეხება ვიგრძენი. მე მეგონა თევზია მეთქი და კალათი მოვიმარჯვე; დავიხედე და თქვენს მტერს ნუ დაანახვა ის, რაც მე დავინახე. მკლავის სისხო წითელი გველი მეხვეოდა მარჯვენა კანჭზედ. ერთი საშინელი დავიკივლე, კალათი ხელიდგან გავაგდე, მარჯვენა ფეხი გავიქნიე, რაც ძალი და ღონე მქონდა და ისეთს მაღალს ნაპირზედ ამოვხტი, რომ მშვიდობიანს მდგომარეობაში ეს ჩემთვის ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. ჩუსტები და თუნგი ვიღას მოაგონდებოდა, ფეხშიშველი გავეშვი მინდორზე და გავრბოდი შინ, რაც კი შემეძლო. შიში მუხლს მოჰკვეთავს ხოლმეო, ამბობენ. მე კი შიშმა ფრთები შემასხა, ისე სწრაფად ჩემს სიცოცხლე-

ში არ მირბენია. სირბილის დროს ბევრი ეკალი მერჭობოდა შიშველა ფეხებში; პირიანი ქვებიც მისერავდნენ ფეხებს, მაგრამ ამას მე იოტის ოდენა ყურადღებასაც არ ვაქცევდი. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გველმა დამშხამა და რამდენსამე წამს შემდეგ სრულიად გამოვესალმებოდი წუთი-სოფელს. ჩემი ნატვრა იყო მხოლოდ—მინდორში არ დამელია სული, მიმესწრია შინა, გზიარებულიყავ და დედის კალთაში მოვმკვდარიყავ. სწრაფად გადავირბინე ერთის ვერსის სიგრძე მინდორი, გავირბინე სოფელი, მივვარდი ჩვენ სახლთან და შევვარდი დარბაზში ისეთი სახით, რომ გადარეული ვეგონებოდი ადამიანს. შინ დედის მაგივრად მამა დამიხვდა. გავექანე, კალთაში ჩავუვარდი და მივაძახე: ვკვდები, მამილო, ვკვდები!.

— რა არის, შვილო, რა დაგმართნია? მკითხა მამამ ისეთი მშვიდობიანი კილოთი, რომ, ცოტა არ იყოს, იმედი მომეცა.

— გველმა დამშხამა და ვკვდები.

— სად და როგორ?

მე ვუამბე ლუღლუღით, კანკალით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— ტყუილად შეგშინებია, ჩემო კარგო, სულ ტყუილად. წყლის გველს არც შხამი აქვს და არც კბენა იცის. ჩემს სიცოცხლეში თუნდა ხუთჯერ-ექვსჯერ მომხვევია წყალში გველი ფეხზედ; მაგრამ ფეხი გამიქნევია, მომიშორებია და გათავებულა ამითი საქმე. წყლის გველს კაცის ფეხზე დახვევა უყვარს საკბენად კი არა, სითბოს გულისთვის. აბა, მარჯვენა ფეხი გაშალე და კარგად გასინჯე, თუ სადმე ნაკბენი ეტყობოდეს.

მე ტახტზე გავჭიმე ფეხი, დავაცქერდი კარგად მარჯვენა კანჭსა, მაგრამ ერთი ბეწო გაფხაჭნილი და დასისხლიანებული ვერსად შევამჩნიე. თვალებს მაშინვე არ დავუჯერე, რადგანაც ძლიერ ვიყავი დარწმუნებული, რომ გველმა მიკბინა და დამშხამა. თვალები მოვიფშვნიტე, მოვიწმინდე და ხელ-მეორედ გავსინჯე კანჭი. ახლაც იგი სრულიად საღი და უვნებელი გამოდგა. მაშინ კი დავიჯერე, რომ გველის კბენა და დაშხამვა ტყუილად მომლანდებოდა, სულ უსაბუთოდ დამცემოდა შიშის ზარი.

დავშოშმინდი, მაგრამ ამ საშინელმა შიშმა მაინც თავისი გაიტანა. ჯერ ერთი ესა, რომ ციება დამაწყებინა და მთელი ორი

კგირა მაცივა; მეორე—დამჩემდა შიში გველისა იმდენად, რომ მისი სახელის გაგონებაც კი შემაძრწუნებდა ხოლმე; მესამე—ჭირივით შემძულდა კოკაურიანთ მელანია, თავი და თავი მიზეზი ამ უსაფუძვლო და საშინელის შიშისა.

ამ დღიდგან სრულიად ხელი ავიღე თევზაობაზედ.

## შველი და ქალი.

(მოთხრობიდგან „ბაში-აჩუკი“).

**ერთს** დღეს უდაბურს ტყეში **აბდუშაჰილს** წინ ერთი შველი შეეფეთა, შეჩერდა ახლო-მახლოს და ისე დაუწყო ყურება, თითქოს შინაურიაო. **აბდუშაჰილმა** შვილდ-ისარი მოიმარჯვა, სტყორცნა და გააგორა მიწაზე; რომ მივიდა ასაღებად, ნადირი უცბად წამოვარდა ზეზე და ბარბაცით გაუდგა გზას!.. **მონადირე** მიჰყვა კვალ-და-კვალ. **შუაგულ** ტყეში თურმე ერთი დიდი მინდორი იყო და იმას მიაშურა; მონადირეც რომ მიადგა ტყის პირს და მინდორს თვალი გადაავლო, შენიშნა, რომ მეორე მხრივ ტყიდგან გამოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის მგზავსი ჯერ ამას არა ენახა-რა; შეჩერდა და ამოეფარა ხეს. **დაკოდილმა** შველმა პირ-და-პირ ქალისაკენ მიმართა, შესწივლა ორჯელ-სამჯერ, მიუახლოვდა და მიადვა კალთაზე თავი. **ქალი** შეკრთა, მიიხედ-მოიხედა და რომ ვერავინ დაინახა, თეძოში გარჭობილი ისარი ამოუღო, გადააგდო, მოჰკიდა შველს ნაყარ რქებში ხელი და იქვე ახლოს, წყაროსთან მიიყვანა, სისხლი გაჰბანა და წყლული ამოუწმინდა. **შველი** ისე ემორჩილებოდა, როგორც გრძნობიერი რამ: დაუწვა ფეხთით ცალს გვერდზე და მიანდო თავი; ქალმა მანდილს ყური მოჰხია და დაუცვა ჭრილობა. **ამას** ყოველიფერს გაოცებით უყურებდა მონადირე და გუნებაში ამბობდა: ნადირთა **ღმერთას** რომ იტყვიან, სწორედ ეს უნდა იყოსო! **ალარ** მოუთმინა გულმა, მიეპარა ფეხ-აკრებით და წაადგა თავზედ. **შველმა** იგრძნო, დაფრთხა, წამოვარდა ზეზედ, ორჯელ-სამჯერ გადახტა განზედ, მაგრამ უცბად შეჩერდა და მოიხედა უკანვე. **ეტყობოდა**, რომ მონადირეს ერიდებოდა

და იმავე დროს ქალის მოშორებაც არ უნდოდა. ქალი წამოდგა ზეზედ, მოიხედა უკან და თათარი რომ დაინახა, ერთი საოცრად დაიკივლა, ჩაიკეცა და შემოეყარა გულს. აბდუშაჰილი მივიდა, მოჰკიდა ხელი, ბევრი აბრუნა აქეთ-იქით, ცხვირი მოუსრისა, ყურები აუწია, მაგრამ ვერ გამოაბრუნა; მივიდა მერე წყაროზედ, პეშვი (მუჭი) აივსო წყლით, გამობრუნდა და ასხურა გულ-წასულს. ქალმა თვალები გამოახილა.

— „ნუ გეშინიან, შენ და და მე ძმა! მიაძახა აბდუშაჰილმა. მითხარი მხოლოდ, ვინ ხარ და საიდგან, რომ ჰირისუფლებთან მიგიყვანო?“

ქალმა ხმა ვერ გასცა, გაუშვირა თითი დასავლეთით ტყისკენ და ხელ-ახლად შეუწუხდა გული. Tათარმა აიყვანა ხელში ბავშვივით, გადაიწვინა მკლავზედ, მიიყრდნო გულმკერდზე და ალალ-ბედად წაიღო იქით, საითკენაც ანიშნეს. შველი ძაღლივით აედევნა, წაუსწრო წინ, ერთ-ორს რომ გადახტებოდა, შეჩერდებოდა ხოლმე და მოიხედავდა უკან. Tათარმა იფიქრა, აქ რაღაც განგება არის, მივყვები ამ ნადირს და სადაც მიმიყვანს, მიმიყვანსო. უცბად შუაგულ ტყეში შენობა გამოჩნდა და პირდაპირ მის გალავანს მიატყდნენ.

შველი მიადგა ჰიშკარს და წივილი დაიწყო. აბდუშაჰილმაც წიხლი ჰკრა, მაგრად დაკეტილი დახვდა; მიაყურა და ხმაურობა არა იყო-რა. დასდვა თავისი ძვირფასი ტვირთი ძირს და მოინდომა გალავნის ირგვლივ შემოვლა და, იმავე ადგილს რომ მივიდა, აღარც ქალი დაუხვდა, აღარც შველი, კარები-კი ისევ ისე დაკეტილი იყო შიგნიდგან. აბდუშაჰილს თითქმის ელდა ეცა. დიდ ხანს იყურყუტა, ბევრი ათვალიერა აქეთ-იქით, გალავანსაც ორჯელ სამჯერ გარს შემოუარა, მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი არაფერს ეტყობოდა. სთქვა, რაც განგებას ჩემთვის დაუნიშნავს და ბედს ერთხელ უჩვენებია, ის, იმედია, აღარ ამცდება და კიდევ სადმე შევხვდებიო, მაგრამ საიდუმლოდ-კი უნდა შევინახოო. დაღონებული და ნეტარებით გაბრუებული დაბრუნდა Tელავისკენ.

ა. წერეთელი.

## ძმა და და.

(მოთხრობიდგან „პატარა ქაჯანა“).

### 1

„პატარა ქაჯანა“ გახლავთ მომეტებული სახელი ერთის სოფლელის პატარა ბიჭისა. რადგანაც ამას ლაპარაკში ძლიერ უყვარდა სიტყვის „ქაჯანას“ ხმარება, მაგალითებრ: „ქაჯან, წავიდეთ მინდორში; ქაჯან, ვიმღეროთ; ქაჯან, ერთი ვაშლი მე მომეცი“, ამის გამო მას სოფლელმა ამხანაგებმა დაარქვეს „ქაჯანა“. წინა პირველად სიმონას, ცოტა არ იყოს, სწყინდა ეს სახელი, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა შეაჩვია ყური და ბოლოს ისე შეეთვისა, რომ სიმონა რო დაეძახნა ვისმე მისთვის, ყურადღებასაც არ მიაქცევდა ხოლმე; „ქაჯანა“-კი რომ დაგეძახნა, საჩქაროზედ ან ხმას გაგცემდა, ან არა-და, ერთს ციბრუტივით შემოტრიალდებოდა და თვალის დახამხამებაზე შენ წინ დაიბადებოდა. ბაუყვარდა სიმონას ეს სახელი! მთელი სოფელი, დიდი და პატარა, შინაურები თუ მეზობლები, სიმონას ეძახდნენ „ქაჯანას“.

— ქაჯან, გაიქე, დედა შენს უთხარი: ერთი პური გვასესხეთქო...

— ბიჭო, ქაჯან, წამო, ე ჩვენ ლომა კამბეჩზე შეგსვა...

— ქაჯან წავიდეთ ჩიტის ბუდე ჩამოვშალოთ... ეძახოდნენ ხოლმე სიმონას... სიმონა კარგად ხედავდა, რომ ამ სახელით მისი დაცინვა, ან გაჯავრება კი არ უნდოდათ, არამედ მასში იხატებოდა დაყვავება, ალერსი, სიყვარული მისდამი... სიმონა საჩქაროდ გაქანდებოდა შინისაკენ და, თუ სავსედ არა ჰქონდათ, ხტუნაობით გამოურბენინებდა პურს... მერმე მეორეს აუსრულებდა თხოვნას, შემდეგ მესამისაკენ გაიქცეოდა. დახტოდა, დაცუნცულებდა, მღეროდა და ისეთი სიმარდით და მოხერხებით აკეთებდა საქმეს, რომ განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი მნახველები... უნდა დაგენახათ, როგორი სიცქვიტით ავარდებოდა მსხმოიარე ან ფრინველის ბუდიან ხეებზე, როგორ დაქანდებოდა იქიდგანა და სრიალით ჩამოვიდოდა

ძირს; ან კიდევ იმისი მარდი სირბილი, სხრისა და ჯოხის ხმარება, იმისი წმინდა კილოიანი ხმა, როდესაც საყდრის კარებთან შეგროვილს თავისს ტოლებში ჩაჯდებოდა და დაიძახებდა: „დელია, დელია-და, ბიჭებო!“ ან „კურდღელი ჩამოცანცალდა, ფეხ-მოტეხილი საწყალი“. მაგრამ ყველაზე კარგა სიმონამ სათამაშო „გოგონას“ სიმღერა იცოდა. როდესაც ამას დაიწყებდა, ხნიერი კაცებიც მოვიდოდნენ ხოლმე, დადგებოდნენ შორი-ახლო და დაუგდებდნენ ყურს... მათს დაღვრემილს სახეზე ღიმილი ჩნდებოდა და კმაყოფილების შუქი გადმოდიოდა მათი თვალებიდგან... ყველანი მოიმხიარულებდნენ ხოლმე, მაგრამ უფრო მეტი სიამოვნება იხატებოდა ერთს ჭაღარა-შერთულ, ცოცხალ სახიან და დაბალ ტანიან გლეხის, ძიკოლას სახეზედ... „ოი, შენი გამჩენის ჭირიმე, შვილო, შენი!“ დაიძახებდა ხოლმე ეს, როდესაც სიმონას ზარივით ხმა უკანასკნელად გაიკრიალებდა ჰაერში...

— რა ბიჭი გყავს, ძიკოლა, რა ბიჭი!.. მხიარულად მისძახებდნენ ხოლმე ძიკოლას იქ მდგომი გლეხები და შემდეგ მიუბრუნდებოდნენ მის შვილს: „ჭაჯანა, ერთი კიდევ, ერთი!.“ და ჭაჯანას ხმა ხელ მეორედ გაისმოდა ჰაერში... მას მიჰბანებდნენ სხვები და ხელ-ახლად გაიმართებოდა ბავშვების სიმღერა და თამაში...

## II

ჭაჯანას მამა, ძიკოლა, იყო ერთი ჩვენი გონიერი და გამოცდილი გლეხთაგანი... საქართველოს რომელს კუთხეს იტყვით, რომ ძიკოლა არ ყოფილიყოს იქ თავისს სიყმაწვილეში. ჯერ ოცის წლისაც არ იქნებოდა, რომ მას ორჯელსამჯერაც ჰქონდა მოვლილი ძავკასიის გზები. ოცის წლისა ძიკოლა ბუმბრის გზაზე შესრულდა... ამას შემდეგ თითქმის ყოველს სამ წელწადში ერთხელ მიდიოდა ბუმბრში მარილის მოსატანად... სამი-ოთხი გზობა ორპირშიაც წაიღო ქირა... შემდეგ შეირთო ცოლი და როდესაც მამა მოუკვდა და მარტო-ხელი გახდა, დაანება ქირაობას თავი და მიჰყო ხვნათესვას ხელი. ამ დროს ძიკოლას და მის ცოლს, მართას,

მიეცა პირველი ვაჟი, შემდეგ მეორე, მესამე, ამათ მიჰყვნენ ორი ქალი და დაწვრილშვილდა ჭიკოლა. რაღაც საცოდავი სამიოდე დღის მიწა ჰქონდა და ერთი პატარა ვენახი... წელებზე ფეხს იდგამდა, ამ ცისმარე დღე და ღამე სულ განუწყვეტლად მუშაობდა, მაგრამ წლის სარჩო მაინც არ მოსდიოდა. ჭიკოლა მაინც ეხტიბარს არ იტეხდა: ვალს არ იღებდა, კარზედ არავის აღგებოდა სათხოვნელად და ხალხშიაც მუდამ მხიარული გამოდიოდა. იმისს მოსწრებულს სიტყვა-პასუხს, მისს კვიმატს ლაპარაკს, მისს მოშაირობასა და ხუმბრობას სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს იმ ახლო-მახლო სოფლებში. მაგრამ უცებ ისეთი ამბავი დაატყდა ჭიკოლას თავს, რომ ყველა ესენი სრულიად დაავიწყა და ჩვენი მხიარული ჭიკოლა გარდააქცია სახე-დაღვრემილ, სულითა და გულით დაცემულ ადამიანად. ერთს ზამთარში შეუდგა ჭიკოლას სოფლე, დაერია იმისს პატარა შვილებს და ორჯელ წყვილ-წყვილი კუბო გამოიტანეს იმის სახლიდგან... სამი ვაჟი და ერთი ქალი სამუდამოდ მოსწყდნენ ჭიკოლას გულიდგან; დარჩა მხოლოდ ერთი უმცროსი ქალი, რომელიც ეხლა თორმეტის წლისაა.. ერთის წლის შემდეგ მიეცა ჭიკოლას ვაჟი და ამის შემდეგ აღარავინ მიჰმატებია მისს ოჯახს... ეს ვაჟი გახლდათ ჩვენი უკვე გაცნობილი პატარა ჭაჯანა.

ამ ნაირად ჭიკოლას ჰყავდა ორი ზედი-ზედ მომდევნო შვილი: ქალი და ვაჟი. მთელი თავისი მშობლიური სიყვარული ჭიკოლამ ამ ორ ბავშვზე დაამყარა. მომეტებულად კი უფრო სიმონა უყვარდა და, როგორც კი შეეძლო, უვლიდა და ანებივრებდა. უნდა გენახათ, რა მშვენიერად გაკეთებული პატარა გუთანი, პაწაწინა საძნე და საბარო ურემი, ლამაზი პატარა კომბლები და ჯოხები ჰქონდა სიმონას! მინდვრის სამუშაოს რო მორჩებოდა, სიმონას სათამაშოებს მიჰყოფდა ხოლმე ჭიკოლა ხელსა... ნელ-ნელა სთლიდა პატარა ჩხირებს და თანაც მხიარულად შესცქეროდა თავისს საყვარელს შვილს... ბევრჯერ ამ დროს მოაგონდებოდა ხოლმე თავისი პატარა დაკარგული შვილები და მისი სახე მსწრაფლად იქცე-

ოდა დატანჯულის სულის სარკედ. „რო ი წყეული სოფლემ კიდევ გამოტყვრეს საიდანმე და ესენიც მომტაცოს, რაღა-მეშველება მაშინ?!“ იტყოდა ხოლმე ქიკოლა და წარბ-შეკ-რული გაჩოჩდებოდა შვილისკენ. შემდეგ აიღებდა თავს მაღ-ლა, მიიხედ-მოიხედავდა სახლში და, რა დაინახავდა მას, ვი-საც ათვალიერებდა, დაიძახებდა:

— შვილო, ქატო, მოდი შენც ჩემთან, შენი ჭირიმე.

ქატო მარდად გაქანდებოდა და კოპწიად ამოუჯდებოდა ხოლმე თავისს მამას მუხლის ძირას.

III

საშინელი ეშმაკი და კუდიანი გოგონა იყო ეს ქატო! ერთი რომ შეგეხედნათ იმის ცოცხალ, მუდამ აქეთ-იქით მა-ცქერალ კუნაპეტივით შავი თვალებისთვის, იმის გაცქვეტილ ყურებისთვის და მაღლა აწეულ პატარა წარბებისთვის, უსა-თუოდ იტყოდით: „ამ პატარა გოგოს სწორედ თავის ტო-ლა კუდი ებმისო“. ქუდი კი რა მოგახსენოთ და ეშმაკი კი ძალიან იყო. იმისგან მოსვენება არა ჰქონდათ მეზობლებს. ვთქვათ, დაინახა, სოფლის რამდენიმე დედაკაცი ზის ერთად კედელთან, ან ბაკის გვერდზე და გულ-გახსნით რაღაზედაც ლაპარაკობენ... უცებ გაჩნდებოდა აქ ქატო, მიეპარებოდა და ნამდვილის ყვავის ხმით დასჩხავლებდა ზემოდგან... საწყალს დედაკაცებს ენა ჩაუვარდებოდათ ხოლმე; ყოველს მათგანს გული გაუქანდებოდა თავიანთ საყვარელ ქმრისა, შვილებისა ანუ ძმებისაკენ. მაგრამ საჩქაროზედვე მოაგონდებოდათ ქატო და წამოცვივდებოდნენ ფეხზედ... ქატო ხარხარით გარბოდა ქვემოთკენ.

— ში, შენ და შენს თავსა! შე წყეულო, შენა! — მის-ძახებდნენ ხოლმე უკანიდგან მომლიმარე დედაკაცები.

მერე მიეპარებოდა სხვებსა და ახლა კაჭკაჭის ხმით და-იწყებდა ჭიყჭიყსა...

— ქაი ამბავი, კაჭკაჭო, კაი ამბავი... ოქროს ნისკარტი, შენ პირს შაქარიო! მოისმოდა ხმა. მაგრამ ამ ხმას მაშინვე

ქატოს ხარხარი მოჰყვებოდა და ამათშიაც გაჩნდებოდა სიცილი და „უი, ქალო!“-ს ძახილი.

შემდეგ მივიდოდა ქატო და აიტუზებოდა რომელისამე გლეხის კარებთან... უცებ გააბამდა ბოხს ხმაზე ყეფას, შემდეგ აურევდა ერთმანეთში ქოფაკის ძაღლებისა და ლეკვების ხმაზე ყეფას.

— ე ვისი ოხერ-ტიალები შეგროვილან აქა...—მოისმოდა სახლიდგან გაჯავრებულის გლეხის ხმა და ცოტა ხანს უკან გაღებული კარებიდგან გამოჩნდებოდა კეტ-მოღერებული...

— ერთი პური გვასეხეთო!...—წყნარად და დინჯად ეტყოდა იმას ქატო...

— აი შე გომბიო, შენა!... შე წყეულო, შენა!... სიცილით წარმოსთქვამდა გლეხი და შებრუნდებოდა შინ პურის გამოსატანად... გამოიტანდა და სადღაა ქატო!...

— აი, დასწყევლა ღმერთმა ი გოგოი!... ერთს წუთში ორჯელ არ მომატყუილა ი თითის ტოლა გომბიომ ამ ხელა კაცი, ეე!.. წაიბუტბუტებდა გლეხი და შებრუნდებოდა უკანვე...

ერთს ბებერს დედაკაცს სულ ერთიანად დაახოცვინა ქატომ, რაც რამ მამლები და ყვინჩილები ჰყავდა... ბინდ-ბუნდი რომ შეიქნებოდა, ქატო მიიპარებოდა იმ ბებრის საქათმესთან და დაიძახებდა: „ყიყლიყო“!

ბებერი გაიგონებდა და ელდა ეცემოდა ხოლმე.

— ეგ რომელი ყივის ასე უდროვოდ, ეგ ჩემი ცოდვით სავსეი, ეგა!—კვნესით იტყოდა ბებერი, აანთებდა კვარსა, დაათვალიერებდა მამლებს და რომელს მათგანსაც თავი მაღლა ჰქონდა აღებული, სტაცებდა ხელს, გამოიყვანდა და საჩქაროზე დააკვლევინებდა... მთელი ერთი კვირა შეუჩნდა ასე ქატო ამ ბებრუცუნას და სულ გააჩანაგებინა მამლის სახსენებელი.

რამდენსამე წამს ამ ნაირად მოირბენდა ქატო მთელს თავიანთს პატარა სოფელს და, როდესაც მოიკლავდა თავისს კვიმატობის სურვილს, გატკრციალებული სახით გაიქცეოდა

ხოლმე შინისკენ. შევიდოდა, დაჰგვიდა, დააკრიალებდა სახლს, შემდეგ ან წინდას წამოავლებდა ხელსა და, თავისის დედის ჩვენებით, იწყებდა იმის ნელ-ნელა ქსოვას, ან მოიკეცავდა, დაიდებდა მუხლზე ხარის დიდს თეთრს ბექსა, დაიჭერდა ხელში ინდოურის, ან ბატის კანჭის კალამს და ყაყაჩოს მქრალი მელნით სწერდა მასზედ: „უფალო, ღმერთო, იესო ქრისტე, სწავლა კეთილად მოუვლინე მხევალსა შენსა ქატოსა“.

— ეგ რა ასოა, ქატო, ჰაა!—გაისმოდა ხოლმე დის გვერდზე მჯდომის ჟაჯანას ხმა... ამ დროს ქატო შეაყენებდა კალამს და გულ-მოდგინებით აძლევდა პასუხს თავისს საყვარელს ძმასა.

ნ. ლომაური.

---

## მ ო ს ა ვ ა ლ ი.

(მოთხრობიდგან: „ყოველი მხრიდგან“).

ვავიარეთ ცოტა რამ მანძილი და უცებ მივადექით ერთს პატარა გორაკს, რომელიც ყოველი მხრიდგან დაფარული იყო მწვანე ბალახითა და კარგა მოზრდილ, მაღალ ბუჩქებით. ძირიდგან მოკიდებული წვერომდისინ ამ გორაკს ასდევდა ლამაზად გატკეცილი ვიწრო ბილიკები, რომელიც გველივით მიიხლაკნებოდა ხშირ და მაღალ ბუჩქნარებში და თეთრ ხაზად გამოჩანდა გორაკის ახავერდებულ ფერდობებზედ. ამ ბილიკას დავადექით ორივენი და დაბალი ღიღინით შევუდექით ალმაცრივ დაქანებულს გვერდობსა. მივდიოდით ნელ-ნელა და თან სიამოვნებით ვუცქეროდით მრავალს პაწია ფრინველებს, რომელნიც გუნდ-გუნდად მოჰხვევოდნენ აქაურს ბუჩქებსა, მარდადა ხტოდნენ ერთი ადგილიდგან მეორეზე და ისეთი მხიარული ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, რომ ჩვენ საჩქაროზე შევწყვიტეთ ღიღინი და ბურთი და მოედანი სიმღერისა იმათ დავუთმეთ. სჩანდა, რომ ეს ცქრიალა სულდგმულები ზაფხულის მშვენიერს დილას ალტაცებაში მოეყვანა და ამობრწყინვებულ მზის უთვალავ სხივებს ჭიკჭიკ-გალობით ეგებებოდნენ.

ვტკბებოდით ამ საოცნებო უფასო კონცერტით და თანაც ფეხ აუჩქარებლივ ზევით და ზევით მივდიოდით. ვავიდა ორიოდ-სამიოდ წამიცა და ჩვენმა ვიწრო ბილიკამ უცებ გაგვიყვანა გორაკის პატარა პრტყელ თავზედ, რომელზედაც ორი-სამი კაცის მეტი ვერ დაეტეოდა. როდესაც ამ ადგილზე დავდექი და დასავლეთისკენ გადავიხედე, ალტაცება ველარ შევიმაგრე, სიამოვნებით წამოვიძახე: ღმერთო ჩემო, ეს რა საკვირველებაა!.. ჩემ წინ იყო გადაშლილი თვალ-გადაუწვდენელი ტრიალი მინდორი, რომლის ნაპირებიც შორს, შორს, ლაჟვარდის ცის დასავალსა და ტყით შემოსილ მაღალის მთების კალთებს უერთდებოდნენ. ზედ შუა მინდორზე მარდად გარბოდა პატარა მდინარე, რომლის მოჩქრიალე ანკარა წყალი მზის ნათელ სხივებზედ ელვარებდა. მის ზურმუხტის ფერ ნაპირებიდგან მრავალი პატარ-პატარა ნაკადულები მხიარულად მიწანწკარებდნენ აქეთ-იქით და უხვადა რწყავდნენ მთელის მინდვრის შავსა და ლონიერს ნიადაგს. ამ გარემოებასა და გლეხი-კაცის დაუღალავ მარჯვენას ეს ამოდენა არე-მარე ერთ დიდ, რალაცა საოცნებო წალკოტად გარდაექცია. ყველგან, საითკენაც კი უნდა გაგეხედათ, დაინახავდით ერთგულად შემუშავებულს, სხვა-და-სხვა გვარი მოსავლით სავსე მინდორსა, რომელიც დაყოფილი იყო უთვალავ, სწორე და მოგრძო ოთხკუთხიან უჯრებად—სახნავ-სათეს მიწებად. ამ მიწებში ეთესა პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, დიკა, ასლი, მუხუდო, შვრია, ფეტვი, უგრეხელი და სხვა. რადგან ყველა ეს ჰინახული ერთსა და იმავე დროს არ შემოდის და ამ ჟამადაც არ იყო ერთნაირად გამხმარი, ამის გამო სხვა-და-სხვა ნაირად იყო აჭრელებული, სხვა-და-სხვა ფერად ტურფად ჰყვაოდა მთელი მინდორი!.. იგი წარმოადგენდა ერთ დიდებულს სურათს ადამიანისა და ბუნების ძალთა შეერთებულ მოქმედებისას. შემოსული და სრულიად გამხმარი ქერები ყვითლად გამოჩანდნენ და სიცოცხლე მისწრაფებულნი თითქოს შურით გასცქეროდნენ მათ გვერდზე მწვანით მოლალანე ტან-დაბალ ფეტვსა და ყელ-მოღერებულ, წითელ ქოჩოჩიან სიმინდებსა.

ჭარგა ლაზათიანად შემხმარ ყანებს მოწითალო ფერი დასცემდა და დილის გრილს ნიავზე ზღვასავით ღელავდნენ. ზაჭიკნილი, დიდრონი თავთავები ღეროებს ველარ დაემაგრებინათ და, ღრმად მოხუც ადამიანსავით, წელში მოხრილიყვნენ, ერთმანეთს მძიმედ მისწოლ-მოსწოლოდნენ, თავები დაბლა, დედამიწისაკენ დაეღუნათ და გაბმულის, ნელი შრიალით, თავთავების დინჯი რხევით თითქო რაღაც საიდუმლო ამბებს ეჩურჩულებოდნენ თავიანთ მოამაგე დედას, შავს მიწას. შეთეთრებული დიკა გვერდში კოხტად ამოსდგომოდა სამერმისოდ დამზადებულს დიდრონ ხნულებს, რომელნიც გადაჭიმულიყვნენ შიგა და შიგ ქინახულებში და შავად აფერადებდნენ აყვავებულ ველ-მინდორს. ლამაზი ღუღუნა მტრედები, ჩასუქებული გვრიტები, კაი ვარიის ტოლა ყელ-სახვევიანი ქედნები და სხვა მრავალი ფრინველები გუნდ-გუნდად მოსდევდნენ ამ ხნულებს და უკვე დასაუზმებულნი ერთმანეთს მხიარულად ეთამაშებოდნენ. უზარმაზარი, ას-წლოვანი მუხები მინდორს აქა-იქ ყარაულებივით ჩასდგომოდნენ და თავიანთის ომახიანი ტოტების დინჯი რხევით თითქოს „აქშა, აქშა“-ს უძახოდნენ ყანებზე მისეულ ფრინველების ბრბოთა. მუხების გარემემო წიწილ-კრუხივით გაფანტულიყვნენ პატარ-პატარა მწვანე ბუჩქები, რომლებშიაც უთვალავ პაწაწკინტელა მწერებს მოეყარათ თავი და ჰქონდათ ერთი გაცხარებული ბზუილ-ქრიჭინი. წმინდა, გაკრიალებულს ჰაერში ისარივით დაჰქროდა მარად მხიარული მერცხალი და კოპწია მარდი ტოროლა ზარივით წკრიალა გალობით ლაჟვარდს სივრცეში დაქანაობდა. შოველი მხრიდგან მოისმოდა გოგმანა მწყრების ერთგვარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყუტ-ყუტი, რომლის ძახილით იგინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მაღალ, დაუსრულებელ ცის სივრცეში რომელიღაც მტაცებელი ფრინველი დინჯად დასცურავდა და ამპარტავნულად გადმოსცქეროდა მის ქვეშ გადაშლილ ბუნების უხვსა და მდიდარს სუფრას. ის ნელ-ნელა უვლიდა ჰაერში წრესა და თითქო ყურადღებასაც არ აქცევდა იმას, რაც იმ დიდებულ სუფრაზე ყოვლად შემძლებელ მას-

პინძელს კაცთა სანუგეშოდ და თავის სადიდებლად გამოეფინა. ახ, ნეტავი შენ, ნეტავი შენ, წმინდა ჰაერის და უსაზღვრო ლაჟვარდ სივრცის თავისუფალო მფლობელო! რა კარგი იქნებოდა, რომ ხან-და-ხან ადამიანსაც აგრე შენსავით შეეძლოს დედამიწის მოშორება და თავის ნებაზე ყოფნა-ცხოვრება ურიცხვ ბდღვრიალა ვარსკლავების სიახლოვეს!...

ნ. ლომაური.

---

## მწყრის ბუდე.

(იქიდგანვე).

დავეშვით გორაკის დაღმართზედ, ჩამოვედით ძარს და ნელა ბაასით დავადექით შუა ყანებში დაქნილს ბილიკას. აქეთ-იქიდგან გვიდგნენ მაღალი ყანის კედლები. მძიმე, დაქიცნილი თავთავები თითქმის ფერდებამდისინ გვწვდებოდნენ. ნიავისა და ჩვენი სიარულისაგან ინძრეოდნენ და ისეთი ძალითა გვცემდნენ ხელებსა და გვერდებში, თითქო ჯოხებს გვიტყაპუნებდა ვინმე. უცებ ჩვენ წინიდგან კრუტუნით წამოფრინდა დედა მწყერი, სისუქნისაგან შორს ვერ შესძლო გაფრენა და იქვე ახლო დინჯად ჩაეშვა ყანაში. ამავე წამს ჰაერში გაისმა კარგა შესამჩნევი გრიალი, რომელმაც ორივენი მსწრაფლად აგვახედა მაღლა. ვეებერთელა ძერა, ფრთებშეკუმშული და ბრჭყალებ-დამზადებული, ისარივით მოჰქროდა ზემოდგან პირდაპირ იმ ადგილისკენ, სადაც ასე უდარდელად ჩაეშვა დედა მწყერი.

ანდრია მარდად გადახტა ყანაში, დასჭყივლა მტაცებელს და ღონივრად შემოსტყორცნა სახრე. ფრინველმა გვერდზე მოიბრუნა თავი, სიბრაზით გადმოგვხედა, მერე მძლავრად შემოჰკრა ფრთა ფრთასა და ამპარტავნულის სიდინჯით გასწია ისევ მაღლა-მაღლა. ბიძა-ჩემმა წასდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და ნაღვლიანის ხმით დაიძახა:

— ერთი მოდი აქა, ნახე რა ამბავია-და!

მე საჩქაროზე მივედი მასთან, დავჯექ ყანაში და დავინახე მწყრის ბუდე. ჯერ ისევ გინგლიან ბარტყებს სასაცი-

ლოდ დაეჭყიტათ თავიანთი პაწია თვალები და გაშტერებით გამოიცქირებოდნენ ბუდიდგან, რომელსაც გადაჰფარებოდა დედა მწყერი: ფრთები განივრად გაეშალა და გადაეფაფრებინა ბარტყებისათვის; თავი ძირს დაეღუნა და ისე იყო გარინდებული, თითქო მკვდარიაო. ანდრიამ საჩქაროზე მოარბენინა პირით წყალი, ნელ-ნელა დაასხა მწყერსა და მითხრა:

— ადე, წავიდეთ აქედგან, შიშისაგან არის საწყალი აგრე, ეხლავე მოსულიერდება. ორივენი წამოვდექით, ცოტა მოვშორდით ბუდეს და იქვე ახლო ჩავსხედით ჩუმად. დავუწყეთ ცქერა მწყერსა. მართლაცა-და, ცოტა ხანს უკან მწყერი შეინძრა, თავი მიიბრუნ-მოიბრუნა და გადმოხტა ბუდიდგან. დადგა ბუდის გვერდზე და დაუწყო თავისს ბარტყებს ცქერა, თითქო უნდოდა შეეტყო, იმ წყეულმა მტერმა ხომ არავინ მომტაცაო... მერე მხიარულად დაიკრუტუნა და მოხდენილის, ჩქარის გოგმანით ბუდეს რამდენჯერმე შემოურბინა. ამ დროს იქვე ახლო ყანიდგან მამალი მწყერიც გამოძვრა; ამანაც მზურნველობით გადაჰხედა ბუდეს და შემდეგ გოგმანით მიირბინა დედა-მწყერთან; თავისი თავი იმის თავს მიადო და მარდად გაურბინა გვერდზედ, მალე უკანვე შემოტრიალდა, აიღო თავი მაღლა და ამაყად გასძახა: ქვიჰთ-ყვირო, ქვიჰთ-ყვირო, ქვიჰთ-ყვირო!

ნ. ლომაური.

---

## მ ო გ ო ნ ე ბ ა.

(ყმაწვილის ცხოვრებიდან).

კვირა დილით ძილში სტვენა შემომესმა. საჩქაროთ ლოგინიდგან წამოვხტი და პერანგა გარეთ გამოვვარდი. მეც გავუსტვინე. ერთი კიდევ გამოუსტვინეს და შემდეგ სტვენა აღარ გაუმეორებიათ. მე შინ შევბრუნდი ტანისამოსის ჩასაცმელად.

მე, სოსომ, შაქრომ და გიგლამ სამწყეროდ წასვლის პირობა შევკარით. დედა ჩემი, როცა კი გაიგებდა, რომ მინდორში წასვლას ვაპირებ, გვერდიდან აღარ მიშორებდა და სულ იმას ცდილობდა, როგორმე შინ დავეჭირე. აი, ამის-

თვის, დასაძახებელ ნიშნად სტვენა გვქონდა. დედა ამას ვერ მიხვდებოდა ხოლმე და მეც თავისუფლად გავდიოდი სოფლის გარედ, სადაც ჩემი ამხანაგები მიცდიდნენ......

შუადღემ მოატანა. გაცხარებულები ვმწყერაობდით. პიჟინითა და სხალტების ქნევით ერთის ნამკლიდგან მეორეში გადავრბოდით. თავპირზედ წურწურით ოფლი ჩამოგვდიოდა. ჩვენ მაინც რაღაც სასიამოვნო სურვილი გვიზიდავდა და ძალას გვაძლევდა. თუმცა კარგა ხანმა გაიარა, რაც ვმწყერაობდით, და ყველას რამდენიმე მოკლული მწყერი, კაი მონადირეებსავით, ქამრებზედ გვქონდა ჩამოკიდებული; მაგრამ არც ერთ ჩვენგანს მაინც დასვენებაზედ ხმა არ ამოგვიღია, და თითქმის დაღლილობაც არ გვიგრძნია.

სიცხის გულზედ მწყერი ბუზივით ამოდიოდა. ხანდისხან ცხვირ-წინ აგვივლიდა. ვინც-კი მოასწრებდა, მაშინვე უკან სხალტს გააყოლებდა, და მწყერიც სხალტთან ერთად ძირს ვარდებოდა ან ფრთა მოვარდნილი, ან თავ-მოგლეჯილი, ან კიდევ, როცა სხალტი მარჯვედ და მაგრად მოჰხვდებოდა, ზედ შუაზედ გაგლეჯილი.

რა სიამოვნებით გვიხტოდა გული, როცა მკვდარი მწყერი ძირს ჩამოვარდებოდა, და რანაირი სიხარულით მივრბოდით მწყრის ასაღებად! რა თავმომწონედ დავანახვებდით ხოლმე ერთმანეთს ჩვენგნით მოკლულს მწყერს!.

რაც უფრო ბევრსა ვხოცდით, მით უფრო გვიცხოველდებოდა მწყერაობის სურვილი, მით უფრო გვეხალისებოდა მწყერაობა და ძალაც გვემატებოდა.

— ნახე, ნახე!.. ვუძახდით გიშერას, როცა მწყერი აღარ ამოდიოდა.

გიშერაც გამალებული დაეძებდა, ხანდისხან შესდგებოდა და ერთს ადგილს დიდხან კუდის ქნევით უცქეროდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მწყრის სუნი აიღო და ახლა მწყერს ეძებს. ჩვენც გარს შემოვერტყმოდით და გულის ფანცქალით ველოდდით მწყრის ამოფრენას.

გიშერა ხშირად უფრო გვატყუებდა და მწყრის მაგივ-

რად თავეის სოროებს ეძებდა. ზანგებ-კი არ ჩადიოდა ამას, არა,—თითონაც სცდებოდა, რადგან მწყრის სუნსა და თავის სუნს ერთმანეთში ვერ არჩევდა.

ერთ ნამცლის თავში ბიშერამ კიდევ მოგვატყუა. ჩვენ გვეგონა, მწყერს დააცქერდაო, და თავემა კი ფეხებში გაგვირბინა.

— აი, შე ოხერო, შენა!—სიცილით დავძახეთ ყველამ.

— ვა-ვა, ვა-ვა! ქვით-კირი, ქვით-კირი!—მოისმა ამ დროს ნამცლის ბოლოდგან მწყრის ძახილი.

— არიქათ, ბიჭებო, წავიდეთ იქით! დედა-მწყრის ხმაა. რა ნაირ მჯახედ იძახის!—ვიძახრა სოსომ და გაიქცა ნამცლის ბოლოსკენ.

ჩვენც მაშინვე უკან გავყევით. ბიშერას ერთი ალიაქოთი შევუყენეთ: „ნახე, ბიშერ, ნახე!“ და „ჰაი-ჰაა, ჰაიჰაა“-ს ძახილს ერთმანეთს აღარ ვაცლიდით. საწყალი ბიშერა ხან ერთს შემოგვხედავდა და ხან მეორეს, არ იცოდა, საით წასულიყო და ან როგორ დაეწყო ძებნა.

ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო მწყრის კვალსა და გაცხარებულმა დაუწყო ძებნა... აგერ, ბიშერა შედგა, აიღო კუდი მაღლა, ყურები დაცქვიტა, თვალები დიდათ დააჭყიტა და თავი წინ წაიღო! ჩვენ სულ გავინაბეთ და გარს შემოვერტყით. ჩამოვარდა სიჩუმე. ბულმა აჰქარებით დაგვიწყო ფანცქალი... სუნთქვა შევაყენეთ. .

ბიშერამ სახე შეიჭმუხნა, უეცრად გადახტა და წინა ტოტები მიწას მაგრად დაარტყა... მოგვესმა რაღაც წრიპინი. ბიშერამ თავი მაღლა აიღო და იმის პირში დავინახეთ საცოდავად გამოცქერალი დედა-მწყერი. რა ნაირი სიბრალული აღმძვრა!.. ჩემ დღეში არ დამავიწყდება იმისი ცრემლმორეული თვალები!..

— „რა გინდათ ჩემგან, რა დაგიშავეთ, რათ მისპობთ სიცოცხლეს და შვილებს ობლად რათ მიტოვებთ?! თუ თქვენ გინდათ სიცოცხლე, მეც მინდა ვიცოცხლო!“—თითქოს გვეუბნებოდა საბრალო მწყერი ამ საყვედურით სავსე სიტყვებს.

ბიგლა მაშინვე მიჰვარდა ბიშერას და მომაკვდავი მწყერი პირიდგან წაჰგლიჯა. საწყლისთვის ბიშერას კბილი შიგ გულში ჩაეყარა!

ბიგლას დიდხანს ეჭირა ხელში და გაშტერებით დასცქეროდა. ჩვენც გარს შემოვეხვიენით და გაჩუმებულები შევცქეროდით მწყერს. ყველას ნაღვლიანი სახე გვქონდა, ყველას გულზედ ლოდივით რაღაც დაგვაწვა

მწყერი-კი ძლივს-ღა სუნთქავდა. თავისს პატარა წაბლისფერ თვალებს ძალას ატანდა, თვალის ქუთუთოებს რაც შეეძლო სჭიმავდა, ეტყობოდა, თვალთ-უბნელდებოდა და ბუნდად-ღა ჰხედავდა.

— სანდრო, წავიდეთ ჩქარა შინ,— შემომხედა თვალცრემლიანმა ბიგლამ და მითხრა:— დედა შენს კარგი მალამო ექნება, იქნება მორჩეს!

— რას ამბობ, ბიჭო, ეს ეხლავ მოკვდება,—ვუპასუხე მე.

ბიგლამ ერთი კიდევ დაჰხედა მწყერს.

— აჰა, დაიჭი!...—მომაწოდა მწყერი და ქვითინი ამოუშო.

— თავი მაინც მოჰგლიჯეთ, ნუ სტანჯავთ!—ტირილით გვეუბნებოდა ბიგლა.

თავის მოგლეჯა ვერავინ გავბედეთ. მწყერმა უკანასკნელად გადაატრიალ-გადმოატრიალა თვალის კაკლები, დაგვათვალიერა ყველანი, თითქოს გვემშვიდობებაო, და სამუდამოთ დახუჭა თვალები.

— ეს ვერანა, ესა!..—ტირილით ჯავრობდა ბიგლა ბიშერაზე,—გულში რომ არ ეკბინა, არ იქნებოდა?!.

ბიშერამაც იგრძნო თავისი დანაშაულობა და საცოდავად მოიბუზა.

ჩვენ ყველამ გადავწყვიტეთ მწყრის დამარხვა,—გავთხარეთ ღრმად მიწა და მწყერი ჩავფალით, ზედაც ნიშნად დიდი ქვა დავადეთ.

დაღონებული წამოვედით შინ. ბიგლამ თავისი მოკლული მწყრები ჩვენ მოგვცა.

— მე არ მინდა!—გვიპასუხა ბიგლამ, როდესაც ჩვენ ვკითხეთ: „შენ კი არ გინდაო?“

ამ სურათმა ბიგლაზე ისე იმოქმედა, რომ მერე ქიან-ქველასაც-კი არ დაადგამდა ფეხს. „მგეც სულდგმულიაო,“— იტყოდა ხოლმე. სახლში რომ ეხვეწნონ, ქათამს ვერ დააკვლევინებენ, თუმცა-კი ის ეხლა წვერ-ულვაშით არის შემოსილი.

შიო დედაბრიშვილი.

---

## ჩვენი კაკლის ხე.

რა არი იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია!
რუსთველი.

ჩვენის ვენახის თავში უშველებელი კაკალი სდგას. მის განიერ ტოტებს უჭირავს თითქმის ვენახის მეოთხედი, რომელიც მუდამ ჟამს მოკლე, მწვანე ხავერდის მაგვარის ბალახით არის მოფენილი. ხან-და-ხან, როცა მორწყვის ჯერი შეხვდება ჩვენს მებაღეს, ლამაზი, ანკარა რუც ჩამოურბის ამ ჩვენს საყვარელს განცხრომის ალაგს ზაფხულში. და მართლაც ძრიელ გვიყვარდა ეს მშვენიერი, ახოვანი, მეფურად მდიდრად შემოსილი, ნოყიერ ნაყოფ-მოსხმული და განუწყვეტლივ ნიავქარის მომცემი ზაფხულის პაპანაქებაში მშვენიერი მცენარე. დიაღ, ძრიელ, ძრიელ გვიყვარდა ყველას ეს ჩვენი დიდი კაკლის ხე!

მის ქვეშ მუდამ ხალიჩა-ფარდაგი იყო გაშლილი, ზედ მუთაქები ეყარა და ჩემი უმცროსნი და-ძმანი ზედ ყირამალა გადადიოდნენ; იქვე დედა ჩემი ხელსაქმეს აკეთებდა და თან თვალ-ყურს ადევნებდა პატარეებს, რომ კისერი არ მოეტეხნათ; მახლობლად ჩემი უფროსი და წიგნსა კითხულობდა; მე განუყრელად ვჩორკნიდი და ვაწყობდი პატარა ბორბალს რუზედ ასატრიალებლად და, თუ ავატრიალებდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ ასე წყნარად და განცხრომით ვისხედით კაკლის ქვეშ მხოლოდ მარიამობის თვის ნახევრამდე, მანამ კაკალს ჯერ გული არა ჰქონდა; და მას შემდეგ კი, როცა კაკალს

გული, „დაუპურდებოდა“, მშვიდობით მოსვენებავ! გაიმართებოდა ერთი ალიაქოთი და ჰოლოკების სროლა კაკლის დასაყრევინებლად. Dიდი და პატარა ყველა ვარჯიშობდა, რომ თავის საყვარელ კაკლისთვის თავში ჰოლოკინი ეთხლიშნა. ჩამოდიოდა მშვენიერი ფოთოლი, ემტვრეოდა ძვირფასი ტოტები ჩვენს საყვარელს კაკალს; მაგრამ ამას ვინლა უგდებდა ყურს. ჩვენ მხოლოდ რძით სავსე, გემრიელი კაკლის გულიდა გვიზიდავდა და ვინც ვის მიასწრებდა, ვინც მეტს დააყრევინებდა კაკალს, გამარჯვებულიც ის იყო. ძვირა უქმით მამაც მოგვეშველებოდა ხოლმე ჩვენის საყვარლის გაცარცვაში: გვიბერტყავდა, გვიკუჭავდა.

— „ხელები დაგიშავდებათ, დაგისკდებათ ნაჰის სიმწარით“, გვიყვიროდა დედა, მაგრამ ვინ დასდევდა ხელებს!

— Ტანისამოსი ლაქით აგევსებათ, წენგოს რაღა ამოიყვანს, თქვე წყეულებო, თქვენა!—გამოგვეკიდებოდა ჩვენი გადია, მაგრამ რას დაგვიჭერდა? Უშმაკებივით დავტრიალებდით მწვანეზედ ჩამოყრილ კაკალს და თან პირს ვიტენდით გემრიელის ნიგვზით.

Მხოლოდ საღამოობით მოაკრიალებდნენ ფოთლებით მოდებულ კაკლის ძირს, გამართავდნენ მის ქვეშ სტოლს, დასდგამდნენ ზედ სამოვარს და ჩვენც დავშოშმინდებოდით. Სამოვარი დიდად გვიყვარდა, შემოვუსხდებოდით გარს და შევექცეოდით ჩაის. Გარშემო სრული სიჩუმე იყო, მხოლოდ კაკლის ფოთლების ნელი შრიალი ბანს აძლევდა სამოვრის შიშინს. Xან-და-ხან პატარა რუც ჩაერეოდა ხოლმე ამ კონცერტში და ჩვენ, დაღალულნი, გაყუჩებულნი ვისმენდით და ვისმენდით ამ ტკბილს ნანას და ბევრჯელ ჩაგვეძინებოდა ხოლმე კიდეც პატარებს.

Მაგრამ ჩვენი კაკალი მე მომეტებულად მაშინ მომწონდა, მაშინ შევცქეროდი გაკვირვებით, როდესაც დიდი ქარი ჰქროდა, როდესაც ქარიშხალი აბორგებდა, აშფოთებდა, აბრძოლებდა ამ უიმისოდ ხეების წყნარს და ამაყს მეფეს. Მაშინ იმისი მძლავრი ტოტები ზღვის ტალღებისგან მოქანავე

ხომალდს ემსგავსებოდა, მასავით გადადიოდ-გადმოდიოდა, შუოდა, ხმაურობდა, ერთმანეთს ეხლებოდა, ებრძოდა და იმტვრეოდა. მე იმ დროს, წახვეული თბილად რაშიმე, ამოვეკვროდი მის მძლავრს, განიერ ფესოს და ვისმენდი დაუსრულებლივ ამ შფოთისგან გამოხმობილს ჰანგებს.

დიაღ, ჩვენი კაკალი მე ძრიელ მიყვარდა; მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად შემიცვალა აზრი დ გრძნობა ჩვენს კაკალზედ. რასაკვირველია, იმას არ მოჰკლებია თავისი ჩვეულებრივი მიმზიდველობა, ისევ უწინდელებრივ დიდი და მშვენიერია, ისევ მეფურად, ამაყად არის აზიდული და ახოვანის ტოტებით და ხშირის ფოთლით იკავებს ზაფხულში მზის მწვავ სხივებს და ტკბილად უჩრდილებს და ულუკლუკებს მის ქვეშ გაშლილ ჩვენს სახლობას; მაგრამ მაინც მე აღარ მიყვარს, ისე აღარ ვენდობი, ისეთ მეგობრობას აღარ ვუწევ.

როცა იმის ქვეშ მომჩქეფარე პატარა რუს პირას ვზივარ, ბორბლის კეთების მაგივრად ვიგონებ იმ საშინელს შემთხვევას, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად მოჰხდა ჩვენის „საყვარლის“ ბერტყაზე და შიში იბუდებს გულში, უნდობლობა მებადე იმისადმი, იმისი გულ-წრფელობა აღარა მჯერა!

საწყალი შანო ვერხვიშვილი! რა ბიჭი იყო! რა მალხაზი, რა სიცოცხლით და სიმამაცით სავსე და დღეს კი ამ კაკლის მოწყალებით დამახინჯებული და გასულელებულია! შანოს დანახვაზედ ცრემლები მომდის თვალებში და ჩვენი კაკალი კი მეზიზღება, კაცი-ჭამია მგონია.

ენკენისთვის ნახევარი იყო. დედამ ბავშვები საგანგებოდ წამოგვიყვანა ქალაქიდგან, კაკლის ბერტყვას დაესწარითო. მოღრუბლული, ნისლიანი დღე იყო, სიო არ იძროდა, მზე ათასში ერთხელ გამოიჭყიტებოდა ხოლმე ღრუბლებიდან. ჩვენ კაკლის ქვეშ შევიკრიბენით და მოუსვენრად ველოდებოდით ბერტყვას. აი შანოც მოვიდა. მოკლე ახალუხი ეცვა, განიერი შარვალი შავ პაიჭებში ჰქონდა ჩაკეცილი, თავზედ წითელი ხელსახოცი წაეკრა, ხელში უშველებელი კაკლის საბერტყი ხალა ეჭირა და თავის მამაცურის, მოღიმარის შეხე-

დულობით, ყავარჯენით ხელში, მშვენიერ სურათს წარმოადგენდა.

— შვილო ვანო, ფთხილად იყავ, თუ ღმერთი გწამს, ფეხი არ წაგისხლტეს და ცოდვა არ დაგვიტრიალო!—ალერსით უთხრა დედა ჩემმა და თან ცას შეჰხედა, ჰაერი ხომ არ იცვლებაო.

— ნუ გეშინიან, ქალბატონო! პირველად ხომ არ ავდივარ ხეზე,ამ ერთ კვირეში აგერ ოცი ძირი დამიბერტყია. ისეთ-ისეთი ტომრები გავტენე ჩემი მეოთხედით, *) რომ თითოს თითო თუმნად არ მივცემ. ამ სიტყვებთან ვანომ ხალა კაკალს მიაყუდა, ფეხშიშველა ფეხებიდან მტვერი მოიწმინდა, პირჯვარი გადიწერა და მაიმუნივით მარჯვედ აცოცდა ხეზედ.

ჯერ ქვემოთა ტოტებზედ გავიდა და მძლავრად დაუშინა გრძელი ხალა წინადვე ჩვენგან ნახევარზედ დაბერტყილ ტოტებს, მერე შუა ხეზედ გავიდა და ერთს საათს შემდეგ უზარმაზარ ხეს წვეროკინოზედ მოექცა. ჩვენ გაქანებული ვკრეფავდით დაკროლილს კაკლებს, ერთმანეთს ვაწყდებოდით, ვეცემოდით და გულიანად ვხარხარებდით. ამასობაში ვერც-კი შევნიშეთ, რომ ცოტაოდნათ წამოჟინჟლა, ზედ დატანებაზედ პატარა ნიავიც დაიძრა. დედა ჩემი საშინლად აღელვდა და ეხვეწებოდა ვანოს ჩამოსვლას, რადგან დასველებული შტოები საშიში იყო მბერტყავისთვის და ქარიც თან-და-თან ძლიერდებოდა.

— ჩამო, შვილო, ჩამო! მე შენი ყურება აღარ შემიძლიან, შიშით გული მიწუხდება... დანარჩენი კვლავ დაიბერტყოს, არ წახდება!

— ერთი-ორი ხელის მოქნევა დამჰირდება და კიდეც გავათავებ, —მხიარულად ჩამოიძახა ვანომ და ხალის ქნევა მოუხშირა. კაკალმა უფრო ბლომად იწყო ცვენა და ჩვენ უფრო მოვუმატეთ ჰყივილს და წაკვრა წატანას; გარშემო ჩვენის ხმაუ-

---

*) კაკლის მბერტყავს მეოთხედ კაკალს აძლევენ გასამრჯელოში.

რობით ყურთა სმენა აღარ იყო. უცებ გაისმა საშინელი ხმა: „ვაიმე, დედავ“! და ეს ვაიმე დედავ ისეთი საზარელი და გულის საკლავი გოდება იყო, რომ თავის დღეში აღარ გაშორდება ჩემს ყურებს! ერთ წამზედ მამაკვდინავი მდუმარება ჩამოვარდა და თვალის დახამხამებამდე ჩვენ წინ დედამიწაზედ მაღლიდგან ჩამოვარდნილი ვანო გაინართხა.

ეკ. გაბაშვილისა.

---

## მონადირე.

### I

მზე ჩავიდა კიდეც, როცა ბეჟანამ (გურულმა გლეხმა) ტყეში შეყო თავი. დაბურულ ტყეს, საცა ამ დროს ფოთოლიც არ ინძრეოდა, რაღაც საიდუმლო სახით ედებოდა ღამის სიბნელე. უჩვეველ ადამიანს, რა თქმა უნდა, ეს დაბურვილის ტყის მდუმარება და სიბნელე შეაშინებდა. მაგრამ ბეჟანას რაღაც ნეტარებით აუტოკდა გული, როცა ტყის ჰაერი მოხვდა პირზე. მისთვის ამ დაბურვილი ტყის მდუმარებაში მთელი პოეზია იხატებოდა; მისი ლაზათიანად მოყვანილი ტანი, მსხვილ-მსხვილი წარბები, მრისხანე თვალები და გაბურძგვნილი შავი წვერი რაღაც გარმონიულად ეთანხმებოდა ზემოაწერილს ბუნებას. სიბნელე უფრო-და-უფრო წვებოდა ტყეში და საშიშარი შეხედულობა ედებოდა არე-მარეს. მაგრამ ბეჟანი კი ისე უშიშრად და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა, თითქო შუადღისას კარგად ნაცნობ გზა-ტკეცილზე მიდისო. ის აგრე ორმოც-და-ხუთი წლის კაცი იყო და, რაც თავი ახსოვს, იშვიათად ყოფილა თვე, რომ სამი-ოთხი დღე მაინც სანადიროთ, ან „სამზირს“ არ გაეტარებიოს ტყეში. ტყე მისთვის სატრფო იყო, სატრფო, რომლის ნახვა მით უფრო სასიამოვნოა მიჯნურისთვის, რაც უფრო შორს არის ადამიანის თვალიდან, რაც უფრო მის გარშემო მიდამო მყუდროებით არის მოცული. ტყისა და ნადირობის შესახებ ბეჟანას ბევრი ზღაპრები და მოთხრობები ჰქონდა გაგონილი, რომლის გავლენით ტყე მის თვალში სულიერი არსება იყო. ფანატიკოსს ბეჟანას იჭვიც არ შეჰქონდა ზღაპრებში მოთხრობილი ამბების სინამდ-

ვილეზე. მართალია, ბოლო დროს ბექანა ძლიერ ჩიოდა ნადირის გადასვლაზე. მეტადრე გულს უთუთქავდა ბექანს ის გარემოება, რომ იმ ტყეებში, სადაც მას ფეხი მიუწვდებოდა, ირემი სრულიად მოისპო. ეს მოვლენა—ნადირის შემცირება და ირმის მოსპობა—ბექანას ფიქრით, რკინის გზის ბრალი იყო, ამიტომაც ძლიერ ეჯავრებოდა ეს ცივილიზაციის ნაყოფი რკინის გზა, რომელიც ახლო იყო ბექანის სატრფიალო ტყესთან. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ძლიერ აჯავრებდა ბექანას: ტყე, რომელიც ბატონ-ყმობის დროს თითქმის სოფლის საკუთრებას შეადგენდა, და იქ ნადირობას და ხეტყის მოჭრას ვერავინ დაუშლიდა, რამდენმამე კაცმა—თავადაზნაურმა—დაისაკუთრა ეს ტყე დ უბაჟოდ გარეშე პირს აღარ შეეძლო გაჭაჭანება. ამ გარემოებამ ისე გააჯავრა ბექანა, რომ ნადირობაზედ ხელის აღებასაც კი აპირებდა. ერთ წელიწადს მიატოვა კიდეც თავისი საყვარელი ხელობა. მაგრამ მეტი კი ვეღარ შეიძლო, ისევ მოენატრა თავისი სატრფო—ტყე, აიღო ნება ერთი თავადისაგან და მიჰყო ხელი ხელ-ახლავ ნადირობას. უნდა შევნიშნოთ, იმ თავადს გარდა, რომელმაც ბექანას ნადირობის ნება მისცა, სხვა კიდევ ბევრი პატრონი ჰყავდა, რომლებიც ემუქრებოდენ ბექანს—ნუ ნადირობ ჩვენს ტყეში, თვარა ჯარიმას გადაგახდევინებთო. ამიტომაც ბოლოდროს ბექანა ადრინდულად ხშირ-ხშირად აღარ დადიოდა ტყეში; როცა წავიდოდა, ცდილობდა არავის ენახა.

ტყე ბნელეთად იყო ქცეული, როცა ბექანა მივიდა ერთი უზარ-მაზარი მუხის ძირში, რამდენსამე ადგილას დაიხარა და გაუჩერა მიწას თავისი გამჭრიახი თვალები, რომლებიც ბნელოშიაც საკმაოდ კარგად არჩევდა საგანს. როცა დარწმუნდა, რომ „წუხელ ლორი ყოფილა რკოზეო“, გავიდა მუხაზე, ამოირჩია ისეთი ტოტი, რომელზედაც მოხერხებულად შეეძლო ჯდომა და დარაჯობა და დაჯდა ზედ. უველი და მჭადი კი, რომ ნადირს სუნი არ მოხვედროდა და არ დამფთხალიყო, შეახვია მუხის ფოთლებით და ჩადო ერთი დიდი ტოტის ლაჯში. იჯდა ბექანა თოფ-მომარჯვებული და სმენად გადაქცეული. ბა-

ვიდა ხანი და ტყის მდუმარეობა დაარღვია ტურების უსიამოვნო ჩხავილმა. როცა ტურების ჩხავილი შეწყდა, და ტყე ეს ეს არის დადუმდებაო, გეგონებოდა,—გაისმა ტყის არე-მარეში გულის შემზარი, გაგრძელებული ზუილი მგლებისა. კარგა ხანს გაისმოდა, გლოვის ზარივით, მდუმარე ტყის სივრცეში ეს საზარელი ხმა. ბოლოს ისიც დადუმდა. უკანასკნელ იქვე, ბექანას გვერდთან, წაიჩხუბენ კვერნები, რამდენსამე წამს ჰაჭყანებდენ, თითქოს კბილებით ყელს ღადრავდენ ერთმანეთსო. მაგრამ უკანასკნელი ხმაურობაც ჩქარა გაჰქრა ჰაერში და მთელი არე მარე ისევ დაინთქა ბნელით მოცულ მდუმარეობაში. ბექანა იჯდა ტოტზე გაუნძრევლათ. ის მხოლოთ ხან-და ხან შეხედავდა ცას, რომ შეეტყო ვარსკვლავზე, რამდენი გავიდა ღამის და რამდენი დარჩა კიდევო. როგორც ტყეში მოსიარულე, ის თითქმის შეუცთომლად ატყობდა ვარსკვლავების მსვლელობაზე დროსა და მხარეებს, იცოდა აგრეთვე ორი-სამი დღით ადრე წინასწარმეტყველობა დარ-ავდრის შესახებ და იშვიათადაც გაწბილდებოდა მისი წინასწარმეტყველობა ამ საგანზე; დაცდილი ჰქონდა წლის დროებიც და წინდაწინვე ამბობდა: „წრეულს გვალვიანი ზაფხული იქნება“, „ზამთარი ადრე დეიწყება“, „ჰყიფორიანი გაზაფხული იქნებაო“ და სხვა. მართალია, ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება ხშირად ტყუილი გამოდგებოდა, მაგრამ ხან-და-ხან კი გამართლებულა.

შუაღამისას მუხის ქვეშ გაისმა ფაჩა ფუჩი. ბექანამ აცქვიტა ყურები, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ მუხას ქვეშ დადიოდა ტურა, რომლის გულისთვის ის ახლა თოფს არ დაცლიდა. მაგრამ ტურის ნახვა კი ესიამოვნა ბექანას, რადგანაც კარგ ნიშნად ჰქონდა „დაცდილი“. როგორც ცრუ მორწმუნე, ბექანა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ასეთ „დაცდას“: სკვიჩნას (ფრინველია) ძახილი, ყურის წივილი, ტურის ნახვა და სხვა ამ გვარები, ბექანას ფიქრით, უეჭველად რისამე მომასწავებელი ნიშანი იყო ადამიანისთვის. ძლიერ ეშინოდა კიდე ბექანას „დაყალბების“, რომელიც ბექანას და ყველა იქაური მონადირეების ფიქრით, მდგომარეობს შემდეგში: რო-

ცა ორი ან მეტი ამხანაგი ჯერ ერთად ნადირობს და შემდეგ გაიყოფება, შესაძლებელია რომელიმე მათგანმა რაღაც საიდუმლო ზე-გავლენით ნაამხანაგარი „დააყალბოს“. Dაყალბებულის ტყვია ნადირს აღარ მოხვდებოდა. Tუ მაინც და მაინც მოხვდა, ვერ მოქმედებდა, უმნიშვნელოთ ძირს ვარდებოდა. Dაყალბებულს არ შეუძლია დაჭრილი ნადირის სისხლი დაინახოს და სხვა. Eრთი სიტყვით, სანამ „ყალბს არ აიხსნის“, მისი ნადირობა გაფუჭებულია. Yალბი ამ ნაირად უნდა აიხსნას: ნაამხანაგევები ერთს დღეს ხელახლავ ერთად წავლენ სანადიროთ. Rასაც იმ დღეს იშოვნიან, ისე გაიყოფენ, რომ არავის არ ეწყინოს რა; საღამოს ერთმანეთს ამოლოცვენ და გათავდა—„ყალბი ახსნილია“.

Bავიდა შუა-ღამის შემდეგ რამდენიმე საათი და ნადირის ჭაჭანება არსად ჩნდა. Bექანა დაღონდა: ნუ თუ ის ხელ-ცარიელი უნდა წასულიყო შინ? „იი დასაქცეველი! რომ აღარ არის ნადირი, იგია! ორი ბუსუნაკი ღორი აგდია ამ სიდიდე ტყეში, იგი რომელ მუხას ქვეშ შევა, აბა რას მიხვდები!“ Aმ ფიქრში იყო Bექანა, რომ მისმა მახვილმა ყურებმა გაიგონა შორს რაღაც ხმაურობა. Bექანამ გატყვირა სული. Rამდენსამე წამს შემდეგ მუხას ქვეშ შევიდა ერთი გროვა ღორი, რომელსაც მედიდურად მოუძღვებოდა წინ ზორბა ტახი და ხან-და-ხან დინჯად ღრუტუნობდა, თითქოს, როგორც მეთაური, რაღაც დარიგებას აძლევს უმცროსებსა. Bექანამ ნელა ჩამოაპარა თოფი მუხის ტოტებში და დაუმიზნა მეთაურს; არ გასულა წუთი, რომ მდუმარე ტყე გაალვიძა თოფის ხმამ, რომელიც კარგა ხანს მიდიოდა ხუილ-ხუილით სადღაც შორს-შორს. Bექანა სრულიად დაიმედებული, რომ მისი „ყირიმი“ მიზანს არ აცდებოდა, ნელ-ნელა დაეშვა მუხიდან, რომ აექნა მისგან მოკლული ღორი.

Mეორე დღეს, დილაადრიან, ხორცით დატვირთული Bექანა მხიარული სახით მივიდა ცოლ-შვილთან. Bექანას ბავშვები ალტაცებით შემოეხვიენ ზორბა ტახის თავს, რომელსაც აქეთ-იქით თეთრათ უელვარებდა ეშვები. Bექანას მეუღლე,

ილიტეც ბავშივით გამხიარულდა და ისე უყურებდა ქმარს, თითქოს უნდა უთხრას: მოდი დაგიკოცნო ის ულამაზო, მაგრამ ვაჟკაცური სახე. მართალია, ბექანას სახლში ნადირის ხორცი იშვიათი არ იყო, ნედლი თუ შაშხი წლიდან-წლამდე არ გამოილეოდა, მაგრამ ასეთი სამაგალითო დიდი ტახის მოკვლა ამ ნადირთა სიძვირის დროს მაინც კი დიდი სასიხარულო რამ იყო მთელი ოჯახისთვის.

ბექანამ მოიშველია სამი მეზობელი, მოიტანა შინ ხორცი, რომელიც მოტანისთანავე დაანაწილა და თითო კერძი თითქმის ყველა მეზობელს და ახლობელს მიაწვდინა.

მაგრამ ტყის მესაკუთრეებმა უჩივლეს სასამართლოში საწყალს მონადირეს, დიდი ჯარიმა გადაახდევინეს და ჩაუშხამეს სიცოცხლე.

ეგ. ნინოშვილი.

---

## მხნე დიასახლისი.

(მოთხრობიდგან: „ოთარაანთ ქვრივი“).

ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხ-კაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშული ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდგან მოყოლებული ქიის-კარებამდე სიგრძე-სიგანეზე მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ ერთს ოციოდე ნაბიჯზედ უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ ძირ-დაშვებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს იამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორცა ვთქვით, ფიცრულია. მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლიანია, სხვა მხრივ კი ყოველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყველგან დაჩითულია სათოფეებითა: სჩანს, შიშიანობის დროს ყოფილა აშენებული.

ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხ-კუთხივ ღია და ფარღალალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელს ქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ. თავისი ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე. თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

თუ არ გაუგონიაო, ეხლა გაიგონონ, ამბობდა ხოლმე: მითამ მე რითა ვარ ნაკლები იმ დამპალ ბოგიაზედ! თუ იმას ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზე წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცა. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახეს!..

ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ მიაკარებდა. ბოსტანში პატარა რუ იყო გაჭრილი და მუდმივ და განუწყვეტლოდ წყალი ჩამოჩუხჩუხებდა, დიდის სოფლის რუდგან წამოყვანილი. იმ სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ შუაზე სამის წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გვალვა იყო, მაშინ კი წყალს სოფლელნი ერთმანეთსა ჰპარავდნენ, სტაცებდნენ ბოსტნებისა და ნამეტნავად ვენახების სარწყავად. ოთარაანთ ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის მოკლებასა. თუ ვინმე გაჰბედავდა, ვაი იმასა!.. ოთარაანთ ქვრივი მეწისქვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზე თოხსა და აჰყვებოდა რუს თავამდინა. ბლეხები რომ ამ ყოფით დაინახავდნენ ოთარაანთ ქვრივსა, იტყოდნენ:

— წამოვიდა მეხი და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო.

სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა. თარო ჩრდილოს მთლიან კედელზე თავიდგან ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამომწკრივებულია სუფთა ქურჭელი ქაშანურისა.

ოციოდე ქვაბი, ტაფა, ჩამჩა, ქაფქირი, ძალზე დაწმენდილ-დარეცხილი, მხიარულად გადმოიცქირებიან მაღლიდგან,

თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი ასჩენიათ.

ქერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფენილი ჭრელი ფარდაგებითა, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზე თითო ბაცანკალი, ანუ, როგორც ზოგან ეძახიან, სასთუმალი სდგას ხარატით ნაკეთები; კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა, ძველი ნაკეთობაა, იმიტომ რომ წინა-პირზე გამოხარატებულია სხვა-და-სხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამაზისთვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მეორე კუთხეში. ეტყობა, ერთს დროს ლურჯად ყოფილა შეღებილი და ეხლა კი საღებავი გადაჰსვლია. ამ სკივრზედ აკოკოლებულია ქვეშ-საგები, ლურჯი სუზანით თავიდგან ბოლომდე ჩამოფარებული.

ამ სახლის, ანუ, როგორც თვითონ ოთარაანთ ქვრივი ეძახდა, დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით — ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო. არც მოსტყუვდებოდით. ბლეხ-კაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქვრივს ბევრი შეჰნატრებდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარ გუთნეული საქონელი, ორი ფურკამბეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდე დღის სახნავ-სათესი მიწა.

ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატივებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლევოდა. ამბობდნენ. რომ ოთარაანთ ქვრივი, — რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, — სამს საპალნე ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველ წლივ. მისი ღვინო საპალნე შვიდ-რვა და ათ თუმნადაც ბევრჯერ გაყიდულა თურმე. შინაც სახარჯოდ ღვინოს სამყოფზე მეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველ წლივ ჰხნავდა. ხყიდვით იქნებოდა, ალოთი, თუ თავისი გუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.

გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის

ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა ჩანთასავით შეკრულები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას“ ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსა, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგცემსო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსიდას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა“.

თვლა თუმცა აგრე რიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო, და ძალიან იშვიათად მომხდარა ანგარიში აჰრეოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილეოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა.

---

ილია ჭავჭავაძე.

## დედა-შვილობა.

(იქიდგანვე).

იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-და-ერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. ქუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ქექას აძლიერებდა გადამბული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი თვალს

მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მისს პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ ბიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ, როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

პოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს.

ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დონჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო.

ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენია ბიორგიზედ, შეჰვარდნია გული, ბევრს ჩაჰსახვია გულში იმისი სურვილი. ბიორგის კი აინუნშიაც არავინ მოსდიოდა... ტოლამხანაგობას აგრე რიგად არ ეწყობოდა და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ.

მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყავნდა თითქმის.

— ერთი ბიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო, ამბობდნენ გლეხ-კაცები; ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია, დედამიწა უნდა შუა-გულამდე ჩაანგრიოსო. მარტო-ხელი ძნის ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თვითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო.

ბევრს ამისთანაებს ლაპარაკობდნენ ბიორგიზე სოფელში და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა.

— ძალიან ხელ-გამომავალი ბიჭიაო, ამბობდა ხოლმე ამისი დედა; დიდი გამრჯელია, მაგრამ ცხონებულსავით გულღია და გულ-მხიარული არ არისო. ის ცხონებული ისე შექიდებოდა საქმეს, თითქო დროებასა და ლხინშიაო. ეს კი

იმისავით გულ-მოდგინეა, დაუზარებელი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებს,—სულ პირდაღვრემილია და წარბ-შეკრულია.

თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისს დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის. ამის უნებურს თავისს დღეში არ ინდომებდა. თუმცა კარგა მოზრდილი იყო, მაგრამ გიორგი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეეცილა დედასა. გვგონია, პირველობას და უფროსობას არც კი დედა დაუთმობდა, თუმცა შვილი გაგიჟებით უყვარდა. ან რა საჭირო იყო? ვაჟკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივსა.

ამათ დედა-შვილობას ბევრი შეჰნატროდა. დედაც შეჰხაროდა თავ-მოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირა, შვილისათვის ეცოცხლა. „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვინ დავიცემ დანასაო“, იტყოდა ხოლმე თავისს გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დაინახავდა.

ხომ ესე იყო, მაგრამ თავისს დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარდა. შვილსაც კი უმალავდა თავისს გულის ნადებსა. მარტო ეს კი იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავისს დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავისს დღეში ავი სიტყვით არ მოიხსენებდა; თუმცა ხშირად კი სტუქსავდა. შვილი, რომელიც სხვისაგან თავზე ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხ-ქვეშ ჭინჭველსაც არ გაიტარებდა, დედას თავისს დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსა.

— მართალია და იმიტომაო, იტყოდა ხოლმე თავის თავად გიორგი: ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო.

არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა, ღალატი

და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ, თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდა, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა.

მისივე.

---

## ს ა ბ რ ა ლ ო  ი რ ე მ ი.

(მოთხრობიდგან „მლახის ნაამბობი“).

**მე** სწორედ, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ. საკვირველად მიყვარს დაბურულს, ხმა გაკმენდილს ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულის გულის ცემით ლოდინი ნათვალღევის ნადირისა. არის რაღაცა მოუწყენარი სიამოვნება ამ ხალისიანს გართვაში. თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველასა აქვს თანასწორი ნება ამ თვალ-მიუწდომელს ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?.. ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზე კაცმა კაცისა დაანთხიაო; კაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ. ბევრჯელ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან. ბევრჯელ გაუტაცნია ჩემი გონება იმისს ლალს სილამაზეს. გადუწყვია ზურგზე თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყეფს ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ-კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდგანვე ესმის ირმის ფეხის-ცემა ყურ-მახვილს მონადირეს; ესმის და იმისი მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენლობის გამო. აი, მოვიდა თოფის მანძილზედ, ფოთლებსა და ბუჩქებს შუა გამოჩნდა მისი დალონებული, ნაღვლიანი თავი. ძაღლი დაუახლოვდა. იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია აგიქცევს გზასა და მიეცემა საყვარელის

ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებას, მაგრამ არა? დაუსტვენ და მაშინ უნდა ნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა რიგ საოცარ მშვენიერებით მოიღერებს კისერს, რა გაფეთებითა და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებული ნესტოებით სუნის აღებას!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და ამ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი და ამაყიცა, რომ, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვს, სულ ეხლა შემოიკრიფა, რომ სიკეთითა და თავისი სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულ-ჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუვდეს. რაკი იყნოსა, კაცის სუნი აიღო, ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხა იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანას და ბოლოს უკანასკნელად დახუჭა, რომ სამუდამოდ გამოესალმოს; ის ბალახები იყო ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გარდაექცა. უნდა ნახოთ, ის ამაყი, თავისუფალი ნადირი რა რიგად უდრტვინველად და მშვიდად კვდება... მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლ-მორეულს თვალებში ეს აღმომიკითხავს: „ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოსა და მშვიდს. ამ ღვთის მიუწდომელს ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?..“ ეს სიტყვები აღონებდნენ გულს, სანამდის დედამიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა და როცა შეიშრობდა, მეც კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თვითონ სულიერთა მეფენი, ჩვენ თვითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თვითონ ღვთის სახისანი, ერთი ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილს;—რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველ კაცის ნაფეხურს ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია, მაშინვე დამიდინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა კვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდახან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ!..“

მიხევე.

## მღვდლის საუბარი სწავლის საჭიროებაზედ.

(იქიდგანვე).

მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა იმის გარშემო, ზოგი ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაეხუმრებოდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა. ზოგი კიდევ სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო, იმის პირიდგან ოქრო გადმოვარდება და შიშობს, ხელიდამ არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცს, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი! კაცი ის არის და ქუდიც იმასა ჰხურავს. ალბად კაი კაცსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხვევა!.. დედამიწის ზურგს ბევრი არ უტარებია იმისთანა.

სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება. გადავიხარე თავი, რომ დამენახა და გამეგო რამე. წინ ედგა ერთი პატარა ბიჭი თავ-ჩაღუნული.

— ყველა, ყველა და შენ რატომ ჩემთან აღარ დადიხარ? უბრძანა მღვდელმა; მოგწყინდა განა, შე ცუღლუტო, წიგნის კითხვა?

— მე რა ვიცი, უთხრა ბიჭმა; მამა-ჩემი არ მიშვებს. მღვდელი თითქო შეკრთაო, ისე ეწყინა ეს პასუხი.

— რატომ არ გიშვებს?

— მეყოფა, რაც ისწავლეო, — მეუბნება.

— აქ ხომ არ არის მამა-შენი?

— აი, იქითა ზის.

— აბა აქ დაუძახე.

პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა და გაიქცა მამის დასაძახებლად.

— ვერ უყურებთ პეტრეს!.. სთქვა თავის-თავად მღვდელმა და ჩაფიქრდა.

— ეგ არის და!... დაიძახა ვიღამაც: ავი ძაღლი არც თითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ხალხმა გაიცინა, მღვდელსაც ღიმილი მოერია, მაგრამ მარდად შეიკავა სიცილი.

— მამას არ უსწავლია და პაპას, შვილს რად ასწავლის? სთქვა მეორემ; შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისთანა თავხედს შეუჩვევარს ლხინსა.

— „გონიერსა მწრთვნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო“, მაგისთანა კაცზედ არის ნათქვამი, წამოიძახა მესამემ. იქნება კიდევ ბევრი ელაზღანდარათ, რომ თვითონ პეტრე არ მოჰსწრებოდათ.

— ქალო!—უბრძანა მღვდელმა,—მართალია, შენს შვილს შენ უშლი სწავლას?

— მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა? „არა შეჰჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“, შენი ჭირიმე! უპასუხა თამამად პეტრემ.

— როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

— ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლეხ-კაცებს გვეძახიან. დღე და ღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო“; ეს ღვთის ბძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზე და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლსა! როცა დედამიწას მწვანე ხავერდივით ჯეჯილის ყდა დაეკვრება, მაშინ იმაზედ ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებებთ ოფლში გუთანსა, გადავუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიანს გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ და ის დალოცვილი მიწა თავისს დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას „დედაო“; ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირიცა და ლხინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდის

ხელი არ მიგვიწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი!.. ჩვენი თავდაპირველი გულის ტკივილი ეს არის!..

— მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა! გაიხმაურა ხალხმა, რომელიც წუთის წინად ისე თავხედად დასცინოდა პეტრეს.

— რას ბრძანებთ? წამოიძახა ხალხის ხმით გულ-გაკეთებულმა პეტრემ: წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო. ვინ ჩვენ და ვინ წიგნი!.

— მე მესმის, ჰკვიანო პეტრე, შენი გულის ვითარება, უბრძანა დალონებით მღვდელმა; მე მოზიარე ვარ შენის გულის ტკივილისა... შენ გუთანი გირჩევნიან წიგნსა, იმიტომ რომ გუთანი დღეს პურს გაჭმევს.

— მართალი ბრძანებაა, შენი ჭირიმე! მიუგო პეტრემ.

— ახლა შენ ერთი ეს მითხარ: რომ არ გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება, საიდამ გააკეთებდი ბარ-საკვეთს, ცულსა, ხელეჩოსა, რომლითაც გუთნის ხესა სთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანს, რით მოხნავდი მიწასა? რომ არ გცოდნოდა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა, ღრმად ჩაშვება ბარ-საკვეთისა, თუ თხლად, რა გეშველებოდა?

— შენი მტერი იქნებოდა, მე ვიქნებოდი?

— საიდამ იცი ეს ყველაფერი?

— როგორ თუ საიდამ? მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მქონია—მინახავს, ყური მქონია — მსმენია, გულის-ყური მქონია—მივხვედრილვარ, ხსოვნა მქონია—გონებაში ჩამრჩენია.

— რაც გინახავს, გსმენია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია,—ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქოს არ იცის, რა სთქვასო, მერე კი ისე, ქოჭმანობით წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, რას ვეძახი!

— მაინც?

— ჩემ გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემ ცოდნასა, შენი ჭირიმე!

— ჭკუჳს გიძლობს ეგ შენი ცოდნა?

— მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესამე! თვითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

— ახლა ერთი ეს მითხარ კიდევ: რამდენი შენზე და ჩემზედ უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზედ?

— რა ვიცი, შე დალოცვილო! მგონი თავზედ იმოდენა ბალანიც არა მქონდეს: მჯობს მჯობნი არ დაელევა.

— იმ მცონდე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს, კარგი არ იქნება? უფრო ადვილად არ გაიძლობ კუჳს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი?

— ღვთის წყალობა გქონდეს, რომ კარგი ის იქნება, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი იმათამდინ არ მიმიწვდება და ყური. საიდამ სადა, წმიდაო საბაო: ამოდენა დედამიწის ზურგზე სად ვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო რამე?

— მე რომ გაჩვენო იმისთანა რამ, რომ მთელის ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს; ერთი სიტყვით, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა, შორიდამვე გელაპარაკო,—რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

— აბა მაგისთანა მისანია წიგნი.

მე რომ ეს გავიგონე, სწორედ მოგახსენოთ, თავიდგან ფეხებამდინ ჟრჟოლამ გამიარა, არ ვიცი კი რად? ეს კი ვიცი, რომ ჩემ გარდა სხვასაც ეგ დაემართა. ხალხს, თითქო მზემ დაჰკრაო, სახე გაუნათლდა, პეტრე კი ისე სახტად თვალებ-დაჭყეტილი დარჩა, თითქო თავ-ბრუ დაესხაო. ისე ატაცებულ-

სავით დიდ ხანს იქნებოდა, რომ მღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინა.

— ახლა რას იტყვი, წიგნი გიშველის რასმეს, თუ არა?

— ნება მომეცი,— უთხრა გულ-ამომჯდარმა პეტრემ,— ეგ მუხლები გადაგიკოცნო. ჩემი ტუჩები ბევრჯერ მიჰკარებია სხვის მუხლსა და შენისთანას კი არც ერთხელ.

მღვდელმა არ მიუშვა მუხლებამდინ; მაშინ პეტრემ პირნათლად შეჰხედა და გონება-გახურებულმა წამოიძახა:

— დაილოცა შენი ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მაღლიდამ გიყურებს, ღვთისაგან კურთხეულო ადამიანო, რომ მე სულის წაწყმედისაგან დამიხსენ. წელან გელაპარაკებოდი ბრმა, შვილის ცოდვაში ვდგებოდი, ეხლა, შენის მადლიანის ენით თვალ-ხილული, გეუბნები: ის მამა შვილის დამღუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შვილის გასაწრთვნელად და არ გააწურთვნინებს; ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე. მომეცი ხელი, შენი კვნესამე!... ერთი გემთხვიო!..

გულ-მოლბობილი პეტრე მიჰვარდა ხელზე საკოცნელად. მღვდელმა აკურთხა და არ ამთხვევინა-კი.

— მაშ დამილოცე მაინც მამის-ერთა შვილი! უთხრა პეტრემ და შვილი წინ წამოუყენა. მღვდელმა აკურთხა ბავშვი და თავზედ აკოცა გაღიმებულმა.

— შვილო! ეს დღე დაიხსომე,— უთხრა შვილს პეტრემ: — ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

მისივე.

---

### თავის გაწირვა მღვდლისა.

სწორედ იმ დროს ქუჩიდგან ერთი აყალ-მაყალისა და ალიაქოთის ხმა შემოვიდა. ხომ მოგახსენეთ, მტკვრის პირას ვიდექით-მეთქი და მღვდელიც ხომ იქავე იდგა. მღვდელი გაფითრდა და ისე, როგორც იყო, უცბად ეცა ქუჩის კარებსა. მეც გამოვედი გარედ. საღამო ხანი იყო. ხალხი, დიდი

თუ პატარა, ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისაკენა, იქით მირბოდა.

— რა ამბავია, ძმებო, რა ამბავია? დაუყვირა ხალხს მღვდელმა.

— რაღა რა ამბავია, შენი ჭირიმე! კაცი ირჩობა, დაუძახა ვიღაცამ.

ამის თქმა და მღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო. ისე თავ-შიშველი გაფრინდა გაფოთებული. მეც უკან გამოვუდექი. ჩავედით. ხალხი და დედაკაცობა შეგროვილი იყო მტკვრის გადასახედზედ. იმათი ქლავი ქლუვი, ალიაქოთი კაცს დააყრუებდა. დედაკაცების საცოდაობას კი ნუღარ მკითხავთ, სულ „ვიშ! ვიშ!" გაჰქონდათ. რომ დაინახეს, მღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიალეს: „მღვდელი მოვიდა, მღვდელი! მადლობა ღმერთსა, ქრისტიანი სული აღარ დაირჩობაო!" სჩანს, შენი ჭირიმე, იმ მღვდლისაგან კვლავაც ბევრი მაგისთანები ენახათ, რომ ეგრეთი იმედი ყველას მოეცა.

მღვდელმა ხმა არავის გასცა, ზედაც არავის შეჰხედა, იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იქ ეღუპებაო. თვალის დახამხამების უმალ გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა ჩემკენ. ერთს წამსაც-კი, მინამ იხდიდა, მტკვრისათვის თვალი არ მოუშორებია. მე შევხედე: გაფითრებული იყო და დაღონებული. ერთი ეს კი სთქვა: ირჩობა ჩვენისთანა ადამიანი და არავინა ჰშველის? შემდეგ სწრაფად გადისახა პირჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი და გადავარდა წყალში. მაშინ კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო მღვდლის საქციელმა წაახალისაო.

ცოტა ხანს თვალიდგან დავკარგე მღვდელი. მე იმისი დარჩობის შიში მომეცა. „რა ვქნა, ხომ არ დაირჩო?" წამოვიძახე ჩემ თავად. „ჰმ, ჩაიცინა ჩემ გვერდით ერთმა კაცმა: მაშ შენ ეგ ვერ გიცვნია, მიპასუხა მე და გაშტერებით თვალი წყალსააყოლა. მაგას ღვთის კაცს ეძახიან, არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება. აგე, თუ არა

გჯერა, სად ამოჰყო თავი!“ გამიშვირა თითი და დამანახვა გახარებულმა მღვდელი.

მივიხედე, თითო ხელის მოქნევაზედ ის დალოცვილის შვილი ერთს დიდ ალაგს გადაინაცვლებდა; როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს. მღვდლის შორი-ახლო ის უბედური მუშა,—წყლის მუშა ყოფილიყო საწყალი,—ქანც-გაწყვეტილი ფართხალებდა. ხან ჩაიძირებოდა, ხან მაღლა ამოვარდებოდა ხოლმე.

— ნუ გეშინიან! ეძახოდა ხალხი, არ შაუშინდე წყალსა, ცოტა კიდევ თავი შეიმაგრე, შენი დამხსნელი მოდის.

აი მიდის და ებრძვის წყალს მღვდელი, ხალხი აქედგან წასახალისებლად ხმას აძლევს: „აი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! დაილოცა შენი მკლავების ძარღვები!.. რა რიგად მიდის, ნავია! აბა, შვილო, დედის ძუძუ მაგას შერგებია, აი... იძახოდა ერთი.

— დედის ძუძუ ვის არ შერგებია, მაგრამ მადლიანი ძუძუ უნდა, რომ მაგისთანა შვილი გაზარდოს, ამბობდა მეორე.

მაგრამ მღვდელს არ ეჭირვებოდა არც ერთის თქმა, არც მეორისა, არც ხალხის წახალისება და გულის გამაგრება. იმისი სიმაგრე და წამახალისებელიც ის ცეცხლი იყო, რომელიც, თვითონ რომ სთქვა, ყოველს კაცს გულში უნთიაო. რას ბრძანებ? სიკეთე კაცს გულში ვერ ეტეოდა, სხვის წახალისება აქ რა საჭიროა! სიკეთის ქმნა სწორედ, რომ იტყვიან, სწყუროდა; დრო მოეცა და ზედ დაკვდომით დაეწაფა.

ისე შენ მორჩი შენს ნაღველსა, როგორც იმ მღდელმა ის მუშა მოარჩინა. როცა ნაპირზე გამოიტანეს, როგორც ძმას, ზედ დასტრიალებდა გონება-მიხდილს მუშასა. როგორც იყო, გამოაბრუნეს ის საწყალი. თვითონ მღვდელი მუშაზე ნაკლებ შესაბრალისი არ იყო. შემოდგომა გახლდა, სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა სცემდა და კანკალებდა.

— გლახავ! მიუბრუნდა ვილაცას მღვდელი, - თუ ღმერთი გწამს, ამაღამ შენს სახლში ბინა მიეცი ამ საცოდავსა, მადლია.

— ბატონი ბრძანდები,—უპასუხა იმანაც,—მაგას რაღა თქმა უნდა, შენი ჭირიმე! შენ კინაღამ მაგის გულისათვის თავი არ დაირჩე და მე ბინას როგორ არ მივცემ. აბა, ბიჭებო, მიშველეთ!

დაუძახა ხალხსა. ხალხი მოცვივდა, ასწიეს მუშა და ციმციმით წაიღეს; მღვდელიც უკან აედევნა.

— შენ კი წინ წამობრძანდი, შენი ჭირიმე! ვუთხარი მე; დაღალული ხარ, ჰკანკალებ.

— მუშას შველა უნდა კიდევ, მითხრა პასუხად.

— შე დალოცვილო!.. შენ თავსაც უნდა შველა, მივატანე მე.

— აგერ ჩემი მშველელი სად არის!.. მითხრა ეს თუ არა, ცა დამანახვა და გამეცალა.

მინამ კარგად არ მოასვენა, მინამ გული არ დაიჯერა, რომ ეს კაცი აღარ მოკვდებოდა, ის დალოცვილი არ მოჰშორებია.

ის მუშა კი მოარჩინა სიკვდილსა და თვითონ კი კინაღამ სული არ მიაბარა შფოთსა. ისე ავად გახდა, რომ კინაღამ თან არ გადაიტანა. ღმერთმანი, შეიინანებდა და იტყოდა: „სხვისთვის თავი რად წავიხდინეო. მარტო ვყოფილვიყავ კიდევ, ჰო; დედა-ჩემს ვის ანაბარას გავუშვებდი, მე რომ იქ ამტეხოდა რამეო“.

იმისი საცოდავი დედა კი ეუბნებოდა: შვილო! თავს რაზედ იკლავდი! რა ვუყოთ, რომ ირჩობოდა? შენც რომ იქ აგტეხოდა რამე, დედა-შენს რაღას ეტყოდა, საიქიოს რომ შეჰხვდებოდი?

— პირ-ნათლად შევხედავდი, რომ იმის ძუძუმ კაი საქმე შემაძლებინა, უთხრა მღვდელმა.

— ზოგი მე მკითხე ეხლა. შენ დაგხარი დღე-მუდამ ზედა, შენის მეტი აღარავინ გამაჩნია დედამიწის ზურგზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე გამომიმეტე, რომ კინაღამ თავი არ მოიკალი სხვისთვისა, კინაღამ...

— აკი ღმერთმა დამიფარა და არა ამიტყდა-რა.

— როგორ არა აგიტყდა-რა? სამი დღე, ვუი, შენს დედასა, უსულო მკვდარსავით წინ მედე და დაგტიროდი. რომ ღმერთს არ მოეხედნა, რა მეშველებოდა?

— ქვეყანა დიდია, დედიჯან! ჟველა კაი კაცი შენი შვილი იქნებოდა.

— ში, უი!—გადიწერა პირჯვარი მღვდლის დედამ; ღმერთმა ნუ შემასწროს მაგ დღეს!.. შენი ხელით მინდა, შვილო, მიწა მივიყარო...

მისივე.

---

## ლუარსაბის ლხინი.

— ვენაცვალე კახეთსა! ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენა დაბმით: ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა! მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემ განთქმულ სახელს მაშინ ვიღა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი ამ შავ ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც ვერ დალევს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელი კახეთის ღვინო არ მამერევოდა. ეს არის, რომ არ ვიცი-და! თორემ სხვაფრივ რა მიჭირს? ფაშვი კაი მსმელისა მაქვს: აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. ხომ გახსოვთ ის იმერელი? აი, რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია ვარო?“ „პოვერნია“ კი არა, შენც არ მამიკვდე, ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა: არა, წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ახლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ; იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქო, სახელი არ წამიხდესო. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევთ და ჩემი სახელი სათათრეთამდინ არის გავარდნილი. იმერეთშიაც მისულა ჩემი

ქება. მაგრამ, აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადა ის ფხიკიანი იმერელი, რომ სულ ჩემი მზე ვაფიცვინე, თვითონვე თავის პირით მითხრა: „ბაყბაყ-დევი“ ხარო. თითიც მამიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამიჩურჩულა: „სანაძლევო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო“. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩემი მამა-პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრადა მრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა.

ახლა იმ იმერელს რომ ვაჯობე, იცით, რა ვუთხარი? წადი მეთქი: სადაც შენი თქვა, იქ ჩვენიცა თქვი-მეთქი და იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენს კრიკინას წვენი გამოუვა, ერთ „ყლაპად“ არ მეყოფა-თქო და ყლუპი კი კიდევ თქვენზე დარჩება-თქო. აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი. მაშ!

---

### ლუარსაბის სიზმარი.

(მოთხრობიდგან „კაცია-ადამიანი“?!).

ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მადლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა. ნეტავი არ დაეძინა. ძილში საშინელი სიზმარი ნახა. ნახა, რომ დავით (მისი გაყრილი ძმა) სიხარულით აღარ არის, რომ ლუარსაბს შვილი არ უჩნდება; დადის ყველგან და სულ იმას იძახის: „ის ოხერი, როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზე ვინავარდოვო“. სტკივა გული ლუარსაბს, ჯავრი მოსდის, გული ყელში მოებჯინა. რა ქნას? „ღმერთო!“ ამბობს სიზმარში გულ-ნატკენად ლუარსაბი: „რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძლევ? მიბრძანე და აკი გიახელ თელეთს სალოცავად, თორმეტ აბაზიანი ცხვარი დაგიკალ, ორი აბაზის წმიდა სანთელი აგინთე, სხვა რავქნა? წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი, მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველს წელიწადს წმიდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს. აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე. დავითის ლუკმად უნდა გამხადო?! რაც იმას ქვეყანაზე ცოდვა

ჩაუდენია, ვინ მოსთვლის? შარშან Iვანე ნათლის-მცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია. პურის ნატეხს რომ მიწაზე ჰხედავს, არ იღებს და არ ემთხვევა. Iქნება ფეხიც დაადგას და გასრისოს კიდეცა. უკურთხებელს ყურძენსა სჭამს, ფერისცვალობამდის არ მოიცდის ხოლმე; აღდგომა დღეს მღვდელს არ მოუცდის, რომ სუფრა უკურთხოს: ისე მივარდება ხორცეულს, როგორც დათვი, ამისთანა მსუნაგია. ზიარებით კი ეზიარება ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა, სამი დღე ემზადება, მარტო სამი დღე, აბა ეს რა ზიარებაა? ეს ყველა იცი, შე დალოცვილო ღმერთო, და მაინც კიდევ იმისკენა ხარ! დაილოცა შენი სამართალი! ჰო, მართლა ერთი კიდევ დამავიწყდა: ერთი მწევარი ჰყავს, თავისს თეფშში აჭმევს ხოლმე. ქრისტიანი კაცი კია. მე ხომ ამისთანას არაფერს ვცოდავ, რად მიწყრები? მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე *), ოფოფი გინდა, იმას დასძლევს, გუგული, კვიცი—რაც გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია. მე კი—ღმერთო, ხომ შენ „იცი! —არაფერს არ დავუძლევივარ, რად მიწყრები? Iმისთვის, რომ თელეთში წასვლაზე ჴოჭმანობა დავიწყე? აკი მაშინვე მოვინანიე“.

მგრე უჩიოდა ღმერთს ლუარსაბი! მერე ნახა, რომ ვითომ ღმერთმა მიიღო ეს ჩივილი საბუთად და გული მოიბრუნა ლუარსაბისაკენ. აი ვითომ რა თვეც არის, რაც დარეჯანი (მისი ცოლი) ორსულია. ერთი თვეც, ერთად ერთი, და ლუარსაბს შვილი ეყოლება და დავითს კი თვალი დაუდგება. უხარიან სიზმარში ლუარსაბს, რომ ამის ჩივილმა გასჭრა, სიხარულით ფეხზე ველარა დგება. დავითი და იმისი ცოლი ჯავრით აღარ არიან. ლუარსაბს ისე შვილი არ უხარიან, რო-

*) არის იმისთანა ამაოდ-მორწმუნება ჩვენში, რომ თუ ღვინო დალეული არ შეჰხვდი პირველად მერცხალს, მერცხალი დაგძლევს. კვიცი რომ ნახო, მაშინვე ქვაზედ უნდა შედგე, თორემ დაძლეული იქნები. ოფოფს თავ-დავარცხნილი უნდა დახვდე და სხვა. ლუარსაბს, როგორც ათასს სხვას, ეს დაძლევა ცოდვა ჰგონია, ამიტომაც ეგრე გულმოდგინედ დავითს ღმერთთან აბეზღებს.

გორც ისა, რომ დავითი და ელისაბედი ჯავრით აღარ არიან. ორი კვირაც ვითომ გავიდა, აი ორი კიდევ და დარეჯანი დაწვება. უხარიან, უხარიან ლუარსაბს, მაგრამ აი უბედურება!—ლუარსაბი უეცრად ავადა ხდება და ძალიანაც ხდება, ასე რომ ვითომ კვდება კიდეც. მაგრამ ისე კი მოკვდა, რომ ყველაფერი ესმის და ყველაფერსა ჰგრძნობს. ესმის, რომ დარეჯანი საშინელის ხმითა სტირის და სოფლის მომტირალი დედაკაცები მწუხარე ბანს აძლევენ. ესმის, რომ იქით სადღაც კუთხეში დავითი და ელისაბედი იცინიან, ხტიან და ლუარსაბის ავეჯეულობა თავისს სახლში გადააქვთ. ლუარსაბს სისხლი ყელში მოსდის, უნდა წამოდგეს; მაგრამ იცის, რომ მკვდარია და ამიტომ არა დგება. „ხვალ მამულებს ჩავიბარებო!“ --იძახის ხმა-მაღლა დავითი. ლუარსაბი იწურება ამ სიტყვებზედ, იტანჯება, უნდა სთქვას, რომ ნუ მისცემთო: დარეჯანი ორსულად არის, შვილი ეყოლებაო; მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. საშინელს მდგომარეობაში საწყალი ცოცხალ-მკვდარი ლუარსაბი. რა ჰქნას აბა მკვდარმა?

— ვაი, რა დროს მოვკვდი! როცა ღმერთმა შვილის მოცემა ინება, მაშინ! ამბობს სიზმარში თავის თავად ლუარსაბი. ახ, ნეტავი ეხლა კი გავცოცხლდე და!..

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, კუბოც მოიტანეს. აი, ჩაასვენეს კიდეც და კუბოში ჩადებული და მორთული დაასვენეს ტახტზედ. მესამე დღეს მღვდლებიც მოვიდნენ, ასწიეს კუბო და წაიღეს გალობითა და ტირილით. ამ გალობასა და ტირილში დავითისა და იმის ცოლის მხიარული სიმღერა ესმის ლუარსაბს. ესმის ეს ყველაფერი, ჰგრძნობს, რომ ანდერძიც აუგეს და სასაფლაოზედაც წაიღეს; უნდა სთქვას: „ნუ დამმარხავთო“; მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. აი, მიწაში ჩაუშვეს საწყალი ლუარსაბი; ესმის, რომ საფლავის პირზე დავითი სდგას და ეუბნება დიამბეგს: ხვალ მამულები უნდა ჩამაბაროვო. ელისაბედი კი (დავითის ცოლი) უჯავრდება: რას ბოდავ? სახვალიოდ რად იხდი საქ-

მეს, განა დღეს კი ვერ ჩაიბარებო! ლუარსაბს ეს ყველაფერი ესმის, ხვნეშის, წვალობს, იტანჯება, ცივს ოფლს ასხამს, კანკალებს, თრთის ცალკე შიშისაგან, ცალკე ჯავრისაგან, რომ დავითს რჩება ბურთი და მოედანი. „ახ, ნეტავი კი ეხლა გავცოცხლდე-და!“—იძახის გულში ლუარსაბი; მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, მიწაც მიაყარეს; ჯერ მუჭა-მუჭად ცვივა მიწა და კუბოს ფიცრებზედ რახა-რუხი გააქვს, მერე შეატყო, რომ ნიჩბითაც დაუწყეს მიწას ყრა. ლუარსაბს ულონდება გული, სული ეხუთება, ჰაერი დაეხშო, და აი, ერთი წუთიც და გათავდება კიდეც. მაგრამ ვინ არის მეშველი! ესმის, რომ ხალხის ხმაურობა თანდათან მისწყდა, ყველანი წავიდნენ და მარტო ლუარსაბი საფლავში დააგდეს დაფლული. გულმა ტეხა დაუწყო, რომ დარეჯანმაც-კი, ამის საყვარელმა დარეჯანმაც-კი, სხვებსავით თავი დაანება და ამასთან არ დაიმარხა. ლუარსაბს გული ამოუჯდა, დაიწყო ტირილი. „აგ იმედი მქონდა იმისგან!“ ამბობს თავისს გულში: „დამაცა, შენც საიქიოს არ მოხვალ, იქ მოგაგონებ!“ ამ ლაპარაკში რომ არის, საფლავზედ ფერხულის ხმა შემოესმა. ხმა გაიკმინდა, ყური დაუგდო. მოესმა, რომ დავითი და ელისაბედი ფერხულში ჩაბმულან და ჯერ კიდევ სველს საფლავზედ ფერხულსაც უვლიან. „ჩაძაღლდი განა!“ უყვირიან ზემოდგან. ეხლა კი ველარ მოითმინა, ეხლა კი გული აენთო... ერთი საშინლად გაინძრა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯნა, საფლავიდგან ამოსულიყო და ამათთვის ერთი ყოფა დაეწია და თავზედ ლაფი დაესხა. ამ ტრიალსა და ვაი-ვაგლახში რომ არის, ერთი იხტუნა, ვითომ საფლავიდგან ამოხტომა უნდაო და ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრაგვანი მოიღო.

---

მისივე.

## ლუარსაბის სიკვდილი (იქიდგანვე).

ბაიარა რამოდენმამე ჟამმა და წუთი-სოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამიწის ზურგზედ.

ლუარსაბს და დარეჯანს შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი ექიმი დედაკაცი იშოვნა და ექიმობა დაიწყო. ექიმმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა... ის პატიოსანი ფაშვი ჩამოებერტყა, ის ხაშხაშა ლოყები ჩაუყვითლდა, ის დიდრონი ძროხის ოდენა თვალები უგემურად მიელია, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი გუდა ლელვსავით გაუხდა, ამასთანავე ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა, — ერთი სიტყვით, წახდა კაკალი კაცი. მწუხარებამ ესე იცის. ბოლოს, შერიცვალების დღეს, რაღაც ეშმაკად ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან ამ კალმახს ლაზათიანად მიაძლო; მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონს.

მოკვდა ლუარსაბიც ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმე ქვეყანას და არც თავისი სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედ. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წააწერონ, რომ „ჩყ... წლამდის თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბრძანეთო“, ამბობს იმათის ქვის ზედ-წაწერილი. ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე.

მისივე.

## სიტყვა.

თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამს სოფელ წინამძღვრიანთ-კარში.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადუხსნა, შიგ აუარებელი ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო. ჩვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბერტყაო. ამას იმიტომ ამბობენ, რო ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც თვითონ ჩვენა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი... მაშ რაღათა ვართ ღარიბნიო? — მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით, საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხითა და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თვითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავისს უხვსა და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, სადაც ცოდნა აქვს ხალხს, ოთხი დღის მიწა ისე უქირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს,

როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცი დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რადა? ზანა იმიტომ, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!? არა. იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავის თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წაართმევს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ახლანდელს დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლილი. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისის თავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზედ გაუჩარხავს. მაშინ კაცს ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თვითონაც კარგად იცით. თქვენ თვითონ ყოველ დღე ჰხედავთ, რო ეგ ეგრეა. ალოში გუთნის დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრეს. რადა? იმიტომ, რომ გუთნის დედა მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტად ღირს, მოჯამაგირედ რომ დგება, თუნდა უბრალო მუშა-კაცი ერთი-ორად იმაზე მეტი იყოს მკლავითაცა და ჯანითაცა. რადა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზე რომ ათასს სხვა

სანთელს მოუკიდონ, სანთელს იმითი არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირ-იქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს.

სანთელს კიდევ იმითი ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ჰბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს,—იქ სინათლეა, სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდეც იმით, რომ იქ მღვიძარენი დამხვდებიან და მიმასპინძლდებიანო.

სანთელს მარტო იმითი არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა-კი თავის დღეში არა: მამიდგან შვილზე გადადის, შვილიდგან შვილიშვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

ცოდნა იმითიც კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკკლესია, როგორც თვითონ ღმერთი, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულს გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულ-მონდომილი, მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდის.

ახლა სად არის ის კარი! როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? მოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა იმ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ, აქ, ამ სოფელში აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსთვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი აი ის პატარა შენობაა, რო-

მელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეული ოსტატები არიან.

აი სად და ვისი ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან. აი, ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ლონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანას ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

ცოდნა ბევრ ნაირია. ხოლო აქედგან თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს, სად რა სიმდიდრე უძევს და რა რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანს! გაუმარჯოს ილია წინამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელს! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს დაარწევენ, დასაძინებლად-კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად! გაუმარჯოს იმ პატარა კაცსაც, თა-დს ბებუთაშვილს, რომელმაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საქმის სიყვარულის გამო თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა გაუმარჯოს იმათაც, რომელნიც დღეს აქ არ არიან, მაგრამ გულით კი ჩვენთან დღესასწაულობენ ამ სკოლის გამართვას, რადგანაც მონაწილენი არიან ამ დიდის საქმისა. ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის. ღმერთმა შეგვასწროთ იმ დროს, რომ აქედგან, ამ სკოლიდგან გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზედ წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა თქვენის თვალით დაგანახვოთ, რომ მართლა „ხერხი სჯობია ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩა-

გვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“.

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვით: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს“!

მისივე.

## ყაყიტას ქურდი (მოთხრობა).

მდინარე ფრონის პირზე ყაყიტას სიმინდი ჰქონდა დათესილი. მკათათვის გასული იდგა; სიმინდი დატაროებული იყო, საამურად გაჰქონდა მას ღაღანი და შრიალი. ყაყიტას ისე გამოეწმინდა სიმინდი თოხით, რომ ადამიანი სათითაოდ დასთვლიდა ყოველ სიმინდის ღერს, რომელიც გალაღებულიყო, თავი მაღლა აეღო, ტარო უხვად დაესხა და ოქროს ქოჩორს ცელქს ნიავს აბურძგვინინებდა. ამ გაფუფუნებულს ყაყიტას სიმინდს მარჯვნივ წისქვილის რუ ჩამოუდიოდა, რუს გაღმით ვენახი მდებარეობდა; მარცხნივ, მდინარის მახლობლად, იდგა უზარმაზარი კაკლის ხე, რომლის ჩრდილი ოდნავ ჰხვდებოდა სიმინდს. ხე მდინარეს გადასცქეროდა; ერთი მისი ტოტი ფრონის ზვირთებს ელამუნებოდა, ქარი სდევდა ტოტს და წყალი უშხაპუნებდა; წინწკლებით შემოპკურებული ფოთლები მარგალიტით ნაკერს სახეს მოგაგონებდა. ფრონე თავისს პატარა, მაგრამ გიჟმაჟ წყალს უშხაპუნებდა იმ კიდეს, რომლის გვერდით ამართული იყო კაკალი; კაკლის ძირში ტრიალებდა წყალი, გაეკეთებინა მორევი, რომელიც სოფლის ბავშვებს საბანაოდ ამოერჩიათ.

— ნათლი ყაყიტა! ვერ გაათავე ე სიმინდის რწყვაი? გადმოსძახა ვენახიდგან მეზობელმა.

ყაყიტამ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და გვერდზე გადაჰხედა.

— აი, საცაა ბოლოში გავა! უთხრა ყაყიტამ.

— ბუშინ ჩაუგდე და აქნობამდინ რა დაგემართა, ნათლი? ძნელი სარწყავი თუა?

— რა სათქმელია! დაეყუდა ყაყიტა ბარზე და უთხრა მეზობელს: ძნელი არ არის ნათლია-შვილობამ, მაგრამ ჯანი აღარ მომდევს; სიბერე ძნელი ყოფილა. შენოდნობისას ემოტოლა მიწა ერთს წამს პირქარათაც არ გამიხდებოდა, მაგრამ რა გაეწყობა? თქვა ბერი კაცმა თავის ქნევით...

— კარგა დაგიბუჟბუჟებია! ოჰ, შენი მადლის კი ჭირიმე! არ აღელვებულა ე დალოცვილი, ესა! ღვთის თვალი ტრიალებს, ნათლი, ღვთისა, ამ შენს სიმინდში.

ჭაყიტას სიამოვნების ჟრუანტელმა გაურბინა და სიხარულით გული ატოკდა; მიუნაკადლა წყალი, აიმართა და ალერსით გადაჰხედა მოლა-ლანე სიმინდს.

— აქ კიდე რა არის! სთქვა გულ-გაკეთებულმა ჭაყიტამ: აბა, აი, კაკლისკენ წაიარე; ნაკორდალია, წრეულს გადავბარე, ასეთი სიმინდია, რომ ცხენიან კაცს გაუძნელდება გავლა; სულ მაჯის სისხო ტარო აყრია.

— იცი, ნათლი? მე მივუნაკადულებ ბოლოში... აღარა ჰკლებია-რა და მერე ჩავუგდებ ჩემს სიმინდში. ერთი კვირაა, თან დავდევ მერუებსა.

— წაიყვანე, შვილო, მე რა დამშლელი ვარ: წყალი ქვეყნისაა.

ჭაყიტას ნათლობის სახელი სხვა იყო, მაგრამ სოფელს ერთხელვე ეს სახელი დაერქმია. მისი ნათლობის სახელი აღარც კი ვინმე იცოდა, სულ „ჭაყიტას“ ეძახდნენ და თვითონაც კი არ იცოდნენ, თუ რად ეძახდ-ნენ. ჭაყიტა მოხუცი იყო, ესე სამოცის წლისა; სახლში ჰყავდა ოთხი გომბიო, როგორც თვითონ ეძახდა ხოლმე, ოთხივ ერთი-ერთმანეთზე მომ-ვენოი, თითქმის ოთხივ მზა, გასათხოვრად მოწიფული ქალი.

ჭაყიტა იყო შუათანა ტანისა, წელში ერთობ მოხრუკული, თითქო რკალიაო. სახე ჰქონდა მშვენიერი: პირი მუდამ სუფთად გაპარსული, რო-მელზედაც გადაჰფენოდა თეთრი და განიერი ულვაშები. თმა მუდამ სუფ-თად ჰქონდა გადავარცხნილი. ეს თეთრი და გრძელი თმა ჩაფენი-ლი ჰქონდა კისერში და ზედ შავი ჩითის თავშალი ერტყა. შუა ალაგას სიმინდში, მიღმა სარზე თავისი ძველი შავი ქუდი ჩამოეცვა და ზედ ფარა-ფარად ნაქცევი ლურჯი ლეინის პერანგი ჩამოეკიდა. მენახის პირის-პირ ედგა ორჩოფეხებზე შემდგარი ქოხი, რომელიც სიმინდს ზედ დაჰყურებდა.

ჭაყიტამ რწყვა გაათავა, ჩაჯდა რუს პირას, თავიდგან თავშალი წაიხსნა, პირი რუში ჩაიბანა და სველი სავარცხლით ქოჩორი გადივარც-ხნა. შემდეგ ავიდა ქოხში, რომელსაც ცალ-ფეხა კიბე ჰქონდა მიდგმული. ზის ჭაყიტა ქოხში, ჯამზე ცივი წყაროს წყალი დაუსხამს, რომელიც იქ-ვე კაკლის მახლობლად გამოჩხრიალებდა, ჩაუგდია შიგ სიცხისაგან გა-მომხმარი პური, ალბობს და სჭამს. ილოლნება მოხუცი ჭაყიტა, რომე-ლიც ცალი იდაყვით დაყრდნობილია მოკეცილ ფეხზე და მეორე ხელი ჯამში ჩაუყვია და პურს ამტვრევს.

## 2.

— აბა, ვინ უფრო უწინ გაიხდის, ვინა? მორბოდნენ ბავშვები მო-რევისაკენ, ეკამათებოდნენ ერთმანეთს და თან ქამრებს იხსნიდნენ.

ხმაურობაზე ჭაყიტამ ქოხიდგან თავი წამოიგრძელა და ცალი ხელი ჯამში ჩარჩა პურის ამოსაღებად. ბავშვები ჩაცვივდნენ კაკალს ქვეშ, იძ-რეს ტანისამოსი საჩქაროდ და ფოტოროდგან მორევში გადაეშვნენ. ასტ-

ყდა ყიყინა, გამხიარულდა ქალა და ვენახები. მწყემსებმაც შუადღის ხარი მორევთან მორეკეს საგრილობლად.

— ეფრემ! აბა მოდი და ე კაკლის ტოტზე გავიდეთ და ისე ჩავიყურყუმელაოთ მორევში! უთხრა მიხამ.

— გავიდეთ... ერიჰაა! მომიცა, კაცო-და! ერთად გადავხტეთ. აცოცდნენ კაკალზედა და გავიდნენ იმ ტოტზედ, რომელიც ზედ მორევზედ იყო გადაშვერილი. მიხამ კაკლიდგან გადაჰხედა სიმინდს და მსუნაგობა აღეძრა. სიმინდის ტაროებმა სრულიად წარიტაცეს; დაავიწყდა რომ კაკალზე ზის და საბანაოდ ემზადება.

— გასწი, ბიჭო, რას გაშტერდი? და ეფრემმა კისერში ხელი წაჰკრა.

— ბიჭო, ეფრე, რა ტარო აყრია-და! ვინც არ დაამტვრიოს, ელიას მადლი გაუწყრეს.

— წადი შვილოსა, იმ დღევანდელი არ იყოს! დამამტვრევინე ტაროები და კინაღამ დედა ჩემმა დამარჩო: ნაქურდალი სიმინდი რად სჭამეო.

— შენ რომ დოყლაპია იყო, ვისი რა ბრალია! მაგ პირში ენა არა გქონდა? ეტყოდი, რომ ჩვენს ვენახში დავამტვრიე-თქო... იცი? რო ვიბანაოთ, მოვიცადოთ: ხალხი მილაგ-მოლაგდება და მაშინ შევიპარნეთ. ეფრემას სულმა წასძლია. თუმცა კი რამდენსამე წამს შეყოყმანდა, მაგრამ მიხას თანხმობის ნიშნად მაინც თავი დაუქნია. ციყვებივით გაირბინეს ტოტზე და გადჰხედეს მორევს.

— აბა, ბიჭებო, გვიყურეთ, რომელი უფრო დიდ ხანს იქნება დაყურყუმელავებული... ეფრე! მოდი რაღა, ერთად გადავეშვათ! დაუძახა მიხამ.

აურ-დაურიეს წყალი, რომელიც სოფლის ბიჭებით აივსო; ზოგი ჭიდაობდა, ზოგი კამბეჩებზე ჯდებოდა, რომლებიც ჩაყრილიყვნენ მორევში და სიამოვნების ნიშნად კუდებს ასხმარტალებდნენ. ეფრემას საქონლის წვალება ძლიერ უყვარდა; ჩააცივდა კამბეჩებს: ხან კუდზე მოეკიდებოდა, ხან რქაზე დაეკიდებოდა. ააბორგა მთელი საქონელი.

— ბიჭო, რა აბუეტი რამა ხარ? ჩამოეხსენ მაგ კამბეჩებსა! შემოუტია მწყემსმა, რომელიც ფოტოროს პირზე გადმომჯდარიყო. ძიდევ!.. ჩამოეხსენ, თორემ ისეთს გადმოგაწნავ ამ სახრესა, რომ „ვაი, დედაჩემს დაველიე!“ იძახო.

ეფრემა განზე გადგა, წამოავლო ქვას ხელი და მოუღერა.

— ასე გაგიხსნი მა შუბლს ამ პირიანი ქვითა, რომ... აქ მწყემსი წამოუხტა. ეფრემა ხარხარით მორევში შევარდა დ იხვივით ჩაიყურყუმელავა.

— მაგისთანაებს გასწავლიან ქალაქში, ი სკოლაშია, ჰა-ე?..

მზე საშუადღეოდამ გადაიხარა, სიო დაიძრა. მწყემსებმა საქონელი ჩრდილოებიდგან წამოშალეს და მინდვრად საძოვარზე გაირეკეს. ყველა

მილაგდა, ჩაყიტამაც ფეხი გაშალა და ტკბილს ძილს მიეცა. ეფრემამ და მიხამ იდროვეს, მელასავით წაიგრძელეს კისრები, ფეხ-აკრეფით შეიპარნენ ნაკორდალს სიმინდში, ჯიბე-უბეები დაიტენეს, გაძვრნენ ქალაში და ვიწრო ორღობით ქაქანით შინ აცვივდნენ.

3.

ეფრემას მამა შუათანა შეძლების აზნაურშვილი იყო. ამ ერთს შვილს სასწავლებელში ზრდიდა და დანარჩენებსაც ამზადებდა. „თუ ამ დროში კაცმა სწავლა არ მიიღო, ცუდია გვარიშვილობა, იგი ადამიანს პურს ვერ აჭმევსო“, ამბობდა ხოლმე ხშირ-ხშირად ცხოვრებისაგან გამოცდილი ნიკოლოზ აბულაძე, მამა ეფრემასი. იმ საღამოზე, რა დღესაც ეფრემამ ჩაყიტას სიმინდის ტაროები მოიპარა, ნიკოლოზ აბულაძემ ბალკონზე ხალიჩა გააშლევინა და ზედ წამოწვა. ცოლი ამასი კარების დირეზე იჯდა! დედას ბავშვები შემოჰხვევოდნენ; პატარა ვაჟი დედას უკან ნაწნავებზე დაჰკიდებოდა, აცოცდებოდა ბეჭებზედა და ტკბილად ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. დედა ხმასაც არა სცემდა, თითქოს შვილის ალერსს არა ჰგრძნობდა.

ეფრემამ გამოიტანა ცხელ-ცხელი სიმინდები და სათითაოდ დაურიგა. მამა წამოჯდა, გამოართვა სიმინდი და ფხვნა დაუწყო.

— ხიდო, ხიდო! უძახის ეფრემა თავისს პატარა დას: აბა მარილი დააყარე შენცა, ისეთი გემრიელია მარილითა, რომ...

— არა, შვილო, გატყუებს; დაგაზველებს, გენაცვალოს დედაი!

— იიი, გამოჰქორა!.. დააზველებს კი არა და დააქუშებს! მარილიანი უფრო არ აწყენს, სთქვა მამამ.

— რაც გინდათ, ჰქენით! მამით შვილებიანად ჯიუტები ხართ: თქვენ ხომ ადამიანი ვერაფერს შეგასმენთ.

კარგა შეღამდა, მაგრამ ამომავალმა ბადრმა მთვარემ გაჰფანტა ღამის სიბნელე და ქვეყანა გაასპეტაკა. თავისი შუქი სვეტ-სვეტად ჩაუშვა ქალა-ვენახებში და ათას ფრად ააბჭყვრიალა. ფრონის ისედაც ანკარა წყალმა უფრო ციმციმ-კამკამი დაიწყო.

ამ ბუნების სიმშვენიერესა და სიკეკლუცეს უფრო ალაზათიანებდა და ფერს აძლევდა ურმის ჭრიალი და ზედ ტკბილი ურმული, რომელსაც მეურმე გულ-საკლავად მტრედივით აღუღუნებდა, ჰკლაკნიდა და შოლტს მარდად უწკაპუნებდა საყვრის ხარებს.

ეფრემას მამა გადაწვა ისევ მუთაქაზედა და ბუნების სიმშვენიერით სტკბებოდა.

— ხიდო, ხიდო! შეხე, შეხე, მთვარე როგორ გარბის.

— დედა! ი პატარა ვარსკვლავი რო მისდევს უკან ტუსტუსითა, იმისი შვილი არის, ი მთვარისა? ჰკითხა პატარა ვაჟმა.

— ჩვენს ცხენს რო მისდევს ხოლმე კვიცი, ისე კი გამოსდევნებია-და? დაურთო სიდომ.

— შვილი კი არა-და!.. აი, ის მთვარეა და ის იმისი ვარსკვლავი. მთვარეს შვილი ვინ მისცა! ჩაერია ლაპარაკში მფრემა.

— მამა, მამილო! ის მართალია, რომ ცა გაიხსნება ხოლმე, ღმერთი ხელს ჩამოჰყოფსო და, ვინც იმას დაინახავს, მაშინ რასაც ინატრებს, მისცემსო? ჰკითხა სიდომ მამას და მიუჩოქა წინ.

— ტყუილია, შვილო, შენისთანა მოცლილებს მოუგონიათ.

— გაიხსნება კი არა-და, ის არ გინდა! მასწავლებელმა გვითხრა, რომ ეს, რასაც ვხედავთ და ცას ვეძახით, სულ ჰაერიაო. მზე, მთვარე და ვარსკვლავები სულ ჰაერში ჰკიდიანო. სთქვა მფრემამ ტაროს კბეჩით.

— სიდონია, ქალო! შენ რას ინატრებდი, რომ გახსნილი ცა დაინახო? ჰკითხა მამამ.

— ღმერთო, გამომიყვანე იმისთანა ნასწავლი, როგორიც ჩვენებიანთ ძატო არის-მეთქი.

— ჰა, ჰა, ჰა! გაიხარხარეს მშობლებმა: სკოლაში მიგცემ, შვილო, და ვნახავთ... ამ დროს ძირიდგან ფეხის ხმა, ჯოხის კაკუნი და რაღაცის შრიალი მოისმა. მომავალი ხან და ხან ახველებდა. ვინც იყო, კიბესთან გაჩერდა... ბალკონზედ ბაასი შესწყდა. პაწია ბავშვები კიბის კარებს მისცვივდნენ.

— ნათლია ნიკოლოოზ, შინა ბრძანდებით? იყო ხმა ძირიდგან.

— ოჰ, უაყიტავ, შენა? ამოდი, ნათლიმამ, ზევით.

— მოხუცი უაყიტა ჯოხის ბჯენით კიბეზედ ამოვიდა. ზურგზე მას ეკიდა დიდი კონა სიმინდის ღეროებისა, რომელიც ბალკონის იატაკზე დაადო, ქუდი იღლიაში ამოიდო და გულზე ხელ დაკრებილი დადგა. ზურგი მთვარისაკენა ჰქონდა შექცეული. ბალკონზე მოკუზულის უაყიტას ჩრდილი წამოდგა. იმის ისედაც თეთრს თმას მთვარის შუქზე ელვარება გაჰქონდა. უაყიტა უძრავად იდგა, თვალები სისხლის ცრემლით აევსო, ყელში სული მოებჯინა და ძლივს-ღა წამოილუღლუღა:

— საღამო კარგა ყოფნისა!

უაყიტას სახემ მფრემა დაატორტმანა; მიბროწიალ-მობროწილდა, მაგრამ თვალთ ისე დაუბნელდა, რომ გზა ვეღარ გაიგნო, დაასხა ცივმა ოფლმა, ტანში ცხელმა ალმა დაუარა, აჯინჰრდა. სიმინდის ტარო, რომელიც პირთან მიჰქონდა, ჰაერში გაუშეშდა. უაყიტას მწუხარე სახემ, მისმა თეთრმა თმამ და მოკაკულმა სხეულმა მფრემას გული დაუწვეს.

— რას იტყვი, უაყიტ? ეს კონა რას ნიშნავს?

— ნუ შემრისხავთ, შენი ჭირიმე!.. მოგეხსენებათ, ნახევარ დღის სიმინდი მაქვს ჭალაზედ, ჩემი ნალვაწ-ნადაგი, ჩემი ფეხით გადაბარული,

სისხლი შიგ ჩამიწვიმებია; სიმინდია, რომ ღვთის თვალი შიგა ტრიალებს. შეპარულან, შენი კირიმე, ე თქვენი შვილი ეფრემი და თქვენზებიანთ მიხაი; რაც დაუმტვრევიათ, აი, ეს ერთი კონა გაახელით, რაც არადა, სულ ძირს დაუგიათ. ახალი მორწყული გახლდათ. ჩემი წვრილ-შვილის ცოდვას ნუ დაიდებენ, ეს ერთი ღვთისთვინაც დამივალებია და მაგათთვინაც მიპატივებია ნათელ-მირონობის ხათრით.

ეფრემას რომ მიწა გაჰხეთქოდა და შიგ ჩამძვრალიყო, ის ერჩივნა. ხირცხვილის ცეცხლით იწვოდა, სრულიად გაშეშდა; სულიერ არსების ნიშანი აღარა ჰქონდა.

— შეგირცხვეს ნამუსი, ჰო-და-ჰო, მიაძახეს მშობლებმა: ეგ იმედი გვქონდა შენგან?

— არა, ხიარების მადლმა, ჩემი ბრალი არა ყოფილა: მიხამ გამაბრიყვა!..

წასქდა ეფრემას თვალიდგან ცრემლი, მოჰყვა ქვითინს და ჭაყიტას წინ დაემხო.

ს. მგალობლიშვილი.

---

## შვლის ნუკრის ნაამბობი.

## I

პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზედ მაცვია პატარა, მოკლე ბეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზა-დაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, — ეს წყლის დასალევად რომ ჩაველი ხევში, მაშინ ვიტკინე... ზული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოებდა, მეალერსებოდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა! ძუძუს აღარა ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინიან, ვკანკალებ, მუდამ დღე სიკვდილს ველი, გზა არეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

წელან ველის პირად გაველი დაღონებული... იქით-აქეთ თვალს ვავლებდი. უცებ ჩემს თავზედ ჭექა გაისმა. ავიხედე მაღლა: მხრებ-შეკუმშული, ნისკარტ-დაღებული, უზარ-მაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ველარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა. ჭრუანტელი მივლის, როდესაც იმის მოკაკული ნისკარტი და ალმასი-

ვით ბრჭყალები მაგონდება. პირდაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხვდი, ბალახებზედა და მაყვლოვანზედ მხრებით ტყლაშუნი გაადინა. მიავლ-მოავლო საზარელი ყვითელი თვალები, ეწყინა ჩემი გაქცევა, აიწია, ძლივს განთავისუფლდა, კინაღამ მაყვლებში ჩაება. მე ერთს ხეს ვეფარე და იქიდამ გულის ფანცქალით ცალის თვალით გავყურებდი.

შენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! ბული მეუბნება, მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ახლა ვინღა მასწავლის? სულ შამბში ვწვები, ვიმალები, მუმლისა და კოღოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვსუნთქავდი.

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთიქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით, მუდამ დაჩრდილულნი გაბურული ტყით;



ვაჟა-ფშაველა.

უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე გორაკზე, მე გვერდით მოვუწვებოდი. სამივე მხრიდამ ხეები გვეფარა,— მეოთხეს თითონ გაიყურებოდა. ხანდახან ყურებს დააცქვეტდა, მე შევყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც ავცქვეტდი. სამჯერ უჩვეულებრივო ხმაურობა შემოგვესმა: ის არა ჰგვანდა არც წყლის ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდევ ხმელის ხის წვერიდამ ჩამოვარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგან გაშრიალებულ ფოთლების ხმას... ეს შევნიშნე მე: რა წამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა: „შვილო! მომყე, მე მომყევ!...“ გაიქცეოდა და მეც მივხტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა; არც ვიცოდი და არც მესმოდა, თუ

ვის უფრთხოდა. მხლა-კი ვიცი... ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულ-დასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდგე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!

ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გაველი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე,—მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ხეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენ გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულ განაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ-კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთი-სოფელს...

## II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთი-სოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! ბუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც-კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე.

— არ გიამა, შვილო?— მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვხტოდი, ხან ძუძუებში ვბურჩნიდი.

ჩვენ წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა და ისე მაგრა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა,—დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლიან ეგრე ტყის გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩიტს მეთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი; უცებ „ჩხი!“ „ჩხი!“ მომესმა. მოვიხედე გვერდზე: თავზედ ერთი ჩხიკვი გვევლებოდა. „თავი მომაფარეთ, — მითხრა დედაჩემმა: — თორემ ჩხიკვი

თვალებს დაგთხრისო!..“ მე თავი მოვაფარე. დედაჩემი იგერებდა თავით იმ საძაგელს. ჩხიკვი ჩემკენ იწევდა; ბევრი იცოდვილა, მერე დაგვანება თავი, თავმოკატუნებული წიფლის ტოტზე შესკუპდა და მოჰყვა კნავილს. იმისი ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჰგვანდა. დედას გაეცინა და მითხრა:

— დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო.. ძრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და ახლო-მახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეჰხვდეს, ბანს მისცემს, გადაეძრახნება. მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიჩქნის!..

მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

— ხმასაც არ გავცემ, დავემალები მაშინათვე!

— ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება; როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

— ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა!..

## III

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედა-ჩემი საწოლიდგან ადგა და მითხრა, წყალზედ წავიდეთო. წავედით, დავყევით წვრილიანს სერს, ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზედ გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზედ, იქვე ხევის პირად, ჟოლის ფესვები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დენასა. ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზედ, ერთის კლდიდამ მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა. დედა-ჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

— მოდი, შვილო, ჩადექი წყალში, საამურია სიცხეში წყალში დგომა.

მე მიველ და კრძალვით ჩავსდგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი საშინელი ცივი იყო და გადმოვხტი ისევ უკან.

— ცივია, არ შემიძლიან დგომა.

— არაფერი გიშავს, უნდა ეხლავ შეეჩვიო, შვილო! ცოტა ხანი დავდექი წყალში და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.

— ეგ საშიში ხალხი არ არის, მითხრა დედამ: ერთი დედაკაცი და პატარა ბალღია. ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის- ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ესე წვრილიანზედ ავიაროთ, ველის პირად ნუ დავენახებით. დედა-ჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომითმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვევიდამ ხმა მომესმა: „ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!“

— ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე. აბა სად არის, დამანახვე? ჰკითხავდა დედა.

— აგერ, ყურები არ გადმოუცქვეტია, ადამიანო, ტყიდამ!—თვალ-ცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზედ.

— უი, შენ კი გენაცვალოს დედა, მგელი კი არ არის, შველის ნუკრია, შვილო! ჰა, რა ლამაზია!"

—დავიჭიროთ, შენი ჭირიმე,—ეუბნებოდა პატარა დედასა და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

—არა, გენაცვალოს დედა!.. ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არა ჰყავს დედა! ხომ უნდა იტიროს იმან თავისს შვილზედ!..

მე სულ-განაბული ყურს ვუგდებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთად-ერთი სიტყვა ჩვენის შებრალებისა. მე კიდევ მინდოდა ყური მეგდო, მაგრამ დედა-ჩემი დაბრუნებულიყო, მოირბინა და მითხრა:

— ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ?! რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებენ სიცოცხლეს. საბრალო დედა-ჩემი წინადვე გრძნობდა, რომ ისე იქნებოდა.

## IV

შევკუნტრუშდა დედაჩემი, შევკუნტრუშდი მეც და გავსწიეთ ზეითკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ეს-ღა გავიგონე: უი, დედაც იქა ჰყოლიაო!"

შეუდექით შამბიანს, ბუერიანს (დიდი ბალახებია) გვერდობს. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსავე პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ვსწუხდით. დავწექით ბუერებში. იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს. უცებ გარშემო შემორტყმულ მთების წვერებიდამ ამოცვივდნენ ღრუბლები, შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრიალა, იქუხა, ელვა გაიკლაკნა.

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გალმა სერებზე, მალე ჩვენს გარეშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტყლაშა-ტყლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა; ჩიტები ველარ ჰბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას... ხაძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინად, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე (გამხმარ ტოტზე), მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმის ახლოს იჯდა გულ-წითელი ჩიტი, „წიფლის ჩიტა", უწყინარი, უვნებელი, ლაბუა. მშვენიერად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა „წიპრანა" და „წრიპ, წრიპ!" შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გა-

ახილა თვალები, გაუსკდა გული, მისკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო „ჩხიი, ჩხის!“ ძახილით. მე გამეცინა. წინად ყველაზედ ღონიერი ის მეგონა, ეხლა-კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა.

გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა, ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შევუდექით ველის პირებს, გავსწიეთ მთისკენ. ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.

გორის პირზე ზევით მხრივ იჯდა ნაბად-წახვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯღვლიანი, საზარელი შესახედავი ძაღლი; ცოცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის ფარას და ხანდიხან აჰერდებოდა ალერსიანად თავის პატრონს.

— ცუდს ადგილას მოვედითო,—მითხრა დედაჩემმა:—მეცხვარე უპირალოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოსო, მობრუნდი უკან. თვალი გეჭიროს: თუ ჩვენკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო. ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირსა და დაბერებულის არჯაკელის (მცენარეა) გროვაში ჩავიმალე და არ ვაშორებდი თვალს იმ კუდბუთქვა ძაღლს... ცხვრის დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნი ერთი იყო. ცქვიტა ყურები და გამოექანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დედაჩემს შეასწრო თვალი და გაექანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალიდამ. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა: ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგა-ბრუგი და ხევიდამ ქვების ჩხრიალი.

ვაიმე თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის ალმასის კბილებით სწეწს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ. გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწყალს ცხვრებს სცემდა ზოგს დიდის კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა. ერთს პატარა ჩემოდენა ბატკანს მიარტყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და დაუწყო ძახილი „ყურშიას“. ცოტა ხანს შემდეგ, ცის ტატანზედ (გორიზონტზე) დავინახე, რომ იმისი ყურშია, წითელ ენა გადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

— მე მეშინოდა: ვინიცის, ჩემი დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა ალარსაიდამ ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ველარ მიპოვოს, თუ ცოცხალია?

ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედიჩემის ხმასა გვანდა, მეც გავეხმაურე. საბრალო აფორთქლებული მოიჭრა ჩემთან.

— აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინიან, შენი დედა ცოცხალია. ძაღლი და მგელი ვერაფერს დააკლებენ... ცოცხალი ხარო?—მკითხავდა.

— ცოცხალი ვარ, ვუპასუხე მე.

მიალერსა დედამ... ნეტა ვის შევტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედაჩემის თვალებში ჩამახედოს, დამატკბოს იმისის ალერსით!

როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავრი? ნეტა სისხლის მსმელს მტერს მეც მოვეკალი! რისთვის დავრჩი მე ცოცხალი!?

წინა დღეს ცოცხალს, მშვენებით სავსეს ჩემს ნუგეშს შევსტრფოდი, და რა მომაგონებდა, თუ მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუდამოდ!

## V

მთელი ღამე დავდიოდით ველზე. აღარ გვეშინოდა; გავედით სვილში (ქვავში) და ტკბილად შევექცეოდით. თენება დაიწყო, მივიქეცით ტყეში. წყეული იყოს იმ დღის გათენება! ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში იდგა ორი-სამი ძირი ბალი; ჯგუფ-ჯგუფად ეხვევოდენ ჩიტები, შაშვები; ჟივილ-ხივილი ისმოდა; ზოგნი მოდიოდნენ და ზოგნი მიდიოდნენ, მიეზიდებოდნენ შვილებისთვის საზრდოს. დედამ გაძაფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი გვეჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედაჩემისაგან. დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა გრძნობდა. მოკვნეტდა ერთს ფოთოლს და გაუყუჩდებოდა.

ჩვენ ზევით იყო დგნალები (ხეებია) ერთმანეთზე მიწყობით ამოსული. იმათ წინ იდგა სამი თუ ოთხი შეკუმშული და აწურწუტებული არყი.

უცებ, როგორც ცის ქექამ, იგრიალა თოფმა. იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი-კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავთი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. „გაუმარჯოსო!“ დაიძახა და სასწრაფოს *) წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავი-

*) საპირისწამლის დასაყრელი.

შალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი!? აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა. შეიდო კისერზედ და გასწია. მე დავიწყე ტირილი. გული შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებსა, მთასა, კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ვეღარ ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!

ვაჟა-ფშაველა.

---

## მაგდანას „ლურჯა."

### I

მაგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედა-კაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავშვი ხელზე ულუკმო-პუროდ დაჰრჩა. ერთად ერთი ძროხა, რომელიც ამის ბალანებს ზაფხულობით ლუკმას უსვენებდა, ქმრის დამარხვას მოუნდა და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზედ აღარა გადარჩა რა. რა ექნა უბედურს ქვრივს? რითი გამოეკვებნა თავისი ობლები? სოფელი „მწირი", სადაც მაგდანა სცხოვრობდა, იმისთანა უნაყოფო, უწყალოდ მოტიტვლებულ მინდორზედ მდებარეობს, რომ იმის მცხოვრებნი დიდის ვაი-ვაგლახით შოულობენ დღიურს ლუკმას. და, აბა, ამ გვარი მეზობლები რა ხელს გაუწვდენდნენ წვრილ-შვილს, უვაჟკაცოდ დარჩენილს ოჯახს.

ამ უბედურ და ბუნების მხრით განწირულს სოფელს მხოლოდ ერთი ბედნიერება სჭირდა: ქალაქზე ძლიერ ახლო იყო და იქ მცხოვრები გლეხები ამ ქალაქში შოულობდნენ სამუშაოს, ბაზარს გასასაღებლად, თუ რამ ნაწარმოები გააჩნდათ გასასაღებელი. მაგდანასაც ამ სიახლოვემ უჩვენა გზა, და ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, რომელიც ძლიერ მძიმე და თითქმის აუტანელი იყო მისთვის. მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც ოთხის ბავშვის ტირილი:—„დედა, პური, დედა, პურიო"!—დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა და მშობელს გულს უფათრავდა.

მაგდანა სულ ერთის კვირის დაქვრივებული არ იყო, როდესაც მძიმე შავებში გახვეული, მაწვნის ქილებით ცალ მხარზე და კარგა მოდიდო რძის კოკით მეორე ხელში გაემგზავრა ქალაქისკენ.

რძეს მაგდანა ყიდულობდა თავის მეზობლებისაგან, სალამოობით აუენებდა მაწვნად და მეორე დილაზედ გაუთენებლივ გაუდგებოდა ხოლმე ქალაქის გზასა. იქ, „იარმუკის" თავში, ტროტუარზე დაჯდებოდა,

მოიხსნიდა თავის მძიმე ტვირთს, ჩამოამწკრივებდა სუფთად დახეხილ მაწვნის ქილებს, რძის ლიტრებს და თავ-ჩაღუნული ელოდა მუშტარს.

პირველში საშინლად იტანჯებოდა საცოდავი ქვრივი, რომ ასე აშკარად, გაშლილ მოედანზედ იჯდა ახალი მგლოვიარე, შავებით მოსილი, და გამვლელ-გამომვლელს იწვევდა სასყიდლად; მაგრამ შემდეგ შეეჩვია, მსყიდველებს ღიმილიც კი დაუწყო, მეტადრე მაშინ, როდესაც მის გვერდით სხვა ბევრი ქვრივ-ობერიც გამოიჭიმა მაწვნის ქილებით, რძის ლიტრებით და მის ვაჭრობას შეეცილნენ.

მაგდანა იმდენს შოულობდა ამ ვაჭრობით, რომ სიმშილით არ მომკვდარიყო და ცარიელი ლუკმა მაინც მიეწვდია თავის ობლებისათვის.

თუმცა სოფელი „მწირი“ ქალაქიდან სულ ხუთ-ექვსს ვერსზე იყო მოშორებული, მაგრამ ამ მცირე მანძილის გავლაც დღეში ორჯერ, მძიმე ბარგით ზურგზედ, ისე სწყვეტდა საბრალო დედაკაცს, რომ ბევრჯელ შინ დაბრუნებული მაგდანა ორი-სამის საათით ულონოდ ეგდო დერეფანში, და თავს დასჩხაოდნენ თავისი პატარაები. მუდმივმა მძიმე ტვირთის ზიდვამ მარჯვენა მხარი ჯერ დაუიარავა, და შემდეგ ისე დაუკოჟიედა, რომ ყოველ ბარგის აკიდებაზე მაგდანა სიმწარით ცრემლებს ჰყრიდა და ულონოდ წაიჩოქებდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ წამს პირჯვარს გადიწერდა და გაუდგებოდა თავის გზას.

დედის დაბრუნებამდე ოჯახს ჰპატრონობდა მაგდანას უფროსი გოგო, თორმეტის წლის ხოფო და ჩინებულადაც ჰპატრონობდა. მანამ პატარა და-ძმათ ეძინათ, დაჰგვიდა დარბაზს, კოკებს აავსებდა დილის წყლით, წიწილ-კრუხს საზრდოს მისცემდა და, როცა პატარები გაიღვიძებდნენ, დაჰბანდა ხელ-პირს, დაჰხეხდა სახვალიოდ საჭირო რძის ჭურჭელს და პატარა, ბავშვით ხელში, გავიდოდა ბანზედ. იქ მზის გულზედ ჩუმად ჩხირკედელაობდა დედის დაბრუნებამდე. ქალაქიდგან მომავალი გზა ამათ სოფლის წინ კარგა მანძილზედ იყო გაშლილი და შემდეგ დაღმართში იკარგებოდა; დაინახავდა თუ არა დედას პატარა ხოფო, აღმართზე ამოსულს, ძირს დასვამდა თავის პატარა დას, სირბილით მიეგებებოდა დედას, ჩამოართმევდა ცარიელს ქილებს, ნაყიდს ხორაგს და ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მშობელს ტვირთსა.

მაგდანას აუტანელი გაუხდა ჯაფა ზაფხულში. მკათათვის მზის მწვავე სხივები ულმობელად სწვავდა საცოდავს თავპირს, ცეცხლს უკიდებდა მუდამ ფეხშიშველობით დაფათრულს ფეხებს და ერთი-ორად უგძელებდა მანძილს; მაგდანა წამდაუწუმ ისვენებდა გზაზედ, ბევრჯელ დაღალულ-დაქანცულს კიდეც მიეძინებოდა ჩრდილოში და საღამომდე ძლივს მიაღწევდა ხოლმე თავის სოფელს. რძის ყიდვა, ადუღება, მაწვნების შეყენება უგვიანდებოდა და ერთ პირს დაძინებასაც ვერ მოასწრობდა, რომ

მამლები იყივლებდნენ, და ისევ ხელ-ახლად გზას უნდა გასდგომოდა. ამის გამო ყოველდღივ ქალაქში სიარული შეუძლებელი შეიქნა და ობლების საზრდომაც იკლო. ხოფო და დედა ნახევარზედ მშივრები იყვნენ და თავის წილს ლუკმას პატარეებს უზოგავდნენ.

## II

მარიამობის თვეს, ერთ საშინელ ცხელ დღეს, მაგდანა ჯან-მიხდილი, საშინელის ქშენით და ოფლში გაწუწული ავიდა იმ აღმართზე, საიდგანაც სწორე გზა იწყებოდა სოფლამდე, და ძალიან გაუკვირდა, რომ ხოფო ჩვეულებრივ არ მოეგება და შიშით გული გადმოუქანდა.—ვაიმე, შვილებო!—გულში ხელი ჩაიკრა და თითქმის სირბილით მიიჭრა სახლში. ამის შვილები და სოფლის გოგო-ბიჭები დერეფანში დიდის ღრიანცელით თავს რაღასაც დასტრიალებდნენ; მაგდანამ მისწი-მოსწია ბავშვების გროვას და გაოცებული შესდგა; მიწაზედ დაცემული სახედარი იწვა, კისერი საცოდავად გადაეგდო და მძიმედ ქშინავდა. მაგდანას სახეზედ ღიმილმა გადაჰკრა და ბავშვები მირეკ-მორეკა. შემდეგ დიდის გულისხმიერებით გაუშინჯა სახედარს წელი, ფეხები და, რა დარწმუნდა, რომ სახედარს მოტეხილი არა აქვს-რა, უფრო ტკბილად გაიღიმა.

— დედა, იცი, მიხას ეგ ვირი გზის ნაპირას ენახა, დამიძახა და რის ვაი-ვაგლახით მოვაგდეთ შინამდინა. ის იყო უნდა დამება და ბალახზე წავსულიყავ, რომ საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა. მე ყვირილს მოვყევი, გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ, და აი ზედ დატანებაზედ შენც მოხვედი.

— ოჰ, შვილო, თუ სახედარი გამობრუნდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. აბა, წადი ჩქარა ბატონიანთ სათიბეში, ღობის გვერდებში მიგლიჯ-მოგლიჯე მწვანე, სულ ნორჩი ბალახი და საჩქაროდ მოირბინე.

მაგდანას სულ დაავიწყდა, რომ დაღალულ-დაწყვეტილი იყო, და საჩქაროდ სახედრის მოვლას შეუდგა. გაათბო წყალი, გადაგლეჯილი და დაიარავებული ზურგი მოჰბანა, ნავთში გავლებული ჩვარი დააფარა, შეკრული კრიჭა გაუხსნა და ცივი წყალი ჩაასხა. შემდეგ მარილ-მოყრილი ლუკმა ჩაუდო და გადასავსავებული პირუტყვი მოაბრუნა. ამასობაში ხოფოც მოვიდა, მწვანე ბალახით დატვირთული და ვირს ალერსით წინ დაუყარა.

## III

ორის კვირის შემდეგ, როდესაც სახედარმა იმოდენად მოიხედა, რომ შეეძლო ტვირთის აკიდება, მაგდანამ ერთი-ორად მეტი რძე იყიდა, ერთი ორად მომეტებული მაწონი შეაყენა, მეზობლებისაგან ორი დიდი გოდორი ითხოვა, გადაჰკიდა თავის ბედაურს, შიგ მჭიდროდ ჩააწყო

თავისი ქილები და გაუდგა ქალაქის გზასა. დღეს ვერავინ იცნობდა მაგდანას, ისე გაღიმებული, ბედნიერებით სავსე იყო იმისი შეხედულობა. ჩვეულებრივ ტვირთ ქვეშ მოხრილი-კი აღარ მიდიოდა,—არა, ამაყად აბიჯებდა და მხიარულად შესცქეროდა თავის თანაშემწე „ლურჯა" სახედარს და მის გარშემო სიხარულით მხტუნავ თავის ბავშვებს.

— დედა, დღეს ხომ უფრო ადრე ჩახვალ ქალაქს?— ღიმილით ეკითხებოდა მაგდანს მისი პატარა მიხა.

— რასაკვირველია, შვილო, ადრე კი არა, ერთი-ორად ადრე ჩავალ და შუადღემდინ იქნება კიდეც მოვბრუნდე.

— რას ამბობ დედა, შუადღემდე! იქნება საღამომდინაც ვერ მორჩე მაგოდენა მაწვნის გაყიდვას; მთელი სოფლის ქოთნები მათხოვნინე წუხელის,—უთხრა სოფომ დედას.

— გაყიდვისა კი აღარ მეშინიან, ამ ოთხ-ხუთ დღეში, შვილო, იმოდენა ხალხი გაჯიცან, იმდენი მუშტარი ვიშოვე, რომ ფიქრი არ არის, მალე დავაცალიერებ მაგ დიდ გოდრებს; მერე ვერა ხედავ, რა ცხელ დღეს იჭერს? მაწვნის მეტს რას შესჭამს ამ პაპანაქებაში ვაჭარი კაცი?! ახლა კი დაბრუნდით, შვილო, დაიღლებით!

— არა, დედი, არა, დაღმართამდინ მიგაცილებთ და იქიდან გიყურებთ, როგორის გოგმანით წავა ჩვენი ლამაზი „ლურჯა". რა ლამაზი თვალები აქვს, დედა, შავი, ჭკვიანი! მაგრამ ისევ ისე დაღონებული-კი გამოიცქირება, როგორც მაშინ, დავარდნილი რომ ვიპოვეთ! ეხლა ხომ აღარა შიან, დაღონებული რაღად არის?

— რა ვიცი, შვილო, ვირის ჯიში აგრეა, სულ დაღონებული არიან ვირები, თავს მაღლა თავის დღეში არ აიღებენ. მაძღრობა ვირს მარტო კუნტრუშზედ შეეტყობა, და განა არა ნახე, გუშინ ჩვენი „ლურჯა" მინდორზედ როგორ კუნტრუშობდა?!

— ხა, ხა, ხა, როგორ დაკუნტრუშებდა ზოგიაანთ ვირებთან!— გადიხარხარეს პატარებმა,—მანამ მოხვალ, დედი, იმდენ ბალახს მოვუტანთ, იმდენს, რომ სულ შიგ ჩაიფლას ჩვენი „ლურჯა", ხტუნვით და აღტაცებით შესჭიკჭიკებდნენ მაგდანას შვილები.

## IV

მართლაც, მაგდანას ღმერთმა მოჰხედა და სახედრის წყალობით იმისი საქმე კარგად წავიდა; რძისა და მაწვნის გარდა, მაგდანამ ხან-და-ხან კვერცხს და ქათამსაც დაუწყო ყიდვა. მაგდანა ყოველთვის პატიოსნად ვაჭრობდა, რძე და მაწონს წყალს არ ურევდა, ჰურჭელი სოფოს წყალობით ყოველთვის მშვენივრად დახეხილი ჰქონდა, და ამის გამო მუდმივი მუშტარი ბევრი აიჩინა ქალაქში. გარდა ამისა, რომ მაგდანასაგან ვაჭრობდნენ, იბრალებდნენ კიდეც იმის ობლებს და აძლევდნენ იმათთვის ნახმარ ტანისამოსს, ფეხ-საცმელს.

შემოდგომამდე მაგდანამ დღიურ ლუკმას იმდენი გადაარჩინა, რომ შეეძლო ცოტაოდენი საწვრიმალო ეყიდნა და, როდესაც სოფლის საქონელი გაშრა და რძე აღარ იშოვებოდა, საწვრიმალოს ყიდვა დაიწყო; მიეკედლა ერთს მეწვრიმალე ხნიერს დედაკაცს, იმასთან სანახევროდ სავაჭრო იყიდა, წამოჰკიდა თავის სახედარს და წავიდნენ მთიულებში სავაჭროდ. ამ ვაჭრობით ორი-სამი ტომარა ფქვილი მოუმზადა საზამთროდ შვილებს, სახედარს—ბზე და ცოტაოდენი ქერი, და ახლა კი დაისვენა, დაუბრუნდა თავის შვილებს, ცეცხლი აანთო თავის კერაზედ. ზამთრის დიდ ღამეებში მაგდანა ცეცხლა-პირას იჯდა განუშორებელ მატყლის წინდით ხელში და თან თავის შვილებს უამბობდა ქალაქის ამბებს, თავის თავ-გადასავალს, თავის ვაჭრობის უცოდინარობას პირველში.

— ბამოცდილება კარგი ყოფილა შვილო, დარბაისლურად მიუბრუნდებოდა ხოლმე მაგდანა თავის ჭკვიან გოგონა სოფოს: პირველად რომ მაწვნით ვაჭრობა დავიწყე, ყველა მასხარად მიგდებდა, ყველა ცდილობდა ჩემზე წინ წამდგარიყო, რომ უფრო მალე გაესაღებინა თავისი სავაჭრო, და მე კი, ბეჩავი, ჩუმად აბუზული, უკან ვრჩებოდი. ბევრჯელ მტრობით ავმა სულებმა მიწა გადამიყარეს მაწვნებზედ, ბევრჯელ განგებ დამეჯახნენ და დამაქცევინეს, მაგრამ მეც თვალი გავახილე, მეც მივხვდი, რომ ყველაფერში გამარჯვება სიმარჯვესა და სიმხნევეზეა, და ხმა ამოვიღე, მივიძარ-მოვიძარ. მეტადრე, როცა მომაგონდებოდა, რომ თქვენ აქ უპატრონოდ, მშივრები, ტიტვლები ეყარენით, ცეცხლი მომედებოდა ხოლმე გულზედ და მაშინ ვინ იყო ჩემი წინ წამომდგომი. მე ყველაზედ წინ გავრბოდი, მე ყველას უფრო მომეტებულად შევლიჭინებდი, რომ ჩემი რძე-მაწონი ეყიდნათ, და ლუკმა აძითი ვიშოვე.

## V

ნაალდგომევს, როდესაც სოფელში ისევ გახშირდა წველა, მაგდანამ გაამზადა თავისი ბედაური, თავისი მაწვნის ქოთნები და გაუდგა ქალაქის გზას. მხიარულად მიერეკებოდა თავის „ლურჯას“ და თანაც ღიღინებდა: მაგდანას გული იმდენად იყო სავსე. სააღდგომოდ შვილები ვერაფრით გავახარე, თითო ჩითის პერანგიც ვერ ჩავაცვი და ეხლა მაინც უყიდი რასმე; სოფოს, ჩემს იმედს, ჩემ ჭკვიან გოგონას წითელ ფოსტლებს ამოვუტან,—ენაცვალოს დედა, მე შენ გითხრა, ჩემს პატარეებს ეჩემობას შეამჩნევინებს: ისე დაჰგურგურებს, *) როგორც კარგი დამზნილი **) დედაკაცი... ჩემს ვაჭრობას უფრო მოვუმატებ. Oქნება ორი-

*) დაჰგურგურებს—ეალერსება.

**) დამზნილი—დარბაისელი, ხნიერი.

თდ გროში მივაგდო სოფოს სამზითვოდ... დერეფნის შუა ბოძი ძლივს იმაგრებს გასაყარ ჩესა, იმასაც გამოცვლა უნდა...

ამ ფიქრებში გართული მაგდანა მიახლოვდა ქალაქს. ის-ის იყო მზემ თავი ამოჰყო და მშვენივრად გააჩალა მერის ბაღები, პატარა ვერის მომჩქეფარე წყალი და უზარ-მაზარ სარკესავით აალაპლაპა მტკვრის მდორედ მოძრავი ზემოთა პირი. ახლად გამოღვიძებული ქალაქის ხმაურობა გუგუნივით მოისმოდა. შეშის ურმები, აგურის პოვოსკები, ფურგუნები ერთი ერთმანეთში ირეოდა; მებაღეები მწვანილ-დატვირთულ სახედრებით, მერძევე დედაკაცები კოკებით, კინტოები თაბხებით თავზე მიეშურებოდნენ, გარბოდნენ, რომ ბაზარში არ დაჰგვიანებოდათ. მაგდანამაც ორიოდე სახრე გაჰკრა თავის „ლურჯას“ და ფეხი ააჩქარებინა.

მაგდანა რომ მერის აღმართს ავიდა, იმის პირ-დაპირ საშინელის სიჩქარით გამორბოდა მთელი ჯოგი სახედრებისა. იმათი პატრონი, მთლად შემურული მენახშირე, მშვენიერ იორღა ჯორზედ იჯდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიერეკებოდა. ერთმა ვირმა წამოჰკრა გვერდი მაგდანას მაწვნის გოდორს და მთლად შეარყია. მაგდანა გაანჩხლდა და მენახშირეს წყევლა დაუწყო: „კისერი მოგტყდეს, კისერი, შე ღვთის მუხანათო! რაზედ დამღუპე და დამაქციე! დოსავით გათქვეფილი მაწონი ვილასთან უნდა მივიტანო?

მენახშირემ მხოლოდ ახლა მოიბრუნა კისერი ამისკენ და უცბად შესდგა, საჩქაროდ გადმოხტა ჯორიდგან და მაგდანასთან მიიჭრა:—დედობილო, ნუ კი იწყევლები ემანდა და, აბა, მიბრძანე, ეგ სახედარი შენ ვინ მოგცა?

მაგდანას მუხლები მოჰკვეთა, პირზედ მკვდრის ფერი გადაედო და ხმის კანკალით ძლივს წაილუღლუღა:—მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე.

— „დავარდნილი, სული ამოსდიოდა“,—გააჯავრა მენახშირემ მაგდანას: მინ გეხვეწებოდა, მოაბრუნეო? მინდორში მე იმისთვის კი არ მივანებე თავი, რომ შენ მოგეპარა! სხვა სახედრებს ჩამომრჩა, მე მეჩქარებოდა და თავი იმიტომ დავანებე; მეორე დღეს ტყიდამ უნდა ჩამომევლო, წამეყვანა და რა გაგიშვია, რას ეძებ! თურმე რომ შენ მიგიჩქმალავს, შე არამზადავ, შენა! ახლავე მომე, თორემ ეს არის შუაზედ გაგგლეჯე! მოხსენ ეგ შენი ქოთნები, თორემ ლუკმა-ლუკმა დაგიმტვრევ! „ხუდში“ წაგათრევ და ქურდობისთვის ციხეში დაგალპობინებ!..

მაგდანამ დაინახა, რომ ობლების საზრდო, იმედი ხელიდგან ეცლება, საშინლად გააფთრდა, გოდრებს ზედ გადაეფაფრა, წივილ-კივილს მოჰყვა და, რაც ჯანი და ღონე ჰქონდა, იგერებდა გაცოფებულს მენახშირეს: ვერ წამართმევ, ვერა! ეს ჩემი ნაპოვნია, ჩემი გამოკვებილია ზამ-

თარში, ჩემი შვილების ნუგეში ეს არის, ვერ წამართმევ! მომეცალე, მომეცალე, თორემ თვალებს გამოგაწიწკნი, თავს აქ მოვიკლავ და არ დაგანებებ კი!

— იქით, იქით! ხელი აიღე, თორემ ეს არის მოთმინება დავკარგე! შენისთანეებმა უნდა მაჯობონ, შე მასხარავ? იქით მეთქი, გეუბნები! ციდვაში არ ჩამაგდო, წიწილასავით არ წაგახრჩო! ნაპარევი ვიპოვე, შე არამზადავ, შენა, და კიდეც მიძალიანდები? რატო სირცხვილით თვალი არა გსკდება და დედა-მიწაზედ არ დავარდები! იქით, იქით-მეთქი!

— არა, არა! ჩემის ცოცხალის თავით ვერ დაგანებებ. ჩემია, ჩემი, არ მამიპარავს! განა, ურჯულოვ, შენ თითონ არ იცი, რომ არ მამიპარავს? მთელმა ქვეყანამ იცის, „ტარშინა“-მამასახლისთან გამოცხადებული მაქვს. ღმერთმა აჩუქა ჩემს ობლებს და შენ უნდა წაართვა? არა, ვერ წაართმევ, ვერა!

მაგდანას თავშალი გადაუვარდა, თმები ჩამოეშალა და გაეწეწა, პირზედ მკვდრის ფერი დაედო, შუბლზედ ცივი ოფლი ჩამოსდიოდა, იმის მუდამ წყნარ ხმას მრისხანება მიეცა, მკლავს—საშინელი ძალა, და ყმაწვილს, ლომივით მენახშირეს კინაღამ აჯობა.

ამასობაში პოლიცია გაჩნდა, ჩხუბის მიზეზი გამოიკითხა და მენახშირე ამ სიტყვებით გაისტუმრა: წართმევა არ იქნება, წადი, წადი, სუდში იჩივლე, იქ გაარჩევენ საქმეს და, სახედარი ვისიც არის, იმას მისცემენ.

მაგდანამ სული მოიდგა, თავშალი მოიხვია, ტანისამოსი გაისწორა და თავ-ჩაღუნული და შემკრთალი, რომ ამოდენა ხალხმა ამის გაანჩხლება დაინახა, იარმუკისკენ წავიდა.

## VI

მშვენიერი, წყნარი, მთვარიანი ღამეა. მაგდანა თავის ოთხის შვილით ვახშამს მოსჯდომია ეზოში, წინ პურ-ჩაყრილი მაწვნით სავსე ტაფა უდგათ, მაგრამ კი არავინა სჭამს. იმათ მოშორებით ბაკის ღობესთან გამობმული „ლურჯა“-კი მადიანად ახრამუნებს მწვანე ბალახს მაგდანა მწარედ ჩაფიქრებული შესცქერის მთვარეს და თვალები ცრემლებით ევსება,—ვინ იცის, რითი გადასწყდება ხვალ ამისი საქმე. წაართმევენ ერთად-ერთს სალსარს ცხოვრებისას, „ლურჯას“, თუ შეიბრალებენ ამის წვრილ-შვილს და არ გამოსწირავენ? ოჰ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! მომხედე მე საცოდავს, ჩემს საბრალო ობლებს! განა „ლურჯა“ მართლა ჩემი არ არის? განა მართლა მე არ გადავარჩინე სიკვდილს? განა მთელი რვა თვე მე და ჩემი შვილები ამის მოვლაში და საზრდოს ზრუნვაში არ ვიყავით!?.. რო წაგვართვან, რაღა გვეშველება! ისევ უნდა წელში მოვიხარო და ოთხფეხ პირუტყვსავით ზურგით უნდა ვზიდო რძე

და მაწონი?! ოხ, ოხ, ღმერთო, ღმერთო! შენ იყავ ჩვენი მფარველი! და მაგდანას გადმოსცვივდა მწარე მდუღარება.

— დედა, რათა ტირი?—უთხრა დედას გულ-ამომჯდარმა სოფომ, იქნება „სუდიებმა“ ჩვენ გვარგუნონ, წინადვე გულს რად იხეთქავ?

— დედა, მოდი მე ზედ შემსვი,—ტირილითვე უთხრა მიხამ, და მანამ არ მომკლენ, ძირს არ ჩამოვალ.

— შე საწყალო, შენა! მანამ არ მომკლავენო! შენ რა ხარ, შვილო, რომ შენი მოკვლა რა იყოს, პანტასავით იქით გადაგისვრიან და ბევრსაც გირტყამენ.

— მაშ, მოდი დედა, მთიულებში წავიყვანოთ და იქ დავმალოთ,— იმედს არა კარგავდა პატარა მიხა.

— დედა, პური ჭამე, გეთაყვანე, ღმერთი მოწყალეა! გუშინ ნოზაძიანთ ნინიკა ამბობდა: მთელი სოფელი უმოწმებს, რომ მკვდარი მოაბრუნაო. მაგდანას დამალვით ხო არ დაუმალავსო, საქვეყნოდ „ტარშინას“ გამოუცხადაო, რომ თუ ზამთარში გამოვკვებავ, მერე აღარავის დავანებებო. ან ვის გაუგონია დავარდნილ სახედრის უკან დევნაო. ეგ გზა სულ მენახშირეებით არის გათელილი, მაგის მეტი რა გვინახავსო? დავარდნილი სახედარი ბევრი გვიპოვნია, ბევრი მოგვიბრუნებია, მაგრამ პატრონს ხმაც აღარ ამოუღიაო.

— ეგ მეც ვიცი, შვილო, მაგრამ, ვინ იცის, „სუდიები“ „კანცელარიაში“ რა ქეიფზედ იქმნებიან, ვისას უფრო გაიგონებენ. მენახშირე ფულით არის გატენილი, მე ერთი უბედური გლახა ვარ, და გლახისას ვინ რას შეიწყნარებს.

— არა, დედილო, არა, ჩვენს „ლურჯას“ვერავინ წაგვართმევს,— ქვითინით წამოხტა პატარა მიხა და მივარდა სახედარს: არა „ლურჯავ“? შენ ნუ წაჰყვები იმ ოხერ მენახშირეს, ნუ წაჰყვები, შენი ჭირიმე!—და ამ სიტყვებთან ერთად ორთავე ხელებით შემოეხვია „ლურჯას“ კისერზე.

## VII

მეორე დღეს მაგდანამ თავზე ხელი გადუსვა თავის „ლურჯას“, დიდხანს ჩააცქერდა ტკბილს, დალონებულს თვალებში და თავი გაიქნია: განა ასეთი იყავ ამ რვა თვის წინად? განა ასე გიბზინავდა აქა-იქ ამოგლეჯილი შენი ლურჯი ბალანი, ჩემო „ლურჯავ“? განა მენახშირე ისევ ისე არ გადაგაძრობს ჩემ მორჩენილ ბეჭებს? ნეტა ლაპარაკი მაინც იცოდე, რომ შენა გკითხონ, თუ ვის აირჩევდი პატრონად. „ლურჯაც“ თითქო გრძნობდა თავის განსაცდელს და, რაც შეეძლო, ზედ ეკვროდა თავის პატრონს.

მაგდანამ კარგად მოუარა თავის ბედაურს, კურტანიც კი აღარ დაადგა, რომ ყველას ენახა, რა რიგად იყო მოვლილი მისი „ლურჯა“;

კისერზედ თოკი გამოაბა და რომ შვილების ტირილი და ვაგლახი აღარ ენახა, გაუთენებლივ გაუდგა გზას. ჯერ სოფლის „კანცელარიაში“ ჩამიჩუმიც არ იყო, რომ მაგდანა თავის სახედრით იქ გამოცხადდა.

სოფო, მიხა და ორი პატარა და მთელი დღე ბანზედ ისხდნენ. არც ერთს იმათგანს მთელი დღე ხმა არ ამოუღია, თითქმის არა უჭამია რა და მხოლოდ გზას გასცქეროდნენ. მზემ კარგად გადაიწია და მაგდანა კი არსადა სჩანდა.

ბავშვები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. სოფო, რაც ძალი და ღონე შერჩა, კიდევ ნუგეშსა სცემდა პატარებს, თუმცა თითონ მთლად კანკალებდა მოუთმენლობით.

მზე ჩავიდა და აგერ გზის პირად გამოჩნდა მაგდანას შავი თავშალი. კიდევ ერთი წამი და მაგდანა, წელში გაშლილი, პირმოღიმარი, თოკით ხელში, „ლურჯას“ წინ მოუძღოდა და, თავის მოწმებით გარშემოხვეული, მოუახლოვდა სოფელს. მაგდანას შვილები სახლის დანახვაზედ მთლად გადაირივნენ: სტიროდნენ, იცინოდნენ, ხტოდნენ, გარბოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ და ისევ გამორბოდნენ. ბოლოს ოთხნივე წივილკივილით ვირს მოეხვივნენ, ჰკოცნიდნენ, ზედ ახტებოდნენ და უალერსებდნენ.

— კარგით, შვილო, კარგით! ხომ ხედავთ „ლურჯა“ ჩვენ გვარგუნეს. სოფო, შვილო, გაიქე სახლში, ცეცხლი გააჩინე, ამ პატიოსან მოწმებს უნდა გავუმასპინძლდე.

მაგდანა თავის მოწმებს გულუხვად დაუხვდა. ღვინო და არაყი ბლომად მიართვა, კარგი ჩასუქებული დედალიც დაუკლა და შუაღამემდის იმის ერდოდამ, წუხანდელ ტირილის მაგივრად, ჰარიარალეს ხმა ამოდიოდა.

ეკ. გაბაშვილისა.

---

## სოფელში გაბარება და ბედნიერი ბავშვობა.

(აკაკის თხუზულებიდან: „ჩემი თავგადასავალი“.)

„ძიძაობა“ და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდენ და აზრდევინებდენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები—აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდენ. ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყონ და შვილები დღევანდელს დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო: ეს გაზდილ-გამზდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვა-და-სხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირო-

ნობისა, თითქმის სისხლ-ხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზდელ-გაზრდილობა. არა თუ ძიძის შვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზდილის გულისათვის და გაზდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს, და მისა ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში! რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრულ ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც. და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა სცხოვრებდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოვო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის; ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალ წინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით უფანჯრ-უსარკმლო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით, იდვა დიდი უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდგან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუყოველთვის გართულია. ქაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ და დაღამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალ-ყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალა-უნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის-გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვა-და-სხვა გვარ შექამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნათესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელ საწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი; არ ვიცოდი მხოლოდ

წინდა-პაიკის ქსოვა და კერვა და ისიც მიტომ, რომ ამბობდენ: „ქალის ხელ-საქნარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო,“ და მეც მეჯერა.

## II

სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში, და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო. გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდი. ყმაწვილი, რომელიც-კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გენიოსიც რომ იყოს, მისი მასწავლებელი სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალ წინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისი სხვა-და-სხვა ფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველ გვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე, და იცის მათი ზნე და ჩვეულობა; ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება,—ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიახება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს?

ავიღოთ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის, მოღრუჩუნებს დედა-ღორი და მას ცქრიალით უკან მოსდევენ პატარ-პატარა ჭყივილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მხარ-თეძოზე: მისცვივდებიან შვილები და მიეძაბრებიან ძუძუებს; სიამოვნების ნიშნად აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალ-დახუჭული დაჰხარის. დაღრუჩუნებს მათ... აგერ, კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან, გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალებენ და სხვანი—სულ მრავალ-ფერობა და სხვა-და-სხვა სანახაობა... უყურებს ბავშვი და, თვითონაც გულ-შექნილი, ხტის და თამაშობს!.. ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი.

„გიმნასტიკაო“—მეტყვით!.. მაგრამ გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშის და სხეულის ჯორჯვა. სხვა-და-სხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს?.. მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს. და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუვრად უჩვენებს. „გიმნასტიკის“ დროს კი, წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე, როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთ ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს და, გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო.. ხელოვნებას შეუძლია, რომ დაიმორჩილოს, ე. ი.,

დაამახინჯოს ბუნება, მაგრამ რომ შესცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩურებული“ ქალაქელი ყმაწვილი!.. ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები (აბედები) სტანჯავს.. გამოსუდრულა ტანთსაცმელში, საძრაობა აღარა აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?... იზრდება ბძანებით მომავალი ჰლექი და მუმია.

## III

ქართველების ოღენი სხვა-და-სხვა გვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოგითვლით აქ, რადგანაც შემდეგ კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განსაკუთრებით, და დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას“. აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას! ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს. ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფარიკს თვითონ გამოსჭრიან ხოლმე, შვილდ-კოდალს—იკეთებენ; ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას! ნაყიდი სათამაშოები, და მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში მუქთა-ხორობას აჩვევენ ყმაწვილებს და უფრო უფუჭებენ ხასიათს. ეს მე ჩემ თავზე გამომიცდია! სხვისი გაკეთებული და ნაყიდი სათამაშოები არაფრად არ მიმაჩნდა და ჩემსას კი ვუბრთხილდებოდი ხოლმე. პატარაებს უყვართ დიდების მიბაძვა და მეც რომ ხუხულა სახლებსა და ბელელ-სასიმინდე-წისქვილებს ავაშენებდი ხოლმე,—ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თავი მომქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი. აბა წარმოიდგინეთ სოფლელი ბავშვი, რომელსაც თავის ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლად გაჰკრავს-გამოჰკრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით, და შეუდარეთ ქალაქელს! იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გამობმული ბუშტის ბურთი და შიშით ველარინძრევა, არ გამიფრინდესო.. რომ სიტყვა აღარ გავაგრძელო, მოკლედ ვიტყვი, რომ სოფელში გაზრდილ და ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა. ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაცდინა მე და ექვსი-შვიდი წლისა ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტან-მრთელი, მალხაზი, კეთილი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი. დიაღ, სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერიც ვიყავი. თუმცა ხან-და-ხან, კვირაში

ერთხელ თუ ორჯელ ჩემს ბედნიერებას შეაფერხებდენ ხოლმე სასახლიდან ჩემ სანახავად მოსულები.

## IV

„დღეს ბატონები გამობრძანდებიანო!“—იტყოდა ხოლმე ჩემი ძიძა: გამწმენდდა, გამბანდა, მომრთავდა, თითქოს სადღესასწაულოდ, და აღარ გამიშვებდა გარედ. მართლაც იმ დღეს გამოვიდოდნენ ჩემ სანახავად დედ-მამა დიდის ამბითა და ამალით, ისე, როგორც კი შეშვენოდა ბატონ-ყმობის დროს, და მთელი სოფელი ცქერად გადაიქცეოდა ხოლმე. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოდ სასეირო და სათამაშო იყო. მეცოდი, რომ ისინი ბატონები იყვნენ და მე მათი შვილი ვიყავი. როგორც ისინი, ისე მათი მხლებლები მოწიწებით და ალერსით მეპყრობოდნენ: მკოცნიდენ, ხელში ამიყვანდენ ხოლმე, საჩუქრებს მაძლევდენ და მანებივრებდენ; მაგრამ მაინც მე მათი მობრძანება ბევრად არაფრად მეპიტნავებოდა, რადგანაც გული ტყე-მინდვრის და სამწყესურისაკენ მქონდა. ძიდევ ჩემი ბედი, რომ ისინი დიდხანს არ იცდიდენ სოფელში, და მეც, გავიგულებდი ხოლმე თუ არა მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდენ ხოლმე: „რა მოგიტანეს, რა გითხრეს ბატონებმა, როგორ იყვნენო?“ და სხვა. ამის გამოკითხვის შემდეგ ჩვენც მაშინვე „ბატონობიას“ თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაჟბატონი იყო, ზოგიც მხლებლები!.. შადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა.

ზემოდაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-მეთქი. ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა გრძნობაგონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის. ეს გახლავთ „ქორობია“. ერთი უფროსთაგანი კრუხობას იკისრებდა, სხვები წიწილები ვიყავით, გავაკეთებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალებდით. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლად, კრუხი იგერებდა, სანამ ძალ-ღონე ჰქონდა. ბოლოს ქორი ხან ერთი კუთხიდან მოვარდებოდა, გაგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილს; მაშინ წიწილები გაიფანტებოდენ, მიიმალებოდენ აქეთ-იქით და გამწარებული კრუხი-კი, შვილებს რომ აქეთ-იქით მიმალულსა და მიხიზნულს დაინახავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს, დააგდებინებდა და დაიბრუნებდა ხოლმე გატაცებულ წიწილას. მაშინ ხელ-ახლად იწყებდა ქოთქოთს, შეიკრებდა წიწილებს და გააბამდა წრეს. მართალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრუხი რჩებოდა, მაგრამ იმ საბრალოს მოსვენება არ ჰქონდა და იტანჯებოდა. ეს თამაში მე არ მიყვარდა, თუმცა ყოველ-დღე სხვა-და-სხვა თამაშობას ამითი ვაბოლოვებდით ხოლმე. მეცოდებოდა კრუხი და ხშირად ვეკით-

ხებოდი ხოლმე ძიძას: „რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს მეთქი“.

ერთხელ, სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: „რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშნიაო“?

— ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი!—ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე: „რა გატირებს-მეთქი?“—ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ, როგორ აიტანოს და როგორ-ღა გასძლოს კრუხმა უიმისობით?“ ეს რომ სთქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმად მიმიკრა გულზედ. მე თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივხვდი, რომ აქ კარგი არა არის რა-მეთქი და დავიწყე ტირილი... ვიტირე, ვიტირე და ჩამეძინა ძიძის კალთაში. მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოთ გამომათხოვეს სოფელს და წამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო.

აკაკი.

---

## ფ ი თ რ ი.

(მოთხრობა)

— მცივა, მცივა! შემიბრალე, თავშესაფარი მომეც, სიცივით ნუ მომკლავ, ხო ხედავ, რა პატარა ვარ, ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამარჩოს! ბინა მომეც, ც ს ქვეშ ნუ დამაგდებ!—ასე ევედრებოდა სიცივისაგან სიკვდილის პირზე მისული პაწაწა ფითრის თესლი მსხლის ხესა, რომელსაც ამაყად თავი მაღლა ეღო და ირხეოდა.

ქარი ჰქროდა, თოვდა, ნამქერი ტრიალებდა.

მსხალმა წვერებიდან გადმოხედა ფითრის მარცვალსა; ეძებდა, ვინ ეძახდა, რა სულიერი იყო მთხოვნელი, ათვალიერებდა, მაგრამ არავინ ჰჩანდა.

— გამოჩნდი, არ დამენახვები, ვილაცა ხარ, ჰოგრიტით გეძებო? სადღაც შემძვრალხარ და წრიპინებ! ჩამოსძახა გაჯავრებულმა მსხალმა.

ფითრის მარცვალი ზედ ტოტზე აცოცდა, ქერქს ამოეფარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იჭიმებოდა, დამინახოსო. თან მსხლის ქერქს ეკვროდა, ებღაუჭებოდა, რომ ქარს არ ჩამოეგდო ძირსა.

— აქა ვარ, პატარა ვარ, დაიხარე კიდევ, რო დამინახო; ჩემი ტოლ ამხანაგებიდან მარტო მე გადავრჩი. ვაუმაძღარმა ჩხართვმა გადაყლაპა ყველანი, მეც ნახევრად დაგლეჯილ-დაფლეთილმა აქ შენ შემოგაფარე თავი. შენ თუ არ დამმალე, ის მსუნაგი მეც ჩამყლაპავს, არ გადავურჩები.

მსხალიც მოიდრიკა, აიყვანა ფითრის თესლი და შინჯვა დაუწყო.

— რა პატარა ყოფილა ეს საცოდავი! ამისი თავშესაფარი რა უნდა იყოს, ან ამისი შეჭმა ვის რა უნდა გაუხდეს, რა მუცელს გაუძლობს?! იფიქრა მსხალმა.

რამდენი ჭია-ღუა ზის ჩემ ქერქ ქვეშ! დათბება,—გამოძვრებიან, თავის გზაზე წავლენ. არც მოსვლასა მკითხვენ, არც წასვლასა.

წელანაც კოდალა იყო აქა. თავიდან ფეხებამდე სულ გამშინჯა. აშივლიდა და ჩამივლიდა, იმის ნისკარტს ჩემს ტანზე რაკარუკი გაჰქონდა. საწყალ ჭია-ღუებს გულები დაუსქდათ, მევედრებოდნენ:

— შეგვიბრალე, ნუ შეგვაჭმევ ამ მოსისხლესაო!

მე რა მეშველა?—ბევრი ჩაყლაპა და ბევრიც გადარჩა ისევ ჩემ ქერქში.

მუხა მეძახდა: კაცო, ჭკვაზედ მოდი, რამ გაგასულელა, ვინც მოგადგება, შენც კარებს უღებ, იმათაც აულიათ თავი და ყველა შენზე მოცოცავს. მე გირჩევ, რაც ქერქ ქვეშ ჭიები და ბუჭყები გისხედს, გარეთ გამორეკო, კოდალამ შეჭამოსო. აღარ გახსოვს, გაზაფხულზე, როგორ ჰყვავი? გამვლელ-გამომვლელი იძახის: „ძალიან მოაქვს ამ მსხალსა, ბევრს მოისხავს წლეულობითაო!“ გავა ცოტა ხანი, დაიყვავილებ, წვრილი ნაყოფი ჯერ ბევრი გასხია, თითქო ფოთოლსა სჭარბობს. მოდის ზაფხული, სადღაა ხილი? მეათედი აღარ გასხია.

— რა იქნა, სად წავიდა, რამ ჩაყლაპა?

— რამა და სულ მაგ ჭიებმა, შენ რო შემოგხიზვნიან. თვალი გაახილე, თვალიო,—თითქო მე ბრმა ვიყო.

— ნეტა შენა, მუხავ, რო მაგისთანა ეჭვიანი ხარ, ნიადაგ ბევრი ნაყოფი შეგრჩება!

მერე კაკალსა ვკითხე.

კაკალმაც ისეთი პასუხი მომცა, როგორიც მუხამ.

— მე მაგათი შიშით ჩემს თესლს ორნაირ ტანისამოსში ვახვევ: გარეთ მწარე წენგოს ვუკეთებ, შიგნითაც ძვალივით მაგარ ნაჭუჭს, მაგრამ მაინც კიდევ უზარალოთ ვერა ვრჩები. ნახევარს მაინც ეგ ჭიები მიჭამენ და მიფუჭებენ. მაგათგან კარგი არა გამოდნებარა, მუხაც მაგას გეტყოდა, ჭკვიანია, შენც გაფთხილდიო.

— მცივა, მცივა! წრიპინებდა ფითრის თესლი, აქვე შევძვრები, თორემ ეს არი სული ამოვიდა.

— შეძვერ, შე საწყალო, ადგილს როგორ დაგიჭერ, უთხრა გულმტკივნეულად მსხალმა, თუ თქვენები კიდევ ნახო ვინმე გაჭირებული, მოვიდნენ, არ დაეიშურებ არც იმათთვის ბინასა. თქვენ ხომ ნაყოფს არ შემიჭამთ ჭიებივით, მუხა რო იძახდა?

— რასა ბძანებთ თქვე დალოცვილო, ჩვენი ჯიში ხილეულს არ

ეწყობა და არც მე გიახლებით, არხეინადა ბძანდებოდეთ. ოჰ, რა მადლობელი ვარ, რა მადლი მიყავ, ერთი სული მომარჩინე სიკვდილსა. თუ ფითრი ვარ, გადაგიხდი შენს სიკეთესა.

ფითრის მარცვალი შეძვრა მსხლის ქერქ ქვეშ, სადაც უფრო ღრმად იყო გახეთქილი და ზედ ცილაზე მიეკრა.

— ოჰ, რა კარგადა ვარ, არც შემცივა, არც მომშივა! ბუტბუტებდა ფითრი.

— ვის ელაპარაკები, მანდ ჯოფნა ხომ არავინ დაგიშალა? ჩამოსძახა მსხალმა.

— არა, გენაცვა, ნაცნობი შემხვდა, იმას გამოვეხმაურე.

— ხომ აღარა გცივა, ვერ გათბი?

— ახლა რაღა მიშავს, რაკი ჩხართვს თავი დავახწიე და შენ შემოგეხიზნე.

ფითრის მარცვალმა ის ზამთარი მსხლის ქერქში გაატარა.

არა სციოდა, არა შიოდა, მტერი ვერაფერს დააკლებდა და დუშმანი, ისე იყო შემძვრალ-შემალული, სინათლეც კი ვერ დაინახავდა.

რამდენიმე დღეს შიშით თავი არ გამოუყვია გარეთ, სულ ჩხართვი ელანდებოდა, ან ახლა ჩამცხებს ნისკარტს და ან ახლაო.

არ იცოდა, დღე იყო, თუ ღამე. მაგრამ დრო გავიდა, თავის მდგომარეობას შეეჩვია. პირველმა შიშმაც გადაუარა.

ერთხელ მზის შუქი პირდაპირ თვალებში მიადგა ფითრსა. ფითრმაც ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა, გაინძრა, გაიშალა ცოტათი წელში, მზეს თვალი აარიდა და ზურგი კი უცხუნა.

ძალიან ესიამოვნა მზის სტუმრობა.

— ახლა აღარა მიშავსრა, რაკი ჩემს სადგომს მზემაც მოაგნო, ფიქრობდა ფითრი. თქვენ კი მანდ გეძინოთ, ჭია-ღუებო, ზოგს კოდალა ამოგთხრით და მძინარს ჩაგყლაპავთ, ზოგს ქარი ჩამოგყრით ძირსა. იქაც კაჭკაჭები და ჩხიკვები კაი გემოს ჩაგატანენ. მე კი აქ არხეინად ვიჯდები, პატარა, თქვენგან ათვალწუნებული ფითრი; ნახავთ, როგორ გავიზარდო და გავსუქდე! მსხალს კაი ღონიერი ფესვები აქვს, საკმაო საჭმელი გვექნება. მსხალი მომაწოდებს მიწიდან მზა-მზარეულს საზრდოსა. მოხმარება ჩემზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა ფითრის მარცვალი მზის შუქისაგან გახარებული. ქარი გრიალებდა. თოვლი მზეზე სპეტაკად ბრწყინავდა.

მსხალი ნელა-ნელა ირწეოდა. ჭია-ღუები ღრმა ძილში იყვენ გაზაფხულის მომლოდინენი. მართლაც ბევრი მათგანი ფრინველებისა და თაგვების წერა ხდებოდენ.

ფითრმა კი რაკი მზის შუქი დაინახა, რაღა დააძინებდა. ფიქრად

გადაიქცა, სულ რაღასაც საზრობდა. დღეებიც გადიოდენ და მზესაც სითბო ემატებოდა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ფითრიც იცვლებოდა, მსხლის ქერქზე ტკიპასავით დაკრობილი იზრდებოდა, იბერებოდა, სულ გან-გან იწევდა. მსხლის ცილა რამდენიმე ალაგას ჩაეხვრიტა და ტუჩებით დაჰკვროდა.

მსხალს აღარც კი ახსოვდა ფითრი, ან კი რა ყურადღების ღირსი იყო. რამდენი იმისთანა შემოხიზნული თბებოდა და ძღებოდა მსხლის ოფლითა! ძიდეც რო ხსომებოდა, ბევრსაც არ ინაღვლიდა ფითრის გულისთვის.

— ვინ იცის საწყალი სად გადავარდებოდა, რა შეჭამდაო?!

ცილაში ჩაკრობილი ფითრის თესლი კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა წუწნიდა ახლად გამართული ტუჩებით ისეც სიცივისაგან გამოფიტულ მსხლის ქერქსა.

ეს სისხლის წოვნა კი უგრძნობელი არ დარჩა მსხალსა.

— რაღაცა მიღიტინებს, თითქო არცა მკბენს და არც მწუწნისო, იძახოდა შეშფოთებული მსხალი და იჭროლებოდა მთელი ტანითა. ვინ იცის დაუდეგარი ჭიები თავშესაფარს ხვრეტენ? კოდალამ მაინც ჩამოიაროს და მომაშოროს ეს აბეზრები.

კოდალამაც რამდენჯერმე ჩამოუარა და გაარაკრაკა ნისკარტი იმის ქერქზე. დამფრთხალ ჭიებსაც ამ ხმაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდათ. შეშინებულები ხან აქ ამოჰყოფდენ თავს, ხან იქა.

კოდალასაც სხვა არა უნდოდარა, სტაცებდა პირს და ყლაპ!

მსხალს კი მაინც ისევ რაღაცა ულიტინებდა და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი მოუსვენრობა ემატებოდა.

გავიდა ზამთარი. ჭია-ღუები დათბენ, დაცოცხლდენ, გამოძვრენ მსხლის ქერქიდან. ფრთიანები ცის ქვეშ გაფრინდენ; უფრთონი ზოგი ძირს დაეშვა ნეხვის საძებნელად, ზოგი ტოტებზე გავიდა ყვავილის კვირტებში კვერცხების ჩასადებად.

— ფითრი? იმან რაღა ქნა?

— სადაც ფითრი შეძვრა, იმ ადგილზე ერთი მწვანეთ გაღაღანებული ბატის ფრთის სისხო ყლორტი ამომძვრალიყო და ორიოდე ფოთოლიც გაჰშლოდა.

— გამარჯვება, ფითრო! აქ რამ ამოგიყვანა, ამ კორფა მსხალზე? ეკითხებოდა გაკვირვებული ხავსი. ოცი წელიწადია მაგ მსხლის გარშემო ვტრიალებ, მინდოდა როგორმე ამოვსულიყავ, მაგრამ აქამდი ვერ მოვახერხე; დახე, დახე, ისევ შენ არ დამასწარ. ოჰ, რა ეშმაკი რამა ხარ! შენ მანდ არხეინად უნდა იჯდე და მე აქ უნაყოფო ქვებსა და გადამღრძვალ ხეებს შევცქეროდე!

— რა არის, კაცო, შეგშურდა ჩემი აქ ამოსვლა, თუ რა დაგემართა. მოესწრები შენც ამოსვლასა. მეც ხომ ეს არის ახლა ვერევი ქვეყანაში, ჯერ წუთისოფელი არ მომიჭამია. ღმერთმა ააშენოს ჩხართვის ოჯახი. ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორეთ ჩვენზე არის. ის რომ არა გვჭამდეს, ჩვენი გვარი დუნიაზე ამოვარდებოდა. მოგეხსენება, რა ღორმუცელაა ის შეჩვენებული. სადაც კი ფითრს ნახავს, იქ დაიბუდებს, აღარ მოეშვება, სანამ სათითაოთ არ გამოჰკენკავს. ჩვენც ძალიან ამტანები ვართ, ჩხართვის მუცლიდამაც კი ბევრი ისევ უვნებელი გამოდის. წავა ჩხართვიც, სადმე ქორფა მსხალზე, ან ვაშლზე მოსკინტლავს. ჩვენებთაგანიც ვინმე გაჰყვება სკინტლში უჭირველ-უტკივარი. ძალიან ბედნიერათა გრძნობს იქ თავსა. სამშობლოს მოშორებული თავისთვის იწყებს წარმოობას. შეხედავ, სამი-ოთხი წლის შემდეგ ერთი უშველებელი გამხდარა, მსხლის ტოტებში მწვანე კორდივით გადაფენილა. გამრავლდება, გაამსებს ტოტებსა, და დაიჭერს მთლად ყველა ადგილს. საკვირველი კაი ჯიში გვაქვს. ის არის კიდევ საკვირველი, რომ თუ არ ხეზე, თუ არ მზა- მზარეული საკვებით, ჩვენი გვარი ვერ ხეირობს. თუ სხვას არ ვასხედვართ, დედამიწაზე ჩამოყრილები ერთ დღეს ველარა ვცოცხლობთ. რამდენსაც განვიბნევით, იმდენი ვმრავლდებით და ვსუქდებით; ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც ხეებია. საფითრეთი არსად გამიგონია. ან კი საიდან რა მეცოდინება, სულ ერთი ზამთარია, რაც აქ მოვედი. ამ მსხალმა შემიფარა, ბინაც მომცა და საჭმელიც. მეც დავბინავდი და ფესვები მაგრად გავიდგი, სამუდამოდ აქ ვაპირებ დარჩენას. სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს მსხალიც იცოცხლებს და მეც არა გამიჭირდება რა; როცა მე აღარ ვიქნები, ჯანი გავარდეს, ვინც დარჩეს, თავისთავს თვითონ მოუაროს. შენი ჯიში ვიცი, ხავსო, მალე შენც მესტუმრები.

ძალიან რომ გამრავლდეთ და მსხალი აღარ გეყოთ საწუწნათ, მაშინ რაღას იზამთ, ერთმანეთს ხომ ვერ დაჭამთ? ჰკითხა ცბიერებით ხავსმა.

ფითრი გაჩუმდა, პასუხი არა მიუცია რა.

მსხალს ესმოდა იმათი ხმაურობა, მაგრამ რასა ლაპარაკობდენ კი ვერ არჩევდა. ეს ძალათ სტუმრები უცხო-უცხო ენაზე ლაპარაკობდენ; ფითრს არ იცნობდა, ხავსი კი გაეგონა და ენახა კიდეც: აგერ, აიმ ბებერ მუხას როგორი ხავსები ეკიდა. ძირზე შავათ ჰქონდა ბალანივით შემოდებული და ტოტებზედაც აბლაბუდასავით ჩამოჰკიდოდა მწვანე ფოჩებივით.

თუ სხვა წლით იზრდებოდა, ფითრი დღითა.

ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთოლი.

გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა; გაშალა შორს თავისი ბჭყალები. ფესვებიდან მომდინარე წვენს წვერებისკენ აღარ უშვებდა, წოვდა, როგორც ობობა ბუზსა, წუწნიდა, როგორც ბალღი შაქარსა, ძღებოდა, როგორც სვავი სისხლითა.

მსხალი კი თან-და-თან იმშეოდა.

ახლა კი მწვავეთ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე, სადაც ფითრი აჯდა. მჭამელივით ჭამდა და ჰგლეჯდა რაღაცა, ჩხვლეტდა და სწოვდა შანთივითა.

— ვინა ხარ, რა ხარ, რა სულიერი ხარ? აღარ მომშორდები?! ეკითხებოდა ფითრსა.

— თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხანი არ გაგონილა; სხვებიც იყვნენ ჩემ ქერქ ქვეშ შემოხიზნულები, მაგრამ წავიდენ თავის გზაზე. მგონი შენც ისე უნდა ჰქნა, სტუმრის წესი აასრულო. თუ მტერი ხარ, გამაგებინე. გამეცალე, რას ჩამციებიხარ?!

— ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა ფითრმა ისეთი საძაგელი და საზარელი ხმითა და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომკვლელი დაცინვა.

— სად უნდა წავიდეთ, ვერა ჰხედავ, რამდენი ვართ?! ჩვენი სამშობლო ეს ერის. აბა გაიხედე აიმ ტოტებზე!

მ.ხალს თვალი დაჰრჩა იქით, საითკენაც ფითრი უჩვენებდა. აუარებელს წვრილსა და მსხვილს ფითრს ამოეყოთ თავები მსხლის ტოტების ქერქიდან და გაჯეჯილებულიყვნენ.

დაფიქრდა მსხალი, თითქო ახლა-ღა იგრძნოვო, მთელმა ტანმა დაუწყო ქავილი და ჭამა.

— არ მომშორდებით მაშა, ვიღაცეები მოთრეულხართ ამ ჩემ ტოტებზე!—დაუყვირა მსხალმა—თქვენი ნებით წადით, თორემ სულ ძირს ჩაგყრით და ირემს შეგაჭმევთ. ყელმოღერებული ნაიალაღარი ხარი ირემი ამაყად და სუბუქად იტრიალებდა მრავალშტოვან რქებსა, აქა-იქ ჰგლეჯდა და ჰყლაპავდა ხეებიდან ხავსსა. იმ დალოცვილის რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა. ბალს გარს უვლიდა და ხეებსა ჰკორტნიდა. მსხლის ხმაურობაზე თვალი მაღლა დარჩა, იქნება ჩიმოყაროს რამეო. ფითრები არხეინად ისხდენ და ყურსაც არ იბერტყდენ.

გაბრაზებული მსხალი კი ძირიანად ირყეოდა, უნდოდა მათი ჩამოყრა.

ირემი კი ნაღვლიანად იღიმებოდა.

ფითრი, თითქო ჯიბრზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა სწოვდა მსხალსა. ახლა აღარ იმალებოდა და აღარც თავს იკატუნებდა. ისე იყო გასუქებულ-გათამამებული, რომ ყველა გაიგებდა საიდამაც მოჰქონდა საზრდო. ფოცხვერივით აჯდა კისერზე და წუწნიდა, რაც შეეძლო.

მიდიოდა ხანი და მსხალს უფრო და უფრო უჭირდებოდა საქმე.

ჯერ შუახნისაც არ იყო და ბებერს კი დამსგავსებოდა. დახავსებულ-დაძაბუნებული ქერქი ძონძებივით ეკიდა. ერთი ფრჩხილის ტოლა ნაზარდიც აღარ უჩანდა...

სასოწარკვეთილი, ღონე მიხდილი აქეთ-იქით იხედებოდა, ეძებდა მშველელს, არავინ შველოდა.

— ქარო! ქარო! შეევედრა ქარს, ერთი შენებურად დაუქროლე და ეს ფითრები მომაშორე, ხო ხედავ ვკვდები.

— როგორ მოგაშორო, შე საცოდაო, ძირიან თუ მოგტეხ, თორემ ეგენი შენ არ მოგშორდებიან, აბა რა გიყო, რა გიწამლო?!

— ქაცო, შენ მაინც მომაშორე ეს ფითრები, ლამის ზეზეურ ჩამომახმონ, ცოცხალი გამომსუტონ, ეხვეწებოდა ძროხების პატრონს მსხალი.

— შე დალოცვილო, ჩემთვის ისა სჯობიან, რაც უფრო ბევრი ფითრი ესხმის ტყესა; ჩემს ძროხებს ძალიან უყვართ და ძალიანაც ასუქებს, უპასუხა მწყემსმა.

აღარავინ იყო მშველელი, აღარავინ!

ზამთარია. ქარი ჰქრის, თოვლსა ჰყრის, ზუის და წუწუნებს. დატიტვლებულ-დაშიშვლებული ხეები ქარის ქროლაზე ბუზებივით ბზუიან და ნადირივით ღმუიან. დახედე სიცივეს, უენოსაც კი აკვნესებს! აღარსად არა სჩანს სიცოცხლის ნიშანი. მწვანე ფოთლების მაგიერად თოვლი დაჰყინვია, ბარდანი დასდებია ხეებსა. ზაფხულის მომღერლების მაგიერად ქარი შემოჰღმუის. სიცივისაგან დაფიჩხებული ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ. ზოგი გაყინულ-გაქვავებული ველარ უძლებს ქარის მოწოლას, ტყდება და პარტყა-პურტყით მოაჩახუნებს ძირსა. ყველა შეუშინებია და შეუძრწუნებია ზამთრის სუსხსა. მხოლოდ ბაიბუადაც არ იგდებს ფითრი. ის ახლა მწიფს და ნაყოფიერდება. ნახევრად დამტვრეულ-დაძაბუნებულ მსხალს ქორის ბუდეებივით ასხმია და მწვანეთ ხასხასი გააქვს. მარტო ისე ხარობს და ლხინობს. იმისთვის არც სიცივეა, არც ზამთარი, არც მიწა გაეყინება, არც წყალი დაუშრება.

ამდენი უზარ-მაზარი ხეები საცოდავად შესტირიან მოღუშულ ცას. ფითრი კი აზის ზურგზე მსხალს და დღე და ღამე წოვს და წუწნის.

— ჰაი, ჰაი, ფითრო, აღარ გახსოვს ამ ათი-თხუთმეტი წლის წინად როგორი იყავ, როცა მსხალს თავშესაფარს თხოვდი. ახლა კი მსხალმა შენ უნდა გთხოვოს, რომ სიცოცხლე აჩუქო იმ საბრალოსა!

აღარც ქარი გაშინებს. ისიც შენ გემსახურება. ქარსა და ჩხართვს მრავლათ გააქვს შენი თესლი და ირგვლივ ხეებზე ჰდებს. სად არ მოუკალათნია ფითრსა, სად არ აცოცებულა და არ გამოჭიმულა!

მსხალზე, ვაშლზე, თელაზე, იფნაზე, რცხილაზე, მურყანზე, კაკალზედაც კი აქა-იქ ამომძვრალა, თხილზე, ნეკერჩხალზე, ვერხვზე. მუხის ტოტებშიაც კი ამოუყვია თავი. სად არ არის, სად არ გაჩენილა! მაგრამ ისე კი ვერსად მოუკიდნია ფესვი და გამრავლებულა, როგორც მსხალზე. იმის ნაზი ქერქიდან უფრო ადვილად და გაუჭირებლად წუწ-

ნიდა საზრდოსა, ვიდრე მუხის გაქვავებულ-გაშეშებულ ქერქიდგან. არც დიდი დღე აქვს მუხაზე ამოსულსა. ცოტა ხანს ილონღიალებს, მოჩჩება მერე და მოისპობა, აგრეთვე კაკალზე. ბრალი მსხლისა!

გავიდა ხანი. ძოხტა თავმომწონე მსხალი უდროვოდ დაბერდა, ასი წლის ბებერივით მოიკაკვა, დახავსდა, დაილმიჭა, დაეღრიჯა ქერქი, დაუსკდა კანი. ტოტები დაუკოპიტდა, ზოგი დაემტვრა, ზოგიც ნახევრად ხმელი აქა-იქლა გაეშვირა. საცოდავი შესახედი იყო.

„მაი შენი ბრალი, შე საწყალო! ხილს შენ აღარ ისხამ და შტო შენ აღარ გეზრდება!“

წლის ნაზარდი სრულებით აღარა ჰქონდა; სულ უკან-უკან მიდიოდა.

— რა დაემართა ამ მსხალსა! იძახდა პატრონი.

— სანამ პატარა იყო, მსხმოიარებით ტოტები ემტვრეოდა, იმის ხილი პიოში დნებოდა. ახლა კი მაგის ქეციან ნაყოფზე კაცს შესახედავადაც აღარ მიუვა გული.

— უნდა მოვჭრა, მეტი ღონე არ არის, ტყუილად ადგილს ჰხაფრავს; მართალია ცოდოა, არ არის გასამეტი, მაგრამ რა ვქნა, მაგის ადგილზე ახალ სხვას დავრგავ, რათ მოვაცდინო ადგილიო.—ენანებოდა პატრონს, არ უნდოდა იმისი ჯიშის გაწყვეტა, მერე იმისთანა იყო ის ძირკურთხეული, რომ მთელს იმ არემარეში იმაზედ კარგი აღარა იყორა.

— რას უვლი, ფიდონ, მაგ მსხალსა, რა ცული დაგიჭერია, რას შეცქერიხარ, შენა ხომ არ შემოგელია და ხმელი ტოტების შერთმევას უპირობ?—დაეკითხა გზაზე მიმავალი მეზობელი მსხლის პატრონს ფიდონსა, რომელიც ხელ-ცულიანი მსხალს შესტრიალებდა, უვლიდა აქეთ-იქით, და არც ემეტებოდა მოსაჭრელად.

— რას ამბობ, კაცო, რის ხმელი ტოტები, მინდა ძირიანად მოვჭრა და მოვიშორო; მინდა ამის ადგილზე ახალი სხვა დავრგო. რა ხანია შევცქერივარ, აღარაფერს ისხამს, მომატების მაგივრად ამან სულ უკლო და ახლა თითოოროოლასლა იბამს და იმასაც პანტასავით. გარემ მოსაჭრელი ხილი არ არის, ამისთანა ჯიშის მსხალი არსად მეგულება. ფინც კი გემოთ ნახა, ყველამ წაიღო სამყნობი ტოტები; ალბად ბარაქა და იღბალი თუ გაჰყვა სადმე, აღარ ვიცი, ღმერთმანი, რამ გადაგვარა ამისთანა ბედაური მსხალი!

— ძაცო და ეს ფითრი რო შესხმია, რატო არ უპატრონე, მაგაზე მეტათ რა აფუჭებს ხეხილსა? ვისაც კი თავისი ხეხილი უყვარს და ეზოგება, განა ფითრს დააყენებს ხეებზე? მოაშორე, არ იქნება ისევ არ გამობრუნდეს,—ურჩია მეზობელმა.

— როგორ მოვაშორო, ერთი მოვგლიჯო, იმის ადგილზე სხვა ამოვა, უთხრა ფიდონმა, რა ეშველება, რა ვუყო?

— გადაკაფე დაზიანებული ფითრიანი ტოტები, სხვა ნორჩს აიყრის და გადახალისდება. ისევ ისეთს ხილს მოისხამს, როგორც წინად,— ურჩია მეზობელმა.

— შენს პირს შაქარი, თუ კი მაგისმეტი არა უნდარა, გადაკაფვა რა დიდი საქმეა, თუ კი ისევ აიყრის. მაი თუ გახმეს და აღარა აიყაროსრა. რა მომაგონებდა, ძმაო, თუ ფითრს მაგოდენა ნავნების მოტანა შაეძლო.

— მაი, შენ ჩემო თავო!—წამოიძახა გაბრაზებულმა მეზობელმა, მოიტა აქ ე ცული, თუ შენ არ იცი, როგორ მოიქცე!

ქაპ, კუპ, კაპ, კუპ!—მოისმოდა ცოტა ხანს შემდეგ ფიდონას ბაღიდან ცულის ხმაურობა.

მსხალს შიშით და ელდით თავისი დაემართა. ღაპა-ღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა.

ქაპ, კუპ, კაპ, კუპ!—ისმოდა ცულის კაკუნი, თან მოჭრილი ტოტების ჭრიალი და ბარტყუნი.

— ოჰ, რა შეშინებული იყო მსხალი! რა ტკივილსა გრძნობდა, თითო ცულის დაკვრაზე თითო ლიტრა ხორცი ადნებოდა.

ტოტებს რო ჭრა და მორვა დაუწყეს, იმას კინაღამ სული ამოხდა.

— ახლა კი დაითვალა ჩემი დღეებიო, ფიქრობდა მსხალი, აღარაფერი მიხსნის!

დახუჭა თვალები, თითქო არ უნდა სიკვდილის თვალით დანახვაო. თავისთავი მკვდრად მიაჩნდა.

მაგრამ აგერ, აგერ ძირიდან, მიწის ჯურღმულიდან რაღაცა ხმაურობა და დუდუნი მოესმა, რომელსაც თან-და-თან უფრო და უფრო არკვევდა.

— ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოჰკვდებით, ჩვენამდე ჯერ სიკვდილს არ მოუღწევია, სასოებას ნუ ჰკარგავო.

იძახოდენ თურმე ფესვები. ისინი ისევ ღონიერნი, მძლავრნი, მრავალნი, უთვალავნი იყვენ. თავისთვის ჩუმად ბნელს, უმზეო, თვალ-ჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალულნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისთვის უხვს საჭმელ-საზრდოს უმზადებდენ და აწვდიდენ.

სამ წელს შემდეგ მომიხდა ჩამოვლა იმ სოფელზე. ფიდონას ხუთი-ექვსი ბაღი სიამოვნებით შესცქეროდენ ქარვასავით ყვითელ დაშაქრებულ მსხლებს, ან ახლა ჩამოვარდება, შევჭამოთ, ან ახლაო.

თ. რაზიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ო თ ხ რ ო ბ ა ნ ი.

## საქართველოს წარსულიდან.

### მამასახლისების დრო.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქართველი ბავშვი ქართველი დედ-მამისაგან იბადება. ეს დედ-მამავისაგან დაიბადა? რა-საკვირველია, თავისი დედ-მამისაგან. ამ უკანასკნელთაც თა-ვისი მშობლები ჰყავდათ. ასე რომ ვიაროთ წარსულისაკენ, ბოლოს მივალთ იმ პირველ ქართველ დედ-მამასთან, რო-მელთაც თავდაპირველად წარმოშობეს ქართველები.

პირველს ქართველს თურმე ქართლოსი ერქვა და ამის გამო მის შთამომავალთ დაერქვათ ქართველები. თავდაპირ-ველად ქართველები მხოლოდ ერთს დიდს ოჯახს შეადგენ-დნენ. შემდეგში ამ სახლობამ იბარტყა, იმრავლა და ბევრ სახლობად გადაიქცა. ჯერ ქართველებმა დაიჭირეს ერთი მხარე, მერმე მეორე, შემდეგ მესამე, მასუკან მეოთხე. ბოლოს და მთლად დაისაკუთრეს ის მიწა-წყალი, ანუ ქვეყანა, რომელსაც საქართველო დაერქვა და ეხლაც ამ სახელით არის ცნობილი.

ძველის-ძველს დროში საქართველოს ყველა კუთხეს თავისი საკუთარი მართველი ჰყავდა. ამ მართველს მამასახ-ლისი ერქვა. თავთავისი მამასახლისი ჰყავდათ: კახეთსაც, ქართლსაც, მესხეთსაც, იმერეთსაც, სამეგრელოსაც, გურია-საც, სვანეთსაც. მამასახლისი უმთავრესად ჯარის უფროსი იყო. იგი ან თვითონ წინამძღოლობდა ჯარსა, ან სხვას ნიშ-ნავდა ჯარის წინამძღოლად, უფრო გამოცდილს და მამაცს ქართველსა. ხოლო კანონების დადგენილება და მართვა-გამ-გებლობა კი თვით ხალხის ხელში იყო. ხალხი ადგენდა კანო-

ნებსა, ირჩევდა მთავარ მოხელეებს, აყენებდა მოსამართლეებს და ესენი ასრულებდნენ თავისს მოვალეობასა, თანახმად კანონისა და ხალხის სურვილისა. ხაჩივრებისათვის ასეთი წესი არსებობდა: მომჩივარი მიმართავდა მამასახლისს და თავის მხრივ მედიატორედ, ანუ შუაკაცად, დაასახელებდა ორს სინიდისიერს კაცსა. მამასახლისი თავისით მიუმატებდა მათ ორს სხვა მედიატორესა. ეს ოთხნი ამოირჩევდნენ მეხუთეს თავმჯდომარედ, რომელიც საქმის გასარჩევად დანიშნავდა დროსა. ამ დროსათვის მამასახლისი დაიბარებდა ბრალდებულსაც, მომჩივარსაც და მედიატორებსაც, და ესენი უსათუოდ უნდა გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში. ხუთი მედიატორის განაჩენი სავალდებულო იყო და ხელშეუხებელი მამასახლისისათვისაც, მომჩივრისათვისაც და ბრალდებულისათვისაც. ამ სახით, სამართალი იმდროს იყო სიტყვიერი, სწრაფი და იაფი.

უფროსს მამასახლისად ითვლებოდა ქართლის მამასახლისი, რომელიც მცხეთის მამასახლისს უძახდნენ, რადგანაც ბინა მას მცხეთაში ჰქონდა. მაშინ მცხეთა იყო დედა-ქალაქი მთელის საქართველოისა. მცხეთაში მოხდებოდა ხოლმე მამასახლისების კრება, როდესაც რაიმე საქვეყნო საქმე უნდა განეხილათ, იმისთანა საქმე, რომელიც შეეხებოდა მთელს საქართველოსა. უფრო კი კრება მაშინ იმართებოდა, როცა რომელსამე კუთხეს საქართველოისას მტერი შემოსევას უპირებდა. ამ კრებაზე მოწვევას მამასახლისებს უგზავნიდა მცხეთის მამასახლისი და იგივე იყო თავმჯდომარე მამასახლისების კრებისა. ლაშქრობის დროს მთავარ-წინამძღოლი ჯარისა იყო მცხეთის მამასახლისი და მას ემორჩილებოდნენ წინამძღოლნი სხვა და სხვა კუთხის ჯარისა.

მამასახლისების ხანამ მრავალი საუკუნოების განმავლობაში გასტანა საქართველოში...

შემდეგში მამასახლისობა გაუქმდა საქართველოში და ერთ-მთავრობა ანუ მეფობა დაწესდა.

რა მიზეზით მოხდა ესა?

საქართველოს გარშემო სხვა სახელმწიფოები არსებობ-

დნენ. ამ სახელმწიფოებში დაწესებული იყო ერთმთავრობა ანუ მეფობა. მეფე იყო ერთად ერთი გამგე მთელის სახელმწიფოსი. ის თავისს ნებაზე ჩუმად შეჰკრებდა ხოლმე ჯარსა და უცებ შემოესეოდა საქართველოსა. მინამ მამასახლისები შეიკრიბებოდნენ და განკარგულებას მოახდენდნენ, მტერი საქმეს გაუჭირებდა ხოლმე ჩვენს ქვეყანასა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოს ხალხმა მოიწადინა გაეუქმებინა მამასახლისობა და დაეწესებინა ერთი მბრძანებელი, ერთი მეფე მთელის საქართველოსათვის. ხალხი ფიქრობდა: ერთი მბრძანებელი სწრაფად იმოქმედებს, საჩქაროდ შეჰკრებს ჯარსა, მტერს საზღვარზედვე დაუხვდება და არ შემოუშვებს ჩვენს ქვეყანაში, ამასთან საქართველოს ერთობასაც გააძლიერებსო.

ეს თავისი წადილი განახორციელა ქართველმა ხალხმა და ერთი მეფე დაისვა. მაგრამ არგო კი ამან ქვეყანას? მართალია, ერთობისათვის და გარეშე მტრის მოგერებისათვის ერთმეფობა უკეთესი გამოდგა მრავალ-მამასახლისობაზე; მაგრამ სამაგიეროდ ეს არ მოუხდა ხალხის თვითმართველობას. მეფეებმა თანდათან ჩამოართვეს ხალხსა საარჩევნო უფლება და თვითონ დაიწყეს დანიშვნა მოხელეებისა და მოსამართლეებისა. კანონების დადგენაც და გამოცემაც თვითონ მიითვისეს. მაგრამ ხალხი ამ შევიწროებას შეურიგდა, რადგანაც გარეშე მტერს უფრო მარჯვედ იგერებდა ერთი მეფე, ვიდრე წინანდელი ბევრი მამასახლისები. მასუკან საქართველოში დამკვიდრდა ერთმთავრობა ანუ მეფობა და მრავალის საუკუნის განმავლობაში ქართველებს ბევრი მეფე ჰყოლიათ. მაგრამ ესენი ხალხს ახლა თითქმის ყველა დავიწყებული ჰყავს.

ქართველი ხალხი იხსენიებს და ადიდებს მხოლოდ იმ თავისს მეფეებს, რომელნიც დიდს ჭკუას და მამაცობას იჩენდნენ, მტერზე ბრწყინვალედ იმარჯვებდნენ, კაცთ-მოყვარებით იყვნენ შემკულნი, ხალხზე ზრუნავდნენ, მის თავისუფლებას ნაკლებად ავიწროვებდნენ და განათლებას ჰფენ-

დნენ მის შორისა. ასეთები იყვნენ: პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ-მეფე, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე.—

---

## პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი.

ფარნაოზის მამა იყო მცხეთის მამასახლისი. ფარნაოზის ბავშობის დროს საქართველოს შემოესია მაკედონელთა წინამძღოლი იაზონი დიდ-ძალი ჯარით. ხძლია ხანგრძლივს ომში ქართველს ჯარსა, მოუკლა მას წინამძღოლი, მცხეთის მამასახლისი, და ჩვენს ქვეყანას დაადო კისერზე მონობის უღელი.

დაქვრივებულს ცოლს მოკლულის მამასახლისისას ეშინოდა იაზონისა და ამის გამო გაეცალა ქართლს, წავიდა ჩრდილოეთისკენ და თავი შეაფარა ოსეთში. თან გაიყოლა პატარა ფარნაოზიც. ოსებმა დიდი პატივით მიიღეს ორივენი და გულწრფელი ზრუნვა აღმოუჩინეს.—

როცა ფარნაოზი დავაჟკაცდა, მისი დედა სხვა სახელით ჩამოვიდა ქართლში, და აქ ფარნაოზი შეუდგა სამშობლოს განთავისუფლებას. ხელი ძლიერ შეუწყო მას ერთმა გარემოებამ: ნადირობის დროს ფარნაოზმა დიდ-ძალი ფული იპოვნა ერთს მივარდნილს გამოქვაბულში. ამ ფულით ყველაფერი მოამზადა სომრად და საშველად მოიწვია სამეგრელოს მამასახლისი და სხვა მამასახლისები... შეერთებული ქართველთა ჯარი შეებრძოლა მაკედონელთა ჯარსა მცხეთის ზეით, მუხრანის მინდვრებში, საშინლად დაამარცხა და გარეკა საქართველოს არემარედგან.

მადლიერმა ქართველებმა აიღეს და ფარნაოზი მთელის საქართველოს მეფედ გამოაცხადეს...

ძარგი მეფე გამოდგა ფარნაოზი. მან შეჰქმნა ძლიერი ჯარი, დაუნიშნა საუკეთესო წინამძღოლნი, განაახლა ყველა ციხეები, მაკედონელთაგან დანგრეული, მცხეთას შემოარტყა

მაღალი და განიერი გალავანი, ასე რომ ჩვენი დედა-ქალაქის აღება მტრისაგან თითქმის შეუძლებელი გახადა.

ამასთან ფარნაოზმა ხელ-უხლებელი დასტოვა თვითმართველობა ყოველის კუთხისა. მამასახლისებიც შეინარჩუნეს სამეგრელომ, იმერეთმა, გურიამ, კახეთმა და სხვა მხარეებმა, მხოლოდ მათ წინანდელი უფლება შეუმცირა და თავისს თანაშემწეებად გახადა.

დამოკიდებულმა ცხოვრებამ ქართველი ხალხი ფეხზე დააყენა, წელში გამართა. განათლების წყურვილმაც იმატა. ამ დროს ქართველებმა შექმნეს თავისი ეროვნული ანბანი. მანამდინ ქართველები ხმარობდნენ სპარსულ ანბანს და ეს ძლიერ აბრკოლებდა განათლების მოფენას ჩვენს ქვეყანაში.

ახალი, ეროვნული ანბანი ხალხმა სავალდებულო გახადა ყველასათვის, ნაცვლად სპარსული ანბანისა; ამ ცვლილებამ ძლიერ გაუადვილა ქართველებს წერა-კითხვის სწავლა და მწიგნობრობის აღორძინება.

---

### ვახტანგ გორგასლანი.

როგორც „დედაენიდან“ იცით, ქრისტიანობა ქართველებმა მიიღეს მეფე მირიანის დროს, მეოთხე საუკუნეში. ასის წლის შემდეგ, მეხუთე საუკუნეში, სამეფო ტახტი დაობლდა, რადგანაც საქართველოს მეფე გარდაიცვალა მაშინ, როდესაც მისი მემკვიდრე ვახტანგი ჯერ ისევ ექვსის წლისა იყო. სამეფოს მართვა იკისრა მისმა დედამ დედოფალმა ხუნდუხტიმ. მტრებმა ისარგებლეს საქართველოს დაობლებით და იწყეს აქეთ-იქიდან შემოსევა. აღმოსავლეთ-სამხრეთიდგან სპარსელები აწუხებდნენ, დასავლეთ-სამხრეთიდგან—ბერძნები, ჩრდილოეთიდგან—ოსები.

ვახტანგმა ჩინებული აღზრდა მიიღო. საერო საქმეებს მას ასწავლიდნენ ჯარის საუკეთესო წინამძღოლნი—საურმაგი და ჯუაშერი. მათგან ვახტანგმა ზედმიწევნით შეისწავლა წარსული თავ-გადასავალი საქართველოსი, სამხედრო ოსტა-

ტობა და სამეფოს გამგებლობა. საღმრთო წერილსა და ღვთისმეტყველებაში ვახტანგი გამართა მთავარ-ეპისკოპოზმა მიხეილმა, რომელიც იყო ფრიად გონიერი და განვითარებული მღვდელ-მთავარი. როცა ვახტანგი თუთხმეტი წლისა შესრულდა, იგი იყო ახოვანი ყმაწვილი, ჭკვიანი და მცოდნე. ამიტომ მისმა დედამ აღარ დააყოვნა და სამეფო ტახტი დაუთმო.

ავიდა თუ არა ვახტანგი ტახტზე, მაშინვე შეუდგა მტრების დასჯას და ალაგმვას. პირველად გაილაშქრა ოსების წინააღმდეგ. შეჰყარა დიდ-ძალი ჯარი, არაგვის ხეობით ავიდა კავკასიონის ქედზე; წინდახვედრილი ოსების ჯარი სრულიად დაამარცხა და შეესია ჩრდილო ოსეთს. დამარცხებულმა ოსებმა მიტევება და ზავი სთხოვეს, მოჰგვარეს ვახტანგს და, რომელიც მათ ტყვედ ჰყვანდათ წაყვანილი ქართლში შემოსევის დროს, და დიდი ჯარიმა გადაიხადეს.

შემდეგ ვახტანგი გაელაშქრა ბერძნების წინაღმდეგ. ამათ ვახტანგის პატარაობის დროს ბერძნებმა დაიჭირეს მთელი დასავლეთი საქართველო და გამგებლად დააყენეს ქართველი ბუბაძე, რომელმაც უღალატა ვახტანგს და ბერძნების მორჩილების ქვეშ შევიდა. ვახტანგმა არა ერთხელ დაამარცხა ბუბაძე, გააგდო მისი სამშობლოდგან და დასავლეთი საქართველოც კვლავ შემოიერთა. ბერძნების ხელმწიფემ ლეონმა ნახა ძლიერება ვახტანგისა და არამც თუ შეურიგდა, სიძედაც მოიკიდა: მისცა ამას ცოლად თავისი ასული ელენე.

ბოლოს ვახტანგი შეებრძოლა სპარსეთსა. ამ ომში ვახტანგმა ისეთი ოსტატობა, ხერხი, ძალა და მამაცობა გამოიჩინა, რომ სპარსელებმა დაარქვეს მას „გორგასლანი," რაც ქართულად ნიშნავს: მგელ-ლომი. ვახტანგმა სპარსელებს ისე გაუჭირა საქმე, რომ ბოლოს მათაც ზავი სთხოვეს. მათმა მეფემ ფიროზმა ვახტანგს გამოუგზავნა მდიდარი საჩუქრები, ძვირფასი გვირგვინი და მიიწვია თავისთან მოსალაპარაკებლად მშვიდობის დამყარებაზე. ვახტანგიც დაჰყვა ნებას, მივიდა ფიროზთან და ერთმანეთს შეეკვრნენ პირობით—კვლავ მშვიდობიანი და ძმური მეზობლობა ჰქონოდათ. მეგობრობის

სიმტკიცისათვის ფირუზი და ვახტანგი დამოყვრდნენ: პირველმა მეორის და შეირთო და წაიყვანა თეირანში სპარსეთის დედოფლად.

ვახტანგი რო გამარჯვებული დაბრუნდა საქართველოში, მოიწადინა მაცხოვრის საფლავის წინაშე მხურვალე მადლობა შეეწირა ზეციერი მამისათვის, რომელმაც მიაგო მას და მის სამეფოს ამოდენი სიკეთე. ამიტომ, დიისვენა თუ არა, თავისი ჯარიდან ამოირჩია საუკეთესო ვაჟკაცნი, შეადგინა სამგზავრო რაზმი და გაიყოლა თან იერუსალიმში. მისვლისთანავე მაცხოვრის საფლავს თაყვანისცა, შემდეგ გაამშვენიერა ჯვარის მონასტერი, რომელიც აგებული იყო მეფე მირიანის მიერ, შესწირა მრავალი სიმდიდრე, და ბოლოს მშვიდობით დაბრუნდა თავისს სამეფოში. აქ იგი შეუდგა დაუყოვნებლივ ქვეყნის გაშენებას: აშენებდა ახალს ქალაქებსა, აკეთებდა გზებსა, აგებდა ციხეებსა.

ყველაზე დაუვიწყარი სახსოვარი მან დასტოვა თბილისის დაფუძნებით. ის ადგილი, სადაც ეხლა თბილისია, ვახტანგის წინად ეჭირა ატეხილს ტყესა, რომელშიაც ბუდობდა მრავალი ნადირი. ვახტაგი ერთხელ ნადირობდა აქა და გაჩვეული მიმინო გაუყენა ხოხობს. ორივენი ჩაიმალნენ ღრმა ხევში და აღარც ერთი არ გამოჩნდა. მაშინ ვახტანგი თავისი ამალით ჩავიდა ამ ხევში, ნახა მომდინარე ცხელი დიდი ნაკადული და შიგ მოხარშული მიმინო და ხოხობი. მიხვდა ამ ცხელის წყლის მარგებლობასა, გაუსინჯა ამ ადგილს მდებარეობა და არე-მარე და სცნო იგი მოხერხებულ ადგილად ციხე-ქალაქისათვის. ამიტომ უბრძანა გაეკაფათ ტყე, გაესწორებინათ ეს ადგილი, და შესდგომოდნენ სახლების აშენებას. ასე დააფუძნა ვახტანგმა ახალი ქალაქი, რომელსაც დაარქვა თბილისი იმის გამო, რომ თბილის წყლის პირად იდგაო. როცა თბილისი გადიდდა და გამშვენიერდა, იგი აღიარებულ იქმნა დედა-ქალაქად, ნაცვლად მცხეთისა, და მასში იქმნა გადმოტანილი სამეფო ტახტი.

ჩვენი მხნე და დაუღალავი მეფე ერთსა და იმავე დროს

ეკლესიებსა და მონასტრებს აშენებდა და სწავლის მოფენაზედაც ზრუნავდა. ყოველს მონასტერთან და ეკლესიებთან მართავდა სკოლას, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმრთო წერილს, საქართველოს ისტორიას და ზოგს უცხო ენასაცა. ამასთან ცდილობდა, რომ ჩვენს ენაზე გადმოთარგმნილი ყოფილიყო უკეთესად და უნაკლულოდ დაბადება, სახარება და ყველა საეკლესიო წიგნები.

დიდებული ტაძარი სვეტი ცხოველისა მცხეთაში აგრეთვე აშენებულია ვახტანგის მიერ. დიდი მხნეობა, დაუღალავი შრომა და აუარებელი ხარჯი იყო საჭირო ტაძრის აშენებისათვის, და ყველას ამას სძლია ვახტანგმა და თავისი სიკვდილის შემდეგ საქართველოს დაუტოვა უდიდებულესი საღმრთო შენობა.

ვახტანგამდე საქართველოს ეკლესიას მართავდა უცხო პატრიარქი ანტიოქიისა, მცხოვრები შორეულს ქვეყანაში და უცნობი ჩვენის ენისა, ჩვენის ისტორიისა, ჩვენის ხალხისა ვახტანგმა მოიწადინა ჰყოლოდა თავის ერისთვის საკუთარი კათალიკოსი. ანტიოქიის პატრიარქს, რასაკვირველია, არ უნდოდა ხელიდგან გაეშვა ეს უფლება და წინ აღუდგა. მაგრამ კონსტანტინეპოლის პატრიარქი მიიმხრო ვახტანგმა, თავისი გაიტანა და საქართველოს მოუპოვა უფლება ჰყოლოდა თავისი საკუთარი კათალიკოზი.

ამასობაში სიმამრი ვახტანგ მეფისა, სპარსეთის მეფე ფირუზი, მოკვდა და მისმა მემკვიდრემ მოსთხოვა ვახტანგს მორჩილება. ვახტანგმა უარი შეუთვალა, და დაიწყო ომი სპარსელებსა და ქართველთა შორის. გაცხარებული ომის დროს ვახტანგი ძლიერ დაწინაურდა და ამ დროს სასიკვდილოდ დაიჭრა შვილდ-ისრით.

### წმინდა გუნდი ცამეტთა კაპადოკიელთა მამათა.

ძლიერი მეფის ვახტანგის უდროოდ დაკარგვამ ჩვენი ქვეყანა ჩააგდო დიდს განსაცდელში. ვახტანგის მემკვიდრე

თავისს გმირს მამას ბევრით არაფრით ჰგავდა და მან ვერ შეიძლო გამარჯვებული სპარსელების შეკავება. ამათ კვლავ მოიმაგრეს ფეხი ჩვენს ქვეყანაში, იწყეს ბრძანებლობა ქართველ მეფესა და ხალხზე, მოიწადინეს გაძლიერება თავისი სარწმუნოებისა და ამოფხვრა ქრისტიანობისა. განახლდა ორ სარწმუნოებას შორის სასტიკი ბრძოლა. ბრძოლა ქართველთათვის მეტად ძნელი იყო, რადგანაც მაშინდელი სპარსეთი უძლიერესს სახელმწიფოდ ითვლებოდა. ბევრი სულმოკლე ქართველი ღალატობდა ქრისტესა და სპარსელების სარწმუნოებაზე გადადიოდა, რათა ეამებინა მბრძანებელთათვის და ჯილდო მიეღო. ქრისტიანობა სუსტდებოდა და წარმართობა ძლიერდებოდა.

ამ საშინელის გაჭირვების დროს სამხრეთიდგან ქართველებს ძმურად გამოუწვდინა ხელი ერთმა ქვეყანამ, სადაც ესახლა ქართველთა მონათესავე ერი. ეს ქვეყანა იყო კაპადოკია, რომელშიაც ჰყვაოდა ქრისტიანობა და განათლება. ამ ქვეყნიდგან იყო წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი, წმიდა გიორგი, გამოჩენილნი ღვთის მეტყველნი; წმიდა ვასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვანი განთქმულნი მსწავლულნი. ესენი ყველანი, როგორც კაპადოკიელნი, ჩამომავლობით ახლო ნათესავნი იყვნენ ქართველებისა.

აი ამ ქვეყნიდგან წამოვიდა საქართველოში ქრისტეს სჯულის გასამტკიცებლად და გასაძლიერებლად ცამეტი წმიდა მამა. ამ მამებმა კარგად იცოდნენ, რომ სპარსელებისაგან მათ მოელოდათ ტანჯვა, წვალება და თვით სიკვდილიცა; მაგრამ ამას იგინი არ შეუშინდნენ. გამოემგზავრნენ კაპადოკიიდან ჩრდილოეთით ჩვენს ქვეყანაში და მოვიდნენ მცხეთაში, რომელიც იყო სატახტო ქალაქი კათოლიკოსისა. აქ მათ დიდი სიხარულით მიეგებნენ: კათოლიკოსი, სამღვდელოება და ერი.

დიდ ხანს არ დარჩენილან ძვირფასი სტუმრები მცხეთაში. იგინი გაეშურნენ სხვა და სხვა კუთხეებში, სადაც უფრო შესუსტებული იყო ქრისტიანობა და აქ დააარსეს მონასტრე-

ბი. ყველა მონასტრებთან გამართეს სკოლა და წიგნთ საცავი, და ამ სახით მონასტრები გახდეს წყაროდ წმიდა ცხოვრებისა და განათლებისა, და ამითი მეტად ხელი შეუწყეს ქრისტიანობის გაძლიერებასა. ამ მონასტრებში ითარგმნებოდა სხვა და სხვა სალმრთო და საერო წიგნები, იწერებოდა თხუზულებანი და გროვდებოდა ურიცხვი ხელთნაწერები. ყველა მონასტერი სცდილობდა გაემდიდრებინა თავისი წიგნთსაცავი სხვა და სხვა თხუზულებითა, რომლითაც სარგებლობდნენ ყველა წოდების ქართველები და იძენდნენ განათლებასა.

უფრო შესანიშნავი ამ ცამეტ მამათა შორის იყვნენ: იოანე, რომელმაც დააარსა მონასტერი მთა ზედაზენზე, აღმოსავლეთით მცხეთისა, და ამის გამო დაერქვა ზედაზნელი შიო, რომელმაც დააფუძვნა მონასტერი მცხეთის დასავლეთით დიდს მღვიმეში და დაერქვა შიო მღვიმელი, ანტონი მარტყოფელი, დავით საგარეჯოელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი.

---

**არაბთა შემოსევა საქართველოში. წამება დავითისა და კონსტანტინესი და არჩილ მეფისა.**

მეფე ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ას ორმოცის წლის განმავლობაში საქართველო ებრძოდა თავისს ძველებურს მტერსა—სპარსეთსა. ბრძოლა იყო, რასაკვირველია, არა მუდმივი, არამედ დრო-გამოშვებითი.

შემდეგ ჩვენს ქვეყანას შემოესივნენ ახალნი მტერნი—არაბნი.

მეშვიდე საუკუნეში ერთმა არაბისტანის შვილმა, სახელად მაჰმადმა, თავისი თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა, შემოიღო ახალი სარწმუნოება და პირველ მცნებად დაადგინა შემდეგი: „არა არს ღმერთი, გარეშე ალლაჰისა, და მაჰმადი არს მისი წინასწარმეტყველიო". ახალი სარწმუნოება ჯერ არაბისტანში იქმნა გავრცელებული მახ-

ვილითა და ცეცხლითა და შემდეგ მრავალ გარეშე ქვეყნებშიაც. გავრცელება მოხდა საოცარი სისწრაფით. მაჰმადის მემკვიდრეებმა, სხვათა შორის, სპარსეთიც დაიპყრეს, მოსპეს იქ ზოროასტრის სარწმუნოება, ანუ ცეცხლის თაყვანის-მცემლობა და სპარსებს მაჰმადიანობა მიაღებინეს. მერე შეიერთეს სპარსეთის ჯარიც და გამოილაშქრეს ჩრდილოეთისაკენ 664 წელში. წინ ვერავინ აღუდგა. შემუსრეს სომხეთი, დაიპყრეს ქართლი, კახეთი და მთელი კავკასიონი.

არაბების წინამძღოლმა მურვან-ყრუმ შეიტყო, რომ საქართველოს მეფე მირი სამეგრელოშია, ამიტომ გადალახა სურამის მთა და ჩაეშვა იმერეთში. აქ წინ მოეგებნენ ჯარით არგვეთის მთავარნი: დავით და კონსტანტინე და თავ-განწირულად შეებრძოლნენ; მაგრამ ძლეულ იქმნენ და თვითონაც ტყვედ ჩაუვარდნენ ხელში მტერს. მურვან-ყრუმ აღუთქვა მათ ყოველი წყალობა, თუ მაჰმადიანობას მიიღებდნენ; მაგრამ იმათ მაცხოვრის ღალატს ტანჯვა და სიკვდილი არჩიეს და წამებულ იქმნენ ქალაქსა ქუთაისში. ჩვენმა ეკკლესიამ შერიცხა დავით და კონსტანტინე წმიდათა შორის და მათი ნაწილები ასვენია მოწამეთის მონასტერში, გელათის ახლო. მურვან-ყრუ მაინც ვერ ეწია გულის წადილს, ვერ იგდო ხელში ქართველთა მეფე და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო უკან თავისს საბრძანებელში.

მაგრამ ამით არ გათავდა არაბთა შემოსევა. ცოტა ხნის შემდეგ არაბთა მეორე წინამძღოლმა გამოილაშქრა ჩვენს ქვეყანაზედა და იწყო მისი რბევა. ამ დროს მეფე მირი აღარ იყო ცოცხალი და ბრძანებლობდა მისი ძმა არჩილი. არჩილ მეფე წავიდა არაბთა წინამძღოლთან, მიართვა მდიდარი ძღვენი, აღუთქვა ხარჯის ძლევა იმ პირობით, რომ მას თავი დაენებებინა საქართველოსათვის. თუმცა არჩილ მეფის ვაჟკაცობამა და სიმშვენიერემ მოინადირა გული არაბთა წინამძღოლისა, მაგრამ იმან თხოვნა მეფეს არ აღუსრულა. პირ-იქით, მოითხოვა, რომ არჩილს მიეღო მაჰმადის სჯული. ჩვენმა მეფემ მტკიცე უარი უთხრა, რის გამოც

წამებულ იქმნა. ჩვენმა ეკკლესიამ იგიც შერიცხა წმიდათა შორის.

ამის შემდეგ არაბები დამკვიდრდნენ საქართველოში და მთავარ ბინად აირჩიეს **თბილისი**, სადაც დასვეს მთავარმართებელი საქართველოსი, **ემირად** წოდებული.

სამართალი მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ შემდეგში არაბები დაწყნარდნენ, დამშვიდდნენ და ხათრით ეპყრობოდნენ ქართველებსა. **ხარჯს** იღებდნენ ძალიან მცირესა, **თბილისის** გარედ ქვეყნის საქმეებში სრულიად არ ერეოდნენ და სჯულის გამოცვლასაც აღარ თხოულობდნენ ქართველებისაგან. ძლიერ უყვარდათ აგრეთვე განათლება და ქართველებსაც აქეზებდნენ სწავლაში. ამასთან არავითარს სხვა მტერს არ უშვებდნენ საქართველოში. ამითიისარგებლეს ჩვენმა მეფეებმა, რომელნიც დასავლეთ საქართველოში სცხოვრებდნენ, და ძლიერ წინ წააყენეს საქართველო ყოველ მხრივ. **ხანგრძლივის** მშვიდობიანობის გამო ჩვენი სამშობლო აივსო მცხოვრებლებით, დოვლათი დატრიალდა ხალხში, ქვეყანამ ძალა მოიცა და ბოლოს მოიწადინა გარეკვა არაბებისა, და კიდეც ეწია ამ წადილსა.

საქართველოს განთავისუფლება არაბთაგან მოხდა **ბაგრატ** მეოთხის დროს მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, მაშასადამე, სამასის წლის შემდეგ არაბთა პირველ შემოსევიდგან.

**დიდი ღვაწლი „ივერიის“ მონასტრისა და თორნიკე ერისთავისა განათლების წინაშე.**

მეათე საუკუნეში **საქართველოს** დიდი ღვაწლი დასდეს იმ მონასტრებმაც, რომელნიც დაარსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნებში ქართველ ბერებისაგან. **ყველა** ეს მონასტრები მოღვაწეობდნენ **საბერძნეთის** საბრძანებელში სხვა-და-სხვა ადგილას, სახელდობრ: **ოლუმპოში**, **შავ**-მთაზედ, **ანტიოქიის** მახლობლად, **იერუსალიმში**, **სინას** მონასტერში და **ათონის** მთაზედ. **მათ** შორის პირველი ადგილი ეჭირა და მეტი

ღვაწლით ბრწყინავდა ივერიის მონასტერი, წმიდა ათონის მთაზედ დაარსებული. ეს მონასტერი დაფუძნებულ იქმნა ქართველი ბერებისაგან მერვე საუკუნის გასულს. ეს შორეული ადგილი იმიტომ ამოირჩიეს სამონასტროდ ქართველებმა, რომ იგი იდო ურწმუნოთაგან მიუვალს მთაზედ და ეკუთვნოდა მართლ-მადიდებელს სახელმწიფოსა — საბერძნეთსა.—

ბერებათ ამ შორეულს მონასტერში მიდიოდნენ არა უბირნი ქართველნი, არამედ უფრო განათლებულნი და წარჩინებულნი პირნი. ისენი სიჭაბუკეში ემსახურებოდნენ სამშობლოს თავისი ძლიერი მარჯვენით, ჭკუით, გამოცდილებით და მხნეობით, ხოლო ხნიერებაში მიმართავდნენ ხოლმე მონასტრის სიმყუდროვეს, რათა ღვთის მსახურებაში გაეტარებინათ თავისი დანარჩენი სიცოცხლე, დღე და ღამე ევედრებინათ ღვთისათვის თავისი საყვარელი ქვეყანა, ამასთან ეთარგმნათ და ეწერნათ სასულიერო წიგნები, ეფინათ იგინი ხალხში და გაეძლიერებინათ ქრისტეს სარწმუნოება და განათლება.

მონასტერი ესე დიდად გაძლიერდა, გაფართოვდა, გამშვენიერდა და ლავრად გადაიქცა მეათე საუკუნის გასულს თორნიკე ერისთავის მეოხებით.

თორნიკე ერისთავი დაიბადა და აღიზარდა სამხრეთ საქართველოში ანუ მესხეთში. ჩამომავლობით იგი ეკუთვნოდა ფრიად წარჩინებულს გვარეულობას და იყო ერთი მთავართაგანი, ანუ ერისთავთაგანი. ჭაბუკობაში თორნიკე იყო ერთი საუკეთესო სარდალი და მის წინამძღოლობით ქართველმა ჯარმა არა ერთხელ გაიმარჯვა ბრწყინვალედ მტერზედ. ხანში რო ჩავარდა, თორნიკემ დასტოვა სამსახური, უარ-ჰყო ყოველივე ქვეყნიური სიამოვნება და ზრუნვა, გამგზავრდა საბერძნეთში და მივიდა „ივერიის“ მონასტერში. აქ უბრალო ბერად აღიკვეცა წინამძღვრის მამა იოანეს მიერ, რომელსაც ერის კაცობაში ცოლად ჰყავდა თორნიკეს და და იყო მისი ნასიძარი.

მაგრამ მამა თორნიკე ჩქარა იძულებული გახდა შეეწ-

ყვიტნა თავისი მყუდრო ცხოვრება, დაეტოვებინა Aთონის მთა, წამოსულიყო საქართველოსკენ, ხელ-ახლად აღჭურვილიყო სომარი იარაღით და დაბრუნებოდა ქვეყნის მღელვარებას. Aსე დატრიალებ Tორნიკეს ბედისა მოხდა შემდეგი მიზეზის გამო.

Aმ დროს ბერძნების იმპერატორს Vასილს აუჯანყდა ერთი მისი მთავარი, სახელად Bარდა Sკლეროსი, რომელიც განაგებდა აღმოსავლეთის ნაწილს მცირე აზიისას და იყო მისი ერისთავი. Aჯანყებულს ერისთავს ჰყავდა ძლიერი ჯარი, გამოცდილი მრავალს ომშია და თვითონაც ჩინებული სარდალი იყო. Aმასთან ისე ოსტატურად წაიყვანა საქმე, რომ Sომხეთის ჯარიც თავისკენ გადაიყვანა. Aმიტომ მან მოკლე ხნის განმავლობაში დაამარცხა რამდენჯერმე ბერძნების ჯარი, დაიპყრო მთელი აღმოსავლეთის ნაწილი მცირე აზიისა და გამარჯვებით მიიწევდა Kონსტანტინეპოლისკენ. Sემინდა იმპერატორი და არ იცოდა, რა ექმნა. Aმ დროს მოახსენეს მას, რომ „Iვერიის" მონასტერში არის ერთი ქართველი ბერი Tორნიკე, სარდლად ნამყოფი, დიდი გვარის შვილი, რომელსაც დიდს პატივსა სცემს სამხრეთ საქართველოს მბრძანებელი—Dავით Kურაპალატი. Dაიბარე ეს ბერი და მისი Sუამავლობით სთხოვე Dავითს შეშველება ჯარით Sკლეროსის წინააღმდეგ. Aსეც მოიქცა იმპერატორი. Aფრინა სანდო პირნი, მიიწვია თავისთან Tორნიკე, სთხოვა დაეტოვებინა დროებით მონასტერი და ეკისრნა შუა-კაცობა. Tორნიკესთვის მეტად საძნელო იყო ამ თხოვნის აღსრულება და მონასტრის მყუდრო ცხოვრების შეწყვეტა, მაგრამ უარი ვერა ჰკადრა იმპერატორსა, მით უმეტესს, რომ Sკლეროსი მას მიაჩნდა მიუტევებელ დამნაშავედ. Iმპერატორმა დასწერა და გამოატანა Tორნიკეს წერილი Dავით მეფესთან, რომელშიაც სთხოვდა შეშველებას ჯარითა, ამასთან აღუთქვამდა დაბრუნებას Kლარჯეთისას, Aრტაანისას, Bასიანისას და ზოგი სხვა ქვეყნისას, რომელნიც წინად ქართველებს ეჭირათ და ახლა კი ბერძნების ხელში იყო.

დავითმა დაუყოვნებლივ აუსრულა თხოვნა იმპერატორსა. შეჰკრიბა თორმეტი ათასი საუკეთესო ქართველი ჯარი,



იოანე, გაბრიელ და ექვთიმე,
გამამდიდრებელნი ქართულის ლიტერატურისა.

მის მთავარ წინამძღოლად დანიშნა თვითონ თორნიკე და გაგზავნა სკლეროსის წინააღმდეგ.

ქართველი ჯარი გაეშურა სამხრეთისაკენ, გადაიარა კლარჯეთი, შეიერთა ბერძენთა დამარცხებულის ჯარის დანარჩენი და მდინარე ჭალისის ნაპირს შეებრძოლა მტრის ჯარსა, ბევრად უმრავლესს ქართველებზედ. ძლევა-მოსილი სკლეროსი საოცარი ოსტატობით წინამძღოლობდა, ჯარი მისი იბრძოდა თავ-განწირული მამაცობით, მაგრამ თორნიკემ მაინც საშინლად დაამარცხა მტერი. ბევრი ნაწილი მტრის ჯარისა ბრძოლის ველზედ დაეშვა დაჭრილი და დახოცილი, ბევრი დაიღუპა აღელვებულს მდინარეში და დანარჩენნი ქართველებმა გაირეკეს აღმოსავლეთისაკენ და სდიეს სპარსეთის საზღვრამდე. თვითონ სკლეროსი თუმცა სიკვდილს გადარჩა, მაგრამ იძულებული გახდა გაქცეულიყო შორეულს არაბისტანში. გამარჯვებულებს ჩაუვარდათ ხელში აურებელი დავლა, რომლის ორი წილი ერგოთ ქართველებს და ერთი წილი ბერძნებსა. გახარებულმა იმპერატორმა ვასილმა არამც თუ დაუბრუნა მეფე დავითს აღთქმული ქვეყნები, არამედ მდიდარი საჩუქრებიც გამოუგზავნა როგორც მას, ისე თორნიკესა.

გათავდა თუ არა ლაშქრობა და დამშვიდდა აჯანყებული ქვეყნები, თორნიკე შეიმოსა ისევ ბერულად და გაემგზავრა ათონის მონასტერში. მან თან წაიღო თავისი საყვარელი მონასტრისათვის დავლა და საჩუქრები, რომელიც მიიღო დავითმა და თვით თორნიკემ მადლიერის იმპერატორისაგან. ეს სიმდიდრე მთლად მოახმარა მონასტრის გადიდებასა და გამშვენიერებასა და ტაძრის აშენებას იოანე ნათლის-მცემლის სახელზედ.

კარგა ხანს ამშვენებდა ამ დიდებულს მონასტერს ღვაწლიანი ცხოვრება მამა თორნიკესი, რომელმაც ისეთივე სიძლიერე გამოიჩინა ზეციურს სათნოებაში, როგორსაც იჩენდა ქვეყნიურს საქმეებში ერის-კაცობის ჟამსა.

გარეგან გამშვენებასთან „ივერიის“ ლავრაში იმატა შინაგანმა ღვაწლმაცა. ეს სავანე იყო არა მარტო ადგილი, სადაც დღე და ღამე გაისმოდა მხურვალე ლოცვა და ვედ-

რება უფლისადმი, არამედ უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი, სადაც იზრდებოდნენ ჭეშმარიტს ქრისტიანულს გზაზედ გუნდნი ნიჭიერი ქართველებისა. აქვე გადითარგმნა მშვენიერი ქართული ენით: დაბადება, სახარება, მრავალი საეკლესიო წიგნები და სხვა თხუზულებანი, რომელნიც ათონის მთიდგან იფინებოდნენ საქართველოში, უნათლებდნენ ქართველს ერს გონებასა და ამტკიცებდნენ მას ქრისტეს სიყვარულსა და მამულის ერთგულებაში.

იმ წმიდა მამათა შორის, რომელთაც განაძლიერეს „ივერიის“ მონასტრის მნიშვნელოება და გავლენა, პირველი ადგილი უჭირავსთ ათანასე დიდსა, მეტად ნიჭიერს, განსწავლულს და ღვაწლით მოსილს ქართველსა. ხოლო მთარგმნელთა შორის უმთავრესნი იყვნენ: იოანე, ძე მისი ექვთიმე, გაბრიელი და მათ შემდეგ გიორგი მთაწმინდელი, ძმისწული იოანესი. ამ სასიქადულო მესხეთის შვილთა მშვენივრად იცოდნენ ქართულის გარდა, ებრაული, ბერძნული და არაბული ენები, იყვნენ ღრმად განსწავლულნი, მეტადრე საღმრთო წერილში, შეთვისებული ჰქონდათ ფილოსოფიაც და ამის გამო ჩინებულად სთარგმნიდნენ და საუცხოვოდ სწერდნენ. მხლაც განცვიფრებაში მოჰყავს მკვლევარი მათს წმინდა, უნაკლულო ქართულს ენას, მათს დაუღალავს შრომის მოყვარეობას, მათს სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას. მარტო ექვთიმემ და გიორგი მთაწმინდელმა გადათარგმნეს და დასწერეს ოთხმოცამდე წიგნი.

„ივერიის“ მონასტრის მნიშვნელობა და ღვაწლი თორნიკე ერისთავისა მომხიბლავი პოეზიით დაგვიხატა აკაკი წერეთელმა თივისს პოემაში „თორნიკე ერისთავი“. მოგვყავს აქ ერთი ადგილი.

იოანე და თორნიკე.

ათონის მაღლა მთაზედა,
მთა-წმიდად სახელ-დებულსა,
სადაცა უდაბნოებსა

და ტაძრებს წმინდად გებულსა
რიცხვი არა აქვთ,—იქ ლავრა,
დაუდებელი ფასისა.

ყველაზედ პირველი არის
დიდისა „ათანასისა".
გინდ დარი იყოს საამო,
გინდ ავდარი საზარი,
სამოთხის სადგურს გვაგონებს
მაღლობზედ მდგომი ტაძარი...
ხან, ღრუბლით შემობურვილი,
გარშემო ირტყამს ელვასა
და გადაჰყურებს შორის ზღვის
ტალღების გროვა-ღელვასა...
ხან ისარივით სხივები
დილის მზის ეტყორცებიან,
თითქმის იმ საღმრთო ნათელსა
ნათლითა ეხორცებიან;
ხან ღამით მთვარე გავსილი,
თითქოს მიმსვლელი იქ ბინად,
თავზედ ედგმება წმიდასა
წმიდა დიდებულ გვირგვინად.
და ვარსკვლავებიც იმავ დროს
დაჰფეთქენ, დასჭიკჭიკობენ
და ამ გალობით ძალთა ძალს
აღმაღლებულად ამკობენ...
წინ უძევს ბაღი ხეხილის,
ხელოვნად შენაკაზმისა,
და იქვე წყარო ჩუხჩუხებს
წმინდისა აიაზმისა.
მთა მწვანე ზეთის-ხილისა
და ყვავილები ველისა,
საკუთრად აღმომფშვენელნი
ბუნებით-საკმეველისა,
ჰაერსა შეაზავებენ
სამკურნალოდ და მარგადა
და სასულდგმულოდ ცხოველთა
მიანიჭებენ ხარკადა!..
მეუდაბნოედ მიდიან
საქრისტიანოს ყოველ მხრით
და იქ იჩენენ სავანეს
ხასოებით და ცრემლის ღვრით.
წიაღ-გახსნილი უდაბნო
უჩენს, ვინც მივა, ბინასა
და მორწმუნეთა იზიდავს,
ვით ადამატი რკინასა.
აქვე მოსულა ულუმპოთ
იოანეცა ქართველი
და მორჩილობის დროსავე
განთქმია დიდი სახელი.
დღეს მოძღვარია ნეტარი
ბერისა მრავალ ასისა
და მეგობარი იმავ დროს
წინამძღვრის ათანასისა.
დიდი ხანია სამშობლო
მან დაუტოვა ნებითა,
მაგრამ გული კი ისევე
უღელავს ხოლმე ვნებითა,
როდესაც მოაგონდება
მისი სამშობლო მამული
და, გატაცებულს ოცნებით,
არევით უცემს მას გული!..
და მაშინ სცდილობს მიეცეს
მარტოობასა შორს სადმე,
ბუნების ჭვრეტით გაერთოს
და გულს მიჰფინოს სიამე.
ერთხელ დილას იოანე
შემდგარიყო მაღალ სერზედ
და ცრემლები ნეტარების
ეცემოდა სპეტაკ წვერზედ.
ზღა და ხმელი იმის თვალ-წინ
იშლებოდა ედემურად
და სამოთხის სიამესა
გაემსჭვალა უნებურად...
დიდხანს, გრძნობა მორეული,
ველარაფრის იყო მთქმელი,
მხოლოდ ნიშნად ნეტარების
მას აეპყრა მაღლა ხელი.
თითქოს მაშინ მას უნდოდა
ცა და ქვეყნის შემყარება,

რომ ამითი წუთიერი
გაგრძნობოდა ნეტარება!..
ამ დროს მის წინ, ვით ჩვენება,
გამოცხადდა მგზავრი-მწირი;
დაემხო და თაყვანი სცა,
მოარიდა განზრახ პირი.
შეკრთა უცბათ იოანე
და უთხრა მას ბრძნულ ენით:
„—ვინ ხარ, შვილო? ან რასა მთხოვ?
მიპასუხე გამოჩენით!“
„—შენსა ლოცვა-კურთხევასა
მამაშვილურ-მეგობრულად!“
უპასუხა იოანეს
მაშინ მწირმა ტკბილ-ქართულად.
ქართულ ლექსის გაგონებამ
იოანე ააჩქარა.
ტანში რაღაც უნებურმა
ჟრუანტელმა დაუარა.
მივარდა და ხელი სტაცა,
ააყენა დაჩქარებით,
რომ შეხედა, უფრო შეკრთა,
მიაჩერდა გაშტერებით...
აკვირვებდა ულოდნელი
ჩვენება და სანახავი:
იმ გლახაკის სამოსელში
იცნო თორნიკ ერისთავი.

აკაკი.

---

## დავით აღმაშენებელი.

დავითი მეფობდა საქართველოში მეთერთმეტე საუკუნეში. თავისი ბავშობის დროს დავითი გახდა მოწამე და მხილველი საქართველოს საშინელის უბედურებისა. ჩვენს ქვეყანას შემოესია მხეცი ხალხი, ფრიად მრავალ-რიცხოვანი, რომელსაც დიდ-ძალი ჯარი ჰყავდა. ეს ხალხი იყო ოსმალები, ანუ თურქები. მათ დაიპყრეს ჯერ მრავალი ქვეყანა და ბოლოს შემოიჭრნენ საქართველოში. გადასწვეს ქალაქები და სოფლები, დაანგრიეს ციხეები, ხალხს წაართვეს სარჩო-საბადებელი და ბევრიც დახოცეს. ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი გაიხიზნა კავკასიონის და თრიალეთის მთებში და აქ ავადმყოფობისა და სიმშილისაგან ბევრი გაწყდა. საქართველო თითქმის გავერანდა, დაქცეულს ოჯახს დაემსგავსა. თვით პატარა ექვსის წლის დავითმა ძლივს გაასწრო ერთი ფეხით ქუთაისიდან რაჭისკენ, როცა ოსმალები თავს დაესხნენ ამ ქალაქსა და ცეცხლი მოუკიდეს...

ტანჯულს ხალხს დიდი იმედი ჰქონდა დავითისა, რომელიც სოცრად მომავალი ბავშვი იყო. ეს იმედი სავსებით აუსრულდა. დავითი სამაგალითოდ აღიზარდა და როცა თექვს-

მეტის წლისა შესრულდა, ყველას აოცებდა თავისი მდევისებური ტანოვანობით, დიდი ჭკუით და საარაკო მხნეობით. ამის გამო ხალხმა მოითხოვა დავითის დაუდევარი მამისაგან, რომ სამეფო ტახტი თავისი ვაჟისათვის დაეთმო. ისიც ხალხის ნებას დაჰყვა, აკურთხებინა მეფედ თექვსმეტის წლის დავითი და თვითონ მონასტერში წავიდა ბერად.



უპირველესად ყოვლისა მეფე დავითი შეუდგა ოსმალების თავიდან მოშორებასა. ბრძოლით ეს არ შეიძლებოდა ჯერ ჯერობით, რადგანაც ხალხი მეტად შემცირებული და დაუძლურებული იყო. დავითმა ოსმალების მბრძანებელს მიმართა ასეთი სიტყვებით: თქვენი შიშით ხალხი გახიზნულია მთა-კლდეებში, გალატაკებულია და დასარბევსაც კი ველარაფერს შოულობთ. წადით საქართველოდგან, ხალხი ჩამოვა თავის მიწა-წყალზე, ხვნა თესვას შეუდგება, დოვლათს შე-

ძენს და ყოველ წლივ გადაიხდის თქვენს ხარჯსა. მანამდინ კი ჩემი საკუთარი ქონებიდგან გაძლევთ ხარჯსა.—ოსმალები დაეთანხმნენ დავითსა, გავიდნენ საქართველოდგან და დაბანაკდნენ სამხრეთით, ოსმალეთში. მაშინ ჩვენი ხალხი ჩამოვიდა მთებიდგან, ააშენა დანგრეული სოფლები, მიჰყო წინანდებულად ხელი მეურნეობას და მალე მოღონიერდა. ამ მოღონიერებას ძლიერ ხელი შეუწყო დავითმა, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა ხალხის ფეხზე დაყენებაზე და მის კეთილდღეობაზე. ტყეში ყოფნის დროს ბევრი ხალხი დასნეულდა; დავითმა ამ სნეულთათვის დიდს სოფლებში გამართა თავისი ხარჯით სახალხო სამკურნალოები, სადაც ავად-მყოფებს მუქთად ინახავდნენ და სწამლობდნენ. თვითონ დავითი ხშირად ინახულებდა ხოლმე ამ სამკურნალოებს და მამობრივს მზრუნველობას არ აკლებდა ავადმყოფებსა. ამისთანავე მამობრივს შემწეობას უხვად აძლევდა ყველა ღარიბსა და გლახაკსა. თუ რომელსამე დღეს შემწეობას ვერ აღმოუჩენდა გაჭირვებულსა, იმ დღეს დაკარგულად რაცხდა და ამბობდა: დღეს მე ცოდოებმა ნება არ მომცეს უფლის ვალი გადამეხადნაო.

ოსმალთაგან დანგრეული ქალაქები დავითმა ყველანი ააშენა, განაახლა. გორში, რომელიც მიწასთან გაასწორეს ოსმალებმა პირველ შემოსევის დროს, დავითმა სომხები გადმოასახლა ქალაქ განიდგან და დაამკვიდრა.

დავითი იყო მეტად ღვთის-მოყვარე გვირგვინოსანი: ეკკლესიებს აშენებდა, ხშირად წირვა-ლოცვაზე დადიოდა და მის მოწყალებას საზღვარი არ ჰქონდა. ამავე დროს ის პატივსა სცემდა სომხებისა და მუსულმანების სჯულსა, ხანდახან დადიოდა სომეხთა მთავარს ეკკლესიაში და მუსულმანთა ჯამეში და ებაასებოდა მათ სასულიერო პირებსა.

დავითის გამეფებამდინ გლეხს შეეძლო მხოლოდ მღვდლობა მიეღო. ეპისკოპოზად ვერ ეკურთხებოდა, რაც უნდა ღირსეული ყოფილიყო. ეპისკოპოზებად სულ თავად-აზნაურები იყვნენ. ეს კიდევ არაფერი. უველაზე უარესი ის იყო, რომ მღვდლები ყმები იყვნენ ბატონებისა გლეხებივით და იხდიდ-

ნენ ყოველს საყმო ხარჯსა. Დავითმა მღვდლები გაანთავისუფლა მონობისაგან, მიანიჭა დამოუკიდებლობა და უფლება ეპისკოპოზად კურთხევისა.

Მაგრამ დავითმა საქართველო უფრო იმითი გააძლიერა, რომ განათლებას ფართო გზა გაუხსნა. Მან დააარსა მრავალი სასწავლებელი: დაბალი, საშუალო და მაღალი. Ხალხი აძლევდა თავისს შვილებსა ამ სკოლებში და ეწაფებოდა განათლებასა. Ესეც არ იკმარა. Ყოველ წლივ უნივერსიტეტის კურსს დასრულებულს ყმაწვილებს გზავნიდა სახელმწიფო ხარჯით უმაღლესი სწავლის მიღებისათვის საბერძნეთში, რომელიც მაშინ განათლებით ყველაზე დაწინაურებული იყო. Თვითონ Დავით მეფე უჩვენებდა ხალხს ჩინებულს მაგალითს სწავლის სიყვარულისას: ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა წიგნებისა და კითხულობდა ყოველთვის, როცა კი სამეფო საქმეებისაგან მოცლილი იყო. Ასე გასინჯეთ, ლაშქრობისა და ნადირობის დროსაც თან დაჰქონდა ბიბლიოთეკა საკითხავად.

როცა ქვეყანამ ძალ-ღონე მოიცა, Დავითმა შეადგინა დიდი ჯარი და ხარჯი აღარ მისცა ოსმალებსა. Ესენი გაბრაზებულნი გამოეშურნენ საქართველოსაკენ; მაგრამ Დავითი ჯარით მათ მიეგება საზღვარზე და საშინლად დაამარცხა. Გაქცეულს მტერს უკან დაედევნა და სულ გაანადგურა. Ბრძოლის ველზე გაჩნდა ახალი ჯარი ოსმალებისა; მაგრამ ამასაც Დავითმა შავი დღე დააყენა. Ათჯერ კიდევ სცადეს ოსმალებმა ბედი; მაგრამ ყველა ომი თავდებოდა მათი დამარცხებით და გაქცევითა. Ასეთი გამარჯვება ოსმალებზე Დავითს გაუადვილა იმანაც, რომ ჩრდილო კავკასიიდან მან მოიშველია თავისი სიმამრის ჯარი. Მაგრამ მთავარი მიზეზი ყველა გამარჯვებისა იყო თვით Დავითი. Მის სიმამაცეს საზღვარი არა ჰქონდა. Პირადად თავგანწირულად იბრძოდა და არა ერთხელ დაიჭრა გაცხარებულს ომში. Მტერს მაშინ დაეცემოდა ხოლმე, როცა იგი არ მოელოდა, იქიდგან მოუვლიდა, საიდგანაც მტერს ფიქრი არა ჰქონდა.

Დავითმა მთლად და სავსებით გაანთავისუფლა მთელი

საქართველო ოსმალებისაგან. მაგრამ მარტო ამათი არ დაკმაყოფილდა. ველური ოსმალები გარეკა სომხეთიდანაც და განთავისუფლა მათი მონობისაგან სომეხთა დედა-ქალაქი ანი, სადაც დანიშნა მთავარ-მართებლად ჩინებული ქართველი მოღვაწე. აგრეთვე განდევნა ოსმალები ყველა სხვა მახლობელი ქვეყნებიდგანა. შავი ზღვიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე ოსმალების სინსილა გააწყო და ყველა ხალხს შვება მისცა. ამიერ კავკასიის მადლიერმა ხალხებმა დავითი აღიარეს მეფეთა მეფედ და ყოველ-წლიურს ხარჯს აძლევდნენ ნება-ყოფლობით.

დავითი ყველას ხიბლავდა თავისი კაცთ-მოყვარეობით; შესისხლხორცებული ჰქონდა სახარების სწავლა, გამსჭვალული იყო მოყვასის გულწრფელი სიყვარული, მუდამ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა და თავისი თავი დავიწყებული ჰქონდა. ამასთან მეტად უყვარდა ღვთის მსახურება. ამის გამო დავითი ქართველმა ხალხმა და ეკკლესიამ წმიდათა თანა შერაცხეს...

დავითი დამარხულ იქმნა დიდებულ გელათის მონასტერში, რომელიც მანვე აღაშენა ქალაქ ქუთაისის ახლო.

### დავით აღმაშენებელის ღვაწლი (ლექსი).

ზეცა წყალობად, ნუგეშად ივერსა აოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,
მხედარ-მთავარსა უძლეველს, გულმოწყალესა მსაჯულსა,
ზე შთაგონებით განსწავლულს, ენა მდინარე მეტყველსა!
დავით სთქვა: იყავ ქალაქნი და აღმოსცენდნენ ქალაქნი!
განვლე უდაბნო ოხერი, სავსე დაბებით შეჰქმენი;
დაჰკარ წერაქვნი და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენი.
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი.
ხმა ჰყავ და აღსდგა ივერი, ფენიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული.

გრიგოლ ორბელიანი.

## თამარ-მეფე.

თამარი მეფობდა საქართველოში მეთორმეტე საუკუნეში. იგი იყო შვილის შვილის შვილი დავით აღმაშენებელისა და ერთად ერთი შვილი თავისი დედ-მამისა. როცა თა-



მარი დაიბადა და აღიზარდა, საქართველო შეერთებული და ძლიერი სამეფო იყო. ეს ძლიერი სამეფო თამარმა თავისი გამეფების შემდეგ გარდააქცია უძლიერეს სახელმწიფოდ.

თამარ-მეფეს ჩვენი ხალხი მაღლა აყენებდა და აყენებს საქართველოს ყველა მეფეზედ. რვა ასი წელიწადია, რაც თამარი გარდაიცვალა; მაგრამ მისი ხსოვნით სავსეა ეხლაც მთელი ჩვენი ქვეყანა. ქართველობას ეხლაც თამარი ისე ცხადად უდგია თვალ-წინ და ისე ადიდებს მას, თითქო იგი გუშინ ყოფილიყოს მისი მბრძანებელი.

ასეთი უმაგალითო დიდება თამარმა მოიპოვა იმის გამო, რომ იგი იყო შემკული ყოველი უმაღლესი ღირსებითა. თამარ მეფეზე სავსებით აღსრულდა ქართული ანდაზა: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. გიორგი მეფე, თამარის მამა, შვილის შვილი დავით აღმაშენებლისა, დიდად ირჩეოდა სხვებში თავისი მაღალი ჭკუით და რკინის ხასიათით. დედა მისი, ოსთა მბრძანებლის ქალი, ბრწყინავდა აუწერელი სიმშვენიერით და მეტად მოსიყვარულე გულით. თამარზე სავსებით გადავიდნენ ღირსებანი მამისაც და დედისაც, და იგი შეიქმნა უსრულესს ადამიანად. მაღალი ჭკუა, მტკიცე ხასიათი, კაცთ-მოყვარე გული და იშვიათი მომხიბლავი სიმშვენიერე სათაყვანო გვირგვინოსნად ჰხდიდნენ თამარსა.

როცა თამარი თავისი მამის მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა, იგი იყო ოცის წლის უმშვენიერესი ქალწული. ხალხმა კარგად იცოდა იშვიათი ღირსებანი თამარისა და ამიტომ მისმა გამეფებამ იგი აღავსო გამოუთქმელი სიხარულით.

თამარის მამის დროს ბევრმა დიდი-გვარის თავადმა დაჰკარგა მაღალი ადგილი და მათ მაგიერ გამწესებულ იქმნენ მცირე გვარის ჩამომავალნი; მაგრამ უფრო ნიჭიერნი, უფრო მხნენი და უფრო უანგარონი. ამ დიდი გვარის თავადებმა თამარ მეფეს მოსთხოვეს, რომ მას მათი მოადგილენი დაეთხოვა სამსახურიდან და ისინი გაემწესებინა უწინდებურად. თამარმა უარი შეუთვალა. მაშინ დიდებულებმა ჯარი შეჰყარეს და ძალით უნდოდათ თავის გულის წადილს სწეოდნენ.

თამარმაც გაამზადა თავისი ჯარი; მაგრამ, რადგანაც ქართველის სისხლის დღვრა ესაზარებოდა მის კაცთ-მოყვარე გულს, ამის გამო ჯერ მშვიდობიან ხერხს მიმართა. აჯანყებულს დიდებულებთან გაგზავნა ორი მოხუცებული და ყველასაგან ფრიად პატივცემული მანდილოსანი მოსარიგებლად. ამათ აჯანყებულებს ურჩიეს დაწყნარებულიყვნენ, წინააღმდეგობაზე ხელი აეღოთ, და აღუთქვეს, ვინც თქვენგანი ღირსეული აღმოჩნდება, ყველა შესაფერს ადგილს მიიღებსო. გასჭრა იმ მანდილოსნების შუაკაცობამ და აჯანყებულნი დაშოშმინდნენ, მით უმეტეს, რომ ცხადად დაინახეს, თუ რა საშიში იყო მათთვის ბრძოლა თამარის ძლიერ ჯართან.

შემდეგ თამარი შეუდგა სამღვდელოების სრულს განახლებასა. სამღვდელოების მეთაური კათალიკოზი მიქელი თვითონ იყო ჰანგარი, მოქრთამე, სამღვდელოებაშიაც გავრცელდა ეს სენი და ამან ძლიერ დაბლა დასწია სამღვდელოება. თამარმა სამღვდელო პირთა კრება მოახდინა საეკლესიო წესების გასაუმჯობესებლად და ამ კრების თავმჯდომარედ დაიბარა იერუსალიმიდან ქართლის კათალიკოზად ნამყოფი ნიკოლოოზ გულაბრიძე, რომელმაც კათალიკოზობას თვითონ დაანება თავისი სიმდაბლის გამო და რომელიც განთქმული იყო თავისი წმინდა ცხოვრებით და სწავლით. ამ კრებამ ბევრი უღირსი ეპისკოპოზი და სამღვდელო პირი გადააყენა, უპირობდა გადაყენებას თვით კათალიკოზს მიქელს, მაგრამ რადგანაც იგი სასიკვდილოდ იყო ავად, აღარ ჩააშხამეს უკანასკნელნი დღენი. ამ კრებამ ქართულის ეკკლესიაში დაამყარა სრული წესიერება და მისი გავლენა ხალხის ზნეობაზე გააძლიერა.

სამხრეთის მხრივ გარეშე მტრები შემოესივნენ საქართველოს. იგონათ, მბრძანებელი ქალი სისუსტეს გამოიჩენსო და საქართველოს ფეხ-ქვეშ გავთელავთ და დავარბევთო. მაგრამ საშინლად მოსტყუვდნენ. თამარის ჯარმა მტერი უფრო კიდევ უარესად დაამარცხა, ვიდრე მარცხდებოდნენ მისი მამის და პაპის დროსა; შიშის ზარი დასცა და შემოსევის წადილი მთლად გაუქრო.

საქართველოს სიკეთისათვის საჭირო იყო, რომ თამარს მემკვიდრე ჰყოლოდა. ამიტომ სთხოვეს თამარს მეუღლის შერთვა ენებებინა. თამარიც ნებას დაჰყვა. ქმრად ამოურჩიეს რუსეთის ბატონიშვილი გიორგი, რადგანაც ეგონათ, რომ ეს ქორწინება განამტკიცებდა კავშირს საქართველოს და რუსეთის შორის და გარეშე მტრებს უფრო მეტს შიშს მისცემდა. თამარი ჯერ უარზე დადგა: უცხოს და უცნობს კაცს როგორ მივთხოვდეო; მაგრამ მერმე ერის ნებას დაჰყვა სამეფოს სიკეთისათვის და ჯვარი დაიწერა გიორგი რუსზე. ქორწილი გადაიხადეს ისე დიდებულად, რომ არც წინად და არც შემდეგ საქართველო ამისთანა საარაკო ქორწილს არ მოსწრებია.

საუბედუროდ, გიორგი რუსი მეტად უზნეო გამოდგა: სამეფოს სიკეთეზე სრულიად არ ფიქრობდა, დროს ატარებდა ქეიფში და ლოთობაში და ცუდს მაგალითს უჩვენებდა თავისს ქვეშევრდომებს. თამარი ბევრს ეცადა გაესწორებინა თავისი მეუღლე; მაგრამ ვერას გახდა. მაშინ იგი იძულებული შეიქმნა გაჰყროდა თავისს ქმარსა და გაეგზავნა საქართველოდგან. მისცა საცხოვრებელი ფული და გაისტუმრა კონსტანტინოპოლში. ამის შემდეგ თამარის მეუღლობას ეძებდა არა ერთი ტახტის მემკვიდრე გარეშე ქვეყნებისა; მაგრამ ყველას უარი უთხრა მან, რადგანაც ეფიქრებოდა: ეს უცნობნი პირნი შეიძლება ისეთივე ცუდნი გამოდგნენ, როგორც გიორგი რუსიო. მეუღლედ ამოირჩია დავით სოსლანი. ეს იყო შვილი ოსეთის მბრძანებლისა და ჩამომავლობით ბაგრატიონი. პატარაობისას სოსლანი დაობლდა და თამარის მამიდამ, რუსუდანმა, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, იშვილა იგი. ჩამოიყვანა მთიდგან საქართველოში და თავისთან გაზარდა. ენით, ჩვეულებით, ხასიათით სოსლანი ნამდვილი ქართველი იყო. თამარი პატარაობიდან მასთან ერთად აღიზარდა; ამიტომ კარგად იცნობდა, მოსწონდა და ამის გამო მასზე იქორწინა მეორე ქორწინებით.

მაგრამ გიორგი რუსი როდი შეურიგდა თავისს ბედსა.

მან მოინდომა უკან დაებრუნებინა დაკარგული ტახტი. Ის უცხო ჯარით შემოესია დასავლეთ საქართველოს და გადიბირა თავისკენ ყველა იქაური ერისთავები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ Თამარისა იმის გამო, რომ მან ალაგმა მათი თვითნებობა. Გიორგიმ შეიერთა Ერისთავების ჯარები, გადმოლახა Სურამის მთა და შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს. Მაგრამ აქ იგი Თამარის ჯარის მიერ ისე საშინლად დამარცხდა, რომ დატყვევებულ იქმნა თვით Გიორგი და ყველა ერისთავები. Ამათ შესთხოვეს მიტევება Თამარ-მეფესა, და, რადგანაც Თამარი მეტად კაცთ-მოყვარე გულის პატრონი იყო, აპატივა ყველას, ერისთავები თავისს საერისთაოში დააბრუნა და გიორგი რუსი გაგზავნა უკანვე Კონსტანტინოპოლში.

როცა Თამარმა შინაური სამეფოს საქმეები კარგად მოაწყო და დაამყარა სრული მშვიდობა და ერთობა ქართველთა შორის, მან მოისურვა გარეშე მტრები სრულიად აელაგმა და დაემორჩილებინა. Ამ განზრახვით მან არა ერთხელ გაგზავნა ჯარით Დავით Სოსლანი Სპარსეთში და Ოსმალეთში. Ყოველი ლაშქრობა ქართველი ჯარისა ბრწყინვალედ თავდებოდა. Მტერი საშინლად დამარცხდებოდა ხოლმე, ქართველები გამარჯვებულნი გამოდიოდნენ ყველა ომიდგან და აუარებელ დავლას შოულობდნენ. Მთელი Საქართველო აივსო ნადავლი ოქროთი, ვერცხლით და ყოველ-გვარი სიმდიდრითა. Თამარმა წელში მოხარა ყველა მახლობელი სახელმწიფონი, აგრძნობინა Საქართველოს ძალა და დაუმორჩილა თავისს გავლენასა.

Ამ სასიხარულო ამბებს მოჰყავდა დიდი სიმწუხარე Თამარისა. Მას გარდაეცვალა მეუღლე, Დავით Სოსლანი, და იგი დაქვრივდა ჯერ ისევ ყმაწვილი ქალი. Ნუგეშად დარჩა ერთი ვაჟათ, Ლაშა Გიორგი, და ერთი ასული-Რუსუდანი.

Როგორც ფრიად Ღვთისმოყვარე გვირგვინოსანი, თამარი დაუცხრომლად ზრუნავდა Ქრისტიანობის გაძლიერებასა და გავრცელებაზე. Ყოველის ბედნიერის ლაშქრობის შემდეგ აშენებდა დიდებულს მონასტრებსა და ეკკლესიებს ღვთაებისა და წმინ-

დანების სახელზე, რომელთა მფარველობას და შეწევნას ჰხედიდა მიზეზად თავისი ბედნიერებისას და სამეფოს აყვავებისას. არა ნაკლებ ცდილობდა Თამარი დაენერგა ყოველ Კავკასიის ტომში სახარების სწავლა და ამოეფხვრა წარმართობა. Არა ერთი ეკკლესია ააგო Დაღესტანში, Ოსეთში და Ჩერქეზეთში და გაავრცელა ქრისტიანობა თვით მიუვალს Კავკასიის მთებში.

Თამარს ძლიერ აწუხებდა ქართველების და სომხების დაშორება ერთმანეთისაგან საეკკლესიო საქმეში, და მათის შერიგების და შეერთების მონატრული იყო და ბევრიც ეცადა; მაგრამ ჩვენებურმა და სომხის ბერებმა მხარი არ დაუჭირეს Თამარსა, და ეს მისი დიდი წადილი ჩაიშალა.

სარწმუნოების შემდეგ Თამარი ყველაზე მაღლა აყენებდა განათლებასა და ძალიან ხელს უწყობდა მწერლობისა და მწიგნობრობის გაძლიერებასა. Მას ჰყავდა ცალკე მინისტრი განათლებისა, რომელსაც ერქვა მწიგნობართ უხუცესი. Ყველა ნიჭიერ მწერალს იახლოვებდა თავისთან, აქეზებდა და ნიშნავდა მოხელედ წარჩინებულს ადგილზე. საზოგადოების თვალში მწერალს მაშინ დიდი სახელი და პატივი ჰქონდა. Ამიტომ ქართველების ნიჭმა ფრთა შეისხა და ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა მრავალი ახალი თხუზულებითა. Თამარის მეფობას ამშვიდებდა უკვდავი მგოსანი Შოთა-რუსთაველი, რომელმაც დასწერა „Ვეფხის-Ტყაოსანი“.

რამდენად იყო სიცოცხლით სავსე და ბედნიერი საქართველო Თამარის დროსა, გვიჩვენებს რიცხვი ამ დროის ქალაქებისა და მცხოვრებლებისა. Მაშინდელს საქართველოში ჰყავოდა ორმოც და ათი ქალაქი და ქართველთა რიცხვი ერთი ორად მეტი იყო, ვიდრე ახლა, ესე იგი ადიოდა ოთხ მილიონამდე. Ქართველების გარდა Თამარს ემორჩილებოდა სხვა მეზობელი ხალხებიც, რომელთა რიცხვი უდრიდა აგრეთვე ოთხს მილიონსა. Ასე, რომ Თამარის საბრძანებელში მაშინ ითვლებოდა რვა მილიონი ხალხი, ოთხჯერ მეტი ვიდრე ახლა ირიცხება საქართველოში.

Თამარი იყო მეტად გულ-შემატკივარი და ძლიერ მო-

სიყვარულე დედა თვისი ქვეშევრდომებისათვის. იმ დროს სიკვდილით და დასახიჩრებით დასჯა ხშირი იყო განათლებულს ქვეყნებშიაც კი. დამნაშავეებს ჰკლავდნენ ტანჯვით და წამებით, ან სჭრიდნენ ხელფეხს, სთხრიდნენ თვალებსა. კაცთმოყვარე თამარმა კი მოსპო სასჯელი სიკვდილითაც და დასახიჩრებითაც. მისი ხანგრძლივი მეფობის დროს არც ერთი დამნაშავე არ მოუკლავთ, არც ერთი არ დაუსახიჩრებიათ. თამარი ეძებდა არა პირადს განცხრომას, არამედ შვებას, სიხარულს და ბედნიერებას საქართველოსას. ამიტომ მთელს ქართველობას იგი უზომო სიყვარულით უყვარდა.

საუბედუროდ, დიდხანს არ შერჩა საქართველოს მისი საარაკო დედოფალი, მისი ბრწყინვალე მზე. თამარის ნაზმა აგებულობამ ვერ შეუძლო დიდხანს დაუცხრომელს და მუდმივ მზრუნველობას სამეფოსათვის, ხშირად ცხენით სიარულს ლაშქრობის დროსა და მოგზაურობას საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. ჯერ ორმოც და ათის წლისა არ იქმნებოდა, როდესაც გამოაჩნდა მძიმე დედობრივი სნეულება. საუკეთესო ექიმები თავს დაეხვივნენ, ყოველი ღონე იხმარეს, მაგრამ ვერას გახდნენ. სიკვდილმა უდროოთ მოსტაცა საქართველოს დიდებული დედა და დაობლა. რამდენადაც ძლიერი იყო საყოველთაო სიყვარული თამარისადმი, იმდენად ღრმა და გამოუთქმელი სიმწუხარე დაბადა მისმა სიკვდილმა მთელს ქართველს ერში. სათაყვანო გვამი თამარისა ჯერ მცხეთაში აასვენეს, მერმე წაასვენეს იმერეთს და დაკრძალეს გელათის მონასტერში, მახლობლად მისი პაპის დავით აღმაშენებელის საფლავისა.

რადგანაც მთელი სიცოცხლე თამარისა იყო განხორციელება სახარების სწავლისა, ამის გამო მთელმა საქართველოს ერმა იგი აღიარა წმინდანად და თაყვანსა სცემს არა მარტო როგორც სამაგალითო დედოფალს, არამედ როგორც წმინდანსაც.

---

## თამარ მეფე. (ლექსი).

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი სიამით გამამაცეხნნი,
სარო ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!
ვითარცა ღმერთა მშვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების,
ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი,
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი!
სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი
უპყრავს დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისსა, ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!
მისს დროშას მისდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი,
მხედართ-მთავარი დიდი მხარგრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი.

## თამარის ლაშქარი (ლექსი).

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
ქახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი;
მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი;
ოსი ფეხ-მარდი, მთიული, ბრძოლაში შეუპოვარი;
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით!
თამარი ჰლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის, უსაზღვროება წყალობით!
ლაშქრდნენ, მისწვდნენ ყარნუსა, ერთის შეტევით მილეწეს!
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა, მისს ციხე ზღვაში გარდაგდეს!
განვლეს არეზი, თავრიზი, ყაფლანქუ გადაიარეს,
და მტვერი აოხრებისა ღვთის რისხვად ყაზმანს თავს დაჰსცეს!

გრიგოლ ორბელიანი.

---

## შოთა რუსთაველი.

### და სხვა მგოსნები თამარის დროისა.

საქართველოს ისტორიას ყველაზედ მომეტებულად ამშვენებენ სამნი უმაღლესნი და უდიდებულესნი გვამნი. პირველი გვამი არის წმიდა ნინო, დამრგველი ქრისტიანობისა და მანათლებელი ქართველებისა სახარების სწავლით, მეორე—



ბრწყინვალე თამარ მეფე, ძველის საქართველოს ამყვანელი უმაღლესს ხარისხამდე, და მესამე—შოთა რუსთაველი, წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა ერის გონების ძალისა, შემოქმედისა, გენიოსობისა.

რუსთაველის სახელოვანს თხუზულებას „ვეფხის-ტყაოსანს“ შეუდარებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს ლიტერატურაში. თუმცა მას შემდეგ ჩვენამდინ რვაას წელიწადზე მეტმა განვლო და თუმცა მრავალმა მაღალ-ნიჭიერმა მწერალმა გაამდიდრა მას უკან ჩვენი ლიტერატურა თავისი ნაწარმოებით, მაგრამ მისი პოემა მაინც დღემდინ შეადგენს უძვირფასესსა და უკეთესს საუნჯეს ქართველის გონებისა და გულისათვის. ამ გვარი დაუმჭკნარი მნიშვნელობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ გენიოსის ხვედრი და რუსთაველიც ყველასაგან აღიარებულია გენიოსად.

დაბადება, აღზრდა და ცხოვრება შოთასი ბინდ-ბუნდით არის მოცული და დაბეჯითებით თითქმის არაფერი ვიცით.

არავითარი წერილობითი ცნობები არ მოიპოვება შოთაზედ. „ქართლის ცხოვრება“, ფრიად მდიდარი ცნობებითა თამარზე და იმისს დროზედ, კენტი სიტყვითაც ირ იხსენიებს რუსთაველსა.. მხოლოდ ზეპირ-სიტყვაობით ვიცით მასზედ ზოგიერთი რამ, რომელიც აქ მოგვყავს.

ჩვენს სასიქადულო პოეტს სახელად რქმევია აშოთან და აქედგან წარმომდგარა შემოკლებული საალერსო სახელი „შოთა“. როგორც ახლა, ისე უწინდელს დროში ქარველებს ძლიერ უყვარდათ საყმაწვილო სახელების ხმარება დიდების შესახებ. როგორც ახლა, ისე უწინ სამოც-ოთხმოცის წლის მოხუცებულებს ეძახდნენ: კოტე, ხანდრო, ვანო, ილიკო და სხვანი. აი, ამ ჩვეულების წყალობით რუსთაველს შერჩენია ბავშობის სახელი „შოთა“. რა გვარისა იყო შოთა, ამაზედ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ სოფლის სახელი, სადაც იგი დაბადებულა. ეს სოფელი ყოფილა რუსთავი მესხეთში და აქედგან წარმომდგარა რუსთაველი. უწინდელს დროში და ახლაც ქართველებს ჰქონდათ ჩვეულებად განთქმულის კაცების გვარის მაგივრად ეხმარათ იმათის დაბადების ადგილის სახელი. შოთას შესახებაც სოფლის სახელი უხმარიათ გვარის ნაცვლად და ამიტომ უკანასკნელი დაკარგულა.

შოთას დედ-მამა ბავშვობის დროსვე დაჰხოცვია და დარჩენილა ობლად. მზრუნველად აღმოსჩენია ბერი ბიძა, რომელსაც თავდაპირველად მიუცია ბავშვი რუსთავის საეკკლესიო სკოლაში. უნდა იცოდეთ, რომ უწინდელს დროში ბევრს ეკკლესიებთან იყო გამართული სკოლები, სადაც მაშინდელი მხნე მღვდლები ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და საღმრთო წერილს. საეკკლესიო სკოლიდგან შოთა გადაუყვანიათ მახლობელ მონასტრის სკოლაში. მაშინდელს დროში ყოველს მონასტერში არსებობდა სკოლა, რომელშიაც, დაახლოვებით, იმდენს ასწავლიდნენ, რამდენიც ეხლა დადებულია სასულიერო სასწავლებლებში. ტბეთის სკოლა რო გაუთავებია რუსთაველს, ბიძას წაუყვანია კახეთში და მიუცია გრემის სასწავლებელში, რომლის კურსი უდრიდა თურმე მეტ-ნაკლებობით ეხლანდელ სასულიერო სემინარიის კურსს. აქ შოთას სწავლაში გაუტარებია ხუთი წელიწადი და შემდეგ იგი ბიძას გადაუყვანია იქვე კახეთში იყალთოს სასწავლებელში, რომელიც დააარსა დავით აღმაშენებლის დროს არსენ ეპისკოპოსმა იყალთოელმა და რომელიც მაშინ იყო უმაღლესი სასწავლებელი მთელის საქართველოსთვის. აქ რო სწავლა დაუმთავრებია, შოთა გაუგზავნიათ საბერძნეთში, რომელიც მაშინდელს დროში პირველი ქვეყანა იყო სწავლა-განათლებით და სადაც მიდიოდა ნასწავლი ახალგაზდობა ყველა ქვეყნებიდგან უმაღლესის სწავლისა და მეცნიერების შეძენისათვის.

შოთა მისულა ქალაქ ათინაში, სადაც შეუსწავლია: ფილოსოფია, ღვთის-მეტყველება, პოეზია, მჭევრ-მეტყველება, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, შეუთვისებია ბერძნული და ლათინური ენები. როცა შოთას დაუმთავრებია უმაღლესი სწავლა, იგი ჩამჯდარა გემში და შავი ზღვით მოსულა თავისს ქვეყანაში ჩინებულად მომზადებული ქვეყნის სამსახურისათვის.

რუსთაველის სამშობლოში დაბრუნება მომხდარა თამარის შუა მეფობაში. ამ დროს თამარისა და საქართველოს ძლი-

ერება და ბედნიერება უმაღლესს ხარისხამდინ იყო ასული. Თავისს სახელოვანს დედოფალს მთელი ერი აღმერთებდა, აღტაცებით აქებდნენ და ადიდებდნენ მაშინდელი მგოსნები და მწერლები. Ამ გვარსავე აღტაცებაში მოიყვანა Შოთას ყმაწვილი გული და გონება Თამარის სულისა და სხეულის სიმშვენიერემა და ბრძნულმა მეფობამ. Მან უძღვნა დედოფალს რამდენიმე ლექსი, რომელშიაც გამოიჩინა დიდი ხელოვნება და ამითი მიიქცია ყურადღება Თამარისა, რომელიც ნიჭს დიდად აფასებდა და ფართო გზას უხსნიდა. Თამარმა ჩააბარა Შოთას ერთი უმთავრესი თანამდებობა, სახელდობრ მოლარეთ-უხუცესობა, რომელიც სრულიად არ შეურყევდა პოეტს მყუდრო ცხოვრებასა და მწერლობაში ხელს არ შეუშლიდა.

Მალე შეუდგა Შოთა პოემის წერას. Მან მოიწადინა გამოეხატნა Თამარი თავისი მშვენიერებით, სათნოებით და სიბრძნით, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთა ერისა. Რადგანაც თანამედროვე პირების პირდაპირი დასახელება მოუხერხებელი იყო, ამიტომ პოემას მისცა არაკის ფორმა, მოქმედება გადაიტანა Არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში და მომქმედნი პირნი არაბების სახელებით გამოიყვანა. Თავის ქმნილებას დაარქვა „Ვეფხის-ტყაოსანი", რადგანაც უმთავრესს პირს პოემისას Ტარიელს ვეფხვის ტყავი ეცვია. Როცა თავისი თხზულება დაამთავრა, მშვენივრად გადაწერილი წარუდგინა დედოფალს. Თამარმა გამართა ნადიმი, მოიწვია განთქმულნი და წარჩინებულნი პირნი და იმათ წინაშე ავტორს წააკითხა იმისი თხზულება. Პოემა ყველამ ფრიად საუცხოვო ნაწარმოებად ჩასთვალა. Მსმენელთ აკვირვებდა მდიდარი და ღრმა შინაარსი, ფრიად ხელოვნური გამოხატულობა, მშვენიერი ლექსთ-წყობილება და სამაგალითო ენა; აგრეთვე ძლიერ მოსწონდათ მიმართულება პოემისა, რომელშიაც ნათლად იყო დახატული მაშინდელის ქართველების ღირსებანი: პატივისცემა ქალისა, მფარველობა დაბალის წოდებისა, ძვი-

რად დაფასება ნიჭისა, სამაგალითო ძმობა ჭირსა და ლხინში, ძლიერება სულისა, უშიშრობა ხიფათის წინაშე და სხვანი. ერთ-ხმად გადასწყვიტეს, რომ ამისთანა მაღალის ღირსებით სავსე თხზულება ჯერ ქართულს ენას არ უნახავსო, და აღიარეს რუსთაველი პირველ პოეტად. თამარმა წაიძრო ხელიდგან ძვირფასი ბეჭედი და უბოძა ავტორს ნიშნად მადლობისა და წყალობისა; მისმა მეუღლემ დავითმა მოიხსნა ხმალი და თავის ხელით შემოარტყა. დამსწრე საზოგადოებამ საჩუქრად მიართვა ძვირფასს ქვებში ჩასმული კალამი.

მალე მოიფინა ქება რუსთაველისა და იმისის „ვეფხის-ტყაოსანისა“. საუბრისა და ბაასის დროს, დასამტკიცებლად თავისის აზრისა, ქართველებმა იწყეს მოყვანა „ვეფხის-ტყაოსნის“-ს სიტყვებისა სწორედ ისე, როგორც საღმრთო აზრების შესამოწმებლად დაბადებიდგან მოჰყავდათ ტექსტები. ამის გამო ბევრი ნათქვამი რუსთაველისა მშვენიერ ანდაზად გადაიქცა.

პოემის განთქმულობას ძლიერ შველოდა თვითონ ავტორის იშვიათი პიროვანი ღირსებანი. ისტორიკოსის ბარათაშვილის გამოკვლევით, რუსთაველი იყო უმშვენიერესი ვაჟკაცი, ფრიად ზრდილი, დარბაისელი, სავსე ჭკუითა და მიმტაცებლობით, და ამასთან ისეთი სწავლული, რომ ტოლი არა ჰყავდა მთელს სამეფოში.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ამტკიცებს, რომ რუსთაველი იყო არა მარტო უნიჭიერესი პოეტი, არამედ ბრძენი, რომელიც აზროვნობით ბევრად წინ უსწრებდა თავისს დროსა. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი. მაშინდელს დროში მამაკაცებს დედაკაცები დაბალ არსებათ მიაჩნდათ და ორის სქესის თანასწორობა უარყოფილი იყო. რუსთაველი კი თავისს პოემაში ქალს ერთს სიმაღლეზედ აყენებს ვაჟთან, და როსტევან მეფის ასულს თინათინზედ ამბობს:

*ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს, თუნდა ხვადია.*

მაშინდელს დროში ძარცვა-გლეჯა, სხვის ქონების მით-

ვისება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. წინააღმდეგ ამისა შოთა ჰქადაგებდა:

**რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია.**

ძველის კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული იყო მონობაზედ, ბატონ-ყმობაზედ. „ვეფხის-ტყაოსანში“ კი ვკითხულობთ:

**მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.**

უწინდელს დროში ბევრნი ფიქრობდნენ, რომ ცოცხალი ძაღლი სჯობია მკვდარს ლომსაო. რუსთაველი კი სხვაფრივ სჯიდა.

**სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.**

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს გვარიშვილობას. თანამდებობაში გაწესება და საზოგადო პატივი დამყარებული იყო შთამომავლობაზედ. შოთა კი თავისს ერთს განსაკუთრებულს პატარა ლექსში პიროვან ღირსებას ყველაფერზედ მაღლა აყენებს და არაფრად აგდებს გვარიშვილობას.

**ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,**
**თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.**

რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო ფასი ემატება „ვეფხის-ტყაოსანს“. ახლა იგი გადათარგმნილია ბევრს ევროპიულ ენაზედ. ამას წინად ერთმა განვითარებულმა ნემეცმა წარმოსთქვა აზრი, რომ მეთორმეტე საუკუნეში ევროპას არა ჰქონდა არც ერთი „ვეფხის-ტყაოსნის“ თანასწორი თხზულებაო, და მასში გამოთქმულია იმისთანა მაღალი აზრები, რომელიც ღირსი არის მთელს კაცობრიობაში მოიფინოსო. როდესაც ხანი და ჟამი რომელსამე ქმნილებას ფასსა და მნიშვნელობას არ უკარგავს, პირ-იქით, კიდეც უმატებს, ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ ამ ქმნილებას აზის ბეჭედი ნამდვილის გენიოსობისა.

შოთა რუსთაველის გარდა თამარის მეფობის დროს ქართულს ლიტერატურას ამდიდრებდნენ და ამშვენებდნენ სხვა ნიჭიერნი მწერალნიც: მოსე ხონელი, იოანე შავთელი, სარ-

გის თმოგველი და ჩახრუხაძე. მოსე ხონელი დაიბადა ქვემო იმერეთში, დაბა ხონში, იყო ვეზირი ანუ მინისტრი თამარისა და დასწერა შესანიშნავი მოთხრობა, რომანი, სახელად „ამირან-დარეჯანიანი..“ იოანე შავთელი დაიბადა სამცხეში, ანუ ახლანდელს ახალციხის მხარეში, სოფელს შავთას, იყო თამარის მდივანი და დასწერა ლექსად ისტორიული პოემა, რომელიც ეხლა დაკარგულია. ეს პოემა გალექსილი ყოფილა ისე მშვენივრად, რომ ზოგი თურმე შავთელის ლექსს ამჯობინებდა რუსთაველისას. სარგის თმოგველიც სამცხეს შვილი იყო, სოფელ თმოგვიდან, სპარსული ენიდგან გადმოთარგმნა ფრიად შესანიშნავი რომანი „ვისრამიანი“ და დასწერა მოთხრობა „დილარიანი“, რომელიც ეხლა დაკარგულია. ეს დილარიანიც თურმე დაწერილი იყო ჩინებული ქართული ენით, როგორც მოწმობენ მისნი უწინდელის დროის წამკითხველნი. ეს მწერალიც დანიშნულ იქმნა თამარის მიერ ერთს მაღალს ადგილზე, სახელდობრ მას ჩაბარდა ერისთაობა სამხრეთის ერთი კუთხისა—კლარჯეთისა. ჩახრუხაძემ ლექსად შესთხზა ქება თამარისა წინად უხმარებელი ლექს-წყობილებით, რომელსაც დაერქვა ჩახრუხაული და რასაც თავისებური სიმშვენიერე აქვს.—

## თამარ მეფე და რუსთაველი.

(ლექსიდგან „ობოლი“).

მეფე-შვენება ზის თვისს ტახტზედ ფიქრით მოცული,
თლილსა თითებში მას უპყრია დიდი რვეული;
ბროლის მკერდს ქვეშ წრფელი გული ძლიერად უძგერს;
დიდებულთ კრება ტრფიალებით თვის მეფას უმზერს,
ჰკვირობს მის სიბრძნეს, მის სიტურფეს და მის შვენებას,
ელის მის ნაზს ხმას, მის ნაზს ღიმილს და მშვიდს ბრძანებას.
ბრძანა: „მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტნი, საგოგმანები“.
მოჰგვარეს იგი, არს ჭაბუკი და მშვენიერი,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს მაღლი ციური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონების სიბრძნე, სულთ სიმშვიდე და გულ-წრფელობა,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა.
მეფემ-მშვენებამ გადაავლო თვალი ნათელი,
არ გამოჰკითხა მას არცა გვარი, არცა სახელი;
უბრძანა მხოლოდ: „ეს ლექსები გულს ვით ჩაგნერგდნენ,
ზულთა დამწველნი, ვით აღმოხდნენ, ვით დაიწერნენ“...
— „დიდო მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა,
შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა“.
ნათელი მეფე მას უმზერდა ტკბილის ღიმილით,
უთხრა: „ეს ლექსნი შთაბერილნი გაქვს შენ ცით მაღლით.
იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შვენება,
ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება“.
ვინ იყო ისა და რა იყო იმის სახელი?
ის იყო შოთა, დიდი შოთა, რუისთაველი.

მახტანგ ორბელიანი

## მონღოლთა შემოსევა საქართველოში.

დიდს აღმართს დიდი თავდაღმართი მოსდევს. ხანგრძლივს გვალვას ხანგრძლივი წვიმა მოჰყვება ხოლმე. დიდი სიხარული ხშირად დიდ მწუხარებად შეიცვლება ხოლმე ადამიანისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

ასევე დაემართა საქართველოსაცა. დიდს ამაღლებასა და უზომო ბედნიერებას ჩვენის ქვეყნისას თამარ-მეფის დროს მოჰყვა დიდი დამდაბლება და უზომო უბედურება მისი შვილების მეფობის ჟამსა. თამარის სიკვდილის შემდეგ თორმეტი წელიწადი ჯერ არ გასულიყო, რომ აყვავებულს საქართველოს უცბად შემოესია აღმოსავლეთ-სამხრეთით ველური და შეუბრალებელი მტერი. ეს მტერი იყო მონღოლთა ჯარი. მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეებში მონღოლები იყვნენ უძლიერესნი მეომარნი და მათ დაიპყრეს და დაიმორჩილეს ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, რუსეთი და კიდევ სხვა ქვეყნები. თუ დიდი ქვეყნები ვერ გაუმაგრდნენ ამ

ძლავრს მტერსა და იძულებულნი გახდნენ მისი მძიმე უღელი კისერზედ დაედოთ, მით უმეტეს ვერ მოიგერებდა მას პატარა საქართველო, რომელსაც მონგოლები შემოესივნენ ოთხ პირად. მართალია, ქართველმა ჯარმა ძლიერ გაუჭირა მონგოლებს საქმე და ერთი ნაწილი მათი ჯარისა თითქმის მთლად გასწყვიტა, მაგრამ მტრის სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა. მონგოლნი კალიასავით მოედვნენ ჩვენს ქვეყანას და დაიმორჩილეს მათნი წინამძღოლნი, რომელთაც ნოინები ერქვათ, გახდნენ მბრძანებლები ჩვენი მეფეებისა, ჩვენს ქვეყანას დაადგეს მძიმე უღელი, დააკისრეს დიდი ხარჯი.

მტერმა ესეც არ აკმარა ჩვენს ქვეყანასა. მონგოლებმა შეიგნეს, სად იყო სათავე საქართველოს სიძლიერისა დავით აღმაშენებლის და თამარ-მეფის დროსა და მოიწადინეს დაეშროთ ეს სათავე. მტკიცე ერთობა და ძმობა ყველა ქართველთა შორის—აი სათავე საქართველოს ძლიერებისა. მაშინ მთელი საქართველო, შავი ზღვიდგან მოკიდებული ლეკეთის სამზღვრებამდის, ერთს შეკონილს სახელმწიფოს შეადგენდა: კახელნი, ქართლელნი, იმერელნი, გურულნი, რაჭველნი, მესხნი, მეგრელნი და სხვანი შეერთებულნი იყვნენ ერთის დროშის ქვეშ, ემორჩილებოდნენ ერთს მეფესა, ჰქონდათ ერთი სატახტო ქალაქი, თანხმობითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ ერთმანეთსა და ერთნი იყვნენ ჭირშიაც და ლხინშიაც. მაშინ საქართველო სწორედ მოგაგონებდათ იმ მაგრად შეკრულს ისრების კონას, რომელსაც ერთმა ძლიერმა მეფემ ვერაფერი დააკლო, ვიდრე არ გახსნა და არ გააცალკევა.

და აი მონგოლებიც ამ გაცალკევების გზას დაადგნენ. იგინი ჰფიქრობდნენ: საქართველო, მართალია, დავიმორჩილეთ; მაგრამ თუ იგი შეერთებული დარჩება, დიდი დღე არ ექნება ჩვენს მბრძანებლობას მასზედ,—პირველივე მარჯვე შემთხვევით ისარგებლებენ ქართველები და გაგვრეკენ თავისი ქვეყნიდგანაო.

ამის გამო იწყეს ვერაგული მოქმედება, გააბეს ხრიკები

და სულ იმასა სცილობდნენ, რომ ძმები ერთმანეთისათვის დაეშორებინათ, მათ შუა ჩამოეგდოთ შური, განხეთქილება, ნაწილ-ნაწილად დაეყოთ ჩვენი ქვეყანა და შინაური ბრძოლა აეტეხნათ ქართველთა შორის.

თამარის შვილების მეფობის დროს მონგოლნი ვერ ეწივნენ თავისს გულის წადილსა. ლაშა გიორგი, ძე თამარისა, მთელი საქართველოის მეფედ დარჩა სიკვდილამდინ; მთელს საქართველოზედვე მბრძანებლობდა მისი სიკვდილის შემდეგ რუსუდანი, ლაშა გიორგის და. მაგრამ რუსუდანის სიკვდილის შემდეგ კი თავისი გაიყვანეს მონგოლებმა. მათ ხელი მოუმართა ერთმა გარემოებამ. ლაშა გიორგის ძემ დავითმა და რუსუდანის ვაჟმა, სახელად აგრეთვე დავითმა, ცილაობა დაიწყეს სამეფო ტახტზედ: ერთიც მეფობას ჩემულობდა და მეორეცა. მონგოლებსაც ეს უნდოდათ აღგნენ და ორივენი აღიარეს მეფედ; ერთ-მეფობის მაგივრად დაადგინეს ორთა-მეფობა და ერთს სამეფო ტახტზედ დასვეს ორი მეფე, რომელთაც უნდა ერთად ემართათ სამეფო.

მონგოლთა მოლოდინი, რომ ორ ქართველ მეფეთა შორის განხეთქილება დაიბადება და საქართველო საბოლოოდ დაუძლურდება, არ აღსრულდა პირველ ხანში. მეფეებს ერთმანეთის ხათრი ჰქონდათ და თანხმობით მართავდნენ ქვეყანასა.

მაგრამ ამ ვერაგობამ ბოლოს და ბოლოს თავი გაიტანა და საქართველო ორ სამეფოდ გაიყო. იმერეთში გამეფდა უმცროსი დავითი, რუსუდანის ვაჟი, და ამერეთში უფროსი, ლაშა გიორგის ვაჟი. ამ სახით საქართველოში ერთი სამეფო ტახტის მაგივრად ორი ტახტი იქმნა დადგმული, ერთის მეფის ნაცვლად ორმა მეფემ დაიწყო მბრძანებლობა, ერთის სატახტო ქალაქის მაგივრად ორი გაჩნდა—ქუთაისი და თბილისი, ერთი სამეფო ორად გაიჭრა, ერთი დიდი ოჯახი ორ პატარა ოჯახად გადაიქცა.

ამ გაცალკევებას ქვეყნისას მოჰყვა იგივე შემდეგი, რაც მოსდევს ყოველი ოჯახის გაყრას; განხეთქილება ძმათა შორის, შინაური ბრძოლა და ომი, დასუსტება და გათახსირებაა ერისა.

რასაკვირველია, ამის შემდეგ მონგოლები არხეინად იბატონებდნენ საქართველოში და კიდეც იბატონეს ას წელიწადზედ მეტი. მართალია, ამ დროსაც ქართველები მონობის უღელს ეურჩებოდნენ და დიდს თავდადებულებას იჩენდნენ მამულისათვის, მაგრამ არაფერი გამოდიოდა შინაური გაყრისა და სისუსტის გამო.

## ქართველნი და მონგოლნი.

(პოემიდგან: „ნათელა“).

ერთხელ თურმე მზეს და მთვარეს
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:
გაშორდნენ და შემაერთი
ჩაანგრიეს გზა და ხიდი...
ერთი ძუძუთ გამოზრდილი,
ერთი დედის ორი შვილი,
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში
შეთანხმებულ გამოცდილი
ამერი და იმერეთი
აირია, აიშალა...
და ორივეს ჩამოაკლდა
სიმტკიცე და ძველი ძალა.
ეს უნდოდათ მონგოლებსაც!
გაიხარეს გულით დიდად,
შუა ჩადგნენ და ძმებ შუა,
შური დასდეს გზად და ხიდად...
გზას დაადგნენ ცბიერების,
ხალხსა ჰრყვნიდნენ მრავალ გვარად;
სიცრუე და ორპირობა
ხელთ ეჭირად ხმლად და ფარად.
სიმართლეს და კარგ კაცობას
აღარ ჰქონდა გასავალი!
და სდევნიდნენ კაცურ კაცებს,
არ ჰქონოდათ გინდა ბრალი.
დღეს ხვალობით შელახული,
დაიჩაგრა, გატყდა ერი;
შიგა და შიგ გამოუჩნდა
ძმას მისივე მოძმე მტერი!
მამა პაპის წალმა ხნული
შვილიშვილთა დალმა ფარცხეს!
და ამერეთ-იმერეთმაც
ერთმანეთი დაამარცხეს.
ძველი ქება და დიდება
დასტკნა უცბად, როგორც მდელო;
ადრინდელის ჩრდილი იყო
დაჩაგრული საქართველო!
იგონათ, თუ ქართლის ბედი
საუკუნოდ მიეფარა
და მომავალ სიცოცხლესაც
შავი მიწა მიეყარა.
რა იცოდნენ, რომ მის წილ-ხვედრს
დედა ღვთისა არ სწირავდა
და ტანჯვაში გამობრძმედულს
მომავლისთვის იფარავდა!
ზოგჯერ კერაც ჩამქრალია
ცივი ნაცრის გარე პირი
და უსითბო უსიცოცხლო
ზედ აყრია მას ნახშირი,
მაგრამ თურმე შუაგულში
ხძინავს ობოლს ნაკვერცხალსა
და ინახავს მერმისისთვის
ჩვეულებრივ ნათელს ძალსა!
ქვეყნის კერაც ასეთია:
გინდ დახუჭოს მკვდრულად თვალი,
იმის გულში მაინც ღვივის
დაფარული ნაპერწკალი.

აკაკი.

## დიმიტრი თავდადებული (1274—1289).

მონგოლების დროის თავდადებულთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მეფე დიმიტრისა. ეს მეფე ყმაწვილობაში იყო ქეიფის მოყვარე, უზნეო და უზრუნველი. მაგრამ როცა ხანში ჩავარდა, სრულიად გამოიცვალა: მეტად კაცთმოყვარე, ღვთის-მოსავი შეიქმნა და დაუღალავად ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობისათვის. იმდენად გულ-კეთილი იყო, რომ ღამ-ღამით გადაიცვამდა ხოლმე უბრალო ტანისამოსსა და ჩუმად დაიარებოდა ხალხში, რათა თავისი თვალით ენახა მისი გაჭირვება, თვისი ყურით მოესმინა მისი ჩივილი და საკუთარი ხელით ეძლია შემწეობა ღარიბთათვის. საუბედუროდ, ეს ჩინებული მეფე თავისს ერს შერჩა მხოლოდ თხუთმეტს წელიწადსა.

იმ დროს მონგოლთა ყეენად იყო არღუნი. ამ არღუნყეენმა ღალატი შესწამა თავისს სარდლებსა, ანუ ნოინებსა, და მათთან ერთად დიმიტრი მეფესაც. საიდუმლოდ გასცა ბრძანება და ყველა ნოინები დაახოცინა. შემდეგ დიმიტრი მეფეს მრისხანედ შემოუთვალა: დაუყოვნებლივ გამოცხადდი ჩემს წინაშე, თორემ შემოვესევი შენს სამეფოს ჩემი ძლევამოსილი ჯარით და სულ ნაცარტუტას ავადენო.

საშინელს საგონებელში ჩავარდა მეფე. რომ წავიდე, უთუოდ მომკლავს სხვებსავით და ჩემი ქვეყანაც ობლად დარჩება, რადგანაც ჩემი მემკვიდრე ჯერ ჩვილი ბავშვია. თუ არ წავალ, ის ურჯულო შემოესევა ჩემს სამეფოში, გადასწვავს სოფლებს და ქალაქებს, გაჟლეტს მცხოვრებლებსა და ნაოხრად მიქცევს ქვეყანასაო. მოიწვია კათალიკოსი, დიდებულნი, ერისთავნი და რჩევა მოითხოვა. ყველამ ძლიერ იუარა მეფის წასვლა. სთხოვეს მეფეს: ნუ ინებებ წასვლასა იმ მტარვალთან, ნუ მოაკლებ მზრუნველ მამას ქვეყანასა, ნუ დაგვაობლებ; შევებრძოლოთ მტერსა და, თუ გვძლია, გავიხიზნოთ მთებშიო. მეფემ უპასუხა: მტერი მეტად ძლიერია, ჩვენ კი სუსტნი ვართ; ბრძოლა შეუძლებელია. ჩვენ იმას

ვერ შევიკავებთ და იგი მთელს ჩემს სამეფოს გადააქცევს სისხლისა და ცრემლის ზღვადო. მსხვერპლი აქ აუცილებელია: ან მეფემ უნდა დასდოს თავი ერისათვის, ან ერი უნდა ემსხვერპლოს მეფეს. და რადგან ერთის ტანჯვა და სიკვდილი უზომოდ უკეთესია მრავლის ამოჟლეტაზედ, ამიტომ მე გადავწყვიტე წავიდე მონღოლთა მბრძანებელთან, მივიღო მისგან სიკვდილი და ამითი ავაცილო ხალხს დიდი უბედურებაო. კათალიკოსმა მოუწონა მეფეს ასეთი თავდადებულობა, რამაც მეფე მეტად გაახარა. ხალხმა რო ეს შეიტყო, მოიყარა თავი სასახლესთან და ცრემლით ევედრებოდა მეფეს, წასვლაზედ უარი ეთქვა,—ჩვენ ყველანი მზად ვართ ერთს დღეს დავწყდეთ შენის გულისათვისაო. ასეთმა გულ-მხურვალე სიყვარულის გამოცხადებამ კიდევ უფრო ააფრთოვანა მეფის წმიდა წადილი. მან ხალხს გულითადი მადლობა გადაუხადა და წასასვლელად მოემზადა. თავისი ჩვილი მემკვიდრე მეფედ აღიარა, მის ერთგულებაზედ დააფიცა წარჩინებულნი პირნი, გაიყოლა თან კათალიკოსი და მცირე ამალა და გაუდგა გზასა. რასაც მეფე ელოდა, სავსებით აღსრულდა, საუბედუროდ. მონღოლთა მბრძანებელმა იგი დაუყოვნებლივ მისცა სიკვდილსა და თავი მოაკვეთინა. მოკვდა თავდადებული მეფე, მაგრამ ხალხი კი იხსნა საშინელი განსაცდელისაგან: მტარვალმა იკმარა ჯავრის ამოსაყრელად მეფის სიკვდილი და საქართველოს ხელი არ ახლო.

მშვენივრად აქვს გამოხატული დიმიტრი მეფის თავდადებულობა ილია ჭავჭავაძეს თავისს სახელოვან პოემაში, „დიმიტრი თავდადებული“, რომლის ერთი ადგილი მოგვყავს აქ.

## დიმიტრი მეფე და მღვდელთ-მთავარი.

—შენ რას ბრძანებ, მღვდელ-მთავარო?
სიტყვა შენი გვილირს ძვირად?
მართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი გასაწირად?

ატირდა და მოახსენა:
— მე, მეფეო, მე თქმა მიჭირს,
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.

მეფევ, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის...
„ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.
მეფევ, რაკი ბედმა დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური.
მტირ და გირჩევ თავ-გაწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწია,—
მოყვასისთვის თავ-დადება
ქრისტე ღმერთის ანდერძია.
მტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთის სოფლის გულისათვის“.
მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელ-მთავრისა სიტყვა ბრძნული,
წარსდგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული:
— დიდებულნო! ხომ ისმინეთ,
რაც სთქვა წმიდა მღვდელთ-მთავარმა!
მოყვასისთვის თავ-დადება
გვიბრძანაო მაცხოვარმა.
ნუ გადმიყვანთ ღვთის სიტყვასა,
ერს მეფე ვერ ვუღალატებ!
წავალ და თუ ღმერთს სწადიან,
ერისათვის თავსა დავდებ.
მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გებარებოდეთ.
ღარიბს ისე მოუაროთ ,
რომ მდიდარს არ შენატროდეს.
გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.
თუ დავბრუნდი, თქვენს სამსახურს
გადაგიხდით ორად ერთსა,
თუ არა და—სული ჩემი
შემივედრეთ მაღალ ღმერთსა“.
ატირდა და აატირა
ყველა კაცი იქა მდგომი;
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.
მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი .
დიდ-სულოვნობის შვილია.

---

## გიორგი ბრწყინვალე (1318—1346).

როცა დიმიტრი მეფე მონგოლთა ურდოში მიდიოდა, მისი საყვარელი ცოლი ნათელა ახალციხის გზას დაადგა. იგი მიისწრაფვებოდა თავისს მამასთან, მესხეთის მბრძანებელთან, და თან მიჰყავდა თავისი ჩვილი ვაჟი გიორგი, რათა მყუდროებაში უშიშრად აეზარდნა. ნათელა იმ დროს პირველ ქალად ითვლებოდა მთელს საქართველოში მაღალი ჭკუით, მტკიცე ხასიათით, კაცთ-მოყვარე-გულით, მამულიშვილობითა და განათლებით. ამიტომ მან თავისი ვაჟი გიორგი ჩინებულად აღზარდა. მასში განხორციელდნენ იშვიათნი ღირსებანი მამისაცა და დედისაც, როგორც თამარ-მეფეში.

ამიტომ გახდა თუ არა სრულ-წლოვანი და ავიდა მამის ტახტზედ, გიორგიმ ბრძნულად იწყო მართვა სამეფოსი. თავდაპირველად ალაგმა ისნი, რომელნიც გიორგის მცირე-წლოვანობის დროს მთებიდგან ჩამოესივნენ ქართლსა და ცარცვაგლეჯით საქმე გაუჭირეს. რამდენჯერმე დაამარცხა, მთაში არეკა, ხარჯი დაადო და თავისი ერისთავები დაუყენა. მერმე შეუდგა ალაგმვას თავ-გასულ ერისთავებისას. ზოგნი დასაჯა თანამდებობის ჩამორთმევით, ზოგნი კი, უფრო ბოროტნი და აზეზარნი, სიკვდილს მისცა. მათ მოადგილედ დანიშნა ნიჭიერნი, ერთგულნი და ქვეყნისათვის თავდადებულნი ქართველნი. სასულიერო საქმეებიც უკეთ მოაწყო, აქაც ულირსნი გადააყენა და ღირსეულნი დააყენა უფროსებად. როცა დაამყარა სრული წესიერება თავისს სამეფოში, შეუდგა საქართველოს ერთობის აღდგენასა. მაშინდელს იმერეთის მეფეს ძლიერ ემდურებოდნენ იმერნი და იწვევდნენ თავისთან გიორგისა. ამანაც ისარგებლა ამ შემთხვევით, გადავიდა ჯარით სურამის მთასა, დაატყვევა იქაური მეფე, მეფობა ჩამოართვა, ერისთავად გახადა და დასავლეთის საქართველო შემოუერთა აღმოსავლეთის საქართველოსა. ძვლავ აღმობრწყინდა მზე საქართველოს ერთობისა. გაძლიერდა ქვეყანა, ზურგი გაუმაგრდა, წელში გაიმართა. გიორგიმ აღარ დააყოვნა და გაილაშქრა მონგოლებზედ. დაამარცხა იგინი რამდენჯერმე, საქართველოს არე-მარედგან მთლად გარეკა და სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა ერსა. ამითი არ დაკმაყოფილდა. დაიპყრო ყველა ქვეყნები კასპიის ზღვამდე, დაამარცხა მოუსვენარი ლეკებიც და ყველას ხარჯი დაადო. მთელი აქეთა კავკასიონი, შავი ზღვიდგან კასპიის ზღვამდე, გახდა საბრძანებელი გიორგი მეფისა. განახლდა დიდებული დრო თამარ-მეფისა, აღსდგა საქართველო, ჯან-ღონით აივსო, დიდებით შეიმოსა.

შეადგინა კანონები ქვეყნის გამგეობისა და მართვისა, წმიდა ხნეობისა, ქვეყნის სამსახურისა, დაარქვა ამ კრებულს

„ძეგლის-დება“ და გამოსცა სახელმძღვანელოდ თავისს ქვეშევრდომთათვის.

ასეთი სიძლიერით და სიბრძნით გიორგიმ ჰმართა მთელი საქართველო ოც-და-რვა წელიწადსა, სწორედ იმდენსა, რამდენს წელსაც იმეფა თამარ-მეფემ. მადლიერმა ერმა დაარქვა მას ბრწყინვალე გიორგი და აქამომდე ამ სახელით იხსენიებს მას.

---

### ლანგ-თემურის შემოსევა საქართველოში.

გიორგი ბრწყინვალეს ვაჟმა მშვიდობით იმეფა მთელს შეერთებულს საქართველოზე თოთხმეტი წელიწადი და დაამთავრა თავისი მამის ყოველნი დაწყებულებანი. იგი ადრიანად გარდაიცვალა და საქართველოს ტახტზე ავიდა ძე მისი ბაგრატ მეხუთე. ახოვანებით, გამჭრიახი ჭკუით, სიმამაცითა და გამბედაობით ბაგრატი იყო პირ-წავარდნილი თავისი პაპა — გიორგი ბრწყინვალე. ამიტომ ყველა მოწინააღმდეგეზე ადვილად იმარჯვებდა, შინაური იყო ეს მოწინააღმდეგე, თუ გარეული. მაგრამ მისს ბედზედ სწორედ ამ დროს იჩინა თავი შუა აზიაში საშინელმა მეომარმა ლანგ-თემურმა, ანუ მოკლედ, თემურმა. ამან დაიპყრო ყველა მონგოლთა თემები, რუსეთს დაადგა უფრო მძიმე უღელი მონობისა, დაიპყრა ინდოეთი და სპარსეთი და ბოლოს აურაცხელი ჯარით გამოეჩქარა საქართველოსკენ. სამხრეთ საქართველოს ერისთავმა ბექამ ბრძოლა შესაძლებლად ვერა სცნო და უომრად დაემორჩილა. მიუხედველად ამისა, მეფე ბაგრატი არ შეუშინდა მტერსა და თავისი ჯარით გამაგრდა თბილისში, რომელსაც მაშინ მიუვალი გალავანი ერტყა გარშემო. ლანგ-თემური თავისი ძლევა-მოსილი ჯარით გარს შემოერტყა ჩვენს დედა-ქალაქს და იმედი ჰქონდა, მალე ავიღებ და მეფესაც დავატყვევებო. მაგრამ ამ იმედმა კინაღამ უმტყუნა. ქართველი ჯარი ხშირად გამოდიოდა თბილისიდგან, მტერს მოულოდნელად ესხმოდა თავს, ჟლეტდა და მერმე ისევ შედიოდა მიუვალს ქალაქში. ასეთი ბრძოლა

გაგრძელდა მთელს ექვსს თვესა. ლანგ-თემურს ჯარი თითქმის გაუნახევრდა. ამ გაჭირვებაში მან მოიგონა ჩუმად რკინის ჩელტები ან ლასტები, რომელსაც ქართველების ხანჯალი და ხმალი ვერ გაატანდა, მისცა მოწინავე რაზმს და იერიში მიატანინა თბილისზე. ქართველმა ჯარმა ამ ჩელტებისა არა იცოდა-რა და ვერაფერი მოახერხა ერთბაშად მის წინაამდეგ. ამ ხერხით სძლია ქართველებს ლანგ-თემურმა და შევიდა თბილისში. მხოლოდ ციხე, სადაც მეფე-დედოფალი შეეფარნენ, რამდენსამე დღეს ებრძოლა კიდევ, მაგრამ ბოლოს ისიც დამორჩილდა. თემურმა დაატყვევა მეფე დედოფლითურთ. ამ ჟამად სხვა არაფერი დაუშავა ჩვენს ქვეყანას. მხოლოდ თბილისის ციხეში ჩააყენა თავისი ჯარი და მეფე-დედოფალი ტყვედ წაიყვანა თავისს ქვემო საბრძანებელში. ბაგრატი, როგორც ყოველი ღირსებით შემკული ვაჟკაცი, ძლიერ მოსწონდა ლანგ-თემურსა და იგი ბევრსა სცდილობდა თავისს სარწმუნოებაზედ გადაეყვანა ჩვენი მეფე, მაგრამ დიდხანს ვერარას გახდა. ბოლოს ბაგრატს მიუვიდა სამშობლოდგან ამბავი: შენი ვაჟი შენი ხათრით მეფედ ვერ აცხადებს თავსა, იმერეთი ცალკე იწევს, თავისს საკუთარს მეფეს ითხოვს, სხვა ერისთავებიც თავნებობენ, ქვეყანა უპატრონოდ რჩება, საქართველო ლამის ისევ დანაწილდეს და დაიღუპოსო.

ბაგრატის ნაღველს საღზვარი არა ჰქონდა. თავისი სარწმუნოების ღალატი საშინლად აძრწუნებდა, მაგრამ უამისოდ ქვეყნის შველა შეუძლებელი იყო. ადგა ბაგრატი და გარეგნულად მიიღო მაჰმადიანობა, —თანაც თემურს სთხოვა: გამატანე თან თორმეტი ათასი საუკეთესო ჯარი და მის შემწეობით ჩემს ხალხსაც მაჰმადიანობას მივაღებინებო. ლანგ-თემური ცას დაეწია სიხარულით. დაუყოვნებლივ გამოისტუმრა მეფე-დედოფალი საქართველოში და თან ახლა თორმეტი ათასი მონგოლთა ჯარი. მაგრამ ძლიერ შავი დღე დაადგა ამ ჯარსა. როცა იგი თბილისს მოუახლოვდა და დაიბანაკა, ამ ჯარს, თანახმად ბაგრატის ჩუმი შემოთვლისა,

დილის ბინდ-ბუნდის დროს თავს დაესხა მოულოდნელად მეფის ვაჟი ქართველი ჯარით და სულ ერთიანად ამოჟლიტა უკანასკნელ კაცამდე. მეორე დღესვე მოადგა თბილისს გამარჯვებული ბაგრატი, აიღო ციხე და ამოსწყვიტა მასში მდგარი მონგოლთა ჯარი. ასე ამოიყარა ბაგრატმა თემურის ჯავრი.

მეფემ კარგად იცოდა, რომ თემური საშინლად გაცეცხლდებოდა და დაუყოვნებლივ გამოილაშქრებდა საქართველოსკენ სამაგიეროს გადასახდელად. ამიტომ აფრინა კაცები ყველა კუთხეში და მოითხოვა ჯარი. ბაგრატის მარჯვე გამბედაობამ ქართველები აავსო იმედით და ამიტომ მის გარშემო მალე შეიკრიბა მრავალი ჯარი, როგორც ქართლ-კახეთიდან, ისე იმერეთიდგანა და მესხეთიდგან. ამასთან საჩქაროდ დაუწყო გამაგრება ყველა დიდსა და პატარა ციხეებსა.

მიუვიდა თუ არა თემურს ამბავი თავისი ჯარის ამოწყვეტისა, ბაგრატის ღალატისა, იგი უზომოდ განრისხებული დაუყოვნებლივ აიშალა თავისი ჯარით, სწრაფად გამოსწია და მოუახლოვდა თბილისსა. აქ მას წინ მიეგება ქართველთა ჯარი და გაჩნდა საშინელი ომი. მანამდინ ყოველთვის გამარჯვებული, თემური კინაღამ იქმნა დამარცხებული. ომი დაიწყო სისხამ დილაზედ; მზის გადახრამდინ გამარჯვება ქართველების მხარეს იყო. „ვიდრე შვიდღემდე და მიდრეკასა მზისასა სძლიეს ქართველთა და მოსრნეს თემურისანი მრავალნი რაზმნი და მწყობრნი, ურიცხვნი ივლტოდნენ“, ამბობს „ქართლის ცხოვრება“. მაშინ შეძრწუნებულმა თემურმა საკუთარი გვარდია, მანამდე დასვენებული, მიიყვანა პირდაპირ იერიშით, ჩააგდო თავი თვისი ხიფათში და ეკვეთა მარცხენა ნაწილს ქართველი ჯარისასა, რომელიც შესდგებოდა ქვეითა რაზმებისაგან. ეს ჯარი უკვე დაღალული იყო, ვერ გაუძლო მტრის იერიშს და ძლეულ იქმნა. აქედგან თემურმა შემოუტია მარჯვნივ მდგომ ცხენოსანს ჩვენს ჯარსა, აგრეთვე დაღალულსა, და ამანაც ველარ შეიმაგრა მტერი.

**გ**აიმარჯვა **თ**ემურმა. მაგრამ ეს გამარჯვება სრული არ იყო. **ქ**ართველმა ჯარმა რიგზედ დასტოვა სალამოზედ ბრძოლის ველი და გაემართა ჩრდილოეთისკენ მეფის წინამძღოლობით. **თ**ემური შევიდა **თ**ბილისში, ავიდა **მ**ცხეთაში, გადასწვა ეს ძველი დედა ქალაქი, დაანგრია საძირკვლიანად სვეტიცხოვლის ეკკლესია, ააოხრა **ქ**ვაბთახევის მონასტერი, ამოჟლიტა ბერები, მაგრამ შორს კი ველარ წავიდა. **ე**ს იმის გამო, რომ ქართველი ჯარი დაიყო თარეშებად, უსაფრდებოდა მტერს ვიწროებში, ესხმოდა თავს მოულოდნელად და ჟლეტდა. **თ**ემური იძულებული გახდა მალე დაეტოვებინა საქართველო და დაბრუნებულიყო თავისს საბრძანებელში ცოტა არ იყოს შერცხვენილი. შერცხვენილი მეთქი იმიტომ, რომ მან დაიკვეხა გამოლაშქრების წინად: **ბ**აგრატ მეფეს დავიჭერ და ისეთს დღეს დავაყენებ, რომ თავისი დაბადების დღე ვაწყევლინოვო, და ვერ კი მოახერხა ესა.

**თ**ემურის წასვლის შემდეგ ბაგრატი მხნედ შეუდგა დანგრეულის სოფლების, ქალაქების, ციხეებისა და ეკკლესიების აშენებასა და განახლებას და აგრეთვე განდევნას იმ თათრებისას, რომელნიც გადმოასახლა **თ**ემურმა საქართველოში და მის საზღვრების ახლო. მალე სრულად გასწმინდა ჩვენმა მეფემ თავისი სამფლობელო ურწმუნოთაგან, რაშიაც ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, რომ **თ**ემური სხვა ადგილებში გაება ომიანობასა. ბაგრატმა იმეფა მთელს შეერთებულს საქართველოზედ 35 წელს. მადლიერმა ერმა მას უწოდა დიდი ბაგრატი.

**ს**რულიად **ს**აქართველოს ტახტზე ავიდა შვილი **ბ**აგრატ დიდისა **გ**იორგი, რომელიც ბევრი ღირსებით ჰგავდა თავისს სახელოვანს მამასა. **გ**იორგის მოსთხოვა მორჩილება **თ**ემურმა და რადგან უარი მიიღო, ხელ-ახლად შემოესია საქართველოსა. **გ**ანახლდა ისევ ბრძოლა. **ჩ**ვენი ქვეყანა ძლიერ ბევრს ზარალობდა; გამგელებული **თ**ემური უწყალოდ ჟლეტდა ხალხს, სადაც კი მოასწრებდა; ძუძუ-მწოვარს ბავშვებსაც კი კალოებზედ ჰყრიდა და მათზედ კევრებს ატარებდა; ქალაქ-

ბსა და სოფლებს აოხრებდა, მაგრამ თვითონ თემურსაც ძვირად უჯდებოდა საქართველოს მტრობა. შვიდჯერ განიმეორა შემოსევა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, ვერ დაიმონავა ჩვენი ქვეყანა, რომელიც თავ-განწირული იბრძოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ეს ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოსი უძლიერესის მტრის წინაამდეგ ცხადად გვიჩვენებს, რაოდენი ძალ-ღონე ტრიალებდა კიდევ მასში. ამ ძალ ღონის მიზეზი იყო მტკიცე ძმობა, მჭიდრო კავშირი და ერთობა იმერ-ამერთა.

---

### დანაწილება საქართველოსი და მისი დაქვეითება.

საუბედუროდ, მტერთა ვერაგობამ და შინაურთა თავმოყვარეობამ და უკულმართობამ ხელ-ახლად ბოლო მოუღო ქართველთა ერთობას. ამასთან ერთად ჩაესვენა მზე საქართველოს სიძლიერისა და დადგა მწუხრი მისი დაქვეითებისა, უძლურებისა, დაძაბუნებისა.

ქართლს, საქართველოს შუაგულს, ჯერ იმერეთი მოსწყდა, მერმე კახეთი. ძმები გაიყარნენ და ერთი დიდებული ოჯახის ნაცვლად სამი პატარა ოჯახი შეჰქმნეს. კახეთმა საკუთარი მეფე დაისვა და საკუთარი სატახტო ქალაქი გაიკეთა ჯერ გრემში, მერმე თელავში. იმერეთმაც ცალკე სამეფო შეადგინა და ქუთაისი, რომელშიც წინად ხანდახან იყო საერთო ტახტი მთელის საქართველოისა, კერძო სატახტო ქალაქად გადააქცია. ქართლიც, ყოველთვის მოტრფიალე ერთობისა, იძულებული გახდა მარტოდ დარჩენილიყო და კერძო მეფე დაესვა თავისს ტახტზედ. თბილისი, დედა-ქალაქი მთელის საქართველოისა, გახდა მხოლოდ სატახტო ადგილი ქართლისა. ამ სახით ერთი მოზრდილი სამეფო სამ პატარა სამეფოდ გაიყო. მაგრამ დანაკუწება ამითი არ გათავდა. ცნობილია, რომ წინდის რაკი თავი მოერღვევა, ბოლომდინ უნდა დაირღვეს. აქაც ეს მოხდა. ჩქარა ქართლს მოსწყდა ზემო ქართლი, ანუ მესხეთი, და შეადგინა ცალკე სამთავრო, რომელსაც დაერქვა სამცხე-საათაბაგო. იმერეთ-

საც გაეყარნენ: სამეგრელო, გურია, სვანეთი და რაჭა და შეადგინეს ოთხი განმარტოებული სამთავრო. ამ სახით, საქართველო გაიყო რვა პატარა საბრძანებლად: სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ.

ძმობა ქართველთა შორის მოისპო, ერთობა განქრა, მაგრა შეკრული და გაუტეხელი კონა ეროვნობისა დაიშალა და ადვილი სალეწი გახდა მტერთაგან. ამაზედაც არ შეჩერდა უბედურება. ძმებმა, რომელნიც დაჩვეულნი იყვნენ საერთო ბრძოლას მტერთან, ახლა ერთმანეთს დაუწყეს ომი. გახშირდა შინაური შფოთი, ძმებისაგან ძმების სისხლის ღვრა. კახეთის მეფე ებრძოდა ქართლისას, ქართლისა—იმერეთისას. იმერეთის მეფეს ხშირად ჰქონდა ომი სამეგრელოს, ან გურიის მეფესთანა, და სხვანი. დაუძლურდა ჩვენი ქვეყანა, მაღალი ლობე გარდაიქცა დაბალ ლობედ. მტრებმა იბრიყვეს, თელა დაუწყეს. სახელი, წინად ქებული, გატყდა, გათახსირდა.

აღმოსავლეთის საქართველოში გაბატონდა ხელ-ახლად გაძლიერებული სპარსეთი, დასავლეთს საქართველოში იწყო ბრძანებლობა ოსმალეთმა. საერთო სამეფოს დამკარგველმა ქართველებმა ახლა მოიმკეს საერთო მონობა.

სპარსეთმა ქართლ-კახეთი თავისს სახანოდ ანუ სამთავროდ გახადა. ჩვენს პატარა მეფეებს, რომელნიც გახდნენ აჩრდილნი წინანდელი დიდი მეფეებისა, შაჰი ნიშნავდა. ეს მეფეები მოვალენი იყვნენ ეძლიათ ყოველ წლივ ხარჯი შაჰისათვის, ეგზავნათ მისთვის თეირანში ასობით საუკეთესო გვარიშვილების ვაჟები და ქალები, რომელთაც ათათრებდნენ ენითაცა და სარწმუნოებითაც, და ქართველი ჯარიც მიეშველებინათ ომიანობის დროსა. ამასთან ჩვენს მეფეებს უნდა მფარველობა გაეწიათ მაჰმადიანებისათვის. შაჰმა ბოლოს მეტიც მოითხოვა. მეფეებად მხოლოდ იმათი გამწესება იწყო, ვინც მაჰმადიანობას მიიღებდა. მარტო იმ ერისთავებსა და თავადებს აწინაურებდა, რომელნიც ჰღალატობდნენ მაცხოვრის სჯულსა. იმედი ჰქონდა ამ სახით ჩვენს ხალხში

მაჰმადიანობა გავევრცელებინა და საქართველო მჭიდროდ შეეხორცებინა სპარსეთთან.

სწორედ ამისთანავე მონაობის უღელი დაადგა ოსმალეთმა დასავლეთ საქართველოსა, რომლის ნაწილები სულთანმა თითქმის თავისს მაზრებად გადააქცია, თუმცა მათი მბრძანებლები მეფეებად და მთავრებად იწოდებოდნენ.

უველაზედ მეტად დამღუპველი ქვეყნისა ის იყო, რომ გამარჯვებულს მტერს ქართველები ათი ათასობით მიჰყავდა ტყვედ და ასახლებდა სათათრეთში სამუდამოდ. მათს მამულდედულზე თათრები გადმოჰყავდა და საცხოვრებლად აბინავებდა. ამ დამღუპველს ხერხს მეტადრე ხშირად ხმარობდა სპარსეთი, რის გამოც ქართველთა რიცხვმა ქართლ-კახეთში ერთი ორად იკლო.

თითქმის სამასი წელიწადი ასეთს უკიდურესს გაჭირვებაში იყო როგორც აღმოსავლეთის საქართველო, ისე დასავლეთისა. მართალია, მონაობის უღელს არ ემორჩილებოდნენ, ხშირად უმკლავდებოდნენ მტერსა, თავ-განწირულად იბრძოდნენ *) და ხან კიდეცა სძლევდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობას კი დიდი ხნობით ვეღარ იბრუნებდნენ, რადგანაც ცალ-ცალკე იბრძოდნენ და არა ერთად სანუგეშო მხოლოდ ერთი მოვლენა იყო: თუმცა ზოგი მეფეები და დიდი კაცები ღალატობდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, მაგრამ თვითონ ხალხი მტკიცედ იცავდა მას, გათათრება ჰირივით სძულდა, არ უნდოდა სარწმუნოებით დამსგავსებოდა აზიის ხალხებსა და გაეწყვიტა კავშირი ქრისტიანულს ევროპასთანა. თვით მაღალის წოდების ქართველები ხშირად წამებასა და სიკვდილს რჩეულობდნენ, ვიდრე მაცხოვრის ღალატსა. ასეთი თავდადებულობა სარწმუნოებისათვის გამოიჩინეს: ქართლის მეფე ლუარსაბმა, რომელიც სპარსელებმა აწამეს შაჰ-აბაზის ბრძანებით 1622 წელსა; დედოფალმა ქეთევანმა, რომელმაც მიიღო

*) მარაბდის ომში სპარსელებს ერთად შეაკვდნენ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი.

მოწამის გვირგვინი 1624 წელსა, და სამმა ერისთავმა: ბიძინამ, შალვამ და ელიზბარმა, რომელთაც სიკვდილი დაითმინეს მაცხოვრისთვის 1661 წელსა. ყველა ესენი წამებულ იქმნენ სპარსეთში მხოლოდ იმის გამო, რომ გათათრება უარჰყვეს. სამივეს გვამი ქართველებმა დიდი გაჭირვებით მოასვენეს შინა და დაასაფლავეს წამებულთა საყვარელს სამშობლოში. ჩვენმა ეკკლესიამ წმიდანებად აღიარა წამებულნი.

### წამებული ქეთევან დედოფალი.

დრონი იცვალნენ, იხილეთ, ქეთევან, ნაზად აღზრდილი.
მამულისათვის იტანჯვის სარწმუნოების დამცველი;
ხორც-დაგლეჯილი შანთებით, მკერდზედა ცეცხლ-ანთებული,
სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით ამსვლელი.

გრიგოლ ორბელიანი.

### სამი მოწამე.

ნათელ გვირგვინით მოსჩანან კახეთის მხსნელი გმირები:
ელიზბარ, შალვა, ბიძინა, მტარვლისგან დატანჯულები,
ტარიგად შესაწირავად მახვილით განგმირულები;
ღმერთს აველრებენ მამულსა მათ უკანასკნელ სიტყვები.

მისივე

---

### განათლების აღორძინება და ვახტანგ მეექვსე.

მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს წყვდიადი გაანათა ერთმა საიმედო სხივმა. ეს სხივი იყო ქართული მწიგნობრობის ღვიძება და აღორძინება. ერთად-ერთი უებარი წამალი იმ განცალკევებისა, რომელიც აუძლურებდა საქართველოს და მეტად დაბალ ლობედ ჰხდიდა, იყო სწავლა-განათლების მოფენა ქართველთა შორის. ქართველების ერთობა მოისპო მასუკან, როცა განათლება ჩაქრა ჩვენს ქვეყანაში ველურ მტერთა ხანგრძლივი მბრძანებლობის გამო. მაშასადამე, ამ ერთობის აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ მიმქრალი განათლების გაღვივებით, ანთებით. ეს კარგად ესმოდათ ზოგს შორგამჭვრეტელ ქართველსა და ამიტომ გულ-მოდგინედ შეუდ-

გნენ სწავლის გაძლიერებასა. სამი ძალის გავლენამ მოუმართა ხელი ამ საქმეში ქართველებსა. პირველი ძალა იყო ძველი ქართული ლიტერატურა, რომლის მიმალულ ნაწარმოებთა გამოქვეყნება გააჩშირეს. მეორე ძალა იყო რუსეთის მწიგნობრობისა და ლიტერატურის გავლენა. მესამე ძალად აღმოჩნდა მოქმედება კათოლიკეთა მისიონერებისა, რომელნიც საქართველოში მოდიოდნენ თავისი სარწმუნოების დასანერგავად და ამასთან ხელს უწყობდნენ ცოდნის გავრცელებას, რომლითაც თვითონ მდიდარნი იყვნენ.

ამ მოძრაობის სათავეში იდგა მეფე ქართლისა ვახტანგ-მეექვსე, ნიჭიერი, სწავლული და ფრიად მხნე გვირგვინოსანი. მან პირველად დააარსა ტფილისში სტამბა, ანუ წიგნების საბეჭდავი და ამითი ძლიერ გაადვილა წიგნების გამრავლება. უსტამბობა ძლიერ აბრკოლებდა მწიგნობრობას, რადგანაც გადაწერას დიდი დრო და ჯაფა უნდებოდა. პირველად ვახტანგმა დაბეჭდვინა თავისს სტამბაში საჭირო საეკლესიო წიგნები, რომელნიც ბევრს ეკლესიას აკლდა. შემდეგ დასტამბა „ვეფხის-ტყაოსანი“. ამას მოჰყვა დაბეჭდვა „ვახტანგის კანონებისა“. ამ წიგნში ვახტანგმა ერთად მოაქცია გაფანტული ქართული კანონები, რიგზედ დაალაგა, შეავსო, განმარტა, გასწმინდა და გამოსცა სახელმძღვანელოდ მსაჯულთათვის.—საქართველოს წარსულზე ბევრი ხელნაწერები მოიპოვებოდა ჩვენს ქვეყანაში; ეს ხელნაწერები თავისს დროზედ დაეწერათ მომსწრე პირებს და დაეტოვებინათ ჩამომავლობისათვის; მაგრამ იგინი დაქსაქსულნი იყვნენ და გარყვნილნიც უვიცი გადამწერების წყალობითა. ვახტანგმა შეაგროვა ეს ხელნაწერები, გასწმინდა ყველა შეცდომებისაგან, შეადარა ერთმანეთთან, შეასწორა, რიგზედ დააწყო და ერთ დიდ წიგნად გამოსცა სათაურით: „ქართლის ცხოვრება“. მანვე გადმოთარგმნა სპარსულიდგან: „ვარსკვლავთ-მრიცხველობა“ და „ქილილა და დამანა“, რომელიც სავსეა ზნეობრივი იგავ-არაკებით.

ვახტანგის მარჯვენა ხელი ამ სასიქადულო საქმეში იყო

მისი ვაჟი ვახუშტი, რომელმაც რუსეთში გადასახლების შემდეგაც მხნედ გააგრძელა წიგნების წერა და ბეჭდვა.

ამავე მოძრაობას ემსახურებოდნენ ბევრნი სხვა განვითარებულნი და შეგნებულნი ქართველნი. მეფემ კახეთისამ თეიმურაზ მეორემ დასწერა პოემა: „ვარდ-ბულბულიანი“ და თავისი დედის ქეთევანის წამება; არჩილ მეფემ გაამდიდრა ჩვენი ისტორია თეიმურაზის ცხოვრების აღწერით, რომელსაც დაერქვა „არჩილიანი“ (არჩილის დაწერილი); სეხნია ჩხეიძე და ფარსადან გორგიჯანიძე სწერენ ისტორიასა; საბა ორბელიანი სწერ წიგნსა: „სიბრძნე-სიცრუისა“, რომელშიაც მოქცეულია მრავალი ზნის მასწავლებელი არაკი, ზოგი ნათარგმნი და ზოგი მისი შედგენილი; იგივე ადგენს და ჰბეჭდავს პირველს ლექსიკონს ქართულის ენისას; მიტროპოლიტი იოსებ თბილელი სწერს ლექსად პოემას: „დიდ-მოურავიანი“, სადაც მოგვითხრობს მოქმედებასა და ცხოვრებას გიორგი სააკაძისას, რომელიც დიდი მეომარი იყო მეჩვიდმეტე საუკუნეში: იასე ქსნის ერისთავმა დასწერა: „მოწამეობა ელიზბარ, ბიძინა და შალვასი“. ამავე დროს ეკუთვნის მეტად ნიჭიერი პოეტი დავით გურამიშვილი, რომლის თხუზულებანი ბრწყინავენ მშვენიერი და მეტად ადვილი ქართული ენით და ახლაც ზეპირად ისწავლებიან მოწაფეთაგან, და მრავალნი სხვანი.

სამწუხაროდ, ამ მოძრაობას ფრთა შეაკვეცა მეფე ვახტანგის ბედის უკუღმა დატრიალებამა. იმ დროს რუსეთის ხელმწიფეს პეტრე დიდსა და სპარსეთის შაჰს ომი მოუხდათ ერთმანეთში, სპარსეთიც თავისკენ იწევდა ვახტანგსა და რუსეთიცა. ვახტანგი მიემხრო პეტრესა, როგორც მართლმადიდებელს ხელმწიფესა.

რუსეთის ჯარმა ქართველის ჯარის დახმარებით სძლია მტერსა და დაიჭირა კასპიის ზღვის ნაპირები. მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ ამ დროს პეტრეს სხვა მხრივ აეშალნენ მტერნი, და მან თავისს ჯარს უბრძანა რუსეთში დაბრუნებულიყო. მარტო დარჩენილი ვახტანგი ისე შეავიწროვეს განრისხებულმა სპარსეთმა და ოსმალეთმა და მათმა მომხრეებ-

მა საქართველოში, რომ იგი იძულებული გახდა დროებით გარდასახლებულიყო რუსეთში, სადაც იგი მიიწვია პეტრე დიდმა. მას იმედი ჰქონდა, მალე გარემოება სასიკეთოდ შეიცვლებაო, დავბრუნდები საქართველოში რუსეთის ჯარით და ისევ დავიჭერ სამეფო ტახტსაო; მაგრამ სიკვდილმა უდრო-უდროოდ მოუღო ბოლო აქეთ გამომგზავრების დროსა და იგი დაიმარხა შორს, ქალაქ ასტრახანში. ვახტანგის ცოლ-შვილი დარჩა რუსეთში. მისმა ვაჟმა ვახუშტიმ მთელი თავისი ნიჭი და დრო ახლა მოახმარა უცხოეთში ქართულის მწიგნობრობის აღორძინებასა. მან შეადგინა საქართველოს ისტორია თავისს დრომდე, გეოგრაფია საქართველოსი გეოგრაფიული ატლასით, რომელიც იპყრობს ოც-და-ორს რუკასა, და კიდევ სხვა წიგნები. ეს წიგნები ვახუშტმა დაბეჭდა მოსკოვში, სადაც მან გამართა ქართული სტამბა. ამავე სტამბიდგან გამოვიდა ახალი თარგმანი ქართულის „დაბადებისა“, დაბეჭდილი იმავე ვახუშტის მიერ.

### სჯულ-მდებელი მეფე.

აჰა, სჯულისა წიგნითა ვახტანგ, სვე-დამწარებული,
სწავლის მოყვარე, მთარგმნელი, გონება ამაღლებული...
უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის-კი დამიწებული.

გრიგოლ ორბელიანი.

---

### ერეკლე მეორე.

ვახტანგ გორგასლანისა, დავით აღმაშენებელისა და თამარის შემდეგ ქართველი ერი უდიდესი თაყვანისცემით იხსენიებს ერეკლე მეფესა. ხალხის თვალში ერეკლე მეფე გარემოცულია საოცარის გმირის შარავანდედით. აუარებელს ლექსებში იგი აქებს და ადიდებს ერეკლეს სამაგალითო ვაჟკაცობას, მის საარაკო უშიშრობას, მის საოცარს გულოვნობას, მის მახვილს ჭკუას, მის არწივისებურს სისწრაფეს და მის თავ-განწირულობას მამულისათვის. მართლაც, მისი ორმოც-

და-თოთხმეტის წლის მეფობა შეუსვენებელი და ძლევა-მოსილი ბრძოლაა თავისი ხალხის დამოუკიდებულობისა და კეთილდღეობისათვის.

Ⴄრეკლეს ყმაწვილობის დროს ქართლ-კახეთზედ მბრძანე-



ბლობას ჩემულობდნენ Ⴑპარსეთიც და Ⴍსმალეთიც. Ⴄრეკლეს მამამ კახეთის მეფემ Ⴇეიმურაზმა, და თვით Ⴄრეკლემ Ⴑპარსეთის მხარე დაიჭირეს იმ მოსაზრებით, რომ Ⴑპარსეთს, როგორც უფრო მახლობელს სახელმწიფოს, შეუძლიან მეტი

სიკეთეც უყოს საქართველოს და მეტი ვნებაც მიაყენოსო. და ხრც მოსტყუვდნენ. სპარსეთმა ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის შეერთებას. როცა ვახტანგ მეექვსე, ქართლის მეფე, წავიდა რუსეთში, დაცარიელებულს ქართლის ტახტზედ გადმოვიდა კახეთის მეფე თეიმურაზი, ხოლო კახეთის მეფედ აღიარა თავისი ვაჟი ერეკლე. ამ ცვლილებაზედ თავისი თანხმობა გამოუცხადა სპარსეთის მბრძანებელმა ნადირ-შაჰმა. ამითი მოისპო განცალკევება ქართლისა და კახეთისა და დამყარდა მათ შორის ძმური განწყობილება, შეთანხმებული მოქმედება. ქვეყანას ღონე მოემატა და თავისუფლად ამოისუნთქა. ჩქარა ეს ძმური კავშირი ერთობად გადაიქცა. თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ერეკლემ თავისი თავი გამოაცხადა ქართლის მეფედაც, რაზედაც თანხმობა მიიღო მომადლიერებული ნადირ-შაჰისაგან. ზოგს ქართლელებს ეწყინათ ესა, წინააღმდეგობა დაუწყეს; მაგრამ მალე ჩაქრა ეს წინააღმდეგობა, რადგანაც ერეკლემ უფრო კიდევ აშკარად გამოიჩინა იშვიათი მეფური ღირსებანი. ამ ჩაქრობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ერეკლეს დედა იყო ქალი ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსისა და, მაშასადამე, მემკვიდრე ქართლის ტახტისა. ამ სახით ორი პატარა სამეფო გარდაიქცა ერთ მოზრდილ სამეფოდ და გაყრილმა ძმებმა შეადგინეს ისევ ერთი ოჯახი.

შეერთებულს სამეფოს აღარ ეკადრებოდა დამოკიდებულება და ამას ყველაზე ცხადად ერეკლე ჰგრძნობდა. იმ ხანებში მოკვდა ნადირ-შაჰი და მისს მემკვიდრეთა შორის შფოთი ასტყდა. ამითი ისარგებლა ერეკლემ, მოუსპო სპარსეთს ხარჯის ძლევა, თავის სამეფო გამოაცხადა დამოუკიდებლად და თავისი თავი თვითმპყრობელ ხელმწიფედ ქართლ-კახეთისა.

მეტად მარჯვე მოქმედებით ერეკლემ იმდენად გააძლიერა თავისი სამეფო, რომ მისი მფარველობა ისურვეს და მისს მოხარკედ შეიქმნენ ხანები: ერევნისა, განჯისა, ყარაბაღისა და შამახიისა, რომელნიც წინად სპარსეთს ემორჩილებოდნენ.

სპარსეთის მბრძანებელმა მოიწადინა დაესაჯნა ერევნის ხანი, როგორც მოძხრე და მოხარკე ერეკლესი, და ოცი ათასი ჯარით გარს შემოერტყა ერევანსა. ერეკლემ რომ ეს შეიტყო, შეჰკრიბა ხუთი ათასი მეომარი, სწრაფად გაჩნდა ერევანთან, შეებრძოლა სპარსელებს, მოუკლა თავისი ხელით წინამძღოლი, საშინლად დაამარცხა მტერი, წაართვა თოთხმეტი ზარბაზანი და დიდ ძალი დავლით დაბრუნდა შინ.

1770 წელს რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინემ ომი გამოუცხადა ოსმალეთსა და ერეკლე მეფეც მიიწვია მოკავშირედ. ერეკლემაც ხათრი არ გაუტეხა, შეაგროვა ხუთი ათასი კაცი და სამხრად მოემზადა. რუსეთიდგან გადმოვიდა ხუთი ათასივე ჯარი ტოტლებენის წინამძღოლობით და შეუერთდა ქართველებსა. მოკავშირენი გაემგზავრნენ ბორჯომის ხეობით ოსმალეთისაკენ და გარს შემოერტყნენ აწყურის მაგარს ციხეს, რომელშიაც მაშინ ოსმალოს ჯარი იდგა. აქ ერეკლეს სრულიად მოულოდნელად უღალატა ტოტლებენმა, უცებ დასტოვა იგი და რუსეთის ჯარი უკანვე წამოიყვანა. მარტოდ დარჩენილი ერეკლე არამც თუ არ შეუშინდა მტერსა, წინ გასწია, ახალციხის ახლო, სოფელ ასპინძის მიდამოში, შეებრძოლა ოსმალეთის მთავარს ჯარსა, საკუთარი ხელით მოუკლა ერთი საუკეთესო წინამძღოლი, და ისე საშინლად დაამარცხა, რომ იმოდენა ჯარიდგან მხოლოდ ოც-და-ხუთი ოსმალო ძლივს გადარჩა სიკვდილსა. სხვანი ბრძოლის ველზედ დაეყარნენ დახოცილნი და დაჭრილნი და ან აღელვებულს მტკვარში დაიხრჩვნენ. ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ისეთი სახელი გაუგდო ერეკლეს შორს ქვეყნებშიაც-კი, რომ თვით ევროპაში დაარქვეს მას ასპინძის გმირი.

უფრო კიდევ მეტად აგრძნობინა თავისი ძალ-ღონე მეფე ერეკლემ ლეკებსა, რომელნიც ქურდულად დაეცემოდნენ ხოლმე კახეთისა და ქართლის სოფლებსა და სძარცვავდნენ. არა ერთი გუნდი ამ მაწანწალებისა შემუსრა, არა ერთი საუკეთესო ბელადი მოუკლა მათ საკუთარი ხელით და შიში მისცა დაღესტანსა.

საზოგადოდ, ერეკლეს ასამდინ ომი გადაუხდია და ყო-

ველთვის გამარჯვებული გამოსულა. ეს სახელოვანი მეფე იმარჯვებდა არა მარტო იმითი, რომ ჩინებული წინამძღოლი იყო, არამედ იმითიც, რომ პირადად საოცარი მეომრის ღირსებით იყო შემკული. თოფს ისეთი ოსტატობით ხმარობდა, რომ მიზანში ამოღებულს მტერს არას დროს არ დააცდენდა; ხმალს ისე მარჯვედ ამოქმედებდა, რომ ვისაც-კი მოუქნევდა, ის უსიკვდილოდ ვერ გადურჩებოდა. მტერი კი ვერას აკლებდა, რადგანაც ერეკლე მეფე იჩენდა საარაკო სიფხიზლეს გონებისას და საოცარს სიჩქარეს მოძრაობაში. სწორედ ამითი აიხსნება ის საკვირველი მოვლენა, რომ ერეკლემ თავისი საკუთარი ხელით მოუკლა ბრძოლაში არა ერთი საუკეთესო წინამძღოლი ლეკებსაც, სპარსებსაც და ოსმალებსაც და თვითონ კი არც ერთხელ არ იქმნა მძიმედ დაჭრილი.

ერეკლეს გმირობა აოცებდა არა მარტო ქართველებსა, არამედ განცვიფრებაში მოჰყავდა თვით ევროპიელი საუკეთესო მეომარნი. იმ დროში ევროპის პირველი სარდალი იყო პრუსიის მეფე ფრიდრიხი დიდი, რომელიც გამარჯვებით ებრძოდა თითქმის მთელს ევროპასა. ეს სამხედრო გენიოსიც კი ისეთს ალტაცებაში იყო ერეკლეს ვაჟკაცობით, რომ საქვეყნოდ ამბობდა: მე ვმბრძანებლობ ევროპაში, ხოლო აზიაში მბრძანებლობს უძლეველი მეფე ქართველთა ერეკლეო.

სახელოვანს მეფეს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მამულის ერთგულებისა და სიყვარულის მთავარი ბურჯი არის განათლება. ამიტომ დიდად ზრუნავდა სწავლის გაძლიერებაზედ. 1783 წელს იგი ჰხსნის სასულიერო სემინარიას თელავში, ნაცვლად დაბალი სასწავლებლისა, შემდეგ ამისთანავე სემინარიას ჰმართავს თბილისში, აპირობს გამართოს გორშიაც და ამრავლებს სამრევლო სკოლებს მონასტრებთანა და ტაძრებთან. ხშირად ინახულებდა ხოლმე ამ სასწავლებლებს, ამხნევებდა და აქეზებდა მასწავლებლებსაცა და მოსწავლეებსაცა. მაგალითად, მეფე ეწვია თელავის სემინარიას 1784 წელში. დიდი სიხარული მოჰფინა სემინარიას ამ ნახვამ. რექტორი სემი-

ნარიისა, ფრიად განსწავლული დეკანოზი გაიოზი მშვენიერი სიტყვით მიეგება სათაყვანებელს მეფესა. სხვათა შორის მან მოახსენა: ,,ბერძნები ამაყობენ ალექსანდრე მაკედონელით, რომაელნი იულიუს ცეზარით, რუსნი—პეტრე დიდით, ჩვენც კადნიერად შეგვიძლიან ვიამპარტავნოთ ჩვენი სასიქადულო მეფით, რომელიც ჭეშმარიტად შემკობილია ზემოხსენებულთა გმირთა ღირსებითაო'', და სხვანი.

მეფის მაგალითით სიყვარული განათლებისა სხვებსაც ენთებათ გულში და მწიგნობრობის ასპარეზზედ გამოდიან: ნიჭიერნი პოეტნი, როგორც, მაგალითად, ბესარიონ გაბაშვილი, ბესიკად წოდებული,—მქევრმეტყველნი მქადაგებელნი, როგორც ნეკრესის ეპისკოპოსი ამბროსი და დეკანოზი იონა ხელაშვილი,—განსწავლულნი მსაჯულნი, როგორც სოლომონ ლეონიძე,—მოგზაურნი, როგორც ტიმოთე და იონა,—ისტორიკოსნი, როგორც პაპუნა ორბელიანი და ომან მდივანი, ღრმად განსწავლულნი ღვთის-მეტყველნი, როგორც ანტონი კათალიკოსი, და სხვანი. სტამბა თბილისში მუდამ მოქმედებდა და მასში იბეჭდებოდა მრავალი ქართული წიგნი, სასულიერო და საერო.

ერეკლე კარგად ხედავდა, რომ მარტო აღმოსავლეთის საქართველო დიდხანს ვერ გაუმაგრდებოდა მრავალს მტრებს, რომელნიც გარს ეხვივნენ. დასავლეთ საქართველოს შემოერთება ერთი ორად გააძლიერებდა მისს სამეფოსა და მისცემდა შეძლებას განეახლებინა გიორგი ბრწყინვალის დრო; მაგრამ ეს ვერ მოახერხა, თუმცა უფრო გონიერნი იმერ-ამერნი სულით და გულით იყვნენ შეერთების მნატრელნი და მოწადინენი. მეტი ღონე არ იყო, გარეშე მოკავშირე უნდა ეშოვნა და ზურგი ამითი გაემაგრებინა. აქ მოკავშირედ არ ვარგოდა არც ოსმალეთი და არც სპარსეთი, თუმცა ორნივე მაძიებელნი იყვნენ ამისი. არც ერთი არ ვარგოდა იმის გამო, რომ ორივენი აღიარებდნენ თათრის სჯულსა და სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ქართველები გაეხადნათ თავისს ერთ-მორწმუნე ხალხად და სრულიად გაეთათრებინა.

თავისი იმედი ერეკლემ დაამყარა რუსეთზედ სამი საფუძვლის გამო: იგი იყო თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ ჯარით ძლიერი სახელმწიფო,—რუსნი აღიარებდნენ იმავე მართლ-მადიდებელს სარწმუნოებას, რომელსაც ქართველები, და ამ მხრივ არავითარი შიში არ იყო; ძველი დროიდგან საქართველოს მუდამ მეგობრული განწყობილება ჰქონდა რუსეთთან და არც ერთხელ არ მომხდარიყო ქართველების შეტაკება რუსეთთან; ქართველი ერი ყოველთვის სასოებით იცქირებოდა ჩრდილოეთისაკენ და იქიდგან ელოდა ძმურს დახმარებასა.

ერეკლემ მიიღო რუსეთის მფარველობა, დასთანხმდა, რომ საქართველოს მეფეების დამტკიცება რუსეთის იმპერატორის ხელში ყოფილიყო; აღუთქვა ჯარით დახმარება ყოველს ომში, რომელსაც-კი რუსეთი დაიწყებდა. თავისი მხრივ რუსეთმა ვალად დაიდო საქართველოს ყოველი მტერი თავისს მტრად ეცნო და ქართველებთან ერთად ებრძოლა მათ წინააღმდეგ. შინაურს საქმეებში საქართველო უნდა სრულიად დამოუკიდებელი დარჩენილიყო. ამ პირობას, ქაღალდზედ დაწერილს, ორივე მხარემ მოაწერა ხელი, და მას მიეცა ძალა ერთა შორის სავალდებულო ხელ-შეკრულობისა, ანუ ტრაქტატისა.

საშინელი მოქმედება იქონია სპარსეთზედ, ოსმალეთსა და დაღესტანზედ ამ ხელ-შეკრულობამ. იმათ ძლიერ ეშინოდათ რუსეთის ჩამოთესლებისა საქართველოში და ამიტომ მოიწადინეს ან ხელი აეღებინებინათ ერეკლესათვის რუსეთთან კავშირზედ და ან გაენადგურებინათ საქართველო. იმ ჟამად სპარსეთის ტახტი დაიჭირა დიდი შინაურის ბრძოლის შემდეგ ერთმა მეფის მახინჯმა ჩამომავალმა, სახელად ალა-მაჰმად-ხანმა, რომელსაც დიდს გულადობასთან მხეცური უღირობა სჭირდა ზნედ. ამ ძლიერმა მახინჯმა მოსწერა მეფე ერეკლეს: გასწყვიტე კავშირი რუსეთთან, მიიღე ჩემი მფარველობა, მაძლიე ცოტა ხარჯი და მე მუდამ კეთილის-მყოფელი ვიქნები შენი და საქართველოსიო. თუ ამას არ იზამ, იცოდე, ჩემი უძლეველი ჯარით დაუყოვნებლივ შემოვესევი შენს სამეფოს და ქვას ქვაზედ აღარ დავაყენებო. მეფე ერეკლემ

ცივი უარი შეუთვალა. ამავე დროს აცნობა ეს ამბავი რუსეთის მთავრობას და სთხოვა ჯარი საჩქაროდ მოეშველებინათ. თანაც თავისს შვილებს, რომელნიც მართავდნენ სხვა-და-სხვა კუთხეებს ჩვენის ქვეყნისას, შეუთვალა შეეკრიბნათ ჯარი და ჩამოეყვანათ თბილისში, რაც შეიძლებოდა მალე. მაგრამ მტერმა არავის დააცალა. აღა-მაჰმად-ხანმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ სისწრაფეს შეეძლო მისთვის მიენიჭებინა გამარჯვება. ამიტომ საჩქაროდ შეაგროვა სამოც-და ათი ათასი მეომარი და გადმოვიდა მდინარე არეზზედ. დრო არ დაჰკარგა არც ყარაბაღისა და არც ერევნის დაპყრობაში, რომელნიც ერეკლეს მფარველობის ქვეშ იყვნენ, და მოულოდნელად გამოცხადდა თბილისის ახლო. ეს მოხდა ისე ადრიანად, რომ ჯერ რუსეთის ჯარი არც-კი დაძრულიყო ჩრდილო კავკასიიდგან და ზოგი მეფის ვაჟებიც ჯერ არ მოშველებოდნენ. ერეკლესა ჰყავდა მხოლოდ სამი ათასი მეომარი, რომელსაც მოემატა ორი ათასი იმერთა ჯარი, საჩქაროდ ჩამოსული. ხუთი ათასს მეომარს პასუხი უნდა გაეცა სამოც-და-ათი ათასი ძლევა მოსილი მტრისათვის. ამასთან აღა-მაჰმად-ხანი ჯერ შუა ხნის სარდალი იყო, ერეკლე მეფე კი ოთხმოცი წლის მოხუცი და არა უწინდებური უძლეველი არწივი.

მიუხედველად ამისა, ქართველებმა ისეთი საოცარი მამაცობა გამოიჩინეს, რომ კინაღამ ხელში იგდეს თვით აღა-მაჰმად-ხანი. ეს მოხდა ასე.

იერიში მტერმა პირველად მოიტანა ერეკლეს შვილს იოანეზედ, რომლის რაზმს ეჭირა გზის პირად მაღლობი ადგილი, თბილისის სამხრეთით, კრწანისის მინდვრების ვიწროებში. ბევრს მტერს აუტირეს დედა ამ მოწინავე ქართველებმა, მაგრამ თვითონაც ბევრი დაჰკარგეს და ამის გამო უკან-უკან იწყეს დაწევა. სწორედ ამ დროს სამასნი ფშავ-ხევსურნი გაექანნენ ხმალ-ამოღებულნი, ეკვეთნენ მტერსა და დაუწყეს ჩეხა. მათ, მეფის ბრძანებით, მიეშველა მაჩაბელი თავისი რაზმით. ეს მაჩაბელი მამაცი მეომარიც იყო და ამასთან სახელოვანი მოლექსე-მოსაზანდრეც. მან ჯერ მხიარუ-

ლად დაუკრა ჩონგური, ზედ საგმირო ლექსები დამღერა და მერმე საოცარი სისწრაფით შეუტია სპარსელებსა. ამ სამმა რაზმმა შუა გააპო მტრის ჯარი, აქეთ-იქით გროვა-გროვა დააყენა დახოცილი და დაჭრილი სპარსელებისა და გაექანა იქითკენ, სადაც თვით შაჰი ეგულებოდა. მტრის საშინელი მუსრით მიუახლოვდნენ შაჰის კარავს, მის თვალწინ წაართვეს სპარსელებს ბაირაღები და თვით შაჰის დაჭერასაც ლამობდნენ; მაგრამ სწორედ ამ დროს ქართველებს წინ გადაეღობა საუკეთესო ჯარი სპარსელებისა, რომელიც ამ დრომდე შაჰის კარავის უკან იდგა, ომში მონაწილეობას არ იღებდა და სრულიად დასვენებული იყო.

„მე არ მახსოვს, რომ რომელიმე ჩემი მტერი ასეთი თავ-განწირული მამაცობით შემბრძოლებოდესო“, წარმოსთქვა შაჰმა, როდესაც დაინახა მიახლოვებული ქართველები, რომელნიც მუსრს ავლებდნენ მის ჯარსა.

სპარსელებს ახალ-ახალი ჯარი ემატებოდათ, ქართველებს კი მალე გამოელიათ მისაშველებელი ჯარი. ერთი ქართველი იბრძოდა თოთხმეტ-თხუთმეტის სპარსელის წინააღმდეგ. ქართველთა გამარჯვება ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც ერთი, რაც უნდა მამაცობით იყოს აღჭურვილი, ვერა სძლევს თოთხმეტ-თხუთმეტს მეომარსა, და ვერც სძლიეს ჩვენებმაცა. ამ თავ-განწირულს ომში ქართველებს ბევრი მეომარი გამოაკლდათ და დაქანცულებმა უკან-უკან იწყეს დახევა. სპარსელები თბილისს თანდათან უახლოვდებოდნენ. ბრძოლამ გასტანა დილიდგან ბინდამდის. საღამოზედ სპარსელები მოადგნენ თვით მაგარს კედლებს თბილისისას. სამჯერ უკუ აქციეს ჩვენებმა მტერი თბილისის გალავანთან, მაგრამ იგი დაჟინებით იწევდა წინ.

საზარელს სურათს წარმოადგენდა ბრძოლის ველი. მთელი ვეებერთელა კრწანისის მიდამო ქალაქის გალავნამდე დაფენილი იყო დახოცილი და დაჭრილი მეომრებითა, რომელთა რიცხვი თექვსმეტ ათასამდე აღიოდა. მათში ცამეტი ათასი სპარსელი ერია და სამი ათასი ქართველი და ისიც

სულ რჩეული ვაჟკაცები. Შაჰს კიდევ ჰყავდა ორმოც-დათვრამეტი ათასი მეომარი, ხოლო Ერეკლეს შერჩა მხოლოდ ორი ათასი და ისიც საშინლად დაქანცული. Ქართველ მკვდართავდადებულებში ერივნენ სამასნი მთის ქართველნი, Დუშეთით ჩამოსულნი, რომელთაც ომის დასაწყისში მეფის წინ შეჰფიცეს ერთმანეთს: თუ მტერი ვერ დავამარცხოთ, შერცხვენილი იყოს, ვინც მტერს არ შეაკვდეს და ცოცხალი დაბრუნდეს შინაო.

Მწუხარებით შეპყრობილი ოთხმოცის წლის Ერეკლე არ აპირებდა ბრძოლის ველი დაეტოვებინა და უნდოდა ებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

Მხლებლებმა მოახსენეს მეფესა: ყოველმა ქართველმა უწყის შენი გმირული გულადობა და დარწმუნებულია, რომ შენ მუდამ მზადა ხარ მამულისათვის თავი დასდო; მაგრამ თუ მუხთალმა ბედმა გვიღალატა, შენი დაღუპვით მაინც ნულარ გაუასკეცებ სიხარულს მტერსა და ნუ მოუკლავ გულს შენს მათაყვანებელს ერსაო.

Მეფე, ღრმა ნაღვლით შეპყრობილი, ყურს არავის არ ათხოვებდა და იდგა ერთს ადგილას. Უცებ Ერეკლე ხმა-ამოუღებლივ გაექანა მტრისაკენ, იშიშვლა ხმალი, შევარდა სპარსელებში და დაუწყო ჩეხა. Სპარსელები აქეთ-იქიდგან მიეხვივნენ და Ერეკლეს დაღუპვა მოელოდა, თუ რომ იგი არ ეხსნა მისს შვილიშვილს. Სამასი ცხენოსანი ქართველით ბატონიშვილი Იოანე შევარდა მტრის ჯარში და თავისი მოხუცი პაპა ხელიდგან გამოსტაცა.

Ძალის-ძალად გაიყვანეს Ერეკლე ქალაქიდგან, გაატარეს ავლაბრის ხიდი და საჩქაროდ გაუყენეს Მთიულეთის გზასა. Ეჩქარებოდნენ, რადგანაც ფიქრი ჰქონდათ სპარსთა მდევარისა. Უცებ Ერეკლემ უკან მოიხედა და თვალი მოჰკრა ცეცხლსა, რომელიც სპარსელებს მოეკიდებინათ Თბილისის სამხრეთის ნაწილისათვის. Ერთი საშინლად ამოიკვნესა, სწრაფად მოატრიალა უკან ცხენი და გამოაქენა Თბილისისაკენ, რათა მტერს ზედ შეჰკვდომოდა და თავისს დედა-ქალაქთან

ერთად დამარხულიყო. მაგრამ მხლებელნი მოეწივნენ, უტაცეს ხელი ცხენსა და პირი ისევ მთისკენ აქნევინეს. ერეკლეს თან ახლდნენ ას ორმოც-და ათი მეომარნი, რომელნიც მზად იყვნენ თავისი სათაყვანო მეფისათვის ლუკმა-ლუკმად აკუწულიყვნენ.

აღა-მაჰმად ხანმა დაიპყრო თბილისი, გაძარცვა, დაანგრია, გადასწვა და სულ ნაოხრად აქცია. მაგრამ აქედგან შორს ვერსად წავიდოდა, რადგანაც შიში ჰქონდა, ვაი თუ შეერთებულმა რუს-ქართველმა ჯარმა მომისწროს და ცუდი დღე დამაყენოსო. ამიტომ როგორც სწრაფად მოვიდა, ისევ სწრაფად აიყარა თბილისიდგან და გასწია სპარსეთისკენ.

მეფე ერეკლე მთიულეთიდგან კახეთში ჩაბრძანდა და აქ დასახლდა. ხოლო აოხრებულს თბილისში გამოგზავნა თავისი უფროსი ვაჟი, რომელსაც ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა ქალაქის აღსადგენად და განსაახლებლად. მოხუცებულობისა და ნაღველის გამო ერეკლე მალე დასნეულდა წყალმანკით და თავისი გმირული სული მიაბარა უფალსა 1798 წელში, როდესაც იგი შესრულდა ოთხმოც-და-ორის წლისა. მეფის ძვირფასი გვამი წამოასვენეს მცხეთას და დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში. ერეკლის სიკვდილმა საშინელი სიმწუხარის ზარი მოჰფინა არა მარტო აღმოსავლეთს საქართველოს, არამედ დასავლეთსაცა. ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა გმირს მეფეს იგლოვდა ცხარე ცრემლით და თავისს ღრმა მწუხარებას გამოსთქვამდა აუარებელს სამგლოვიარო ლექსებში. მათ შორის ყველაზედ ძლიერია გლოვა თუშთა, ფშავთა და ხევსურთა, რომელიც ასე იწყება:

„ადსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია,
მრძლად ძილსა როდი ჩვეულ ხარ, მიგვიხმნე უნჯნი ყმანია!..“

## პატარა კახი.

(პოემიდგან „ხადლევრძელო“).

აჰა ივერის ნუგეშ-დიდება, თვისის დროისა მამშვენებელი;
მამაცთა შორის საკვირველება, პატარა კახი, მეფე ირაკლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარბ-შეჭმუხვნილი, ხმალ ხელ მოწვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა;
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით,
ბრძოლა წამსავე გარდაწყდებოდა!
დღენი იმისნი ემგზავსნენ ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს, მაგრამ ვეღარ ვმზერთ მისს სახეს!
მამული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს.

გრიგოლ ორბელიანი.

**რუსეთთან შეერთება.**

მწარე სიმართლე სთქვა პოეტმა: დიდება და დამოკიდებლობა საქართველოსი დაიმარხა ერეკლესთან ერთად. მისმა მემკვიდრემ, სნეულმა გიორგი მეფემ, ვერ გაუძლო გარეულს და შინაურს მტრებსა და თავის სამეფო ჩააგდო უკიდურესს გაჭირვებაში. ამ გაჭირვებას მოჰყვა საქართველოს შეერთება რუსეთთან. ჯერ შეუერთდა რუსეთს აღმოსავლეთის საქართველო, მერმე დასავლეთისა. მთელი საქართველო გარდაიქცა რუსეთის იმპერიის ნაწილად, და რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორი გახდა საქართველოს მეფედაცა. ეს მოხდა ასის წლის წინად, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.—

## იაკობ გოგებაშვილის წიგნები.

### I. ქართულ ენაზედ.

**დედა-ენა**, პირველი ნაწილი, ქართული ანბანი, პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით. ოც-და-მეორე გამოცემა. ფასი **ორი შაური**. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა რვა კაპეიკად.

**დედა-ენა**, ნაწილი მეორე, საკითხავი წიგნი შემდეგ ანბანისა, იმყოფება ორის წლის სრულს კურსსა. 2 გამოცემა ოც-და-მეორე. ფასი ყდით **ორი აბაზი**. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 32 კაპეიკად.

**ბუნების კარი**, მესამე წლისათვის, მეთექვსმეტე გამოცემა. ფასი ყდით **სამი აბაზი**. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 48 კაპეიკად.

**კოკორი**, მეცამეტე გამოცემა, 70 ათასი. ფასი ორი შაური.

**კონა**, მეხუთე გამოცემა, სურათებით. ფასი ყდით ორი აბაზი.

**კუნწულა**, ანუ კრებული რჩეულის მოთხრობებისა ევროპისა და რუსეთის მწერლებისა. ფასი ორი აბაზი.

**იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ცხრა სურათით, გამოცემა მეოთხე, 11,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

**ხატის მიზეზი**, მოთხრობა. ფასი ერთი შაური.

**ასპინძის ომი**, გამოცემა მესამე, 6,000 ცალი. ფასი შვიდი კაპ.

**თავდადებული ქართველნი**, მეორე სურათებიანი გამოცემა, 8,600 ცალი. ფასი 7 კაპეიკი.

**მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, სურათებიანი გამოცემა. ფასი ერთი აბაზი.

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, ისტორიული მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სურათით. ფასი ერთი შაური.

**სხივი წარსულისა**, ისტორიული ამბავი. ფასი ერთი შაური.

**აკიდო**, ანუ კრებული საყმაწვილო და სახალხო მოთხრობათა, გამოცემა წიგნების გამომცემელ ქუთათურის ამხანაგობისა. ფასი სამი შაური.

**საარაკო თავგადასავალი**, ისტორიული მოთხრობა. ფასი ორი შაური.

**ბურჯი ეროვნებისა**, მეორე, ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი 20 კ.

**რანი ვიყავით გუშინ?** ისტორიული წერილი. ფასი ერთი აბაზი.

### II. რუსულ ენაზე.

**РУССКОЕ СЛОВО**, часть первая, изданіе 15-ое. Ц. въ пер. 40 к.

**РУССКОЕ СЛОВО**, часть вторая, из. 10-ое. Цѣна въ пер. 50 коп.

**МЕТОДИКА** къ „Русскому Слову“ для учащихъ, изданіе второе, исправленное и дополненное. Цѣна 60 копѣекъ въ переплетѣ.

**РАЗБОРЪ** учебныхъ руководствъ по русскому языку. Цѣна 50 коп.

**НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО**, или преимущества прямого письма. Цѣна 20 копѣекъ.

**ПРАВДА** о Тифлисѣ, второе изданіе. Цѣна 20 коп.

**КЪ ВОПРОСУ** о поднятіи образованія дворянства. Цѣна 20 коп.

**О ГРУЗИНСКОМЪ И РУССКОМЪ АЛФАВИТАХЪ**. Цѣна 20 коп.

**КАКЪ ПОДНЯТЬ** Кавказскую народную школу. Цѣна 20 коп.

**КЪ ВОПРОСУ О МИНГРЕЛЬСКОЙ НАЧАЛЬНОЙ ШКОЛѢ**. Цѣна 20 коп.

**ГОСУДАРСТВЕННЫЙ ЯЗЫКЪ**, отвѣтъ Олоеву. Цѣна 30 коп.